ჰენრი ვისინჯერი

მსოფლიო წესრიგი

ინტელექტი

ჰენრი კისინჯერი

მსოფლიო წესრიგი

ინგლისურიდან თარგმნა მაია ფანჯიკიძემ

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ჰენრი კისინჯერი

მსოფლიო წესრიგი

Henry Kissinger

WORLD ORDER

Translated by Maia Panjikidze

Georgian Edition: INTELEKTI Publishing

პროექტის ავტორი
ნინო გოგუაძე

რედაქტორები
ნინო დეკანოიძე
ზვიად კვარაცხელია
სოფო კობიაშვილი

დამკაბადონებელი
ვიოლა ცულუში

გარეკანის დიზაინერი
თეონა ჭანიშვილი

EECMD

წიგნი გამოიცა EECMD-ის მხარდაჭერით

ISBN 978-9941-31-279-3

Copyright © 2014, Henry Kissinger
All rights reserved
© გამომცემლობა „ინტელექტი", 2020

სარჩევი

შესავალი
მსოფლიო წესრიგის ძიებაში 9

მსოფლიო წესრიგის ვარიანტები 11 • ლეგიტიმაცია და ძალაუფლება 21

თავი 1
ევროპა: პლურალისტული საერთაშორისო წესრიგი 24

ევროპული წესრიგის უნიკალურობა 24 • ოცდაათწლიანი ომი: რას ნიშნავს ლეგიტიმურობა? 37 • ვესტფალიის ზავი 43 • ვესტფალიური სისტემის მოქმედება 51 • საფრანგეთის რევოლუცია და მისი შედეგები 66

თავი 2
ძალთა ბალანსის ევროპული სისტემა და მისი დასასრული 76

რუსული ენიგმა 76 • ვენის კონგრესი 90 • საერთაშორისო წესრიგის წინაპირობანი 101 • მეტერნიხი და ბისმარკი 106 • ძალთა ბალანსის დილემები 111 • ლეგიტიმურობა და ძალაუფლება მსოფლიო ომებს შორის პერიოდში 119 • ომისშედგომი ევროპული წესრიგი 125 • ევროპის მომავალი 132

თავი 3
ისლამიზმი და ახლო აღმოსავლეთი მსოფლიო წესრიგის გარეშე 139

ისლამური მსოფლიო წესრიგი 140 • ოსმალეთის იმპერია: ევროპელი სნეული 156 • ვესტფალიის სისტემა და ისლამის სამყარო 159

• ისლამიზმი: რევოლუციური ტალღა – ორი ფილოსოფიური ინტერპრეტაცია 169 • არაბული გაზაფხული და სირიის კატაკლიზმა 176 • პალესტინის საკითხი და საერთაშორისო წესრიგი 186 • საუდის არაბეთი 194 • სახელმწიფოებრიობის უარყოფა? 206

თავი 4

შეერთებული შტატები და ირანი – დამოკიდებულება წესრიგისადმი 212

ირანის სახელმწიფო მართვის ტრადიცია 215 • ხომეინის რევოლუცია 220 • ბირთვული ტექნოლოგიის გავრცელება და ირანი 229 • ხედვა და რეალობა 243

თავი 5

აზიის მრავალფეროვნება 246

აზია და ევროპა: ძალთა წონასწორობის განსხვავებული კონცეფციები 246 • იაპონია 255 • ინდოეთი 271 • რა არის აზიის რეგიონული წესრიგი? 294

თავი 6

აზიური წესრიგისკენ. კონფრონტაცია თუ პარტნიორობა? 299

აზიის საერთაშორისო წესრიგი და ჩინეთი 300 • ჩინეთი და მსოფლიო წესრიგი 311 • გრძელვადიანი პერსპექტივა 321

თავი 7

„კაცობრიობის საკეთილდღეოდ". შეერთებული შტატები და წესრიგის მისეული კონცეფცია 329

ამერიკა მსოფლიო ასპარეზზე 336 • თეოდორ რუზველტი: ამერიკა როგორც მსოფლიო ძალა 347 • ვუდრო უილსონი: ამერიკა როგორც მსოფლიოს სინდისი 360 • ფრანკლინ რუზველტი და ახალი მსოფლიო წესრიგი 380

თავი 8

შეერთებული შტატები. ამბივალენტური სუპერ-სახელმწიფო 389

ცივი ომის დასაწყისი 394 • სტრატეგიები ცივი ომის წესრიგში 400 • კორეის ომი 407 • ვიეტნამი და ეროვნული კონსენსუსის ჩამოშლა 417 • რიჩარდ ნიქსონი და საერთაშორისო წესრიგი 428 • განახლების დასაწყისი 436 • რონალდ რეიგანი და ცივი ომის დასასრული 439 • ავღანეთის და ერაყის ომები 450 • განზრახვა და შესაძლებლობა 465

თავი 9

ტექნოლოგია, წონასწორობა და შორსმჭვრეტელობა 469

მსოფლიო წესრიგი ატომურ ხანაში 470 • ატომური იარაღის პროლიფერაციის საფრთხე 478 • კიბერტექნოლოგია და მსოფლიო წესრიგი 485 • ადამიანის ფაქტორი 494 • საგარეო პოლიტიკა უახლესი ტექნილოგიების ეპოქაში 502

დასკვნა

მსოფლიო წესრიგი ჩვენს დროში? 512

საერთაშორისო წესრიგის განვითარება 519 • რას გვიქადის მომავალი? 526 • მადლობა თანადგომისთვის 532

შენიშვნები 536

საძიებლები

პირთა სახელები 587 • გეოგრაფიული სახელები 592

შესავალი

მსოფლიო წესრიგის ძიებაში

1961 წელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა, კანზასში სიტყვით გამოსვლისას, პრეზიდენტ ჰარი ს. ტრუმენის გამონათქვამი დავიმოწმე. კერძოდ, კითხვაზე, ყველაზე მეტად რა გეამაყებათ თქვენი, როგორც პრეზიდენტის მოლვაწეობიდანო, მან უპასუხა: „ის, რომ მტრები საბოლოოდ დავამარცხეთ და შემდეგ თანასწორუფლებიან წევრებად მივიღეთ ხალხთა თანამეგობრობაში. ვფიქრობ, მხოლოდ ამერიკას შეუძლია ამის გაკეთება“. ტრუმენს გაცნობიერებული ჰქონდა ამერიკის უზარმაზარი ძალაუფლება, მაგრამ უპირველესად ამაყობდა აშშ-ს ჰუმანური და დემოკრატიული ღირებულებებით. სურდა, კაცობრიობას, ამერიკის გამარჯვებებზე მეტად, მის მიერ შერიგებისთვის გადადგმული ნაბიჯები დამახსოვრებოდა.

ტრუმენის შემდეგ ყველა პრეზიდენტმა გაითავისა ეს ამა თუ იმ ფორმით, სიამაყით იმოწმებდნენ ამერიკის ისტორიიდან მსგავს მაგალითებს. ხოლო დროის ამ მონაკვეთის უდიდესი ნაწილის განმავლობაში, ხალხთა თანამეგობრობა, რომლის შენარჩუნებისთვისაც იღვწოდნენ ეს პრეზიდენტები, ამ ამერიკულ კონსენსუსს ასახავდა – სახელმწიფოების

მუდამ მზარდი, კოოპერაციული წესრიგი, რომელიც იცავს საყოველთაო წესებსა და ნორმებს, გამორჩეულია ეკონომიკის ლიბერალური სისტემით, გმობს სხვისი ტერიტორიების დაპყრობას, პატივს სცემს ეროვნულ სუვერენიტეტს და ემხრობა მართვის პარტიციპატორულ და დემოკრატიულ სისტემებს. ორივე პარტიის წარმომადგენელი ამერიკელი პრეზიდენტები დაუღალავად და ხშირად ძალზე დაჟინებით მოითხოვენ სხვა სახელმწიფოებისგან ადამიანის უფლებათა დაცვასა და პატივისცემას. სწორედ ამ მოთხოვნას შეაქვს დიდი წვლილი ადამიანების ცხოვრების პირობების ძირფესვიან ცვლილებაში.

მაგრამ დღესდღეობით ეს „წესებზე დაფუძნებული" სისტემა დიდი გამოწვევის წინაშეა. სხვა ქვეყნების მიმართ სულ უფრო ხშირად გამოთქმული მოწოდება, „სათანადო წვლილი შეიტანონ", „21-ე საუკუნის წესები დაიცვან" ან ერთიანი სისტემის ფარგლებში მოიქცნენ, როგორც „პასუხისმგებლიანი აქტორები", ცხადყოფს, რომ არ არსებობს სისტემის საერთო დეფინიცია და არც იმის საერთო აღქმა, მაინც რას შეიძლება ეწოდოს „სათანადო წვლილი". დასავლური სამყაროს მიღმა, დღეს ამ წესებს ის სახელმწიფოები და რეგიონები აყენებენ ეჭვქვეშ, რომელთა როლიც უმნიშვნელოა მათ თავდაპირველ ჩამოყალიბებაში. ისინი არ მალავენ, რომ ამ წესების მოდიფიცირებას ესწრაფვიან. მით უმეტეს, დღეს, როდესაც უფრო ხშირად ვიმოწმებთ „საერთაშორისო თანამეგობრობას", ვიდრე ყველა სხვა ეპოქაში; და ეს თანამეგობრობა არ გვთავაზობს მკაფიო სურათს, მტკიცედ შეთანხმებულ მიზნებს, მეთოდებსა თუ საზღვრებს.

ჩვენი დრო დაჟინებით და სასოწარკვეთილი ეძებს მსოფლიო წესრიგის კონცეფციას. ქაოსი გვემუქრება და მაინც და ამავდროულად აქამდე არარსებული ურთიერთდამოკიდებულების მომსწრენი ვართ: მასობრივი განადგურების იარაღის

გავრცელება, სახელმწიფოების ჩამოშლა, გარემოს დაზიანების შედეგები, განმეორებითი გენოციდები, ახალი ტექნოლოგიების გავრცელება ხელს უწყობს კონფლიქტების ისეთ გამწვავებას, რომ შეუძლებელია მათი შედეგების განჭვრეტა, შესაბამისად, გართულებულია ამ ყოველივეს გაკონტროლება. ინფორმაციებზე წვდომისა და გავრცელების ახალი მეთოდები დღეს ისე აკავშირებს ერთმანეთთან და ისე აერთიანებს მსოფლიოს რეგიონებს, როგორც არასდროს, და ნებისმიერი მოვლენა გლობალურ განზომილებაში გადაჰყავს. ოღონდ ეს ისეთი ფორმით ხდება, რომ აღარ რჩება განსჯის დრო. პოლიტიკური ლიდერი იძულებულია, დაუყონებლივ გაამჟღავნოს თავისი რეაქცია, რაც შეიძლება მარტივად და იოლად დასამახსოვრებლად. ხომ არ ვდგავართ საბედისწერო დროის პირისპირ, სადაც მომავალს განსაზღვრავენ ის ძალები, არანაირ წესრიგს რომ აღარ დაემქვემდებარებიან?

მსოფლიო წესრიგის ვარიანტები

ჭეშმარიტად გლობალური „მსოფლიო წესრიგი“ დედამიწაზე არასოდეს არსებულა. რაც ჩვენს დროში წესრიგად მიიჩნევა, თითქმის ოთხი საუკუნის წინათ შეიქმნა დასავლეთ ევროპაში, გერმანიის რეგიონის – ვესტფალიის – სამშვიდობო კონფერენციაზე. ვესტფალიის კონფერენცია არათუ მთელ კონტინენტთა თუ ცივილიზაციათა უმეტესობის მონაწილეობის გარეშე ჩატარდა, არამედ მათ არც კი იცოდნენ მის შესახებ. კონფერენციას უძღოდა ცენტრალურ ევროპაში რელიგიური კონფლიქტებისა და პოლიტიკური გარდაქმნების საუკუნე, რომლის კულმინაციასაც წარმოადგენდა ოცდაათწლიანი

ომი (1618-1648) – ეს იყო ფართომასშტაბიანი ხანძარი, რომელმაც აღრია პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირება, სადაც დაპირისპირებული მხარეები „ტოტალურ ომს" აწარმოებდნენ მოსახლეობის წინააღმდეგ და რომლის დროსაც ცენტრალური ევროპის მოსახლეობის თითქმის ერთი მეოთხედი ომის, ავადმყოფობისა და შიმშილის გამო დაიხოცა. კონფლიქტის ძალაგამოცლილი მხარეები, ბოლოს და ბოლოს, შეთანხმდნენ მთელ რიგ საკითხებზე, რომელსაც უნდა აღეკვეთა შემდგომი სისხლისღვრა. რელიგიური ერთიანობა შეარყია პროტესტანტიზმის გადარჩენამ და კიდევ უფრო გავრცელებამ. პოლიტიკური მრავალფეროვნება უკვე არსებობდა ავტონომიური პოლიტიკური ერთეულების მარტივი ფორმით: მათ დიდხანს იბრძოლეს ერთმანეთის წინააღმდეგ, სანამ პატის სიტუაციას არ მიაღწიეს. ამგვარად, ევროპამ ჯერ კიდევ მაშინ გამოავლინა დღევანდელი მსოფლიოსთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი: არსებობს მრავალი პოლიტიკური ერთეული, რომელთაგან არცერთი არ არის ისეთი ძლიერი, რომ დაამარცხოს დანარჩენები, ისინი ნაწილობრივ ურთიერთსაწინააღმდეგო ფილოსოფიის მიმდევრები არიან, განსხვავებული მმართველობითი სისტემებით, ახლა კი ერთად ეძებენ მოქმედებისა და კონფლიქტების მოგვარების ნეიტრალურ წესებს.

ვესტფალიის ზავი განასახიერებდა რეალობაზე პრაგმატული მორგების და არა განსაკუთრებული მორალური თანხმობის მაგალითს. იგი ეყრდნობოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების სისტემას, რომელსაც გადაეწყვიტა, არ ჩარეულიყო სხვის საშინაო საქმეებში და რომელიც ცდილობდა ცალკეული სახელმწიფოს სწრაფვები ძალთა საერთო თანაფარდობით გაეკონტროლებინა. ევროპულ კონფლიქტებში ვერ განმტკიცდა ერთადერთი სიმართლის მატარებლისა და უნივერსალური ბატონობის პრეტენზია. პირიქით, ყველა სახელმწიფოს

მიენიჭა სუვერენიტეტისა და საკუთარი ტერიტორიის ატრიბუტი. თითოეული სახელმწიფო აღიარებდა მეორე სახელმწიფოს შიდა სტრუქტურებს და რელიგიურ მრწამსს როგორც რეალობას და თავს იკავებდა მათი არსებობის ეჭვქვეშ დაყენებისგან. ახლა ძალთა ბალანსი ბუნებრივად და სასურველად მიიჩნეოდა; მმართველთა მიზანსწრაფულობაც გაწონასწორდა და თეორიულად მაინც შემოისაზღვრა კონფლიქტების გავრცელების არეალი. დაყოფა და მრავალფეროვნება – ევროპის ისტორიის უნებური შედეგი – იქცა მახასიათებლად საერთაშორისო წესრიგის ახალი სისტემისა, რომელიც საკუთარი, მკაფიო ფილოსოფიური პერსპექტივით გამოირჩა. ამ სულისკვეთების გათვალისწინებით, მაშინდელმა მონდომებამ, დამთავრებულიყო ევროპის ყოვლისმომცველი ომი, თანამედროვე განწყობის კონტურები მოხაზა: აბსოლუტური მსოფლმხედველობის თეორიამ ადგილი დაუთმო პრაგმატულ და ეკუმენურ მსოფლმხედველობას, გაჩნდა, არსებული მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ამავდროულად, ერთმანეთის საქმეში ჩაურევლად, წესრიგის მიღწევის სურვილი.

მე-17 საუკუნეში ვესტფალიის ზავის მომლაპარაკებლები, რასაკვირველია, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ გლობალურ სისტემას უყრიდნენ საფუძველს. ამდენად, მათ არ უცდიათ, მეზობელი რუსეთი ჩაერთოთ მოლაპარაკებებში. რუსეთს ესეს იყო საკუთარი უბედურება გადაეტანა, ე. წ. „არეულობის ხანა" და საკუთარი შიდა წესრიგის ახლებურად განმტკიცებას ცდილობდა. ამ პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე პრინციპი, რომელიც ვესტფალიური წონასწორობის მკვეთრად საპირისპირო იყო: ერთი, აბსოლუტური მმართველი, ერთიანი ორთოდოქსული სივრცე და ყველა მიმართულებით ტერიტორიული ექსპანსიის პროგრამა. ძალაუფლების სხვა მნიშვნელოვანი ცენტრებიც მიიჩნევდნენ ვესტფალიის მშვიდობას თავიანთი

რეგიონებისთვის არარელევანტურად (თუკი საერთოდ იცოდნენ მისი არსებობის შესახებ.).

მსოფლიო წესრიგის იდეა მაშინ იმ გეოგრაფიულ სივრცეს გულისხმობდა, რომელიც თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწეებისთვის იყო ცნობილი – და ეს მიდგომა სხვა რეგიონებშიც მეორდებოდა. მთავარი მიზეზი იმ მოცემულობაში უნდა ვეძებოთ, რომ მაშინდელი ტექნოლოგიები არ იძლეოდა ერთი გლობალური სისტემის შექმნისა და განვითარების საშუალებას. რადგან არ არსებობდა არც განგრძობადი ინტერაქციის ინსტრუმენტები და არც შედარების მეთოდი რეგიონების ძალაუფლებების ხარისხის შესაფასებლად; ყველა რეგიონი საკუთარ შიდა წესრიგს მიიჩნევდა როგორც ერთადერთ შესაძლოს და სხვა ხალხებს უწოდებდა „ბარბაროსებს", რომლებიც იმართებოდნენ მათ მიერ დამყარებული წესრიგისთვის გაუგებრად და მათი მიზნებისთვის ირელევანტურად, ან აღიქმებოდნენ საფრთხედაც კი. თითოეული წესრიგი თავს მიიჩნევდა სამაგალითოდ კაცობრიობის ლეგიტიმური მოწყობისთვის და უშუალო გარემოცვაზე ძალაუფლების მოპოვებასთან ერთად, სამყაროს მოწესრიგებასაც ცდილობდა.

ევრაზიის კონტინენტის მეორე ბოლოში ჩინეთი წარმოადგენდა საკუთარი იერარქიული და თეორიულად უნივერსალური წესრიგის კონცეფციის ცენტრს. ეს იყო სისტემა, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში მუშაობდა – იგი არსებობდა მანამ, სანამ რომის იმპერია ევროპას მთლიანად დაიპყრობდა. ჩინური წესრიგის კონცეფცია ემყარებოდა არა სახელმწიფოების სუვერენული თანასწორობის იდეას, არამედ მოსაზრებას, რომ იმპერატორის გავლენა უსაზღვროა. ეს კონცეფცია არ გულისხმობდა სუვერენიტეტს ევროპული გაგებით, რადგან იმპერატორი „ცისქვეშეთში" ყველაფერზე ბატონობდა. იგი იდგა პოლიტიკური და კულტურული იერარქიის მწვერვალ-

ზე, იყო ერთადერთი, განუმეორებელი და უნივერსალური და მისი ძალაუფლების სხივები სამყაროს ცენტრიდან – საიმპერატორო ქალაქ პეკინიდან მთელ დანარჩენ კაცობრიობას ეფინებოდა. ჩინეთის გარშემო მცხოვრები კაცობრიობა ბარბაროსობის სხვადასხვა საფეხურზე მდგომად იყოფოდა იმის მიხედვით, რამდენად ფლობდნენ ჩინურ დამწერლობას და ჩინეთის კულტურულ ინსტიტუციებს (კოსმოგრაფია, რომელიც თანამედროვე პერიოდამდე შენარჩუნდა). ამგვარი თვალთახედვით, ჩინეთს მსოფლიო უპირველესად შემდეგი გზით უნდა მოეწესრიგებინა: მას სხვა საზოგადოებები უნდა განეცვიფრებინა თავისი დიდებული კულტურული მიღწევებით და ეკონომიკური სიმდიდრით და ჩაერთო ისინი ისეთ ურთიერთობებში, რომლითაც „ცისქვეშეთში ჰარმონიას" დაამყარებდა.

ევროპასა და ჩინეთს შორის გადაჭიმული ტერიტორიის დიდ ნაწილზე ბატონობდა ისლამური მსოფლიო წესრიგის განსხვავებული კონცეფცია, რომლის მიხედვით არსებობს ერთადერთი, ღმერთისგან სანქცირებული, მსოფლიოს გამაერთიანებელი და საყოველთაო მშვიდობის დამამყარებელი მბრძანებელი. მე-7 საუკუნეში ისლამმა რელიგიური აღფრთოვანების და იმპერიული ექსპანსიის უმაგალითო გავრცელების ტალღა წარმოშვა და სამ კონტინენტს მოედო. მას შემდეგ, რაც ისლამმა არაბული სამყარო გააერთიანა, რომის იმპერიის ნაშთები გადაიბარა და სპარსეთის იმპერია დაიპყრო, იგი მთელ ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, აზიის დიდ ნაწილებსა და ევროპის ერთ ნაწილშიც კი გაბატონდა. უნივერსალური წესრიგის ამ ვერსიის თანახმად, ისლამი უნდა გავრცელებულიყო „ომის მთელ სამფლობელოში", როგორც უწოდებდნენ უმეცართა მიერ დასახლებულ რეგიონებს, სანამ, ბოლოს და ბოლოს, მთელ მსოფლიოს არ აქცევდა ერთიან, წინასწარმეტყველ მუჰამედის გზავნილის გამზიარებელ

ჰარმონიულ სისტემად. იმ დროს, როდესაც ევროპა თავის მრავალსახელმწიფოიან წესრიგს ადგენდა, თურქეთის მიწაზე აღმოცენდა ოსმალეთის იმპერია, რომელმაც ისლამის პრეტენზიას, ყოფილიყო ერთადერთი ლეგიტიმური მბრძანებელი, ახალი სიცოცხლე შთაბერა და მისი ბატონობა არაბული სამყაროდან ხმელთაშუა ზღვის, ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიებზეც გავრცელდა. ისლამს გაცნობიერებული ჰქონდა ის ფაქტი, რომ ევროპაში ის-ისაა ყალიბდებოდა სახელმწიფოთაშორისი წესრიგი; მაგრამ ისლამის პერსპექტივიდან ეს უკანასკნელი მოდელს კი არ წარმოადგენდა, არამედ შემდგომი განხეთქილების წყაროს, რომელიც ოსმალეთის დასავლეთისაკენ მიმართული ექსპანსიის მიზნებისთვის შეიძლებოდა გამოყენებულიყო. ეს ცხადი ხდება სულთან მეჰმედ მეორის („დამპყრობლის") სიტყვებიდან, რომლითაც მან მიმართა იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებს, რომლებიც ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში ახორციელებდნენ მულტიპოლარულობის საწყის ფორმას: „ოცი სახელმწიფო ხართ... ერთმანეთში ვერ მორიგებულხართ... სჯობს მსოფლიოში ერთი სამყარო, ერთი რწმენა და ერთი სამეფო არსებობდეს".

ამასობაში, ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს, „ახალ მსოფლიოში" განსხვავებული მსოფლიო წესრიგის საფუძვლების შემუშავება დაიწყო. მანამ, სანამ მე-17 საუკუნის ევროპაში პოლიტიკური და რელიგიური კონფლიქტები მძვინვარებდა, პურიტანელმა ჩამოსახლებულებმა (კოლონისტებმა) გადაწყვიტეს, თავიანთი „უკაცრიელი ადგილის დაპყრობით" განეხორციელებინათ ღვთიური გეგმა და გათავისუფლებულიყვნენ ბატონობის უკვე ჩამოყალიბებული (და მათი შეხედულებით გარყვნილი) ავტორიტარული სტრუქტურებისგან. ისინი ააგებდნენ „ქალაქს მთაზე", როგორც განმარტა გუბერნატორმა ჯონ ვინთროპმა 1630 წელს, მასაჩუსეტსის დასახლებისკენ მიმავალ გემზე წარმოთქმულ ქადაგებაში; ეს დასახლება მსოფლიოს მარტივი,

სამართლიანი პრინციპებით აღაფრთოვანებდა და მას დამაჯერებელი, ნათელი მაგალითით წარუძღვებოდა წინ. მსოფლიო წესრიგის ამერიკულ წარმოდგენაში მშვიდობა და წონასწორობა ბუნებრივად წარმოიშვებოდა და დაძლევდა ძველ მტრობას, თუ სხვა ერებსაც ისევე მიენიჭებოდა პრინციპული უფლება, უშუალოდ გადაეწყვიტათ მმართველობის სისტემა, როგორც ამერიკელები იყვნენ უფლებამინიჭებულნი თავიანთი სისტემის ჩამოყალიბებაში. საგარეო პოლიტიკის ამოცანა, შესაბამისად, არა იმდენად სპეციფიკური ამერიკული ინტერესების გატარებაში მდგომარეობდა, არამედ, უფრო მეტად, საერთო პრინციპების კულტივირებაში. დროთა განმავლობაში შეერთებული შტატები უნდა ქცეულიყო ევროპაში შექმნილი წესრიგის შეუცვლელ მცველად. მაგრამ სანამ შეერთებული შტატების მთელი ძალისხმევა ამ მიზნისკენ იყო მიმართული, თავი იჩინა ამბივალენტურობამ – რადგან ამერიკული ხედვა ძალთა ბალანსის ევროპული სისტემის გათავისებას კი არ ეფუძნებოდა, არამედ მშვიდობის მიღწევას დემოკრატიული პრინციპების გავრცელების გზით.

წესრიგის ყველა ამ კონცეფციიდან ამჯერად მხოლოდ ვესტფალიის მშვიდობის პრინციპებია იმის ერთადერთი აღიარებული საფუძველი, რაც მსოფლიო წესრიგის სახით არსებობს. ვესტფალიის სისტემა მთელ მსოფლიოში გავრცელდა როგორც ჩარჩო-პირობა ეროვნულ სახელმწიფოზე დამყარებული საერთაშორისო წესრიგისა, რომელიც ბევრ განსხვავებულ ცივილიზაციასა და რეგიონს მოიცავს, რადგან ევროპის სახელმწიფოები თავიანთი ექსპანსიის დროს საერთაშორისო წესრიგის ამ ანაბეჭდს თავიანთ თავში ატარებდნენ. თუმცა, ევროპელებმა ბევრჯერ დაივიწყეს, სუვერენიტეტის კონცეფცია გადაეტანათ თავიანთ კოლონიებსა და კოლონიურ ხალხებზე. მაგრამ როდესაც ამ ხალხებმა დამოუკიდებლობა მოითხოვეს, საფუძვლად ვესტფალიის კონცეფციები მოიშვე-

ლიეს. ეროვნული დამოუკიდებლობის, სახელმწიფო სუვერენიტეტის, ნაციონალური ინტერესებისა და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები აღმოჩნდა ეფექტური არგუმენტები თვით კოლონიური ძალების წინააღმდეგ, არა მხოლოდ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, არამედ შემდგომაც, როდესაც საქმე მიდგა ახალშექმნილი სახელმწიფოების შენარჩუნებასა და დაცვაზე.

დღევანდელი, აწ უკვე გლობალური ვესტფალიური სისტემა – რასაც არაოფიციალურ ენაზე მსოფლიო თანამეგობრობას ვუწოდებთ – მიზნად ისახავს მსოფლიოს ანარქისტული ხასიათი საერთაშორისო სამართლებრივი და ორგანიზაციული სტრუქტურების ვრცელი ქსელის საშუალებით მოაქციოს კალაპოტში. მან ხელი უნდა შეუწყოს თავისუფალ ვაჭრობასა და სტაბილურ საერთაშორისო ფინანსურ სისტემას, უნდა დაამკვიდროს საერთაშორისო სადავო საკითხების გადასაჭრელად საყოველთაოდ მისაღები პრინციპები და, თუკი ომამდე მივა საქმე, საზღვრები უნდა დაუწესოს ასეთ კონფლიქტებს. სახელმწიფოების ეს სისტემა დღეს ყველა კულტურასა და რელიგიას მოიცავს. მისი ინსტიტუციები ძალიან განსხვავებულ საზოგადოებებს სთავაზობენ ინტერაქციისთვის საჭირო ნეიტრალურ ჩარჩოს, რომელიც ამ საზოგადოებების ღირებულებებთან მიმართებით მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობით გამოირჩევა.

მაგრამ ვესტფალიური პრინციპები ყოველმხრივ კითხვის ნიშნის ქვეშაა, ხანდახან თვით მსოფლიო წესრიგის სახელითაც კი. ევროპის დიდი ნაწილი ადგას სახელმწიფოების მისივე შექმნილი სისტემიდან გასვლის და ამ სისტემის კრებსითი სუვერენიტეტის კონცეფციით შეცვლის გზას. და მიუხედავად იმისა, რომ ევროპამ თავად გამოიგონა ძალთა ბალანსის კონცეფცია, ირონიულად ჟღერს, რომ შეგნებულად და თანმიმდევრულად ზღუდავს თავისი ახალი ინსტიტუციე-

ბის ძალისმიერ ელემენტს. საკუთარი სამხედრო რესურსების შემცირების გამო, ევროპას რეაგირების სუსტი საშუალებები დარჩა უნივერსალური ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

ცენტრალურ აღმოსავლეთში ჯიჰადისტები სუნიტურ-შიიტური გამყოფი ხაზის ორივე მხარეს არყევენ ბევრი საზოგადოების ფუნდამენტს. მათ სახელმწიფოების ჩამოშლა მოახერხეს, რათა განეხორციელებინათ ისლამის ფუნდამენტალურ ვერსიაზე დამყარებული მსოფლიო რევოლუციის საკუთარი ხედვა. ამ შემთხვევაში თავად სახელმწიფო დგას საშიშროების წინაშე – ისევე, როგორც სახელმწიფოზე დაყრდნობილი რეგიონული სისტემა; მას უტევს იდეოლოგია, რომელიც არალეგიტიმურობის საბაბით უარყოფს ფუნქციონალურ იძულებას, აგრეთვე, ტერორისტული მილიციები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში უკვე უფრო ძლიერები არიან, ვიდრე მთავრობის შეიარაღებული ძალები.

აღსანიშნავია, რომ აზია წარმოადგენს გარკვეული თვალსაზრისით ყველაზე წარმატებულ რეგიონს, თუკი მასშტაბად სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფციის გატარებას განვიხილავთ. თუმცა, აზიაც ნოსტალგიით იხსენებს წესრიგის ალტერნატიულ კონცეფციებს და იქაც ღვივის ისეთივე პაექრობა და ისტორიული პრეტენზიები, რამაც ასი წლის წინათ ევროპის წესრიგი დაანგრია. თითქმის ყველა აზიურ სახელმწიფოს თავი „აღმასვლის გზაზე მყოფ ერად" მიაჩნია და განსხვავებულ მოსაზრებას ხშირად ღია კონფრონტაციით პასუხობს.

შეერთებული შტატები ორ უკიდურესობას შორის მერყეობს: ერთი მხრივ, იცავს ვესტფალიურ სისტემას, მეორე მხრივ, ამსხვრევს ძალაუფლებათა წონასწორობისა და სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის ვესტფალიურ პრინციპს, რომელიც ამორალურად და დრომოჭმულად მიაჩნია. ხანდახან კი ორივე პოზიციას ერთდროულად იკავებს.

აშშ დაჟინებით მოითხოვს მშვიდობიანი მსოფლიო წესრიგის შენების საკუთარი ღირებულებების საყოველთაო ვალიდურობას და პრეტენზია აქვს ამ ღირებულებათა გლობალურ დაცვაზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც აშშ-მ სულ რაღაც ორი თაობის ხანგრძლივობის პერიოდში სამი ომიდან უკან დაიხია – ყოველი მათგანი დაიწყო იდეალისტური მოლოდინით და ფართო საჯარო მხარდაჭერით, მაგრამ ეროვნულ ტრავმად დამთავრდა – ამერიკას დიდ ძალისხმევად უჯდება თავის (ჯერ კიდევ უზარმაზარ) ძალაუფლებასა და საკუთარ პრინციპებს შორის ურთიერთობის განსაზღვრა.

ძალაუფლების ყველა მნიშვნელოვანი ცენტრი მეტ-ნაკლებად ეყრდნობა ვესტფალიური წესრიგის პრინციპებს, მაგრამ არცერთი არ აღიქვამს თავს ამ სისტემის ბუნებრივ დამცველად. ყველა მათგანი გადის გარდაქმნის მნიშვნელოვან შიდა პროცესს. შეძლებენ ასეთი განსხვავებული კულტურის, ისტორიული გამოცდილების და წესრიგის შესახებ მემკვიდრეობით მიღებული შეხედულებების რეგიონები რომელიმე საერთო სისტემის ლეგიტიმურობის დაცვას?

მსგავსი ძალისხმევის წარმატებას განაპირობებს მიდგომა, რომელიც პატივს მიაგებს არა მხოლოდ ადამიანის ბუნების მრავალფეროვნებას, არამედ თავისუფლებისადმი დაუოკებელ სწრაფვასაც. ამ გაგებით, წესრიგზე ზრუნვაა საჭირო, ხოლო მისი თავზე მოხვევა შეუძლებელია. განსაკუთრებით იმ დროში, რომელსაც ახასიათებს კომუნიკაციის სწრაფი ტემპი და რევოლუციური პოლიტიკური ცვლილებები. ნებისმიერი მსოფლიო წესრიგი, დროს რომ გაუძლოს, უნდა აღიქმებოდეს სამართლიანად და იმსახურებდეს საყოველთაო თანხმობას არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურების, არამედ მისი მოქალაქეების მხრიდანაც. სისტემა უნდა განასახიერებდეს ორ სიმართლეს: წესრიგი თავისუფლების გარეშე, გინდაც მყისიერ აღფრთოვანებას აჩენდეს, საბოლოოდ, აუცილებლად იწვევს

თავისსავე საპირისპიროს. თავისუფლება ვერ იარსებებს და ვერ შენარჩუნდება წესრიგის ჩარჩოს გარეშე, რომელმაც თავად მშვიდობა უნდა დაიცვას. წესრიგი და თავისუფლება, ეს ორი ცნება, რომლებიც ხანდახან გამოცდილების სპექტრის ორ წინააღმდეგობრივ პოლუსად მიიჩნევა, ურთიერთდამოკიდებულად უნდა განიხილებოდეს. შეძლებენ დღევანდელი ლიდერები, თავი დააღწიონ ყოველდღიური გადაუდებელი საქმეების რუტინას და იღვაწონ ამ ბალანსის მისაღწევად?

ლეგიტიმაცია და ძალაუფლება

ამ კითხვებს რომ ვუპასუხოთ, წესრიგის ცნების სამი კატეგორიაა გასათვალისწინებელი. ცნება „მსოფლიო წესრიგი" ასახავს კონცეფციას, რომელიც რომელიმე რეგიონში ან ცივილიზაციაში არსებული სამართლიანი წესებისა და ძალაუფლების განაწილების თვალსაზრისით მიიჩნევა მთელ მსოფლიოში გასავრცელებლად. „საერთაშორისო წესრიგი" გულისხმობს ამ კონცეფციების პრაქტიკულ გამოყენებას მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში, რათა გავლენა მოახდინოს ძალთა გლობალურ ბალანსზე. „რეგიონული წესრიგი" ამავე პრინციპებს ეყრდნობა, მაგრამ მისი გავლენის სფერო გეოგრაფიულად შეზღუდულია.

წესრიგის ყველა ეს სისტემა ეფუძნება ორ კომპონენტს: საყოველთაოდ აღიარებული წესების ერთობას, რომელიც განსაზღვრავს დასაშვები მოქმედების საზღვრებს და ძალთა ბალანსს, რომელიც მხარეებს აიძულებს თავშეკავებას, როცა წესები აღარ მოქმედებს, რათა ამ წესრიგის ცალკეულ წევრს არ მიეცეს უფლება ყველა სხვა დანარჩენი დაჩაგროს. კონსენსუსი არსებული წესების ლეგიტიმაციაზე არ გამორიცხავს –

არც დღეს და არც წარსულში – შეჯიბრებითობასა და დაპირისპირებას, მაგრამ შეუძლია უზრუნველყოს, შეჯიბრებითობა და დაპირისპირება მხოლოდ მაშინ განხორციელდეს, როცა საჭირო გახდება არსებული წესრიგის ახალ მოცემულობებზე მორგება და არა მისი ეჭვქვეშ დაყენება. ძალთა ბალანსი, როგორც ასეთი, ვერ უზრუნველყოფს მშვიდობას, მაგრამ თუკი გონივრულად ჩამოყალიბდება და დამკვიდრდება, შესაძლებელი გახდება ფუნდამენტური კონფლიქტებისა და მათი გავრცელების არეალის შემცირება და, თუ კონფლიქტი მაინც განვითარდა, ცალკეულ აქტორთა უპირატესობა-პრივილეგიას ნიადაგს გამოაცლის.

ვერცერთი წიგნი ვერ ამოწურავს საერთაშორისო წესრიგის ყველა ისტორიული საწყისის კვლევას ან ზედმიწევნით შესწავლას, რომლებიც მონაწილეობენ მსოფლიოს მოწყობაში. ამიტომაც ამ წიგნში იმ რეგიონებზეა გამახვილებული ყურადღება, რომელთა წესრიგის კონცეფციებმა უდიდესი გავლენა იქონიეს თანამედროვე ეპოქის განვითარებაზე.

ლეგიტიმაციასა და ძალაუფლებას შორის ბალანსი განსაკუთრებით კომპლექსურია; რაც უფრო მცირეა მისი განხორციელების გეოგრაფიული არეალი და რაც უფრო კოპერენტულია ამ არეალის კულტურული ცნობიერება, მით უფრო იოლია ქმედითი კონსენსუსის პოვნა. მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში გლობალური წესრიგის მოთხოვნა დგას. მარტივი შეკრება ერთეულებისა, რომლებსაც არც ისტორია და არც ღირებულებები არ აკავშირებთ (გარდა გარკვეული დისტანციისა) და მეტწილად, უნარშეზღუდულად განსაზღვრავენ საკუთარ თავს, ალბათ კონფლიქტებს უფრო გამოიწვევს, ვიდრე – წესრიგს.

1971 წელს პეკინში პირველად ჩასვლისას, მტრული განწყობით აღბეჭდილი ურთიერთობების ორი ათწლეულის შემდეგ, უმთავრესად კონტაქტების დამყარება მსურდა. მაშინ

აღვნიშნე, ჩინეთი ამერიკული დელეგაციისთვის „საიდუმლოებებით მოცული ქვეყანა“ არის-მეთქი. პრემიერ-მინისტრმა ზოუ ენლაიმ მიპასუხა: „თქვენ აღმოაჩენთ, რომ ჩინეთი საიდუმლოებით მოცული არ არის. თუ გაიცნობთ ამ ქვეყანას, საიდუმლოებით მოცული აღარ მოგეჩვენებათ“. შემდეგ დასძინა, რომ 900 მილიონ ჩინელს თავისი ქვეყანა სრულიად ჩვეულებრივად მიაჩნია. მსოფლიო წესრიგის ძიება ჩვენს დროში მოითხოვს, გავითვალისწინოთ იმ საზოგადოებების თვალსაზრისიც, რომელთა რეალობა განსხვავებული და საკუთარ თავში ჩაკეტილია. ყველა ხალხს ახასიათებს გარკვეული იდუმალება, რომელიც უნდა ამოიხსნას, მიუხედავად მათი განსხვავებული ისტორიული გამოცდილებისა და ღირებულებებისა, რომლებიც უნდა ჩამოყალიბდეს საერთო წესრიგად.

თავი პირველი

ევროპა: პლურალისტული საერთაშორისო წესრიგი

ევროპული წესრიგის უნიკალურობა

ცივილიზაციების უმეტესობის ისტორია იმპერიების აღზევებისა და დაცემის ისტორიაა. წესრიგი არსებობდა მათი სახელმწიფოთა ძალაუფლებო სისტემების ხარჯზე და არა სახელმწიფოთა შორის თანასწორობის საფუძველზე: ამ წესრიგის სიძლიერეს ცენტრალური ძალაუფლების სიმტკიცე განაპირობებდა, სუსტ ხელისუფალთა პირობებში კი მუდმივად საფრთხე ემუქრებოდა. იმპერიულ სისტემებში ომებს, ძირითადად, იმპერიის საზღვრებთან ან სამოქალაქო ომის სახით აწარმოებდნენ. მშვიდობას განსაზღვრავდა იმპერიული ძალაუფლების გავრცობის არეალი.

ჩინეთსა და ისლამურ სამყაროში პოლიტიკური ბრძოლების მიზანი წესრიგის ჩამოყალიბებულ ჩარჩოზე კონტროლის დამყარება იყო. დინასტიები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, მაგრამ ყოველი ახალი სახელისუფლებო ჯგუფი თავს იმკვიდრებდა ლეგიტიმური, არასრულყოფილად მოქმედი, მაგრამ ფუნქციონირების უნარის მქონე სისტემის აღდგენის

სურვილით. ევროპა ამ სახით არ განვითარებულა. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ევროპული წესრიგის განმსაზღვრელი გახდა პლურალიზმი. კერძოდ ევროპული იდეა გეოგრაფიული მდებარეობის, ქრისტიანობის ან სამეფო კარის საზოგადოების კუთვნილების მიხედვით განისაზღვრებოდა, ანდა ამას განაპირობებდა რჩეული, განათლებული და თანამედროვე საზოგადოების არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპა, როგორც ერთადერთი, ერთიანი ცივილიზაცია, იოლი წარმოსადგენი იყო, მას არასდროს ჰქონია მმართველობის ერთიანი სისტემა ან მკაფიოდ გამოხატული, საერთო ევროპული იდენტობა. ევროპაში ხშირად არა მხოლოდ ის პრინციპები იცვლებოდა, რომელსაც ეყრდნობოდნენ მმართველები, არამედ თითქმის ყველა საუკუნეში მიმართავდნენ ექსპერიმენტს პოლიტიკური ლეგიტიმაციის და საერთაშორისო წესრიგის ახალი კონცეფციის მოსასინჯად.

მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც მიმდინარეობდა ბრძოლა ბატონობისთვის; ეს პერიოდები შემდგომ ჩვენთან „არეულობის ხანად" იწოდებოდა, იქ კი სამოქალაქო ომად ან „მეომართა ეპოქად" – ეს იყო დაქუცმაცებულობის სავალალო ინტერმეცოები, რომლებიც მოგვიანებით გადაილახა. ევროპა ფართოვდებოდა თავისი ფრაგმენტულობის ხარჯზე და შეეგუა შიდა გამყოფ ხაზებს. ერთმანეთთან დაპირისპირებული დინასტიები და მოპაექრე ერები არ აღიქმებოდა „ქაოსად", რომელიც წესრიგს საჭიროებდა, პირიქით, ევროპელი სახელმწიფო მოღვაწეები ხან შეგნებულად, ხან კი გაუცნობიერებლად, ამ ყოველივეს მიიჩნევდნენ დახვეწილ, რთულ მექანიზმად, რომელიც ესწრაფვოდა გაწონასწორებას, რათა ყველა ხალხის ინტერესები, ინტეგრულობა და ავტონომია შენარჩუნებულიყო. ათასწლეულზე მეტია, თანამედროვე ევროპული სახელმწიფოებრიობის მეინსტრიმი წესრიგს განსაზღვრავს წონასწორობის კონცეფციის მიხედვით, იდენტობა

კი დაცულია უნივერსალური მმართველობის მიმართ წინააღმდეგობის გზით. ევროპელ მონარქებს ნამდვილად არ ჰქონიათ სახელისა და შარავანდედის მოხვეჭისადმი ნაკლები მისწრაფება, ვიდრე სხვა ცივილიზაციათა წარმომადგენლებს. სწორედ ეს მისწრაფება იწვევდა დამპყრობლურ ომებს; ისინი არც მრავალფეროვნების აბსტრაქტული იდეალის დამცველებად გვევლინებიან. მათ უბრალოდ საკმარისი ძალა არ გააჩნდათ, რომ ხანგრძლივად მოეხვიათ ერთმანეთისთვის თავზე საკუთარი ნება. ამდენად, პლურალიზმმა მოახერხა, დროთა განმავლობაში მიეღო მსოფლიო წესრიგის მოდელის ძირითადი თვისებები. პლურალისტური ტრადიციები უარყო თანამედროვე ევროპამ თუ, პირიქით, ევროკავშირის შიგნით მიმდინარე უთანხმოებებით უფრო განამტკიცებს მას?

რომის იმპერიას ხუთი საუკუნის განმავლობაში გააჩნდა კანონების ერთიანი სისტემა, იმპერიის საერთო თავდაცვა და ცივილიზაციის განსაკუთრებული დონე. რომის დაცემამ, რომელსაც, ჩვეულებრივ, 476 წლით ათარიღებენ, მთელი იმპერიის დაცემა გამოიწვია. ისტორიკოსების მიერ „ბნელ საუკუნეებად“ წოდებულ დროში აყვავდა დაკარგული უნივერსალურობის ნოსტალგიური მონატრება. ჰარმონიის და ერთობის ხედვა სულ უფრო მეტად ფოკუსირდა ეკლესიაზე. ამ მსოფლმხედველობის შედეგად ქრისტიანობა იყო ერთადერთი საზოგადოება, რომელსაც მართავდა ორი ურთიერთგანმვრცობი ავტორიტეტი: სამოქალაქო ხელისუფლება, „ცეზარის მემკვიდრეები“, რომლებიც წესრიგს ინარჩუნებდნენ წარმავალ სამყაროში და ეკლესია, სადაც პეტრეს მემკვიდრეები იცავდნენ სულიერი სიჯანსაღის და ხსნის უნივერსალურ და აბსოლუტურ პრინციპებს. ნეტარმა ავგუსტინემ თავისი ნაწარმოებები რომის იმპერიის ნგრევისას, ჩრდილოეთ აფრიკაში ყოფნისას შექმნა; მან გამოიტანა თეოლოგიური დასკვნა, კერძოდ, რომ პოლიტიკური ავტორიტეტის ლეგიტიმურობის

ხარისხს განსაზღვრავს ღვთისმოსაობასა და ადამიანის ხსნაში შეტანილი წვლილის ხარისხი. „ორი სისტემა არსებობს", სწერდა პაპი გელასიუს პირველი 494 წელს ბიზანტიის იმპერატორ ანასტასიუსს, „რომელიც ძირითადად მართავს მსოფლიოს: სასულიერო პირთა წმინდა ავტორიტეტი და სამეფო ძალაუფლება. მათგან სასულიერო პირნი უფრო დაწინაურებულნი არიან, რადგან ისინი პასუხისმგებელნი არიან უზენაესის წინაშე და თვით მეფეების მაგივრადაც წარსდგებიან საშინელ სამსჯავროზე". ამგვარი აღქმით, რეალური მსოფლიო წესრიგი ამქვეყნიური მოვლენა არ იყო.

მსოფლიო წესრიგის ეს მკაფიო და ყოვლისმომცველი კონცეფცია თავიდანვე შეეჯახა ერთ ანომალიას: რომის შემდგომ ევროპაში ათობით ხელისუფალი ისე ინარჩუნებდა სუვერენიტეტს, რომ მათ შორის არ არსებობდა გამოკვეთილი იერარქია. ყველა მათგანი ირწმუნებოდა ქრისტეს ერთგულებას, მაგრამ მათი რწმენა ეკლესიისადმი გაორებული იყო. ეკლესიისგან გამიჯვნის საკითხი კი მწვავე დებატებს იწვევდა. სამეფოები კი, თავის მხრივ, ცდილობდნენ დამოუკიდებელი პოლიტიკა გაეტარებინათ და სამხედრო თვალსაზრისით ხელსაყრელი პოზიციები განემტკიცებინათ. მათ ქმედებას კი საერთო აღარაფერი ჰქონდა ნეტარი ავგუსტინეს „ღმერთის სახელმწიფოსთან".

გაერთიანების მცდელობა 800 წლის შობას ხანმოკლე რეალობად იქცა, როდესაც პაპმა ლეო მესამემ ფრანკების მეფე კარლოსი რომის იმპერატორად – Imperator Romanorum – აკურთხა – მბრძანებლად იმპერიისა, რომელიც დღევანდელი საფრანგეთის და გერმანიის დიდ ნაწილს მოიცავდა. პაპმა მას უბოძა თეორიული მბრძანებლის ტიტულიც, ყოფილი რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილზე, რომელიც მაშინ ბიზანტიის ტერიტორიასაც მოიცავდა. იმპერატორმა პაპს წერილით აღუთქვა: „ჩვენი მოვალეობაა, ღვთის შეწევნით, იარაღით და-

ვიცვათ ქრისტეს წმინდა ეკლესია ურჯულოთა შემოტევისგან და გარეშე მტრის მიერ აოხრებისგან, ხოლო შიგნით კათოლიკური რწმენით განვამტკიცოთ".

მაგრამ კარლოსის იმპერიამ მოლოდინი ვერ გაამართლა, რყევა მისი კურთხევის წუთებიდანვე დაიწყო. კარლოსი, რომელსაც უპირატესად თავის სამშობლოში უწევდა სხვადასხვა დაბრკოლების გადაჭრა, არც კი ეცადა, პაპის მიერ მისთვის მოზომილ რომის ყოფილი იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილზე ებატონა. დასავლეთში მცირეოდენ წარმატებას მიაღწია ესპანეთის მავრიტანული დამპყრობლებისგან გათავისუფლების საქმეში. კარლოსის სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრეები ცდილობდნენ, ტრადიციების მოშველიებით განემტკიცებინათ პოზიციები და თავიანთ სამფლობელოებს საღვთო რომის იმპერიად მოიხსენიებდნენ. მაგრამ სამოქალაქო ომით დასუსტებული იმპერია, როგორც პოლიტიკური ერთეული, დაიშალა მისი დაარსებიდან საუკუნეზე ნაკლებ პერიოდში (თუმცა, 1806 წლამდე შენარჩუნდა ეს სახელწოდება მუდმივად ცვალებადი ტერიტორიული მდგომარეობის აღსანიშნავად).

ჩინეთს საკუთარი იმპერატორი ჰყავდა; ისლამს თავისი ხალიფები – ისლამური ტერიტორიების აღიარებული ლიდერი. ევროპას კი – საღვთო რომის იმპერატორი. მაგრამ ეს უკანასკნელი მმართველობის ბევრად უფრო სუსტ ფუნდამენტზე იდგა, ვიდრე სხვა ცივილიზაციების ხელისუფალნი. მას არ ექვემდებარებოდა საიმპერატორო ბიუროკრატია. იმპერატორის ავტორიტეტი ეყრდნობოდა მის სიძლიერეს იმ რეგიონებში, რომელთაც დინასტიური ძალაუფლებით მართავდა, ანუ მის ოჯახურ საკუთრებას წარმოადგენდა. ფორმალურად იმპერატორის პოზიცია მემკვიდრეობით არ გადაიცემოდა და მცირე, შვიდი თავადისგან შემდგარი კოლეგიის (მოგვიანებით ცხრა თავადის) არჩევანზე იყო დამოკიდებული. არჩევნებს, როგორც წესი, განაპირობებდა პოლიტიკური ტაქტიკის, რე-

ლიგიური მორჩილებისა და უზარმაზარი ფინანსური ქრთამის კომბინაცია. თეორიულად, იმპერატორი თავის ძალაუფლებას უმადლოდა პაპს, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებებისა და ლოჯისტიკურ მიზეზთა გამო, ხშირად ვერ ხერხდებოდა ამ აქტის ფორმალური განხორციელება და, ამდენად, ხანდახან წლების განმავლობაში უწევდა ქვეყნის მართვა როგორც „არჩეულ იმპერატორს" – Imperator electus. რელიგია და სახელმწიფოს მართვის ხელოვნება არასოდეს შერწყმულა ერთიან კონსტრუქციად, ამიტომაც იხუმრა მე-18 საუკუნეში ვოლტერმა, საღვთო რომის იმპერია „არც საღვთოა და არც რომაული, და მით უმეტეს არც იმპერია". შუა საუკუნეების ევროპაში საერთაშორისო წესრიგის კონცეფცია ეფუძნებოდა პაპს, იმპერატორსა და ურიცხვ ფეოდალებს შორის ცალკეული შეთანხმებების მიღწევას. ამგვარად, უნივერსალურ წესრიგს, რომელიც დაეყრდნობოდა ერთიანი მმართველობის შესაძლებლობას და პრინციპების ერთიან სისტემას, რომელიც დააკანონებდა ამ მმართველობას, ყველანაირი პრაქტიკული საფუძველი გამოეცალა.

შუა საუკუნეების მსოფლიო წესრიგი სრულყოფილი, თუმცა ხანმოკლე აღმოჩნდა, როდესაც მე-16 საუკუნეში ძალაუფლება მოიპოვა ჰაბსბურგელმა პრინცმა კარლოსმა (1500-1558). მაგრამ მისი მმართველობა გახდა ამ მმართველობის შეუქცევადი დაშლის დასაწყისი. მკაცრი მორწმუნე, ფლანდრიელი პრინცი მმართველად იყო დაბადებული; თუ არ გავითვალისწინებთ მის სიყვარულს ცხარედ შეზავებული კერძების მიმართ, სხვა სუსტი მხარე არ გააჩნდა, არც ყურადღება ეფანტებოდა რამეზე. ბავშვი იყო, როცა ნიდერლანდური გვირგვინი მიიღო მემკვიდრეობით; თექვსმეტი წლის ასაკში ავიდა ესპანეთის ტახტზე და გახდა მმართველი უზარმაზარი იმპერიისა, რომელსაც მუდამ ემატებოდა აზიუ-

რი და ამერიკული კოლონიები. ცოტა ხანში საღვთო რომის იმპერატორის არჩევნებშიც გაიმარჯვა და 1519 წელს ფორმალურად გამოცხადდა კარლოს დიდის მემკვიდრედ. ყველა ამ ტიტულის ერთ პიროვნებაში თავმოყრა ნიშნავდა, რომ ხორცი უნდა შესხმოდა შუა საუკუნეების ევროპაში ჩამოყალიბებულ ხედვას. ერთადერთი, წმინდა იმპერატორი მართავდა ტერიტორიას, რომელიც დაახლოებით მოიცავდა დღევანდელ ავსტრიას, გერმანიას, ჩრდილოეთ იტალიას, ჩეხეთს, სლოვაკეთს, უნგრეთს, აღმოსავლეთ საფრანგეთს, ბელგიას, ნიდერლანდებს, ესპანეთს და ამერიკის დიდ ნაწილს (პოლიტიკური ძალაუფლების ეს უზარმაზარი აგლომერაცია თითქმის მთლიანად მიღწეულ იქნა სტრატეგიული ქორწინებებით და გახდა საბაბი ჰაბსბურგელების ცნობილი ლოზუნგისა: "Bella gerant alii; tu felix Austria nube!" – „დაე ომი სხვებმა აწარმოონ; შენ, ბედნიერო ავსტრიავ, იქორწინე!"). ესპანელი მოგზაურები და კონკისტადორები – მაგელანი და კორტესი კარლოს მეხუთის პატრონაჟით გაემართნენ ამერიკის კონტინენტზე ძველი იმპერიების დასანგრევად და წმინდა ნაწილების და ევროპული პოლიტიკური ძალაუფლების ახალ სამყაროში ჩასატანად. კარლოსის არმიას და ფლოტს ქრისტიანობა უნდა დაეცვა თავდასხმის ახალი ტალღისგან, რომლის საშიშროებაც მოსალოდნელი იყო ოსმალური თურქებისგან, ასევე სამხრეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში მათი მიმდევრებისგან. კარლოსმა პირადად ბრძანა ტუნისში საპასუხო შეტევის დაწყება იმ ფლოტით, რომელიც დაფინანსებული იყო ახალ სამყაროში მოპოვებული ოქროთი. ყველაფერი ეს ისეთი თავბრუდამხვევი აღმოჩნდა, რომ კარლოსს შარავანდედით მოსავდნენ, როგორც „843 წელს იმპერიის დაშლის შემდეგ ყველაზე დიდ იმპერატორს", რომელსაც ხელეწიფებოდა მსოფლიოს წინამძღოლობა „იმ ერთადერთი მწყემსისკენ".

კარლოს დიდის ტრადიციისამებრ, ამ კარლოსმაც დადო ფიცი კურთხევისას, რომ იქნებოდა საღვთო რომის ეკლესიის მფარველი და დამცველი, ხალხი კი ხოტბას ასხამდა როგორც „კეისარსა“ და „იმპერატორს“. პაპმა კლემენსმა იგი დაამტკიცა, როგორც სახელმწიფო ავტორიტეტი, რომელიც ქრისტიანულ სამყაროში „მშვიდობისა და წესრიგის დამყარებაზე იზრუნებდა“.

ჩინელი ან თურქი რომ ჩასულიყო მაშინ ევროპაში, მმართველობის უაღრესად ნაცნობ სისტემას წააწყდებოდა: ეს იყო კონტინენტი, სადაც, ღმერთის ხელდასხმული, ერთადერთი დინასტია ბატონობდა. კარლოსს ჰაბსბურგის უზარმაზარ ტერიტორიულ კონგლომერატში თავისი მმართველობის განმტკიცება რომ მოეხერხებინა და მემკვიდრეობის საკითხიც მოეწესრიგებინა, ევროპა, ჩინეთის იმპერიისა და ისლამური ხალიფატის მსგავსად, გახდებოდა დომინანტური ცენტრალიზებული მმართველობის წარმონაქმნი.

მაგრამ ეს არ მომხდარა, კარლოსს ეს არც უცდია. საბოლოოდ, იმით დაკმაყოფილდა, რომ წესრიგი და წონასწორობა დაამყარა. შესაძლებელია, ჰეგემონია ქცეულიყო მის მემკვიდრეობად, მაგრამ კარლოსის მიზანს ეს არ წარმოადგენდა, რაც დაამტკიცა კიდეც, როდესაც 1525 წელს, პავიას ბრძოლაში ტყვედ აიყვანა თავისი პოლიტიკური მეტოქე, საფრანგეთის მეფე ფრანცისკ პირველი, შემდეგ კი გაათავისუფლა იგი – და ამით საფრანგეთს მისცა შესაძლებლობა, ევროპის შუაგულში გაეგრძელებინა თავისი სეპარატისტული და წინააღმდეგობრივი საგარეო პოლიტიკა. საფრანგეთის მეფემ კარლოსს ამ დიდსულოვნებაზე უპასუხა ქმედებით, რომელიც ქრისტიანული სახელმწიფოს შუა საუკუნეების კონცეფციას უპირისპირდებოდა: მან ოსმალეთის სულთანს, სულეიმან პირველს შესთავაზა სამხედრო თანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, რომ სულთანი სულ უფრო მეტად იჭრე-

ბოდა აღმოსავლეთ ევროპაში და იქიდან უტევდა ჰაბსბურგის ძალაუფლებას.

ეკლესიის უნივერსალურობა, რომლის დაცვაც კარლოსს ეწადა, მიუღწეველი აღმოჩნდა. კარლოსმა ვერ შეძლო ჩაეხშო პროტესტანტიზმის ახალი მოძღვრება, რომელიც მაინცდამაინც იმ ქვეყნებში ვრცელდებოდა, მისი ძალაუფლების მთავარ საყრდენს რომ წარმოადგენდა. შეირყა როგორც რელიგიური, ასევე პოლიტიკური ერთობა. იმ მოლოდინებისა და იმედების გამართლება, რომელიც მის სტატუსს უკავშირდებოდა, ერთი ადამიანის ძალ-ღონეს აღემატებოდა. 1548 წელს ტიციანის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული პორტრეტი, რომელიც მიუნხენის ძველ პინაკოთეკაში კიდია, წარმოაჩენს მაღალი წოდების პიროვნების შინაგანად დაძაბულ, პირქუშ სახეს, რომელსაც აღარც სულიერი ნეტარება ძალუძს და აღარც სახელმწიფოებრივი ჰეგემონიის ბერკეტი გააჩნია (მისი თვალთახედვით, ეს უკანასკნელი, მეორე რანგისაა).

კარლოსმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა დინასტიურ ტიტულზე და დაენაწევრებინა თავისი უზარმაზარი იმპერია. სწორედ ამაში ვლინდება ის პლურალიზმი, რამაც მისი სწრაფვა ერთიანობისკენ გააცამტვერა. თავის ვაჟიშვილს, ფილიპს მან უბოძა ნეაპოლისა და სიცილიის სამეფო, შემდეგ კი ესპანეთის გვირგვინი თავისი კოლონიებითურთ. 1555 წელს, ბრიუსელში გამართულ ამაღელვებელ ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას, როცა მიმოიხილა თავისი მმართველობის წლები, ხაზგასმით აღნიშნა, როგორი თავდავიწყებით ასრულებდა მოვალეობებს და იქვე ფილიპს ნიდერლანდების გენერალური შტატებიც გადასცა. იმავე წელს კარლოსმა გერმანიაში დადო ეპოქალური ხელშეკრულება, რომელსაც ეწოდება აუგსბურგის მშვიდობის ხელშეკრულება, რომლითაც საღვთო რომის იმპერიაში აღიარებულ იქნა პროტესტანტიზმი. ფეოდალებს მან უფლება მიანიჭა, თავად განესაზღვრათ თავიანთი ტე-

რიტორიების რელიგიური ორიენტაცია. მან მალე ჩამოიშორა საღვთო რომის იმპერიის იმპერატორის ტიტული და თავის ძმას, ფერდინანდს არა მხოლოდ იმპერიაზე პასუხისმგებლობა გადააბარა, არამედ აჯანყებებისა და გარე საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაც დააკისრა. კარლოსი ესპანეთის ერთ სოფელში, საყდარში განმარტოვდა და მას შემდეგ განდეგილად ცხოვრობდა. სიცოცხლის უკანასკნელი დღეები თავის მოძღვართან და იმ იტალიელ მესაათესთან გაატარა, რომლის ნამუშევრებიც ამშვენებდა საყდრის კედლებს და ვისგანაც კარლოსი ხელობის სწავლას ცდილობდა. კარლოსი 1558 წელს გარდაიცვალა; ანდერძში გამოხატავდა მწუხარებას, რომ მისი მმართველობის პერიოდში დაიმსხვრა ქრისტიანული მოძღვრების მთლიანობა და თავის შვილს მოუწოდებდა, გაორმაგებული ძალისხმევით განეხორციელებინა ინკვიზიცია.

სამმა მოვლენამ დაასრულა ერთიანობის ძველი იდეალის მსხვრევა. კარლოს მეხუთის სიცოცხლის ბოლო წლებში უკვე იწყებოდა რევოლუციური ცვლილებები, რის შედეგადაც ევროპის რეგიონული პერსპექტივა გლობალურ ხასიათს იძენდა, შუა საუკუნეების პოლიტიკური და რელიგიური წესრიგი კი იშლებოდა: ეს სამი მოვლენა იყო აღმოჩენების ეპოქის დასაწყისი, წიგნის ბეჭდვის გამოგონება და ეკლესიის სქიზმა.

სამყაროს რუკა, როგორც იგი ესმოდათ შუა საუკუნეების სწავლულ ევროპელებს, ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროს გაწელილად ხატავდა – აღმოსავლეთში მდებარე ინდოეთიდან დასავლეთში მდებარე იბერიასა და ბრიტანულ კუნძულებამდე, ხოლო ცენტრში მდებარეობდა იერუსალიმი. თუმცა, ეს არ იყო რუკა, განკუთვნილი მოგზაურთათვის, არამედ წარმოადგენდა შუასაუკუნეების მახასიათებელ სცენას, სადაც უნდა გათამაშებულიყო ადამიანის ღვთაებრივი ხსნის დრამა. ბიბლიის მიხედვით, მათ სჯეროდათ, რომ დედამიწის ექვსი მეშვიდედი ხმელეთი იყო და ერთი მეშვიდედი – წყალი.

ადამიანის ხსნის ძირითადი მახასიათებლები ისედაც გამოკვეთილად ჩანდა; გათავისუფლების ყველა მცდელობა მხოლოდ ქრისტიანულ რეგიონებში იყო შესაძლებელი. შესაბამისად, არ ღირდა ცივილიზაციის ნაცნობ საზღვრებს იქით გასვლა. „ღვთაებრივი კომედიის" პირველ ნაწილში – „ჯოჯოხეთი" – დანტე აღწერს, როგორ გასცურავს ცოდნის მაძიებელი ოდისევსი ჰერკულესის სვეტებს შორის (გიბრალტარის კლდეები და მოპირდაპირე მხარეს მდებარე ჩრდილოეთ აფრიკის მაღლობები, ხმელთაშუა ზღვის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში) და ღვთიური გეგმიდან გადახვევის გამო როგორ დაატყდება თავს სასჯელად მოვლენილი ქარიშხალი, რომელიც ჩაძირავს მის გემს და იმსხვერპლებს მთელ მის რაზმს.

ახალი დროება ინყებოდა, გაბედული საზოგადოებები ოკეანეებს იკვლევდნენ და ოკეანის მიღმა რა იყო, ისიც აინტერესებდათ; სახელს, დიდებას და სიმდიდრეს ესწრაფოდნენ. მე-15 საუკუნეში ევროპამ და ჩინეთმა თითქმის ერთდროულად გაბედეს ოკეანეზე გასვლა. იმ დროის მსოფლიოსთვის ყველაზე დიდი და ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე თანამედროვე ჩინური გემები იკვლევდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ინდოეთსა და აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროს. ადგილობრივ წარმომადგენლებს ასაჩუქრებდნენ, მათ იმპერიულ საგადასახადო სისტემაში რთავდნენ, თავადაც იღებდნენ საჩუქრებს და კულტურის იშვიათი ნიმუშებით ბრუნდებოდნენ შინ. მაგრამ დიდი ადმირალის, ჯენ ხეს სიკვდილის შემდეგ, 1433 წელს, ჩინეთის იმპერატორმა ოკეანეზე თავგადასავლებს წერტილი დაუსვა, ხოლო ფლოტი გააუქმა. მართალია, ჩინეთი კვლავინდებურად იჩემებდა საკუთარი მსოფლიო წესრიგის პრინციპების უნივერსალურობას, მაგრამ გადაწყვიტა, ისინი მხოლოდ თავის ქვეყანაში გაეტარებინა და მხოლოდ მეზობელ ხალხებზე გაევრცელებინა. ჩინეთს აღარასდროს უცდია

ზღვაზე მსგავსი ექსპედიციები; რასაკვირველია, ეს აწმყოზე აღარ ვრცელდება.

სამოცი წლის შემდეგ ევროპელებმაც აიდგეს ფეხი და უკან მოიტოვეს კონტინენტი, სადაც ძალაუფლების სუვერენული მფლობელები ერთმანეთს მუდმივად ექიშპებოდნენ. შესაბამისად, ყველა მონარქი ექსპედიციას იმ იმედით აფინანსებდა, რომ სავაჭრო და სტრატეგიულ უპირატესობას მოიპოვებდა თავის მეტოქეზე. პორტუგალიური, ჰოლანდიური და ინგლისური გემები ინდოეთამდე ჩავიდნენ; ესპანელმა და ინგლისურმა გემებმა დედამიწის დასავლეთ ნახევარსფერო შეისწავლეს. შედეგად, თანდათანობით იცვალა სახე ვაჭრობის არსებულმა მონოპოლიებმა და პოლიტიკურმა სტრუქტურებმა. ეს გახდა დასაბამი მსოფლიო პოლიტიკაზე ევროპული გავლენის თითქმის სამსაუკუნოვანი ეპოქისა. საერთაშორისო ურთიერთობები – ერთ დროს რეგიონული საქმე – გეოგრაფიული თვალსაზრისით, გლობალურ მოვლენად იქცა, რომლის მიზიდულობის ცენტრიც ევროპაში მდებარეობდა – იქ, სადაც ჩამოყალიბდა მსოფლიო წესრიგის კონცეფცია, რომლის ცხოვრებაში გატარებასაც ესწრაფვოდნენ.

მოვლენების ამგვარმა განვითარებამ გამოიწვია რევოლუციური განსჯა-კამათი პოლიტიკური სამყაროს მოწყობის შესახებ. როგორ უნდა მიდგომოდნენ იმ რეგიონების მცხოვრებთ, რომელთა არსებობაზეც მანამდე წარმოდგენაც არ გააჩნდათ? როგორ მოერგებოდნენ ისინი იმპერიისა და პაპის სამფლობელოს შუასაუკუნეობრივ კოსმოლოგიას? თეოლოგების საბჭო, რომელიც კარლოს მეხუთემ 1550-1551 წლებში ესპანეთში, ქალაქ ვალიადოლიდში შეკრიბა, მივიდა დასკვნამდე, რომ დასავლეთ ნახევარსფეროში მართლაც ცხოვრობდნენ ადამიანები, რომელთაც სული გააჩნდათ, და ამდენად, მათზეც ვრცელდებოდა რელიგიური ხსნის პროცესი. ეს თეოლოგიური დასკვნა, რასაკვირველია, ამავდროულად ემსახურებოდა მაქ-

სიმას, რომელიც გაამართლებდა დამპყრობლურ მოქმედებას და ამ ადამიანების ქრისტიანულ რჯულზე მოქცევას. ამგვარად, ევროპელებს შეეძლოთ თან გამდიდრებულიყვნენ და თანაც მშვიდი სინდისით ეცხოვრათ. ახალ ტერიტორიებზე კონტროლის მოსაპოვებლად, აწ უკვე გლობალური შეჯიბრით, შეცვალეს საერთაშორისო წესრიგი. ევროპის პერსპექტივა ფართოვდებოდა – სანამ სხვადასხვა ევროპული სახელმწიფოს მემკვიდრეობითმა კოლონიურმა მცდელობებმა მთელი გლობუსი არ მოიცვა და მსოფლიო წესრიგის კონცეფციები არ შეერწყა ევროპაში ჯერ კიდევ არსებულ ძალთა ბალანსს.

მეორე ეპოქალური მოვლენა გახლდათ მოძრავი ასოებით წიგნის ბეჭდვის გამოგონება მე-15 საუკუნის შუა ხანებში, რამაც შესაძლებელი გახადა ცოდნის მანამდე წარმოუდგენლად ფართოდ გავრცელება. შუა საუკუნეების საზოგადოების მთელი ცოდნა ადამიანის მეხსიერებაში იყო დავანებული. რელიგიურ ტექსტებს ხელით წერდნენ, ისტორია კი ეპოსით გადაიცემოდა. აღმოჩენების ეპოქაში მთავარი იყო სიახლეთა შემეცნება; წიგნის ბეჭდვა კი ცოდნის გავრცელების საშუალებას იძლეოდა. ახალი სამყაროების აღმოჩენა და კვლევა ძველი სამყაროს და მისი ჭეშმარიტების თავიდან აღმოჩენის სტიმულსაც იძლეოდა, ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ გზაზე პიროვნებას და სამყაროში მის ცენტრალურ ადგილს ენიჭებოდა. სულ უფრო მეტად ექცეოდა ყურადღების ცენტრში გონი, როგორც სამყაროს შეცნობისა და განმარტების ობიექტური ძალა, რის შედეგადაც შეირყა არსებული ინსტიტუციების პოზიციები, მანამდე ხელშეუხებელი კათოლიკური ეკლესიის ჩათვლით.

მესამე რევოლუციურ გარდატეხას საფუძველი დაუდო მარტინ ლუთერის მიერ 1517 წელს წამოწყებულმა პროტესტანტულმა რევოლუციამ – მისი 95 თეზისის მიჭედებამ ვიტენბერგის ეკლესიის კარზე. ზოგიერთი თეზისი პირდა-

პირ უსვამდა ხაზს ცალკეული ინდივიდის უშუალო კავშირს ღმერთთან. ამგვარად, ინდივიდის სინდისი და არა თავსმოხვეული ორთოდოქსულობა წარმოჩინდებოდა სულიერი სიჯანსაღის გასაღებად. ზოგიერთმა ფეოდალმა პროტესტანტობა საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად მიიღო. თავიანთ ქვეშევრდომებსაც იმავეს სთხოვდნენ და ეკლესიის სიმდიდრით ითბობდნენ ხელს. ორივე მხარე ერთმანეთს ერეტიკოსად მიიჩნევდა; აზრთა სხვადასხვაობა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გადაიზარდა, როდესაც პოლიტიკური და რელიგიური დაპირისპირება ერთმანეთს შეერია. ბარიერი, რომელიც მიჯნავდა საშინაო და საგარეო დაპირისპირებას, მაშინ მოიშალა, როდესაც ფეოდალებმა მეზობელ ქვეყნებში გაახშირეს სისხლიან რელიგიურ ბრძოლაში დაპირისპირებული დაჯგუფებების მხარდაჭერა. ამგვარად, პროტესტანტულმა რეფორმაციამ გაანადგურა მსოფლიო წესრიგის კონცეფცია, რომელიც ნარჩუნდებოდა პაპისა და იმპერიის „ორი მახვილით". ქრისტიანობა გაიყო და საკუთარ თავს დაუწყო ბრძოლა.

ოცდაათწლიანი ომი: რას ნიშნავს ღეგიტიმურობა?

ხანგრძლივი ომების საუკუნე გახდა მოწმე ეკლესიის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტანტული კრიტიკის დაწყებისა და გავრცელებისა: როგორც ჰაბსბურგის მონარქიას, ასევე პაპის ინსტიტუტს სურდა გაენადგურებინა პროტესტანტიზმი, რომელიც წყალს უყენებდა მათ ავტორიტეტს; პროტესტანტები კი თავიანთი ახალი რწმენის დაცვას ცდილობდნენ.

ეპოქაში, რომელსაც მოგვიანებით ოცდაათწლიანი ომის (1618-1648) ხანა ეწოდა, ამ არეულობამ კულმინაციას მიაღწია. რადგან დღის წესრიგში იდგა იმპერატორის არჩევნები და ბოჰემიის კათოლიკე მეფე, ჰაბსბურგელი ფერდინანდი ყველაზე შესაფერ კანდიდატად მიიჩნეოდა, ბოჰემიის პროტესტანტულმა არისტოკრატიამ „რეჟიმის ცვლილება" გადაწყვიტა. არისტოკრატიამ ბოჰემიის სამეფო გვირგვინი და მასთან ერთად, საარჩევნო საბჭოში გადამწყვეტი ხმა ერთ გერმანელ პროტესტანტ თავადს შესთავაზა. მისი არჩევით საღვთო რომის იმპერია აღარ იქნებოდა კათოლიკური ინსტიტუცია. სამეფო ჯარი ბოჰემიის აჯანყების ჩასახშობად გამოვიდა, შემდეგ კი, ისარგებლეს შემთხვევით და პროტესტანტებსაც დაერივნენ. ამგვარად გამოიწვიეს ომი, რომელმაც გაავერანა ცენტრალური ევროპა (პროტესტანტული რეგიონები ძირითადად გერმანიის ჩრდილოეთში იყო, მაშინ ნაკლებად მნიშვნელოვანი პრუსიის ჩათვლით; გერმანიის სამხრეთი და ავსტრია წარმოადგენდა კათოლიკურ არეალს).

თეორიულად, იმპერატორის მხარეს მყოფი კათოლიკე ფეოდალები ვალდებულნი იყვნენ, გაერთიანებულიყვნენ და წინ აღდგომოდნენ ახალ ერეტიკოსობას, მაგრამ როდესაც აღმოჩდნენ სულიერ ერთიანობას და სტრატეგიულ უპირატესობას შორის არჩევანის წინაშე, ამ უკანასკნელს მიანიჭეს უპირატესობა; მათ შორის იყო საფრანგეთიც.

მასშტაბური გარდაქმნების ეპოქაში ქვეყანა, რომელიც ახერხებს, თავის საზღვრებში შეინარჩუნოს საკუთარი ძალაუფლების სტრუქტურები, უპირატეს პოზიციაშია და შეუძლია მეზობელ ქვეყნებში არსებული ქაოსი საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს. უაღრესად განათლებული და ამავე დროს, გაიძვერა ფრანგი მინისტრების ჯგუფმა ვითარებას ალღო აუღო და მკვეთრ ქმედებას შეუდგა. საფრანგეთის სამეფომ ახალი სახელმწიფო მმართველობის

შემოღებით, ბიძგი მისცა პროცესს. ფეოდალურ სისტემებში სახელმწიფო ავტორიტეტი პერსონალური ცნება იყო; მმართველობა გამოხატავდა ძალაუფლებით მოსილის ნებას, თუმცა, მას ტრადიციაც განსაზღვრავდა. შედეგად კი იზღუდებოდა ნაციონალური და ინტერნაციონალური აქტივობების რესურსი. არმან ჟან დუ პლე, კარდინალი დე რიშელიე 1624-1642 წლებში იყო საფრანგეთის მთავარი მინისტრი. და იგი გახლდათ პირველი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც გადალახა ეს შეზღუდვები.

რიშელიე, სასულიერო პირი, რომელიც არაჩვეულებრივად ერკვეოდა სამეფო კარის ინტრიგებში, ბრწყინვალედ ეწერებოდა რელიგიური არეულობის და ეტაბლირებული სტრუქტურების მსხვრევის ეპოქაში. დაბალი არისტოკრატიული ოჯახის სამ ვაჟს შორის ყველაზე უმცროსმა, რიშელიემ თავიდან სამხედრო კარიერა აირჩია, მაგრამ შემდეგ თეოლოგიაში გადაინაცვლა, რადგან, მოულოდნელად, მისი ძმა – ლუსონის ეპისკოპოსი – ოჯახის მემკვიდრეობითი თანამდებობიდან გადადგა. ლეგენდების მიხედვით, რიშელიეს ისე სწრაფად დაუსრულებია თეოლოგიური განათლების მიღება, რომ კლერიკალური თანამდებობისთვის აუცილებელი ასაკიც არ შესრულებოდა. ამ დაბრკოლების გადასალახავად იგი რომში ჩავიდა და თავისი ასაკის შესახებ პაპი მოატყუა. ეპისკოპოსად დაინიშნა თუ არა, მაშინვე გადაეშვა საფრანგეთის სამეფო კარის პოლიტიკაში, ჯერ დედოფალი-დედა მარია მედიჩის უშუალო მრჩეველი გახდა, შემდეგ კი დედოფლის პოლიტიკური მოწინააღმდეგის, მისი ჯერ კიდევ არასრულწოვანი ვაჟის, ლუი მეცამეტისა. ორივე ამჟღავნებდა რიშელიეს მიმართ უნდობლობას, მაგრამ საფრანგეთის პროტესტანტ ჰუგენოტებთან შიდა კონფლიქტის გამო, ისეთი წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ, რომ უარს ვერ ამბობდნენ მის გენიალურ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ნიჭზე. ახალგაზრდა კლერიკოსი ისეთი

მოქნილი აღმოჩნდა მაღალ პირთა შორის დაპირისპირებების მოგვარებაში, რომ მას რომში კარდინალად კურთხევის რეკომენდაცია გაუწიეს. კარდინალის წოდებამ რიშელიე მეფის სახელმწიფო საბჭოს ყველაზე მაღალი რანგის წევრად აქცია და თითქმის ორი ათწლეული შეინარჩუნა ეს თანამდებობა. „წითელი უწმინდესობა" (ასე უწოდებდნენ კარდინალის წითელი მოსასხამის გამო) გახდა საფრანგეთის მთავარი მინისტრი; იგი განასახიერებდა ძალაუფლებას სამეფო ტახტს მიღმა, გახლდათ შემქმნელი სახელმწიფოს მართვის ხელოვნების და საგარეო პოლიტიკის ახალი გენიალური კონცეფციისა, რომელიც ეყრდნობოდა ძალთა ბალანსს.

სანამ რიშელიე თავისი ქვეყნის პოლიტიკას უძღვებოდა, მაკიაველიმ გამოაქვეყნა შრომა სახელმწიფოს მართვის ხელოვნების შესახებ. უცნობია, იცნობდა თუ არა რიშელიე მაკიაველის შრომებს ძალაუფლების პოლიტიკაზე. ასეა თუ ისე, იგი, ძირითადად, იქ ასახული პრინციპების მიხედვით მოქმედებდა. რიშელიემ რადიკალურად ახლებურად ჩამოაყალიბა საერთაშორისო წესრიგი. მისი კონცეფცია ეყრდნობოდა მოსაზრებას, რომ სახელმწიფო არის აბსტრაქტული და პერმანენტული ერთობა, არსებობის საკუთარი უფლებით. სახელმწიფოს მოთხოვნილებებს არ უნდა განსაზღვრავდეს მმართველის პიროვნება, ოჯახური ინტერესები ან რელიგიის უნივერსალური პრეტენზიები. პირიქით, აღნუსხული პრინციპების შედეგად ჩამოყალიბებული ნაციონალური ინტერესი უნდა იყოს ამოსავალი წერტილი, ანუ ის, რასაც მოგვიანებით უწოდეს raison d'etat. ამიტომ სახელმწიფო უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ურთიერთობების ერთიანი საფუძველი.

რიშელიე ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოს იყენებდა დიდი პოლიტიკის ინსტრუმენტად. მან პარიზში სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციით შექმნა ე. წ. ინტენდანტის თანამდებობა; ეს იყო პროფესიონალი მმართველი-ადმინის-

ტრატორი, რომელიც წვდებოდა სამეფოს ყველა ნაწილს, ეფექტურად კრეფდა გადასახადებს და არყევდა ადგილობრივი ძველი არისტოკრატიის ტრადიციულ უფლებებს. სამეფო ძალაუფლებას კვლავაც განასახიერებდა მეფე, როგორც სუვერენული სახელმწიფოს სიმბოლო და ეროვნული ინტერესების გამოხატულება.

რიშელიე არეულობას ცენტრალურ ევროპაში არ უყურებდა როგორც ამოცანას, იარაღით დაეცვა ეკლესია, არამედ უყურებდა როგორც შანსს, დაეთრგუნა ჰაბსბურგების იმპერატორული მბრძანებლობა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის მეფე მე-14 საუკუნიდან მოყოლებული ატარებდა ტიტულს Rex Catholicissimus ან „ყველაზე კათოლიკე მეფის" სახელს, საფრანგეთმა, თავიდან უჩუმრად, შემდეგ კი ღიად დაიწყო სვლა პროტესტანტული კოალიციის (შვედეთი, პრუსია, ჩრდილოეთ გერმანული სამეფოები) მხარდასაჭერად. ამ გადაწყვეტილების უკან იდგა ცივი ეროვნული ანგარიშიანობა.

რიშელიეს გადაწყვეტილებას აღშფოთებული პროტესტით დაუპირისპირდნენ – ოპონენტთა აზრით, მას, როგორც კარდინალს, კათოლიკური ეკლესიის უნივერსალურობა და მარადიულობა უნდა დაეცვა, უნდა გაეერთიანებინა კოალიცია ჩრდილოეთ და ცენტრალური ევროპის აჯანყებული პროტესტანტი თავადების წინააღმდეგ. რიშელიემ პრეტენზიების პასუხად განმარტა, რომ მას, როგორც სახელმწიფო მინისტრს სუსტი და მოწყვლადი პოლიტიკური ერთეულისა, სხვა მოვალეობები ეკისრებოდა – მისი უშუალო მიზანი, შესაძლოა, რელიგიური ყოფილიყო, მაგრამ როგორც სახელმწიფო მოღვაწე, პასუხისმგებელი იყო პოლიტიკურ ერთეულზე; სახელმწიფოს არ გააჩნდა მარადიული სული, რომლის ხსნაც მას ევალებოდა. „ადამიანი უკვდავია და სიკვდილის მერე ჰპოვებს ხსნას, სახელმწიფო კი წარმავალია და ან ახლავე უნდა იპოვოს ხსნა, ან ვერასდროს მიიღებს მას".

ცენტრალური ევროპის დაქუცმაცება რიშელიეს პოლიტიკურ და სამხედრო აუცილებლობად მიაჩნდა. საფრანგეთის ძირითად საშიშროებას წარმოადგენდა სტრატეგიული და არა მეტაფიზიკური ან რელიგიური მოვლენა: გაერთიანებული ცენტრალური ევროპა შეძლებდა დანარჩენ კონტინენტზე ბატონობას, ამიტომაც, საფრანგეთისთვის ხელსაყრელად იქნა მიჩნეული, ცენტრალური ევროპის კონსოლიდაცია არ განხორციელებულიყო. „თუ (პროტესტანტული) პარტია მთლიანად განადგურდება, საფრანგეთს მოუწევს ავსტრიის სამეფო კარის მზარდი ძალაუფლების ატანა". საფრანგეთმა ცენტრალური ევროპის პატარა ქვეყნების დახმარებით და ავსტრიის დასუსტებით მიაღწია თავის სტრატეგიულ მიზანს.

რიშელიეს გეგმებმა ბევრ ცვლილებას გაუძლო. თითქმის ორ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში – 1624 წელს, რიშელიეს აღზევებიდან, 1871 წელს, ბისმარკის მიერ გერმანიის რაიხის გამოცხადებამდე – საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპს წარმოადგენდა დანაწევრებული ცენტრალური ევროპის შენარჩუნება (დაახლოებით, თანამედროვე გერმანიის, ავსტრიის და ჩრდილოეთ იტალიის ტერიტორიებისა). სანამ ეს კონცეფცია წარმოადგენდა ევროპული წესრიგის ძირითად მახასიათებელს, საფრანგეთი კონტინენტის მთავარ ძალად გვევლინებოდა. მხოლოდ ამ კონცეფციის ჩამოშლამ დაასრულა საფრანგეთის დომინანტური როლი.

რიშელიეს, როგორც პოლიტიკოსის კარიერიდან სამი დასკვნა გამომდინარეობს: წარმატებული საგარეო პოლიტიკისთვის აუცილებელია გრძელვადიანი, სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც ემყარება რელევანტური ფაქტორების დანვრილებით ანალიზს. მეორე: სახელმწიფო მოღვაწემ ეს ხედვა უნდა გაფილტროს მრავალმნიშვნელოვანი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო გავლენების ფართო სპექტრის ანალიზის საშუალებით და მიანიჭოს მას თანმიმდევრული,

მიზნობრივი მიმართულება. მან უნდა იცოდეს, სად მიიყვანს ეს სტრატეგია და რატომ. და, მესამე: უნდა იმოქმედოს შესაძლებლის უკიდურეს ზღვარზე, გადოს ხიდი საკუთარი საზოგადოების გამოცდილებასა და მოლოდინებს შორის. მაგრამ რადგან კარგად ცნობილი ძველის მუდმივი გამეორება სტაგნაციას იწვევს, ამისათვის განსაკუთრებული გამბედაობაა საჭირო.

ვესტფალიის ზავი

ვესტფალიის ზავი დღესაც მიიჩნევა გარდამტეხ მოვლენად, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაავრცელა საერთაშორისო წესრიგის ახალი კონცეფცია. თუმცა, მისი შემქმნელები მოლაპარაკებების დროს პროტოკოლურ და სტატუსის საკითხებს უფრო აქცევდნენ ყურადღებას.

სანამ საღვთო რომის იმპერიის და მისი ორივე მოწინააღმდეგის – საფრანგეთისა და შვედეთის წარმომადგენლები ბოლოს და ბოლოს შეთანხმდებოდნენ სამშვიდობო კონფერენციის მოწვევაზე, კონფლიქტი უკვე 23 წელს ითვლიდა. კიდევ ორი წელი მიიწურა ომის პირობებში, სანამ დელეგაციები მართლაც შეხვდნენ ერთმანეთს. ამ ორ მოვლენას შორის დრო კი ორივე მხარემ საკუთარი ალიანსების გასამყარებლად და შიდა მომხრეების შემოსაკრებად გამოიყენა.

სხვა დიდი შეთანხმებებისგან განსხვავებით, როგორიცაა ვენის 1814-1815 წწ. კონგრესის საბოლოო აქტი ან 1919 წელს დადებული ვერსალის ხელშეკრულება, ვესტფალიის ზავი ერთი კონფერენციის შედეგი არ ყოფილა. მას ფორმაც განსხვავებული ჰქონდა, ეს არ იყო თავყრილობა სახელმწიფო მოღვაწეებისა, რომელთაც მსოფლიო წესრიგის ამაღლებულ სა-

კითხზე უნდა ემსჯელათ. სამშვიდობო ხელშეკრულება ასახავდა ესპანეთიდან შვედეთამდე მძვინვარე ომის მონაწილეთა მრავალფეროვნებას; იგი შედგა ვესტფალიის ორ ქალაქში ჩატარებული ცალკეული შეხვედრების მთელი სერიის შედეგად. კათოლიკური ძალები და მათი საღვთო რომის იმპერიის ნევრი ქვეყნებიდან წარგზავნილი 178 დელეგატი შეიკრიბა კათოლიკურ ქალაქ მიუნსტერში. პროტესტანტული ძალები კი მიუნსტერიდან 30 მილით დაშორებულ ქალაქ ოსნაბრიუკში, სადაც ლუთერანელებთან ერთად კათოლიკებიც ცხოვრობდნენ. 235 ოფიციალური წარგზავნილი და მათი თანმხლებნი იმ ოთახებით დაკმაყოფილდნენ, რომელთა შოვნაც ამ ორ პატარა ქალაქში მოახერხეს. ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ ქალაქებს ოდესმე ასეთი დიდი მოვლენის მასპინძლობა მოუწევდა და იქ ყველა ევროპული ძალის კონგრესი ჩატარდებოდა. მაგალითად, შვეიცარიის დესპანი დაბინავდა „ოთახში, რომელიც შალის ძაფის სართავი სახელოსნოს თავზე მდებარეობდა და ძეხვისა და თევზის ქონის სუნად ყარდა“, ბავარიის 29 კაციანმა დელეგაციამ კი მხოლოდ 18 საწოლი იშოვა. რადგან არ არსებობდა არც ოფიციალური თავმჯდომარე და არც პლენარული სხდომები, თათბირებს უცებ გეგმავდნენ ხოლმე და ორ ქალაქს შორის მდებარე ნეიტრალურ ზონაში მიდი-მოდიოდნენ პოზიციების შესაჯერებლად; ხანდახან კი არაფორმალურად ხვდებოდნენ სადღაც შუაში. რამდენიმე დიდმა ძალამ მუდმივი წარმომადგენლობა მოიწყო ორივე ქალაქში. ევროპის ზოგ ნაწილში ისევ მიმდინარეობდა ბრძოლა, რომელთაც სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის ზიანი არ მიუყენებიათ, თუმცა, სამხედრო გამარჯვება ან დამარცხება მოლაპარაკებათა მიმდინარეობაზე მაინც ახდენდა გავლენას.

წარმომადგენელთა უმეტესობა ძალიან პრაგმატული, სტრატეგიულ ინტერესებზე დამყარებული ინსტრუქციებით ჩავიდა მოლაპარაკებებზე. თითქმის ერთი და იმავე მაღალ-

ფარდოვანი ფრაზებით აღწერდნენ, „როგორ უნდა განმტკიცდეს მშვიდობა ქრისტიანთათვის". მაგრამ იმდენი სისხლისღვრის მერე შეუძლებელი იყო ამ მიზნის მხოლოდ დოქტრინული ან პოლიტიკური შეთანხმებით მიღწევა. ამასობაში ისედაც გაცხადდა, რომ მშვიდობა მხოლოდ იმ შეთხვევაში დაისადგურებდა, თუკი დაძლეული იქნებოდა არსებული ქიშპობა.

ვესტფალიის ზავი, რომელიც ამ ჩახლართული დებატებიდან აღმოცენდა, ალბათ ევროპის ისტორიის ყველაზე ხშირად დამოწმებული დიპლომატიური დოკუმენტია, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ერთი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავდეს ყველა დებულებას. და დელეგატებიც არ შეკრებილან ერთ, საბოლოო, პლენარულ სხდომაზე მის მისაღებად. სინამდვილეში, სამშვიდობო შეთანხმება არის ცალკეულ, ერთმანეთის გამავრცობელ შეთანხმებათა ჯამი, რომელთაც მხარეებმა ხელი მოაწერეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქალაქებში. 1648 წლის იანვარში დადებული მიუნსტერის სამშვიდობო ხელშეკრულებით ესპანეთი აღიარებს ნიდერლანდების რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და ამთავრებს ნიდერლანდების ოთხმოცწლიან გამათავისუფლებელ ომს, რომელიც ამასობაში შეერწყა ოცდაათწლიან ომს. 1648 წლის ოქტომბერში სხვადასხვა დაჯგუფებამ ხელი მოაწერა მიუნსტერისა და ოსნაბრიუკის ხელშეკრულებებს. ეს ხელშეკრულებები ნაწილობრივ სარკისებურად ირეკლავს დებულებებს და მათში თანაბარი ფორმულირებით ჩაიწერა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

ორივე მთავარ მულტილატერალურ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებმა განაცხადეს განზრახვა: „დამყარდეს საერთო ქრისტიანული და ხანგრძლივი მშვიდობა და ჭეშმარიტი, გულწრფელი მეგობრობა..." რომელიც მოემსახურება „ღმერთის დიდებას და ქრისტიანობის უსაფრთხოებას". ოპერატიუ-

ლი დებულებები არსებითად არ განსხვავდება იმ დროის სხვა დოკუმენტებისგან. მაგრამ მექანიზმები, რომლითაც მიღწეულ უნდა იქნას შეთანხმებული ღონისძიებები, უპრეცედენტოა. ომმა უნივერსალობის და კონფესიური სოლიდარობის ყველა პრეტენზია მოსპო – იგი დაიწყო როგორც კათოლიკების ბრძოლა პროტესტანტების წინააღმდეგ, მაგრამ საღვთო რომის იმპერიის წინააღმდეგ ომში საფრანგეთის ჩაბმის შედეგად, იქცა მუდმივად ცვალებადი და კონფლიქტური ალიანსების შეურიგებელ ბრძოლად. ჩვენი დროის ახლო აღმოსავლეთის ფართომასშტაბიანი კონფლიქტის მსგავსად, მაშინაც იმოწმებდნენ კონფესიურ ორიენტაციას, რათა საბრძოლო სოლიდარობა და მოტივაცია აემაღლებინათ; შემდეგ კი მალევე ივიწყებდნენ მათ ერთმანეთზე შეჯახებული გეოპოლიტიკური ინტერესების ჭიდილში ან მსხვერპლად სწირავდნენ გადაჭარბებულ პიროვნულ პატივმოყვარეობას. ამ ხანგრძლივი ომის განმავლობაში, რომელიღაც მომენტში ყოველმა მხარემ უღალატა თავის „ბუნებრივ" მოკავშირეებს, და არავინ აჰყოლია ილუზიას, რომ ხელშეკრულებები, გარდა მათი საკუთარი ინტერესების და პრესტიჟის ამაღლებისა, კიდევ სხვა რამეს ემსახურებოდა.

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს: ამ ცინიზმმა, შერწყმულმა საყოველთაო დაუძლურებასთან, შესაძლებელი გახადა პრაქტიკული ინსტრუმენტები შემუშავებულიყო ამ კონკრეტული ომის დასამთავრებლად და შექმნილიყო ახალი მსოფლიო წესრიგის ზოგადი კონცეფცია. რადგან ერთმანეთს ათობით ომგამოვლილი მხარე შეხვდა, რათა შემოემტკიცებინათ დიდი ბრძოლით მოპოვებული ნადავლი, იერარქიული ქვეშევრდომობის ძველი ფორმები შეუმჩნევლად შეცვალეს. სამაგიეროდ, აღიარეს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის მტკიცე თანასწორობა, მათი ძალაუფლების თუ შიდა წესრიგის მიუხედავად. ახალ შექმნილ ძალებს, როგორიც იყო შვედეთი და ნიდერლანდების რესპუბლიკა, ისეთივე პროტოკო-

ლური მოპყრობა შესთავაზეს, როგორც ეტაბლირებულ დიდ ძალებს – საფრანგეთსა და ავსტრიას. ყველა მეფეს მიმართავდნენ ტიტულით – „თქვენო უდიდებულესობავ“ და ყველა ელჩს ტიტულით – „თქვენო აღმატებულებავ“. ახლებური კონცეფცია იქამდეც კი მივიდა, რომ აბსოლუტური თანასწორობის მოწადინე დელეგაციები აბსურდულ წესებს იგონებდნენ – მაგალითად, რომ საკონფერენციო დარბაზებში შესულიყვნენ მხოლოდ მათთვის განკუთვნილი კარით (ამისათვის ბევრი ახალი კარი გამოჭრეს კედელში), რათა ერთდროულად მიეღწიათ თავიანთ ადგილებამდე და არავის დასჭირვებოდა უხერხული ლოდინი, სანამ სხვა დელეგაციებიც დასხდებოდნენ დარბაზში.


ვესტფალიის ზავი იქცა გარდამტეხ მომენტად ერების ისტორიაში, რადგან მან დაამკვიდრა მარტივი და ფართო მნიშვნელობის ელემენტები. იმპერიის, დინასტიის ან რელიგიური მრწამსის სანაცვლოდ, სახელმწიფოს მიენიჭა ევროპული წესრიგის ფუნდამენტის სტატუსი. დამკვიდრდა სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფცია. აღიარეს ხელშეკრულების ყველა მხარის უფლება, თავად, გარედან ჩაურევლად განსაზღვროს თავისი შიდა მოწყობა და რელიგიური ორიენტაცია. ახლებური დებულებები უზრუნველყოფდა რელიგიურ უმცირესობათა უფლებას, მშვიდობის პირობებში, სხვა რჯულზე მოქცევის მცდელობის გარეშე ეცხოვრათ თავიანთი მრწამსის მიხედვით. მყისიერი მოთხოვნების გარდა, გამოიკვეთა „საერთაშორისო ურთიერთობების“ სისტემის კონტურები, ერთობლივი ქმედებით აეცილებინათ ახალი ტოტალური ომი კონტინენტზე. განმტკიცდა დიპლომატიური ურთიერთობები წესრიგისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამ უკანასკნელის შემადგენელი ნაწილი იყო მუდმივი წარმომადგენლობების მოწყობა სხვა სახელმწიფოების დედაქალაქებში (მანამდე მხოლოდ ვენეციელები ახორციელებდნენ ასეთ ღონისძიებას). ხელშეკრულების

მხარეები მომავალში გეგმავდნენ ვესტფალიური მოდელის მიხედვით კონფერენციების და კონსულტაციების ჩატარებას, რაც უნდა ქცეულიყო უთანხმოების მოგვარების ფორუმად, სანამ კონფლიქტები ომში გადაიზრდებოდა. ხალხთაშორისი სამართალი, რომელიც ომის დროს შეიმუშავეს სწავლულმა მრჩევლებმა, მაგ.: ჰუგო დე გროოტმა (გროციუსმა), მიიღეს შეთანხმებული პრინციპების განსავრცობად, რომლის მიზანი იყო სახელმწიფოთა შორის ჰარმონიის დამკვიდრება.

სისტემის გენიალურობა ეფუძნებოდა იმ ფაქტორს, რომ მისი დებულებები პროცედურული ხასიათისა იყო და არა შინაარსობრივი – სწორედ ეს გახდა მისი მთელ მსოფლიოში გავრცელების საფუძველი. თუკი სახელმწიფო მზად იყო ეღიარებინა ეს ფუნდამენტური მოთხოვნები, იგი აღიარებული იქნებოდა ხალხთაშორისი სამართლის საწყის სუბიექტად, შეძლებდა ეროვნული კულტურის, პოლიტიკის, რელიგიისა და შიდა სტრუქტურების შენარჩუნებას და საერთაშორისო სისტემა დაიცავდა მას გარეშე ძალის ჩარევისგან. ამის საწინააღმდეგოდ, იმპერიული ან რელიგიური ერთობის იდეალი გულისხმობდა ევროპის ან სხვა დაწინაურებული რეგიონების უპირატესობას ისტორიულ წესრიგში, როცა თეორიულად ძალაუფლების მხოლოდ ერთი ცენტრი შეიძლებოდა ყოფილიყო სრულყოფილად ლეგიტიმური.

ვესტფალიური კონცეფცია მრავალფეროვნებას მიიჩნევდა უმთავრესად და ჩართული ჰყავდა ყველა აღიარებული საზოგადოება წესრიგის ძიების ერთობლივ საქმეში. მე-20 საუკუნის შუა ხანებში ეს საერთაშორისო სისტემა ყველა კონტინენტზე მოქმედებდა; იგი დღესაც არსებული საერთაშორისო წესრიგის საყრდენია.

ვესტფალიის ზავს არ შეუქმნია ალიანსების განსაკუთრებული სტრუქტურები და არც მუდმივი პოლიტიკური სტრუქტურა ევროპაში. უნივერსალური ეკლესიის დასასრულთან


ევროპა ვესტფალიის ზავის შემდეგ, 1648 წ.
N
შვედეთი და მისი ტერიტორიები
დანია-ნორვეგია
ბალტიის ზღვა
0 მილი 300
0 კილომეტრი 300
შოტლანდია
ირლანდია
ჩრდილოეთის ზღვა
რუსეთი
აღმოსავლეთ პრუსია
ბრემენი
პრუსია
ინგლისი
ესპანეთის ნიდერლანდები
ჰოჰენცოლერნების ტერიტორიები (პრუსია)
პ ო ლ ო ნ ე თ ი
ვესტფალია
ბრანდენბურგი
ატლანტის ოკეანე
ჰაბსბურგების ტერიტორიები (ავსტრია)
გერმანია
საღვთო რომის იმპერია
ბოჰემია
საფრანგეთი
უნგრეთი
შვეიცარია
ავსტრია
მილანი
შავი ზღვა
ვენეციის რესპუბლიკა
საგოა-პიდმონტის სამეფოები
ტოსკანა
პაპის ოლქები
ოსმალეთის იმპერია
პორტუგალია
ჰაბსბურგების ესპანური ტერიტორიები
ნეაპოლი
ხმელთაშუა ზღვა
ოსმალეთის იმპერია
პირობითი ნიშნები
წმინდა რომის იმპერიის საზღვარი
დიდი სახელმწიფოების საზღვრები
სახელმწიფო საზღვრები

ერთად, რომელიც ლეგიტიმურობის ულტიმატურ წყაროს წარმოადგენდა და საღვთო რომის იმპერატორის დასუსტებასთან ერთად, ძალთა ბალანსი ევროპის წესრიგის კონცეფციად იქცა – ეს იყო ბალანსი, რომელიც გულისხმობდა იდეოლოგიურ ნეიტრალურობას და სიახლეებზე მორგების უნარს. ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე ლორდი პალმერსტონი მე-19 საუკუნეში ყოველივე ამის ფუნდამენტურ პრინციპს შემდეგნაირად აღწერდა: „ჩვენ არ გვყავს მუდმივი მოკავშირენი, ისევე, როგორც არ გვყავს მუდმივი მტრები. მუდმივი და მარადიული ჩვენი ინტერესებია და ვალდებულნი ვართ ეს ინტერესები დავიცვათ". როდესაც მას მოუწოდეს, ეს ინტერესები ოფიციალური „საგარეო პოლიტიკის" თვალსაზრისით უფრო მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა, ბრიტანული ძალაუფლების ინტერესების აღიარებულმა დამცველმა განაცხადა: „როდესაც მეკითხებიან... რას ეწოდება პოლიტიკა, ერთადერთი პასუხი არის, რომ ჩვენ ნებისმიერ ვითარებაში გვსურს გავაკეთოთ ის, რაც საუკეთესო გვგონია და ვითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს" (რასაკვირველია, ეს გასაოცრად მარტივი პრინციპი ინგლისში იმიტომაც მოქმედებს, რომ მის მმართველ ელიტას ზოგადად დაანათლეს გუმანი იმისა, თუ რა არის მათი ქვეყნის მარადიული ინტერესი).

ამჯერად, ვესტფალიის კონცეფციებს ხშირად აკნინებენ როგორც ძალაუფლების ცინიკური მანიპულაციების სისტემას, რომლისთვისაც უცხოა მორალური ასპექტები. მაგრამ ვესტფალიის ზავში ჩადებული სტრუქტურა უპირველესი მცდელობაა, შექმნას საერთაშორისო წესრიგი შეთანხმებული წესებისა და საზღვრების მიხედვით, რომელიც ეყრდნობა რამდენიმე და არა მხოლოდ ერთი ქვეყნის დომინანტობას. კონცეფციები, როგორიცაა „სახელმწიფო ინტერესები" (raison d'état) ან „ნაციონალური ინტერესები" პირველად ახსენეს, ოღონდ არა როგორც ძალაუფლების მოპოვების განზრახვა,

არამედ მისი საპირისპირო – ძალაუფლების გონივრული და შეზღუდული გამოყენება. უნივერსალური მორალური პრეტენზიების დროშის ქვეშ თაობების მანძილზე იბრძოდნენ ევროპაში სხვადასხვა ჯარები; წინასწარმეტყველებმა და დამპყრობლებმა თავიანთი პირადი, დინასტიური, იმპერიული და რელიგიური ვნებების გამო ტოტალური ომი გააჩაღეს. ახლა კი სახელმწიფო ინტერესების თეორიულად ლოგიკურ და წინასწარ გამოთვლილ ურთიერთობებს უნდა დაეძლია ქაოსი, რომელსაც კონტინენტის ყველა კუთხე მოეცვა. ლოკალური სადავო საკითხების გამო ატეხილ ლოკალურ ომებს უნდა დაესრულებინა უნივერსალიზმების დაპირისპირების ეპოქა, რომელმაც ხალხის გაძევება, რჯულის იძულებითი შეცვლა, ტოტალური ომი და ზოგი მოსახლეობის მთლიანი ამოძირკვა გამოიწვია.

რელიგიური ომების შედეგებთან შედარებით, ძალთა ბალანსი, მისი მრავალმნიშვნელობის მიუხედავად, წინ გადადგმულ ნაბიჯად აღიქმებოდა. მაგრამ როგორ უნდა დამკვიდრებულიყო ძალთა ბალანსი? თეორიულად იგი რეალობებს ემყარებოდა; შესაბამისად, ყველა მონაწილეს ერთნაირად უნდა აღექვა. მაგრამ საზოგადოების მიერ მოვლენის აღქმაზე მისი შინაგანი სტრუქტურა, მისი კულტურა და ისტორია ახდენს გავლენას – და ყოვლისმომცველი რეალობა, რომ ძალაუფლების ელემენტები, რაც არ უნდა ობიექტური იყოს, მუდმივად ცვალებადია. ამიტომ ძალთა ბალანსი დროდადრო გადასახედია. იგი იწვევს ომებს, რომელთა მასშტაბსაც თავადვე ზღუდავს.

ვესტფალიური სისტემის მოქმედება

ვესტფალიის ხელშეკრულებამ პაპის ინსტიტუტის ფუნქციები საეკლესიო დონეზე დაიყვანა და დაამკვიდრა სუვერენული თანასწორობის დოქტრინა. რომელი პოლიტიკური თეორია მოახერხებდა, აეხსნა სეკულარული პოლიტიკური წესრიგის ნარმოშობა და გაემართლებინა მისი ფუნქციები? ამგვარი თეორია შექმნა თომას ჰობსმა „ლევიათანის" სახით – ნაშრომი, რომელიც 1651 წელს, ვესტფალიის მშვიდობიდან სამი წლის თავზე გამოქვეყნდა. ჰობსმა წარმოიდგინა წარსულის „ბუნებრივი მდგომარეობა", რომელშიც, ავტორიტეტის არარსებობის გამო, მოხდა „ომი – ყველა ყველას წინააღმდეგ". ამ გაუსაძლისი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ადამიანებმა თავიანთი უფლებები სუვერენულ ძალებს გადაულოცეს; სამაგიეროდ კი, ყველამ, ვინც სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით ცხოვრობდა, სუვერენისგან მიიღო უსაფრთხოების გარანტია. შეიქმნა სუვერენის სახელმწიფო ძალაუფლების მონოპოლია, რომელიც ერთადერთი შესაძლებლობა იყო, რომელიც ადამიანს გადაალახინებდა ძალადობრივი სიკვდილის და ომის მუდმივ შიშს.

საზოგადოებრივი შეთანხმების გავლენის სფერო, რომელიც ჰობსმა თავისი ანალიზით შექმნა, არ სცდება სახელმწიფო საზღვრებს, რადგან არ არსებობს სუპრანაციონალური სუვერენი, რომელიც დაამყარებდა წესრიგს. ამიტომ:

> ორ სუვერენს შორის მოვალეობებზე მხოლოდ იმას მივუთითებ, რომ მათ განსაზღვრავს კანონი, რომელსაც საზოგადოდ უწოდებენ საყოველთაო სამართალს. აქ ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ეს სამართალი და ბუნების კანონი ერთი და იგივეა. ყველა სუვერენს აქვს უფლება, ისევე უზრუნველყოს თავისი ხალხის უსაფრთხოება,

> როგორც ყოველ ადამიანს აქვს უფლება, უზრუნველყოს თავისი სხეულის უსაფრთხოება.

საერთაშორისო არენა კი ბუნებრივ მდგომარეობაში რჩებოდა და, ამდენად, ანარქიული იყო, რადგან არ არსებობდა მსოფლიო სუვერენი, რომელიც უზრუნველყოფდა მსოფლიოს უსაფრთხოებას და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ასეთი სუვერენის დამკვიდრება. ამიტომ, თითოეულმა სახელმწიფომ ყველაფერზე მაღლა უნდა დააყენოს თავისი ეროვნული ინტერესი, რადგან მსოფლიოში ძალაუფლება წარმოადგენს უმაღლეს ფაქტორს. კარდინალი რიშელიე ამ მოსაზრებას უთუოდ სიამოვნებით დაეთანხმებოდა.

ვესტფალიის მშვიდობის პრინციპების გატარების საწყის ეტაპზე მართლაც აშკარაა, რომ მკვიდრდება ჰობსის მიერ ასახული მსოფლიო. როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო ძალთა ახალი ბალანსი? უპირველესად უნდა განვასხვავოთ ძალთა ბალანსი, როგორც ფაქტი და ძალთა ბალანსი, როგორც სისტემა. ყველა საერთაშორისო წესრიგმა, რომელიც ამ სახელს იმსახურებს, ადრე თუ გვიან უნდა მიაღწიოს წონასწორობის მდგომარეობას; სხვანაირად, იგი მუდმივი ომის სიტუაციაში აღმოჩნდება. რადგან შუა საუკუნეებში უთვალავი სამთავრო არსებობდა, ხშირად მართლაც მყარდებოდა გარკვეული სახის ფაქტიური ძალთა ბალანსი. მაგრამ მხოლოდ ვესტფალიის ზავის შემდეგ გაჩნდა ძალთა ბალანსი, როგორც სისტემა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი აღიქმება საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნად; მისი უგულვებელყოფა გამოიწვევს კოალიციის შექმნას წონაწორობის დასაცავად.

მე-18 საუკუნის დასაწყისში დიდი ბრიტანეთის ძლიერ საზღვაო ძალად აღზევებამ შესაძლებელი გახადა ძალთა ბალანსი ფაქტების სისტემად ქცეულიყო. ზღვაზე ბატონობამ ბრიტანეთს შეაძლებინა, თავად განესაზღვრა კონტინენტის

საქმეებში ჩარევის დრო და გარემოება, თანაც ძალთა ბალანსის დასამყარებლად შეესრულებინა შუამავლის როლი, მეტიც, იგი გახდა გარანტი ევროპაში ძალთა ბალანსის არსებობისა. სანამ ინგლისი თავის სტრატეგიულ მოთხოვნებს სწორად აფასებდა, ახერხებდა, კონტინენტზე სუსტი მხარე ძლიერთაგან დაეცვა; არ დაეშვა, ევროპაში ერთ სახელმწიფოს ჩაეგდო ხელში ჰეგემონია და შესაბამისად, განეხორციელებინა კონტინენტის რესურსების მობილიზება, რაც საფრთხეს შეუქმნიდა ზღვებზე ბრიტანეთის მბრძანებლობას. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ინგლისი მართლაც წარმოადგენდა დამბალანსებელ ძალას. ის სხვადასხვა, ცვალებად კოალიციასთან ერთად ერთვებოდა ევროპულ ომებში – მაგრამ არა იმიტომ, რომ თავისი სპეციფიკური და წმინდა ეროვნული ინტერესები ამოძრავებდა, არამედ მისი ეროვნული ინტერესი ძალთა ბალანსის შენარჩუნება იყო. ამ პრინციპთაგან ბევრი ემთხვევა ამერიკის დღევანდელ როლს, რაც შემდგომი მსჯელობის საგანი გახდება.

რეალურად, ვესტფალიის ზავის შემდეგ ევროპაში ძალთა ორგვარი ბალანსი იყო: ყოვლისმომცველი – რომელსაც დარაჯობდა ინგლისი და ინარჩუნებდა საერთო სტაბილურობას. და ცენტრალურ ევროპული ბალანსი, რომლის ძირითადი განმსაზღვრელი იყო საფრანგეთის მიზანი, არ დაეშვა გაერთიანებული გერმანიის, როგორც კონტინენტის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს, არსებობა. ორასი წლის განმავლობაში შეძლო ამ ორმა ფაქტორმა აღეკვეთა ევროპის იმგვარი თვითდასახიჩრება, რაც ხდებოდა ოცდაათწლიანი ომის დროს. ომების თავიდან აცილება, ამ ფაქტორებმა, მართალია, ვერ მოახერხა, თუმცა შეზღუდა მათი მოქმედების არეალი, რადგან მიზანი დაპყრობითი ომი კი არ იყო, არამედ წონასწორობის შენარჩუნება.

ძალთა ბალანსი სულ ცოტა, ორგვარად შეიძლება აღმოჩნდეს გამოწვევის წინაშე: პირველი, როდესაც დიდი ქვეყა-

ნა ისე ძლიერდება, რომ ჩნდება მისი ჰეგემონიის საშიშროება. მეორე ვარიანტი კი არის, როდესაც აქამდე მეორეხარისხოვან ქვეყანას უჩნდება ამბიცია, გახდეს მნიშვნელოვანი ძალა; შედეგად იგი იწვევს სხვა ძალთა შორის რყევას, სანამ ხელახლა არ გაწონასწორდება ვითარება ან ფართომასშტაბიანი არეულობა არ მოხდება. მე-18 საუკუნეში ვესტფალიურ სისტემას ორივე გამოცდის ჩაბარებამ მოუწია: ჯერ ჩაახშო საფრანგეთის მეფის, ლუი მეთოთხმეტის მცდელობა ჰეგემონიის მოპოვებისა, მოგვიანებით კი სისტემა მოარგო პრუსიის მეფის, ფრიდრიხ დიდის დაჟინებულ მცდელობას, მიეღწია სხვა სახელმწიფოებთან თანაბარი სტატუსისთვის.

ლუი მეთოთხმეტემ 1661 წელს საფრანგეთის გვირგვინზე სრული ძალაუფლება ჩაიბარა და მართვის რიშელიესეული კონცეფცია მანამდე არნახულ დონეზე აიყვანა. წარსულში საფრანგეთის მეფის ძალაუფლება ფეოდალურ არისტოკრატიას ეყრდნობოდა. არისტოკრატიას, თავის მხრივ, ჰქონდა საკუთარი ავტონომიური, მემკვიდრეობით მიღებული ძალაუფლების პრეტენზია. ლუი კი ამასობაში ქვეყანას მართავდა სამეფო ბიუროკრატიაზე დაყრდნობით, რომელიც მთლიანად მას ემორჩილებოდა. მან არისტოკრატია ჩამოაქვეითა და არისტოკრატის რანში მიანიჭა ბიუროკრატებს. ამის შემდეგ მხოლოდ იმას ჰქონდა ფასი, ვინ როგორ ემსახურებოდა მეფეს და არა მემკვიდრეობით მიღებულ წოდებას. ფინანსთა ბრწყინვალე მინისტრმა ჟან-ბატისტ კოლბერმა, ფართლეულის პროვინციელი ვაჭრის შვილმა, მიიღო დავალება, შეექმნა ერთიანი საგადასახადო მმართველობა, რათა მოეპოვებინა საჭირო სახსრები მუდმივი სამხედრო ოპერაციებისთვის. სენ-სიმონი, წარმოშობით პერცოგი და ლიტერატორი, მწარედ შენიშნავდა თავის მემუარებში საზოგადოების ცვლილების შესახებ:

> მან (ლუიმ) ძალიან კარგად უწყოდა, რომ კეთილშობილი წარმოშობის პირს რისხვას თუ დაატეხდა, დაჩაგრავდა, მაგრამ ვერ გაანადგურებდა ბოლომდე ვერც მას და ვერც მის შთამომავლობას; სამაგიეროდ, რომელიმე სახელმწიფო მდივანს ან მინისტრს თუ გაუწყრებოდა, მასაც და მისიანებსაც მიაბრუნებდა იმ არარაობაში, საიდანაც ამოეყვანა. თანაც, კვლავ დაწინაურებაში ვეღარც მოხვეჭილი სიმდიდრე დაეხმარებოდათ და ვერც სხვა რამ. ამიტომაც სიამოვნებდა მეფეს თავისი მინისტრებისთვის უფრო მეტი ავტორიტეტის მინიჭება, ვიდრე კეთილშობილი ქვეშევრდომებისთვის, თვით სისხლით ნათესავებისთვისაც კი.

1680 წელს ლუიმ თავად მიინიჭა სახელი „დიდი", როგორც სიმბოლო ყოვლისმომცველი მმართველისა და ასე განავრცო მანამდე მინიჭებული ეპითეტი „მეფე მზე". 1682 წელს ჩრდილო ამერიკულ ტერიტორიებს საფრანგეთის „ლუიზიანა" ეწოდა. ლუიმ იმავე წელს სამეფო კარი ვერსალში გადაიტანა, სადაც დადგა უმცირეს დეტალებამდე მოფიქრებული „თეატრალური მონარქია", რომლის მთავარი მიზანი მისი უდიდებულესობის აღმატებულობის დემონსტრირება იყო.

საფრანგეთი წარმოადგენდა ერთიან სახელმწიფოს, რომელსაც არ აქუცმაცებდა შიდა ომები; მისი ჯარი, ეფექტური მმართველობითი სტრუქტურითა და სამხედრო აპარატით, აღემატებოდა ყველა მეზობელი ქვეყნის ჯარს. ამდენად, შეეძლო ევროპაში ჰეგემონიისთვის ებრძოლა, მაგრამ ლუი ზედმეტ ძალისხმევას ახმარდა საგარეო კონფლიქტებს; ქვეყანა თითქმის მუდმივ ომში იმყოფებოდა. ბოლოს კი მოხდა ის, რაც მოხდა ევროპული ჰეგემონიის მოპოვების ყველა შემდგომი მცდელობისას: ყველა ახალმა დაპყრობამ კიდევ ერთი ხალხი გამოაღვიძა და ჩამოაყალიბა საწინააღმდეგო კოალიცია. თავდაპირველად ლუის გენერლები ყველგან იმარჯვებდ-

ნენ ბრძოლაში, მაგრამ მომდევნო წლების განმავლობაში სულ უფრო მეტი დამარცხება იწვნიეს; განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-18 საუკუნის პირველ ათწლეულში ჯონ ჩერჩილის, ინგლისის ჯარების მთავარსარდლის მიერ გაწეული წინააღმდეგობა; საფრანგეთზე გამარჯვებების გამო მას მარლბოროს ჰერცოგის ტიტული მიენიჭა; იგი გახლდათ წინაპარი უინსტონ ჩერჩილის, მეოცე საუკუნის დიდი პრემიერ-მინისტრისა. ამდენად, ლუის ჯარებმა ვერ შეძლეს ვესტფალიური სისტემის უკვე საკმაოდ განმტკიცებული ძალის გატეხვა.

რიშელიეს სიკვდილიდან ათწლეულების შემდეგ, საფრანგეთის მაგალითმა დაადასტურა წარმატებული საგარეო პოლიტიკის მისაღწევად ცენტრალიზებული მმართველობის მქონე კონსოლიდირებული სახელმწიფოს უპირატესობა. ამ მაგალითმა მალე გაიჩინა მიმბაძველები, რომლებიც გაერთიანდნენ საფრანგეთის ძალაუფლების საპირწონედ. ინგლისმა, ჰოლანდიამ და ავსტრიამ შექმნეს დიდი ალიანსი, რომელსაც შემდეგ შეუერთდნენ ესპანეთი, პრუსია, დანია და რამდენიმე გერმანული სამთავრო. ლუის წინააღმდეგ შექმნილი ოპოზიცია არც იდეოლოგიურ და არც რელიგიურ პრინციპებს არ ეყრდნობოდა: ევროპის დიდ ნაწილში ისევ ფრანგული იყო დიპლომატიისა და მაღალი კულტურის ენა, ხოლო უფსკრული კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის ისევ ალიანსის წევრების ბანაკის შუაგულში რჩებოდა. უფრო მეტიც, საწინააღმდეგო ქმედებას თავად ვესტფალიური სისტემა გულისხმობდა და შესაბამისად, ევროპული წესრიგის პლურალიზმის შენარჩუნებას საფრთხეს უქმნიდა. მისი თავისებურება (წესრიგი) განისაზღვრებოდა იმ სახელწოდებით, თანამედროვე დამკვირვებლებმა რომ მიანიჭეს: – დიდი მოდერაცია. ლუი მეთოთხმეტე საფრანგეთის სადიდებლად ესწრაფვოდა ჰეგემონიას, მაგრამ იგი დაამარცხა ევროპამ, რომელიც თავის წესრიგს მრავალფეროვნებაში ხედავდა.

მე-18 საუკუნის პირველი ნახევარი საფრანგეთის ძალაუფლების დათრგუნვის წადილით გამოირჩევა; მეორე ნახევარი კი პრუსიის სწრაფვით, ადგილი დაემკვიდრებინა იმ დროის ძლიერ სახელმწიფოთა შორის. სანამ ლუი ომებს აწარმოებდა, რომ ძალაუფლება ჰეგემონიად ექცია, ფრიდრიხ მეორე ველზე გაიჭრა, რათა თავისი სამეფოსთვის, მიუხედავად შედარებით სუსტი საწყისი მდგომარეობისა, ძლიერი სახელმწიფოს სტატუსი მოეპოვებინა. პრუსია, რომელიც გადაჭიმულიყო ჩრდილო გერმანიის მკაცრპავიანი ზეგანიდან მდინარე ვისლამდე, დისციპლინას და ეფექტურ საჯარო მმართველობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამით აპირებდა სხვა, უკეთ აღჭურვილი ქვეყნების უპირატესობა გაებათილებინა თავის ქვეყანასთან შედარებით, რომელიც მოსახლეობის სიმცირით გამოირჩეოდა და რესურსებით ღარიბი იყო. ქვეყანა იყოფოდა ორ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ ნაწილად და სახიფათოდ იყო შეჭრილი ავსტრიის, შვედეთის, რუსეთის და პოლონეთის გავლენის სფეროებში. ყოველივე ამის მიუხედავად, მის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა დისციპლინა, რომლითაც განკარგავდა ნაკლულ რესურსებს; მის სიმდიდრეს კი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ეფექტური მმართველობა და კარგად გაწვრთნილი ჯარი წარმოადგენდა.

ფრიდრიხ მეორე 1740 წელს ავიდა ტახტზე და მაშინ ნამდვილად არ ხასიათდებოდა იმ ძლევამოსილებით, ისტორიამ მოგვიანებით რომ მიანიჭა. ტახტის მემკვიდრის პასუხისმგებლობა იმდენად თრგუნავდა, რომ თავის მეგობარ ჰერმან ფონ კატესთან ერთად ინგლისში გაპარვა გადაწყვიტა. ორივენი შეიპყრეს; მეფემ კატეს ფრიდრიხის თანდასწრებით მოჰკვეთა თავი და საკუთარი ვაჟი სამხედრო ტრიბუნალს გადასცა, რომლის თავმჯდომარეც თვითონ გახლდათ. მან ვაჟი 178 კითხვით გამოსცადა, მაგრამ ფრიდრიხმა ისე მოხერხებულად უპასუხა, რომ ისევ უბოძა ტახტის მემკვიდრის წოდება.

უმკაცრეს გამოცდას ფრიდრიხი, ეტყობა, მხოლოდ იმის წყალობით გადაურჩა, რომ მასაც მამასავით ჰქონდა გათავისებული პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობა და სიძულვილი საკუთარი გარემოცვის მიმართ. ფრიდრიხი მეფობისას დარწმუნებული იყო თავის ავტორიტეტულ აბსოლუტურობაში, მაგრამ მიაჩნდა, რომ მის პოლიტიკურ ქმედებას სახელმწიფოს ინტერესები – Reason d´état – უდგენდა მკაცრ საზღვრებს – ეს იყო მოსაზრება, რომელიც ერთი საუკუნით ადრე ჩამოაყალიბა რიშელიემ. „მმართველები თავიანთი რესურსების მონები არიან. სახელმწიფოს კეთილდღეობა მათთვის კანონია, კანონი კი უცვლელია". მამაცი და კოსმოპოლიტი ფრიდრიხი (ფრიდრიხი ფრანგულად წერდა და ლაპარაკობდა და ბრძოლის ველზეც ფრანგულად თხზავდა სენტიმენტალურ ლექსებს; თავის ერთ-ერთ ლირიკულ მცდელობას მან ქვესათაურად უწოდა "Pas trop mal pour la veille d`une grande bataille") იყენებდა მმართველობის ფორმას, რომელსაც „განმანათლებლური დესპოტიზმი" შეიძლება ეწოდოს; ეს ფორმა ეფექტურობით იყო ლეგიტიმირებული და არა იდეოლოგიით და სრულად განასახიერებდა განმანათლებლობის ახალ დროებას.

ფრიდრიხი დარწმუნებული იყო, რომ პრუსია ნანატრ სტატუსს ვერ მოიპოვებდა, თუ არ ექნებოდა ერთიანი სახელმწიფო ტერიტორია; ეს კი ტერიტორიულ ექსპანსიას ნიშნავდა. სხვა პოლიტიკური ან მორალური დასაბუთება მას საჭიროდ არ მიაჩნდა. „ჩვენი ჯარების აღმატებულობა, მათი სისწრაფე, აშკარა უპირატესობას გვანიჭებს ჩვენს მეზობლებთან". ყოველივე ფრიდრიხს ჰყოფნიდა იმის გასამართლებლად, რომ 1740 წელს მდიდარ და ტრადიციულად ავსტრიულ პროვინციას, სილეზიას მისდგომოდა. ამ საქმეს გეოპოლიტიკურ საკითხად განიხილავდა და არა სამართლებრივ ან მორალურ საკითხად, ამიტომ მოურიგდა საფრანგეთს (რომელიც, თავის მხრივ, პრუსიას ავსტრიის საპირწონედ მიიჩნევდა) და საბოლოოდ

შემოიმტკიცა სილეზია 1745 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებით, რამაც პრუსიის ტერიტორია და მოსახლეობა თითქმის გააორმაგა.

ფრიდრიხმა თავისი ქმედებებით ომი დააბრუნა ევროპულ სისტემაში, სადაც მშვიდობა სუფევდა 1713 წლის უტრეხტის ხელშეკრულების შემდეგ, რომელმაც წერტილი დაუსვა ლუი მეთოთხმეტის ჰეგემონურ მისწრაფებებს. საფრთხემ, რომელიც ძალთა დამკვიდრებულ ბალანსს დაემუქრა, ვესტფალიური სისტემა აამუშავა. ფასი, რომელიც პრუსიამ გადაიხადა ევროპული წესრიგის ახალი წევრობისთვის, იყო შვიდწლიანი, ქვეყნის დამანგრეველი ომი. ალიანსები უკუღმა შემოტრიალდა: ფრიდრიხის წინანდელი მოკავშირეები ახლა მისი არმიის განადგურებას ცდილობდნენ. მათ მოწინააღმდეგეებს კი პრუსიის დისციპლინირებული საბრძოლო ძალის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება სურდათ. პირველად შევიდა ევროპის ძალთა თანაფარდობის კონფლიქტში შორეული, იდუმალებით მოცული რუსეთი. სულ მალე რუსეთის ჯარი იდგა ბერლინის მისადგომებთან, თუმცა, რუსეთის დედოფლის, ეკატერინეს მოულოდნელმა სიკვდილმა ფრიდრიხი თითქმის გარდაუვალ დამარცხებას გადაარჩინა. ახალმა მეფემ, ფრიდრიხის მხურვალე თაყვანისმცემელმა, თავისი ჯარები უკან გაიწვია (ეს იყო ე. წ. „ბრანდენბურგის სახლის საოცრება". ჰიტლერს 1945 წელს ალყაშემორტყმულ ბერლინში იმედი ჰქონდა, რომ მსგავსი რამ განმეორდებოდა და როდესაც იოზეფ გებელსმა რუზველტის სიკვდილი ამცნო, ეგონა, რომ იმედი გაუმართლდა).

საღვთო რომის იმპერიისგან ფასადის მეტი აღარაფერი დარჩენილიყო, მაგრამ არც სხვა ევროპულ ძალას გამოუთქვამს უნივერსალური ავტორიტეტის პრეტენზია. თითქმის ყველა მმართველს სჯეროდა, რომ ღმერთის ხელდასმით მართავდა ქვეყანას – და ამ განაცხადს არცერთი სხვა დიდი ძალა

არ აპროტესტებდა – თანხმდებოდნენ, რომ ღმერთმა თანაბარი უფლებები უბოძა სხვა მონარქებსაც. ამიტომ ომები ვიწრო ტერიტორიულ მიზნებს ისახავდა და არა არსებული მონარქებისა და ინსტიტუტების ჩამოგდებას და მათთვის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ახალი სისტემის თავსმოხვევას. მმართველებს ტრადიცია არ აძლევდა თავიანთი ქვეშევრდომების სამხედრო სამსახურში განვევის საშუალებას და უზღუდავდა გადასახადების თვითნებურ გაზრდას. ამ ომებს ვერაფრით შეადარებდი ოცდაათწლიანი ომის საშინელებას და ვერც იმ გავლენას, რომელიც ორი საუკუნის შემდეგ მოახდინა ტექნოლოგიამ და იდეოლოგიამ მოსახლეობაზე. მე-18 საუკუნეში ძალთა ბალანსი თეატრალურ სანახაობას ჰგავდა; „სააშკარაოზე გამოჰქონდათ ცხოვრება და ღირებულებები, გარშემორტყმული დიდებულებით, ბრწყინვალებით, გალანტურობით, რასაც თან ახლდა თავდაჯერების საოცარი დემონსტრირება". ძალაუფლების განხორციელებას ზღუდავდა იმის შეცნობა, რომ სისტემა ვერ შეეგუებოდა ჰეგემონიურ მისწრაფებებს.

ყველაზე სტაბილური საერთაშორისო წესრიგების უპირატესობას ყოველთვის განსაზღვრავდა საერთო აღქმა და საერთო შეხედულებები. მე-18 საუკუნის სახელმწიფო მოღვაწეები არისტოკრატიას წარმოადგენდნენ; მათ მიერ ისეთი ხელშეუვალი ცნებების ინტერპრეტაცია, როგორიცაა ღირსება და მოვალეობა, პრაქტიკულად იდენტური იყო. ისინი წარმოადგენდნენ ელიტურ საზოგადოებას, რომელიც ერთსა და იმავე (ფრანგულ) ენაზე ლაპარაკობდა, ერთსა და იმავე სალონებში დადიოდა და ერთმანეთის დედაქალაქებშიც რომანტიკულ ურთიერთობებს ეძებდა. ბუნებრივია, ეროვნული ინტერესები მათ განსხვავებული ჰქონდათ, მაგრამ სამყაროში, სადაც შეიძლებოდა უცხო ეროვნების არისტოკრატი სხვა სახელმწიფოს მონარქის საგარეო საქმეთა მინისტრის სამსახურში

ჩამდგარიყო (1820 წლამდე რუსეთის ყველა საგარეო საქმეთა მინისტრი უცხოელი იყო), ან რომელიმე ტერიტორიის ეროვნული კუთვნილება ქორწინებით ან მემკვიდრეობით შეცვლილიყო, ღრმად გაედგა ფესვი რწმენას, რომ ყველანი საერთო მიზანს ემსახურებოდნენ. ძალთა შეფასება მე-18 საუკუნეში ლეგიტიმურობის საერთო ცნობიერებას და ქცევის საერთაშორისო წესების უსიტყვო აღიარებას ეყრდნობოდა.

ეს კონსენსუსი მხოლოდ ეტიკეტის საკითხს არ წარმოადგენდა. მასში აისახებოდა საერთო ევროპული პერსპექტივის მორალური სახეც. არასოდეს ყოფილა ევროპა უფრო ერთიანი და უშუალო, ვიდრე იმ ხანად, რომელსაც მოგვიანებით განმანათლებლობის ეპოქა უწოდეს. მეცნიერების და ფილოსოფიის ახალი, ტრიუმფალური აღმოჩენების შედეგები სულ უფრო მეტად ცვლიდა და ამსხვრევდა ევროპის ტრადიციასა და რელიგიაზე დაფუძნებულ შეხედულებებს. სწრაფმა პროგრესმა მეცნიერების მრავალი სფერო მოიცვა – ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია, ისტორია, არქეოლოგია, კარტოგრაფია, რაციონალურობამ გაამყარა „განმანათლებლობის" ახალი სული და გამოავლინა, რომ ბუნების ყველა ფარული კანონის და მექანიზმის განჭვრეტა მხოლოდ დროის საკითხია. „მსოფლიოს ნამდვილი სისტემა განჭვრეტილი და განვითარებულია, მან მიაღწია სრულყოფილებას", წერდა ბრწყინვალე ფრანგი უნივერსალური სწავლული ჟან ლერონ დ'ალამბერი 1759 წელს და ასე აღწერდა ეპოქის სულს:

> დედამიწიდან სატურნამდე, ცათა ისტორიიდან მწერების აღწერამდე მკვეთრად იცვალა სახე ბუნებისმეტყველებამ. და მასთან ერთად ყველა სხვა მეცნიერებამაც შეიძინა ახალი ფორმა. (...) მაგრამ ფილოსოფოსობის ახალი მეთოდის აღმოჩენასა და დანერგვაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ენთუზიაზმი, რომელიც თან ახლავს

> ყველა დიდ აღმოჩენასა თუ ახალი იდეების ხორცშესხმას. ყველა ამ მიზეზმა შეუწყო ხელი გონის აფეთქებასა და ცხოველმყოფელ დუღილს. ასეთმა მრავალმხრივმა ქმედითუნარიანობამ კი ყველაფერი შეისრუტა, რაც წინ დახვდა და დაემსგავსა მდინარეს, რომელსაც ძალუძს გაარღვიოს მის წინ აღმართული ჯებირები.

„დუღილის პროცესი“ ეყრდნობოდა ახალ ანალიტიკურ აზროვნებასა და ყველა წინაპირობის მკაცრ გადახედვას. საყოველთაო გამოცდილებისა და ცოდნის კვლევა ზედმიწევნით აისახა 28 ტომიან ენციკლოპედიაში, რომელიც დ'ალამბერმა, სხვა სწავლულებთან ერთად გამოსცა 1751-1772 წლებში. ენციკლოპედია ასახავდა რეალურ, მისტიფიკაციისგან გათავისუფლებულ სამყაროს, სადაც ადამიანი იყო ცენტრალური აქტორი და მკვლევარი. ენციკლოპედიის ერთ-ერთი გამომცემელი დენი დიდრო წერდა, რომ „სწავლა და მოშურნეობა უნდა გაერთიანებულიყო კაცობრიობის უპირველესი ინტერესის სასიკეთოდ“. მისი თქმით, გონიერება სიყალბეს დაუპირისპირდებოდა „სოლიდური პრინციპებით, რომელიც იქნებოდა ჭეშმარიტების საფუძველი. მხოლოდ ასე შევძლებთ ტყუილების მთელი ნაგებობა ჩამოვშალოთ, ნანგრევები ქარს გავატანოთ და კაცობრიობას სწორი მიმართულება დავუსახოთ“.

შეუძლებელი იყო, ახლებურ აზროვნებასა და ანალიზს არ შეეცვალა მმართველობისა და პოლიტიკური ლეგიტიმურობის, აგრეთვე საერთაშორისო წესრიგის კონცეფციებისადმი დამოკიდებულება. პოლიტიკურმა ფილოსოფოსმა შარლ ლუი დე სეკონდამ, ბარონმა მონტესკიემ ძალთა ბალანსის ეს პრინციპები საშინაო პოლიტიკაზეც გადაიტანა. მან აღწერა ძალაუფლების დაყოფის სისტემა, რომელიც მოგვიანებით ამერიკის

კონსტიტუციამ აიყვანა ინსტიტუციურ დონეზე. ამ ამოსავალი წერტილიდან კი განავითარა ისტორიის ახალი ფილოსოფია და აღწერა საზოგადოების ტრანსფორმაციის მექანიზმები. სხვადასხვა საზოგადოების ისტორიის შესწავლით მონტესკიემ დაასკვნა, რომ მოვლენები არასდროს არის შემთხვევითი. მათ ყოველთვის აქვთ საფუძვლიანი მიზეზი, რომლის ამოცნობა და საყოველთაო სიკეთედ გარდასახვა ადამიანის გონს შეუძლია.

> ბედისწერა არ მართავს მსოფლიოს... არსებობს ზოგადი მიზეზები, ინტელექტუალური და ფიზიკური, რომელიც ყველა მონარქიაში მოქმედებს, იწვევს მის აღზევებას, შენარჩუნებას ან დაცემას; ყველა ცალკეული შედეგი ემორჩილება ამ მიზეზებს; და თუკი ბრძოლის შემთხვევითობამ, ანუ, განსაკუთრებულმა მიზეზმა გაანადგურა სახელმწიფო, მაშასადამე, იყო ზოგადი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ის გარემოება, რომ სახელმწიფო სწორედ ამ ერთ შეტევას უნდა გაენადგურებინა... ერთი სიტყვით, მოვლენათა გენერალური სვლა იწვევს ყოველი ცალკეული მოვლენის ცვლილებას.

გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი – ალბათ განმანათლებლობის ეპოქის ყველაზე დიდი ფილოსოფოსი, მონტესკიეზე ერთი ნაბიჯით დანინაურდა მშვიდობიანი მსოფლიო წესრიგის კოცეფციის ჩამოყალიბების საქმეში. მსოფლიოზე პრუსიის ყოფილი დედაქალაქიდან, კიონიგსბერგიდან დაკვირვებამ, შვიდწლიანი ომის, ამერიკის რევოლუციური ომისა და საფრანგეთის რევოლუციის შესწავლამ, კანტს გააბედვინა, საყოველთაო გარდაქმნებში დაენახა და გამოერჩია ახალი, უფრო მეტად მშვიდობიანი მსოფლიო წესრიგის პირველი მკრთალი ნიშნები.

კანტი ამტკიცებდა, რომ კაცობრიობას ახასიათებს „ასოციალური სოციალურობა“: „მისწრაფება საზოგადოებაში გაწე-

ვრიანებისა, რომელიც თანმხლები მუდმივი წინააღმდეგობით შლის ამავე საზოგადოებას". წესრიგის, უფრო კი საერთაშორისო წესრიგის პრობლემა არის „ყველაზე რთული და მას კაცობრიობა ყველაზე გვიან გადაჭრის". ადამიანები ქმნიან სახელმწიფოებს საკუთარი ვნებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ სახელმწიფოც ცალკეული ინდივიდივით ბუნებრივად ილტვის აბსოლუტური თავისუფლების შესანარჩუნებლად. თუნდაც ეს მოხდეს უკანონობის ფასად, მაგრამ „მოსახლეობის დარბევა, მთავრობების ჩამოგდება და თვით სრულად დაცლა ძალებისგან", რაც თან სდევს სახელმწიფოთა შორის დროდადრო მომხდარ შეჯახებებს, ადამიანებს მაინც აიძულებს დაფიქრდნენ გამოსავალზე. კაცობრიობას ან ელის სიმშვიდე, დასადგურებული „კაცობრიობის თვალუწვდენელ სასაფლაოზე" ან სიმშვიდე, რომელიც გონიერებით იქნება დამყარებული.

კანტის მიხედვით, გამოსავალი მდგომარეობს რესპუბლიკების ნებაყოფლობით ფედერალიზმში, რომელიც ივალდებულებს მშვიდობის შენარჩუნებას და გამჭვირვალე შიდა და საერთაშორისო ქმედებას. მისი მოქალაქეები მშვიდობას გაუფრთხილდებიან, რადგან, რომც მოეძალოთ მტრული ზრახვები, დესპოტი მმართველებისგან განსხვავებით, საკუთარ თავს უნდა გამოუტანონ „ომის საშინელების" განაჩენი. დროთა განმავლობაში ასეთი ერთობის მიმზიდველობა ცხადი გახდება და გზას გაუხსნის მის გავრცელებას და მშვიდობიან მსოფლიო წესრიგად ჩამოყალიბებას. ამ მოვლენას შეგვიძლია შევხედოთ როგორც „ბუნების ფარული გეგმის განხორციელებას", რომ ადამიანები შეძლებენ „სრულყოფილი სამოქალაქო გაერთიანება შექმნან" და გონების კარნახით ასპარეზი მისცენ „ერთიან ძალას", რომელიც „მსოფლიოში დაამკვიდრებს სახელმწიფო უსაფრთხოების კოსმოპოლიტურ სისტემას".

გონების ძალის რწმენა ახლოსაა სისასტიკესთან და ნაწილობრივ ასახავს თვისებას, რომელსაც ბერძნები „ჰიბრისს“ უწოდებდნენ – ასე ვთქვათ, სულიერ სიამაყეს, რომელიც თავის თავში ატარებს საკუთარი განადგურების მარცვალს. განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფოსებს ერთი მთავარი პრობლემა გამორჩათ: შესწევთ ძალა გონიერ მოაზროვნეებს თავიდან გამოიგონონ მმართველობის წესრიგი, თუ არჩევანი შეზღუდულია მის საფუძველში არსებული ორგანული და კულტურული რეალობებით (ბერკის შეხედულება)? არსებობს ცალკეული კონცეფცია ან მექანიზმი, რომელიც ყველაფერს ლოგიკურად დააკავშირებს ერთმანეთთან და მთავარია, იგი აღმოვაჩინოთ და ავხსნათ (როგორც ეგონათ დ'ალემბერს და მონტესკიეს)? თუ სამყარო მაინც ბევრად რთულია, კაცობრიობა კი ძალზე მრავალფეროვანი იმისათვის, რომ ამ კითხვებს მხოლოდ ლოგიკით მიუდგეს და საჭიროა ინტუიცია და სახელმწიფოს მართვის ეზოთერული ელემენტი?

ევროპული განმანათლებლობის ფილოსოფოსებმა ზოგადად არჩევანი გააკეთეს რაციონალური ხედვის და არა პოლიტიკური ევოლუციის ორგანული ხედვის სასარგებლოდ. ამდენად მათ, უნებურად, უფრო მეტიც, თავიანთი თავდაპირველი ნების საწინააღმდეგოდ, ხელი შეუწყვეს გარდაქმნას, რომელმაც ევროპა ათწლეულობით გამოიყვანა წყობიდან და რის შედეგებსაც დღესაც ვიმკით.

საფრანგეთის რევოლუცია და მისი შედეგები

რევოლუციები მაშინ იწვევენ განსაკუთრებით დიდ ძვრებს, როდესაც ისინი მოულოდნელია. ასე მოხდა საფრანგეთის რევოლუციის შემთხვევაში, რომელმაც გამოაცხადა ვესტფალიური სისტემისგან სრულიად განსხვავებული შიდა და მსოფლიო წესრიგი. მან უარი თქვა საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამიჯვნაზე, გააღვიძა ოცდაათწლიანი ომის ვნებები (გადაასწრო კიდეც მათ) და მე-17 საუკუნის რელიგიური იმპულსები სეკულარული ჯვაროსნობით ჩაანაცვლა. რევოლუციამ გამოააშკარავა, რომ საზოგადოების შიგნით მიმდინარე გარდაქმნის პროცესებს შეუძლია უფრო ფართოდ და ღრმად შეაჯანჯღაროს საერთაშორისო წონასწორობა, ვიდრე გარედან წამოსულ აგრესიას. ეს იყო გაკვეთილი, რომელიც მე-20 საუკუნის გარდატეხებმა უკეთ გვასწავლა, რადგან ბევრი გარდატეხა ეფუძნებოდა კონცეფციებს, რომლებიც პირველად საფრანგეთის რევოლუციამ შემოგვთავაზა.

რევოლუციები მაშინ იწყება, როდესაც მრავალგვარი უკმაყოფილება გროვდება და მოულოდნელად უტევს რეჟიმს. რაც უფრო ფართოა რევოლუციური კოალიცია, მით უფრო ქმედითუნარიანია ძალაუფლების არსებული სტრუქტურების დასანგრევად. მაგრამ რაც უფრო სიღრმისეულია ცვლილებები, მით უფრო დიდი ძალისხმევაა საჭირო შეიქმნას ძალაუფლების ახალი სტრუქტურები, რის გარეშეც გარდაუვალია საზოგადოების დაშლა. შემთხვევით არ იბადება ამ დროს ტერორისტული რეჟიმები, რევოლუციის არსში დევს მათი აღმოცენება.

საფრანგეთის რევოლუცია ევროპის ყველაზე მდიდარ, მაგრამ მუდმივად გაკოტრებული მთავრობის მქონე ქვეყანაში დაიწყო. მის თავდაპირველ მამოძრავებელ ძალებს თუ თვალს მივადევნებთ, საზოგადოების ზედა ფენებს მივადგებით –

უმეტესად არისტოკრატების და ბურჟუაზიის მაღალ ფენებს – რომელთაც ეწადათ ქვეყნის მართვის ფორმა განმანათლებლობის პრინციპებისთვის დაემთხვიათ. მაგრამ რევოლუციური დინამიკის გამოწვევა მის შემქმნელებს არ სდომებიათ, მმართველი ელიტა ვერც კი წარმოიდგენდა ასეთ შედეგს.

რევოლუცია თავისი არსით ეფუძნებოდა არსებული წესრიგის შორსმიმავალი გარდაქმნის კონცეფციას, რომლის მსგავსიც ევროპაში რელიგიური ომების შემდეგ არ განხორციელებულა. რევოლუციონერებისთვის ადამიანური წესრიგი არ ყოფილა არც შუა საუკუნეების ღვთიური გეგმა და არც მე-18 საუკუნის დიდი დინასტიების ინტერესების აღრევის შედეგი. საფრანგეთის რევოლუციის ფილოსოფოსები, მეოცე საუკუნის ტოტალიტარული მოძრაობების მსგავსად, ისტორიულ მექანიზმებს აიგივებდნენ ხალხის ნებასთან, ამ უკანასკნელს კი, ბუნებრივია, არ უნდა ჰქონოდა ინჰერენტული ან კონსტიტუციური შეზღუდვა, მისი აღსრულების აბსოლუტურ მონოპოლიაზე კი თავად აცხადებდნენ პრეტენზიას. ასე გაგებული საერთო სახალხო ნება მკაფიოდ განსხვავდებოდა უმრავლესობის ბატონობის კონცეფციისგან, რომელიც არსებობდა ინგლისში, აგრეთვე, ძალაუფლების დაყოფისგან, რომელიც წარმოადგენდა ამერიკის კონსტიტუციის ბირთვს. ფრანგი რევოლუციონერების პრეტენზიები ბევრად აღემატებოდა სახელმწიფო ძალაუფლების შესახებ რიშელიეს კონცეფციას, რადგან იგი აბსტრაქტულს ანიჭებდა სუვერენიტეტს – არა ერთ ცალკეულ მმართველს, არამედ მთელ ხალხს, როგორც განუყოფელ ერთობას, რაც გულისხმობდა აზროვნებისა და მოქმედების შერწყმას. თვითონ საკუთარ თავს ისინი უწოდებდნენ ხალხის ხმას.

რევოლუციის ინტელექტუალურმა ნათლიმამამ – ჟან-ჟაკ რუსომ ეს უნივერსალური პრეტენზია ჩამოაყალიბა თავის თხზულებებში, რომელთა ერუდიციულობა და მომხიბვლე-

ლობა ბუნდოვანებით მოსავს მოსალოდნელ გართულებებს. რუსომ თავისი მკითხველები ნაბიჯ-ნაბიჯ შეიყვანა ადამიანური საზოგადოების „რაციონალურ“ შრეებში და გამოუცხადა, რომ ყველა არსებული ინსტიტუცია ილუზორული და ყალბია – საკუთრება, რელიგია, საზოგადოების კლასები და სახელმწიფო ძალაუფლება, თვით სამოქალაქო საზოგადოებაც კი. მათ შესაცვლელად კი „ძალის სათანადო გამოყენება არის საჭირო“; მას მთლიანად უნდა დაემორჩილოს ხალხი, ისეთი მორჩილებით, ჯერ არცერთი ღმერთის მიერ კურთხეული მბრძანებელი რომ არ მოსწრებია, ალბათ გარდა რუსეთის მეფისა, რომლის მოსახლეობა მთლიანად, გარდა არისტოკრატიისა და ურალს იქით მძიმე კლიმატურ ზონებში მცხოვრებლებისა, მეფის საკუთრებას წარმოადგენს. ამ თეორიებში უკვე ჩანდა თანამედროვე ტოტალიტარული რეჟიმის ნიშნები, სადაც ხალხის ნებით რატიფიცირდება ის გადაწყვეტილებები, რომლებიც საგანგებო მასობრივ დემონსტრაციებზე უკვე გამოცხადებულია.

ამ იდეოლოგიის განხორციელების პროცესში ყველა მონარქია თავისთავად გაცხადდა მტრად. რადგან მონარქიები ძალაუფლებას არ დათმობდნენ უბრძოლველად, რევოლუციას, თუკი გამარჯვება ენადა, ჯვაროსნულის მსგავს საერთაშორისო მოძრაობად უნდა გადაქცეულიყო, რათა დაემყარებინა მსოფლიო მშვიდობა, თავისი პრინციპების დამკვიდრებით. ხოლო რწმენის ამ ახალი სისტემის მთელს ევროპაში გასავრცელებლად საფრანგეთის ზრდასრული მამრობითი მოსახლეობა უკლებლივ გამოაცხადეს სამხედროვალდებულად. რევოლუცია ეყრდნობოდა თეზისს, რომელსაც ისლამი ჯერ კიდევ ათასწლეულის წინათ იყენებდა და რომელიც მე-20 საუკუნეში კომუნიზმმაც აიტაცა: რომ სხვადასხვა რელიგიური და პოლიტიკური მოწყობის ქვეყნებს შორის მუდმივი თანაარსებობა შეუძლებელია და რომ საერთაშორისო საქმეების

ტრანსფორმაცია იდეოლოგიების გლობალურ შეჯიბრად, ყველა არსებული საშუალებით და საზოგადოებრივი ელემენტების მობილიზაციით უნდა აღიკვეთოს. რევოლუცია აქაც ურევს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ლეგიტიმურობასა და ძალაუფლებას, რომელიც ვესტფალიის ზავმა გამიჯნა და ამით შეზღუდა ევროპაში ომების გავრცელება. უარი ეთქვა საერთაშორისო წესრიგის კონცეფციას, რომელიც სახელმწიფოებს უდგენდა მოქმედების თავისუფლების საზღვრებს და ეს მოხდა პერმანენტული რევოლუციის სასარგებლოდ, რომელიც მხოლოდ ტოტალურ გამარჯვებას ან ტოტალურ დამარცხებას ცნობს.

1792 წლის ნოემბერში საფრანგეთის ეროვნულმა ასამბლეამ ევროპა, ორი უცნაური დეკრეტით, ფაქტობრივად, დუელში გამოიწვია. პირველი დეკრეტი შეიცავდა საფრანგეთის უვადო ვალდებულებას, სამხედრო ძალით დახმარებოდა ყველა სახალხო რევოლუციას, სადაც არ უნდა მომხდარიყო იგი. ასამბლეამ განაცხადა, რომ საფრანგეთს, მას მერე, რაც თავად გათავისუფლდა, სურს „თავისუფლების მსურველ ყველა ხალხს ძმურად გაუწოდოს დახმარების ხელი და დაიცვას ისინი". რამდენიმე კვირის თავზე ეს დეკრეტი განივრცო დებულებით, რომელიც ითვალისწინებდა მის ყველა ენაზე თარგმნას და დაბეჭდვას. ნაციონალურმა ასამბლეამ მე-18 საუკუნის წესრიგისგან გამიჯვნა შეუქცევადი გახადა, როდესაც რამდენიმე კვირის შემდეგ, საფრანგეთის ტახტიდან ჩამოგდებულ მეფეს გილიოტინაზე მოჰკვეთა თავი. გარდა ამისა, ასამბლეამ ომი გამოუცხადა ავსტრიას და ნიდერლანდებში შეიჭრა.

1792 წლის დეკემბერში კიდევ ერთი რადიკალური, კიდევ უფრო უნივერსალური მნიშვნელობის დეკრეტი გამოიცა. ყოველი რევოლუციური მოძრაობა, რომელიც მიიჩნევდა, რომ ეს დეკრეტი მისთვის იყო, ქვემოთ მოყვანილ ტექსტში „თა-

ვისუფალი ადგილების შესავსებად" მიიწვიეს: „ფრანგი ხალხი მიმართავს ... ხალხს". დეკრეტი მიესალმებოდა ძმურ რევოლუციას და თანადგომას ჰპირდებოდა „დღეს გამეფებული სახელმწიფო და სამხედრო ხელმძღვანელობის განადგურების საქმეში". დეკრეტის მოქმედება არა მხოლოდ შეუზღუდავი იყო, არამედ კატეგორიულიც: „ფრანგი ერი აცხადებს, რომ ყველას შეხედავს როგორც მტერს, რომელი ერიც უარს იტყვის თავისუფლებასა და თანასწორობაზე, შეეწინააღმდეგება მათ ანდა გადაწყვეტს, თავიანთ პოზიციებზე შეინარჩუნოს თავადები და პრივილეგირებული კასტები, დააბრუნოს ისინი ან ურთიერთობა დაამყაროს მათთან". რუსო წერდა: „იმისათვის, რომ საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულება ფარატინა ქაღალდად არ დარჩეს, საგულისხმო უნდა იყოს ვალდებულება... რომ ყველას, ვინც შეეწინააღმდეგება საერთო ნებას, მორჩილებას აიძულებენ. ეს სხვა არაფერია, თუ არა აიძულონ ადამიანი, იყოს თავისუფალი". რევოლუციამ მიზნად დაისახა, ლეგიტიმურობის ეს დეფინიცია მთელ კაცობრიობაზე განევრცო.

ამგვარი დიადი და უნივერსალური მიზნების მისაღწევად რევოლუციონერებმა ძალისხმევა არ დაიშურეს, რომ საფრანგეთში ყველა ოპოზიციური მოძრაობა ჩაეხშოთ. „ტერორმა" უწინდელი მმართველი კლასის ათასობით წარმომადგენელთან ერთად დახოცა ყველა, ვინც ოპოზიციურ მიდრეკილებაში იყო ეჭვმიტანილი; ისინიც კი, რევოლუციის მიზნებს რომ იწონებდნენ, მაგრამ მის ზოგიერთ მეთოდში ეპარებოდათ ეჭვი. ორი საუკუნის შემდეგ იმავე მოტივაციით ჩატარდა 1930-იან წლებში წმენდა რუსეთში და იგივე მეთოდები დაედო საფუძვლად 1960-იან და 1970-იან წლებში ჩინეთის კულტურულ რევოლუციას.

საბოლოოდ, აღდგა წესრიგი, რომელიც აუცილებელი იყო ქვეყნის მთლიანობის შესანარჩუნებლად. მოდელი ამჯერადაც

რუსოს „დიდი კანონმდებლისგან“ აიღეს. ლუი მეთოთხმეტემ, მეფის ძალაუფლების მისეული გაგებით, მიისაკუთრა სახელმწიფო; რევოლუციონერებმა კი მიისაკუთრეს ხალხი, თავიანთი იდეის გასატარებლად. ნაპოლეონი, რომელიც ჯერ „პირველ კონსულად“ დაასახელეს და რომელმაც შემდეგ თავი იმპერატორად გამოაცხადა, „დიდი კაცის“ ახალ ტიპს განასახიერებდა, რომელიც მისი ნების ძალით ბატონობს მსოფლიოზე, რომელსაც ლეგიტიმაციას ანიჭებს საკუთარი ქარიზმა და მხედართმთავრობით მიღწეული პირადი სამხედრო წარმატებები. „დიდი კაცი“ ტრადიციულ შეზღუდვებს არად მიიჩნევდა და შესწევდა უნარი, თავისი ძლევამოსილება მსოფლიოსთვის ეჩვენებინა. 1804 წელს იმპერატორად კურთხევის კულმინაციური მომენტისას, კარლოს დიდისგან განსხვავებით, ნაპოლეონმა უარი თქვა სხვა ძალის მიერ მის ლეგიტიმაციაზე, რადგან მხოლოდ საკუთარ ძალაუფლებას აღიარებდა: მან პაპს იმპერატორის გვირგვინი ხელიდან ააცალა და თვითონ იკურთხა თავი.

ახლა უკვე რევოლუცია კი აღარ შობდა ლიდერს, არამედ ლიდერი განსაზღვრავდა რევოლუციას. ნაპოლეონმა რევოლუცია მოათვინიერა და თავად იქცა მის გარანტად. მაგრამ იგი თავის თავს, არცთუ უსაფუძვლოდ, განმანათლებლობის გვირგვინად მიიჩნევდა. ნაპოლეონმა პრეფექტურების სისტემის შემოღებით საფრანგეთის სახელმწიფო აპარატი სრულყო – ამ სისტემით იმართება ქვეყანა დღესაც. მან შექმნა ნაპოლეონის კოდექსი – დღემდე საფრანგეთის და სხვა ევროპული ქვეყნების სამართლებრივი სისტემის საფუძველი. იგი ტოლერანტული იყო რელიგიური მრავალფეროვნებისადმი და ხელს უწყობდა მმართველობის რაციონალიზაციას, რათა გაეუმჯობესებინა ფრანგი ხალხის ცხოვრების პირობები.

როდესაც ნაპოლეონი ევროპაში ჰეგემონიის მისაღწევად და, ამავე დროს, ევროპის ერთიანობისთვის იღვწოდა, მხო-

ლოდ რევოლუციის ინკარნაციაზე კი არ ფიქრობდა, განმანათლებლობასაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. 1809 წლამდე საფრანგეთის ჯარებმა, ნაპოლეონის ბრწყინვალე მთავარსარდლობით, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ყველა წინააღმდეგობა ჩაახშეს. ნაპოლეონმა შეძლო, თავისი გეოპოლიტიკური წარმოდგენებით, ახლებურად მოეხაზა კონტინენტის რუკა. მან დაიპყრო რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერიტორია, სხვა ტერიტორიებზე კი სატელიტური რეჟიმები დაამყარა და სათავეში საკუთარი ნათესავები ან ფრანგი მარშლები დაუყენა. მთელ ევროპაში გავრცელდა ერთიანი სამართლებრივი კოდექსი. გამოიცა ათასობით ეკონომიკური და სოციალური განკარგულება. გახდებოდა ნაპოლეონი რომის იმპერიის დაცემის შედეგად დაქუცმაცებული ევროპის გამაერთიანებელი?

ორი დაბრკოლება უნდა გადაელახა: ინგლისი და რუსეთი. მართალია, 1805 წელს ნელსონის მიერ ტრაფალგარის ბრძოლის გამანადგურებელი შედეგით მოგების შემდეგ ინგლისი ერთპიროვნულად ბატონობდა ზღვაზე, მაგრამ, არც იმდენად ძლიერი იყო, რომ წარმატებით შეჭრილიყო ლა-მანშის სრუტის მეორე ნაპირზე. როგორც საუკუნე-ნახევრის შემდეგ, ინგლისი მაშინაც მარტო იყო დასავლეთ ევროპაში და აცნობიერებდა საშიშროებას, რომელსაც დამპყრობელთან დამყარებული მშვიდობა მოუტანდა: ერთი ძალა მოიპოვებდა მთელი კონტინენტის რესურსების განკარგვის უფლებას და ადრე თუ გვიან ინგლისს ზღვაზე ჰეგემონიასაც ჩამოართმევდა. ამიტომაც, სრუტის მეორე მხარეს ჩასაფრებული ინგლისი ელოდებოდა ნაპოლეონის გადამწყვეტ შეცდომას (როგორც საუკუნე-ნახევრის შემდეგ ჰიტლერისას), რომელიც მას საშუალებას მისცემდა, ისევ გამხდარიყო კონტინენტზე, სამხედრო ძალის გამოყენებით, ძალთა ბალანსის დამცველი (ასევე ელოდა, რომ მათ რიგს აშშ-იც შეუერთდებოდა.)

ნაპოლეონი მე-18 საუკუნის დინასტიურ სისტემაში გაიზარდა და გასაოცარია, მაგრამ შეეგუა ამ სისტემის ლეგიტიმურობას, რადგან დინასტიური სისტემის წესების მიხედვით, მისი ლიდერობა არალეგიტიმური იყო, რადგან თვით მისი კორსიკული სამშობლოს არისტოკრატიული იერარქიის მიხედვითაც კი, დაბალ არისტოკრატიულ ფენას ეკუთვნოდა. ეს კი, საკუთარ წარმოდგენაში მაინც, იმას ნიშნავდა, რომ დაპყრობით მიღწევებზე იყო დამოკიდებული მისი მმართველობის ლეგიტიმაცია და შენარჩუნება. თუ გამოჩნდებოდა ვინმე, მისი სურვილის წინააღმდეგი, ნაპოლეონს ვალდებულებად მიაჩნდა დაემორჩილებინა. თავშეკავება მისთვის, მისი ტემპერამენტისთვის, წარმოდგენისა თუ გამოცდილებისთვის უცხო რამ იყო. ამიტომაც შეიყვანა ჯარები ესპანეთსა და რუსეთში, მიუხედავად იმისა, რომ არცერთი ეს ქვეყანა მისი გეოპოლიტიკური გეგმებისთვის, არსებითად, არაფერს წარმოადგენდა. ნაპოლეონს არ შეეძლო საერთაშორისო წესრიგის პირობებში ცხოვრება; მის პატივმოყვარეობას მხოლოდ იმპერია თუ დააკმაყოფილებდა, რომელიც, სულ ცოტა, მთელ ევროპაზე იქნებოდა გადაჭიმული და ფაქტია, ცოტა დააკლდა, მართლაც რომ შეექმნა ასეთი იმპერია.

რევოლუციითა და ნაპოლეონის ომებით დაიწყო ტოტალური ომის ეპოქა, რომელმაც ერის მთელი რესურსების მობილიზაცია მოითხოვა. სისხლისღვრისა და განადგურების მასშტაბი ოცდაათწლიანი ომისას უტოლდებოდა. ნაპოლეონის დიადი არმია, რომლის რიგები არა მარტო საფრანგეთის, არამედ ანექსირებულ ტერიტორიებზე მოქმედი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შედეგადაც ივსებოდა, სახსრებსა და რესურსებს დაპყრობილი ტერიტორიების და ხალხების ხარჯზე, ხარკის აკრეფის გზით იხვეჭდა. შედეგად, არმია უსაშველოდ გაიზარდა და დიდი რეგიონები დაიქვემდებარა. ნაპოლეონი მხოლოდ მაშინ დამარცხდა, როდესაც ცდუნებას ვერ სძლია

და იმ ტერიტორიებზე შეიჭრა, რომელთა რესურსები მისი უზარმაზარი არმიის საჭიროებების დაკმაყოფილებას ვერ ეყოფოდა – ესპანეთსა და რუსეთში. დამარცხების მიზეზი, როგორც ვთქვით, უპირველესად ის იყო, რომ შეცდა საკუთარი ძალის შეფასებაში – განსაკუთრებით ეს გამოვლინდა 1812 წელს, რუსეთში შეჭრისას, მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ ევროპის დარჩენილმა ნაწილმა, მართალია, საკმაოდ გვიან, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ვესტფალიის პრინციპების დაცვა და ნაპოლეონის წინააღმდეგ გაერთიანდა. 1813 წელს ლაიფციგთან ბრძოლისას ევროპის იმ ქვეყნების გაერთიანებულმა ძალებმა, რომლებიც ნაპოლეონს დაპყრობილი არ ჰქონდა, მას პირველი დიდი და როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, მნიშვნელოვანი დამარცხება აწვნევინეს (რუსეთში მისი დამარცხება ჯარის გატეხვის ბრალი იყო). ლაიფციგის ხალხთა ბრძოლის შემდეგ იგი უარს ამბობდა ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რომლის მიხედვითაც დაპყრობილი ტერიტორიების ნაწილის შენარჩუნება მაინც შეეძლო. ნაპოლეონს ეშინოდა, რომ განადგურდებოდა მისი ლეგიტიმურობის ერთადერთი საყრდენი, თუკი საჯაროდ აღიარებდა, რომ არც მისი ძალაუფლება იყო უსაზღვრო. ასე თუ შევხედავთ, მისი დაცემის მიზეზი იყო დაეჭვება არა მარტო თავის ლეგიტიმურობაში, არამედ ვესტფალიის პრინციპებშიც. კარლოს დიდის შემდეგ ევროპის ყველაზე ძლევამოსილი დამპყრობელი დაამარცხა არა მხოლოდ მის წინააღმდეგ გალაშქრებულმა საერთაშორისო წესრიგმა, არამედ საკუთარმა თავმაც.

ნაპოლეონის პერიოდს თან სდევს განმანათლებლობის აპოთეოზი. საბერძნეთისა და რომის მაგალითებით შთაგონებულმა მოაზროვნეებმა განმანათლებლობა გაუთანაბრეს გონების ძალას, რაც გულისხმობდა ავტორიტეტის თანდათანობით გადატანას ეკლესიიდან საერო ელიტებზე. ახლა ეს მისწრაფებები გაძლიერდა და ერთადერთ ლიდერში გაცხად-

და, როგორც გლობალური ძალაუფლების გამოხატულება. ნაპოლეონის გავლენა თვალსაჩინოდ გამოვლინდა 1806 წლის 13 ოქტომბერს, იენასთან ბრძოლის წინა დღეს, როდესაც პრუსიის არმია გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდა. წინა დღეს ნაპოლეონი თავის გენერალურ შტაბთან ერთად ბრძოლის ველის დასათვალიერებლად გაემართა. გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, იმჟამად იენის უნივერსიტეტის პროფესორი (მოგვიანებით მან დაწერა „ლექციები ისტორიის ფილოსოფიის შესახებ", ნაშრომი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მარქსის მოძღვრებაზე) მაღალფარდოვნად აღწერს სცენას, როგორ ესმის ცხენის ჩლიქების კაკუნი მოკირწყლულ გზაზე:

> მე ვიხილე იმპერატორი – მსოფლიო დონის სული – მიჯირითობდა ქალაქის დასათვალიერებლად. მართლაც არაჩვეულებრივი განცდაა ასეთი პიროვნების ხილვა, როგორი შემართული ზის ცხენზე, როგორ გადაჰყურებს სამყაროს და ფლობს მას.

მაგრამ, საბოლოოდ, ამ „მსოფლიო დონის სულმა" განუსაზღვრელი ახალი ძალა შემატა ევროპას, ძალა, რომელიც ევროპას ეკუთვნოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი უზარმაზარი ტერიტორიის სამი მეოთხედი აზიაში მდებარეობდა – მეფის რუსეთი, რომლის ჯარმაც ნაპოლეონის „დიადი არმიის" ყოველი მეათე ჯარისკაცი გაანადგურა, რომელმაც მას უკან დაახევინა და რომელმაც, თავის მოკავშირეებთან ერთად, ომის დასასრულს პარიზი დაიკავა. რუსეთის სიძლიერემ ისევ წამოჭრა ევროპაში ძალთა ბალანსის პრინციპული საკითხები, ხოლო რუსეთის მისწრაფებების ფონზე გაჩნდა საშიშროება, რომ ძალთა რევოლუციამდელ წონასწორობას ვეღარ აღადგენდნენ.

თავი 2

ძალთა ბალანსის ევროპული სისტემა და მისი დასასრული

რუსული ენიგმა

საფრანგეთის რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის დასასრულს რუსეთის ჯარებმა პარიზი დაიკავეს და გასაოცარად ცხადყვეს, როგორ შეიძლება შემობრუნდეს ისტორიის ბორბალი. ნახევარი საუკუნით ადრე რუსეთი პირველად გამოჩნდა დასავლეთ ევროპის ძალთა ბალანსის არეალში, როდესაც ჩაერთო შვიდწლიან ომში. იგი ღიად ამჟღავნებდა ცარისტული რეჟიმისთვის დამახასიათებელ თვითნებობას, მოულოდნელად გამოაცხადა ნეიტრალურობა და ომიდან გავიდა იმ არგუმენტით, ახალნაკურთხი მეფე აღფრთოვანებულია ფრიდრიხ დიდითო. ნაპოლეონის ეპოქის დასასრულს, ალექსანდრეს სახით, კიდევ ერთი მეფე გამოჩნდა, რომელსაც ევროპის მომავალი უნდა განესაზღვრა. კონტინენტს უნდა შეენარჩუნებინა მოპოვებული თავისუფლება და აღედგინა წესრიგის სისტემა, ამ საქმეში კი გარდაუვალი იყო მონაწილეობა იმპერიისა, რომელიც დანარჩენ ევროპაზე მეტ ტერიტორიას ფლობდა და

ისე ავტოკრატულად იმართებოდა, რომლის მსგავსი ევროპის მთელს ისტორიაში არ მოიძებნებოდა.

ამ დროიდან მოყოლებული, რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობებში გამორჩეულ როლს თამაშობდა: იგი ევროპაშიც და აზიაშიც მიიჩნეოდა ძალთა ბალანსის ნაწილად, მაგრამ არათანმიმდევრულად შეჰქონდა წვლილი საერთაშორისო წესრიგის განმტკიცებაში. მან უფრო მეტი ომი წამოიწყო, ვიდრე რომელიმე სხვა დიდმა ძალამ, მაგრამ თან აღკვეთა ევროპაში ცალკეული ძალების დომინანტობა – დაუპირისპირდა რა შვედეთის მეფე კარლ მეთორმეტეს, ნაპოლეონსა და მოგვიანებით ჰიტლერს, როდესაც მათ წყობიდან გამოიყვანეს ძალთა ბალანსის საკვანძო ელემენტები. რუსეთის პოლიტიკა საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდა საკუთარი რიტმით და გავლენას ახდენდა უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომელიც თითქმის ყველა კლიმატურ ზონას და ცივილიზაციას მოიცავდა. როდესაც საჭირო ხდებოდა შიდა სტრუქტურების ქვეყნის სიდიდეზე მორგება, რუსეთი გაიმიჯნებოდა ხოლმე, მაგრამ მერე ისევე ბრუნდებოდა, როგორც ტალღა უბრუნდება ზღვის ნაპირს. მიუხედავად იმისა, რომ პეტრე დიდიდან ვლადიმერ პუტინამდე ბევრი რამ შეიცვალა, ამ რიტმმა განსაცვიფრებელი მდგრადობა შეინარჩუნა.

დასავლეთ ევროპელები, რომელთაც გადაიტანეს ნაპოლეონის ომების არეულობა, რიდითა და ძრწოლვით შესცქეროდნენ ქვეყანას, რომლის ტერიტორია და სამხედრო სიძლიერე მთელი დანარჩენი კონტინენტისას აღემატებოდა. რუსეთის ელიტის დახვეწილი მანერებიც ვერ ფარავდა რუსეთის პრიმიტიულ ძალას, რომლის წინაშეც აღმოჩნდა დასავლეთის კულტურა. ფრანგმა მოგზაურმა მარკიზ დე კუსტინმა, 1843 წელს, მოთვინიერებული საფრანგეთის და რუსეთის მიერ ახლებურად მოწყობილი ევროპის გადასახედიდან, რუ-

სეთს უწოდა ჰიბრიდი, რომელმაც ტრამალის ველური ძალა ევროპის გულს შეურწყა:

> უდახვეწილესი ბიზანტიური მანერების და უდაბნოს ჯოგის სისასტიკის, გვიანდელი ბიზანტიური იმპერიის ეტიკეტისა და აზიური უტიფრობის საშინელმა ნაზავმა შექმნა ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც ახლა ეცნობა ევროპა და რომლის გავლენას ალბათ, მოგვიანებით იგრძნობს, თუმცა ამჯერად, ვერ განჭვრეტს მას.

რუსეთის ყველა თვისება – მისი აბსოლუტიზმი, მისი სიდიდე, მთელი მსოფლიოს გადამწვდომი ამბიციები და დაუცველობა – ეს ყველაფერი საერთაშორისო წესრიგის ტრადიციულ ევროპულ, წონასწორობასა და შეზღუდვებზე დაფუძნებულ კონცეფციას ფარული გამოწვევის სახით დაუპირისპირდა.

რუსეთს დიდხანს ეკავა ევროპაში და ევროპის მიმართ გაორებული პოზიცია. როდესაც კარლოს დიდის სამფლობელო მე-9 საუკუნეში დაიშალა და შედეგად შეიქმნა თანამედროვე საფრანგეთის და გერმანიის წინამორბედი ქვეყნები, აღმოსავლეთში, თითქმის ორი ათასი კილომეტრის დაშორებით, სლავური ტომები ქალაქ კიევის ირგვლივ შეკავშირდნენ (კიევი დღეს დამოუკიდებელი უკრაინის დედაქალაქს და გეოგრაფიულ ცენტრს წარმოადგენს, მაგრამ ეს ქალაქი რუსებისთვის მაინც რჩება მათი ისტორიის განუყოფელ ნაწილად.) „რუსთა მიწა" ცივილიზაციების და სავაჭრო გზების კვეთაზე მდებარეობდა. ჩრდილოეთში ვიკინგები, სამხრეთში მზარდი არაბული იმპერია, აღმოსავლეთში მოთარეშე თურქული ტომები რუსეთს მუდამ ასაზრდოებდა ცდუნებითა და შიშით. რუსეთი საკმაოდ შორს მდებარეობდა რომის იმპერიისგან და მასთან შეხება არ ჰქონია (გინდაც რუსული „ცარ" „ცეზარს" მოიაზრებდეს პოლიტიკურ და ეტიმოლოგიურ წინაპრად). რუსეთი ქრისტიანული იყო, ოღონდ უფრო მეტად ორიენ-

ტირებული კონსტანტინოპოლის ორთოდოქსულ ეკლესიაზე, ვიდრე რომის სულიერ ავტორიტეტზე და ერთი მხრივ, საკმაოდ ახლოს იყო ევროპასთან, რომ საერთო კულტურული ჩვევები განევითარებინა, მეორე მხრივ, კი საკმაოდ შორს, რომ სხვა რიტმით წარემართა ისტორიული მოვლენები. რუსეთი, ამგვარი ისტორიული შესაძლებლობის წყალობით, უნიკალურ „ევრაზიულ" ძალად უნდა ქცეულიყო, მაგრამ ორ კონტინენტზე გადაჭიმული ქვეყანა ვერცერთზე გრძნობდა თავს შინაურულად.

რუსეთი ყველაზე მკვეთრად ევროპას მე-13 საუკუნეში გაემიჯნა, მონღოლების შემოსევის გამო; მონღოლებმა დაიმორჩილეს პოლიტიკურად გახლეჩილი რუსეთი და მიწასთან გაასწორეს კიევი. მონღოლების ორსაუკუნენახევრიანი ბატონობის შემდეგ (1237-1480) რუსეთი გამწარებული ცდილობდა შეექმნა ერთიანი სახელმწიფო, რომლის ცენტრიც მოსკოვის დიდი სამთავრო იქნებოდა; ამგვარად, რუსეთს იმ დროს მოუწია მთელი ძალისხმევა აღმოსავლეთისკენ მიემართა, როდესაც დასავლეთ ევროპა ახალი დროების მაუწყებელ ტექნიკურ და ინტელექტუალურ მიღწევებს ავითარებდა. აღმოჩენების ეპოქაში, როდესაც ევროპა მსოფლიოს ზღვებზე გაიჭრა, რუსეთი დამოუკიდებელ ერად ჩამოყალიბებისთვის და საკუთარი საზღვრების დასაცავად იბრძოდა. როდესაც პროტესტანტულმა რეფორმაციამ კონტინენტზე პოლიტიკური და რელიგიური მრავალფეროვნება გააჩინა, რუსეთმა თავისი რელიგიური მანათობელი ვარსკვლავის ჩაქრობა – კონსტანტინოპოლის და აღმოსავლეთ რომის იმპერიის დაპყრობა მუსლიმი ოსმალების მიერ 1453 წელს – აღიქვა თითქმის მისტიკურ რწმენად, რომ რუსეთის იმპერატორი ამიერიდან „მთელ დედამიწაზე ქრისტიანების ერთადერთი მეფე იყო" (როგორც ბერი ფილოფე წერდა ივანე მესამეს დაახლოებით

1500 წელს) და მესიანური დავალება დაეკისრა, ბიზანტიის დაცემული დედაქალაქი დაებრუნებინა მორწმუნეებისთვის.

ევროპა თავის მულტიპოლარულობას ნელ-ნელა აღიქვამდა როგორც წონასწორობის დამამყარებელ მექანიზმს; რუსეთი კი, ამ დროს, თავის გეოპოლიტიკურ ცნობიერებას სტეპების მკაცრ პირობებში აწრთობდა – იქ, სადაც ღია სივრცეში მომთაბარე ტომები თითქმის არ ცნობდნენ საზღვრებს და რესურსების მოსაპოვებლად იბრძოდნენ. უცხოელი მოქალაქეების ჩაგვრა და ხარკის აკრეფა ჩვეულებრივი ამბავი იყო და ბევრისთვის წარმოადგენდა ცხოვრების სტილს. დამოუკიდებლობა უდრიდა იმ ტერიტორიის ფლობას, რომლის ფიზიკური ძალით დაცვაც მოსახლეობას შეეძლო. რუსეთმა განამტკიცა ურთიერთობები დასავლეთის კულტურასთან, მაგრამ, მიუხედავად მზარდი ტერიტორიული ექსპანსიისა, თავს მაინც თვლიდა ცივილიზაციის ალყაშემორტყმულ ფორპოსტად, რომლის დაცვის ერთადერთ გზად მეზობლებისთვის საკუთარი ნების უპირობოდ თავზე მოხვევას მიიჩნევდა.

ვესტფალიის ზავით დამყარებული წესრიგის პირობებში ევროპელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა შეიმუშავეს კონცეფცია, რომლის მიხედვითაც უსაფრთხოება ნიშნავდა ძალთა ბალანსს და მუდმივ ზრუნვას მის შესანარჩუნებლად. მაგრამ რუსეთის ისტორიული გამოცდილებით, ძალაუფლების შეზღუდვა კატასტროფის ტოლფასი იყო: რადგან ქვეყანა ვერ იმორჩილებდა თავის გეოგრაფიულ გარემოს, ამიტომაც გადაუარა მას მონღოლურმა ტალღამ და ჩააგდო კოშმარულ „არეულობის ხანაში“ (ამ 15 წლიანი გარდამავალი დროის განმავლობაში, 1613 წელს, რომანოვების დინასტიის დაარსებამდე, რუსეთის მოსახლეობის ერთი მესამედი დაიღუპა მტრული თავდასხმების, სამოქალაქო ომის და შიმშილის გამო). მაშინ, როცა ვესტფალიურ სისტემაში საერთაშორისო წესრიგი ბალანსის გონივრულ მექანიზმად მიიჩნეოდა, რუსეთი წეს-

რიგს უყურებდა როგორც მუდმივ ბრძოლას, რომლის ყველა ფაზაში მატერიალური რესურსების უკიდურეს საზღვრამდე გამოყენებით უნდა გაეფართოვებინა თავისი სამფლობელო. როდესაც მე-17 საუკუნის შუა ხანებში მეფე ალექსანდრეს საგარეო საქმეთა მინისტრს, ნაშჩოკინს სთხოვეს ჩამოეყალიბებინა რუსეთის საგარეო პოლიტიკა, მას არ დაუმალავს: „სახელმწიფოს გაფართოება ყველა მიმართულებით, ეს არის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამოცანა".

ეროვნულ პოზიციად ქცეულმა ამ პროცესმა ერთ დროს მოსკოვის დიდი სამთავრო მთელი ევრაზიის მიმართულებითაც გააფართოვა; 1917 წლამდე მას ზრდა არ შეუწყვეტია, ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ ყალიბდებოდა მსოფლიოს ყველაზე დიდი იმპერია. ამერიკელი სწავლული ჰენრი ადამსი იხსენებს რუსეთის ელჩის პოზიციას ვაშინგტონში 1903 წელს (როდესაც რუსეთის საზღვრებმა კორეას მიაღწია):

> მისი პოლიტიკური ფილოსოფია, ყველა რუსის მსგავსად, ერთადერთ იდეამდე დადის, რომ რუსეთის ბედია, მიგორავდეს და ყველაფერი გადასრისოს, რაც წინ დახვდება. (...) როდესაც რუსეთი მეზობელ ქვეყანას გადაუვლიდა, მის ენერგიასაც მთლიანად იწოვდა და გადაპყავდა თავის ზნეზე, რომლის შეცვლა და დასავლურ ყაიდაზე მოქცევა არც მეფეს და არც გლეხს არც უნდოდათ და არც შეეძლოთ.

რუსეთს მხოლოდ ჩრდილოეთის პოლარული ზღვის და წყნარი ოკეანის სახით ჰქონდა ბუნებრივი საზღვარი. სხვა მიმართულებებით ბუნებრივი საზღვრების არარსებობის გამო, საუკუნეების განმავლობაში ვერ იოკებდა დამპყრობლურ ჟინს და ხან ცენტრალურ აზიაში შეიჭრებოდა, ხან კავკასიაში, ხან ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, შემდეგ კი სკანდინავიაში, ბალტიის ზღვამდე გაიჭრა, წყნარ ოკეანეს, ჩინეთი-

სა და იაპონიის საზღვრებსაც მიაღწია (მე-18-19 საუკუნეებში ალასკის და კალიფორნიის დასახლებებსაც კი მისწვდა). ასე აფართოვებდა რუსეთი ყოველწლიურად თავისი სახელმწიფოს ტერიტორიებს, რომელიც ბევრი ევროპული სახელმწიფოს ფართობს აღემატებოდა (1552 წლიდან 1917 წლამდე, წელიწადში საშუალოდ 100 000 კვ. კილომეტრით).

როდესაც რუსეთი ძლიერი იყო, სუპერ-სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი თავდაჯერებულობით მოქმედებდა და ყველასგან მოითხოვდა საკადრის პატივისცემას. ხოლო როცა დასუსტდებოდა, საკუთარ მოწყვლადობას იმპერიის უზარმაზარ შიდა რესურსებზე მითითებით ნიღბავდა. რუსეთი ორივე შემთხვევაში განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აყენებდა დასავლეთის დედაქალაქებს, სადაც ურთიერთობის უფრო დახვეწილ სტილს იყვნენ მიჩვეულები.

ამავდროულად, რუსეთმა დემოგრაფიული და ეკონომიკური პოზიციიდან დაიწყო ექსპანსიური ქმედება, რაც დასავლური სტანდარტით ჩამორჩენილობად მიიჩნეოდა – მეჩხრად დასახლებული ბევრი რეგიონი, სადაც არ შეეღწია თანამედროვე კულტურას და ტექნიკას. ამდენად, მსოფლიო ბატონობის მოსურნე იმპერიალიზმი პარადოქსულად ერწყმოდა საკუთარი მოწყვლადობის საპირისპირო გრძნობას, თითქოს რუსეთისთვის ნახევარი მსოფლიოს დაპყრობას პოტენციური მტერი მეტი შეეძინა, ვიდრე დამატებითი უსაფრთხოება. ასე თუ შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეფის რუსეთი იმიტომ ფართოვდებოდა, რომ სხვის ტერიტორიებზე შეჭრა უფრო ეადვილებოდა, ვიდრე თავშეკავება.

ამ კონტექსტში შეიქმნა პოლიტიკური ლეგიტიმურობის სპეციფიკური რუსული კონცეფცია. მაშინ, როდესაც რენესანსის დროის ევროპამ თავიდან აღმოაჩინა საკუთარი ჰუმანისტური ანტიკური წარსული და ინდივიდუალიზმის და თავისუფლების ახალ კოცეფციებს ხვეწდა, რუსეთი აღორ-

ძინებას ეძებდა რელიგიური გრძნობის სიწმინდეში და ღვთისგან ლეგიტიმირებული ჰეგემონიის შემადუღაბებელ ძალაში, რომელსაც უნდა გადაელახა ყველა გამყოფი ფაქტორი: ეს იყო მეფე, „ღმერთის ცოცხალი ხატი", ვისი ბრძანებებიც წინააღმდეგობას არ ითმენდა და უპირობოდ განასახიერებდა სამართლიანობას. ქრისტიანული ერთმორწმუნეობა და საერთო ელიტური ენა (ფრანგული) ხაზს უსვამდა დასავლეთთან ნათესაურ პერსპექტივას. მიუხედავად ამისა, ევროპიდან მეფის რუსეთში ჩასულებს იქ სიურრეალისტური ექსტრემულობა ხვდებოდათ და ფიქრობდნენ, რომ რუსეთის იმპერია, თანამედროვე დასავლური მონარქიის ფასადს მიღმა, დესპოტურ რეჟიმს მალავდა, რომელიც მონღოლური და თათრული გამოცდილების მიხედვით შექმნილიყო: „ევროპული დისციპლინა, რომელიც აზიურ ტირანიას უწყობს ხელს" – ასე მკაცრად შეაფასა მარკიზ დე კუსტინმა იქ არსებული მდგომარეობა.

პეტრე დიდის მეფობისას რუსეთი ახალი დროის ევროპული სახელმწიფოების სისტემაში სხვა სახელმწიფოებისგან განსხვავებული გზით შევიდა. ორივე მხარე ფრთხილად ჩაეხუტა ერთმანეთს. პეტრე 1672 წელს დაიბადა, ფაქტობრივად ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩარჩენილ რუსეთში, მაშინ, როცა დასავლეთ ევროპა აღმოჩენების, აღორძინებისა და რეფორმაციის შედეგად უფრო განვითარებულიყო და საბუნებისმეტყველო რევოლუციის და განმანათლებლობის მიჯნაზე იდგა. ახალგაზრდა მეფემ (ორი მეტრის სიმაღლის), გოლიათმა და ენერგიულმა კაცმა ხელში აიღო თავისი ქვეყნის ისეთი სახის იმპერიად გარდაქმნის სადავეები, რომელიც რუსეთის ექსტრემალურ და მრავალმხრივ მისწრაფებებს უკეთ გამოხატავდა.

პეტრემ გადაწყვეტა თანამედროვეობის მიღწევებს გასცნობოდა, რათა შეედარებინა რუსეთის მონაპოვართან, ამიტომ ხშირად სტუმრობდა მოსკოვის გერმანული კვარტლის მაღა-

ზიებსა და საწარმოებს. მან ახალგაზრდობაში მოიარა დასავლეთ ევროპის დედაქალაქები და პირადად გაეცნო ტექნიკის მიღწევებს და პროფესიული ხელობების უახლეს მეთოდებს. პეტრემ დაინახა, რომ მისი იმპერია დასავლეთს ჩამორჩებოდა განვითარებაში და საკუთარი მიზანი ასე ჩამოაყალიბა: „ხალხმა უნდა დაივიწყოს აზიური წეს-ჩვეულებები და უნდა შეითვისოს ევროპის ქრისტიანული ერების ქცევა".

მან „უკაზების" მთელი რიგი გამოსცა: რუსეთი გადაიღებს დასავლეთის მანერებს და ვარცხნილობას, შეითვისებს მათ ცრდნას და გამოცდილებას, შექმნის თანამედროვე არმიასა და ფლოტს, ომის გზით გააფართოვებს საზღვრებს ყველა მეზობელ ქვეყანასთან, რუსეთი გაიჭრება ბალტიის ზღვამდე, დაარსდება ახალი დედაქალაქი სანკტ-პეტერბურგი. ეს ქალაქი – „რუსეთის ფანჯარა დასავლეთისკენ" ხელით, მონების იძულებითი შრომით აშენდა ფაქტობრივად უკაცრიელ ჭაობზე, სადაც პეტრემ მახვილი ჩაარჭო და გამოაცხადა: „აქ უნდა აშენდეს ქალაქი". როდესაც ტრადიციონალისტები აუჯანყდნენ, სისხლით ჩაახშო პროტესტი და, დასავლეთში ჩასული ცნობების მიხედვით, პირადად უძღვებოდა მათი წინამძღოლების წამებასა და სიკვდილით დასჯას.

პეტრემ დიდი ძალისხმევა დაახარჯა რუსული საზოგადოების გარდაქმნას და თავისი იმპერია დასავლური ძლიერი სახელმწიფოების სიმაღლეზე აიყვანა. მაგრამ მოდერნიზაციის სწრაფმა ტემპმა რუსეთს დაღად დააჩნია ახლად აღზევებულის კომპლექსები. ევროპის არცერთ ევროპელ აბსოლუტურ მბრძანებელს არ უგრძნია საჭიროება, საკუთარი ქვეშევრდომებისთვის წერილობით შეეხსენებინა ის, რაც ნახევარი საუკუნის შემდეგ მიიჩნია საჭიროდ ეკატერინე დიდმა, კერძოდ, „რომ რუსეთი ევროპული სახელმწიფოა, რასაც მკაფიოდ ადასტურებს შემდგომი დაკვირვებები".

რუსეთის რეფორმებს დაუნდობელი ავტოკრატები ატარებდნენ, მორჩილ ხალხს კი საკუთარი წარსულის დაძლევა უფრო აინტერესებდა, ვიდრე მომავლის შექმნა. მიუხედავად ამისა, ქვეშევრდომებმა პეტრეს მმართველობის ბოლოს აღიარეს – ისევე, როგორც შემდგომი რევოლუციონერებისა და რეფორმატორების შემთხვევაში – რომ მან, მართალია, უმოწყალო სისასტიკით, მაგრამ წინ წაიყვანა ქვეყანა, და რომ ხალხი თავისით ამას არ მოინდომებდა (დღევანდელი გამოკითხვების მიხედვით, სტალინსაც იმავე პატივს მიაგებენ თანამედროვე რუსულ აზროვნებაში).

ეკატერინე დიდმა, რუსეთის ავტოკრატულმა რეფორმატორმა, 1762-1796 წლებში შექმნა კულტურული მიღწევებისა და ტერიტორიული გაფართოების ეპოქა (მაშინ დაიპყრო რუსეთმა ყირიმის სახანოც და ზაპოროჟიელი კოზაკების სეჩიც – ერთ დროს დამოუკიდებელი კოზაკების სახელმწიფო, დღევანდელი უკრაინის ცენტრალური ნაწილი.) იგი რუსეთის უკიდურესად ავტოკრატულ სახელმწიფო მმართველობას უზარმაზარი ტერიტორიის მართვის ერთადერთ ფორმად მიიჩნევდა და თავის სტილს ამგვარად ამართლებდა:

> იმპერიის გაფართოება მოითხოვს იმ პირის აბსოლუტური ძალაუფლებით აღჭურვას, ვინც მას მართავს. იგი ისეა მოწყობილი, რომ ქვეყნის შორეულ ნაწილებში ბრძანებების სწრაფი გაგზავნით უნდა გაბათილდეს დიდი დაშორება.
>
> ყველა სხვა სახის მმართველობა რუსეთისთვის არა მხოლოდ ზიანის მომტანი იქნებოდა, არამედ მის სრულ განადგურებას გამოიწვევდა.

ის, რაც დასავლეთში თვითნებობად და ავტორიტარიზმად მიიჩნეოდა, რუსეთში ელემენტარულ აუცილებლობად და სახელმწიფოს ქმედითუნარიანობის პირობად აღიქმებოდა.

მეფე ისეთივე აბსოლუტური მმართველი იყო, როგორც, ტრადიციის მიხედვით, მისტიკური ძალით აღჭურვილი, კონტინენტური სიდიდის ტერიტორიის მბრძანებელი ჩინეთის იმპერატორი. და მაინც, მისი პოზიცია ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებით განსხვავდებოდა ჩინეთის იმპერატორის პოზიციისგან. ჩინელთა თვალსაზრისით, იმპერატორი, თუკი ამის საშუალება ჰქონდა, მშვიდი, დარბაისლური გონებით მართავდა ქვეყანას. რუსეთში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ მეფეს ნებისმიერ დროს შეეძლო გაეტარებინა საკუთარი ნება უპირობო ავტორიტეტის წყალობით და ყველასთვის ეჩვენებინა რუსეთის სახელმწიფოს დამთრგუნველი ძალა. თუკი ჩინეთის იმპერატორი აღმატებული ჩინური ცივილიზაციის განსახიერებას წარმოადგენდა და სხვა ხალხებს შთააგონებდა, ჩინეთში „ჩასულიყვნენ და შეცვლილიყვნენ", რუსეთის მეფე აღიქმებოდა როგორც განსახიერება ბასტიონისა, რომელიც აღმართულიყო ყოველი მხრიდან გარშემორტყმული მტრების პირისპირ. თუ ჩინეთის იმპერატორს ხოტბას ასხამდნენ სამართლიანობისა და სიკეთისთვის, მე-19 საუკუნის ისტორიკოსი ნიკოლაი კარამზინი მეფის სიმკაცრეში ხედავდა მისი ჭეშმარიტი მოწოდების გამოვლინებას:

> რუსეთში სუვერენი არის ცოცხალი კანონი. იგი წყალობს კეთილს და სჯის ბოროტს... მონარქის გულჩვილობა მაშინ არის კარგი თვისება, როდესაც მას მოვალეობის გრძნობა აწრთობს საჭირო სიმკაცრის გამოსავლენად.

შეერთებული შტატების დასავლეთში შეჭრის მსგავსად, რუსეთიც მორალურ გამართლებას უძებნიდა თავის დამპყრობლურ პოლიტიკას – რომ ეს იყო წარმართულ ქვეყნებში წესრიგის და განმანათლებლობის გავრცელება (რის გვერდით ეფექტსაც წარმოადგენდა ბეწვითა და მინერალებით სარფია-

ნი ვაჭრობა). მაგრამ თუ ამერიკული ხედვა უსაზღვრო ოპტიმიზმს ნერგავდა, რუსეთის გამოცდილება სტოიციზმურ ტანჯვას ეფუძნებოდა. რუსეთი „ორი დიდი და შეურიგებელი სამყაროს გზაჯვარედინზე" აღმოჩნდა და შუამავლის განსაკუთრებულ მისიაში დაინახა საკუთარი როლი, მაგრამ მას ყოველი მხრიდან სახიფათოდ უპირისპირდებოდნენ ძალები, რომელთაც არ სურდათ ელიარებინათ მისი მისია. დიდი რუსი მწერალი და მგზნებარე ნაციონალისტი თეოდორ დოსტოევსკი წერდა: „ეს დაუღალავი ლტოლვა დედამიწაზე დიდი, უნივერსალური ეკლესიის შექმნისა, მუდამ თან სდევდა რუს ხალხს". რუსეთში ცივილიზაციების ყოვლისმომცველ სინთეზს აღტაცებაში მოჰყავდა მნახველი, მაგრამ აღტაცება იწვევდა შიშს, მისი მდგომარეობის გამო. როგორც მე-19 საუკუნის ერთი გავლენიანი კრიტიკოსი წერდა, რუსეთი ჰგავს „შინიდან გაგდებულ, ობოლ ბავშვს... იმისათვის, რომ შეგვამჩნიონ, ბერინგის სრუტიდან მდინარე ოდერამდე უნდა გადაიჭიმოს ჩვენი ქვეყანა".

ექსპანსიის მოსურნე მჭმუნვარე „რუსულ სულს" (როგორც იტყოდნენ რუსი მოაზროვნეები) არ შორდებოდა რწმენა, რომ რუსეთის ყველა დიდი გასაჭირი და დაბრკოლება ერთ მშვენიერ დღეს გადაიჭრებოდა: რუსულ გზას, მის მიღწევებს ერთ დღესაც აღიარებენ, ხოლო დასავლეთის უპატივცემლობა გარდაიქმნება შიშად, რომელიც ბადებს აღფრთოვანებას. რუსეთი ერთხელაც შეაერთებს აღმოსავლეთის ძალასა და სივრცეს დასავლეთის დახვეწილობასთან, მორალურ სიძლიერესთან და ჭეშმარიტ რელიგიასთან. მოსკოვი კი იქნება „მესამე რომი", რომელსაც მემკვიდრეობით ერგო დაცემული ბიზანტიის მანტია, მისი მეფე კი „გახდება აღმოსავლეთ რომის კეისრების მემკვიდრე, ეკლესიისა და მისი საბჭოების დამაარსებელი და ქრისტიანული რწმენის პირველყოფილი კრედოს განმამტკიცებელი", იგი ითამაშებს გადამწყვეტ როლს,

უნივერსალური სამართლიანობისა და ძმობის ახალ ეპოქაში შესაბიჯებლად.

სწორედ ამ რუსეთმა, რომელიც ევროპაში მდებარეობდა, მაგრამ მთლიანად მაინც არ ეკუთვნოდა ევროპას, მისმა სივრცემ და მისტიკამ მიიზიდა ნაპოლეონი, სწორედ ამ სწრაფვამ გამოიწვია მისი დაცემა. (მის მსგავსად კი ჰიტლერისა, ერთ-ნახევარი საუკუნის შემდეგ), რადგან რუსეთმა აჩვენა, რომ მის გმირ და ამტან ხალხს ბევრ რამეზე შეეძლო უარის თქმა, ვიდრე ნაპოლეონის დიად არმიას (ან ჰიტლერის დივიზიებს). როდესაც რუსებმა მოსკოვის ოთხი მეხუთედი გადაწვეს, რათა ქალაქი ნაპოლეონს არ დაეპყრო და მისი ჯარები საჭიროებისამებრ არ მომარაგებულიყო, საფრანგეთის იმპერატორს სტრატეგიული მარცხი უღიარებია და უთქვამს: „ეს რა ხალხია, სკვითები ყოფილან! რამხელა ნებისყოფა ჰქონიათ ამ ბარბაროსებს!" ხოლო როდესაც სულ მალე ცხენებზე ამხედრებული კოზაკები პარიზში შამპანურს სვამდნენ, ამ უზარმაზარი ავტოკრატული წარმონაქმნის ჩრდილი დაეცა ევროპას, რომელსაც არ ძალუძდა ამ დიდი ძალის ამბიციებისა და მოქმედების მეთოდების განჭვრეტა.

ვენის კონგრესის დროს რუსეთი იყო კონტინენტის უდავოდ ყველაზე ძლიერი სახელმწიფო. მეფე ალექსანდრე, რომელიც თავის ქვეყანას წარმოადგენდა ვენის სამშვიდობო კონფერენციაზე, იქ მონაწილე ხელისუფალთა შორის ალბათ ყველაზე დიდ ძალაუფლებას ფლობდა. ღრმა, თუმცა ცვალებადი შეხედულებების მქონე მეფეს საკუთარი რელიგიური რწმენა განუწყვეტლივ ბიბლიის კითხვითა და სპირიტუალური კონსულტაციებით გაემდიდრებინა. როგორც 1812 წელს სწერდა ერთ თავის მეგობარს, დარწმუნებული იყო, რომ ნაპოლეონზე ტრიუმფი გახსნიდა გზას ახალი და ჰარმონიული, რელიგიურ პრინციპებზე დაფუძნებული სამყაროსკენ: „იესო ქრისტეს ნამდვილ მბრძანებლობას ვუძღვნი ჩემს მთელ ამქვეყნიურ

დიდებას", ამბობდა ის. მიიჩნევდა რა თავს ღვთიური ნების აღმსარებლად, ალექსანდრე 1814 წელს ვენაში ჩავიდა ახალი მსოფლიო წესრიგის გეგმით, რომლის უნივერსალურობაც ზოგიერთი თვალსაზრისით ნაპოლეონისაზე უფრო რადიკალური იყო: მას სურდა შეეკრა თავადების „საღვთო ალიანსი", რომელიც ეროვნულ ინტერესებს აქცევდა მშვიდობისა და სამართლიანობის ერთობლივ სწრაფვად და ამავე დროს ძალთა ბალანსის პრინციპის მაგივრად დაიცავდა ქრისტიანული ძმობის პრინციპებს. ალექსანდრემ ასეთი რამ განუცხადა შატობრიანს, ფრანგ როიალისტ ინტელექტუალს და დიპლომატს: „აღარ არსებობს ინგლისური პოლიტიკა, არც ფრანგული, რუსული, პრუსიული თუ ავსტრიული: არსებობს მხოლოდ ერთადერთი საერთო პოლიტიკა, რომელიც უნდა გაიზიაროს ყველა სახელმწიფომ და ხალხმა, საერთო კეთილდღეობის მისაღწევად". ამ განცხადებით მან ამერიკული უილსონიალიზმის მსოფლიო წესრიგის კონცეფციის წინამორბედი თეორია მოხაზა, მიუხედავად იმისა, რომ მისი პრინციპები რადიკალურად განსხვავდებოდა აშშ-ს პრეზიდენტის უილსონის თვალსაზრისისგან.

უეჭველია, რომ გეგმა, რომელიც კონგრესზე გაახმაურა გამარჯვებულმა სამხედრო ძალამ, რომლის არმია მთელ კონტინენტს იყო მოდებული, ნიშნავდა ბრძოლის გამოცხადებას სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსის ვესტფალიური კონცეფციის მიმართ; ლეგიტიმურობის გადახედვით კი რუსეთმა დიდი ძალაც აჩვენა. ალექსანდრემ ნაპოლეონის ომები პარიზში შესვლით დაასრულა, იგი თვითონ შეუძღვა თავის ჯარს საფრანგეთის დედაქალაქში და პარიზთან ახლოს, დიდ ზეგანზე ჩაატარა მანამდე არნახული, გრანდიოზული გამარჯვების აღლუმი, რომელშიც 160000 რუსი ჯარისკაცი მონაწილეობდა. ეს გახლდათ ძალის ისეთი დემონსტრაცია, მოკავშირეებსაც რომ ჰგვრიდა შიშს. თავის სულიერ მრჩე-

ველთან კონსულტაციის შემდეგ ალექსანდრემ ერთობლივი განცხადების გაკეთება შესთავაზა მოკავშირეებს, სადაც გამარჯვებულებს უნდა განეცხადებინათ, რომ „სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების უწინდელი კურსი სასწრაფოდ და ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო და დაკანონებულიყო ისეთი წესრიგი, რომელიც მხოლოდ მარადიული ღვთიური რელიგიით განმტკიცებულ სიმართლეს დაეყრდნობოდა“.

ვენის კოგრესის მონაწილეები აღმოჩნდნენ ამოცანის წინაშე, ისეთ კონცეფციად ექციათ ალექსანდრეს მესიანური ხედვა, რომელიც დაემთხვეოდა მათი ქვეყნების დამოუკიდებლობის სტატუსს. ისინი უნდა მისალმებოდნენ რუსეთის საერთაშორისო წესრიგის წევრად მიღებას და თან არ გაჭყლეტილიყვნენ მისი სიმძიმის ქვეშ.

ვენის კონგრესი

ვენაში სამშვიდობო წესრიგზე სამსჯელოდ შეკრებილ სახელმწიფო მოღვაწეებს თავზე ისეთმა ქარბუქმა გადაუარა, რომ ავტორიტეტის მანამდე არსებული თითქმის ყველა სტრუქტურა შეაზანზარა. ბოლო 25 წლის განმავლობაში მათ იხილეს, როგორ შეცვალა განმანათლებლობის გონიერება ტერორისკენ სწრაფვამ, ხოლო საფრანგეთის რევოლუციის მისიანორული აღფრთოვანება – ბონაპარტეს სამეფოს დამპყრობლურმა გაუმაძღრობამ. საფრანგეთის ძლევამოსილება იყო და გაქრა. იგი ჯერ გასცდა საფრანგეთის ძველ საზღვრებს და ფაქტობრივად, მთელი ევროპა მოიცვა, ბოლოს კი რუსეთის თვალუწვდენელ მიწაზე თითქმის არარაობად იქცა.

კონგრესზე საფრანგეთის დესპანი თავის პიროვნებაში მეტაფორულად აერთიანებდა ამ ეპოქის მთელ წინააღმდეგო-

ბებს. შარლ-მორის ტალეირან-პერიგო (ან ტალეირანი, როგორც მას იცნობდნენ) ყველაფრის მომსწრე იყო. მან კარიერა ოტუნის ეპისკოპოსის პოზიციაზე დაიწყო, მალე მიატოვა ეკლესია, რომ საფრანგეთის რევოლუციას დახმარებოდა, შემდეგ რევოლუციას ზურგი აქცია და ნაპოლეონის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, მერე ისიც მიატოვა და საფრანგეთის მონარქიის აღდგენას ცდილობდა და ბოლოს ვენაში შეკრებილთ ლუი XVIII-ს საგარეო საქმეთა მინისტრის ამპლუაში მოევლინა. ტალეირანს ბევრი ოპორტუნისტს უწოდებდა, თვითონ კი ამბობდა, მხოლოდ საფრანგეთის სტაბილურობას და ევროპის მშვიდობას ვესწრაფვოდი და ყველა შესაძლებლობა გამოვიყენე ამისთვისო. ტალეირანს მართლაც ხელეწიფებოდა ახლოდან დაკვირვებოდა ძალაუფლების და ლეგიტიმაციის სხვადასხვა შესაძლებლობას და თან მაინცდამაინც არ შეეზღუდა თავი მათგან. მხოლოდ მისნაირი გამორჩეული პიროვნება თუ შეძლებდა ამდენი მნიშვნელოვანი და ერთმანეთის საპირისპირო მოვლენის ცენტრში მოხვედრას.

ვენაში ტალეირანის წვლილი მდგომარეობდა საფრანგეთისთვის მშვიდობის მიღწევაში, ისე, რომ ხელშეუვალი დარჩენილიყო საგარეო თავგადასავლებამდელი „ძველი საზღვრები". მან სამ წელიწადზე ნაკლებ დროში მოახერხა, რომ 1818 წელს საფრანგეთი ოთხთა ალიანსში მიეღოთ. დამარცხებული მტერი იქცა ევროპული წესრიგის დამცავ მოკავშირედ. სხვათა შორის, ეს მოვლენა აღმოჩნდა გარკვეულწილად პრეცედენტული მაგალითი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ატლანტიკურ ალიანსში გერმანიის მიღებისას.

ვენის კონგრესმა შექმნა სამშვიდობო წესრიგი, რომელიც უნივერსალურ მმართველობასთან ყველაზე უფრო ახლოს იყო, რაც მანამდე ენახა ევროპას, კარლოს დიდის იმპერიის დაშლის შემდეგ. მან შექმნა კონსენსუსი, რომ მშვიდობიანი

განვითარება არსებული წესრიგის ფარგლებში არის საუკეთესო არჩევანი, რომ სისტემის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მასში აღმოცენებული კონფლიქტები და რომ დავები უმჯობესია კონსულტაციების საშუალებით მოგვარდეს და არა ომის გზით.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეს მოსაზრება საბოლოოდ დასამარდა და მოდურად იქცა კრიტიკა ვენის კონგრესის მიერ შემუშავებული წესრიგისა, რადგან იგი ვითომდა გადაჭარბებულად აფასებდა ძალთა ბალანსს. ამბობდნენ, რომ ამ სისტემის არსში ჩადებულმა ცინიკური მანევრების დინამიკამ მიიყვანა მსოფლიო ომამდე (ბრიტანეთის დელეგაციამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციისთვის დიპლომატსა და ისტორიკოსს, ს. კ. ვებსტერს სთხოვა მოემზადებინა მოხსენება ვენის კონგრესის შეცდომების თავიდან აცილების შესაძლებლობაზე; მას ამ თემაზე უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ნაშრომები). მაგრამ ეს მოსაზრება, უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის წინა ათწლეულზე შეიძლებოდა გავრცელებულიყო. პერიოდი 1815 წლიდან საუკუნეების გასაყარამდე იყო ყველაზე მშვიდობიანი დრო ევროპის ახალ ისტორიაში. უშუალოდ ვენის კონგრესის მომდევნო ათწლეულები გამოირჩეოდა ლეგიტიმურობასა და ძალაუფლებას შორის ბრწყინვალედ დაბალანსებული დამოკიდებულებით.

1814 წელს ვენაში შეკრებილი სახელმწიფო მოღვაწეები თავიანთ წინამორბედებთან შედარებით, ვინც ვესტფალიის ზავი შეიმუშავა, სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. საუკუნე-ნახევრით ადრე, ვესტფალიის ზავის ავტორებმა, საგარეო პოლიტიკის რამდენიმე ზოგად დებულებას დაუკავშირეს ხელშეკრულებათა მთელი რიგი, რომლებმაც გადაჭრა ოცდაათწლიანი ომის ცალკეული კონფლიქტები. ამგვარად აღმოცენებულმა ევროპულმა წესრიგმა ამოსავალ ნერტილად გაიხადა არსებული პოლიტიკური წარმონაქმნები,

რომლებსაც ჩამოაშორა რელიგიური მოტივები. ვესტფალიის პრინციპების განხორციელებას უნდა შეექმნა ძალთა ბალანსი კონფლიქტების თავიდან აცილების, ან სულ მცირე, მათი განმუხტვის მიზნით. შემდგომი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ამ სისტემამ შეძლო მოეთოკა ყველა, ვინც წონასწორობას ემუქრებოდა, რადგან ასეთი მისწრაფებების წინააღმდეგ მეტნაკლებად სპონტანურად იქმნებოდა კოალიციები.

ვენის კონგრესის მონაწილეები ამ წესრიგის ნანგრევების პირისპირ აღმოჩნდნენ. ძალთა ბალანსმა ვერაფერი დაუპირისპირა რევოლუციას თუ ნაპოლეონის სამხედრო დინამიკას. ნაპოლეონმა მძლავრად შეარყია სახელმწიფოს მართვის დინასტიური ლეგიტიმურობა, თავისი რევოლუციური სულისკვეთებით და სამხედრო მოხერხებულობით.

ძალთა ახალი ბალანსი უნდა შექმნილიყო სახელმწიფოთა სისტემის და საღვთო რომის იმპერიის ნანგრევებისგან, რომელთა ნაშთებიც ნაპოლეონმა 1806 წელს საბოლოოდ გაანადგურა და ამგვარად გაწყვიტა ინსტიტუციური მდგრადობის თითქმის ათასწლეულოვანი ისტორია. ამავე დროს, ყველგან იფეთქა ახალმა ნაციონალისტურმა მოძრაობამ, რაც გამოწვეული იყო საფრანგეთის არმიის მიერ კონტინენტის დიდი ნაწილების დაპყრობით. ახალ წონასწორობას უნდა აღეკვეთა საფრანგეთის ექსპანსიური მისწრაფებების გამოღვიძება, საფრანგეთმა ხომ თითქმის მოახერხა ევროპაში ჰეგემონიის დამყარება სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთი არანაკლებ საშიში გახდა კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში.

ამავე დროს, ცენტრალურ ევროპაშიც აღსადგენი იყო ძალთა ბალანსი. კონტინენტის ერთ დროს ყველაზე ძლევამოსილი ჰაბსბურგების დინასტია ახლა ვენიდან მართავდა მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებულ ზოგიერთ ტერიტორიას და ამ მრავალენოვანი ტერიტორიების (დაახლ. დღევანდელი ავსტრია, უნგრეთი, ხორვატია, სლოვენია და სამხრეთ პოლონეთი) ერ-

თობასაც საშიშროება ემუქრებოდა. ბევრი პატარა გერმანული სახელმწიფო, რომელთაც ოპორტუნისტული ლავირებით მიანიჭეს მოქნილობა მე-18 საუკუნეში ვესტფალიური სისტემის დიპლომატიას, ნაპოლეონის ომებმა შთანთქა. ეს ტერიტორიები ახალი წინასწორობის შესაბამისად უნდა გადანაწილებულიყო.

ვენის კონგრესზე დიპლომატიური შემოქმედების პროცესი ფუნდამენტურად განსხვავდებოდა 21-ე საუკუნის პრაქტიკისგან. დღევანდელ დიპლომატებს რეალურ დროში აქვთ კონტაქტი თავიანთ დედაქალაქებთან, ზუსტ ინსტრუქციებსა და წუთებში გაწერილ ტექსტებსაც კი იღებენ იქიდან სიტყვით გამოსვლებისთვის. თუმცა მათ მოსაზრებებს, დიდი სტრატეგიული თემების განხილვისას, იშვიათად ენიჭება რაიმე როლი, ისინი მხოლოდ ლოკალურ საკითხებს წყვეტენ მოლაპარაკებებისას. ვენაში მოღვაწე დიპლომატები კი ძალიან შორს იმყოფებოდნენ თავიანთი დედაქალაქებიდან. ვენიდან გაგზავნილ შეტყობინებას ოთხი დღე სჭირდებოდა, სანამ ბერლინში ჩააღწევდა (შესაბამისად, სულ ცოტა რვა დღე გავიდოდა, სანამ ისტრუქციებიანი შეტყობინება უკან დაბრუნდებოდა), პარიზამდე სამი კვირა იყო საჭირო, ლონდონამდე კიდევ უფრო მეტი. შესაბამისად, ინსტრუქციები ისეთი ზოგადი უნდა ყოფილიყო, რომ მდგომარეობის უეცარი ცვლილების შემთხვევაშიც გამოსდგომოდა მომლაპარაკებელს. დიპლომატები რჩევას იღებდნენ მხოლოდ გენერალური კონცეფციებისა და გრძელვადიანი ინტერესების გასახმაურებლად. ყოველდღიურ მოლაპარაკებებში კი მხოლოდ საკუთარი თავის იმედად იყვნენ. სამაგიეროდ, არავითარ რჩევას არ საჭიროებდა მეფე ალექსანდრე პირველი, რომელსაც ორთვიანი მოგზაურობა აშორებდა თავის დედაქალაქთან. მის ნებისმიერ ახირებას კანონის ძალა ჰქონდა რუსეთში, ვენის კონგრესი კი მისი მდიდარი ფანტაზიის ამოხსნას ანდომებდა უმეტეს დროს. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი კლემენს

ფონ მეტერნიხი – ალბათ ყველაზე გაქნილი და გამოცდილი მომლაპარაკებელი ვენაში – მეფეზე ამბობდა: „ნამდვილი პატივმოყვარეობისთვის ზედმეტად სუსტია, შიშველი ამპარტავნობისთვის კი ზედმეტად ძლიერი". ნაპოლეონი კი ამბობდა ალექსანდრეზე, არაჩვეულებრივი უნარები აქვს, მაგრამ მის ქმედებას „რაღაც" ყოველთვის აკლიაო. და რადგან ძნელი გამოსაცნობი იყო, როდის რა დააკლდებოდა მის ქმედებას, სრულიად შეუძლებელი იყო თავად მისი განჭვრეტაც. ტალეირანმა თავისი შეფასება უფრო მკაფიოდ გამოხატა: „ტყუილად კი არ იყო (გონებასუსტი) მეფე პავლეს ვაჟიო".

ვენის კონგრესის დანარჩენი მონაწილენი შეთანხმდნენ საერთაშორისო წესრიგის ძირითად პრინციპებზე, მათ შორის, ევროპაში ძალთა ბალანსის თავიდან დამყარების აუცილებლობაზე. მაგრამ ისინი ვერ შეთანხმდნენ ერთ საკითხში – როგორ უნდა განეხორციელებინათ ყოველივე ეს რეალურად, მათ ამოცანას წარმოადგენდა ძირეულად განსხვავებული ისტორიული გამოცდილებით განპირობებულ პოზიციათა შეთანხმება.

დიდი ბრიტანეთი, რომელსაც ლა-მანშის სრუტე მტერთაგან იცავდა და თანაც ფლობდა უნიკალურ შიდასახელმწიფოებრივ ინსტიტუციებს, რომელთაც ვერაფერს აკლებდა კონტინენტზე განვითარებული მოვლენები, სახელმწიფოთაშორის წესრიგს კონტინენტზე ჰეგემონიური საშიშროების პერსპექტივიდან განიხილავდა. ევროპის სახელმწიფოებში საფრთხის აღქმის თამასა თუმცა უფრო დაბალი იყო, მათ უსაფრთხოებას შეიძლებოდა ისეთი ტერიტორიული გადალაგებაც დამუქრებოდა, რომელიც სულაც არ ისახავდა მიზნად კონტინენტზე ჰეგემონიის მოპოვებას. ბრიტანელებისგან განსხვავებით, ისინი საშიშროებას მეზობელი ქვეყნების შიდაპოლიტიკურ ცვლილებებშიც ხედავდნენ.

ამიტომაც შეთანხმდნენ ვენის კონგრესზე დიპლომატები შედარებით იოლად ძალთა გენერალური ბალანსის განმარტებაზე. ჯერ კიდევ ომის დროს – 1804 წელს – გაახმაურა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, უილიამ პიტმა გეგმა, რომელსაც უნდა ჩაესწორებინა ვესტფალიის ზავის აშკარა ლაფსუსები. ვესტფალიის ხელშეკრულებით ცენტრალური ევროპის დაყოფას უნდა უზრუნველეყო საფრანგეთის პრივილეგია: პიტი ფიქრობდა, რომ დაპყრობის ცდუნების დასათრგუნად, ცენტრალური ევროპის პატარა სახელმწიფოების შერწყმით, უნდა შემქნილიყო „უფრო ფართო მასები“, კონტინენტის კონსოლიდაციისთვის (რასაკვირველია, ეს „კონსოლიდაცია“ ნაკლული იყო, რადგან დღევანდელი გერმანიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არსებობდა 37 პატარა ავტონომიური სახელმწიფო). პრუსია იყო ყველაზე რეალური კანდიდატი, რომელსაც შეიძლებოდა შეესრუტა პატარა სამთავროები. მიუხედავად იმისა, რომ პრუსიას ერჩივნა, მეზობელი საქსონია მიეერთებინა, დამორჩილდა ავსტრიისა და ბრიტანეთის ზეწოლას და რაინლანდით დაკმაყოფილდა. პრუსიის გაფართოებით საფრანგეთის საზღვრებს სახიფათო ძალა მიუახლოვდა, რამაც ისეთი გეოსტრატეგიული ვითარება შექმნა, რომლის მსგავსი ვესტფალიის ზავის შემდგომ აღარ არსებულა.

დანარჩენი 37 პატარა გერმანული სახელმწიფო გააერთიანეს კონფედერაციაში, რომელსაც გერმანიის კავშირი ეწოდა – პასუხად გერმანული დილემისა, რომელიც მუდამ აწუხებდა ევროპას: როცა გერმანია სუსტი იყო, პროვოცირებას უკეთებდა უცხოურ (უმეტესად ფრანგულ) ინტერვენციებს, როცა ერთიანდებოდა და ძლიერდებოდა და შეეძლო მარტოს დაემარცხებინა თავისი მეზობლები, ეს უკანასკნელნი ერთიანდებოდნენ მისგან მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად. ამ კუთხით თუ შევხედავთ, გერმანია ევროპის


ევროპა ვენის კონგრესის შემდეგ, 1815 წ.
შვედეთისა და ნორვეგიის გაერთიანებული სამეფო
ჩრდილოეთის ზღვა
დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის გაერთიანებული სამეფო
დანიის სამეფო
კოპენჰაგენი
ბალტიის ზღვა
მოსკოვი
N
ნიდერლანდების გაერთიანებული სამეფო
კიონიგსბერგი
რუსეთის იმპერია
0 მილი 300
0 კილომეტრი 300
ლონდონი
ამსტერდამი
ბერლინი
ვარშავა
პრუსიის სამეფო
პოლონეთის სამეფო
ბრიუსელი
სილეზია
ატლანტის ოკეანე
პარიზი
პრაღა
ბოჰემია
გერმანიის კონფედერაცია
უნგრეთი
საფრანგეთის სამეფო
ვენა
ბუდა
შვეიცარია
ავსტრია
ავსტრიის იმპერია
შავი ზღვა
ბულგარეთი
ბოსნია
ესპანეთის სამეფო
პიემონტ-სარდინიის სამეფო
პაპის ოლქი
რომი
კონსტანტინოპოლი
ოსმალეთის იმპერია
სიცილიის სამეფო
ხმელთაშუა ზღვა
ათენი
პირობითი ნიშნები
გერმანიის კონფედერაციის საზღვრები
სახელმწიფო საზღვრები

მშვიდობისთვის, დიდი ხნის განმავლობაში, ან ზედმეტად სუსტი იყო, ან ზედმეტად ძლიერი.

გერმანიის კავშირი, იმისათვის, რომ გარეთ აგრესიულად ემოქმედა, საკმარისად ერთიანი არ იყო, მაგრამ კავშირის ტერიტორიაზე უცხოური ინტერვენციების მოსაგერიებლად სახელმწიფოთა ერთობა კმაროდა. ამგვარ მოწყობას უნდა აღეკვეთა ინვაზიები ცენტრალურ ევროპაში და არ უნდა შეექმნა საშიშროება ორი ყველაზე ძლიერი, ევროპის ორ სხვადასხვა ბოლოში მდებარე ძალისთვის – რუსეთისთვის აღმოსავლეთში და საფრანგეთისთვის დასავლეთში.

ყოვლისმომცველი ტერიტორიული მოწყობის დასაცავად ოთხთა ალიანსში გაერთიანდნენ დიდი ბრიტანეთი, პრუსია, ავსტრია და რუსეთი. ამ კავშირის ცალკეულ ხელისმომწერთათვის განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა ტერიტორიულ გარანტიებს, რომელსაც ალიანსი ეყრდნობოდა; ასევე ძალზე განსხვავებული იყო მათ მიერ საშიშროების აღქმის ხარისხი. გარშემორტყმული ზღვით დაცული დიდი ბრიტანეთი თავს იკავებდა ზუსტი შეპირებების გაცემისგან მოსალოდნელი საფრთხეების მოსაგერიებლად და ერჩივნა მოეცადა, სანამ ევროპაში საშიშროება კონკრეტულ სახეს მიიღებდა. კონტინენტური ძალები კი ძალიან დაბლა სწევდნენ თამასას და მიაჩნდათ, რომ საფრთხე ემუქრებოდათ ისეთი ნაკლებ დრამატული მოვლენებისგანაც, რომელიც დიდ ბრიტანეთს საერთოდ არ შეუქმნიდა განგაშის განცდას.

კონტინენტის სახელმწიფოები, მაგალითად, საშიშროებად განიხილავდნენ რევოლუციას, რომელიც წამოჭრიდა კითხვას ლეგიტიმურობის შესახებ. განსაკუთრებით კონსერვატულ სახელმწიფოებს უნდოდათ ბასტიონები აღემართათ ახალი რევოლუციური ტალღის წინააღმდეგ. ისინი ცდილობდნენ მონარქიისთვის ჩვეული მექანიზმები გამოეყენებინათ შიდა წესრიგის სტატუს კვოს შესანარჩუნებლად. რუსეთის მეფის

იდეა იყო საღვთო ალიანსის აღჭურვა ისეთი მექანიზმით, რომელიც შიდაპოლიტიკურ სტატუს კვოს მთელ ევროპაში დაიცავდა. მისი პარტნიორები კი დახვეწილად სახეცვლილ საღვთო ალიანსში ხედავდნენ რუსეთის შემაკავებელ საშუალებას. ინტერვენციის უფლება შეიზღუდა, რადგან იგი მხოლოდ კავშირის ფარგლებში დაიშვებოდა (საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა). ამგვარად, ავსტრიამ და პრუსიამ რუსეთის მეფის ენთუზიასტური გეგმების წინააღმდეგ ვეტოს უფლება მოიპოვეს.

ვენის სისტემას სამგვარი ინსტიტუცია განამტკიცებდა: ოთხთა ალიანსი ტერიტორიულ წესრიგს იცავდა, საღვთო ალიანსი შინაგანი წესრიგის დარღვევის საფრთხეებს იგერიებდა, ხოლო სახელმწიფოთა მეთაურების სისტემატური დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს კენჭისყრების გამართვა საერთო მიზნებს სახავდა და შექმნილ კრიზისებს აგვარებდა. „დიდი სახელმწიფოების ევროპული სისტემა" გაეროს უშიშროების საბჭოს ერთგვარ წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. მის კონფერენციებზე განიხილებოდა კრიზისები, რომლის მოგვარების გზებსაც მონაწილეები ერთად ეძებდნენ: ნეპალის რევოლუცია 1820 წელს და ესპანეთის რევოლუცია 1820-1823 წლებში (რომელიც საღვთო ალიანსმა, უფრო სწორად, საფრანგეთმა ჩაახშო), საბერძნეთის რევოლუცია და თურქეთის წინააღმდეგ დამოუკიდებლობის ომი 1821-1832 წლებში (რომელსაც ბოლოს დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი უჭერდნენ მხარს). გინდაც ევროპის ქვეყნების ორკესტრს ერთ ხმაში დაკვრა არ შესძლებოდა, მან მაინც მოახერხა კრიზისების განმუხტვა და თანაც ისე, რომ არცერთი ქვეყანა ომში უშუალოდ არ ჩართულა.

ვენის სისტემის მუშაობის საუკეთესო მაგალითი იყო მისი რეაქცია ბელგიის რევოლუციაზე 1830 წელს, როდესაც უმეტესწილად ფრანგულენოვანი პროვინციები ნიდერლანდების გაერთიანებულ სამეფოს გამოეყვნენ. ბელგიის ტერიტორია

თითქმის მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა ევროპის დამორჩილების მსურველი არმიების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის სატრანზიტო გზას. დიდ ბრიტანეთს, რომლის გლობალური სტრატეგია ზღვებზე ბატონობა იყო, ბუნებრივი ინტერესი ამოძრავებდა, რომ მდინარე შელდას შესართავი და ანტვერპენის ნავსადგური, ანუ სრუტის მეორე მხარე, მისდამი კეთილგანწყობილ სახელმწიფოს გაეკონტროლებინა და არავითარ შემთხვევაში არ ჩავარდნოდა ხელში რომელიმე დიდ სახელმწიფოს. ამ მიზნით, ევროპული სახელმწიფოების ლონდონის კონფერენციამ ახალი მიდგომა შეიმუშავა: მან აღიარა ბელგიის დამოუკიდებლობა და ეს ქვეყანა გამოაცხადა „ნეიტრალურად" – ეს გახლდათ დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების სრულიად ახალი კონცეფცია; მათ შორის აქამდე მხოლოდ განზრახულობათა უნილატერალური შეთანხმებები არსებობდა. ახალშექმნილმა სახელმწიფომ მზადყოფნა გამოთქვა, პრინციპული უარი ეთქვა სამხედრო ალიანსებზე და არ მიეცა უცხოეთის ჯარებისთვის მის ტერიტორიაზე განლაგების უფლება. სამაგიეროდ, დიდმა სახელმწიფოებმა აღუთქვეს, რომ არ მოითმენდნენ ბელგიის ნეიტრალიტეტის ხელყოფას. ეს საერთაშორისო დონეზე გარანტირებული სტატუსი თითქმის საუკუნით შენარჩუნდა. და იგი გახდა მიზეზი პირველ მსოფლიო ომში ინგლისის ჩაბმისა, როდესაც საფრანგეთისკენ მიმავალმა გერმანიის ჯარებმა ბელგიის ტერიტორიაზე შეაბიჯეს.

საერთაშორისო წესრიგის სიცოცხლისუნარიანობა ლეგიტიმურობასა და ძალაუფლებას შორის ბალანსზე აისახება, ასევე, მათთვის მინიჭებულ მნიშვნელობაზეც. არცერთმა ასპექტმა არ უნდა შეუშალოს ხელი ცვლილებას, პირიქით, უნდა უზრუნველყოს, რომ ცვლილებები განვითარებას ნიშნავდეს და არა დაპირისპირებულთა გააფთრებულ ბრძოლას ინტერესების გასატანად. თუკი ძალაუფლება და ლეგიტიმურობა დაბალანსებულია, მოქმედებები ბუნებრივად ვითარდე-

ბა. ძალაუფლების დემონსტრირება თვალშისაცემი აღარაა და ძირითადად, სიმბოლურ ხასიათს ატარებს. რადგან ძალთა ურთიერთდამოკიდებულება ყოველმხრივ თვალსაჩინოა, არცერთი მხარე არ მიიჩნევს სავალდებულოდ მთელი რეზერვების მობილიზებას. მაგრამ თუ წონასწორობა დაირღვა და მუხრუჭები მოიშალა, სარბიელი ეხსნება ყველაზე მაქსიმალისტ და რადიკალურ აქტორებს. შემდეგ კი იმდენ ხანს ბატონობს ქაოსი, სანამ წესრიგის ახალი სისტემა არ შეიქმნება.

ძალთა წონასწორობა იყო ვენის კონგრესის ყველაზე გამორჩეული მიღწევა. ოთხთა ალიანსი ეფექტურად იცავდა ტერიტორიული წონასწორობის საკითხს ახალი გამოწვევებისგან. რევოლუციაგადატანილ, გასავათებულ საფრანგეთში ნაპოლეონის გახსენება აიძულებდა, ზედმეტად არ ეფაფხურა. ამავე დროს, მშვიდობისადმი პოზიტიურმა განწყობამ იმასაც შეუწყო ხელი, რომ საფრანგეთი მალევე შეუერთდა სახელმწიფოების ანსამბლს, თავიდან სწორედ მისი ამბიციების აღსაკვეთად რომ შეიქმნა. ხოლო ავსტრია, პრუსია და რუსეთი, რომლებიც, წესით, ძალთა ბალანსის პრინციპების მიხედვით, ერთმანეთის მეტოქეები უნდა ყოფილიყვნენ, ფაქტობრივად, საერთო პოლიტიკას ახორციელებდნენ: ავსტრიამ და რუსეთმა მართლაც გადაავადეს თავიანთი გეოპოლიტიკური კონფლიქტი, რადგან ორივეს ერთნაირად აწუხებდა სამოქალაქო დაპირისპირების შიში. 1848 წლის წარუმატებელი რევოლუციების შემდეგ, რომელთაც შეარყიეს ლეგიტიმურობის საყრდენი, ნაკლებად განიხილებოდა წონასწორობის საკითხი, უფრო აქტუალური იყო წინაპირობა, რომლის საშუალებითაც მონაწილეები უპირატესობის მოსაპოვებლად უნდა მომზადებულიყვნენ.

როდესაც სიმძიმის ცენტრმა ძალაუფლების ელემენტისკენ გადაინაცვლა, აშკარად გამოიკვეთა დიდი ბრიტანეთის, როგორც დამაბალანსებელი ძალის მნიშვნელობა. ბრიტანეთის დამაბალანსებელი როლი განისაზღვრებოდა მისი თავისუფალი მოქმედების უნარით და პირველობის სურვილით.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა (და შემდგომში პრემიერ-მინისტრმა) ლორდ პალმერსტონმა 1841 წელს თავისი სახელმწიფოს პრივილეგიის კლასიკური მაგალითი გვიჩვენა: როდესაც მან შეიტყო, რომ რუსეთის მეფე პრინციპულ ძალისხმევას სთხოვდა ბრიტანელებს „ევროპის თავისუფლებაზე საფრანგეთის სავარაუდო შეტევის გამო", პალმერტსონმა უპასუხა, რომ დიდი ბრიტანეთი „ერთი სახელმწიფოს მცდელობას, დაიპყროს და მიითვისოს მეორის ტერიტორია" მიიჩნევს საფრთხედ, რადგან „ძალთა არსებული წონასწორობა დაირღვევა და გახშირდება სხვა სახელმწიფოების მიმართ მუქარის გამო, რაც დაუბრკოლებლად აღსრულდება კიდეც სახელმწიფოთა შორის ძალთა თანაფარდობის დარღვევით". მისი კაბინეტი კი ვერ შეუერთდება ოფიციალურ ალიანსს საფრანგეთის წინააღმდეგ, რადგან „ინგლისს არ სჩვევია პასუხისმგებლობა აეღოს ხიფათზე, რომელიც ჯერ არ მომხდარა ან ჯერ არ იკვეთება". სხვა სიტყვებით: არც რუსეთსა და არც საფრანგეთს არ უნდა ჰქონოდათ ბრიტანეთის მხარდაჭერის იმედი ურთიერთკონფლიქტში. ორივე ქვეყანას უნდა ევარაუდა, რომ დიდი ბრიტანეთი მათ დაუპირისპირდებოდა, თუკი ევროპაში ძალთა წონასწორობას საფრთხე დაემუქრებოდა.

საერთაშორისო წესრიგის წინაპირობანი

მე-19 საუკუნის შუა წლებში ვენის კონგრესზე შექმნილი წონასწორობის დახვეწილმა ფორმამ ცვეთის პირველი ნიშნები გამოავლინა, რამაც, თავის მხრივ, სამი რამ გამოიწვია: ნაციონალიზმის აღზევება, 1848 წლის რევოლუცია და ყირიმის ომი.

ნაპოლეონის დამპყრობლური ომების გავლენით, ბევრმა ხალხმა, საუკუნეთა განმავლობაში ერთად რომ ცხოვრობდა,

თავიანთი მმართველების „უცხოდ" აღქმა დაიწყეს. ამ ტენდენციის მოციქული გახდა გერმანელი ფილოსოფოსი, იოჰან გოთფრიდ ფონ ჰერდერი, რომელიც ამბობდა, რომ ყოველი ერი, რომელიც განისაზღვრება ენით, სამშობლოთი და ეროვნული კულტურით, ფლობს პირველყოფილ გენიას და, შესაბამისად, აქვს თვითგამორკვევის უფლება. იგივე თემა სხვანაირად ჩამოაყალიბა ამერიკელმა ისტორიკოსმა ჟაკ ბარზენმა:

> თეორიას ამყარებდა ერთი ფაქტი: რევოლუციისა და ნაპოლეონის არმიებმა ევროპის მენტალური რუკა ახლებურად ჩამოაყალიბეს. მე-18 საუკუნის დინასტიების და კოსმოპოლიტური ზედა ფენების ჰორიზონტალური სამყაროს მაგივრად დასავლეთი ახლა ვერტიკალური ერთეულებისგან შედგებოდა – ერებისგან, რომლებიც მთლიანად სეპარატული არა, მაგრამ განსხვავებულები იყვნენ.

ლინგვისტური ნაციონალიზმი ტრადიციულ სამეფოებს – განსაკუთრებით ავსტრია-უნგრეთის მონარქიას – იოლად უქმნიდა შიდა დაძაბულობის კერებს და მეზობელი სახელმწიფოებისგანაც საფრთხე ღვივდებოდა, რადგან ეს სახელმწიფოები მოცემული იმპერიის ქვეშევრდომებთან ტრადიციულ კავშირებს იჩემებდნენ.

ნაციონალიზმის აღზევებამ მეტად ავნო პრუსიასა და ავსტრიას შორის ურთიერთობებს, განსაკუთრებით ვენის კონგრესის მიერ „დიდი მასების" შექმნის შემდეგ. ცენტრალურ ევროპაში ორი დიდი გერმანული სახელმწიფოს მეტოქეობა და გერმანული კავშირის დაახლოებით 35 პატარა სახელმწიფოს ერთგულება ცენტრალური ევროპის დასაცავად თავდაპირველად კონტროლს ექვემდებარებოდა. გარდა ამისა, ტრადიციულად, მოწინება არ ქრებოდა იმ ქვეყნის მიმართ, რომლის მბრძანებელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში

იყო რომაელ-გერმანელი იმპერატორი. გერმანიის კავშირის შეკრება (გერმანიის კავშირის 37 წევრის წარგზავნილთა მუდმივი კონგრესი) ფრანკფურტში, ავსტრიის საელჩოში შედგა, ავსტრიის ელჩის თავმჯდომარეობით.

ამასობაში პრუსიამ პრეტენზია განაცხადა განსაკუთრებული პოზიციის დასაკავებლად. მიუხედავად მეჩხერი დასახლებისა და გადაჭიმული საზღვრებისა, პრუსიამ მაინც მოახერხა დიდ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო, რადგან მისმა ლიდერებმა საუკუნეთა განმავლობაში შეძლეს შესაძლებლობათა ზღვარი ეკონტროლებინათ. პრუსიის პრემიერ-მინისტრმა, ოტო ფონ ბისმარკმა (პრუსიის ლიდერმა, რომელმაც ეს პროცესი კულმინაციამდე მიიყვანა), ამგვარი განვითარება შემდეგნაირად ახსნა: „ქვეყანას ზედიზედ მართავდა რამდენიმე ძლიერი, პრინციპული და ჭკვიანი რეგენტი; ისინი გონივრულად განკარგავდნენ და მაქსიმალურად ზოგავდნენ სახელმწიფოს სამხედრო და ფინანსურ შესაძლებლობებს, რათა ხელსაყრელი ვითარებისას საოცარი სიმამაცით ჩაერთოთ თავიანთი რესურსები ევროპულ პოლიტიკაში".

ვენის შეთანხმებამ პრუსიის ისედაც ძლიერი სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურა ახალი გეოგრაფიული შანსების მინიჭებით გააძლიერა. მდინარე ვისლადან მდინარე რაინამდე გადაჭიმული პრუსიის სახელმწიფო გერმანელებისთვის, მათი ისტორიის განმავლობაში, პირველი გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის იმედს განასახიერებდა. ათწლეულების განმავლობაში პრუსიის გარკვეულწილად დაქვემდებარებამ ავსტრიულ პოლიტიკაზე ისეთი დაპირისპირება გამოიწვია, რომ პრუსია კონფრონტაციას სულ უფრო ნაკლებად ერიდებოდა.

1848 წლის რევოლუციები ვირუსივით მოედო ევროპის ყველა დიდ ქალაქს. მოძლიერებულ საშუალო ფენას სურდა ლიბერალური რეფორმები მოეთხოვა თავისი ჯიუტი მთა-

ვრობებისგან, ძველ არისტოკრატიულ წესრიგს კი სწრაფად მზარდი ნაციონალური მისწრაფებების ძალა ემუქრებოდა. თავიდან, აჯანყებებმა ყველა წინააღმდეგობა დასძლია და ცეცხლივით მოედო მსოფლიოს – პოლონეთიდან კოლუმბიასა და ბრაზილიამდე (ეს სამეფო ნაპოლეონის ომების დროს პორტუგალიის გადასახლებაში მყოფი მთავრობის რეზიდენციას წარმოადგენდა და ახალი მოპოვებული ჰქონდა დამოუკიდებლობა). საფრანგეთში ისტორია მეორდებოდა – ნაპოლეონის ძმისშვილი ჯერ სახელმწიფოს პრეზიდენტი გახდა, შემდეგ კი, პლებისციტის საფუძველზე, იმპერატორი ნაპოლეონ მესამე.

სწორედ ასეთი აჯანყებების აღსაკვეთად შეიქმნა საღვთო ალიანსი, მაგრამ ბერლინსა და ვენაში მმართველები ვერ შეთანხმდნენ ერთიან პოზიციაზე, რათა აღეკვეთათ დიდი ხანძარი და მისი შედეგები. რუსეთი უნგრეთის რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერია და ავსტრიის მმართველობა გადაარჩინა. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ძველ წესრიგს საკმარისი ძალა აღმოაჩნდა რევოლუციური კრიზისის დასაძლევად. მაგრამ თავდაჯერებულობა, რომელიც გარდასულ ეპოქაში ჰქონდა, ველარასოდეს დაიბრუნა.

საბოლოოდ, ყირიმის ომმა, 1853-1856 წლებში, დაარღვია კონსერვატიული ქვეყნების – ავსტრიის, პრუსიისა და რუსეთის ერთობა – ვენაში შეთანხმებული საერთაშორისო წესრიგის ორიდან ერთი საყრდენი. ამ კავშირმა რევოლუციების დროს დაიცვა არსებული ინსტიტუციები და იზოლაციაში მოაქცია მშვიდობის დამრღვევი საფრანგეთი. უკვე ახალი ნაპოლეონი ეძებდა მრავალი მიმართულებით თავისი მდგომარეობის გამყარების შანსს. სწორედ ყირიმის ომმა დაანახა მას იზოლაციიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა – თუ შეეკვრებოდა ბრიტანელებს, რომლებიც, ტრადიციულად, სულ ცდილობდნენ რუსეთი არ გაჭრილიყო კონსტანტინოპოლისაკენ და ხმელთაშუა ზღვისკენ. ამ ალიანსმა რუსეთი კი შეაჩერა,

მაგრამ მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობების სერიოზული დაზიანების ფასად.

კონფლიქტი არ დაწყებულა ყირიმის გამო, რომელიც რუსეთმა მე-18 საუკუნეში ოსმალეთის ვასალებს გამოგლიჯა, არამედ დაიწყო ფრანგებსა და რუსებს შორის დაპირისპირებით იმის თაობაზე, რომ ოსმალეთის იურისდიქციის ქვეშ მყოფ იერუსალიმში უნდა გაძლიერებულიყო პრივილეგირებული ქრისტიანული კონფესიების უფლებები. დავა, ორთოდოქს ქრისტიანობას უფრო ეკუთვნოდა წმინდა ადგილებზე წვდომა, თუ კათოლიკურს, მეფე ნიკოლოზ პირველმა გამოიყენა ოსმალეთის იმპერიაში ყველა ორთოდოქსი ქვეშევრდომის „დამცველის" პრეტენზიის გასაცხადებლად. მოსახლეობის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიებზე ცხოვრობდა. მოთხოვნა, რომელიც სხვას არაფერს ნიშნავდა, გარდა სუვერენული უცხო სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებისა და ჩამოყალიბებული იყო უნივერსალური მორალური პრინციპების მოშველიებით, სინამდვილეში ოსმალეთის იმპერიის სუვერენიტეტის გულს ეხებოდა. ოსმალებმა უარი შეუთვალეს რუსეთს, რუსებმა კი ბალკანეთზე სამხედრო ძალით შეჭრა გაბედეს და სამხედრო-საზღვაო ოპერაცია ჩაატარეს შავ ზღვაზე. ექვსი თვის შემდეგ ბრიტანეთი და საფრანგეთი ოსმალების მხარეს ჩაერთვნენ ომში, რადგან შეეშინდათ ოსმალეთის იმპერიის და მასთან ერთად ევროპული ბალანსის ჩამოშლის.

ამგვარად დაიშალა ვენის კონგრესის ალიანსური სისტემები. ამ ომს ყირიმის ომი დაერქვა, რადგან საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის ძალები ყირიმის ნახევარკუნძულზე გადავიდნენ, რათა აეღოთ რუსეთის ფლოტის სამხედრო პორტი სევასტოპოლი. რუსეთის სამხედრო ძალები თერთმეტი თვის განმავლობაში არ დანებდნენ დამპყრობლებს, შემდეგ კი თავიანთი გემები ჩაძირეს. პრუსიამ ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა.

ავსტრიამ დაუყოვნებლივ გადაწყვიტა რუსეთის იზოლაციით ესარგებლა და მობილიზაციაში მოიყვანა ბალკანეთზე განლაგებული თავისი ჯარები, ამ ტერიტორიაზე საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. „ჩვენ ჩვენი უმადურობით მსოფლიოს გავაოცებთ", აღნიშნა ავსტრიის პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა, თავადმა შვარცენბერგმა რუსეთის თხოვნაზე, დახმარებოდა მას ბრიტანელებისა და ფრანგების წინააღმდეგ. ამის მაგივრად ავსტრია ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბრძოლას ისეთი დიპლომატიური ღონისძიებებით უჭერდა მხარს, რომლებიც ულტიმატუმს უფრო ჰგავდა.

რუსეთის იზოლაციის მცდელობა ავსტრიის იზოლაციით დასრულდა. ორ წელიწადში ნაპოლეონ მესამე შეიჭრა ავსტრიის კუთვნილ იტალიურ ტერიტორიებზე, რათა იტალიის გაერთიანებას დახმარებოდა. რუსეთმა ნეიტრალური პოზიცია აირჩია. გერმანიაში პრუსიამ მოიპოვა მოქმედების თავისუფლება. ერთი ათწლეულის შემდეგ ოტო ფონ ბისმარკმა გერმანული სახელმწიფოები გაერთიანების პლაცდარმზე აიყვანა და ავსტრიას ჩამოართვა გერმანულ-ნაციონალური მისწრაფებების მედროშის როლი – ამჯერადაც რუსეთის თანხმობით. ავსტრია გვიან მიხვდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში სანდოობა უფრო დიდი კაპიტალია, ვიდრე ტაქტიკური მოქნილობა.

მეტერნიხი და ბისმარკი

გერმანიასა და ევროპაში მიმდინარე ცვლილებებს უპირველესად ორი სახელმწიფო მოღვაწე ქმნიდა და იყენებდა: ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი კლემენს ფონ მეტერნიხი და პრუსიის პრემიერ-მინისტრი და შემდგომში გერმანიის რაიხის კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი. მე-19 საუკუნის ცენტრალური

ევროპის ეს ორი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო მოღვაწე განასახიერებდა წინააღმდეგობას, რომელიც ცხადყოფდა, როგორ გადაიწია ევროპის საერთაშორისო წესრიგის სიმძიმის ცენტრმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ლეგიტიმურობიდან ძალაუფლების სასარგებლოდ. ორივე სახელმწიფო მოღვაწეს ტიპურ კონსერვატორებად მიიჩნევდნენ მათი თანამედროვენი და ორივე მათგანი ძალთა ბალანსის ბრწყინვალე მოთამაშედ შემორჩა ისტორიას, – სრულიად სამართლიანად. მაგრამ საერთაშორისო წესრიგის მათი კონცეფციები რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ძალთა ბალანსსაც სრულიად განსხვავებული მიზნებით ახორციელებდნენ, რაც ევროპულ და მსოფლიო მშვიდობაზე საკმაოდ კონტრასტულ გავლენას ახდენდა.

მეტერნიხის არჩევა უკვე მოწმობდა მე-18 საუკუნის საზოგადოების კოსმოპოლიტურ მოწყობას. მეტერნიხი რაინლანდში, საფრანგეთის საზღვართან ახლოს დაიბადა და სტრასბურგსა და მაინცში მიიღო განათლება. ავსტრია პირველად 13 წლის ასაკში იხილა, ხოლო 17 წლისა პირველად გადავიდა იქ საცხოვრებლად. მეტერნიხი 1809 წელს გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი, 1821 წელს კი სახელმწიფო კანცლერი და ამ მოვალეობას 1848 წლამდე ასრულებდა. ბედმა მეტერნიხი იმ დროს ატყორცნა უძველესი იმპერიის სათავეში, როდესაც ქვეყნის ჩამოშლა იწყებოდა. ერთ დროს ევროპის ყველაზე ძლიერი და საუკეთესოდ მართული ავსტრია ამასობაში მძიმე სიტუაციაში აღმოჩენილიყო და ცენტრალური მდებარეობის გამო, მკაფიოდ გრძნობდა ყველა ევროპულ რყევას. მის მრავალენოვან მოსახლეობას ნაციონალიზმის მანამდე არნახულმა ტალღამ გადაუარა. მდგრადობა და სანდოობა გახდა მეტერნიხის პოლიტიკის ლაიტმოტივი.

> სადაც ყველაფერი ირყევა, უპირველესად საჭიროა, რომ რაღაც მაინც, სულერთია, რა – იდგეს მყარად, რომ მაძიებელი ადამიანი დაეყრდნოს, დაბნეულმა კი თავი შეაფაროს.

მეტერნიხი განმანათლებლობის პირმშო იყო, მის ჩამოყალიბებაზე უფრო მეტად გონიერების მიმდევარმა ფილოსოფოსებმა მოახდინეს გავლენა, ვიდრე სამხედრო ძალის მომხრეებმა. მეტერნიხი უარყოფდა მოულოდნელი პრობლემების უსწრაფესად მოგვარების გზების დაუოკებელ ძიებას და სიმართლისადმი სწრაფვა მიაჩნდა სახელმწიფო მოღვაწის მთავარ ამოცანად. იგი ილუზიად აღიქვამდა რევოლუციონერთა მოსაზრებას, რომ ყველაფერი, რისი წარმოდგენაც შესაძლებელია, შესაძლებელია აღსრულდეს კიდეც. სიმართლემ უნდა წარმოაჩინოს ადამიანის ბუნების და საზოგადოების სტრუქტურის უფრო ღრმა რეალობა – ფიქრობდა ის. ყველაფერი, რაც ისწრაფვის უფრო დიდი ცვლილებებისკენ, აზიანებს მის საფუძველში არსებული იდეალების ნამდვილობას. ამ გაგებით „გამოგონება ისტორიის მტერია, რომელიც მხოლოდ აღმოჩენებს ცნობს, აღმოჩენა კი მხოლოდ ისეთი რამის შეიძლება, რაც მართლაც არსებობს".

მეტერნიხისთვის ავსტრიის ეროვნული ინტერესი ევროპის საერთო ინტერესის მეტაფორას წარმოადგენდა – კერძოდ, თუ როგორ შეიძლება გაერთიანდნენ უამრავი რასები, ხალხები და ენები ერთ საერთო სტრუქტურაში, რომელიც მათი მემკვიდრეობის, რწმენის და წეს-ჩვეულებების მრავალფეროვნებას და მსგავსებას დაიცავს. შესაბამისად, ავსტრიის ისტორიული როლი მდგომარეობდა პლურალიზმის და, ამდენად, ევროპის მშვიდობის დაცვაში.

ბისმარკი კი პრუსიული სოფლის არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო, ბევრად უფრო ღარიბი და აშკარად ნაკლებად

კოსმოპოლიტურად განწყობილი, ვიდრე დასავლეთ გერმანიის არისტოკრატია. მაშინ, როდესაც მეტერნიხი განგრძობითობას იცავდა და ევროპული საზოგადოების უნივერსალური იდეის აღდგენას ცდილობდა, ბისმარკმა თავისი დროის ყველა ბრძნულ კონცეფციას ომი გამოუცხადა. სანამ იგი ასპარეზზე გამოვიდოდა, თავისთავად ცხადად მიიჩნეოდა, რომ გერმანიის გაერთიანება, თუკი ეს საერთოდ მოხდებოდა, ნაციონალიზმის და ლიბერალიზმის შერწყმით უნდა მომხდარიყო. ბისმარკს სურდა დაემტკიცებინა საპირისპირო, რომ ამ ორი მიმდინარეობის გაყოფა შესაძლებელი იყო: რომ წესრიგი საღვთო ალიანსის პრინციპების გარეშეც შენარჩუნდებოდა, რომ ახალი წესრიგი დამყარდებოდა კონსერვატორების მიერ ნაციონალიზმისკენ მოწოდებით და რომ ევროპული წესრიგის კონცეფცია მხოლოდ ძალაუფლების შეფასებას შეიძლებოდა დაყრდნობოდა.

ამ ორი, მეტად მნიშვნელოვანი ფიგურის განსხვავებული მოსაზრებები საერთაშორისო წესრიგის არსის შესახებ, აისახა მათ მიერ ეროვნული ინტერესების განსაზღვრებაში. მეტერნიხისთვის წესრიგი განმტკიცდებოდა არა იმდენად ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, არამედ, უფრო მეტად, ეროვნული ინტერესის სხვა სახელმწიფოების ინტერესებთან დაკავშირების უნარით:

> პოლიტიკური მეცნიერების დიდი აქსიომები გამომდინარეობს ***ყველა*** სახელმწიფოს ჭეშმარიტი პოლიტიკური ინტერესების შეცნობიდან; საყოველთაო ინტერესში ძევს მათი არსებობის გარანტია; ხოლო ცალკეული ინტერესები, რომელთაც ყოველდღიური ან წარმავალი პოლიტიკური მოძრაობა ხანდახან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და რომელთა შენარჩუნებაც ახლომხედველ პოლიტიკოსს ხშირად პოლიტიკურ სიბრძნედ მიაჩნია,

> მხოლოდ შედარებითი და მეორადი ფასეულობაა. (...) უახლესი ისტორია გვიჩვენებს სახელმწიფოთა შორის სოლიდარობის და წონასწორობის პრინციპების გამოყენების მაგალითს და სახელმწიფოთა გაერთიანებულ ძალისხმევას საერთო სამართლებრივი სივრცის აღსადგენად.

ბისმარკი არ ეთანხმებოდა თვალსაზრისს, რომ ძალაუფლება შეიძლება შეიზღუდოს მასზე უფრო მკაცრი პრინციპების საშუალებით. მისი ცნობილი მაქსიმები გამოხატავს რწმენას, რომ უსაფრთხოება მიიღწევა მხოლოდ ძალაუფლების თავისებურებათა სწორი შეფასებით:

> სენტიმენტალური პოლიტიკა არ ცნობს ნაცვალგებას ... ყველა მთავრობა მხოლოდ საკუთარი ინტერესებით შემოიფარგლება, რაც არ უნდა მოინდომოს მისი სამართლებრივი შენიღბვა... ღვთის გულისათვის, ოღონდაც არა სენტიმენტალური ალიანსები, სადაც კეთილი საქმე იქცევა კეთილშობილი თავგანწირვის ჯილდოდ. დიდი სახელმწიფოს ერთადერთი ჯანსაღი საყრდენი... არის სახელმწიფო ეგოიზმი და არა რომანტიზმი... მადლიერებას და ნდობას ჯერ არავინ გაუყვანია ბრძოლის ველზე; მხოლოდ შიშს შეუძლია ეს, თუკი ფრთხილად და მოხერხებულად გამოიყენებ მას... პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა, ფარდობითობის მეცნიერება.

საბოლოო გადაწყვეტილებები მკაცრად არის დამოკიდებული მათი სარგებლიანობის შეფასებაზე. ევროპული წესრიგი, რომელსაც მე-18 საუკუნეში საათის დიდ, კლასიკურ მრავალნაწილიან მექანიზმს ადარებდნენ, ჩაანაცვლა დარვინისტულმა სამყარომ, სადაც ის უფრო გადარჩებოდა, ვინც უკეთ მოერგებოდა ვითარებას.

ძალთა ბალანსის დიდემები

1862 წელს პრუსიის პრემიერ-მინისტრად დანიშვნისთანავე, ბისმარკმა თავისი მოსაზრებების განხორციელება და ევროპული წესრიგის შეცვლა დაიწყო. ყირიმის ომმა ორად გახლიჩა აღმოსავლეთის კონსერვატორული მონარქიები, საფრანგეთი იზოლაციაში მოაქცია მისი ახალი ლიდერის, ნაპოლეონ მესამის გამოჩენით გაღვიძებულმა მოგონებებმა, ავსტრია კი თავის ნაციონალურ და ინტერნაციონალურ როლებს შორის მერყეობდა. ამ ვითარებაში დაინახა ბისმარკმა შესაძლებლობა, პირველად ისტორიის განმავლობაში შეექმნა ეროვნული გერმანული სახელმწიფო. მან 1862-1870 წლებში, რამდენიმე გაბედული სვლით, პრუსია მოაქცია გაერთიანებული გერმანიის სათავეში, თვით გერმანია კი წესრიგის ახალი სისტემის ცენტრში.

დიზრაელიმ, 1871 წელს, გერმანიის გაერთიანებას „საფრანგეთის რევოლუციაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა" უწოდა და დაასკვნა, რომ „ძალთა წონასწორობა საბოლოოდ დაირღვა". ვესტფალიის ზავის და ვენის კონგრესის ევროპული წესრიგი დაქუცმაცებულ ცენტრალურ ევროპას ეყრდნობოდა, რომლის დაპირისპირებული ძალებიც – მრავალრიცხოვანი გერმანული სახელმწიფოები, აგრეთვე, პრუსია და ავსტრია – ერთმანეთს აბალანსებდნენ. გერმანიის გაერთიანებით შეიქმნა დომინანტური სახელმწიფო, რომელიც საკმაოდ ძლიერი იყო იმისთვის, რომ ცალ-ცალკე დაემარცხებინა ყველა მეზობელი და, ალბათ, კონტინენტის ყველა ქვეყანა ერთად. ლეგიტიმურობის ჯაჭვი გაწყდა. ახლა ყველაფერი ძალაუფლების პოლიტიკურ გათვლებზე იყო დამოკიდებული.

ბისმარკის კარიერის უდიდესმა ტრიუმფმა გაართულა ძალთა მოქნილი ბალანსის მოქმედება, უფრო მეტიც, შეუძლებელი გახადა იგი. საფრანგეთის სასტიკი დამარცხება

1870-1871 წლების პრუსია-საფრანგეთის ომში, რომელშიც ბისმარკმა საფრანგეთი მოხერხებულად ჩაითრია, დამთავრდა ელზასისა და ლოტარინგიის ანექსიით, ზარალის ანაზღაურებით და 1871 წელს ვერსალის სასახლის სარკეებიან დარბაზში საფრანგეთის დამცირებით – გერმანიის სამეფო რაიხის გამოცხადებით. ევროპის ახალი წესრიგი ახლა მხოლოდ ხუთ ძლიერ სახელმწიფოს ითვლიდა, რომელთაგან ორი (საფრანგეთი და გერმანია) ხანგრძლივად მტრობდნენ ერთმანეთს.

ბისმარკის შეხედულებით, ევროპის შუაგულში მდებარე პოტენციურად ძლიერ სახელმწიფოს, მუდამ შეუქმნიდა საფრთხეს ყველა დანარჩენის მის წინააღმდეგ გაერთიანება – დაახლოებით იმგვარად, როგორც ეს მოხდა მე-18 საუკუნის დასაწყისში ლუი მეთოთხმეტეს წინააღმდეგ და მე-19 საუკუნის დასაწყისში, ნაპოლეონ პირველის წინააღმდეგ. მხოლოდ განსაკუთრებული თავშეკავება დააოკებდა მეზობლების კოლექტიურ ანტაგონიზმს. ამიტომაც ბისმარკმა ყველა ძალისხმევა იქით მიმართა, რომ ჭკვიანური დიპლომატიური მანევრებით წინასწარ აღეკვეთა "cauchemar des coalitions" (კოალიციების კოშმარი) – იგი თავად მუდამ ამ ფრანგულ გამოთქმას ხმარობდა. ბისმარკის მოსაზრებით, ხუთი სახელმწიფოს სამყაროში, ყოველთვის ჯობია სამთა კავშირს ეკუთვნოდე. ამ დოქტრინამ თავბრუდამხვევი სისწრაფით გამოიწვია კავშირების შექმნა – რომელთაგან ზოგი ემთხვეოდა ერთმანეთს, ზოგი კი ეწინააღმდეგებოდა (მაგალითად ავსტრიასთან ალიანსი და უკუდაზღვევის ხელშეკრულება რუსეთთან). ამ პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა სხვა დიდი სახელმწიფოებისთვის (დანასისხლად გადაკიდებული საფრანგეთის გარდა) გერმანიის რაიხთან თანამშრომლობის ხიბლის წარმოჩენა, მის წინააღმდეგ ალიანსების შექმნის მაგივრად.

ვენის კონგრესმა ვესტფალიის სისტემა დროის ახალ მოთხოვნებს მოარგო. მისი გენიალურობა მდგომარეობდა მის

მოქნილობასა და პრაგმატიზმში: ეკუმენური გათვლების წყალობით, ვესტფალიის სისტემა თეორიულად ყველა რეგიონში განივრცობოდა და შესაძლებელს ხდიდა სახელმწიფოების ყველანაირ კომბინაციას. ეს მოქნილობა გაერთიანებული გერმანიის და მისი მტერი საფრანგეთის გამო დაიკარგა. მხოლოდ ბისმარკის გენია თუ მოახერხებდა ერთმანეთის დამაბალანსებელი კავშირების ქსელის შენარჩუნებას, რომელიც ძალთა წონასწორობას უზრუნველყოფდა – ეს იყო ვირტუოზული სვლა, რომლითაც რაიხის კანცლერმა თავისი მმართველობის პერიოდში მოახერხა დიდი კონფლიქტის თავიდან აცილება. მაგრამ ქვეყანა, რომელსაც საკუთარი უსაფრთხოებისთვის ყოველ თაობაში ახალი დიდი პოლიტიკური გენიოსის დაბადება სჭირდება, ისეთ მოთხოვნას უყენებს თავის თავს, რომელთა შესრულებაც არცერთ საზოგადოებას არ ხელეწიფება.

1890 წელს ბისმარკის იძულებითი გადადგომის შემდეგ (რასაც წინ უძღოდა დაპირისპირება კაიზერ ვილჰელმ მეორესთან, მისი უფლებამოსილების თაობაზე) მხოლოდ ნაწილობრივ გაგრძელდა მის მიერ შექმნილი ალიანსების სისტემა. როგორც შემდეგი კანცლერი, ლეო ფონ კაპრივი ჩიოდა, ბისმარკს ხუთი ბურთით ერთდროულად შეეძლო ჟონგლიორობა, ის კი ორითაც ძლივს ახერხებდა თამაშს. რუსეთთან დადებული უკუდაზღვევის ხელშეკრულება აღარ განახლებულა 1891 წელს, რადგან ნაწილობრივ ეწინააღმდეგებოდა ავსტრიასთან ალიანსს – სწორედ ამაში ხედავდა ბისმარკი მის სარგებელს. ბუნებრივია, რომ საფრანგეთმა და რუსეთმა ახალი კავშირის შექმნის შესაძლებლობა დაინახეს. ამგვარი ახალი გადაჯგუფება ევროპის ცვალებადი წესრიგის კალეიდოსკოპს ხშირად გამოუცდია. ახალი იყო მათი ინსტიტუციური მდგრადობა. დიპლომატიამ დაკარგა მოქნილობა. ერთ დროს ნაბიჯ-ნაბიჯ დაახლოების საშუალება ახლა სიკვდილ-სიცოცხლის

საკითხად იქცა. რადგან ალიანსების ცვლილება მის მიღმა დარჩენილი მხარისთვის, შესაძლოა, ეროვნულ კატასტროფად ქცეულიყო, ალიანსის ყველა მოკავშირეს შეეძლო პარტნიორისთვის მისი რწმენის საწინააღმდეგო მხარდაჭერა გამოეძალა, რამაც კრიზისები გაამწვავა და ერთმანეთს დაამთხვია. დიპლომატია იქცა ცალკეულ ბანაკებში შიდა კავშირების შექმნის მცდელობად. პრობლემები გაჯანჯღლდა და გამწვავდა.

იმედის სხივი საბოლოოდ მაშინ ჩაქრა, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა დათმო თავისი "Splendid Isolation" და 1904 წელს შეუერთდა საფრანგეთისა და რუსეთის შეთანხმებას – Entente Cordiale-ს; ოღონდ არა ოფიციალურად, არამედ პერსონალურ მოლაპარაკებათა საშუალებით, მხოლოდ დე ფაქტო, თუმცა, ამით დაეკისრა მორალური ვალდებულება, რათა პარტნიორი ქვეყნის მხარეზე ომში ჩართულიყო. დიდმა ბრიტანეთმა თავისი გამაწონასწორებელი პოლიტიკა ნაწილობრივ დათმო გერმანული დიპლომატიის გამო, რომელიც მაროკოსა და ბოსნიაში ერთმანეთის მიყოლებით გაჩენილი კრიზისების დროს ფრანგულ-რუსული ალიანსის დაშლას ეცადა: ამ მიზნით გერმანიამ ჯერ საფრანგეთი დაამცირა მაროკოს საკითხში (1905 და 1911 წელს) და შემდეგ რუსეთი – ბოსნიის საკითხში (1908 წელს), რათა თითოეული მათგანისთვის ეჩვენებინა, როგორი არასანდო პარტნიორები იყვნენ ერთმანეთისთვის. დაბოლოს, გერმანიამ წამოიწყო სამხედრო ფლოტის აგების მასშტაბური პროგრამა, რითაც ბრძოლა გამოუცხადა ბრიტანეთის ჰეგემონიას ზღვაზე.

სისტემის შელახვა ახალმა სამხედრო სტრატეგიულმა კონცეფციებმაც გამოიწვია. ვენის კონგრესის შემდეგ ევროპაში მხოლოდ ერთი მულტინაციონალური ომი დაიწყო, კერძოდ, ყირიმის ომი (საფრანგეთი-პრუსიის ომს მხოლოდ ორი მონაწილე ჰყავდა). ყირიმის ომი ერთმა კონკრეტულმა სადავო საკითხმა გამოიწვია და ვიწრო მიზნებს ემსახურებოდა. მეოცე

საუკუნის დასაწყისში კი სამხედროები ფიქრობდნენ, რომ დაუდგათ დრო, გაეთვალისწინებინათ ომის წარმოებისა და მობილიზაციის ახალი მეთოდებისგან მიღებული გაკვეთილები და ებრძოლათ ტოტალური გამარჯვებისთვის, რაც ყოვლისმომცველ ომს გულისხმობდა. რკინიგზის ქსელი ჯარების სწრაფ გადაყვანას უზრუნველყოფდა. ყველა მხარეს გააჩნდა დიდი რეზერვები და მათი მობილიზაციის ტემპს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გერმანიის სტრატეგია – ცნობილი შლიფენის გეგმა – ეყრდნობოდა მოსაზრებას, რომ გერმანიას ჯერ თავისი ერთ-ერთი რომელიმე მეზობელი ქვეყანა სასტიკად უნდა დაემარცხებინა მანამ, სანამ იგი სხვებს შეეკვრებოდა და ორი ფრონტიდან – დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან შეუტევდა გერმანიას. პრევენცია იქცა სამხედრო გეგმის ნაწილად. საპირისპირო წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ გერმანიის მეზობელი ქვეყნები. მათ უნდა დაეჩქარებინათ მობილიზაცია და კონცენტრირებული ქმედებები, რათა შეემცირებინათ გერმანიის შესაძლო პრევენციული დარტყმის შედეგი. მობილიზაციის გეგმები გახდა დიპლომატიის დომინანტური ნაწილი. პოლიტიკურ ლიდერებს სტრატეგიული მოსაზრებები რომ ეკონტროლებინათ, პირიქით უნდა მოქცეულიყვნენ.

დიპლომატიამ, რომელიც ჯერ კიდევ ტრადიციული, მოზომილი მეთოდებით მუშაობდა, ალღო ვერ აუღო ტექნიკურ სიახლეებს და თანამედროვე ომის წარმართვას. ევროპელ დიპლომატებს ჯერ კიდევ ეგონათ, რომ საერთო საქმეს ემსახურებოდნენ. მათ პოზიციას ისიც განამტკიცებდა, რომ ახალ საუკუნეში გამოკვეთილი მრავალი დიპლომატიური კრიზისიდან არცერთი არ გამწვავებულა უკიდურესად. მაროკოს ორივე კრიზისის და ბოსნიის ანექსიის დროს მობილიზაციის გეგმებს პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, რადგან მდგომარეობა, მიუხედავად მძაფრი მუქარისა, არასდროს გამწვავებულა უშუალო შეტაკებამდე. პარადოქსია, მაგრამ სწორედ

კრიზისების ასე წარმატებულად მოგვარებამ განაპირობა რისკების გაწევის გაუაზრებელი მზაობა, თუკი ეს რისკები მათივე ინტერესებს არ უქმნიდა საფრთხეს: ერცელდებოდა მიდგომა, რომ ეროვნული პრესის მიერ ხოტბაშესხმული ტაქტიკურ გამარჯვებათა მანევრები ჩვეულებრივ პოლიტიკურ სვლას განასახიერებდა; რომ დიდი სახელმწიფოები სადავო საკითხების განხილვისას ერთმანეთს ჩიხში შეიყვანდნენ და უკან დახევისას იძულებულნი იქნებოდნენ არასოდეს მიეყვანათ საქმე სამხედრო ძალით დაპირისპირებამდე.

მაგრამ ისტორია, ადრე თუ გვიან, აუცილებლად თავისას მიუზღავს სტრატეგიულ თავქარიანებს. პირველი მსოფლიო ომი იმიტომ დაიწყო, რომ პოლიტიკური ლიდერები თავიანთ ტაქტიკურ მანევრებს ვეღარ აკონტროლებდნენ. 1914 წლის ივნისში სერბი ნაციონალისტის მიერ ავსტრიის ტახტის მემკვიდრის მკვლელობამ გამოიწვია კრიზისი, რომელსაც თითქმის ერთი თვის განმავლობაში ისეთი სიდინჯით უდგებოდნენ, როგორც გასულ ათწლეულებში მოგვარებულ კრიზისებს. ოთხი კვირა დასჭირდა ავსტრიას, სანამ სერბეთის მიმართ ულტიმატუმი ჩამოაყალიბა. გაიმართა თათბირები. გაგანია ზაფხული იყო და სახელმწიფო მოღვაწეები დასასვენებლად გაიკრიფნენ. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ავსტრიამ 1914 წლის ივლისში სერბეთს ულტიმატუმი წაუყენა, ასეთმა დაგვიანებამ მონაწილეები „ცუგცვანგის" მდგომარეობაში ჩააყენა. ორი კვირის შემდეგ კი ევროპამ შეაბიჯა ომში, რომლის ჭრილობებიც ვეღარასდროს მოიშუშა.

ყველა ეს გადაწყვეტილება მაშინ მიიღეს, როდესაც დიდ სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილი განსხვავებები უკუპროპორციული იყო მათი ქმედებებისა. შეიქმნა ლეგიტიმაციის ახალი კონცეფცია – სახელმწიფოსა და იმპერიის ნაჯვარი – და ამდენად, არცერთი ძალა არ განიხილავდა სხვის ინსტიტუციებს საკუთარი არსებობის საფრთხედ. მიუხედავად ხისტი

პოლიტიკისა, ძალთა არსებული ბალანსი არავითარ შემთხვევაში არ იყო რეპრესიული. გვირგვინოსნებს კი ერთმანეთთან გულითადი სოციალური და ოჯახური დამოკიდებულება ჰქონდათ. გამონაკლისს წარმოადგენდა საფრანგეთი, რომელსაც ელზასის და ლოტარინგიის დაბრუნება სურდა, სხვა არცერთი გავლენიანი სახელმწიფო არ უყენებდა მეზობელს ტერიტორიულ პრეტენზიას. ლეგიტიმურობა და ძალაუფლება, არსებითად, დაბალანსებული იყო. თუმცა, ბალკანეთში, ოსმალეთის ყოფილ ტერიტორიებზე, ზოგიერთი ქვეყანა, უპირველესად კი სერბეთი, ავსტრიას უყენებდა თვითგამორკვევის შეუსრულებელი დაპირების მოთხოვნას. როგორც კი რომელიმე დიდი ქვეყანა ასეთ მოთხოვნას დაუჭერდა მხარს, მოსალოდნელი გახდებოდა ზერეგიონული ომი, რადგან ავსტრია გერმანიასთან იყო დაკავშირებული, რუსეთი კი – საფრანგეთთან. რეგიონულმა კრიზისმა, გამოწვეულმა სერბი ნაციონალისტის მიერ ავსტრიის ტახტის მემკვიდრის მკვლელობით, მთელი დასავლური ცივილიზაცია ჩაითრია ომში, რომლის შედეგებზეც არავის უფიქრია. ევროპამ მიიღო დარტყმა, რომელმაც მას დაავიწყა ერთსაუკუნოვანი მშვიდობა და წესრიგი.

ვენის კონგრესის შემდეგ ორმოც წელიწადს შეძლო ევროპულმა წესრიგმა კონფლიქტების აღმოფხვრა. გაერთიანებული გერმანიის დაარსებიდან 40 წლის განმავლობაში სისტემამ ყველა კონფლიქტი გაამწვავა. ვერცერთმა სახელმწიფო მოღვაწემ ვერ განჭვრიტა მოახლოებული კატასტროფის მასშტაბი, რომელიც გარდაუვალი იყო მათი ჩვეული დაპირისპირებების და თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობის გამო. კატასტროფა ყველამ მოამწიფა და ვერც კი მიხვდნენ, რომ საერთაშორისო წესრიგი დაანგრიეს: საფრანგეთი გაშმაგებით ცდილობდა ელზასისა და ლოტარინგიის დაბრუნებას, რისი მიღწევაც მხოლოდ ომით შეიძლებოდა. ავსტრია ორმაგ თამაშს ეწეოდა, თავის ეროვნულ და ცენტრალურ-ევროპულ პასუხისმგებლობე-

ბს შორის. გერმანია ცდილობდა დაეძლია ალყაში მოხვედრის შიში და ესწრაფვოდა გავლენის ქვეშ მოექცია საფრანგეთი და რუსეთი, საომარი ფლოტის შენების გზით. ამასთან, დაიწყო ისტორიული გაკვეთილიც, რომლის მიხედვითაც დიდი ბრიტანეთი კონტინენტის უდიდესი ტერიტორიის მფლობელ სახელმწიფოს აუცილებლად დაუპირისპირდებოდა, თუკი მისი ფლოტის პროგრამა ზღვაზე ბრიტანეთის ჰეგემონიას დაემუქრებოდა. რუსეთი ყოველი მიმართულებით კავშირების შექმნის აწონ-დაწონვაში იყო და ამით ავსტრიას და ოსმალეთის იმპერიის გადმონაშთებს ემუქრებოდა. დიდი ბრიტანეთი კი თავისი საეჭვო ქცევით ნიღბავდა ფაქტს, რომ სულ უფრო მეტად იხრებოდა ალიანსის მხარეზე, რასაც ორმაგად ნეგატიური შედეგი მოჰყვა: თავისი მხარდაჭერით საფრანგეთი და რუსეთი შეაგულიანა ხისტად ემოქმედათ, გერმანიის ლიდერები კი მათ მიმართ გამოკვეთილი დისტანციით შეცდომაში შეიყვანა და აფიქრებინა, რომ ევროპული ომის შემთხვევაში, ბრიტანეთი ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებდა.

ახლა იმაზე მსჯელობა, რა შედეგები მოჰყვებოდა ალტერნატიულ სცენარებს, ფუჭი შრომაა. მაგრამ ომი, რომელმაც შეარყია დასავლეთის ცივილიზაციის საძირკველი, არ იყო გამოწვეული ისტორიული აუცილებლობით. იგი გამოიწვია სერიოზული სახელმწიფო მოღვაწეების არასწორი გათვლების სერიამ – მათ ვერ გაითვალისწინეს თავიანთი გეგმების შედეგები; და ბოლოს, მკვლელობამ, რომელიც, კაცმა რომ თქვას, სრულიად მშვიდობიან დროს მოხდა, გამოიწვია კატასტროფა, რომლის შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. სამხედრო გეგმებმა უკან ჩამოიტოვა დიპლომატია – ეს გაკვეთილი არ უნდა დაავიწყდეთ მომავალ თაობებს.

ლეგიტიმურობა და ძალაუფლება მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

პირველ მსოფლიო ომს აღფრთოვანებით შეხვდნენ ქვეყნები და სახელმწიფოს ლიდერები, რომლებიც მცირე მიზნების მისაღწევად მყისიერ, დიდებისმომტან ომს ელოდნენ. საბოლოოდ, ომმა 25 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და არსებული საერთაშორისო წესრიგი გაანადგურა. ძალთა წონასწორობისთვის ჩვეული დახვეწილი გათვლები შეცვალა კონფრონტაციულმა დიპლომატიამ ორ ხისტ ალიანსს შორის, რაც ბოლოს ისეთ ომში გადაიზარდა, რომელმაც წარმოუდგენლად დიდი რაოდენობის მსხვერპლი გამოიწვია. ამ მრავლისმომცველ ომში რუსეთის, ავსტრიისა და ოსმალეთის იმპერიები განადგურდა. რუსეთში ხალხის წიაღიდან ნამოსული ფართო მოძრაობა, რომელიც მოდერნიზაციასა და ლიბერალურ რეფორმებს მოითხოვდა, შეიარაღებულმა ელიტამ ჩაახშო და მსოფლიო რევოლუციის უნივერსალური დოქტრინა გამოაცხადა. რუსეთი სამოქალაქო ომმა და შიმშილმა მოიცვა და სწორედ ამ სიტუაციაში დაიბადა საბჭოთა კავშირი – რუსეთისა და მის კუთვნილ ტერიტორიებზე, სადაც დოსტოევსკის „მარადიული ოცნება დედამიწაზე დიდი, უნივერსალური ეკლესიის" შესახებ მოსკოვიდან მართულ კომუნისტურ მსოფლიო მოძრაობაში გადაიზარდა და წესრიგის შესახებ ყველა მანამდე არსებული წარმოდგენა გააცამტვერა. „ვაი იმ სახელმწიფო მოღვაწეს, ვინც არ ფლობს ომში ჩაბმის ისეთ საბაბს, რომელიც ომის შემდეგაც გაუძლებს გამოცდას", ამბობდა ბისმარკი. 1914 წელს ომში ჩართული არცერთი ლიდერი არ იმოქმედებდა ისე, როგორც იმოქმედა, 1918 წლის მსოფლიოს წინასწარმეტყველება რომ შესძლებოდა.

ევროპაში დაყენებული სისხლის გუბეებით შეძრული სახელმწიფო მოღვაწეები ცდილობდნენ შეექმნათ ომის შემდ-

გომი წესრიგი, რომელსაც დიდი ომის გამომწვევ კრიზისულ პერიოდებთან რაც შეიძლება ნაკლები საერთო ექნებოდა. მათ საერთაშორისო წესრიგის შექმნის ყველა ადრინდელი მცდელობიდან, განსაკუთრებით კი ვენის კონგრესიდან გამოტანილი დასკვნები უარყვეს და, შესაბამისად, არახელსაყრელი გადაწყვეტილებები მიიღეს. 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულება გერმანიას ევროპულ წესრიგში დაბრუნების საშუალებას არ აძლევდა, როგორც ვენის კონგრესმა მისცა თავის დროზე დამარცხებულ საფრანგეთს ეს უფლება. საბჭოთა კავშირის ახალმა მარქსისტულ-ლენინურმა მთავრობამ გამოაცხადა, რომ თავს არ მიიჩნევდა საერთაშორისო წესრიგის კონცეფციების და შეზღუდვების მიმართ ვალდებულად და ამავე დროს, ამ წესრიგს ჩამოშლას უწინასწარმეტყველებდა. დასავლური ძალების მიერ საბჭოთა კავშირი ევროპული დიპლომატიის მარგინალურ თანამონაწილედ აღიქმებოდა და ისიც ჭოჭმანითა და ძალდატანებით. იმ ხუთი სახელმწიფოდან, ვინც აბალანსებდა ევროპას, ავსტრიის იმპერია დაიშალა, ხოლო რუსეთი და გერმანია გამოთიშეს ან თავისით გამოეთიშნენ პროცესს. დიდი ბრიტანეთი კი დაუბრუნდა თავის ისტორიულ პოზიციას, მხოლოდ მაშინ ჩარეულიყო სერიოზულად ევროპულ საქმეებში, თუკი საფრთხე დაემუქრებოდა ძალთა არსებულ წონასწორობას, იმის მაგივრად, რომ საფრთხეების თავიდან აცილებაზე ეზრუნა.

ევროპის ტრადიციულმა დიპლომატიამ, საერთაშორისო წესრიგის არსებობის წყალობით, რომელიც აბალანსებდა ძალაუფლებისა და ლეგიტიმურობის ელემენტებს, თითქმის საუკუნის განმავლობაში შეუნარჩუნა კონტინენტს მშვიდობა. იმ საუკუნის ბოლო მეოთხედში სიმძიმის ცენტრი ძალაუფლების ელემენტის მხარეს გადაიხარა. ვერსალის ხელშეკრულების თაოსნები ისევ მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ლეგიტიმურობას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ შექმნეს საერთაშო-

რისო წესრიგი, რომელიც, თუკი შენარჩუნდებოდა, მხოლოდ საერთო პრინციპების გაძლიერებით, რადგან ძალაუფლების ელემენტები განადგურდა ან ქაოსში ჩაიკარგა. გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ახალი სახელმწიფოების სარტყელი შეიქმნა, დაფუძნებული თვითგამორკვევის პრინციპზე. ეს სახელმწიფოები სუსტი იყო ორივეს მოსაგერიებლად და ამიტომ ხელი შეუწყვეს მათ შორის შეჯახებებს. დიდი ბრიტანეთი თანდათანობით განიდევნა საერთო თამაშიდან. შეერთებული შტატები, რომელიც საბედისწერო 1917 წელს, ფართო სამოქალაქო წინააღმდეგობის მიუხედავად, ომში ჩაება, იმედგაცრუებული დარჩა შედეგებით და განზე გადგომა ამჯობინა. ძალაუფლების ელემენტების გამოყენებაზე პასუხისმგებლობის აღება უმეტესწილად საფრანგეთს მოუწია, რომელიც, თავის მხრივ, ომისგან არაქათგამოცლილი, სისხლისგან დაცლილი და ფსიქოლოგიურად დათრგუნული იყო. საფრანგეთი თანდათანობით მიხვდა, რომ გერმანიასთან დარღვეულ წონასწორობას ვეღარასოდეს აღადგენდა.

იშვიათად ასცდენია დიპლომატიური დოკუმენტი ისე მკვეთრად დასახულ მიზნებს, როგორც ეს ვერსალის ხელშეკრულებას დაემართა – იგი ზედმეტად სადამსჯელო იყო შერიგებისთვის და ზედმეტად ლმობიერი გერმანიის მიმართ, რომ აღეკვეთა მის მიერ ძალების აღდგენა. ვერსალის ხელშეკრულებამ ძალაგამოცლილ დემოკრატიულ სახელმწიფოებს მიუსაჯა მუდმივი სიფხიზლე როგორც მოუთვინიერებელი და რევანშისტულად განწყობილი გერმანიის, ისევე რევოლუციური საბჭოთა კავშირის მიმართ.

რადგან ვერსალის ხელშეკრულება გერმანიას არც მორალურ ვალდებულებას აკისრებდა და არც საპირწონე აღუმართა მისწრაფებათა მოსათოკად, ახალი წესრიგი გერმანიის რევიზიონიზმს ვერ დააოკებდა. გერმანიას პოტენციური სტრატეგიული უპირატესობა რომ ვერ გამოეყენებინა, ეს

მხოლოდ დისკრიმინაციული დებულებებით შეიძლებოდა მიღწეულიყო, რაც შეერთებული შტატებისა და შემდეგ უკვე დიდი ბრიტანეთის მორალურ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. და თუკი გერმანია ეჭქვეშ დააყენებდა ხელშეკრულებას, მისი დებულებები დაცული იქნებოდა მხოლოდ საფრანგეთის მიერ იარაღის გამოყენებით, ან ამერიკელების მიერ ევროპულ საქმეებში მუდმივი ჩართულობით, თუმცა ორივე ფაქტორი შეუძლებელი ჩანდა.

საფრანგეთი სამი საუკუნის განმავლობაში ჯერ ხლეჩდა ევროპას, მერე კი წნეხის ქვეშ ამყოფებდა – ჯერ საკუთარი ძალებით, შემდეგ კი რუსეთთან ალიანსით. მაგრამ ვერსალის შემდეგ მან ეს შესაძლებლობა დაკარგა. საფრანგეთი ომმა ისე დაასუსტა, რომ ვეღარ ითამაშებდა ევროპის პოლიციელის როლს, ხოლო ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა ისეთმა პოლიტიკურმა დინებებმა ჩაითრია, რომელზეც გავლენას საფრანგეთი ვეღარ მოახდენდა. საფრანგეთი, როგორც გაერთიანებული გერმანიის ერთადერთი საპირწონე, ჭოჭმანით, მაგრამ მაინც ეცადა, ძალის გამოყენებით დაეცვა ვერსალის ხელშეკრულება, მაგრამ დემორალიზება განიცადა, როდესაც ჰიტლერმა ჩაიგდო ხელში ძალაუფლება და ისევ გაუმეორდა ისტორიული კოშმარი.

დიდი სახელმწიფოები ომის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ინსტიტუციონალიზაციას მშვიდობიანი საერთაშორისო წესრიგის ახალი ფორმის ჩამოყალიბებით ცდილობდნენ. მათ შეიმუშავეს საერთაშორისო განიარაღების ზოგადი და არადამჯერებელი ფორმულა, ხოლო მისი რეალიზება მომავალი მოლაპარაკებებისთვის გადადეს. ერთა ლიგასა და სამშვიდობო ხელშეკრულებების მთელ სერიას ლეგალურად უნდა ჩაენაცვლებინა სამხედრო დაპირისპირება და ამგვარად გადაეჭრა სადავო საკითხები. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ახალ სტრუქტურებში თითქმის ყველა მხარე მონაწილეობდა

და ოფიციალურად დაგმობილი იყო მშვიდობის დარღვევის ნებისმიერი გამოვლინება, არცერთი ქვეყანა არ აღმოჩნდა მზად ხელშეკრულების პირობების ცხოვრებაში გასატარებლად. წინააღმდეგობის ან ექსპანსიური მიზნების მქონე ძალები – გერმანია, იაპონიის იმპერია, მუსოლინის იტალია – მალე მიხვდნენ, რომ არანაირი მკვეთრად საპირისპირო შედეგი არ მოჰყვებოდა, თუ ერთა ლიგის ვალდებულებებს დაარღვევდნენ ან უბრალოდ, თავს აარიდებდნენ. წარმოიქმნა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ომისშემდგომი წესრიგი: წესებისა და საერთაშორისო სამართლის მსოფლიო, რომელიც ძირითადად მოქმედებდა დასავლური დემოკრატიის ქვეყნებში; და მოუთვინიერებელი ზონა, რომელსაც ფლობდნენ ამ შემზღუდავი სისტემიდან გაქცეული ძალები, რომელთაც მოქმედებით მეტი თავისუფლების მოპოვება სურდათ. ამ ორ მსოფლიოს შორის ოპორტუნისტულად მანევრირებდა საბჭოთა კავშირი, რათა ყველასთვის თავზე მოეხვია თავისი რევოლუციური მსოფლიო წესრიგი, რომელიც ყველას განადგურებით ემუქრებოდა.

საბოლოოდ, ვერსალის წესრიგმა ვერც ლეგიტიმურობას მიაღწია და ვერც ძალთა წონასწორობა დაამყარა. მისი საბედისწერო მარცხი თვალსაჩინო გახადა 1925 წლის ლოკარნოს პაქტმა, რომლითაც გერმანიამ „აღიარა“ – როგორც ადრე ვერსალის ხელშეკრულებით – დასავლეთის საზღვრები და დაეთანხმა რაინლანდის დემილიტარიზაციას, მაგრამ კატეგორიულად განაცხადა უარი პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან თავის საზღვრებზე ასეთივე გარანტიები გაეცა. ამგვარად, გერმანიამ არ დაფარა საკუთარი ამბიციები და უკმაყოფილება. უცნაურია, მაგრამ საფრანგეთი დაეთანხმა ლოკარნოს ხელშეკრულებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი აღმოსავლეთ ევროპელი მეკავშირეები გერმანიის რევანშიზმის საფრთხის ქვეშ აღმოჩდნენ – წინასწარი ნიშნები იმისა,

რაც ერთი ათწლეულის შემდეგ აქტუალურ საფრთხედ უნდა ქცეულიყო.

1920-იან წლებში ვაიმარის რესპუბლიკა დასავლეთს ამუნათებდა, რომ ვერსალის ხელშეკრულების ლაფსუსები და წვრილმანი სადამსჯელო ღონისძიებანი ეწინააღმდეგებოდა იდეალისტურ პრინციპებს, რომელთაც ერთა ლიგა მიიჩნევდა საერთაშორისო წესრიგის აუცილებლობად. 1933 წელს უკმაყოფილო გერმანელი ხალხის მიერ ძალაუფლების სათავეში არჩეულმა ჰიტლერმა უარყო ყველანაირი შეზღუდვა. მან დაარღვია ვერსალის ხელშეკრულება და შეიარაღებას შეუდგა, ისევ დაიკავა რაინლანდი და ამით ლოკარნოს ხელშეკრულებაც დაარღვია. როდესაც ნახა, რომ მის პროვოკაციულ ქმედებებს განსაკუთრებული წინააღმდეგობა არ მოჰყვა, ერთმანეთის მიყოლებით დაშალა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები: ავსტრიის შემდეგ ჩეხოსლოვაკიას მიადგა, ბოლოს კი – პოლონეთს.

თავიანთი არსით ეს პროვოკაციები არ იყო მახასიათებელი მხოლოდ 1930-იანი წლებისთვის. კაცობრიობა ყველა ეპოქაში შობს დემონებს რეპრესიის მაცდუნებელი იდეებით. სახელმწიფოს მართვის ხელოვნება კი გულისხმობს, რომ ისინი სათავეში არ მოექცნენ და საერთაშორისო წესრიგი შენარჩუნდეს მათი მოთოკვით. მაგრამ ორ ომს შორის პერიოდში შეიქმნა პაციფისტური თავქარიანობის, გეოპოლიტიკური უთანასწორობისა და მეკავშირეების შეუთანხმებლობის ტოქსიკური ნაზავი, რამაც ამ ძალებს მოქმედების თავისუფლება მისცა.

ევროპამ სამასწლიან ომებში დაგროვილ გამოცდილებაზე ააშენა საერთაშორისო წესრიგი, რომელიც შემდეგ დაანგრია, რადგან ლიდერებმა პირველ მსოფლიო ომში ჩაბმისას ვერ გათვალეს, რომ თავიანთ ნამოქმედართა შედეგებს მოიმკიდნენ. ხოლო როდესაც მიხვდნენ, რა ნაყოფსაც გამოიღებდა განმეორებითი არეულობა, შეეშინდათ შესაბამისი პოლიტიკის

მიხედვით დასკვნების გამოტანისა. საერთაშორისო წესრიგის ჩამოშლა არსებითად განაპირობა ფარ-ხმლის დაყრამ, რაც თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. ევროპა დაემშვიდობა ვესტფალიის მშვიდობის პრინციპებს და არ ეყო ძალა, დაეცვა თავისივე მორალური ალტერნატივა: ასე ჩაება იგი კიდევ ერთ ომში, რომელმაც კიდევ ერთხელ ცხადყო ახალი ევროპული წესრიგის აშენების აუცილებლობა.

ომისშედგომი ევროპული წესრიგი

ორი მსოფლიო ომის შედეგად სუვერენიტეტის ვესტფალიური კონცეფცია და ძალთა ბალანსის პრინციპი თავად მისი მშობელი კონტინენტის ახალმა წესრიგმა სრულიად შეზღუდა. მისი ნარჩენები ყველაზე მეტად იმ ქვეყნებში შემორჩა, რომლებშიც ეს პრინციპები ახალი აღმოჩენებისა და დამპყრობლური აქციების ეპოქაში დაინერგა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპას აღარ გააჩნდა მსოფლიოს დალაგების მატერიალური და ფსიქოლოგიური რესურსი. ევროპის კონტინენტზე, შვეიცარიისა და შვედეთის გარდა, არ არსებობდა სახელმწიფო, რომელსაც თავისი ისტორიის განმავლობაში არ გამოეცადა უცხოური ოკუპაცია. ყველა ქვეყნის ეკონომიკა დანგრეული იყო. ცხადი გახდა, რომ ვერცერთი ევროპული ქვეყანა (ზემოთ ნახსენები ორი ქვეყნის ჩათვლით) ვერ შეძლებდა გარედან დაუხმარებლად საკუთარი მომავლის შექმნას.

სავალალო ვითარებაში ჩავარდნილმა დასავლეთ ევროპამ ახალი დასაწყისის მორალური ძალა მაინც რომ იპოვა, სამი დიდი მოღვაწის დამსახურებაა. ესენი იყვნენ: კონრად ადენაუერი – გერმანიაში, რობერტ შუმანი – საფრანგეთ-

ში და ალჩიდე დე გასპერი – იტალიაში. სამივენი პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე იყვნენ დაბადებულნი და განსწავლულნი, სამივენი პატივს სცემდნენ ძველი ევროპის საუკეთესო ფილოსოფიურ ტრადიციებს და მიიჩნევდნენ მათ ადამიანური ურთიერთობების გაუმჯობესების წინაპირობად. სწორედ მათ უმადლოდნენ ისინი იმ ხედვასა და ძალას, რითაც ევროპის ტრაგედიები იქნა დაძლეული. ყველაზე მძიმე მომენტში გაიხსენეს მათ საერთაშორისო წესრიგის კონცეპციის ელემენტები, რომლებიც ახალგაზრდობიდან ახსოვდათ. მათ სწამდათ, რომ ხალხის გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოსაყვანად უნდა დაეძლიათ ევროპის დანაწევრება და შემდგომი ტრაგედიების თავიდან ასაცილებლად უნდა დაემყარებინათ ახალი ევროპული წესრიგი.

თავიდან ისინი ევროპის ახალი დაყოფის პირისპირ აღმოჩნდნენ. 1949 წელს დასავლეთის მოკავშირეებმა მათ მიერ დაკავებული სამი ზონა გააერთიანეს, რის საფუძველზეც დაარსდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირმა თავისი ზონა სოციალისტურ სახელმწიფოდ აქცია და ვარშავის ხელშეკრულების წევრი გახადა. გერმანია ვესტფალიის ზავის სამასი წლის წინანდელ სიტუაციას დაუბრუნდა: მისი გაყოფა კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ზემდგომი საერთაშორისო სტრუქტურის შექმნის საფუძველი.

საფრანგეთმა და გერმანიამ, ორმა ქვეყანამ, რომელთა დაპირისპირება სამი საუკუნის განმავლობაში ქმნიდა ყველა ომის ეპიცენტრს, შემორჩენილი ეკონომიკური ძალის მთავარი მახასიათებლების შერწყმით ბიძგი მისცა ევროპული ისტორიის დაძლევის პროცესს – მათ 1952 წელს სხვა ქვეყნებთან ერთად დააარსეს ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება (Montanunion) – პირველი ნაბიჯი ევროპის ხალხების „სულ უფრო მჭიდრო კავშირისა“. ამ გაერთიანე-

ბით პირველი აგური დაიდო ახალი ევროპული წესრიგის მშენებლობისთვის.

გერმანია ათწლეულების განმავლობაში წარმოადგენდა ევროპის სტაბილურობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას. მისი ეროვნული ხელმძღვანელობის მიერ ომის შემდგომ პირველ ათწლეულში გატარებულ კურსს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კონრად ადენაუერი 73 წლისა იყო, როდესაც ახალშექმნილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი გახდა – იმავე ასაკში ბისმარკის კარიერა დასასრულს უახლოვდებოდა. ადენაუერმა მართვის პატრიციული სტილით და პოპულიზმის მიმართ უნდობლობით ჩამოაყალიბა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, რომელიც პარლამენტის ისტორიაში პირველად მართავდა ქვეყანას როგორც გაწონასწორებული პარტია, მხოლოდ ერთი მანდატის უმრავლესობით. ამ მანდატით აღჭურვილი ადენაუერი ცდილობდა გერმანიის ბოლო პერიოდის მსხვერპლთა ნდობა მოეპოვებინა. 1955 წელს მან გერმანია ატლანტიკურ ალიანსში შეიყვანა. იგი იმდენად ვალდებულად მიიჩნევდა თავს ევროპის გამთლიანების წინაშე, რომ 1950-იან წლებში უარიც კი თქვა გერმანიის გაერთიანებაზე, რადგან საბჭოთა კავშირის ამ შეთავაზების წინაპირობას წარმოადგენდა ფედერაციული რესპუბლიკის დასავლური ალიანსიდან გასვლა. მისი ეს გადაწყვეტილება უდავოდ გამოხატავდა საბჭოთა კავშირის სანდოობის გამჭრიახ შეფასებას და ამავე დროს სერიოზულ ეჭვს, რამდენად გააჩნდა გერმანულ საზოგადოებას უნარი, კონტინენტის შუაგულში, ისევ გაერთიანებული ეროვნული სახელმწიფოს პირობებში ეპოვა საკუთარი გზა. და მაინც საჭირო იყო უზარმაზარი მორალური ძალის მქონე ლიდერი, რომელიც შეძლებდა საკუთარი ქვეყნის გაყოფილ საძირკველზე აეშენებინა ახალი საერთაშორისო წესრიგი.

გერმანიის გაყოფა ევროპის ისტორიაში სიახლეს არ წარმოადგენდა. იგი გახლდათ როგორც ვესტფალიის ზავის, ასევე ვენის კონგრესის გადაწყვეტილებების საფუძველი. სიახლეს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ფეხზე წამოდგომის მოწადინე გერმანია საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბების მცდელობაში საკუთარ თავს დასავლეთის ნაწილად მიიჩნევდა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან ძალთა წონასწორობას ძირითადად ევროპული კონტინენტის გარეთ არსებული ძალები განსაზღვრავდნენ. ევროპელი ხალხებისთვის ერთ ათასწლეულში გაცხადდა, რომ ძალთა ბალანსის მთავარი ელემენტები, მათი ცვლილების მიუხედავად, მათსავე კონტინენტზე განისაზღვრებოდა. უკვე დაწყებული ცივი ომის დროს კი მსოფლიო ორი სუპერსახელმწიფოს პოლიტიკურ კურსსა და შეიარაღებას შორის დაპირისპირებაში ეძებდა წონასწორობას: ეს იყო შეერთებული შტატები ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს და გეოგრაფიულად ევროპის განაპირას მდებარე საბჭოთა კავშირი. ამერიკა, ევროპული ეკონომიკის ასაღორძინებლად, 1947 წელს, საბერძნეთსა და თურქეთს დაუდგა მხარში დახმარების პროგრამებით, 1948 წელს კი – გერმანიას მარშალის გეგმით. 1949 წელს შეერთებული შტატები, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულებით, თავის ისტორიაში პირველად, მშვიდობიან დროს გაწევრიანდა სამხედრო ალიანსში.

ევროპული ეკვილიბრიუმი, რომელსაც ისტორიულად მხოლოდ ევროპული სახელმწიფოები განსაზღვრავდნენ, ნაწილობრივ უკვე გახდა გარე ძალების გლობალური სტრატეგიის ასპექტი. ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა დააწესა ჩარჩო-პირობები შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის რეგულარული კონსულტაციებისთვის და ამით საგარეო პოლიტიკის გარკვეულ თანმიმდევრულობას მიაღწია. მაგრამ, ძირითადად, ევროპულ ძალთა ბალანსში სიმძიმის ცენტრი შიდაევროპული შეთანხმებებიდან გადაიხარა საბჭოთა კავშირის შეკავების

გლობალური მცდელობისკენ, რაც, ძირითადად, აშშ-ის ბირთვული შეიარაღებით უნდა აღსრულებულიყო. ორი დამანგრეველი მსოფლიო ომის შოკის შემდეგ ევროპის სახელმწიფოები შეცვლილი გეოპოლიტიკური პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელიც მათ ისტორიულ იდენტობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა.

ცივი ომის პირველ ფაზაში საერთაშორისო წესრიგი, ფაქტობრივად, ბიპოლარული იყო, რომელთაგან ერთის – დასავლური ალიანსის – წინამძღოლად მისი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი ამერიკა გვევლინებოდა. შეერთებული შტატები ამ კავშირს არ განიხილავდა ქვეყნების გაერთიანებად, რომლებიც ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად უნდა შეთანხმებულიყვნენ, არამედ განიხილავდა როგორც საერთო საქმეს, რომლის წინამძღოლიც თავად იყო.

ძალთა ტრადიციული ევროპული ბალანსი მონაწილეთა თანასწორობას ეფუძნებოდა. თითოეულ პარტნიორს შეჰქონდა წვლილი საერთო და პრინციპულ საქმეში – სწორედ ამ ბალანსის შენარჩუნებაში – თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. ატლანტიკური ალიანსი, მართალია, საერთო სტრუქტურაში აერთიანებდა პარტნიორების სამხედრო ძალას, მაგრამ უმეტესად მხოლოდ ამერიკის სამხედრო ძალის – განსაკუთრებით მისი ბირთვული პოტენციალის ხარჯზე არსებობდა. სანამ ევროპის თავდაცვის მთავარ ელემენტს სტრატეგიული ატომური იარაღი წარმოადგენდა, ევროპელები პოლიტიკურად ძირითადად ერთ ფსიქოლოგიურ მიზანს ისახავდნენ: აშშ-ს კრიზისულ სიტუაციაში ევროპა უნდა განეხილა, როგორც თავისი ნაწილი, როგორც საკუთარი სახელმწიფოს გაგრძელება.

ცივი ომის საერთაშორისო წესრიგი ასახავდა წონასწორობის ორ პაკეტს, რომელიც პირველად ისტორიაში ერთმანეთისგან თითქმის დამოუკიდებლად მოქმედებდა: ბირთვული ბალანსი საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის

და ატლანტიკური ალიანსის შიდა ბალანსი, რომელიც ძირითადად ფსიქოლოგიურ ფაქტორს ეყრდნობოდა. აშშ-ის მეწინავე როლი აღიარებული იყო იმის სანაცვლოდ, რომ ევროპას ამერიკის ბირთვული ძალა იცავდა. საკუთარ სამხედრო პოტენციალს ევროპის სახელმწიფოები თავდაცვის მიზნით კი არ აძლიერებდნენ, არამედ უფრო იმისთვის, რომ ალიანსის გადაწყვეტილებების მიღებისას ხმის უფლება ჰქონოდათ – ფაქტობრივად ეს იყო შესასვლელი ბილეთი სადისკუსიო ფორუმში, რომელიც განიხილავდა ამერიკის მიერ ძალის გამოყენების გზებს. მცირე ატომური პოტენციალის მქონე სახელმწიფოები – საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი – ძალთა გლობალური წონასწორობისთვის უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხების მოლაპარაკებათა მაგიდასთან ადგილის დასაკავებლად ბირთვული იარაღის ფლობას დამატებით არგუმენტად იშველიებდნენ.

ატომური ხანის თავისებურებათა და საბჭოთა კავშირთან გეოგრაფიული სიახლოვის გამო, ალიანსი ერთი თაობის განმავლობაში შენარჩუნდა. თუმცა 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემამ ისევ გამოააშკარავა მისი წევრების პოზიციათა სხვადასხვაობა.

ოთხათწლეულიანი ცივი ომის შემდეგ ნატო-მ მიაღწია ცივი ომის ისეთ დასასრულს, როგორიც ესახებოდათ ალიანსის შემქმნელებს. 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევას მალევე მოჰყვა გერმანიის გაერთიანება და დაშლა საბჭოთა სატელიტური ორბიტის – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სარტყელისა, რომელსაც თავს ჰქონდა მოხვეული საბჭოთა კონტროლის სისტემა. ატლანტიკური კავშირის დამაარსებელი მამების ხედვამ და ამ შედეგის მისაღწევად გარჯილი აქტორების გონივრულმა ქმედებამ მეოცე საუკუნეში ევროპის მომავალზე ზრუნვის მესამე მცდელობა მშვიდობიანად დააგვირგვინა. ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფმა გერმა-

ნიას გზა გაუხსნა, გაყოფა დაეძლია. გერმანიამ დაადასტურა თავისი ერთგულება ევროპული ერთობის, როგორც საერთო ღირებულებებისა და განვითარების სივრცისადმი. აღმოსავლეთ ევროპის ერები, რომლებიც 40 (ზოგი კი მეტი) წელი ითმენდნენ ჩაგვრას, დამოუკიდებელი სახელმწიფოების სახით იბრუნებდნენ თვითმყოფადობას.

საბჭოთა კავშირის დაშლამ დიპლომატიის აქცენტები შეცვალა. ევროპული წესრიგის გეოპოლიტიკური ბუნება საფუძვლიანად გარდაიქმნა, რადგან გაქრა მის შიგნით არსებული დიდი სამხედრო საშიშროება. დასადგურებულმა საზეიმო განწყობამ ძალთა წონასწორობის ტრადიციული პრობლემები „ძველ" დიპლომატიას ჩააბარა – მისი ადგილი ახლა საერთო იდეალების გავრცელებას უნდა დაეკავებინა. გამოცხადდა, რომ ატლანტიკურ ალიანსს ახლა უსაფრთხოებაზე მეტად თავისი პოლიტიკური გავლენის გაფართოებაზე უნდა ეზრუნა. ნატო-ს გაფართოება რუსეთის საზღვრებამდე – და მისი სავარაუდო გაწევრიანებაც კი – ახლა უკვე სრულიად შესაძლებელი ჩანდა. სამხედრო ალიანსის გაფართოება ისტორიულად სადავო ტერიტორიებზე, რომელიც მოსკოვიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა, უპირველესად უსაფრთხოების მიზეზებით კი არ აიხსნებოდა, არამედ მიიჩნეოდა დემოკრატიის უკეთ „გადანერგვის" მეთოდად.

აშკარა საფრთხის არსებობის გამო, საერთაშორისო წესრიგი ეყრდნობოდა ორი ერთმანეთთან მტრულად დაპირისპირებული ბლოკის კონფრონტაციის კონცეფციას, რომელსაც განსაზღვრავდნენ აშშ და საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის დაშლამ შექმნა მულტიპოლარული მსოფლიო, რომელშიც ევროპა ახლა უკვე საკუთარ იდენტობას ეძებდა.

ევროპის მომავალი

რაღა არ გადახდა თავს ევროპას, სანამ ამ წერტილს მიაღწევდა! მოგზაურობით შეისწავლა მსოფლიო და ყველგან გაავრცელა თავისი ცოდნა და ღირებულებები. ყველა საუკუნეში იცვლიდა შინაგან სტრუქტურას და ქმნიდა საერთაშორისო წესრიგის ახალ ვარიანტებს. ახლა კი, ახალი ეპოქის მწვერვალზე საერთაშორისო როლის მოსაპოვებლად, იძულებულად მიიჩნევდა თავს, გაეთიშა პოლიტიკური მექანიზმები, რომლითაც სამ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში მართავდა თავის საქმეებს. გერმანიის მომავალი გაერთიანების მიმართ ეჭვების გასაფანტად ახლად დაარსებულმა ევროკავშირმა 2002 წელს საერთო ვალუტა შემოიღო და 2004 წელს შემდგომი ნაბიჯებით ახალი პოლიტიკური სტრუქტურა დაამყარა. ევროკავშირმა გამოაცხადა გაერთიანებული, გამთლიანებული და თავისუფალი ევროპა, რომელიც უთანხმოებებს მშვიდობიანი მექანიზმებით აგვარებს.

გერმანიის გაერთიანებამ ევროპაში ძალთა ბალანსი შეცვალა, რადგან ევროპულ დონეზე ვერცერთი კონსტიტუციური შეთანხმება შეცვლიდა ფაქტს, რომ გერმანია ისევ იქცა ყველაზე ძლიერ ევროპულ სახელმწიფოდ. საერთო ვალუტამ შექმნა ერთიანობის ხარისხი, რომლის მსგავსი ევროპას საღვთო რომის იმპერიის შემდეგ არ გამოუცდია. შეძლებდა ევროპა იმ გლობალური როლის მოპოვებას, რომელიც მის ქარტიაში იყო პროკლამირებული? თუ როგორც კარლოს მეხუთის დროს, ახლაც ვერ შეინარჩუნებდა შიდა ერთობას?

ახალი სტრუქტურა, გარკვეული თვალსაზრისით, განასახიერებდა ვესტფალიურ სისტემაზე უარის თქმას. თუმცა ევროკავშირი შეიძლება გაგებულ იქნას დაბრუნებად ვესტფალიის საერთაშორისო სისტემაში, რომელიც ევროპამ შექმნა, მთელ გლობუსზე გაავრცელა, დაიცვა და სამაგალითოდ წარ-

მოადგენდა ახალი ეპოქის განმავლობაში, მაგრამ ახლა იქცა რეგიონულ და არა ნაციონალურ ძალად, როგორც ვესტფალიური სისტემის ან უკვე გლობალური ვერსიის ახალი ერთეული.

შედეგმა ერთმანეთთან დააკავშირა ნაციონალური და რეგიონული საწყისების ასპექტები, ოღონდ დღემდე ვერცერთი ვერ სარგებლობს მისით სრულყოფილად. ევროკავშირი თავისი წევრების სუვერენიტეტს და ძალაუფლებას ზღუდავს მათ ვალუტასა და საზღვრებზე კონტროლის საშუალებით, მაგრამ, მეორე მხრივ, ინარჩუნებს ეროვნული მთავრობების შიდა პოლიტიკის ტრადიციულ მეთოდებს. ბევრ ქვეყანაში ევროკავშირის პოლიტიკის მიმართ პრეტენზიები ეროვნული პოლიტიკის ძირითად თემად იქცა. შედეგად მივიღეთ ჰიბრიდული ფორმა, რომელიც კონსტიტუციური თვალსაზრისით, სადღაც სახელმწიფოსა და კონფედერაციას შორის მდებარეობს და რომელიც მინისტრების შეხვედრებითა და საერთო ბიუროკრატიით ოპერირებს, რაც საღვთო რომის იმპერიას უფრო გვაგონებს, ვიდრე მე-19 საუკუნის ევროპულ სისტემას. მაგრამ საღვთო რომის იმპერიისგან განსხვავებით (ყოველ შემთხვევაში, მისი ისტორიის დიდ ნაწილში), ევროკავშირი იღვწის შიდა წინააღმდეგობების დასაძლევად, მისი მამოძრავებელი პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად. ევროკავშირის სავალუტო ერთიანობა ეწინააღმდეგება მისსავე ფისკალურ-პოლიტიკურ მრავალფეროვნებას. მისი ბიუროკრატია ეწინააღმდეგება დემოკრატიას. ევროკავშირი განასახიერებს უნივერსალურ დიპლომატიურ ღირებულებებს, თუმცა ნინააღმდეგობის დასაძლევად მათ გამოყენებას ვერ ახერხებს. მისი კოსმოპოლიტური იდენტობა კონკურენციაშია ნაციონალურ ლოიალობასთან. ევროკავშირის ერთობის პარალელურად არსებობს აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის განსხვავებულობა და გაურკვეველი პოზიცია რეგიონული

ავტონომიური მოძრაობებისადმი (კატალანები, ბავარიელები, შოტლანდიელები), რომლებიც ევროკავშირის სტრუქტურებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. მისი „სოციალური მოდელი“ ეფუძნება ბაზრის დინამიკას, რომელსაც, ამავდროულად, თავად ზღუდავს. მისი სტრატეგიები გულისხმობს ტოლერანტულ ჩართულობას და თან არ ავლენს სპეციფიკური დასავლური ღირებულებების აქტიურად დაცვისთვის საჭირო მზაობას, მაშინ, როცა მისი წევრი ქვეყნების პოლიტიკას განსაზღვრავს არაევროპული გავლენების შიში.

შედეგად, ევროკავშირი პერიოდულად ლეგიტიმურობის გამოცდას აბარებს საკუთარ მოსახლეობას. წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი უფლებების მნიშვნელოვანი, სუვერენიტეტის ნაწილად მიჩნეული ინსტრუმენტები დათმეს. მაგრამ, რადგან ევროპის ლიდერებს მუდმივად უწევთ ეროვნული დემოკრატიული პროცესის წინაშე წარდგომა და არჩევნებში გამარჯვება-დამარცხებაზეა დამოკიდებული მათი ბედი, ხშირად ცდუნებას ვერ უძლებენ და ეროვნული უპირატესობის პოლიტიკას ატარებენ; ამას კი, როგორც წესი, მივყავართ ევროპის სხვადასხვა რეგიონს შორის უთანხმოებებამდე, რაც, ძირითადად, ეკონომიკურ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობაში ვლინდება. განსაკუთრებით ისეთ კრიზისულ დროში, როგორც იყო 2009 წლის ფინანსური კრიზისი, ევროპული სტრუქტურა, გადარჩენის მიზნით, იძულებულია მიმართოს ღონისძიებებს, რომლებიც სულ უფრო ღრმად იჭრება ეროვნულ საქმეებში. მაგრამ, როდესაც მოსახლეობას მოუწოდებენ, მსხვერპლი გაიღონ „ევროპული პროექტის“ სასარგებლოდ, ხშირად ამის აუცილებლობის მკაფიო გაგება არ არსებობს. ასეთ დროს კი ლიდერები დგანან არჩევანის წინაშე, უგულებელყონ თავიანთი ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობის სურვილი ან პირიქით, გაითვალისწინონ და, შედეგად, ოპოზიციაში ჩაუდგნენ ბრიუსელს.

ევროპა იმ საკითხს დაუბრუნდა, საიდანაც ყველაფერი დაიწყო, ოღონდ ამან დღეს გლობალური მნიშვნელობა შეიძინა. რომელი საერთაშორისო წესრიგი შეიძლება ჩამოყალიბდეს დაპირისპირებული ამბიციების და ტენდენციების ფონზე? რომელი სახელმწიფოები განსაზღვრავენ ამ წესრიგს? და როგორ დააკავშირებენ ისინი ერთმანეთთან საკუთარ პოლიტიკურ პოზიციებს? როგორი ერთობა სჭირდება ევროპას და რა დოზით აიტანს იგი განსხვავებულობას? ძირითადად ასე ისმება კითხვები. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ქმედებისათვის უფრო აქტუალურია საპირისპირო კითხვა – თავისი ისტორიის გათვალისწინებით, როგორ მრავალფეროვნებაზე არ უნდა თქვას ევროპამ უარი, რომ სასურველ ერთიანობას მიაღწიოს?

როდესაც ევროპა მსოფლიო მასშტაბის სისტემას ინარჩუნებდა, იგი მსოფლიო წესრიგის დომინანტურ კონცეფციას განასახიერებდა. მისი სახელმწიფოების მმართველები ქმნიდნენ საერთაშორისო სტრუქტურებს, რომელთაც დანარჩენ მსოფლიოს ახვევდნენ თავს. დღეს კი ჩამოყალიბების პროცესში არსებული მსოფლიო წესრიგი თავად წარმოადგენს კამათის საგანს, ევროპის გარეთ არსებული რეგიონები კი მის შექმნაში მთავარ როლს ითამაშებენ. ხომ არ მიდის მსოფლიო რეგიონული ბლოკების მიმართულებით, რომლებიც ვესტფალიურ სისტემაში სახელმწიფოების როლს გადაიბარებენ? და თუკი ასეა, დამყარდება წონასწორობა? თუ ისე მკვეთრად შემცირდება ძირითად მოთამაშეთა რაოდენობა, რომ გარდაუვალი იქნება სიხისტე და გამეორდება მე-20 საუკუნის საფრთხეები, როდესაც ბლოკები შეურიგებელი სიჯიუტით იდგნენ ერთმანეთის პირისპირ? როგორ შეძლებს ევროპა, რეგიონულ ძალად გარდაიქმნას მსოფლიოში, რომელშიც კონტინენტური მასშტაბის წარმონაქმნები – აშშ, ჩინეთი, ინდოეთი და ბრაზილია კრიტიკულ მასას აღწევენ? აქამდე ინტეგრაციის

პროცესი უმეტესწილად ევროპული მმართველობის ორგანოების განსხვავებული კომპეტენციების გაფართოების ბიუროკრატიულ პრობლემას უკავშირდებოდა. ამგვარი მიდგომა, სავარაუდოდ, წინსვლას შეაფერხებს და ახლის მაგივრად ისევ ნაცად გზას აირჩევს. საიდან წამოვა ამ მიზნებისთვის შიდა რესურსის გამოყენების ბიძგი? ევროპის ისტორიამ გვიჩვენა, რომ ერთობა არასოდეს მიღწეულა უპირველესად ადმინისტრაციული პროცედურებით. ყოველთვის საჭირო იყო ერთი გამაერთიანებელი, გერმანიაში – პრუსია, იტალიაში – პიემონტი, რომელთა წინამძღოლობის გარეშე (და მზა ფაქტების შექმნის გარეშე) ერთობა მკვდრადშობილის ბედს გაიზიარებდა. რომელი ქვეყანა ან ინსტიტუცია იტვირთავს ამ როლს? თუ ახალი ინსტიტუცია ან გაერთიანება უნდა ჩამოყალიბდეს ამ გზის გასავლელად?

და თუ ევროპა, სულერთია რა გზით, მაგრამ ერთობას მიაღწევს, როგორ განსაზღვრავს იგი საკუთარ როლს მსოფლიოში? იგი სამი არჩევანის წინაშეა: ტრანსატლანტიკური პარტნიორობის განვითარება, უფრო ნეიტრალური პოზიციის დაკავება ან ფარული თანხმობის გამოცხადება არაევროპული ძალის ან დაჯგუფებისთვის. განიხილავს ევროპა ცვალებად კავშირებში ყოფნას თუ თავს მიიჩნევს ჩრდილო-ატლანტიკური ბლოკის წევრად, რომელიც, ზოგადად, განსხვავებულ თვალსაზრისებთან შემრიგებლური პოზიციებით გამოირჩევა? თავისი წარსულის რომელ მონაკვეთს დაეყრდნობა? უახლეს წარსულს, რომელსაც განსაზღვრავს ატლანტიკური კავშირი თუ მეტად ხანგრძლივ გამოცდილებას, როდესაც ევროპა მოწადინებული იყო, ნაციონალური ინტერესების საფუძველზე რაც შეიძლება მეტი სარგებელი ენახა? ერთი სიტყვით, იარსებებს ატლანტიკური გაერთიანება და თუკი იარსებებს, რისი დიდი იმედიც მაქვს, როგორ განსაზღვრავს იგი თავის თავს?

ეს არის კითხვა, რომელიც ატლანტიკის ორივე მხარემ უნდა დაუსვას საკუთარ თავს. ატლანტიკური გაერთიანება ვერ შეინარჩუნებს მნიშვნელობას, თუკი მომავალში უბრალოდ გააგრძელებს ჩვეულ ყოფას. ევროპელი პარტნიორები, სადაც კი თანამშრომლობდნენ ატლანტიკური ალიანსის სტრატეგიული საკითხების გლობალურ დონეზე გადასაწყვეტად, ხშირად თავს აღიქვამდნენ წესების დაცვის ნეიტრალურ ზედამხედველებად და დამხმარეებად. მაგრამ მუდამ იბნეოდნენ, თუ ამ მოდელის უარყოფას წააწყდებოდნენ ან თავიანთ ამოცანას ვერ გადაჭრიდნენ. ახალმა თაობამ, რომლისთვისაც ცივი ომის დროინდელ საბჭოთა გამოწვევას დაღი არ დაუსვამს, ყბადაღებულ „ატლანტიკურ გაერთიანებას" კონკრეტული მნიშვნელობა უნდა შესძინოს.

ევროპის მომავალი, უპირველეს ყოვლისა, თავად ევროპელების საქმეა. მაგრამ მათი ტრანსატლანტიკური პარტნიორებისთვისაც ბევრი რამ წყდება ევროპის მომავლის მიხედვით. აქტიურად ილვაწებს მომავლის ევროპა ახალი საერთაშორისო წესრიგის შექმნისთვის თუ თავის საშინაო საკითხებს დაახარჯავს მთელ ენერგიას? ძალთა წონასწორობის წმინდა სტრატეგიამ, რომელსაც ევროპის ტრადიციული დიდი სახელმწიფოები მიმართავდნენ, დღევანდელი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული რეალობების გამო დრო მოჭამა. მაგრამ „წესები და ნორმები", რომლებსაც ჩამოაყალიბებს პანევროპული ელიტა, არ აღმოჩნდება საკმარისი გლობალური სტრატეგიისთვის, თუ გეოპოლიტიკური რეალობა არ იქნება გათვალისწინებული.

ისტორიისა და გეოპოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებით, აშშ-ს ყველა მიზეზი აქვს იმისთვის, რომ მხარი დაუჭიროს ევროპის ერთობას და თავიდან აიცილოს მისი ჩავარდნა გეოპოლიტიკურ ვაკუუმში. თუკი აშშ ევროპას პოლიტიკურად, ეკონომიკურად და თავდაცვის პოლიტიკის მხრივ

გაემიჯნება, იქცევა კუნძულად ევრაზიულ სანაპიროსთან, ევროპა კი – აზიის, ცენტრალური და ახლო აღმოსავლეთის დანამატად.

ევროპა, რომელსაც ერთი საუკუნის წინ გლობალური წესრიგის შექმნის კვაზიმონოპოლია ჰქონდა, ახლა საშიშროების წინაშეა, თავად ჩამოშორდეს საერთო სტრუქტურის ძიების მიმდინარე პროცესს, თუკი საკუთარ შიდა მოწყობას თავისსავე გეოპოლიტიკურ მიზანთან გააიგივებს. ბევრისთვის ეს შედეგი თაობების ოცნების ახდენაა – მშვიდობიანად გაერთიანებული კონტინენტი, რომელმაც დაივიწყა სამხედრო დაპირისპირება. ევროპის რბილი ძალის ღირებულებები ინსპირაციის წყაროს წარმოადგენს ბევრისთვის, მაგრამ ყველა რეგიონში არ აღიარებენ პოლიტიკის ამ უნიკალურ სტილს, რაც ზრდის საშიშროებას, რომ შეიქმნება გაუწონასწორებელი მოცემულობები. ამ წუთას ევროპის ყურადღება შიგნით არის ჩაბრუნებული; მნიშვნელოვანწილად მის მიერ შექმნილ მსოფლიო წესრიგს გამანადგურებელი განვითარება ემუქრება, რომელიც ყველა რეგიონს, მათ შორის იმათაც, ვინც მის შექმნას გამოაკლდა, უფსკრულში გადაჩეხავს. ამგვარად, ევროპა იმყოფება ზღვარზე – ცალ მხარესაა წარსული, რომლის გადალახვასაც იგი ცდილობს და მეორე მხარეს – განუჭვრეტელი მომავალი.

თავი 3

ისლამიზმი და ახლო აღმოსავლეთი მსოფლიო წესრიგის გარეშე

ახლო აღმოსავლეთმა მსოფლიოს სამი დიდი რელიგია წარმოშვა. მის მკაცრ ბუნებაში დაბადებულმა დამპყრობლებმა და წინასწარმეტყველებმა ააფრიალეს თავიანთი უნივერსალური მისწრაფებების დროშები. მის თითქოსდა უსაზღვრო ჰორიზონტებს იქით გადაიჭიმა იმპერიები, რომლებიც შემდეგ მაინც დაინგრა; აბსოლუტური მმართველები თავს შეუზღუდავი ძალაუფლების განსახიერებად აცხადებდნენ და მალევე ქრებოდნენ მირაჟული სურათებივით. აქ ოდესღაც უკვე არსებობდა და უარყოფილი იქნა შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო წესრიგის ყველა ფორმა.

მსოფლიო მიეჩვია ახლო აღმოსავლეთიდან ერთსა და იმავეს გაგონებას, რომ ესა თუ ის რეგიონული ან გლობალური წესრიგი უნივერსალური ხედვის სასიკეთოდ ისპობოდა. ამ რეგიონის დამახასიათებელ ნიშნად იქცა აბსოლუტურობის პრეტენზია, განმსჭვალული წინასწარმეტყველური ხედვებით, მაშინ, როცა საკუთარ დიდებულ წარსულსა და დღევანდელ უუნარობის შორის გამომწყვდეულნი ვერ თანხმდებიან შიდა და საერთაშორისო ლეგიტიმურობის უმარტივეს ზოგად

პრინციპებზეც კი. არსად არის საერთაშორისო წესრიგი ისე ქაოსურად კომპლექსური, ვიდრე აქ, ახლო აღმოსავლეთში და თანაც, ეს უზარმაზარ დაბრკოლებად რჩება და ძნელად ითავისებს დანარჩენი მსოფლიოსთვის აღიარებული წესრიგის, მშვიდობისა და სტაბილურობის ნორმებს.

ჩვენს დროში ახლო აღმოსავლეთი თითქოს იძულებულია თავის ყველა ისტორიულ გამოცდილებაზე ერთდროულად ჩაატაროს ექსპერიმენტი – იმპერია, წმინდა ომები, უცხო ძალის ჰეგემონია, რელიგიური ომები, სადაც ყველა ყველას წინააღმდეგაა – სანამ შეთანხმდება საერთაშორისო წესრიგის საერთო კონცეფციაზე (თუკი ამას ოდესმე მოახერხებს). მაგრამ სანამ ეს არ მომხდარა, ეს რეგიონი მონაცვლეობით გადაიხრება ხან ერთ და ხან მეორე მხარეს – ხან დაუახლოვდება დანარჩენ მსოფლიოს, ხან კი ისევ მის წინააღმდეგ გაიბრძოლებს.

ისლამური მსოფლიო წესრიგი

ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ადრეული სახელმწიფო სტრუქტურები იმპერიების არსებობის შედეგად განვითარდა. ყველა მათგანი მიიჩნევდა თავს ცივილიზებული ცხოვრების ცენტრად; ყველა მათგანი ამოიზარდა გამაერთიანებელი გეოგრაფიული სივრციდან და გაფართოვდა მათ შორის მდებარე თავისუფალ ტერიტორიებზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში ეგვიპტემ თავისი გავლენის სფერო ნილოსის მთელ გაყოლებაზე, დღევანდელ სუდანამდე განავრცო. დაახლოებით იმავე დროს შეძლეს მესოპოტამიის იმპერიებმა – შუმერებმა და ბაბილონელებმა საკუთარი მმართველობა თავს მოეხვიათ ტიგროსისა და ევფრატის გაყოლე-

ბაზე მცხოვრებ ხალხებზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში ირანის პლატოზე აღმოცენდა სპარსეთის სამეფო და განავითარა მმართველობის სისტემა, რომელიც იყო „ისტორიაში პირველი შეგნებული მცდელობა, ერთ ორგანიზებულ საერთაშორისო საზოგადოებად გაეერთიანებინა ჰეტეროგენული აფრიკული, აზიური და ევროპული ჯგუფები“ – და მის სათავეში მდგარიყო მმართველი, რომელიც თავს შაჰინშაჰს – „მეფეთ მეფეს“ უწოდებდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 საუკუნის მიწურულს ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ორ დიდ იმპერიას ეკავა: ბიზანტიისას (ან აღმოსავლეთ რომაულს), რომლის დედაქალაქიც იყო კონსტანტინოპოლი და რომელიც აღიარებდა ქრისტიანულ რელიგიას (ბერძნულ ორთოდოქსულს) და სასანიანების ახალსპარსულს, რომელშიც ზოროასტრიზმის რელიგიას მისდევდნენ და რომლის დედაქალაქიც იყო დღევანდელ ბაღდადთან ახლოს მდებარე ქტესიფონი. ამ იმპერიებს შორის, საუკუნეთა განმავლობაში, მუდმივად ღვივდებოდა კონფლიქტები. მაგრამ 602 წელს, საკმაოდ მალე მას შემდეგ, რაც შავმა ჭირმა დიდი ზიანი მიაყენა ორივე მათგანს, ბიზანტიის ტერიტორიაზე სპარსეთის შეჭრამ 25-წლიანი ომი გამოიწვია. ომმა ორივე იმპერიის ის მოსახლეობა გაანადგურა, რომელიც შავ ჭირს გადარჩენოდა. საბოლოოდ, ბიზანტიამ გაიმარჯვა და ის, რაც სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს, საყოველთაო ღონემიხდილობამ შეძლო – კერძოდ, დაამყარა მშვიდობა. სამშვიდობო ხელშეკრულებამ კი გზა გაუკვალა ისლამის გამარჯვებას. რადგან დასავლეთ არაბეთში, სიცოცხლისათვის სახიფათო უდაბნოში, რომელსაც საერთოდ ვერ აკონტროლებდა იმპერია, წინასწარმეტყველ მუჰამედს და მის მიმდევრებს მსოფლიო წესრიგის სიახლეებმა სულ უფრო მეტი ძალა შემატა.

მსოფლიო ისტორიაში თითო-ოროლა მოვლენა თუ შეედრება იმ დრამას, რომელიც განვითარდა ისლამის გავრცელების ადრეულ ეტაპზე. მუსლიმური გადმოცემით, მუჰამედი 570 წელს დაიბადა მექაში. დაახლოებით 40 წლის ასაკში ჰქონდა პირველი ხილვა; 23 წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა მისი ხილვები, ხოლო მათი ჩაწერის საფუძველზე შეიქმნა ყურანი. სანამ ბიზანტიის და სპარსეთის იმპერიები ერთმანეთს ანადგურებდნენ, მუჰამედმა და მისმა მიმდევრებმა ახალი ერთობა შექმნეს, გააერთიანეს არაბეთის ნახევარკუნძული და შეუდგნენ რეგიონში გავრცელებული რელიგიების – განსაკუთრებით იუდაიზმის, ქრისტიანობის და ზოროასტრიზმის, მუჰამედის წინასწარმეტყველების რელიგიური ვერსიით ჩანაცვლებას.

უპრეცედენტო ექსპანსიის შედეგად ისლამი იქცა მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მოვლენად. მუჰამედის გარდაცვალებიდან (632) მომდევნო საუკუნეში არაბულმა ჯარებმა ახალი რელიგია ისეთ დაშორებულ რეგიონებშიც გაავრცეს, როგორიც იყო აფრიკის ატლანტიკის სანაპირო, ესპანეთის დიდი ნაწილი და თვით ცენტრალური საფრანგეთიც კი. მომდევნო საუკუნეებში ისლამი ინდოეთის და სამხრეთ აზიის ვრცელ ტერიტორიებზეც კი შეიჭრა, ჩინეთის ზოგიერთ მხარეში, აღმოსავლეთ ინდოეთში, სადაც ჯერ ვაჭრების და შემდეგ დამპყრობელთა მიერ იძულებით, უმთავრეს რელიგიად ჩამოყალიბდა.

ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულით ადრე წარმოუდგენელი იქნებოდა, არაბი თანამოაზრეების პატარა ჯგუფი თუ მოიხელთებდა ძალას, რითაც დაიმორჩილებდა რეგიონში საუკუნეების განმავლობაში გაბატონებულ დიდ იმპერიებს. როგორ მოხდა, რომ თითქმის შეუმჩნევლად განმტკიცდა ამხელა იმპერიალისტური ძალა და მასთან შერწყმული მრავალმხრივი, დაუცხრომელი სწრაფვა? მანამდე არაბეთის

ნახევარკუნძული მეზობელ ქვეყნებს არ აღუქვამთ იმპერიულ ძალად. არაბები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ უდაბნოსა და მის ნაყოფიერ ნაწილებში და მათ მწყემსებად და ნახევრად მომთაბარე ტომებად იცნობდნენ. მანამდე მათ არ დაუარსებიათ დიდი სახელმწიფოები ან იმპერიები, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე გაუწიეს რომაელებს მცირედი წინააღმდეგობა. მე-7 საუკუნემდე მათი ისტორიული მეხსიერება მხოლოდ ზეპირსიტყვიერად გადაცემულ ეპოსს მოიცავდა. მართალია, ისინი არსებობდნენ ბერძნების, რომაელების და სპარსელების ცნობიერებაში, მაგრამ ძირითადად, სავაჭრო გზებზე და დასახლებებზე თავდასხმების გამო. ამ კულტურების მსოფლმხედველობას მხოლოდ მაშინ ეცნობოდნენ, როცა მეზობელი ტომის ლოიალობის მოსაპოვებლად და საზღვრების განსამტკიცებლად დაუგეგმავად მოქმედებდნენ.


მხოლოდ ერთი, მართლაც განსაკუთრებული საუკუნის განმავლობაში ამოყირავდა ეს სამყარო. ისლამური საზოგადოება, რომელსაც ახასიათებდა ექსპანსიურობა და შეიძლება ითქვას, ზოგჯერ რადიკალური თანასწორობა, კაცობრიობის ისტორიის არცერთ საზოგადოებას არ ჰგავდა. ყოველდღიურმა ხშირმა და სავალდებულო ლოცვამ მათ რწმენა ცხოვრების სტილად უქცია. რელიგიური და პოლიტიკური ძალის იდენტობის ხაზგასმით ისლამური რწმენის გავრცელება იმპერიალისტური განზრახვიდან წმინდა მოვალეობად გადაიქცა. ისლამი, ფართოვდებოდა რა, ყველა ხალხს, რომელსაც მიადგებოდა, ერთსა და იმავე არჩევანის წინაშე აყენებდა: რჯულზე მოქცევა, დამორჩილება პროტექტორატის სახით ან დაპყრობა. ერთმა არაბმა დესპანმა, რომელიც მე-7 საუკუნეში დაპყრობილ სპარსეთის იმპერიაში წარგზავნეს მოსალაპარაკებლად, გადამწყვეტი ბრძოლის წინა საღამოს დაპყრობილ მასპინძლებს ასე მიმართა: „თუ ისლამს მიიღებთ, არაფერს დაგიშავებთ, გადასახადებს თუ დაეთანხმებით, დაგიცავთ, როცა

დაგჭირდებათ. სხვა შემთხვევაში გარდაუვალი იქნება ომი". მსგავს მუქარას ეფექტურად ამყარებდა არაბული კავალერია, რომლის რელიგიურ ფანატიზმს და სამხედრო ოსტატობას ამძაფრებდა დაპყრობილ ქვეყნებში ნანახი ფუფუნების მიმართ ღრმა ზიზღი. მოსალოდნელი საფრთხის ასაცილებლად, აღიქვამდნენ რა ისლამური მოძრაობის გააქტიურებას, მონაპოვრის განადგურებას ახალი რელიგიისა და მათი მსოფლიო წესრიგის აღიარებას ამჯობინებდნენ ესა თუ ის ქვეყნები.

ისლამის სწრაფმა გავრცელებამ სამ კონტინენტზე მორწმუნეები იოლად დააჯერა ღვთიურ მისიაში. მათ ჩააგონებდნენ, რომ ისლამის გავრცელება კაცობრიობას მოუტანდა მშვიდობასა და ერთობას და ამიტომაც ხედავდნენ მასში მულტიეთნიკურ სუპერსახელმწიფოს და ახალი მსოფლიო წესრიგის რელიგიას.

ისლამი დაპყრობილ ტერიტორიებს ან არამაჰმადიანურ, მაგრამ ხარკის გადამხდელ ქვეყნებს მიიჩნევდა როგორც ერთ პოლიტიკურ მთლიანობას: დარ ალ-ისლამს, „ისლამის სახლს", მშვიდობის სავანეს. მას მართავდა ხალიფატი, ინსტიტუტი, რომელიც თავის თავს მიიჩნევდა წინასწარმეტყველის ამქვეყნიური პოლიტიკური ძალაუფლების სამართალმემკვიდრედ. ისლამის მიღმა დარჩენილ ქვეყნებს უწოდებდნენ დარ ალ-ჰარბს, „ომის ტერიტორიას" და ლეგიტიმური მსოფლიო წესრიგის მიღმა მდებარეს. ისლამის მისიას წარმოადგენდა მათი ჩართვა მსოფლიო წესრიგში და უნივერსალური მშვიდობის დამყარება:

> თეორიულად, დარ ალ-ისლამი საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა დარ ალ-ჰარბთან, რადგან ისლამის ულტიმატურ მიზანს წარმოადგენდა მთელი მსოფლიო. თუ


ისლამური ექსპანსია, 622-1700 წწ.
რუსეთის იმპერია
ატლანტის ოკეანე
ევროპა
ვენა
ტურისა და პუატიეს ბძოლა
732
რომი
შავი ზღვა
კონსტანტინოპოლი
კასპიის ზღვა
ათენი
გრანადა
ხმელთაშუა ზღვა
ტუნისი
ოსმალეთის იმპერია
ფესი
მარაკეში
ტრიპოლი
დამასკო
ბაღდადი
სეფევიდთა იმპერია
თეირანი
ალექსანდრია
იერუსალიმი
ისპაჰანი
კაირო
სამარყანდი
ქაშაგარი
ქაბული
მოგოლთა იმპერია
ყარაჩი
დელი
ჩინეთი
თიმბუქთუ
მოგადიშო
ზანზიბარი
მალაკა
ინდოეთის ოკეანე
ეკვატორი
ექსპანსიის პერიოდები
622–634
634–644
644–661
661–750
750–900
900–1300
1300–1500
1500–1700
ტერიტორიები, რომლებიც 1700 წლისთვის აღარ არიან მუსლიმური ბატონობის ქვეშ
მუსლიმური ექსპანსიის პირველი ტალღის ჩრდილოეთ საზღვარი
N
0 მილი 1000
0 კილომეტრი 1000
მასშტაბი ეკვატორზე

> დარ ალ-ჰარბს ისლამი დაასუსტებდა, Pax Islamica-ს საყოველთაო წესრიგი ყველა სხვა დანარჩენს ჩაანაცვლებდა; არამაჰმადიანური გაერთიანებები ან ისლამური გაერთიანების ნაწილი გახდებოდნენ, ან დაემორჩილებოდნენ მის სუვერენიტეტს როგორც ტოლერირებული რელიგიური ერთეულები, ან კი ხელშეკრულებას გააფორმებდნენ მასთან, როგორც ავტონომიური ერთეულები.

სტრატეგიას, რომელსაც უნდა შეექმნა ეს უნივერსალური სისტემა, ეწოდა „ჯიჰადი" – მორწმუნეების ვალდებულება, ბრძოლით გაავრცელონ საკუთარი რწმენა. „ჯიჰადის" ცნება მოიაზრებდა ომის წარმოებასაც, მაგრამ არ იზღუდებოდა სამხედრო სტრატეგიით; იგი სხვა საშუალებებსაც გულისხმობდა და მორწმუნისაგან მოითხოვდა სრულად დახარჯულიყო ისლამის გზავნილის გავრცელების საქმეში, მაგალითად, შინაგანი, სულიერი ბრძოლით ან სწორი მორალური ქცევით, ისლამის სადიდებლად. გარემოებათა შესაბამისად – სხვადასხვა რეგიონში შეიძლება განსხვავებული ქმედებები გამოიკვეთოს – მორწმუნეს შეუძლია „ჯიჰადი" განახორციელოს „თავისი გულით, სიტყვით, თავდაუზოგავი შრომით ან მახვილით".

რასაკვირველია, გარემოებები მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ადრეულმა ისლამურმა სახელმწიფომ თავისი რწმენის გავრცელება ყველა მიმართულებით დაიწყო და მორწმუნეთა მთელ გაერთიანებაზე გაბატონდა, როგორც ერთადერთი პოლიტიკური ერთობა. ეს გარემოებები გადაიქცა მდგომარეობად, რომელშიც ისლამი მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვის ლატენტური გამოწვევაა. მუსლიმებსა და არამუსლიმებს შორის ინტერაქციამ განვლო ანტაგონიზმის პერიოდები, მაგრამ ხშირად იყო ნაყოფიერი თანაარსებობის მონაკვეთებიც. მუსლიმურ და არამუსლიმურ სამყაროებს მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან სავაჭრო გზები, ხოლო დი-

პლომატიური შეთანხმებები მნიშვნელოვანი საერთო მიზნების მისაღწევად ხშირად ემყარებოდა მუსლიმური და არამუსლიმური ქვეყნების თანამშრომლობას. და მაინც, მსოფლიო წესრიგის ორმაგი კონცეფცია ოფიციალურ სახელმწიფო დოქტრინად რჩება ირანში და მის კონსტიტუციაშიც ჩაწერილია; ეს კონცეფცია ასაზრდოებს ლიბანის, ერაყის, იემენის, სირიის, ლიბიის და პაკისტანის შეიარაღებული უმცირესობების მოწოდებას ბრძოლისკენ და ქმნის მსოფლიოს მრავალი ტერორისტული დაჯგუფების იდეოლოგიის ბირთვს, მათ შორის – ერაყისა და სირიის ისლამურ სახელმწიფოებშიც (ISIL).

სხვა რელიგიებმაც, უპირველესად კი ქრისტიანობამ, ასევე გაიარეს ჯვაროსნობის ფაზები, ხანდახან მათაც მიუმართავთ საკუთარი უნივერსალური მისიის მისაღწევად დაპყრობისა და თავიანთ რჯულზე იძულებით მოქცევის მსგავსი მეთოდებისთვის (მე-16 საუკუნეში ესპანელმა კონკისტადორებმა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ცივილიზაციები გაანადგურეს მსოფლიოს საბოლოო დაპყრობის მსგავსი სურვილით). განსხვავება ისაა, რომ დასავლეთში ჯვაროსნობის სულისკვეთება მინავლდა ან იქცა საერო შეხედულებებად, რომელიც ნაკლებად აბსოლუტური (და ნაკლებად მუდმივი) აღმოჩნდა, ვიდრე რელიგიური იმპერატივი. ქრისტიანობა დროთა განმავლობაში იქცა ფილოსოფიურ და ისტორიულ კონცეფციად და აღარ წარმოადგენდა ოპერატიული სტრატეგიის პრინციპს და საერთაშორისო წესრიგს. ეს პროცესი გააადვილა ქრისტიანული სამყაროს მიერ „კეისრისა" და „ღმერთის" „საქმეებს" შორის განსხვავების შეცნობამ. ამგვარად, შესაძლებელი გახდა პლურალისტული, სეკულარული საგარეო პოლიტიკის განვითარება, რომელიც ეყრდნობოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების საერთაშორისო სისტემას, რაც აღვწერეთ ამ წიგნის წინა ორ თავში. პროცესს სხვა გარემოებებმაც შეუწყო ხელი, მათ შორის, რელიგიური გულმოდგინების ჩასანაცვლე-

ბლად მოგონილი თანამედროვე ჯვაროსნული კონცეფციების შედარებით ნაკლებმა მიმზიდველობამ – მაგალითად, მილიტანტურმა საბჭოთა კომუნიზმმა, რომელიც ქადაგებდა მსოფლიო რევოლუციას; ანდა რასობრივ მოძღვრებაზე დაფუძნებულმა იმპერიალიზმმა.

მუსლიმურ სამყაროში ევოლუცია უფრო კომპლექსურად მიმდინარეობდა. ერთი მხრივ, გარკვეულ პერიოდებში ისევ იღვიძებდა მიდგომების კონვერგენციის იმედი. მეორე მხრივ, ოსმალეთის იმპერია 1920-იან წლებამდე აცხადებდა პრეტენზიას, რომ ის წარმოადგენდა წინასწარმეტყველ მუჰამედის უშუალო პოლიტიკურ მემკვიდრეს. მაგრამ ოსმალეთის იმპერიის დაცემის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი მუსლიმური სახელმწიფოების შეხედულებები გაყოფილია. ცალ მხარესაა სახელმწიფოები, რომელთაც სურთ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ახალ ეკუმენურ მსოფლიო წესრიგში, რომელიც ეყრდნობა ეროვნული სახელმწიფოს არსებობას. მართალია, მათაც ახასიათებთ ღრმა რელიგიური რწმენა, მაგრამ შესწევთ უნარი, თავიანთი რწმენა საგარეო პოლიტიკური საკითხებისაგან მკაფიოდ გამიჯნონ. მეორე მხარეს კი ის ქვეყნებია, რომლებიც თავს მიიჩნევენ უნივერსალური ავტორიტეტის მემკვიდრეობისთვის მებრძოლებად და აღიარებენ მსოფლიო წესრიგის ტრადიციული ისლამური კონცეფციის მკაცრ ვარიანტს.

გასული ოთხმოცდაათი წლის განმავლობაში ორივე თვალსაზრისის მიმდევართა შორის რამდენიმე გამორჩეული პიროვნება გამოიკვეთა; ზოგი მათგანი საუკუნის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო მოღვაწეთა რიგს მიეკუთვნება, ზოგი კი შთამბეჭდავი რელიგიური აბსოლუტისტი გახლდათ. ამ ორ შეხედულებას შორის დაპირისპირება არ დასრულებულა. ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ მთავრობაში იმ პირთა გვერდით, ვისაც სწამს ევროპულ სახელმწიფოზე დაფუძნე-

ბული გლობალური წესრიგი, არიან ისეთებიც, რომლებიც რელიგიურ წესრიგს ემხრობიან – გინდაც მათ თანაარსებობას ხშირად ახლდეს დაძაბულობა. ბევრი მორწმუნე მუსლიმისთვის ისლამური სამყარო გარე სამყაროსთან მუდმივ დაპირისპირებაში ცხოვრობს, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ისლამიზმი ისევ იწყებს აღორძინებას – ეს არის თანამედროვე იდეოლოგია, რომელიც ისლამურ წმინდა წერილს განიხილავს როგორც პირადი, პოლიტიკური და საერთაშორისო ცხოვრების ცენტრალურ, გადამწყვეტ ინსტანციად.

ადრეულ ისლამურ სისტემაში დასაშვები იყო თავდაუსხმელობის პაქტების დადება არამუსლიმურ საზოგადოებებთან. მაგრამ სამართლის ტრადიციული გაგებით, ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა მხოლოდ შეზღუდულვადიან პრაგმატულ შეთანხმებებთან, რომელიც ისლამურ მხარეს გარე საფრთხეებისგან იცავდა, შიგნით კი უფრო აძლიერებდა და აერთიანებდა. ეს ათწლიანი შეთანხმებები, საჭიროების მიხედვით, გაგრძელებას ექვემდებარებოდა; ისინი ეფუძნებოდა ადრეული ისლამური სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებულ პრეცედენტულ წესებს, რომელთა საშუალებითაც იგი იმ მტრებს უდებდა ზავს, რომელთა დაპყრობაც მომავალში განზრახული ჰქონდა. ადრეული ეპოქების მუსლიმურ ისტორიას ახასიათებდა, რომ: „ისლამური სამართლის წესების მიხედვით, შეუძლებელია მუდმივმოქმედი შეთანხმების დადება, რადგან იგი მაშინვე კარგავს ძალას, როგორც კი მუსლიმებს არამუსლიმების დაპყრობის საშუალება უჩნდებათ“.

ისლამის სამართლებრივი წესები, შესაბამისად, არ ითვალისწინებდა ხანგრძლივი საერთაშორისო წესრიგის სისტემას, რომელშიც მოხდებოდა ისლამური სახელმწიფოს და სუვერენული არამუსლიმური სახელმწიფოების თანაბარი პირობებით ინტერაქცია: „დარ ალ-ჰარბის საზოგადოებები მიიჩნეოდა „ბუნებრივ მდგომარეობაში“ ჩარჩენილად, რადგან მათ არ

გააჩნდათ ისლამთან თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობისათვის აუცილებელი სამართლებრივი კომპეტენცია, რადგან ისინი არ აკმაყოფილებდნენ მის ეთიკურ და სამართლებრივ სტანდარტებს". რადგან ამ თვალსაზრისით ისლამური სახელმწიფოს შიდა პრინციპები ღმერთისგან მომდინარეობდა, არამუსლიმური პოლიტიკური ერთეულები არალეგიტიმურად მიიჩნეოდა; მათ მუსლიმური სახელმწიფოები არასოდეს აღიარებდნენ თანაბარუფლებიან პარტნიორებად. აქედან გამომდინარეობდა, რომ მშვიდობიანი მსოფლიო წესრიგის დამყარება დამოკიდებული იყო ერთიანი და მტკიცე ისლამური ერთეულის შექმნასა და მთელ მსოფლიოში გავრცელებაზე და არა დაპირისპირებულ მხარეთა შორის წონასწორობის დამყარებაზე.

ისლამური მსოფლმხედველობის იდეალიზებულ ვერსიაში, მშვიდობა და სამართლიანობა ისლამის ქვეშ მხოლოდ ერთი მიმართულებით და შეუქცევად პროცესად შეიძლებოდა განვითარებულიყო. სამუდამოდ ვერასოდეს შეეგუებოდნენ დარ ალ-ისლამის ტერიტორიების დაკარგვას, რადგან ამით გაბათილდებოდა უნივერსალური რწმენის ლეგიტიმურობა. ისტორიაში არ მოიძებნება სხვა პოლიტიკური წამოწყება, რომელიც ასეთი დაუოკებელი ჟინით გაევრცელებინოთ. დროთა განმავლობაში ისეც მომხდარა, რომ ისლამის ექსპანსიის პერიოდში დაპყრობილი ტერიტორიები მუსლიმური კონტროლიდან გასულა, მაგ.: ესპანეთი, პორტუგალია, სიცილია, სამხრეთი იტალია, ბალკანეთის ნაწილი (რომელიც დღესაც წარმოადგენს მუსლიმური და ძირითადად, ორთოდოქსული ქრისტიანობის ანკლავების ჭრელ ხალიჩას), საბერძნეთი, სომხეთი, საქართველო, ისრაელი, ინდოეთი, რუსეთის სამხრეთი და დასავლეთ ჩინეთის ნაწილები. მაგრამ ექსპანსიის ტალღის დროს ისლამის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების უმრავლესობა დღემდე მუსლიმურია.

არცერთ საზოგადოებას, არასოდეს არ ჰქონია ძალა, არცერთ რეჟიმს არ გამოუჩენია გამძლეობა, არცერთ რწმენას არ ჰქონია დინამიკურობა, რომელიც მსოფლიოს ხანგრძლივად თავს მოახვევდა რომელიმე „წმინდა წერილს“. აქამდე, ისლამის ჩათვლით, ყველა დამპყრობელს მოუწია იმის გაცნობიერება, რომ უნივერსალურობის პრეტენზია ილუზიაა. როდესაც ადრეული ისლამური იმპერია გაფართოვდა, მაშინვე დაიშალა ბევრ მცირე ცენტრად. მუჰამედის სიკვდილისთანავე დაიწყო გაყოფა სუნიტურ და შიიტურ მიმართულებებად, რაც თანამედროვე ისლამურ სამყაროშიც ყველაზე მნიშვნელოვანი დაყოფაა. ყოველ ახალ პოლიტიკურ წარმონაქმნს ტვირთად აწვება მემკვიდრეობის საკითხი; მაგრამ თუკი რელიგიის დამფუძნებელს და გამავრცელებელს ამავდროულად „წინასწარმეტყველის დამღად“ და ღმერთის უკანასკნელ მოციქულად მიიჩნევენ და ეთაყვანებიან, მისი მემკვიდრეობის შესახებ კამათი, პოლიტიკურთან ერთად, თეოლოგიურ განზომილებასაც იძენს. 632 წელს მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ უხუცესთა საბჭომ მისი სიმამრი აბუ ბაკრი მის მემკვიდრედ, ხალიფად გამოაცხადა; მათ სწამდათ, რომ იგი ახალგაზრდა მუსლიმური საზოგადოების ერთობასა და ჰარმონიას საუკეთესოდ შეინარჩუნებდა. მაგრამ უმცირესობის ერთი ნაწილი ფიქრობდა, რომ საკითხი კენჭისყრით არ უნდა გადაწყვეტილიყო, რადგან ისინი არ გამორიცხავდნენ ადამიანურ შეცდომას, ამიტომ ძალაუფლება ავტომატურად უნდა გადასულიყო მუჰამედის უახლოეს სისხლით ნათესავზე, ანუ მის ბიძაშვილზე, ალიზე – განთქმულ, ჰეროიკულ მებრძოლზე, რომელიც ადრევე ეზიარა ისლამს, თანაც, ვარაუდობდნენ, რომ მუჰამედმა სწორედ ის ამოარჩია თავის მემკვიდრედ.

ეს ორი ბანაკი იქცა საბოლოოდ ისლამის ორ ძირითად მიმართულებად. აბუ ბაკრის და მისი უშუალო მემკვიდრეების მიმდევართა თვალსაზრისით, მუჰამედის ურთიერთობა ღმერთ-

თან განუმეორებელი და საბოლოო იყო; ხალიფატის უპირველესი ამოცანა კი, შესაბამისად, მუჰამედის მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება იყო. ეს შტო იქცა სუნიტებად, რაც ნიშნავს „ტრადიციისა და თანხმობის ხალხს". შიიზმის („ალის პარტია") მიმდევართათვის ახალ ისლამურ საზოგადოებაში სახელმწიფო ძალაუფლება სულიერ ამოცანას წარმოადგენდა, რომელიც შეიცავდა ეზოტერულ ელემენტსაც. მათი შეხედულებით, მუსლიმები მხოლოდ მაშინ შეძლებდნენ მუჰამედის გამოცხადება ზედმიწევნით აღესრულებინათ, თუკი მათ წარუძღვებოდა განსაკუთრებული სულიერებით გამორჩეული, წინასწარმეტყველისა და ალის ხაზის უშუალო გამგრძელებელი და რელიგიის საიდუმლოს დამცველი. როდესაც ალი, საბოლოოდ, მეოთხე ხალიფა გახდა და ძალაუფლება მოიპოვა, მას აუჯანყდნენ და ის ერთმა მობმა მოკლა; ამის შემდეგ სუნიტები უპირველეს ამოცანად მიიჩნევდნენ ისლამში წესრიგის აღდგენას და მხარს უჭერდნენ სტაბილურობის მოსურნე ბანაკს. შიიტები კი ახალ მბრძანებელს არ სცნობდნენ, რადგან არალეგიტიმურ უზურპატორად მიაჩნდათ და ეთაყვანებოდნენ წინააღმდეგობის გაწევისას დახოცილ მოწამეებს. ეს ზოგადი თავისებურებანი საუკუნეების განმავლობაში შენარჩუნდა.

დოქტრინულ განსხვავებებს კიდევ უფრო ამწვავებდა გეოპოლიტიკური ქიშპობა. დროთა განმავლობაში, გავლენის სხვადასხვა სფეროებმა – არაბულმა, სპარსულმა, თურქულმა და ინდურმა – შეიძინა მნიშვნელობა. თეორიულად ყველა მათგანი ორიენტირებული იყო გლობალური მუსლიმური წესრიგის ერთსა და იმავე მოდელზე, მაგრამ მოქმედებდნენ როგორც დაპირისპირებული მონარქიები, რომელთაც საკუთარი ინტერესები ჰქონდათ და რწმენის თავიანთ ინტერპრეტაციას მისდევდნენ. ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით ინდოეთის დიდ მოგოლთა იმპერიაში, იგი შეიცავდა რწმენის შედარე-

ბით ეკუმენურ და რელიგიური სინკრეტიზმის საწყისსაც კი, რომელიც ხაზს უსვამდა სხვა რელიგიების მიმართ ტოლერანტულობას და რელიგიურ იმპერატივზე მეტად პრაგმატული საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობას. ამდენად, როდესაც რადიკალურმა სუნიტურმა მოძმე ძალებმა შიიტური ირანის წინააღმდეგ ჯიჰადი გამოაცხადეს, ინდოეთის დიდ მოგოლთა იმპერია მოწოდებას არ აჰყვა და მიუთითა ტრადიციულ მეგობრობასა და casus belli-ს არარსებობაზე.

საბოლოოდ, ისლამის მსოფლიო პროექტად ქცევის იმპულსი შესუსტდა, როდესაც ევროპამ მოიგერია მისი პირველი ექსპანსიური ტალღა. 732 წელს პუატიეს და ტურის ბრძოლებმა საფრანგეთში წერტილი დაუსვა არაბული და ჩრდილოაფრიკული მუსლიმების ჯარების მანამდე შეუჩერებელ სვლას. მცირე აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ბიზანტიურმა დაცვამ ოთხი საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნა გამყოფი ხაზი, რომლის იქითაც დასავლეთმა დაიწყო თავისი, რომის იმპერიის შემდგომი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება. დასავლური კონცეფციები გადაიტანეს მუსლიმთა მიერ მართულ ტერიტორიებზეც, როდესაც ბიზანტიელები მცირე დროით ახლო აღმოსავლეთში დაბრუნდნენ. ქრისტიანული ორდენების ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ჩააღწია ისტორიულ წმინდა მიწამდე, რომელმაც ისლამი ჯერ კიდევ მე-7 საუკუნეში გაითავისა. ქრისტიანებმა 1099 წელს აიღეს იერუსალიმი და დააარსეს სამეფო, რომელიც 200 წელიწადს არსებობდა. ქრისტიანული რეკონკისტა ესპანეთში დასრულდა 1492 წელს, როდესაც დაეცა გრენადა – იბერიის ნახევარკუნძულის უკანასკნელი ისლამური ბასტიონი. შედეგად, ისლამის გავლენის სფეროს დასავლეთ საზღვარმა ჩრდილოეთ აფრიკამდე დაიხია.

მე-13 საუკუნეში ისევ გაიღვიძა უნივერსალური წესრიგის ოცნებამ. აღმოცენდა ახალი მუსლიმური იმპერია, რომელსაც მართავდნენ ოსმალელი თურქები, დამპყრობელი ოსმა-

ნის მიმდევრები. ოსმანის მანამდე უმნიშვნელო ანატოლიის სახელმწიფო ახლა შთამბეჭდავ ძალად მოგვევლინა, რომელმაც შეძლო ბიზანტიის იმპერიის ნარჩენების დაპყრობა. ოსმალები შეუდგნენ წინა საუკუნეების დიდი ისლამური ხალიფატების მემკვიდრე იმპერიის შენებას. მათ თავი გაერთიანებული ისლამური სამყაროს წინამძღოლებად მიაჩნდათ და ყველა მიმართულებით ფართოვდებოდნენ წმინდა ომების წარმოებით: ჯერ ბალკანეთზე შეიჭრნენ, 1453 წელს კი ბიზანტიის იმპერიის ადრინდელი დედაქალაქი, ბოსფორის სრუტეზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის კონსტანტინოპოლი (სტამბოლი) აიღეს და თავიანთ დედაქალაქად გამოაცხადეს. შემდეგ კი სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ დაიძრნენ – არაბეთის ნახევარკუნძულზე, მესოპოტამიის, ჩრდილოეთ აფრიკის, აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიისკენ და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით დომინანტურ ძალად იქცნენ. ადრეული ისლამური იმპერიის მსგავსად, ოსმალებიც უნივერსალურ ამოცანად მიიჩნევდნენ თავიანთ პოლიტიკურ მისიას, რომელსაც „მსოფლიოში წესრიგი უნდა დაემყარებინა", მისი სულთნები კი თავს „დედამიწაზე ღმერთის ჩრდილს" და „მსოფლიოს უნივერსალურ მბრძანებელს და მცველს" უწოდებდნენ.

ოსმალეთის იმპერიას ნახევარი საუკუნით ადრე, თავისი წინამორბედების მსგავსად, დასავლეთით მიმართული ექსპანსიისას, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან მოუწია კონტაქტი. განსხვავებამ, რაც შემდგომ მულტიპოლარული ევროპული სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობდა და ერთადერთი უნივერსალური იმპერიის ოსმალურ კონცეფციას ემიჯნებოდა, მათი ურთიერთობა უაღრესად გაართულა. ოსმალები უარს ამბობდნენ, ევროპული სახელმწიფოები ლეგიტიმურად და თანასწორუფლებიანად ელიარებინათ. მიზეზი არა მხოლოდ ისლამურ მოძღვრებაში უნდა ვეძებოთ, არამედ მათ მიერ რეალური ძალაუფლების შეფასებაშიც –

ოსმალეთის იმპერია ბევრად უფრო დიდ ტერიტორიას ფლობდა, ვიდრე ყველა დასავლეთ ევროპული სახელმწიფო ერთად და მრავალი ათწლეულის განმავლობაში წარმოადგენდა უფრო ძლიერ სამხედრო ძალას, ვიდრე ამ სახელმწიფოების ნებისმიერი კოალიცია.

ამ კონტექსტში, ფორმალურ ოსმალურ დოკუმენტებში ოსმალეთის იმპერიის სულთანზე დაბალი რანგი ენიჭებოდათ ევროპელ მონარქებს; ისინი დაახლოებით უტოლდებოდნენ სულთნის ვეზირს ან პრემიერ-მინისტრს. იმავე მასშტაბით, ევროპელი ელჩები, რომელთაც ოსმალები კონსტანტინოპოლში ყოფნის უფლებას აძლევდნენ, მთხოვნელის სტატუსს უნდა დასჯერებოდნენ. დესპანებთან ერთად შემუშავებულ ხელშეკრულებებს არ ეწოდებოდა ორმხრივი ხელშეკრულებები, არამედ უნილატერული და ისინი შეიცავდა სულთნის მიერ დიდსულოვნად გაცემულ პრივილეგიებს, რომლებიც მას ნებისმიერ დროს შეიძლებოდა გაეუქმებინა.

როდესაც ოსმალები თავიანთი სამხედრო შესაძლებლობების ზღვარს ეჯახებოდნენ, მხარეებს ტაქტიკურად მომგებიანი ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობა ეძლეოდათ. სტრატეგიული და ეკონომიკური მიზნების გათვალისწინებით, ისინი უგულებელყოფდნენ რელიგიის საკითხს.

ასე აღმოჩნდა 1526 წელს საფრანგეთი ალყაში – სამხრეთით ესპანეთის მართული ჰაბსბურგის, ხოლო აღმოსავლეთით ჰაბსბურგების მართული საღვთო რომის იმპერიის მიერ. ამიტომაც საფრანგეთმა ოსმალეთის სულთან სულეიმან ბრწყინვალეს სამხედრო ალიანსი შესთავაზა. იმავე სტრატეგიულმა კონცეფციამ აიძულა კათოლიკური საფრანგეთი ასი წლის შემდეგ ოცდაათწლიან ომში პროტესტანტების მხარეს დამდგარიყო. სულეიმანი ჰაბსბურგის ძალაუფლებას აღმოსავლეთ ევროპაში ოსმალეთის მიზნების დიდ დაბრკოლებად აღიქვამდა და საფრანგეთის შეთავაზებას კეთილგანწყო-

ბით შეხვდა, თუმცა საფრანგეთის მეფეს უდავოდ „უმცროს პარტნიორად" მიიჩნევდა. ალიანსს იგი მაინც არ დაეთანხმა, რადგან ამით მოუწევდა საფრანგეთის, როგორც მორალურად თანასწორუფლებიანი ქვეყნის აღიარება; მან საფრანგეთს დახმარება აღუთქვა, რაც მიუწვდომელი სიმაღლიდან გადმოგდებულ წყალობას უდრიდა:

> მე, სულთანთა სულთანი, მბრძანებელთა მბრძანებელი, მსოფლიოს მონარქთა ყველა გვირგვინის გამცემი, ღმერთის ჩრდილი დედამიწაზე, სულთანი და მბრძანებელი თეთრი ზღვისა და შავი ზღვისა, რუმელიიდან ანატოლიამდე, ყარამანიიდან... თქვენ, ფრანსუა, მეფეს მიწისა, სახელად საფრანგეთი.
>
> თქვენ გზავნილი მოართვით ჩემს მაღალ სამრეკლოს, ყველა მბრძანებლის თავშესაფარს... თქვენ ითხოვთ დახმარებას და ხსნას... მოიკრიბეთ გამბედაობა და... სულით ნუ დაეცემით. ჩვენი ძლევამოსილი წინამორბედნი და სახელოვანი წინაპრები (ღმერთმა გაანათოს მათი სამარეები) არასოდეს დაუღლია ომს, რათა დაემარცხებინა მტერი და დაეპყრო მისი მიწები. ჩვენ მათ ნაკვალევს მივყვებით და ყოველთვის ვიპყრობდით ძლიერ პროვინციებს და მიუდგომელ ციხესიმაგრეებს. დღედაღამ შეკაზმული გვიყენია ცხენები და ხელთ გვიპყრია სადავეები.

შედეგად მივიღეთ ქმედითი სამხედრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ერთობლივი ოსმალურ-ფრანგული საზღვაო მანევრი ესპანეთისა და იტალიის ნახევარკუნძულის წინააღმდეგ. მაგრამ ჰაბსბურგელებიც იმავე წესების მიხედვით თამაშობდნენ: ისინი, ასე ვთქვათ, თავზე გადაახტნენ ოსმალეთის იმპერიას და სპარსეთში შიიტების სეფევიდების დინასტიასთან მოილაპარაკეს, რომ

ალიანსი შეექმნათ. მაშასადამე, გარკვეული დროით მაინც გეოპოლიტიკურმა წნეხმა გადაწონა იდეოლოგია.

ოსმალეთის იმპერია: ევროპელი სნეული

ევროპულ წესრიგზე ოსმალეთის მხრიდან შეტევები ისევ გახახლდა. მათ შორის ყველაზე აღსანიშნავი – შეტევა ვენაზე განხორციელდა 1683 წელს. თუმცა ქალაქის დაკავებას მაშინ წინ აღუდგა ევროპული არმია ეუენი სავოიელის მეთაურობით. დიდი თურქული ომები წარმოადგენდა ევროპაში ოსმალური ექსპანსიის მცდელობის კულმინაციას.

გვიანდელ მე-18 საუკუნეში ევროპული სახელმწიფოები შეუდგნენ პროცესის სულ უფრო მკვეთრად შემოტრიალებას და ეს მცდელობა მე-19 საუკუნეშიც არ შეუწყვეტიათ. ოსმალეთის იმპერია ნელ-ნელა იქცა სკლეროტულ წარმონაქმნად, რადგან ორთოდოქსი რელიგიური ჯგუფები იმპერატორის კარზე ყველა სახის მოდერნიზაციას ენინააღმდეგებოდნენ. რუსეთი იმპერიას ჩრდილოეთიდან უტევდა და შავ ზღვასა და კავკასიას სულ უფრო უახლოვდებოდა. იგი ამავე დროს ავსტრიასთან ერთად აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან იჭრებოდა ბალკანეთზეც, მაშინ, როცა საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ეგვიპტეში ექიშპებოდნენ ერთმანეთს გავლენის მოსაპოვებლად – ეგვიპტე წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიის გვირგვინის ყველაზე ძვირფას თვალს, ეგვიპტე მე-19 საუკუნეში მრავალმხრივ განვითარდა და ეროვნული ავტონომიის განსხვავებულ საფეხურებს მიაღწია.

შიდა არეულობისგან შერყეული თურქეთი დასავლეთის ძალების თვალში მალე იქცა „ევროპელ სნეულად". ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთის იმპერიის უზარმაზა-

რი ტერიტორიების, მათ შორის დასავლეთთან ისტორიულად დაკავშირებული მნიშვნელოვანი ქრისტიანული ერთეულების ბედი გახდა „აღმოსავლეთის საკითხი". მე-19 საუკუნეში დიდი ევროპული სახელმწიფოები ბევრჯერ შეეცადნენ ოსმალეთის ტერიტორიები ისე დაენაწილებინათ, რომ ევროპაში ძალთა წონასწორობა ასე თუ ისე შენარჩუნებულიყო. ოსმალები კი სუსტისთვის დამახასიათებელ ზომებს მიმართავდნენ: ისინი ცდილობდნენ დაპირისპირებული დიდი ძალების მანიპულირებას, რომ უფრო თავისუფლად ემოქმედათ.

ამგვარად, ოსმალეთის იმპერია მე-19 საუკუნის ბოლოს პროვიზორული წევრის სახით მიუერთდა ვესტფალიის საერთაშორისო წესრიგს, მაგრამ განიხილებოდა რა დამარცხებულ ძალად, მთლიანად რომ ვეღარ აკონტროლებდა საკუთარ ბედს, მაინც ინარჩუნებდა „წონას", მართალია გათვალისწინებულს, ევროპული წონასწორობის დამყარებისას, მაგრამ მას აღარ მიიჩნევდნენ პროცესის სრულფასოვან პარტნიორად. დიდი ბრიტანეთი ოსმალეთის იმპერიას იყენებდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბოსფორის და დარდანელის სრუტეებთან რუსეთის კიდევ უფრო მიახლოების აღსაკვეთად; ავსტრია კი ბალკანეთზე საკუთარი ინტერესების გასატარებლად ხან რუსეთს ეკვრებოდა, ხან კი – ოსმალეთს.

პირველმა მსოფლიო ომმა წერტილი დაუსვა ერთმანეთის მიმართ ფრთხილ მანევრირებას. გერმანელებთან შეკრული ოსმალები ომში ჩაერთნენ არგუმენტებით, რომლებიც ორივე საერთაშორისო სისტემიდან გამომდინარეობდა – როგორც ვესტფალიური, ისე ისლამური სისტემებიდან. სულთანი რუსეთს ბრალს სდებდა მისი იმპერიის „შეიარაღებული ნეიტრალიტეტის" დარღვევაში, რადგან მან „საერთაშორისო სამართლის დარღვევით გაუმართლებელი შეტევა მიიტანა ოსმალეთზე" და განაცხადა, „ჩვენი კანონიერი ინტერესების დასაცავად ავიღებთ ხელში იარაღსო" (ვესტფალიური casus

belli-ს კვინტესენცია). ამავდროულად, ოსმალთა უმაღლესმა რელიგიურმა წინამძღოლმა „ჯიჰადი" გამოაცხადა და რუსეთს, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს „ისლამის განადგურების მიზნით ხალიფატზე თავდასხმაში" დასდო ბრალი. გარდა ამისა, მან მოუწოდა, რომ „ყველა ქვეყნის მაჰმადიანების" რელიგიური მოვალეობაა (მათ შორის, ბრიტანული, ფრანგული და რუსული ადმინისტრაციის ქვეშ მცხოვრებთაც), „სხეულითა და მთელი თავიანთი ქონებით სასწრაფოდ შეუერთდნენ ჯიჰადს", თუ არადა მათ მისწვდებათ „ღვთის რისხვა".

წმინდა ომი ხანდახან კიდევ უფრო აღზევებდა ისედაც ძლიერთ ამა ქვეყნისა, მაგრამ მარცხისთვისაა განწირული, ვინც არ გაითვალისწინებს სტრატეგიულ და პოლიტიკურ რეალობას. მაშინდელი მამოძრავებელი ძალა კი ეროვნული იდენტობა და ეროვნული ინტერესები იყო და არა გლობალური ჯიჰადი. ბრიტანეთის იმპერიის მუსლიმებმა ჯიჰადის გამოცხადებას ანგარიში არ გაუწიეს. ბრიტანეთის ინდოეთში მნიშვნელოვანი მუსლიმური წინამძღოლები დამოუკიდებლობის მოძრაობას უთმობდნენ მეტ ყურადღებას. მათი ხასიათი ხშირად ეკუმენური იყო და ჰინდუისტურ თანამემამულეებთან თანამშრომლობას ემყარებოდა. არაბეთის ნახევარკუნძულზე ნაციონალურმა, თავისი ბუნებით ანტიოსმალურმა მისწრაფებებმა გაიღვიძა. გერმანელების იმედი, რომ ომში ფართო პანისლამური დახმარების ფრონტი გაიხსნებოდა, ქიმერა აღმოჩნდა. 1918 წელს, ომის დამთავრების შემდეგ, ყოფილი ოსმალური ტერიტორიები, სხვადასხვა თავსმოხვეული მექანიზმის საშუალებით, ჩაერთო ვესტფალიის საერთაშორისო სისტემაში.

ვესტფალიის სისტემა და ისლამის სამყარო

სევრის 1920 წლის ხელშეკრულებამ, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოსმალეთის იმპერიის დარჩენილ ტერიტორიასთან დაიდო, ახლო აღმოსავლეთის რუკა ახლებურად მოხაზა – ეს იყო ბევრი ცალკეული სახელმწიფოსგან შემდგარი ჭრელი ხალიჩა. ეს გახლდათ კონცეფცია, რომელიც მანამდე არ არსებობდა ოსმალეთის პოლიტიკურ ლექსიკონში. ზოგიერთი ტერიტორია, მაგალითად, ეგვიპტე და არაარაბული ირანი, ფლობდა იმპერიის ან კულტურული ერთიანობის ისტორიულ გამოცდილებას. სხვანი ბრიტანული ან ფრანგული „მანდატის“ ქვეშ მოექცნენ, რაც ან კოლონიალიზმის მიზეზად ან პატერნალისტურ მცდელობად აღიქმებოდა, შეეხედათ მათთვის როგორც სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ეს-ესაა იქმნებოდნენ და პირველ ეტაპზე მფარველი სჭირდებოდათ. 1916 წლის საიქს-პიკოს შეთანხმებით (ასე ეწოდა ამ ხელშეკრულებას ბრიტანელი და ფრანგი მომლაპარაკებლების გვარების გამო), ახლო აღმოსავლეთი გავლენის სფეროებად დაიყო. ერთა ლიგის მიერ რატიფიცირებული მანდატის სისტემამ დაყოფა ძალაში შეიყვანა: სირია და ლიბანი მიეკუთვნა საფრანგეთს; მესოპოტამია (შემდგომ ერაყი) მოექცა ბრიტანეთის გავლენის ქვეშ, ბრიტანეთის „პალესტინის მანდატის“ ქვეშ გამწესდა პალესტინა და ტრანსიორდანია, ტერიტორია, გადაჭიმული ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან ერაყის დასავლეთ საზღვრამდე. ყველა ახლად შექმნილი ერთეული მოიცავდა მრავალ რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფს, რომელთაგან რამდენიმე თავისი ისტორიის ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში ერთმანეთს მტრობდა. ასეთი ვითარება კი მანდატის მფლობელებს, არსებული დაძაბულობით მანიპულირების გზით, მდგომარეობის სათავისოდ გამოყენების საშუალებას

აძლევდა. ასე შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი მომავლის ომებისა და სამოქალაქო კონფლიქტებისათვის.

1917 წლის ბალფურის დეკლარაციით ბრიტანეთის მთავრობამ ანგარიში გაუწია აღმოცენებულ სიონიზმს – ებრაულ ეროვნულ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავდა ისრაელის მიწის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ეს მისწრაფება ომამდე გაჩნდა, მაგრამ ომის შემდეგ მეტად გაძლიერდა. დეკლარაცია ეყრდნობოდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბალფურის წერილს ლორდ როტშილდისადმი, რომელშიც მთავრობა აცხადებდა, რომ იგი „კეთილგანწყობით უყურებს პალესტინაში ებრაელი ხალხის ეროვნული სამშობლოს შექმნას... თუმცა კეთილმა განზრახვამ არ უნდა დაუშვას ისეთი მოვლენები, რაც პალესტინაში არსებული არაებრაული ჯგუფების მოქალაქეობრივ და რელიგიურ უფლებებს, ან სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელთა უფლებებს და პოლიტიკურ სტატუსს დააყენებს ეჭვქვეშ". ეს ფორმულირება გარკვეულ ორაზროვნებასაც გულისხმობდა. როგორც ჩანს, ბრიტანეთი საიდუმლოდ იმავე ტერიტორიას მექის დიდ შარიფსაც პპირდებოდა.

ძალთა ფორმალურმა გადალაგებამ უზარმაზარ ცვლილებებს დაუდო სათავე. 1924 წელს ახლად შექმნილი თურქეთის რესპუბლიკის სეკულარულ-ნაციონალურმა ხელმძღვანელობამ გააუქმა პანისლამური ერთობის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი – ხალიფატი და სეკულარული სახელმწიფოს დაარსება გამოაცხადა. მუსლიმური სამყარო ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა: ვესტფალიის გამარჯვებულ საერთაშორისო წესრიგსა და დარ ალ-ისლამის აწ უკვე განუხორციელებელ კონცეფციას შორის. ახლო აღმოსავლეთის ახალგაზრდა, გამოუცდელი სახელმწიფოები შეუდგნენ თავიანთი ქვეყნების თანამედროვე სახელმწიფოებად ჩამოყალიბებას, ეს კი ხორ-

ციელდებოდა თვითნებურად გავლებული, ყოველგვარ ისტორიულ საფუძველს მოკლებული საზღვრების პირობებში.

ევროპული ყაიდის სეკულარული სახელმწიფოს შექმნის მაგალითი არაბეთის ისტორიაში არ არსებობდა. თავდაპირველად არაბებისთვის უმთავრესი იყო, სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის კონცეფცია საკუთარი მიზნებისთვის მიესადაგებინათ. თავიდან, ჩამოყალიბებული გავლენიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტები მართლაც მოქმედებდნენ ვესტფალიური წესრიგის და გლობალური ეკონომიკის ჩარჩოებში და მხოლოდ იმას მოითხოვდნენ, რომ მათი ხალხები სისტემას თანასწორუფლებიანი წევრების სტატუსით მიერთებოდნენ. მათი მიზანი იყო საკუთარი პოლიტიკური ერთეულების ნამდვილი დამოუკიდებლობა, მათ შორის, ახალშექმნილი სახელმწიფოებისაც; ისინი არ ითხოვდნენ ვესტფალიური წესრიგის გაუქმებას. ამ მიზნებისკენ სწრაფვამ რეგიონში სეკულარიზაცია გააძლიერა. მაგრამ, ევროპისგან განსხვავებით, იგი არ გადაიზარდა პლურალისტულ წესრიგში.

ასე შეიქმნა ორი საპირისპირო ტენდენცია. „პანარაბისტები" ეთანხმებოდნენ ეროვნულ სახელმწიფოებზე დაფუძნებული სისტემის საწყისს. მაგრამ სახელმწიფო, რომელსაც ისინი ესწრაფოდნენ, იყო გაერთიანებული არაბული ნაცია – ერთადერთი ეთნიკური, ლინგვისტური და კულტურული ერთიანობა. ამისგან განსხვავებით, „პოლიტიკური ისლამის" მოძრაობა მოითხოვდა საერთო რელიგიას, როგორც თანამედროვე არაბული იდენტობის საუკეთესო საფუძველს. ისლამისტების რეკრუტირება – მუსლიმი ძმების საზოგადოება – დღეს მათი ყველაზე ცნობილი დაჯგუფება – უმეტესად ახალი, უაღრესად განათლებული საშუალო ფენის წარმომადგენლებისგან ივსებოდა. ისლამიზმს ბევრი განიხილავდა როგორც შესაძლებლობას, ისე ეცხოვრათ ომისშემდგომ პერიოდში, რომ არ

დაეთმოთ თავიანთი ფასეულობები; არ ჩამორჩენოდნენ თანამედროვეობას, მაგრამ არ „გადასავლეთებულიყვნენ".

მეორე მსოფლიო ომამდე ევროპულ სახელმწიფოებს საკმარისი ძალა ჰქონდათ, რომ ახლო აღმოსავლეთში შეენარჩუნებინათ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მათ მიერვე შექმნილი რეგიონული წესრიგი. მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა გაანადგურა ევროპული სახელმწიფოების უნარი, კონტროლქვეშ ჰყოლოდათ ამ ტერიტორიების სულ უფრო მეტად აღელვებული მოსახლეობა. ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის საგარეო ძალად ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებული შტატები. 1950-იან და 1960-იან წლებში ეგვიპტეში, სირიაში, ლიბანში, ერაყსა და იემენში მეტ-ნაკლებად ფეოდალური და მონარქისტული რეჟიმები საკუთარმა სამხედრო ლიდერებმა დაამხეს და ამ ქვეყნებში მაშინვე შექმნეს სეკულარული სახელმწიფო წესრიგი.

ახალი ხელისუფალნი უპირატესად მოსახლეობის იმ სეგმენტს ეკუთვნოდნენ, რომლებიც მანამდე პოლიტიკურ პროცესებში არ მონაწილეობდნენ და საჯარო მხარდაჭერის მოსაპოვებლად ნაციონალიზმს აღვივებდნენ. რეგიონში მკვიდრდებოდა პოპულისტური, მაგრამ არადემოკრატიული პოლიტიკური სისტემები: ჯამალ აბდელ ნასერი, ეგვიპტის პოპულისტური და ქარიზმატული ლიდერი 1954-1970 წლებში და მისი მემკვიდრე ანვარ ალ-სადათი პროვინციული წარმოშობიდან აღზევდნენ სახელმწიფოს სათავეში. ერაყში ასევე მოკრძალებული წარმოშობის სადამ ჰუსეინი სეკულარული სამხედრო დიქტატურის უფრო ექსტრემალურ ფორმას ახორციელებდა: იგი 1970-იანი წლების დასაწყისიდან 2003 წლამდე ბატონობდა დაშინებისა და სისასტიკის მეშვეობით (თავიდან, როგორც დე ფაქტო „ძლიერი კაცი", 1979 წლიდან კი როგორც პრეზიდენტი) და ყველა ღონეს ხმარობდა, რომ მთელი რეგიონი დაეში-

ნებინა ომის მუქარით. მან და მისმა იდეოლოგიურმა თანამოაზრემ, ასევე თავზეხელაღებულმა და სასტიკმა სირიელმა ჰაფიზ ალ-ასადმა მოახერხეს, ისე განემტკიცებინათ თავიანთი რელიგიური უმცირესობა ძალოვან სტრუქტურებში პანარაბული ნაციონალიზმის მოშველიებით, რომ ადვილად დაიმონეს სხვა რწმენის მქონე ბევრად მრავალრიცხოვანი მოსახლეობა (ირონიაა, რომ ისინი რწმენის სხვადასხვა მიმართულებას წარმოადგენდნენ – ერაყში სუნიტები ბატონობდნენ შიიტების უმრავლესობაზე, სირიაში კი – კვაზიშიიტური ალავიტები სუნიტების უმრავლესობაზე). საერთო ეროვნული ბედისწერის ცნობიერება ისლამური ხედვის შემცვლელად ჩამოყალიბდა.

მაგრამ ისლამური მემკვიდრეობა არსად გამქრალა, მან მალე აღიდგინა თავი. ისლამისტური პარტიები ძალაუფლების სეკულარული წარმომადგენლების ექსცესებსა და უუნარობას აკრიტიკებდნენ არგუმენტებით, რომელიც შეიცავდა ღმერთისგან ნაკარნახევი, ყურანს დაფუძნებული სახელმწიფოს აუცილებლობას. ისინი სხვადასხვა ინტენსივობით ითხოვდნენ პანისლამური თეოკრატიის დაარსებას, რასაც უნდა შეეცვალა არსებული სახელმწიფოები. ამასთან, ისინი გმობდნენ დასავლეთსაც და საბჭოთა კავშირსაც, ბევრი მათგანი კი საკუთარ წარმოდგენას ოპორტუნისტული ტერორისტული ქმედებებით ამყარებდა. სამხედრო ძალაუფლების წარმომადგენლები სასტიკად უსწორდებოდნენ ისლამისტურ პოლიტიკურ მოძრაობას, რომელსაც ბრალდებოდა მოდერნიზაციისა და ეროვნული ერთობისთვის ძირის გამოთხრა.

დროის ამ მონაკვეთს, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, დღეს არავინ აღარ აიდეალებს. ახლო აღმოსავლეთის მილიტარისტული, მონარქისტული და სხვა სახის ავტოკრატიული ხელისუფლებები განსხვავებულ აზრს მტრულად უდგებოდნენ და ადგილს არ ტოვებდნენ სამოქალაქო საზოგადოების ან

პლურალისტური კულტურის ჩამოსაყალიბებლად – ამ ქვეყნების განვითარებაში არსებულმა ამ სისუსტემ 21-ე საუკუნემდე დაასვა დაღი რეგიონს. მაგრამ ავტოკრატიული ნაციონალიზმის კონტექსტის შიგნით, ფრთხილად ცდილობდნენ თანამედროვე საერთაშორისო წესრიგთან ურთიერთობის დალაგებას. ნასერისა და სადამ ჰუსეინის მსგავსი ზოგიერთი პატივმოყვარე ხელისუფალი თავისი გავლენის ტერიტორიულ გაფართოებას ცდილობდა – ან ძალის გამოყენებით, ან არაბული ერთობისკენ დემაგოგიური მოწოდებით. ეგვიპტისა და სირიის კონფედერაციის შექმნის ხანმოკლე (1958-1961) მცდელობა სწორედ ამის მაჩვენებლი იყო. მაგრამ ასეთი მცდელობები მარცხით მთავრდებოდა, რადგან არაბული სახელმწიფოები გამწარებულები იცავდნენ თავიანთ ეროვნულ თვითმყოფადობას და არ იყვნენ მზად, ეს უკანასკნელი პოლიტიკური შერწყმის ფართომასშტაბიანი პროექტისთვის დაექვემდებარებინათ. ამგვარად გამოიკვეთა სამხედრო ძალაუფლების საერთო საფუძველი – სახელმწიფო და ნაციონალიზმი, რომელიც უმეტესად უკვე დადგენილ საზღვრებს ემთხვეოდა.

ამ კონტექსტში, ისინი ცდილობდნენ, ცივი ომის პერიოდის დაპირისპირებულ ბლოკებს შორის ქიშპობა საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად გამოეყენებინათ. 1950-იანი წლების ბოლოდან 1970-იანი წლების დასაწყისამდე საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა მათ ხელში აშშ-ზე წნეხის ინსტრუმენტს. საბჭოთა კავშირი გახდა ნაციონალისტური არაბული სახელმწიფოებისთვის იარაღის მთავარი მიმწოდებელი და დიპლომატიური ადვოკატი, სამაგიეროდ კი ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მიზნებს უჭერდნენ მხარს. მილიტარისტული ავტოკრატები ემხრობოდნენ „არაბული სოციალიზმის" იდეას და აღფრთოვანებულები იყვნენ ეკონომიკის საბჭოთა მოდელით, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მათი სახალხო ეკონომიკა

ტრადიციულად პატრიარქალური და ეკონომიკის ცალკეულ, ტექნოკრატების მიერ მართულ დარგებზე ორიენტირებული რჩებოდა. ყველაფერ ამის სტიმულს წარმოადგენდა რეჟიმის მიერ განსაზღვრული ნაციონალური ინტერესი და არა პოლიტიკური ან რელიგიური იდეოლოგია.

ცივი ომის დროს ისლამურ და არაისლამურ მსოფლიოს შორის ურთიერთობები ძირითადად ემყარებოდა ვესტფალიური სისტემის ძალთა ბალანსზე დამყარებულ პრინციპებს. ეგვიპტე, სირია, ალჟირი და ერაყი მხარს უჭერდნენ საბჭოთა პოლიტიკას და ეიმედებოდათ საბჭოთა ხელმძღვანელობა. იორდანია, საუდის არაბეთი, ირანი და მაროკო მეგობრულად იყვნენ განწყობილი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ და უსაფრთხოების საკითხში მისი დახმარების იმედი ჰქონდათ. საუდის არაბეთის გარდა, ყველა ეს სახელმწიფო სეკულარული იყო, და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი პოლიტიკურ ლეგიტიმურობას მონარქიის რელიგიური შეფერილობის ტრადიციულ ფორმას აფუძნებდა, ძირითადად ნაციონალური ინტერესების კარნახით მოქმედებდნენ. ფუნდამენტურ განსხვავებას წარმოადგენდა ამ ქვეყნების გადაწყვეტილება, რომელი სუპერძალა შეაძლებინებდათ საკუთარი ინტერესების უკეთ განხორციელებას.

პოლიტიკური ორიენტაციის ეს მოდელი 1973-1974 წლებში შეიცვალა. ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ ალ-სადათი დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირი იარაღით კი მოამარაგებდა, მაგრამ დიპლომატიური გზით ისრაელის მიერ დაკავებული სინაის ნახევარკუნძულის დაბრუნების საქმეში წინსვლას ვერ შეძლებდა (ისრაელმა სინაი 1967 წელს ექვსდღიანი ომის შედეგად დაიპყრო). აქედან გამომდინარე, ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ ალ-სადათმა პოზიცია შეიცვალა. ამ მომენტიდან მოყოლებული ეგვიპტე დე ფაქტო მოქმედებდა, როგორც

ამერიკის მოკავშირე; მისი უსაფრთხოება ახლა ამერიკულ იარაღს ეყრდნობოდა და არა საბჭოთას. სირიამ და ალჟირმაც გარკვეულ მანევრებს მიმართეს და ცივი ომის ბლოკებს შორის, სადღაც შუა პოზიციაზე განლაგდნენ. საბჭოთა კავშირის გავლენა რეგიონში მნიშვნელოვნად შემცირდა.

ერთადერთი იდეოლოგიური საკითხი, რომელზეც არაბები ერთსულოვანნი იყვნენ, ეწინააღმდეგებოდა ისრაელის სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და მის საერთაშორისო აღიარებას ებრაელი ხალხის სამშობლოდ. ამ გეგმის უარმყოფელმა არაბულმა წინააღმდეგობამ ოთხი ომი გამოიწვია – 1948, 1956, 1967 და 1973 წლებში. ოთხივე კონფლიქტში გამოვლინდა ისრაელის შეიარაღების უპირატესობა.

სადათის ანტისაბჭოთა ორბიტაზე გადასვლის მიზეზი ეროვნული ინტერესით იყო განპირობებული, მაგრამ მან, ასევე სათავე დაუდო ინტენსიური დიპლომატიური მცდელობების პერიოდს, რომელიც დასრულდა ორი სამშვიდობო ხელშეკრულებით ეგვიპტესა და ისრაელს შორის, 1979 წელს კი ისრაელთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით. ამის შემდეგ ეგვიპტე გარიცხეს არაბული ლიგიდან. სადათი დაგმეს და ბოლოს მოკლეს. მაგრამ მის მამაც საქციელს მიმდევრები გამოუჩნდნენ, რომელთაც ისრაელის სახელმწიფოსთან მსგავსი შეთანხმების მიღწევა სურდათ. 1974 წელს სირიამ და ისრაელმა დადეს სამშვიდობო ხელშეკრულება, რათა განესაზღვრათ ორ ქვეყანას შორის სამხედრო ფრონტის ხაზი და დაეცვათ იგი. ეს ხელშეკრულება უკვე ოთხი ათწლეულია არსებობს და ომებს, ტერორიზმსა და სირიის სამოქალაქო ომის ქაოსსაც კი გაუძლო. იორდანიასა და ისრაელს ერთმანეთის მიმართ თავშეკავების პოლიტიკა ჰქონდათ, მაგრამ, საბოლოოდ, ეს პოზიციაც გადაიზარდა სამშვიდობო ხელშეკრულებაში. საერთაშორისო არენაზე სირიის და ერაყის ავტორიტარული

რეჟიმები კვლავ საბჭოთა კავშირისკენ იხრებოდნენ, მაგრამ იტოვებდნენ ხანდახან სხვა პოლიტიკური პოზიციის არჩევის შესაძლებლობასაც. 1970-იანი წლების ბოლოს ახლო აღმოსავლეთის კრიზისები სულ უფრო ემსგავსებოდა მე-19 საუკუნის ბალკანეთის კრიზისებს – როდესაც მეორეხარისხოვანი ქვეყნები ცდილობდნენ დიდ სახელმწიფოთა შორის დაპირისპირება საკუთარი ეროვნული მიზნებისთვის გამოეყენებინათ.

მიუხედავად შეერთებულ შტატებთან დიპლომატიური კავშირებისა, ნაციონალისტურმა მილიტარისტულმა ავტოკრატიებმა მაინც ვერ მოახერხეს მათ წინაშე მდგარი რთული ამოცანების გადაჭრა. საბჭოთა კავშირთან ბმამ ისინი ვერ მიაახლოვა საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს; ვერც შეერთებულ შტატებთან დაახლოებამ მოაგვარებინათ სოციალური პრობლემები. ავტორიტარული რეჟიმები, ძირითადად, კოლონიური ბატონობისგან გათავისუფლდნენ და მოიპოვეს სივრცე ცივი ომის ბლოკების ძალაუფლების ცენტრებს შორის მანევრირებისთვის. მაგრამ ეკონომიკა ნელა ვითარდებოდა და მისგან მიღებული სარგებლის არათანაბრად გადანაწილების გამო მოსახლეობის მოთხოვნები ვერ კმაყოფილდებოდა. პრობლემები კი იქ უფრო მწვავდებოდა, სადაც მდიდარი საბადოების არსებობის გამო, ქვეყნის ეროვნული შემოსავალი მხოლოდ ნავთობზე იყო დამოკიდებული და, შესაბამისად, ყალიბდებოდა ეკონომიკის ფორმა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ინოვაციასა და დივერსიფიკაციას. მაგრამ ყველაზე მეტად მათი პოზიციები დაასუსტა ცივი ომის უეცარმა დასასრულმა. მათ დაკარგეს პოლიტიკური წონა. რადგან ამ ქვეყნებს ჯერ კიდევ ვერ შეეგნოთ ერთი რამ: რომ მაშინ, როდესაც არც საგარეო მტერი არსებობს და არც საერთაშორისო კრიზისი, სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს მობილიზაცია საკუთარი მოსახლეობისა, რომელიც სახელმწიფოს აღარ უყურებს

როგორც საბოლოო მიზანს, არამედ როგორც წარმონაქმნს, რომელიც ვალდებულია ხალხის უკეთეს ცხოვრებაზე იზრუნოს.

შედეგად, მმართველ ელიტებს მოუწიათ საკუთარი ხალხის მზარდ უკმაყოფილებას გამკლავებოდნენ. ხალხი კი სულ უფრო ხმამაღლა აყენებდა მათი ლეგიტიმურობის საკითხს. რადიკალური დაჯგუფებები ხალხს ჰპირდებოდნენ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების სისტემის ახალი, რელიგიაზე დაფუძნებული წესრიგით ჩანაცვლებას; ოღონდ ეს უკანასკნელი უნივერსალური მსოფლიო წესრიგის მიმართ ორ მკაფიოდ განსხვავებულ მიდგომას გულისხმობდა: ერთ მხარეს იყო სუნიტური ვერსია, რომელსაც წარმოადგენდნენ 1928 წელს დაარსებული და რეგიონში ფართოდ გავრცელებული მუსლიმური საძმო – რადიკალური ჰამასი (რომელმაც 2007 წელს ღაზას სექტორში ძალაუფლება ჩაიგდო ხელში) და ტერორიზმის გლობალური ქსელი ალ ქაიდა; მეორე მხარეს კი შიიტური ვერსია, რომელიც დგას ირანში ხომეინის რევოლუციის და მისი გადმონაშთის, ჰეზბოლას (ლიბანური „სახელმწიფო სახელმწიფოში") უკან. ორივე მიმართულება ძალადობრივი კონფლიქტით არის დაპირისპირებული, თუმცა ერთი საერთო რამ მაინც ახასიათებთ: მოწოდება, მოსპონ არსებული რეგიონული წესრიგი და აღადგინონ ღმერთისგან ნაკარნახევი ისლამური სისტემა.

ისლამიზმი: რევოლუციური ტაღღა – ორი ფილოსოფიური ინტერპრეტაცია*

1947 წლის გაზაფხულზე ჰასან ალ-ბანამ, ეგვიპტელმა მესაათემ, მასწავლებელმა და უაღრესად განათლებულმა ავტოდიდაქტმა, რელიგიურმა აქტივისტმა, ეგვიპტის მეფეს, ფარუქს მიმართა ღია წერილით, რომელშიც აკრიტიკებდა ეგვიპტის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების კრიტიკას. მან თავის წერილს „სინათლისკენ სწრაფვა“ უწოდა და დაახასიათა სეკულარული ეროვნული სახელმწიფოს ისლამური ალტერნატივა. ზედმიწევნით თავაზიანად დაწერილ ვრცელ გზავნილში ალ ბანამ ჩამოაყალიბა მუსლიმი ძმების ეგვიპტური საზოგადოების – მის მიერ 1928 წელს დაარსებული ორგანიზაციის (ფართოდ ცნობილი მუსლიმი ძმების საზოგადოების სახელით) პრინციპები და მიზნები. იგი ამ წერილით კატეგო-

---

* ავტორის შენიშვნა: ავტორი კომპეტენტურად არ მიიჩნევს თავს, რომ მცოდნეა სხვადასხვა მოძღვრებისა თუ სექტების რელიგიური პრინციპებისა, დღეს რომ ასეთი ვნებით მსჯელობენ და უნდა გადაფასდეს მუსლიმური სამყაროს. ბევრი მუსლიმი (ბევრ ქვეყანაში ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ) თავის რწმენას ნაკლებად კონფრონტაციულად და აშკარად პლურალისტურად აღიქვამს, ვიდრე აქ ნახსენები ერთეულები. მაგრამ აქ მოხმობილი და დამოწმებული შეხედულებები დღეს დიდი, ხშირ შემთხვევაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ახლო აღმოსავლეთის მრავალი გავლენიანი ქვეყნის და თითქმის ყველა ისლამური არასამთავრობო ორგანიზაციის საშინაო და საგარეო პოლიტიკისთვის. ისინი შეიცავენ თეზისს ცალკე არსებული მსოფლიო წესრიგის შესახებ, რომელიც უფრო მაღლა დგას, ვიდრე ვესტფალიური სისტემა ან ლიბერალური ინტერნაციონალიზმის ღირებულებები. ასეთი აზროვნების გასაგებად სწორედ ის რელიგიური ლექსიკა უნდა მოვიხმოთ, რომელსაც ერთმანეთთან დაპირისპირებული მხარეები იყენებენ.

რიულად უარყოფდა ღირსების შემლახავ უცხო გავლენებს და ცხოვრების სეკულარულ სტილს.

სუეცის არხის ეგვიპტურ ზონაში ბრიტანელების გავლენის გამო განდევნილი „ალ ბანას საძმო" თავიდანვე ჩამოყალიბდა მორწმუნე მუსლიმთა არაფორმალურ გაერთიანებად და შექმნა ეროვნული ქსელი, რომელშიც გაერთიანდა სოციალურად და პოლიტიკურად აქტიური ათიათასობით წარმომადგენელი. „მუსლიმთა საძმოს" ორგანიზაციები შეიქმნა ეგვიპტის ყველა ქალაქში, ხოლო გავლენიანი პროპაგანდისტული მანქანა აქტუალურ მოვლენებზე ორგანიზაციის კომენტარებს ფართოდ ავრცელებდა. „მუსლიმთა საძმოს" ორგანიზაციამ რეგიონული აღიარება მოიპოვა 1937-1939 წლებში, ბრიტანეთის პალესტინის მანდატის პირობებში, წარუმატებელი ანტიბრიტანული, ანტისიონისტური არაბული წინააღმდეგობის მხარდაჭერით. ამავე დროს აღმოჩნდა იგი ეგვიპტური უწყებების თვალთახედვის არეში.

ალ ბანას ეგვიპტის პოლიტიკაში უშუალოდ ჩართვის შესაძლებლობა არ მისცეს; მიუხედავად ამისა, ის მაინც გახლდათ ეგვიპტის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პიროვნება. იგი ეგვიპტის მონარქისთვის გაგზავნილი ზემოთ ნახსენები საჯარო ტრაქტატით ცდილობდა „მუსლიმთა საძმოს" საზოგადოების ხედვის ლეგიტიმაციას. ტრაქტატში აკრიტიკებდა ეგვიპტესა და მთელ რეგიონში უცხოელთა გაბატონებას და ქვეყნის მორალურ დაცემას. იგი აცხადებდა, რომ დადგა განახლების დრო.

ალ ბანა ამბობდა, რომ „დასავლეთი ბრწყინვალე მოვლენა იყო, სანამ ემყარებოდა მეცნიერულ პერფექციონიზმს... ახლა კი გაკოტრდა და დაცემის გზაზეა. დასავლეთს საძირკველი შეერყა, ინსტიტუტები და პრინციპები თავზე ემხობა". დასავლეთმა დაკარგა კონტროლი საკუთარ მსოფლიო წესრიგზე: „მისი კონგრესები წარუმატებელია, მის ხელშეკრულე-

ბებს არღვევენ და შეთანხმებებს ნაკუწ-ნაკუწ ხევენ". ერთა ლიგა, რომლის მიზანი მშვიდობის შენარჩუნებაა, „ბოდვაა". მიუხედავად იმისა, რომ ალ ბანა ამ ტერმინს არ იყენებდა, იგი ამტკიცებდა, რომ ვესტფალიურმა პრინციპებმა დაკარგა *ორივე* – ლეგიტიმაციაც და ძალაც. ალ ბანა ღიად აცხადებდა, რომ დადგა ახალი, ისლამზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგის შექმნის დრო. „ისლამური გზა უკვე გამოცდილია, ხოლო ისტორიამ დაამტკიცა, რომ მასზე სიარული შესაძლებელია". თუკი რომელიმე საზოგადოება მიენდობა „სრულყოფილ და ყოვლისმომცველ" კურსს, ისლამის საწყისი პრინციპების და ისლამური საზოგადოებრივი წესრიგის ყურანის მიხედვით აღსადგენად, მაშინ „მთელი ისლამური ნაცია" – მსოფლიოს ყველა მუსლიმი – „დაუჭერს მხარს ამ მოძრაობას"; შედეგად კი მივიღებთ „არაბეთის ერთიანობას", საბოლოოდ კი „ისლამის გაერთიანებას".

როგორი დამოკიდებულება ექნებოდა აღდგენილ ისლამურ მსოფლიო წესრიგს ეროვნულ სახელმწიფოზე დაფუძნებულ თანამედროვე საერთაშორისო სისტემასთან? ალ ბანას არგუმენტაცია ასეთი იყო: ჭეშმარიტი მუსლიმის ლოიალობა მიმართულია მრავალმხრივი, ერთმანეთის მომცველი სფეროებისკენ, რომელთა მწვერვალზე დგას გაერთიანებული ისლამური სისტემა, რომელმაც, საბოლოოდ, მთელი მსოფლიო უნდა მოიცვას. მისი სამშობლო ჯერ „ერთი კონკრეტული ქვეყანაა", მაგრამ „შემდეგ ის გავრცელდება სხვა ისლამურ ქვეყნებზე, რადგან მუსლიმისთვის ყოველი მათგანი წარმოადგენს სამშობლოს". აქედან დაიწყება მუსლიმთა სვლა „ისლამური იმპერიისკენ", რომელიც დაეფუძნება მორწმუნე წინაპრების საუკუნოვან გამოცდილებას. რადგან „ყველა მუსლიმი წარსდგება ღმერთის წინაშე ანგარიშით", თუ რა წვლილი შეიტანა „ისლამური იმპერიის აღდგენაში". ბოლო წრე გლობალურია: „შემდეგ მუსლიმთა სამშობლო კიდევ უფრო გაიზრდება და

მთელ დედამიწას შემოერტყმება. ნუთუ არ გესმით ხმა ღვთისა (დალოცვილი და ყოვლისშემძლეა იგი), რომელიც მოგვიწოდებს ვებრძოლოთ უმეცრებს, სანამ არ შეწყდება მუსლიმთა დევნა და სანამ ყველა არ სცემს თაყვანს ღმერთს?"

სადაც შესაძლებელია, ეს ბრძოლა ნაბიჯ-ნაბიჯ და მშვიდობიანად უნდა წარიმართოს. იმ არამუსლიმებს, რომლებიც ამ მოძრაობას არ შეეწინააღმდეგებიან და საჭირო პატივისცემით მოეპყრობიან, „მუსლიმთა საძმოს" კავშირი „თანასწორუფლებიანად" აღიარებს და „დაიცავს" კიდეც. „უცხოელებს მშვიდობიანად და სიმპათიით უნდა მოვექცეთ, თუკი თავად პატიოსნად და გულწრფელად მოიქცევიან". ამიტომ „წმინდა წყლის ფანტაზიაა" იმის ფიქრი, რომ „ისლამური ინსტიტუციების დამკვიდრება თანამედროვე ცხოვრებაში მუსლიმებსა და დასავლეთის ერებს შორის გაუცხოებას გამოიწვევს".

რამდენად წარმოადგენდა ალ ბანას ზომიერებისკენ მოწოდება ტაქტიკურ მანევრს, მცდელობას, აღიარებისთვის მიეღწია ჯერ კიდევ დასავლეთის მიერ დომინირებულ სამყაროში? ჯიჰადისტური რიტორიკის უკან რამდენად მოიაზრებოდა ტრადიციულ ისლამისტურ წრეებში დახმარების მოპოვების მცდელობა? ალ ბანა 1949 წელს მოკლეს; მან ვერ მოასწრო დეტალურად აღეწერა, როგორ შეიძლებოდა ერთმანეთის გვერდით ეარსება მსოფლიოს ტრანსფორმაციის მისეული პროექტის რევოლუციურ ამბიციებსა და ტოლერანტობის პრინციპებს და მის მიერვე სასურველ ზეცივილიზაციურ თანხმობას.

ამდენად, ალ ბანას ტექსტი ბუნდოვანია, მაგრამ ბევრი ისლამისტი მოაზროვნის ნაწერებში ეს ბუნდოვანება განმარტებულია პლურალიზმის და სეკულარული საერთაშორისო წესრიგის ფუნდამენტური უარყოფის სასარგებლოდ. საიდ ყუტბი – რელიგიური სწავლული და „მუსლიმთა საძმოს" კავშირის იდეოლოგი – ალბათ ამ თვალსაზრისის ყველაზე სრულყოფი-

ლი და ანგარიშგასაწევი განმარტების ავტორია. ყუტბს ბრალად სდებდნენ, რომ ეგვიპტის პრეზიდენტის, ჯამალ აბდელ ნასერის მკვლელობის დაგეგმვაში მონაწილეობდა და შესაბამისი სასჯელიც მოიხადა. 1964 წელს მან პატიმრობაში შექმნა „გზის სამანები" – ნაშრომი, რომელშიც კატეგორიულად უარყოფდა არსებულ მსოფლიო წესრიგს და რომელიც თანამედროვე ისლამმა სწორუპოვარ სახელმძღვანელოდ მიიჩნია.

ყუტბი აღიარებდა ისლამს, როგორც უნივერსალურ სისტემას, რომელიც ქადაგებდა თავისუფლების ერთადერთ ჭეშმარიტ ფორმას: გათავისუფლება „მიწიერი ბატონებისგან", აგრეთვე გათავისუფლება ადამიანის შექმნილი მოძღვრებებისგან და მდაბიო თაყვანისცემისგან, რომელიც „ეფუძნება რასას და კანის ფერს, ენასა და ქვეყანას, რეგიონულ და ეროვნულ ინტერესებს (ეს მოძღვრება შეიცავდა თავისუფლებას ბატონობისა და ლოიალურობის ყველა სხვა თანამედროვე ფორმებისგან და ვესტფალიური წესრიგის ზოგიერთი ძირითადი ელემენტისგან). ყუტბის მიხედვით, თანამედროვე ისლამის ამოცანას წარმოადგენდა „სისტემების და მთავრობების მოსპობა" და მათი შეცვლა იმით, რასაც იგი მიიჩნევდა ყურანის სიტყვა სიტყვით შინაარსად და, საბოლოოდ, მისი (ყურანის) გზავნილის გლობალურ ინტერპრეტაციად.

ამ პროცესის მწვერვალი უნდა ყოფილიყო „დედამიწაზე ადამიანების გათავისუფლება – მთელი კაცობრიობის გათავისუფლება". ამით დამთავრდებოდა პროცესი, რომელიც დაიწყო მე-7 და მე-8 საუკუნეებში ისლამური ექსპანსიის ტალღით; „ახლა მან უნდა მოიცვას მთელი მსოფლიო და მთელი კაცობრიობა, რადგან ამ რელიგიის მიზანს წარმოადგენს ჰუმანურობა, მისი მოქმედების არეალს კი – მთელი დედამიწა". როგორც ყველა უტოპიური პროექტი, მისი ხორცშესხმაც განუსაზღვრელ ქმედებებს მოითხოვდა, რისი განხორციელება შეეძლო მხოლოდ იდეოლოგიურად სუფთა ძალას, რომელიც ყველა

არსებულ სახელმწიფო ფორმას და საზოგადოებას გააუქმებდა (ყუტბი მათ „არაისლამურს და არალეგალურს“ უწოდებდა) და იტვირთებდა ახალი წესრიგის დამყარებას.

ამგვარად, ღრმად განსწავლული ყუტბი დიდი ენთუზიაზმით დაუპირისპირდა მდგომარეობას, რომელიც უკვე დიდი ხანია გამხდარიყო მუსლიმების ჩუმი პროტესტის საგანი: კერძოდ, სეკულარული მოდერნიზმის გავრცელება და მუსლიმური სამყაროს გახლეჩა, გამოწვეული ტერიტორიული საზღვრების დადგენით და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დადებული ახლო აღმოსავლეთის ხელშეკრულებებით. მაშინ, როცა ყუტბის თანამედროვეთაგან უმეტესობას აშინებდა მისი ძალადობრივი მეთოდები, მაინც ყალიბდებოდა მის მიმდევართა ბირთვი.

გლობალიზებულ, უმეტესად სეკულარულ მსოფლიოში, რომელიც პრეტენზიას აცხადებს, რომ გადალახა „ისტორიის“ იდეოლოგიური დაპირისპირებები, ყუტბისა და მისი მომხრეების შეხედულებები უკვე კარგა ხანია ექსტრემალურადაა მიჩნეული და აღარც კი იმსახურებს სერიოზულ განხილვას. მაგრამ, რადგან ელიტარული დასავლეთი ისედაც მოისაკლისებს საჭირო ფანტაზიას, ვერ შეიცნობს ვნებას, რომლითაც საზრდოობდნენ რევოლუციონერები და ჰგონია, რომ ასეთი ექსტრემალური შეხედულებები მხოლოდ მეტაფორული შინაარსისაა ან მხოლოდ სიტყვის მასალად გამოიყენება. მაგრამ ისლამური ფუნდამენტალისტებისთვის ეს შეხედულებები ძირითად, აბსოლუტურ სიმართლეს წარმოადგენს და უფრო მაღლა დგას, ვიდრე ვესტფალიური ან სხვა საერთაშორისო წესრიგის წესები და ნორმები. ათწლეულების განმავლობაში ისლამური ფუნდამენტალისტების შეხედულებები ახლო აღმოსავლეთში და მის გარეთაც რადიკალებისა და ჯიჰადისტების საბრძოლო მოწოდებაა. ბევრმა ორგანიზაციამ და მოძრაობამ გაითავისა ეს მოწოდებები – ალ ქაიდამ, ჰამასმა, ჰეზბოლამ, თალიბანმა,

ირანის კლერიკალურმა რეჟიმმა, ჰიზბ უტ-ტაჰრირმა („გათავისუფლების პარტია“, რომელიც დასავლეთშიც მოქმედებს და გაბედულად აცხადებს, რომ ისლამური სამყაროს ხალიფატი დამყარდება). ბოკო ჰარამი ნიგერიაში, ჯიჰადისტურ-სალაფისტური მილიცია ალ ნუსრას ფრონტი სირიაში და ისლამური სახელმწიფო ერაყსა და სირიაში (ISIS), რომელმაც 2014 წლის შუა პერიოდში დიდი სამხედრო იერიში წამოიწყო.

ეს შეხედულება უდევს საფუძვლად იმ ეგვიპტელი რადიკალების სამხედრო დოქტრინასაც, ვინც 1981 წელს მოკლა ანვარ ალ-სადათი; მათ გამოაცხადეს, რომ ეგვიპტის პრეზიდენტმა ჯიჰადის წინაშე თავისი „მოვალეობა არ შეასრულა“, დაშორდა ჭეშმარიტ რწმენას, რადგან მშვიდობა დათქვა ისრაელთან. მას ორმაგ მკრეხელობაში ადანაშაულებდნენ – ებრაული სახელმწიფოს სამართლებრივ აღიარებაში და ამდენად (მათი შეხედულებით) ისტორიულად მუსლიმური ტერიტორიების არამუსლიმი ხალხისთვის დათმობაში.

ასეთი აზროვნება ვესტფალიური მსოფლიო წესრიგისგან სრულ შემოტრიალებას ნიშნავს. ისლამის პურისტული ვერსიით, სახელმწიფო არ შეიძლება იყოს საერთაშორისო სისტემის ამოსავალი წერტილი, რადგან სახელმწიფო სეკულარული წარმონაქმნია და, შესაბამისად, არალეგიტიმური. საუკეთესო შემთხვევაში, მათი გამოყენება შეიძლება გარდამავალ სტადიად, რათა უფრო მაღალ დონეს მიაღწიოს რელიგიურმა ერთობამ. სხვა სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩაურევლობა, შესაბამისად, ვერ იქნება ისლამური სახელმწიფოს მოქმედების პრინციპი, რადგან ნაციონალური ლოიალობა მიაჩნიათ ჭეშმარიტი რწმენისგან დაშორებად და რადგან ჯიჰადისტთა მოვალეობაა დარ ალ-ჰარბის – უმეცართა სამყაროს – ტრანსფორმირება. ამგვარი მსოფლიო წესრიგის კონცეფციის მამოძრავებელი პრინციპი სტაბილურობა კი არ არის, არამედ ისლამური მოძღვრების სიწმინდე.

არაბული გაზაფხული და სირიის კატაკლიზმა

2010 წლის ბოლოს, არაბული გაზაფხულის დაწყებისას, ცოტა ხნით გაჩნდა იმედი, რომ რეგიონის ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალები, ავტოკრატიული რეჟიმები და ჯიჰადისტური მოძრაობები, ახალი რეფორმების ტალღის წყალობით, მნიშვნელობას დაკარგავდნენ. დასავლეთის გავლენიანი პოლიტიკოსები და მედიაც აღფრთოვანებით მიესალმა ტუნისსა და ეგვიპტეში სახელმწიფო გადატრიალებებს, როდესაც ლიბერალური დემოკრატიული პრინციპების სახელით, ახალგაზრდების მიერ მოწყობილმა რევოლუციამ მთელი რეგიონი მოიცვა. შეერთებული შტატები ოფიციალურად უჭერდა მხარს დემონსტრანტების მოთხოვნებს, ხოტბას ასხამდა „თავისუფლების", „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების", „წარმომადგენლობითი მთავრობის" და „ჭეშმარიტი დემოკრატიის" ხმამაღალ მოწოდებას და ამბობდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვა რევოლუციის მარცხი. მაგრამ გზა დემოკრატიისკენ უაღრესად ძნელი და მძიმე აღმოჩნდა, როგორც ავტოკრატიული რეჟიმის დაცემიდან მალევე გამოაშკარავდა.

დასავლეთში ბევრი უყურებდა კაიროს ტაჰირის მოედანზე განვითარებულ ამბოხს, როგორც დასაბუთებას არგუმენტისა, რომ ავტოკრატიული მმართველობის ალტერნატივა ბევრად ადრე უნდა დაძებნილიყო. მაგრამ რეალურ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ შეერთებულ შტატებს გაუჭირდა იმ ელემენტების დადგენა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა პლურალისტული ინსტიტუციების ფორმირება და ისეთი ლიდერების პოვნა, რომლებიც მოვალეობად მიიჩნევდნენ ამ ინსტიტუციების პოლიტიკურ პრაქტიკაში განხორციელებას (სწორედ ეს არის მიზეზი, რატომ გაავლო ზოგიერთმა პოლიტიკოსმა გამყოფი ხაზი სამოქა-

ლაქო და სამხედრო მმართველობებს შორის. როდესაც ისინი დადგნენ სამხედრო და სამოქალაქო მთავრობებს შორის არჩევანის წინაშე, ბევრმა არჩია სამოქალაქო მხარე და ხელი შეუწყვეს „მუსლიმთა საძმოს“, რომელთაც დემოკრატიულობის არაფერი ეცხოთ).

ორივე ამერიკული პარტიის მთავრობა იდეალისტურად ოცნებობდა რეგიონის დემოკრატიზაციაზე. მაგრამ მათი შეხედულებები უსაფრთხოების აუცილებლობისა და დემოკრატიის გავრცელების თაობაზე ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. ვინც დემოკრატიზაციის მიმართ თვლიდა თავს ვალდებულად, ძნელად პოულობდა ლიდერებს, რომელთაც ესმოდათ დემოკრატიული განვითარების მნიშვნელობა და არ უყურებდნენ მას, როგორც მხოლოდ საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების საშუალებას. მაგრამ ამავდროულად, სტრატეგიული მოთხოვნების მომხრეებიც ვერ ხსნიდნენ დამაჯერებლად, რომ ეტაბლირებული რეჟიმები როდესმე განვითარდებოდნენ დემოკრატიისა და რეფორმების მიმართულებით. დემოკრატიზაციის მიდგომა ვერ ავსებდა უსაფრთხოების პოლიტიკის ვაკუუმს, რომელიც წარმოიქმნება დემოკრატიზაციის პროცესში, ხოლო სტრატეგიულ მიდგომას აფერხებდა არსებული ინსტიტუციების რეზისტენტულობა დემოკრატიისა და რეფორმების მიმართ.

არაბული გაზაფხული დაიწყო როგორც ახალგაზრდა თაობის ამბოხი ლიბერალური დემოკრატიისთვის. მაგრამ ეს მიზანი მალევე დაივიწყეს და ფეხქვეშ გათელეს. აღტაცება უმოქმედებაში გადაიზარდა. არსებული პოლიტიკური ძალები, რომლებიც რეგიონებში რელიგიასა და სამხედრო ძალას ეყრდნობოდნენ, უფრო ძლიერი და უკეთ ორგანიზებული აღმოჩდნენ, ვიდრე მოსახლეობის საშუალო ფენის წარმომადგენელი დემონსტრანტები, რომლებიც ტაჰირის მოედანზე დემოკრატიულ პრინციპებს ითხოვდნენ. არაბულმა გაზაფხულმა

სინამდვილეში მხოლოდ არაბულ-ისლამური სამყაროს და მისი პრობლემების გადასაჭრელი პოლიტიკის შიდა წინააღმდეგობები გამოააშკარავა, მაგრამ ისინი ვერ გადალახა.

არაბული გაზაფხულის ადრეული მოწოდება – „ხალხს რეჟიმის დამხობა სურს", რომელსაც ხშირად იმეორებდნენ, უპასუხოდ ტოვებდა კითხვას, ვინ არის „ხალხი" და ვის უნდა შეეცვალა დამხობილი ხელისუფლება. დემონსტრანტები თავდაპირველად ღია პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას მოითხოვდნენ, მაგრამ მათი მოთხოვნები მარტივად გადათელა ძალადობრივმა დაპირისპირებამ სამხედროების მხარდაჭერილ ავტორიტარიზმსა და ისლამურ იდეოლოგიას შორის.

ეგვიპტეში მალევე გამოჩნდა, რომ ტაჰირის მოედანზე თავიდან ასე აღფრთოვანებული დემონსტრანტები, რომლებიც კოსმოპოლიტური და დემოკრატიული ღირებულებებისთვის იბრძოდნენ, თვითონ ვერ იქნებოდნენ საკუთარი რევოლუციის მემკვიდრეები. ელექტრონული სოციალური მედია დემონსტრაციის გამართვას აიოლებდა, თვით რეჟიმის დამხობასაც კი, მაგრამ მოედანზე ადამიანების შეკრების უნარი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ შესაძლებლობისაგან, რომელიც ახალი სახელმწიფო ინსტიტუციების შექმნას სჭირდება. სახელმწიფო ავტორიტეტის ვაკუუმში, რომელიც დემონსტრაციების თავდაპირველ წარმატებას მოსდევს, ხშირად ის დაჯგუფებები უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, რომელიც აჯანყებამდეც არსებობდა ორგანიზაციების სახით და უკეთ ახერხებენ პროტესტის შედეგების მართვას. ნაციონალიზმისა და ფუნდამენტალიზმის შერწყმის ცდუნება დიდი იყო და მან დემონსტრანტების თავდაპირველი მოთხოვნები ქარს გაატანა.

მუჰამედ მურსი, „მუსლიმთა საძმოს" ლიდერი, 2012 წელს კიდევ უფრო რადიკალურ ფუნდამენტალისტთა კოალიციის მხარდაჭერით აირჩიეს პრეზიდენტად, მიუხედავად იმისა, რომ

„მუსლიმთა საძმომ“ ტაჰირის მოედანზე დემონსტრაციების ადრეულ, ემოციურ ფაზაში განაცხადა, რომ იგი პრეზიდენტობას არ ესწრაფოდა. დაეუფლა თუ არა ძალაუფლებას ისლამისტური მთავრობა, მაშინვე შეუდგა ავტორიტეტის ინსტიტუციურად გაძლიერებას: როცა მისმა მომხრეებმა ქალების, უმცირესობებისა და დისიდენტების დასაშინებლად წამოიწყეს კამპანია, მოვლენებს უბრალოდ თვალი აარიდა. საბოლოოდ, ჯარის გადაწყვეტილებას, ჩამოეგდო მთავრობა და თავიდან დაეწყო პოლიტიკური პროცესი, თვით უკვე მარგინალური და სეკულარული დემოკრატიის წარმომადგენლებიც კი მიესალმნენ.

ეს გამოცდილება ბადებს კითხვას ჰუმანიტარული საგარეო პოლიტიკის კონცეფციის შესახებ. ეს უკანასკნელი იმით განსხვავდება ტრადიციული საგარეო პოლიტიკისგან, რომ მორალური განზომილების არქონის გამო აკრიტიკებს ნაციონალურ ინტერესებზე ან ძალთა წონასწორობაზე დაფუძნებულ კონცეფციებს. ჰუმანიტარული საგარეო პოლიტიკა თავს იმართლებს იმით, რომ მისი მიზანი არ არის სტრატეგიული საფრთხეების დაძლევა, არამედ სურს აღმოფხვრას გარემოებები, რომლებიც სამართლიანობის უნივერსალურ პრინციპს არღვევს. და მართლაც, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ამგვარი ფასეულობები და მიზნები ამერიკული ტრადიციის მნიშვნელოვან ასპექტს ასახავს. მაგრამ თუკი იგი პრაქტიკულად ამერიკული სტრატეგიის მთავარ ოპერატიულ კონცეფციად განხორციელდება, თავისთავად გაჩნდება ახალი დილემები: ამერიკა ივალდებულებს თუ არა, მხარი დაუჭიროს არადემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ სახალხო აჯანყებას, გინდაც მათ შორის აღმოჩნდეს რეჟიმი, რომელიც მანამდე საერთაშორისო სისტემის შემნარჩუნებელ წევრად მიიჩნეოდა? ყველა დემონსტრაცია დემოკრატიულია თავისი არსით? საუდის არაბეთი მხოლოდ მანამდეა მოკავ-

შირე, სანამ იქ ღია დემონსტრაციები დაიწყება? ამერიკის წელილი არაბულ გაზაფხულში ძირითადად გამოიხატებოდა მის მიერ ავტოკრატიულად მიჩნეული, შერყეული რეჟიმის დაგმობაში და ამ უკანასკნელის ჩამოსაგდებად გაწეულ დახმარებაში. მათ რიცხვშია ეგვიპტის მთავრობა, რომელიც მანამდე ძლიერ დაფასებულ მოკავშირედ მიიჩნეოდა. მაგრამ მის ჩამოგდებაში ზოგიერთმა ტრადიციულად მეგობრულმა რეჟიმმა, როგორიცაა საუდის არაბეთი, არაორაზროვანი გზავნილი ამოიკითხა: დაინახეს საფრთხე, რომ აშშ-ს მათი მიტოვება არ გაუჭირდება, და ვერ დაინახეს სიკეთე, რასაც ლიბერალური რეფორმები მოუტანდა მათ ქვეყანას.

დასავლეთის ტრადიცია დემოკრატიული ინსტიტუტების და თავისუფალი არჩევნების მხარდაჭერას ითვალისწინებს. ამერიკის ვერცერთი პრეზიდენტი, რომელიც თავისი ქვეყნის ამ ღრმად ფესვგადგმულ მორალურ ასპექტს უგულებელყოფს, ვერ შეინარჩუნებს ამერიკელი ხალხის მხარდაჭერას. თუმცა სხვა საქმეა, როდესაც თავისუფალ არჩევნებს პარტიების სახელით მოითხოვენ – პარტიები დემოკრატიას უყურებენ როგორც პლებისციტს, რელიგიური უპირატესობის მოპოვების მიზნით, შედეგებს კი უპირობოდ აღიარებენ. ასეთ შემთხვევებში, თავისუფალი არჩევნების მოთხოვნამ შეიძლება მათი მხოლოდ ერთჯერადი ჩატარება უზრუნველყოს. როდესაც კაიროში კვლავ დამყარდა სამხედრო რეჟიმი, შეერთებული შტატები ისევ აღმოჩნდა აქამდე გადაუჭრელი დებატების პირისპირ, რომელიც ეხება უსაფრთხოების ინტერესებსა და არჩევანს ჰუმანური და ლეგიტიმური სახელმწიფო მმართველობის ხელშეწყობას შორის. ეს უკანასკნელი დროის სწორი შერჩევის საკითხიც არის: რამდენ ხანს შეიძლება უკანა პლანზე გადავწიოთ უსაფრთხოების ინტერესები და ველოდოთ დემოკრატიული განვითარების შედეგებს? ორივე ელემენტი მნიშვნელოვანია. დემოკრატიული მომავლის მიმართ

ზერელე დამოკიდებულება გრძელვადიან პერსპექტივაში სარისკოა – თუნდაც ვიცოდეთ, როგორი მიმართულებით ვითარდება დემოკრატია. მაგრამ აწმყოს მიმართ ზერელე დამოკიდებულება და უსაფრთხოების მოთხოვნების უგულებელყოფა, უშუალო კატასტროფის რისკის წინაშე გვაყენებს. განსხვავება ტრადიციონალისტებსა და აქტივისტებს შორის სწორედ ამ დიფერენციაციაზეა დამოკიდებული. სახელმწიფო მოღვაწეებმა საკითხი წამოჭრისთანავე უნდა აწონ-დაწონონ. შესაძლებელია, ისეთი მძიმე შედეგები მივიღოთ – მაგალითად, გენოციდი – რომ სასწორის პინა ინტერვენციისკენ გადაიხაროს და სტრატეგიული მოსაზრებები დაჯაბნოს. ასეთი შემთხვევებისთვის არ არსებობს ზოგადი უნივერსალური რეცეპტი. მაგრამ ასეთ წესად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სამომავლოდ უმჯობესია ალბათ რეალიზმისა და იდეალიზმის ნაზავი, რაც ამერიკულ დებატებში ხშირად აღიქმება შეუთავსებელ ცნებებად.

სირიის რევოლუცია, თავდაპირველად, ტაჰირის მოედანზე ეგვიპტური აჯანყების გამეორებას ჰგავდა. მაგრამ მაშინ, როდესაც ეგვიპტის ამბოხმა გააერთიანა მის საფუძველში არსებული ძალები, სირიაში ისევ იჩინა თავი უხსოვარი დროიდან მოყოლებულმა დაპირისპირებამ და თავიდან ააგიზგიზა შიიზმსა და სუნიზმს შორის ათასწლოვანი კონფლიქტი. სირიის დემოგრაფიული კომპლექსურობის გამო, სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებიც ჩაერთნენ სამოქალაქო ომში, რომელთაგან არცერთს არ სურდა, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, თავისი ბედი სხვა ჯგუფებისთვის მიენდო. კონფლიქტში საგარეო ძალებიც ჩაერივნენ; საშინელებებს ბოლო არ უჩანდა, ვინც მათ გადაურჩა, ეთნიკურ და რელიგიურ ანკლავებში გარბოდა.

აშშ-ის საჯარო დებატებში ბაშარ ალ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყება თავიდან მუბარაქის ჩამოგდების ანა-

ლოგიად და დემოკრატიისთვის ბრძოლად განიხილებოდა. არსებობდა ზოგადი მოლოდინი, რომ რევოლუცია კულმინაციას მიაღწევდა ასადის რეჟიმის დამხობით და რომ მას ჩაანაცვლებდა დემოკრატიული, ინკლუზიური კოალიციური მთავრობა. ეს გახლდათ პრეზიდენტ ობამას პოზიცია 2011 წლის აგვისტოში, როდესაც მან საჯაროდ მოუწოდა ასადს „გზა დაეთმო" სირიელი ხალხისთვის, რათა მათ თავად გადაეწყვიტათ საკუთარი მომავალი:

> სირიის მომავალი მისმა მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ პრეზიდენტი ბაშარ ალ ასადი მას გზას უხერგავს. მის მიერ დიალოგისა და რეფორმების მოთხოვნა არადამაჯერებლად ისმის, რადგან პარალელურად აპატიმრებს, აწამებს და ანადგურებს საკუთარ ხალხს. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით – პრეზიდენტი ასადი ან სათავეში ჩაუდგება დემოკრატიულ გარდაქმნას, ან გზიდან ჩამოგვეცლება. იგი სათავეში არ ჩაუდგა გარდაქმნებს. დადგა პრეზიდენტ ასადის გადადგომის დრო სირიის მოსახლეობის სასიკეთოდ.

ამ განცხადებით არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით უნდა მომხდარიყო ასადის მონინააღმდეგეების მობილიზება, არამედ საერთაშორისო მხარდაჭერაც უნდა განმტკიცებულიყო მისი ჩამოგდების მიზნით.

შეერთებული შტატები დაჟინებით ამიტომაც მოითხოვდა გაეროსგან კონფლიქტის „პოლიტიკურ მოგვარებას", რომელიც გულისხმობდა ასადის ძალაუფლებისგან ჩამოცილებას და კოალიციური მთავრობის დანიშვნას. შესაბამისად, მეტად გამაოგნებელი იყო, როდესაც უსაფრთხოების საბჭოს ვეტოს უფლების მქონე სხვა წევრებმა არც ეს ნაბიჯი მოიწონეს და არც სამხედრო ღონისძიებებს დაუჭირეს მხარი. დიდი იყო იმედგაცრუება, როდესაც გაირკვა, რომ სირიის ოპოზიცია

დემოკრატიის და ზომიერების მცირეოდენ შესაძლებლობას ფლობდა.

ამასობაში, კონფლიქტი აღარ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ასადის პრობლემით. ძირითადი აქტორებისთვის უმთავრესი საკითხები მკვეთრად განსხვავდებოდა აშშ-ში გამართული დებატებისაგან. კონფლიქტში ჩართული სირიელი და რეგიონული მოთამაშეებისთვის ომი დემოკრატიისთვის კი არ ხდებოდა, არამედ უპირატესობის მოსაპოვებლად. დემოკრატია მხოლოდ იმდენად აინტერესებდათ, რამდენადაც იგი მათ დაჯგუფებას ძალაუფლებას მოაპოვებინებდა; არცერთ მონაწილე მხარეს არ ადარდებდა სახელმწიფო წესრიგი, რომელიც მათ არ მიანდობდა პოლიტიკური სისტემის გაკონტროლებას. პარტიათა უმეტესობისთვის წარმოუდგენელი იყო, ომი წამოეწყოთ ადამიანის უფლებათა ნორმების დასაცავად, თუკი გეოსტრატეგიული და გეორელიგიური შედეგები არ იქნებოდა გათვლილი. ისინი ომს არ უყურებდნენ როგორც კონფლიქტს დიქტატორსა და დემოკრატიულ ძალებს შორის, არამედ როგორც დაპირისპირებას სირიულ სექტებსა და მათ რეგიონულ მხარდამჭერებს შორის. ამ თვალთახედვით, ომს უნდა გადაეწყვიტა, სირიის რომელი დიდი სექტა მოიპოვებდა გამარჯვებას და იბატონებდა დანარჩენებზე და იმაზე, რაც სირიული სახელმწიფოს სახით გადაურჩებოდა ომს. რეგიონული ძალები მათთვის მისაღებ კონფესიურ კანდიდატებს ეხმარებოდნენ იარაღით, ფულით და ლოჯისტიკით: საუდის არაბეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები მხარს უჭერდნენ სუნიტურ დაჯგუფებებს; ირანი პისბოლას საშუალებით ეხმარებოდა ასადის რეჟიმს. როდესაც კონფლიქტში პატის სიტუაცია გამოიკვეთა, შესაბამისი დახმარებებიც გაიზარდა და ომმა კიდევ უფრო სასტიკი ხასიათი მიიღო; არცერთი მხარე არ დაგიდევდათ ადამიანის უფლებებს.

ამასობაში კი კონფლიქტი მოედო სირიის სრულ პოლიტიკურ კონფიგურაციას და მთელ რეგიონსაც გადასწვდა. სირიელი ქურთები ავტონომიური ერთეულის სახით განლაგდნენ თურქეთის საზღვართან; დროთა განმავლობაში მათ თურქეთის ქურთულ ავტონომიასთან შეერთების პერსპექტივა შეიძლება გაუჩნდეთ. დრუზები და ქრისტიანული უმცირესობები შიშობდნენ, არ გაეზიარებინათ „მუსლიმთა საძმოს“ საზოგადოების მმართველობის დროინდელი ეგვიპტური უმცირესობების ბედი. შესაბამისად, ისინი სირიაში მთავრობის შეცვლას ორჭოფულად უყურებდნენ ან ავტონომიურ ერთეულებად განერიდნენ. ჯიჰადისტურმა ისლამურმა სახელმწიფომ (ISIL) სირიასა და დასავლეთ ერაყში დაპყრობილ მიწებზე – დამასკოსა და ბაღდადის მიერ უმართავ ტერიტორიებზე – ხალიფატი გამოაცხადა.

კონფლიქტის მთავარი მხარეები გადარჩენისთვის იბრძოდნენ; ზოგიერთ ჯიჰადისტურ ძალას აპოკალიფსის მოლოდინიც კი ჰქონდა. როდესაც შეერთებულმა შტატებმა თავი შეიკავა გავლენისგან რომელიმე მიმართულების სასარგებლოდ, კონფლიქტის მხარეებმა ივარაუდეს, რომ ამერიკა თავის ნამდვილ განზრახვას მალავდა – მაგალითად, ირანთან დადებულ გარიგებას – ან დაასკვნეს, რომ ამერიკელები ახლო აღმოსავლეთის ძალთა წონასწორობის საფუძვლებს სათანადოდ ვერ აფასებდნენ. ეს ეჭვები 2013 წელს კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც საუდის არაბეთმა უარი თქვა გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად არჩევაზე და თავისი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ საბჭოს მიერ კონფლიქტის მოგვარების ტრადიციული მეთოდების გამოყენებით სირიის სამოქალაქო ომში ეფექტის მიღწევა ვერ მოხერხდა; მას კი ერჩივნა საკუთარი მეთოდები გამოეყენებინა.

ამერიკამ მსოფლიოს როდესაც მოუწოდა, პატივი ეცათ დემოკრატიული მისწრაფებებისთვის და საერთაშორისო ემ-

ბარგო დაედოთ ქიმიურ იარაღზე, სხვა დიდმა ქვეყნებმა, მაგალითად, რუსეთმა და ჩინეთმა ამ მოწოდებას მხარი არ დაუჭირეს და არგუმენტად უცხო სახელმწიფოს შინაგან საქმეში ჩაურევლობის ვესტფალიური პრინციპი მოიშველიეს. მათ ნანახი ჰქონდათ ტუნისის, ეგვიპტის, ლიბიის, მალის, ბაჰრეინის და სირიის ამბოხებები და მოვლენებს თავიანთი რეგიონული სტაბილურობის და საკუთარი მშფოთვარე მუსლიმური მოსახლეობის ჭრილში აკვირდებოდნენ. რადგან მათ ისიც კარგად ესმოდათ, რომ ყველაზე ბრძოლისუნარიანი და პრინციპული სუნიტური მებრძოლები ნამდვილი ჯიჰადისტები და ალ ქაიდასთან შეკრულები იყვნენ (ანდა, ISIL-ის შემთხვევაში, ალ ქაიდას მიერ არაღიარებული, რადგან მათი მეთოდები თვით ამ სასტიკ ორგანიზაციებსაც კი მეტისმეტად ეჩვენებოდათ), ასადის მოწინააღმდეგეთა დამაჯერებელ გამარჯვებას სკეპტიკურად უყურებდნენ. ჩინეთმა განაცხადა, რომ მას სირიის კონფლიქტის შედეგების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი მანამ არ გააჩნდა, სანამ კონფლიქტის ბედი „სირიელი ხალხის“ ხელში იყო და არა უცხოური ძალებისაში. ფორმალურად სირიის მოკავშირე რუსეთი ძირითადად დაინტერესებულია, რომ ასადის რეჟიმი გაგრძელდეს, გარკვეულწილად მას ისიც სურს, რომ სირია, როგორც ერთიანი სახელმწიფო, შენარჩუნდეს. შესაბამისად, რადგან არ არსებობს საერთაშორისო კონსენსუსი და სირიის ოპოზიციაც უიმედოდაა დაქსაქსული, კონფლიქტი, რომელიც დემოკრატიული ღირებულებების ლოზუნგით დაიწყო, იქცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა 21-ე საუკუნის უზარმაზარ ჰუმანიტარულ კატასტროფად და არ არის გამორიცხული, მთლიანად ააფეთქოს ახლო აღმოსავლეთის რეგიონული წესრიგი.

რომ არსებულიყო ქმედითი რეგიონული ან საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა, ალბათ მოხერხდებოდა კატასტროფის თავიდან აცილება ან მისი ჩაქრობა მაინც. მაგრამ ძალიან

განსხვავებული აღმოჩნდა ეროვნული ინტერესები, ხოლო სტაბილიზაციის საფასური – ძალიან მაღალი. შესაძლებელია, ადრე რომ მომხდარიყო გარეშე ძალთა მეტად ჩარევა და თავიდან ყოფილიყო აცილებული კატასტროფა, მაინც აუცილებელი გახდებოდა რეგიონში სუბსტანციური სამხედრო ყოფის შენარჩუნება. ერაყსა და ავღანეთში მიღებული გამოცდილებით აშშ ამას ვერ შეძლებდა, ყოველ შემთხვევაში – მარტო. ერაყში რომ ყოფილიყო მიღწეული პოლიტიკური კონსენსუსი, იქნებ შესაძლებელი გამხდარიყო კონფლიქტის სირიის საზღვართან შეკავება, მაგრამ ერაყის მთავრობაში არსებულმა სექტანტურმა ძალებმა და რეგიონში მათმა მომხრეებმა ეს არ დაუშვეს. ალტერნატივა იქნებოდა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ იარაღის ემბარგოს დადება სირიის და ჯიჰადისტური მილიციის წინააღმდეგ. მაგრამ არც ეს გამოვიდა, რადგან უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს ერთმანეთთან შეუთავსებელი მიზნები ამოძრავებდა. როდესაც წესრიგი ვერც კონსენსუსით მიიღწევა და ვერც ძალის გამოყენებით, მაშინ იგი ქაოსში იწრთობა, ოღონდ ამას ეწირება ადამიანის ღირსება.

პალესტინის საკითხი და საერთაშორისო წესრიგი

ახლო აღმოსავლეთის გადატრიალებების და აჯანყებების შუაგულში, მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს სამშვიდობო პროცესი, რომელმაც უნდა დაასრულოს არაბულ-ისრაელური კონფლიქტი – ათწლეულების ისტორიის მქონე ფეთქებადი პატური სიტუაცია. ამასობაში, მოხდა ოთხი კონვენციური ომი და ასიმეტრიული საომარი ქმედებების უამრავი შემთხვევა. ყველა ისლამისტური და ჯიჰადისტური დაჯ-

გუფება ამ კონფლიქტებს თავისი პროპაგანდისთვის იყენებს. მთელი არაბული სამყარო შეურაცხყოფად აღიქვამს ისრაელის არსებობასაც კი და, მით უმეტეს, მის სამხედრო პოტენციალს. დოქტრინული ვალდებულება ტერიტორიის არდათმობის შესახებ, ზოგიერთისთვის რწმენის საკითხად აქცევს ისრაელის თანაარსებობას და არ აძლევს მას რეალობის აღიარების საშუალებას.

ძნელად განსახილველი საკითხია, როგორ შეიძლება ურთიერთხელისშემშლელი არ აღმოჩნდეს ისრაელის სწრაფვა უსაფრთხოებისა და იდენტობისთვის და პალესტინელთა სწრაფვა საკუთარი სახელმწიფოებრიობის მოსაპოვებლად, და ეს ორი რამ არაბულ პოლიტიკასთან, რომელიც მათ ისტორიულ და რელიგიურ წარმოდგენებს არ შელახავს. კონფლიქტის მხარეები რთულ, მტანჯველ გზას ადგანან. ეს გზა დაბრკოლებებით და ომით იწყება და თანაარსებობაზე სათუო დათანხმებით მთავრდება, რაც, უმეტესად, სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას მოსდევს ხოლმე, თუმცა მომავალი მაინც ბუნდოვანია. შეერთებულ შტატებში რამდენიმე საერთაშორისო საკითხი თუ აღმოჩენილა ასე ძნელად გადასაჭრელი და ამერიკის პრეზიდენტების დიდი ძალისხმევა დასჭირვებია, როგორც ამ კონფლიქტს.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი მთელ რიგ კითხვებს წამოჭრის, ცალკეულ პრობლემას უამრავი გამოკვლევაც მიეძღვნა. თვითონ კონფლიქტის მხარეებმა, ათწლეულების განმავლობაში შეფერხებებით მიმდინარე მოლაპარაკებებზე, ვრცლად განიხილეს ეს საკითხები. ამჯერად მხოლოდ ერთ საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას. ესაა, ურთიერთსაწინააღმდეგო წარმოდგენები მშვიდობიანი წესრიგის შესახებ, რომლებიც გამოითქვა მოლაპარაკებების დროს.

არაბების ორი თაობა აღიზარდა რწმენით, რომ ისრაელის სახელმწიფო მუსლიმური სამშობლოს დაპყრობის შედე-

გად დაარსდა. შესაბამისად, 1947 წელს არაბულმა ქვეყნებმა უარყვეს გაეროს გეგმა ბრიტანეთის მანდატის ქვეშ მყოფი პალესტინის არაბულ და ებრაულ სახელმწიფოებად გაყოფის შესახებ. მათ ეგონათ, რომ სამხედრო ძლევამოსილებით დაიბრუნებდნენ მთელ ტერიტორიას. მაგრამ, როდესაც მათი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა და ახლად გამოცხადებული ისრაელის სახელმწიფო ვერ აღკვეთეს, მდგომარეობა პოლიტიკურად ვერ მოგვარდა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ვერ დამყარდა, როგორც ეს ძირითადად ხდებოდა აზიისა და აფრიკის უმეტეს პოსტკოლონიურ კონფლიქტურ რეგიონებში. პირიქით, ამით დაიწყო პოლიტიკური უარყოფის და იძულებით დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებების ხანგრძლივი პერიოდი, პარალელურად კი რადიკალური დაჯგუფებები ცდილობდნენ ისრაელის დამორჩილებას ტერორისტული კამპანიების საშუალებით.

მსოფლიოს რჩეული ლიდერები ცდას არ აკლებდნენ, რომ გადაელახათ კონფლიქტის რელიგიურ-კონცეპტუალური ასპექტი და მიეღწიათ ვესტფალიის პრინციპებზე დაფუძნებული სამშვიდობო შეთანხმებისთვის – დაემყარებინათ მშვიდობა ხალხთა შორის, რომლებიც აღიარებენ ერთმანეთის სუვერენულ სახელმწიფოებს, რეალისტურად აფასებენ თავიანთ ეროვნულ ინტერესებს და შესაძლებლობებს და არ იზიარებენ აბსოლუტური ხასიათის რელიგიურ იმპერატივს. ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ ალ-სადათმა გაბედა კონფრონტაციის გადალახვა და 1979 წელს, ეგვიპტის ეროვნული ინტერესების შესაბამისად დაამყარა მშვიდობა ისრაელთან. სახელმწიფოებრივი შორსმჭვრეტელობის საფასური მან თავისი სიცოცხლით გადაიხადა – ორი წლის შემდეგ სადათი ეგვიპტის არმიის რადიკალურმა ისლამისტებმა მოკლეს. იგივე ბედი ეწია იცხაკ რაბინს, ისრაელის პირველ პრემიერ-მინისტრს, რომელმაც დადო ხელშეკრულება პალესტინის განმათავი-

სუფლებელ მოძრაობასთან (PLO). სადათის მკვლელობიდან 14 წლის შემდეგ იგი რადიკალურად განწყობილმა ებრაელმა სტუდენტმა მოკლა.

ლიბანში, სირიასა და პალესტინის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ღაზას სექტორში, დღეს რადიკალურ ისლამისტებს – ჰიზბოლასა და ჰამასს – მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლება აქვთ. ისინი ჯიჰადს რელიგიურ მოვალეობად აცხადებენ, რათა დაასრულონ ის, რასაც თავად „სიონისტურ ოკუპაციას" უწოდებენ. ირანში აიათოლას რეჟიმი სისტემატურად აპროტესტებს ისრაელის არსებობის უფლებას, ხოლო ირანის ყოფილი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი ისრაელის განადგურებისკენ მოუწოდებდა თანამემამულეებს.

ისრაელის მიმართ არაბეთის პოზიციაში სულ ცოტა სამი მიმართულება იკვეთება: მცირე, პრინციპული, მაგრამ არა განსაკუთრებით ხმამაღალი ჯგუფი ეთანხმება ისრაელთან თანაარსებობას და მზად არის ამ საქმისთვის იღვაწოს; უფრო დიდი დაჯგუფება ცდილობს ისრაელის განადგურებას მუდმივი კონფრონტაციის გზით, ხოლო კიდევ ერთი დაჯგუფება თითქოს მზად არის ისრაელთან მოლაპარაკებებისთვის, მაგრამ თავის მომხრეებს ამ მზაობას წარმოუჩენს როგორც ებრაული სახელმწიფოს ეტაპობრივი გადადგურების საშუალებას.

ისრაელის მოსახლეობა (მეზობელ ქვეყნებთან შედარებით) მცირეა და მისი ტერიტორიაც პატარაა. ქვეყნის ყველაზე ვიწრო ადგილის სიგანე მხოლოდ 9,3 მილია, ყველაზე ფართო კი – დაახლოებით 60 მილი. ქვეყანას უჭირს ტერიტორიების დათმობა, განსაკუთრებით, მჭიდროდ დასახლებული ცენტრების სიახლოვეს, რადგან შიშობს, რომ ხელშეკრულება ნებისმიერ დროს შეიძლება დაირღვეს. მისი პოზიცია მოლაპარაკებების დროს ამიტომ ხშირად ტოვებს ლეგალისტურო-

ბის შთაბეჭდილებას; უსაფრთხოებისა და პოლიტიკური დათმობების ცნებები უაღრესი სიზუსტით განიმარტება, ხანდახან ასეთი დაწვრილმანება გაუგებარია ხოლმე და თან სწორედ მოლაპარაკებების იმ პოზიციებს აძლიერებს, რომელთა გადალახვაც წარმოადგენს სამშვიდობო პროცესის მიზანს.

არაბულ სამყაროში პალესტინის საკითხმა ცოტათი დაკარგა აქტუალობა, მაგრამ არ დაუკარგავს მნიშვნელობა. სამშვიდობო პროცესის მთავარი აქტორების ენერგია და გონება დღეს უფრო მეტად მიმართულია ირანის ატომურ სახელმწიფოდ შესაძლო ჩამოყალიბებაზე და მის რეგიონულ მარიონეტებზე. ეს მოცემულობა ორი თვალსაზრისით ახდენს გავლენას სამშვიდობო პროცესზე: ერთი მხრივ, ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყნების დიპლომატიური როლი სამშვიდობო პროცესში, როგორიცაა ეგვიპტე და საუდის არაბეთი, მეორე მხრივ კი (რაც უფრო მნიშვნელოვანია), მათი უნარი, გახდნენ სავარაუდო ხელშეკრულების გარანტორები. პალესტინელი ლიდერები ვერ შეძლებენ სამშვიდობო პროცესის შედეგის ხანგრძლივად შენარჩუნებას, თუკი ხელშეკრულებას რეგიონის სხვა სახელმწიფოები უბრალოდ დაეთანხმებიან, მაგრამ ქმედითად მხარს არ დაუჭერენ. ამ წიგნის წერის მომენტში ძირითადი არაბული სახელმწიფოები ან სამოქალაქო ომებში იყვნენ ჩაბმულნი ან მათი ყურადღება მთლიანად იყო მიპყრობილი სუნიტურ-შიიტური კონფლიქტისა და გაძლიერებული ირანისკენ. მათ ადრე თუ გვიან მაინც მოუწევთ პალისტინის საკითხზე მსჯელობა, რადგან იგი წარმოადგენს რეგიონული და, ამდენად, მსოფლიო წესრიგის მნიშვნელოვან ელემენტს.

რამდენიმე არაბი სახელმწიფო მოღვაწე გვთავაზობს არაბულ-ისრაელურ სამშვიდობო შეთანხმებას, რითაც უნდა შეთანხმდეს ისრაელის უსაფრთხოების ინტერესები და არაბული განწყობები. კერძოდ, შეთანხმებამ უნდა აღიაროს ისრაელის სახელმწიფო, როგორც რეალობა, მაგრამ ფორმალურად არ

უნდა მიანიჭოს ისლამურ ახლო აღმოსავლეთში არსებობის ლეგიტიმურობა. ისრაელის პრინციპული მოთხოვნა კი არის ხელშეკრულებით გამყარებული პირობა, რომ სამშვიდობო შეთანხმება მორალური და სამართლებრივი კუთხით იქნება აღიარებული და კონკრეტულ ქმედებაში ჰპოვებს გამოხატულებას. ისრაელის სახელმწიფოს სამართლებრივად ერთმნიშვნელოვნად აღიარების მოთხოვნით, ისრაელი სცდება ვესტფალიურ პრინციპებს, რადგან ეს ატრიბუტი მუსლიმთა უმეტესობისთვის ფორმალური სახით მიუღებელია, რადგან გულისხმობს როგორც რელიგიურ, ასევე ტერიტორიულ დადასტურებას.

რამდენიმე არაბულმა სახელმწიფომ გამოთქვა მზადყოფნა, დიპლომატიური ურთიერთობები დაამყაროს ისრაელთან, თუკი იგი დაუბრუნდება 1967 წლის საზღვრებს – ანუ ნახევარი საუკუნის წინათ დამთავრებული ომის შემდეგ დადგენილ ცეცხლის შეწყვეტის ხაზს. მაგრამ მთავარი კითხვა მდგომარეობს შემდეგში – რა კონკრეტული შედეგის მოტანა შეუძლია დიპლომატიურ ურთიერთობებს? შეწყვეტს დიპლომატიური აღიარება არაბულ ქვეყნებში მედიის, სახელმწიფო და განათლების სფეროს კამპანიებს, რომელიც ისრაელს წარმოაჩენს როგორც არალეგალურ, იმპერიალისტურ, რეგიონში შეჭრილ კრიმინალურ ელემენტადაც კი? „არაბული გაზაფხულის“ წნეხის ქვეშ მზარდი რომელი არაბული მთავრობა მოინდომებს და შეძლებს გასცეს მშვიდობის გარანტია, რომლის ფარგლებშიც აღიარებული იქნება ისრაელის არსებობა ზედმიწევნით ზუსტად ჩამოყალიბებული ოპერატიული ვალდებულებების შესაბამისად? ეს იქნება მშვიდობის პერსპექტივისთვის გადამწყვეტი ფაქტორი და არა ისრაელის სახელმწიფოსთვის მიწებებული ეტიკეტი.

ისრაელ-პალესტინის საკითხი თავის თავში მოიცავს მსოფლიო წესრიგის ორი კონცეფციის კონფლიქტს. ისრაელი,

განსაზღვრების მიხედვით, ვესტფალიური წესრიგის სახელმწიფოა და ასეთად დაარსდა 1947 წელს. მისი მთავარი მოკავშირე, ამერიკის შეერთებული შტატები, ვესტფალიური საერთაშორისო წესრიგის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დამცველია. მაგრამ ახლო აღმოსავლეთის სხვა გავლენიანი ქვეყნები და ფრაქციები საერთაშორისო წესრიგს მეტ-ნაკლებად თავიანთი ისლამური ცნობიერების ჭრილში უყურებენ. ისრაელს და მის მეზობლებს ახასიათებთ განსხვავებები, რომლებიც განუყოფლად არის დაკავშირებული მათ გეოგრაფიულ მდებარეობასა და ისტორიასთან: წყალზე წვდომა, რესურსები, უსაფრთხოების სპეციფიკური ზომები, ლტოლვილები. სხვა რეგიონებში მსგავსი გამოწვევები ჩვეულებრივ, დიპლომატიის საშუალებით გვარდება. ამ თვალსაზრისით, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი დადის მსოფლიო წესრიგის ორი კონცეფციის თანაარსებობის შესაძლებლობამდე, რასაც განასახიერებს ორი სახელმწიფო – ისრაელი და პალესტინა – ორივე მათგანი მდებარეობს მდინარე იორდანესა და ხმელთაშუა ზღვას შორის არსებულ ვიწრო ზოლზე. მაგრამ რადგან ამ ტერიტორიის თითოეულ კვადრატულ მილს ორივე მხარე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, სამშვიდობო ძალისხმევის წარმატება ალბათ თავიდან დამოკიდებული იქნება დროებით ხელშეკრულებაზე, რომელმაც პრაქტიკული თანაარსებობის მდგომარეობა მაინც უნდა გააუმჯობესოს. ამისათვის კი მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირი საბოლოო ხელშეკრულების მიღწევამდე უნდა აღიჭურვოს სახელმწიფო სუვერენიტეტის ატრიბუტებით.

მოლაპარაკებების მძიმე პროცესის განმავლობაში, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურმა და ფილოსოფიურმა ევოლუციამ დასავლეთ სამყაროში პოლიტიკური წინააღმდეგობრიობის სასწავლო მაგალითი შექმნა. შეერთებულ შტატებს ყოველთვის ჰქონდა მჭიდრო კავშირი რეჟიმებთან, რომლებიც

განასახიერებენ ახლო აღმოსავლეთში არსებული ვარიანტების მთელ სპექტრს: ალიანსი ისრაელთან, კავშირი ეგვიპტესთან, პარტნიორობა საუდის არაბეთთან. წესრიგის რეგიონული სტრუქტურა ალბათ მხოლოდ მაშინ იქმნება, როდესაც მნიშვნელოვან მონაწილეებს იმ კითხვებზე, რომლებსაც უშუალოდ უნდა უპასუხონ, შეთანხმებული პასუხები ექნებათ. ერთიანობის ეს ხარისხი ახლო აღმოსავლეთში ჯერჯერობით მიუღწეველია. ძირითად მხარეებს განასხვავებთ სამ ცენტრალურ საკითხთან დამოკიდებულება: შიდასახელმწიფოებრივი განვითარება, პალესტინელი არაბების მომავალი და ირანის ბირთვული სამხედრო პროგრამის მომავალი. გინდაც ზოგიერთი მხარე რომელიმე საკითხში ერთმანეთს დაეთანხმოს, ხანდახან ამ თანხმობის საჯაროდ გამოხატვის უფლებას მაინც ვერ აძლევს თავს. მაგალითად, ირანთან მიმართებით საუდის არაბეთსა და ისრაელს ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებთ, კერძოდ, მათ სურთ აღკვეთონ ირანის ატომურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ან, თუკი წინ ვერ აღუდგებიან, შეზღუდონ მაინც მისი მასშტაბი. მაგრამ ლეგიტიმურობის ჩვეული აღქმა და საუდის მიერ არაბულ კონსენსუსზე ანგარიშის გაწევა აფერხებს ამ ერთიანობის საჯარო გაცხადებას და ღიად ჩამოყალიბებას. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რატომ არის რეგიონის საკმაოდ დიდი ნაწილი ჯიჰადსა და მის გამომწვევ მიზეზებთან კონფრონტაციის შიშს შორის მოქცეული.

რელიგიური და პოლიტიკური კონფლიქტის შედეგები, რომლებიც ამ თავში განვიხილეთ, ერთმანეთისგან მკვეთრად გასამიჯნ პრობლემებად გვესახება. სინამდვილეში კი ისინი საჭიროებენ პოლიტიკური და საერთაშორისო ლეგიტიმურობის ახალი განსაზღვრების ღრმა კვლევას.

საუდის არაბეთი

ისტორიის ირონიაა, რომ დასავლური დემოკრატიების ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი მთელი ამ არეულობების დროს, იყო და არის ქვეყანა, რომლის შიდაპოლიტიკური ვითარება რადიკალურადაა განსხვავებული დასავლური ფასეულობებისგან. ეს არის საუდის არაბეთის სამეფო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს ქვეყანა მოკავშირეთა მხარეს დადგა და მას შემდეგ დასავლეთის პარტნიორია. საუდის არაბეთი, რეგიონული უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებისას, ხანდახან კულისებიდან და შეუმჩნევლად, თუმცა ყოველთვის პრინციპულად თანამშრომლობდა დასავლეთთან. ამ მხრივ, ვესტფალიის სახელმწიფოების სისტემის განსაკუთრებული ხასიათი ყველა მონაწილისთვის სასარგებლო აღმოჩნდება ხოლმე, რადგან იგი ერთმანეთისგან განსხვავებულ საზოგადოებებს აძლევს საერთო მიზნებისთვის სხვადასხვა მექანიზმებით თანამშრომლობის საშუალებას. ამავე დროს, სისტემის სუსტი მხარეები, ეპოქის შესაბამისი მსოფლიო წესრიგის ძიებისას, მიგვანიშნებს ამავე ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევებზე.

საუდის არაბეთის სამეფო ტრადიციული არაბულ-ისლამური ქვეყანაა; იგი ერთდროულად წარმოადგენს საგვარეულო სტრუქტურაზე დამყარებულ აბსოლუტურ მონარქიასა და ისლამურ თეოკრატიას. ორი მმართველი ოჯახი მე-18 საუკუნიდან მოყოლებული უჭერს მხარს ერთმანეთს და ქმნის სახელმწიფო მმართველობის ბირთვს. პოლიტიკური იერარქიის სათავეში დგას ალ საუდის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი მონარქი. იგი მიიჩნევა საგვარეულო ურთიერთობების კომპლექსური ქსელის თავკაცად. ქსელი ეფუძნება უძველესი დროიდან ჩამოყალიბებულ ურთიერთლოიალურობას, მოვალეობებს და კავშირებს და აკონტროლებს სამეფოს საშინაო

და საგარეო პოლიტიკურ საქმეებს. რელიგიური იერარქიის სათავეში დგანან დიდი მუფთი და უმაღლეს რელიგიურ სწავლულთა საბჭო; დიდი მუფთიც და სწავლულთა საბჭოს წევრთა უმრავლესობაც აალ ალ-შაიხის ოჯახიდან არიან. მეფის, როგორც „წმინდა ადგილების მცველის" (მექას და მედინას) ხელშია ძალაუფლების ამ ორი შტოს შეკავშირება. ეს სახელწოდება რაღაცით გვაგონებს საპატიო წოდებას "Fidei Defensor" („რწმენის მცველი"), რომელიც მინიჭებული ჰქონდა საღვთო რომის იმპერატორს.

საუდის ისტორიულ გამოცდილებაში ღრმად ფესვგადგმულია ისეთი თვისებები, როგორიცაა მოშურნეობა და სიწმინდე. საუდის სახელმწიფო სამი საუკუნის განმავლობაში (1740-იან, 1820-იან წლებში და მე-20 საუკუნის დასაწყისში) სამჯერ დაარსდა ან გაერთიანდა ამ ორი წამყვანი ოჯახის მიერ. ისინი ყოველ ჯერზე იღებდნენ ვალდებულებას, ემეფათ ისლამის წმინდა პრინციპების მკაცრი დაცვით ქვეყანაში, სადაც დაიბადა ისლამი და სადაც მდებარეობს მისი წმინდა ადგილები. საუდის ჯარები მუდამ ოცნებობდნენ და ცდილობდნენ ნახევარკუნძულის უდაბნოს და მთების ტომების გაერთიანებასაც. ეს ფაქტი აშკარად გვახსენებს ამ რეგიონში ერთხელ უკვე განცდილ რელიგიურ აღფრთოვანებას და წმინდა ომებს, რომლის შედეგადაც შეიქმნა პირველი ისლამური სახელმწიფო. რელიგიურმა აბსოლუტიზმმა, სამხედრო გაბედულებამ და მოქნილმა, თანამედროვე სახელმწიფო მართვამ შექმნა სამეფო, რომელიც მდებარეობს მუსლიმური სამყაროს შუაგულში და განსაზღვრავს მის ბედს.

დღევანდელი საუდის არაბეთი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიის დაცემის შედეგად შეიქმნა, როდესაც იბნ საუდმა გააერთიანა მთელ ნახევარკუნძულზე გაფანტული ფეოდალური საშაჰოები და შეაკავშირა ისინი პატრიარქალური მიმდევრობის და რელიგიური ერთგულების

ნიშნით. სამეფოს დაარსებიდან მოყოლებული, გამეფებულ ოჯახს რთული ამოცანების გადაჭრა უწევდა. იგი ბატონობს ტომებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მომთაბარედ ცხოვრობენ და სამეფო გვირგვინის მიმართ აბსოლუტურად ლოიალურად იქცევიან. მაგრამ საუდის სამეფოში არსებობს დასავლური მეტროპოლების ყაიდის და ხშირად მათზე აღმატებული, მჭიდროდ დასახლებული, უნაყოფო მიწაზე გაშენებული, ერთი შეხედვით, მირაჟული ურბანული ერთეულები. უძველესი, ნახევრადფეოდალური საზოგადოებრივი სტრუქტურის გვერდით არსებობს ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ახალი საშუალო ფენა. მმართველობაში ჩართული პრინცები მკაცრად ადევნებენ თვალს უკიდურესად კონსერვატორული პოლიტიკური კულტურის საზღვრებს; მათ იციან მონარქიის მოთხოვნილებების დაკავშირება კონსენსუსზე დამყარებულ სისტემასთან. ეს არის ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც გაფართოებული სამეფო ოჯახის დაქსაქსული წევრები გარკვეულ გავლენას ახდენენ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე. თანდათან, ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც ეძლევათ საჯარო ცხოვრებაში შეზღუდულად ჩართვის უფლება.

მილიონობით ჩასული მუშახელი – პალესტინელები, ლიბანელები, ეგვიპტელები, პაკისტანელები და იემენელები – ქმნის ეთნიკურ მოზაიკას, რომელსაც აერთიანებს ისლამი და ტრადიციული მმართველობის პატივისცემა. ყოველ წელიწადს მილიონობით მუსლიმი მიემართება მოსალოცად მექისკენ, რათა შეასრულოს წინასწარმეტყველ მუჰამედის დაკანონებული წმინდა რიტუალი – ჰაჯი. ყველა მორწმუნისთვის, ვისაც ამის ფიზიკური ძალა შესწევს, დიდი მომლოცველობა მოვალეობაა, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა შეასრულოს. ეს მოვლენა საუდის არაბეთს უნიკალურ რელიგიურ მნიშვნელობას სძენს, მაგრამ თან ქვეყანას ისეთი უზარმაზარი ლოჯისტიკური გამოწვევის წინაშე აყენებს, როგორიც არცერთ სხვა

ქვეყანას არ მოეთხოვება. ნავთობის უზარმაზარი საბადოების აღმოჩენამ საუდის არაბეთს რეგიონში არნახული სიმდიდრე მოუტანა. თუმცა ასევე დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა უსაფრთხოება ქვეყნისა, რომელიც მდებარეობს ნავთობით ყველაზე მდიდარ რეგიონში, მეჩხრად არის დასახლებული, თითქმის არ გააჩნია ბუნებრივი საზღვრები და ჰყავს შიიტური უმცირესობა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ მონაწილეობს.

საუდის მესვეურებს უწევთ იმ აზრთან შეგუება, რომ მათი მეზობლების შური შესაძლებელია, დამპყრობლურ სურვილად იქცეს ან, შესაძლებელია, რევოლუციურ ფაზაში მათ დაასპონსორონ პოლიტიკური და რელიგიური აგიტაცია საუდის არაბეთში. მათთვის კარგად არის ცნობილი რეგიონის სხვა ქვეყნების ბედი, ამიტომაც ამბივალენტურად უდგებიან ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ მოდერნიზაციას. მათ იციან, რომ ახალგაზრდა მოსახლეობას გაიუცხოებენ, თუკი ყველანაირ რეფორმას შეეწინააღმდეგებიან; მეორე მხრივ, სწრაფად გატარებულმა რეფორმებმა შეიძლება დამოუკიდებელი დინამიკა შეიძინოს და საბოლოოდ ქვეყნის ერთიანობას დაემუქროს, მით უმეტეს, რომ საუდის არაბეთი კონსერვატორული მონარქიის გარდა, სახელმწიფოს სხვა ფორმას არ იცნობს. სწორედ ამიტომაც ცდილობს დინასტია, სათავეში ჩაუდგეს სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნის პროცესს საზოგადოებრივი სტრუქტურების შიგნით, შეინარჩუნოს წონასწორობა და გაატაროს თავისი იდეები. ალ საუდის მმართველებმა ამ ტაქტიკით იმდენი გარდაქმნა გაატარეს და ისეთი ტემპით, რამდენიც მათ თავიდან ააშორებდა სოციალური დაძაბულობის ფეთქებადი პოტენციალის აკუმულირებას და დესტაბილიზაციას.

საუდის საგარეო პოლიტიკა მუდამ დიდი სიფრთხილით ხასიათდებოდა. საუდელმა დიპლომატებმა ხელოვნებამდე

დახვეწეს არასავალდებულო დაპირებების ფორმა. სამეფოს სწორხაზოვანი პოლიტიკა რომ გაეტარებინა, იოლად მოექცეოდა დებატების ფოკუსში; ხშირად მოუწევდა მასზე ბევრად ძლიერი სახელმწიფოების წნეხთან, მუქარასა და შეპირებებთან დაპირისპირება; შედეგად კი საფრთხის ქვეშ მოექცეოდა მისი დამოუკიდებლობა ან შინაგანი ერთობა. მხოლოდ დისტანცირებით შეძლო საუდის რეჟიმმა საკუთარი უსაფრთხოებისა და ძალაუფლების შენარჩუნება. თუმცა მას, ხანდახან, რადიკალური შემოტრიალებებიც ახასიათებდა, რომელთა ექოც დედამიწის მეორე ბოლოშიც გაუგონიათ. კრიზისის დროსაც კი საუდის არაბეთის ოფიციალური პოლიტიკა ხაზგასმით თავშეკავებულად მოქმედებს. იგი ყოველთვის დისტანცირებით ნიღბავს თავის სუსტ წერტილებს და შიშებს, არც სხვა თვალსაზრისი აინტერესებს და არც მუქარა.

სამეფომ მუდმივი ლავირების საშუალებით მოახერხა დაპირისპირების ფრონტის წინა ხაზისგან შორს დაეჭირა თავი, მაშინაც კი, როცა მას საკუთარი რესურსი უშუალო ჩარევის საშუალებას აძლევდა – როგორც ეს მოხდა 1973 წელს, ნავთობის ემბარგოს დროს და ანტისაბჭოთა ჯიჰადის დროსაც ავღანეთში (1979-1989). საუდის არაბეთმა სამშვიდობო პროცესის დაწყებას შეუწყო ხელი ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ მოლაპარაკებების სადავეები სხვებს გადაულოცა. ამგვარად, სამეფო ნავიგირებდა შეერთებულ შტატებთან მეგობრობის, არაბული ლოიალობის, ისლამის პურისტული ინტერპრეტაციის და მუდმივი საშინაო და საგარეო საშიშროებების მოლოდინის მყარ პოლუსებს შორის. ჯიჰადისა და რევოლუციური ცვლილებების, ამასთან, რეგიონიდან ამერიკელების თანდათანობითი გასვლით გამოწვეული შიშის პირობებში კი, საუდის არაბეთის სამეფომ ნაწილობრივ უარი თქვა არასავალდებულო დაპირებების ტაქტიკაზე და რამდენჯერმე პირდაპირი

ქმედება ამჯობინა, მაგალითად, როდესაც ღიად გამოხატა ირანის შიიტების მიმართ მტრობა და შიში.

ახლო აღმოსავლეთში არცერთი სხვა სახელმწიფო არ გრძნობს თავს ისლამისტური არეულობის და ირანის რევოლუციონერების აღზევების გამო იმგვარად საფრთხის ქვეშ, როგორც საუდის არაბეთი. სამეფო გახლეჩილია ვესტფალიის პრინციპების ფორმალურ აღიარებას – მასზე ამყარებს თავის უსაფრთხოებას და საერთაშორისო აღიარებას ლეგიტიმურ, სუვერენულ სახელმწიფოდ – მისი ისტორიის გამჭოლ რელიგიურ პურიზმსა და რადიკალური ისლამის მუდმივ მოწოდებას შორის, რაც მის შინაგან ერთობას ასუსტებს (და მართლაც, მის არსებობასაც საფრთხის ქვეშ აყენებს, როგორც ეს გამოვლინდა 1979 წელს ფანატიკოსი სალაფისტების მიერ მექის დიდი მეჩეთის დაკავებისას).

1989 წელს ამ ქვეყნის შვილი, სამეფოსგან იმედგაცრუებული ოსამა ბინ ლადენი ავღანეთის ანტისაბჭოთა ჯიჰადიდან სამშობლოში დაბრუნდა და ხალხს ახალი ბრძოლისკენ მოუწოდა. იგი ყუტბის ნაწერების მიმდევარი იყო და თავის მომხრეებთან ერთად ახალი ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, რომელსაც ნამყვანი როლი უნდა ეკისრა და ყველა მიმართულებით უნდა წამოეწყო ჯიჰადი. მის პირველ სამიზნეს წარმოადგენდა საუდის არაბეთის მთავრობა და სამეფოს რეგიონული პარტნიორი ქვეყნები; შემდეგ მიზანს კი „შორეული მტერი" – შეერთებული შტატები. აშშ-ს ალ ქაიდას მიერ ბრალად ედებოდა ახლო აღმოსავლეთის იმ ქვეყნების მხარდაჭერა, რომელთა მთავრობებიც არ ეყრდნობოდნენ შარიათს, აგრეთვე, 1990-1991 წლებში სპარსეთის ყურის ომში სამხედრო შენაერთების სტაციონირებით საუდის არაბეთის ისლამური მიწის სიწმინდის შებღალვა. ბინ ლადენის აზრით, ეგზისტენციურად აუცილებელი იყო ომი ჭეშმარიტ რწმენასა და უმეცარ მსოფლიოს შორის და იგი უკვე დაწყებულიც იყო.

მსოფლიოში უსამართლობას ისეთი მასშტაბი მიეღო, რომლის წინააღმდეგაც მშვიდობიანი მეთოდები ვერას გახდებოდა. ამ დღიდან საჭირო იყო თავდასხმებისა და ტერორიზმის ტაქტიკა, რითიც ალ ქაიდა მტრებს შიშსა და ძრწოლას მოჰგვრიდა და მათი წინააღმდეგობის სულისკვეთებას გატეხდა.

ალ ქაიდამ თავისი ამბიციური სვლა ამერიკელების და მისი მოკავშირეების აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში განლაგებულ ობიექტებზე თავდასხმით დაიწყო. 1993 წელს ორგანიზაციამ თავდასხმა განახორციელა მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე ნიუ-იორკში, რითაც გაცხადდა ტერორისტული ორგანიზაციის გლობალური მიზნები. 2001 წლის 11 სექტემბერს ტერორისტულმა შეტევამ აპოგეას მიაღწია, როდესაც ალ ქაიდამ შეტევა განახორციელა ნიუ-იორკზე, მსოფლიოს ფინანსური სისტემის საკვანძო ჰაბზე და ვაშინგტონზე, ამერიკის პოლიტიკური ძალაუფლების საკვანძო ჰაბზე. დღემდე ყველაზე საზარელი ტერორისტული თავდასხმის შედეგად სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში 2977 ადამიანი დაიღუპა, თითქმის ყველა მსხვერპლი სამოქალაქო პირი იყო; ათასობით ადამიანი დაშავდა ან მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ოსამა ბინ ლადენმა თავდასხმამდე გამოაცხადა ალ ქაიდას მიზნები – დასავლეთი უნდა განიდევნოს, რათა მისი გავლენა დასრულდეს ახლო აღმოსავლეთში. ამერიკის პარტნიორი მთავრობები გაიყარონ და უნდა დაიმსხვრეს მათი პოლიტიკური სტრუქტურები, რადგან საქმე გვაქვს არალეგიტიმურ „ქაღალდის სახელმწიფოებთან", რომლებიც მხოლოდ დასავლეთის სასარგებლოდაა შექმნილი. მათი ადგილი უნდა დაიკავოს ახალმა ისლამურმა ხალიფატმა და დაუბრუნოს ისლამს დიდება, რომელიც მე-7 საუკუნეში ჰქონდა. ამგვარად, გამოცხადდა ომი მსოფლიო წესრიგის წინააღმდეგ.

კონფლიქტის ბრძოლის ველი შიგ საუდის არაბეთის გულზე გადიოდა, საბოლოოდ კი – მას შემდეგ, რაც 2003 წელს

ალ ქაიდამ ვერ შეძლო ალ საუდის დინასტიის ჩამოგდება – საუდის არაბეთის სამეფო ტერორისტული ქსელის ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ მოწინააღმდეგედ იქცა. გარკვეულ ხანს მოქმედებდა მიდგომა, უსაფრთხოება მოეპოვებინათ, როგორც ვესტფალიურ, ასევე ისლამისტურ წესრიგში. მაგრამ საუდის დინასტიის დიდი სტრატეგიული შეცდომა აღმოჩნდა ვარაუდი (1960-იანი წლებიდან 2003 წლამდე სწორედ ეს მიდგომა განსაზღვრავდა მის პოლიტიკას), რომ შეეძლო, საზღვარგარეთ რადიკალური ისლამიზმისთვის დაეჭირა მხარი და თან საკუთარ ქვეყანაში თავისივე ძალაუფლება არ დაესუსტებინა. ამ სტრატეგიის საბედისწერო მცდარობა 2003 წელს გამოავლინა სამეფოში ალ ქაიდას მიერ არეულობის დაწყებამ. საბოლოოდ, დინასტიამ უარყო ეს სტრატეგია და გადაერთო გონივრულად და ეფექტურად დაგეგმილ კონტრშეტევაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ახალი თაობის პრინცი – საუდის არაბეთის შინაგან საქმეთა დღევანდელი მინისტრი მუჰამედ ბინ ნაიფი. მაგრამ მაშინ დინასტიის დაცემას ბევრი აღარაფერი უკლდა. ერაყსა და სირიაში ჯიჰადისტური დინებების გაძლიერებას შეეძლო ამ კამპანიის საფუძველში ჩადებული გონივრული პოლიტიკისათვის საფრთხე ისევ შეექმნა.

საუდის არაბეთი მისდევს კურსს, რომელიც ისეთივე კომპლექსურია, როგორც ქვეყანაში არსებული გამოწვევები. სამეფო ოჯახი დარწმუნებულია, რომ საუდის უსაფრთხოების და ეროვნული ინტერესები დასავლეთთან კონსტრუქციულ ურთიერთობაში და მსოფლიო ეკონომიკაში მის მონაწილეობაში ძევს. მაგრამ ისლამის დაბადების და მისი წმინდათაწმინდა ადგილების მფარველი ქვეყანა თავს უფლებას ვერ მისცემს, გადაუხვიოს ისლამურ ორთოდოქსიას. საუდის არაბეთი ცდილობს გაღვივებულ რადიკალურ ისლამისტურ ფუნდამენტალიზმს სახელმწიფოს თანამედროვე მართვის და ვესტფალიურ პრინციპებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის ფრთხილი

ქმედებით დაუპირისპირდეს და იგი დააკავშიროს ვაჰაბიზმთან – ისლამის ალბათ ყველაზე ფუნდამენტურ ვერსიასთან, რომლის საერთაშორისო გავრცელებასაც თვითონ აფინანსებს. თუმცა აქ თავს იჩენს შიდა წინააღმდეგობა. დიპლომატიური კუთხით, საუდის არაბეთი კვლავაც ორიენტირებულია შეერთებულ შტატებზე, მაშინ, როცა რელიგიური თვალსაზრისით, ქადაგებს ისლამს, რომელიც შეუსაბამოა სიახლეებთან და, საბოლოოდ, არამუსლიმურ სამყაროსთან დაპირისპირებით მთავრდება. სამეფო მთელ მსოფლიოში აფინანსებს უამრავ მედრესეს (რელიგიურ სკოლებს), სადაც ქადაგებენ მკაცრ ვაჰაბისტურ რწმენას. საუდი ამ გზით იცავს მორწმუნე მუსლიმთა ვალდებულებებს, მაგრამ, მეორე მხრივ, თავდაცვის გარკვეულ ღონისძიებებსაც მიმართავს, მაგალითად, საზღვარგარეთ მისიონერული აქტიურობისკენ მოუწოდებს ვაჰაბისტებს, თუმცა საკუთარ ქვეყანაში მათ არ უშვებს. ამ პროექტის გვერდით, არაეფექტურად უნდა ჩაითვალოს ჯიჰადისტური სულისკვეთების წახალისება, რაც საფრთხეს უქმნის საუდის რეჟიმსა და მის მოკავშირეებს.

პრინციპული ორაზროვნების ეს სტრატეგია მანამ მუშაობდა, სანამ სუნიტური სახელმწიფოები, ძირითადად, სამხედრო რეჟიმების მიერ იმართებოდა. მაგრამ როდესაც არენაზე ალ ქაიდა გამოჩნდა, როდესაც ირანის აიათოლას რეჟიმმა მთელი რეგიონის სამხედრო-რევოლუციურ ბანაკში გამოაცხადა მმართველობის პრეტენზია და „მუსლიმთა საძმომ" ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებშიც სცადა ძალაუფლების ხელში ჩაგდება, საუდის არაბეთი ახლო აღმოსავლეთში სამოქალაქო ომის ორი ფორმის პირისპირ აღმოჩნდა, რომელთა გაღვივებას უნებურად შეუწყო ხელი მისიონერული აქტივობებით. ერთი ფორმა ეხებოდა სახელმწიფოთა ვესტფალიური სისტემის მიმდევარ მუსლიმურ რეჟიმებს და იმ ისლამისტებს შორის კონფლიქტებს, რომლებსაც სახელმწიფოებრიობა და საერთაშო-

რისო წესრიგის ინსტიტუციები ყურანზე შეტევად მიაჩნდათ. მეორე ფორმას კი წარმოადგენდა კონფლიქტი შიიტებსა და სუნიტებს შორის, რომელმაც მთელი რეგიონი მოიცვა; ერთ მხარეს ირანმა აიღო სადავეები ხელში, მეორე მხარეს კი საუდის არაბეთმა.

ეს დაპირისპირება აღმოცენდა ორი სხვა დაპირისპირების ფონზე, რომლებიც რეგიონულ წესრიგს ასევე უწყობდა მკაცრ გამოცდას: ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აქციები და პოლიტიკური წნეხი ერაყსა და ლიბიაში ოდიოზური დიქტატორების ჩამოგდების და „ახლო აღმოსავლეთის ტრანსფორმაციის" მიზნით და სუნიტურ-შიიტური დაპირისპირების გამოღვიძება, რაც ერაყის ომსა და სირიის კონფლიქტში განსაკუთრებით დამანგრეველი ქმედება აღმოჩნდა. მთელ ამ სიტუაციაში გაძნელდა საუდის არაბეთის და შეერთებული შტატების პარალელური ინტერესების გამოცალკევება.

საუდის არაბეთი რეგიონული ჰეგემონიის პრეტენზიების, ძალთა წონასწორობის და დოქტრინული ხედვის ფონზე, შიიტური ირანისგან საფრთხეს გრძნობს, რაც, ერთი მხრივ, რელიგიური ფენომენია, მეორე მხრივ კი, იმპერიული. საუდის არაბეთი შიშობს, რომ თეირანის მმართველობის ქვეშ, რეგიონში კიდევ უფრო გაიზრდება შიიტების ძალაუფლება და გავლენა. შესაძლებელია წარმოიშვას შიიტური კუნძულების არქიპელაგი, რომელიც ირანულ-ავღანური საზღვრიდან ერაყის, სირიის და ლიბანის გავლით ხმელთაშუა ზღვამდე გადაიჭიმება და სულ უფრო გაძლიერდება. იგი აუცილებლად შევა კონფრონტაციაში საუდის მიერ მართულ სუნიტურ წესრიგთან, რომელსაც ეკუთვნიან ეგვიპტე, იორდანია, სპარსეთის ყურის ქვეყნები და არაბეთის ნახევარკუნძული – ყველა, ვისაც არცთუ ისე ნდობით აღსავსე ურთიერთობა აკავშირებს თურქეთთან.

შესაბამისად, ამერიკის დამოკიდებულება ირანსა და საუდის არაბეთთან არ შეიძლება დავიდეს დემოკრატიზაციის საკითხამდე ან რეგიონში ძალთა წონასწორობის გათვლამდე. იგი უნდა ჩამოყალიბდეს ისლამის ორ ფრთას შორის არსებული ათასწლოვანი რელიგიური კონფლიქტის კონტექსტში. შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა თავიანთი მიდგომები დიდი სიფრთხილით უნდა ჩამოაყალიბონ. რეგიონში განხორციელებული ნებისმიერი წნეხი გავლენას მოახდენს ურთიერთობათა დელიკატურ ქსელზე, რომელსაც ეყრდნობა მის გულში მდებარე სამეფო, რომელიც ვალდებულია, ისლამის წმინდათაწმინდა ადგილებს მოუაროს და უპატრონოს. საუდის არაბეთის მმართველობის შეცვლა მსოფლიო ეკონომიკას მნიშვნელოვნად შეარყევს და მუსლიმურ სამყაროსა და მსოფლიოს მშვიდობიან მომავალზე ძლიერ გავლენას მოახდენს. სხვა არაბული ქვეყნების რევოლუციების მაგალითებით მიღებულმა გამოცდილებამ შეერთებულ შტატებს დაანახვა, რომ ვერ დაეყრდნობა ვარაუდს, რომ სადმე, პროცესის განაპირას, ჩასაფრებულია დემოკრატიული ოპოზიცია, რომელსაც სურს და შეუძლია მართოს საუდის არაბეთი დასავლეთისათვის უფრო მისაღები ფასეულობების მიხედვით. ამერიკას ურჩევნია, საუდის არაბეთთან მიმართებით გამოიმუშაოს ზოგადი საფუძვლების ერთიანი გაგება – ეს არის ქვეყანა, რომელსაც ჯიჰადის როგორც სუნიტური, ასევე შიიტური ვერსია უყურებს როგორც ულტიმატურ ჯილდოს და რომლის სწრაფვა, თავისი ჩახლართული მეთოდებით, გადამწყვეტი იქნება რეგიონის კონსტრუქციული განვითარების საქმეში.

საუდის არაბეთისთვის ირანთან კონფლიქტი ეგზისტენციალური მნიშვნელობისაა. საქმე ეხება მონარქიის გაგრძელებას, სახელმწიფოს ლეგიტიმურობას და მართლაც ისლამის მომავალს. თუ ირანი გაძლიერდება და პოტენციურ

დომინანტურ ძალად იქცევა, საუდის არაბეთი შეეცდება პოზიციები გაიძლიეროს, რათა რეგიონში შეინარჩუნოს ბალანსი. აუცილებლად გადასაწყვეტი ფუნდამენტური საკითხების ფონზე, მხოლოდ ვერბალური დაპირებები საკმარისი აღარ იქნება. სავარაუდოდ, საუდის არაბეთი რეაგირებას მოახდენს ირანის ატომური პროგრამის მოლაპარაკებების შედეგებზე, შესაძლოა, ეცადოს, თავადაც მოიპოვოს გარკვეული სახის წვდომა ბირთვული იარაღის პროგრამაზე. მაგალითად, შეიძინოს ატომური იარაღი სხვა ისლამური ბირთვული სახელმწიფოსგან (მაგალითად, პაკისტანისგან) ან თავის დაზღვევის მიზნით, ატომური იარაღის განვითარება სხვა ქვეყანაში დააფინანსოს. თუ საუდის არაბეთი დაასკვნის, რომ ამერიკელები თანდათან ტოვებენ რეგიონს, შესაძლებელია რეგიონული წესრიგის დამყარებაში რომელიმე სხვა დიდი სახელმწიფო ჩართოს, მაგალითად, ჩინეთი, ინდოეთი ან რუსეთი. დაძაბულობები, ამბოხება და ძალადობა, რომელიც გამოსცადა ახლო აღმოსავლეთმა 21-ე საუკუნის პირველ ორ ათწლეულში, უნდა განვიხილოთ როგორც სამოქალაქო და რელიგიური კონფლიქტის შრეები, დავა იმის თაობაზე, უნდა ჩაერთოს თუ არა რეგიონი მსოფლიო წესრიგის ყოვლისმომცველ კონცეფციაში, და თუ უნდა ჩაერთოს – რა გზით. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ამერიკის უნარზე, მოქნილობასა და ნებაზე, წვლილი შეიტანოს ისეთი შედეგის მიღწევაში, რომელიც მის ინტერესებსაც შეესაბამება და რომელსაც საუდის არაბეთი და მისი მოკავშირეებიც დაეთანხმებიან, რადგან მიიჩნევენ, რომ საკუთარ უსაფრთხოებასა და პრინციპებს დაიცავენ.

სახელმწიფოებრიობის უარყოფა?

სირია და ერაყი – ერთ დროს ნაციონალიზმის მანათობელი შუქურები არაბული ქვეყნებისთვის – ალბათ ვერ შეძლებენ თავიდან ჩამოყალიბდნენ გაერთიანებულ ვესტფალიურ სახელმწიფოებად. სამოქალაქო ომში ჩართული სხვადასხვა ფრაქცია მთელ რეგიონში და მის გარეთაც ცდილობს მონათესავე ჯგუფები დაიხმაროს. მათი კონფლიქტები საფრთხეს უქმნის მეზობელი ქვეყნების ერთიანობასაც. თუ არაბული სამყაროს გულში ერთმანეთის მოსაზღვრე რამდენიმე ქვეყანა ვერ მოახერხებს ლეგიტიმური სახელმწიფო სტრუქტურების შექმნას და საკუთარ ტერიტორიასაც ხანგრძლივად ვერ გააკონტროლებს, ახლო აღმოსავლეთში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ტერიტორიული დაყოფა ბოლო ფაზაში შევა.

ამდენად, სირიისა და ერაყის, აგრეთვე მოსაზღვრე ტერიტორიების კონფლიქტი იქცა სიმბოლოდ რეგიონის ახალი, მკვეთრად უარყოფითი ტენდენციისა: სახელმწიფოებრიობის დანაწევრება ტომურ და რელიგიურ ერთეულებად, რომელთა ნაწილი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც მოქმედებს. ისინი ერთმანეთს ებრძვიან ან გარეშე ძალების მანიპულაციების მსხვერპლი ხდებიან, აღარ არსებობს საერთო წესები, გარდა ერთისა – ძლიერის უფლებისა – ეს არის მდგომარეობა, რომელსაც ჰობსი, ალბათ, ბუნებრივ მდგომარეობას უწოდებდა.

რევოლუციის ან მთავრობის ცვლილების შედეგად, თუ მალე არ დაიმკვიდრებს თავს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ ლეგიტიმურად აღიარებული და მხარდაჭერილი ახალი ავტორიტეტი, კონფლიქტი არ ჩაცხრება: სრულიად განსხვავებული დაჯგუფებების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, გააგრძელებს ძალაუფლებისთვის ბრძოლას, თავისი რეალური ან არარეალური მეტოქეების წინააღმდეგ; სახელმწიფოს ნაწი-

ლი შესაძლებელია ანარქიაში ან პერმანენტულ ამბოხში აღმოჩნდეს, ან სხვა დაშლილი სახელმწიფოს ნაწილებს შეუერთდეს. არსებულმა ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიძლება არ მოინდომოს ან ვერ შეძლოს სახელმწიფო ავტორიტეტის აღდგენა მოსაზღვრე ტერიტორიებზე, ან ისეთ არასახელმწიფო დაჯგუფებებზე, როგორიცაა: ჰიზბოლა, ალ ქაიდა, ISIL ან თალიბანი. სწორედ ეს მოხდა უკვე ერაყში, ლიბიასა და პაკისტანში, სადაც პროცესმა საშიში განზომილება მიიღო.

ზოგიერთი სახელმწიფო თავისი დღევანდელი ფორმით, შესაძლებელია, უმართავი აღმოჩნდეს – თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოლიტიკური მართვის ისეთი მეთოდების ან სოციალური კავშირების გამოყენებას, რომელთაც ამერიკელები არალეგიტიმურად მიიჩნევენ. ეს შეზღუდვები ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გადაილახოს, თუ იარსებებს უფრო ლიბერალური შიდა წესრიგის მოთხოვნა. მაგრამ, როცა ერთ სახელმწიფოში არსებული დაჯგუფებები მსოფლიო წესრიგის ფუნდამენტურად განსხვავებულ კონცეფციებს ემხრობიან ან ეგზისტენციალურ ბრძოლას მიმართავენ გადარჩენისთვის, იქ ამერიკელების მოწოდება ბრძოლის შეწყვეტისა და დემოკრატიული კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ ბევრს ვერაფერს გააწყობს. ეს მოწოდებები ან დაადამბლავებს მოქმედ მთავრობებს, როგორც ეს მოხდა ირანში შაჰის დროს, ან ყრუ კედელს დაეჯახება, როგორც ეს მოხდა ეგვიპტეში, გენერალ ალ-სისის მთავრობის დროს (ამ უკანასკნელმა თავისი წინამორბედის დამხობიდან მაინც გამოიტანა გაკვეთილი და თავს არიდებს ამერიკელებთან კიდევ ერთ ისტორიულ ალიანსს, რომ მოქმედების მეტი თავისუფლება მოიპოვოს). ამ პირობებში ამერიკამ გადაწყვეტილება უნდა გადააფასოს, რომელი სტრატეგია მიგვიყვანს უსაფრთხოების და მორალის უკეთეს კომბინაციამდე; ამავე დროს, ამერიკელებმა უნდა იცოდნენ, რომ ორივე მიზანი სრულყოფილად ვერ მიიღწევა.

ერაყში სადამ ჰუსეინის ბრუტალური, სუნიტების მიერ დომინირებული დიქტატურის დამხობამ შურისძიების სურვილი უფრო გააღვივა, ვიდრე დემოკრატიის დამყარებისა. შურისძიება კი მოინდომა სხვადასხვა დაჯგუფებებამ, რომელთაც თავიანთი განსხვავებული რელიგიურობა ავტონომიურ ერთეულებად ჩამოაყალიბეს და ფაქტობრივად, ომი გამოუცხადეს ერთმანეთს. ლიბიაში კი, ამ უზარმაზარ, შედარებით მეჩხრად დასახლებულ ქვეყანაში, რომელიც დაქუცმაცებულია რელიგიური დაყოფისა და ტომების დაპირისპირების გამო და ერთიანი ისტორიაც კი არ გააჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე პერიოდს, როდესაც ის იტალიის კოლონია იყო, სისხლიანი დიქტატორის, კადაფის ჩამოგდებას კონკრეტული ეფექტი ჰქონდა – მან გააქრო ნიშანი იმისა, რომ ეროვნულ დონეზე კიდევ არსებობდა სახელმწიფო ძალაუფლება ან ამ ქვეყნის მართვა შესაძლებელი იყო. ტომები და რეგიონები იარაღდებოდნენ საკუთარი თვითმმართველობის დასაცავად ან ავტონომიური მილიციის საშუალებით ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ტრიპოლის დროებითმა მთავრობამ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება, მაგრამ უუნაროა, დედაქალაქის მიღმა სახელმწიფო ავტორიტეტი რომ გამოავლინოს; თვით დედაქალაქშიც კი საეჭვოა, ამას ახერხებდეს. ექსტრემისტული დაჯგუფებები ფართოვდება და მეზობელ ქვეყნებშიც გადააქვთ ჯიჰადი, განსაკუთრებით, აფრიკაში, სადაც კადაფის არსენალიდან მოპოვებული იარაღით აღიჭურვებიან.

როდესაც სახელმწიფოს, როგორც მთლიანის მართვა შეუძლებელია, თანდათანობით იმსხვრევა როგორც რეგიონული, ასევე საერთაშორისო წესრიგი. თეთრი ლაქები, სადაც კანონის ძალა არ ვრცელდება, ქვეყნის რუკაზე, უფრო და უფრო მეტ ადგილს იჭერს. სახელმწიფო ავტორიტეტის კოლაფსი ამ ტერიტორიებს ტერორიზმის, იარაღით ვაჭრობის, მეზობელი

ქვეყნების წინააღმდეგ სეპარატისტული აგიტაციის ნოყიერ ნიადაგად აქცევს. უმართავი ან ჯიჰადისგან დაქუცმაცებული ზონები დღეს უკვე მთელ მუსლიმურ სამყაროს გასდევს ზოლად. ეს ქვეყნებია – ლიბია, ეგვიპტე, იემენი, ღაზა, ლიბანი, სირია, ერაყი, ავღანეთი, პაკისტანი, ნიგერია, მალი, სუდანი და სომალი. არ უნდა დაგვავიწყდეს არც ცენტრალური აფრიკა – კონგოს ყველა მეზობელი ქვეყანა ჩათრეულია მრავალი თაობის განმავლობაში მიმდინარე სამოქალაქო ომში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის და სამხრეთ სუდანის რესპუბლიკის კონფლიქტები კი ალბათ მსგავს მეტასტაზებს წარმოქმნის. ყველაფერ ამას თუ შევაჯამებთ, უნდა დავასკვნათ, რომ დედამიწის ტერიტორიის და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შესაძლებელია პრაქტიკულად მთლიანად გამოეთიშოს საერთაშორისო სახელმწიფოების სისტემას.

ახლო აღმოსავლეთი მოუცავს კონფრონტაციას, რომელიც ძალიან წააგავს და აჭარბებს კიდეც ვესტფალიის ზავის დადებამდე ევროპაში მიმდინარე რელიგიურ ომებს. შიდა და გარე კონფლიქტები ერთმანეთზე მოქმედებენ და შუღლს აღვივებენ. ნაციონალური ინტერესების გამო არსებული პოლიტიკური, რელიგიური, კლანური, ტერიტორიული, იდელოგიური და მემკვიდრეობით მიღებული დაპირისპირება ერთმანეთს ერწყმის. გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად რელიგია იარაღად გამოიყენება. სამოქალაქო ჯგუფებს ანადგურებენ მათი რელიგიური კუთვნილების გამო. თუ ქვეყანა ახერხებს ავტორიტეტის შენარჩუნებას, მიაჩნია, რომ მისი ძალაუფლება უსაზღვროა და თავის ქმედებას გადარჩენის აუცილებლობით ამართლებს. სადაც სახელმწიფოები იშლება, იქაურობა მეზობელი ძალების ბრძოლის ველად იქცევა, სახელმწიფო ავტორიტეტის შენარჩუნება კი ადამიანის ღირსებისა და სიცოცხლის სრული უგულებელყოფით ხდება.

ეს მზარდი კონფლიქტი როგორც რელიგიური, ისე გეოპოლიტიკური ხასიათისაა. სუნიტური ბლოკი, რომელიც შედგება საუდის არაბეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებისგან – გარკვეულწილად ამ ბლოკს ეკუთვნიან ეგვიპტე და თურქეთიც – დაპირისპირებულია ირანის წინამძღოლობით შექმნილ შიიტურ ბლოკთან, რომელიც აერთიანებს სირიის ბაშარ ალ ასადის ნაწილს, ერაყის ნური ალ მალიკის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილს, ლიბანში ჰიზბოლას მილიციას და ღაზას სექტორის ჰამასს. სუნიტური ბლოკი მხარს უჭერს ამბოხს, რომელიც სირიაში მიმართულია ასადის წინააღმდეგ, ხოლო ერაყში – მალიკის წინააღმდეგ. ირანი რეგიონულ ჰეგემონიას ელტვის და ამისთვის თეირანთან იდეოლოგიურად დაკავშირებულ არასახელმწიფო აქტორებს იყენებს, რომ რეგიონული მეტოქეების შიდა ლეგიტიმაციას ძირი გამოუთხაროს.

კონფლიქტის მონაწილეები გარედან ელიან დახმარებას, განსაკუთრებით კი რუსეთისა და შეერთებული შტატებისგან – შესაბამისად, არსებული მდგომარეობა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაზე აისახება. რუსეთს უმეტესად სტრატეგიული ხასიათის მიზნები ამოძრავებს; მისთვის მნიშვნელოვანია, სულ ცოტა, აღკვეთოს რუსეთის მუსლიმურ ნაწილებში სირიული და ერაყული ჯიჰადისტური ჯგუფების გავრცელება. უფრო მაღალ გლობალურ დონეზე კი რუსეთს სურს აშშ-ის მიმართ პოზიციის გამყარება (1973 წლის ომის შედეგების გასანეიტრალებლად, რაც აღვწერეთ ამ თავის დასაწყისში). ამერიკის დილემა ისაა, რომ მორალური თვალსაზრისით, სამართლიანად გმობს ასადს, მაგრამ მისი მოწინააღმდეგე ბანაკი ძირითადად ალ ქაიდასა და კიდევ უფრო რადიკალური ჯგუფებისგან შედგება, რომელსაც აშშ სტრატეგიულად უნდა მიუდგეს. ვერც რუსეთმა და ვერც შეერთებულმა შტატებმა ვერ გადაწყვიტა აქამდე, თანამშრომლობენ თუ უპირისპირდებიან ერთმანეთს ამ საკითხში. უკრაინის მოვლენებს შეეძლო

ეს ორჭოფობა დაესრულებინა და მსჯელობა წარმართულიყო ცივი ომის დროინდელი კატეგორიებით. ერაყისთვის ბევრი ბანაკი იბრძვის; ამჯერად ირანი და დასავლეთი, ასევე რამდენიმე რევანშისტული სუნიტური დაჯგუფება ცდილობს გავლენის მოპოვებას – ეს ისტორიას ოდითგანვე ახსოვს. სცენარი იგივეა, მხოლოდ მსახიობები შეიცვალნენ.

ამერიკის მწარე გამოცდილება და პლურალიზმისადმი ასეთი მტრული გარემო იოლად აცდუნებს ადამიანს, საერთოდ არ მიაქციოს ყურადღება მთელ ამ პროცესებს და წამოქმნილ სახელმწიფოებთან დაიჭიროს საქმე. მაგრამ რამდენიმე პოტენციურმა მემკვიდრემ უკვე გამოაცხადა მთავარ მტრებად ამერიკა და ვესტფალიური მსოფლიო წესრიგი.

თვითმკვლელი ტერორისტების და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დროში პანრეგიონული რელიგიური დაპირისპირების ტენდენცია უნდა შეფასდეს მთელი მსოფლიოს სტაბილურობის საფრთხედ. ამგვარად, ყველა პასუხისმგებლობით აღჭურვილი მოთამაშის ძალის ერთობლივი ძალისხმევა იქნება საჭირო, რათა, სულ მცირე, შეთანხმდეს რეგიონული წესრიგის ყველასთვის მისაღები განმარტება მაინც. თუ წესრიგი ვერ დამყარდა, უზარმაზარ ტერიტორიებს ემუქრება ანარქიასა და ექსტრემიზმში ჩაძირვის საფრთხე, წარმოქმნილი ქაოსი კი იოლად გავრცელდება სხვა რეგიონებზეც. ამგვარი ბუნდოვანი მომავლის შემყურე მსოფლიო ელოდება, რომ ამერიკა და გლობალური შესაძლებლობების სხვა ქვეყნები ახლო აღმოსავლეთში ახალ რეგიონულ წესრიგს დაამყარებენ.

თავი 4

შეერთებული შტატები და ირანი – დამოკიდებულება წესრიგისადმი

აიათოლა ალი ხამენეი, ირანის რესპუბლიკის უმაღლესი ლიდერი, ირანის მთავრობის ყველა წევრზე მაღლა დგას, სახელმწიფოს პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჩათვლით. 2013 წელს მუსლიმი მსახურების საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას მან ახალი გლობალური რევოლუციის დაწყება გამოაცხადა, რასაც სხვაგან „არაბული გაზაფხული“ უწოდეს. კერძოდ, მან თქვა, რომ დაიწყო „ისლამური გამოღვიძება“, რომელსაც მთელ მსოფლიოზე ექნება გავლენა. დასავლეთი ცდება თავის შეფასებაში, როცა მიიჩნევს, რომ დემონსტრანტების მასებს ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფი სურთ. დემონსტრანტები უარყოფენ „მწარე და საშინელ გამოცდილებას, რომელიც გამოიხატება დასავლეთის პოლიტიკის, ქმედებისა და ცხოვრების სტილის მიბაძვაში“. ამბოხებული მასები განასახიერებენ „ღვთაებრივი წინასწარმეტყველების საოცარ აღსრულებას“.

ის, რაც დღეს ჩვენ თვალწინაა და რასაც ვერ უარყოფს ვერცერთი ინფორმირებული და ინტელიგენტი ინდი-

> ვიდი, არის ფაქტი, რომ ისლამის სამყარო ამასობაში მსოფლიოს სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს გამოეთიშა, მოიპოვა განსაკუთრებული და ამაღლებული ადგილი მნიშვნელოვანი გლობალური მოვლენების შუაგულში და გზა გაუხსნა სიცოცხლის, პოლიტიკის, მთავრობისა და საზოგადოებრივი განვითარების ახალ პერსპექტივას.

ხამენეის ანალიზის მიხედვით, ისლამური ცნობიერების გამოღვიძება გზას უხსნის რელიგიურ მსოფლიო რევოლუციას, რომელიც დაძლევს შეერთებული შტატებისა და მის მოკავშირეთა უზარმაზარ გავლენას და დაასრულებს დასავლეთის ჰეგემონიის სამსაუკუნოვან პერიოდს:

> „ისლამური გამოღვიძება“, რომლის ხსენებასაც კი ვერ ბედავენ აროგანტული და რეაქციული ბანაკების აპოლოგეტები, არის სიმართლე, რომლის ნიშნები ისლამური მსოფლიოს თითქმის ყველა ნაწილში დასტურდება. მისი ყველაზე გამოკვეთილი ნიშანია საზოგადოებრიობის აღტაცება, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისა, მათი მიზანია ისლამის სახელისა და დიდების აღორძინება, საერთაშორისო ჰეგემონიური წესრიგის არსის გაცნობიერება და ნიღბის ჩამოგლეჯა უსირცხვილო, რეპრესიული და აროგანტული მთავრობებისა და ცენტრებისთვის, რომლებიც ისლამურ და არაისლამურ აღმოსავლეთს წნეხის ქვეშ აყენებენ.

„კომუნიზმისა და ლიბერალიზმის“ დამარცხების შემდეგ, „ისლამური გამოღვიძება“, რომელიც ძალას და ნდობას მოიკრებს დასავლეთის ჩამოშლის შედეგად, მთელ მსოფლიოს მოედება, ამბობს ხამენეი და მსოფლიო მუსლიმური უმა (მორწმუნეთა ტრანსნაციონალური გაერთიანება) ისევ შეკავშირდება და მოექცევა მსოფლიოს ცენტრში:

> ეს საბოლოო მიზანი სხვა არაფერია, თუ არა ბრწყინვალე ისლამური ცივილიზაციის დამყარება. ისლამური უმას ყველა ნაწილმა – სხვადასხვა ერისა და ქვეყნის სახით – უნდა მოიპოვოს ცივილიზაციური პოზიცია, რომელიც განსაზღვრულია წმინდა ყურანით... ისლამურ ცივილიზაციას ძალუძს, ისლამურ უმას და მთელ კაცობრიობას რელიგიური რწმენით, ცოდნით, მორალითა და მუდმივი ბრძოლით უბოძოს პროგრესული აზროვნება და ქცევის კეთილშობილი წესები. მას შეუძლია იქცეს თანამედროვე დასავლეთის ქვაკუთხედისგან – მატერიალისტური და რეპრესიული მდგომარეობისა და ქცევის გარყვნილი წესებისგან – გათავისუფლების საწყის წერტილად.

ხამენეიმ ეს თემა ადრეც განავრცო. 2011 წელს ირანის პარამილიტარისტული შეიარაღებული ძალების წინაშე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ დასავლეთში ხალხისგან დაწყებული პროტესტი არის ისეთი სულიერებისა და ლეგიტიმურობის ფართოდ გავრცელებული შიმშილი, როგორსაც სამაგალითოდ განასახიერებს ირანის სახელმწიფო. მოსალოდნელია მსოფლიო რევოლუცია:

> აშშ-სა და ევროპაში მიმდინარე პროცესები მოასწავებენ მასიურ ცვლილებას, რომელსაც მალე შეიტყობს მსოფლიო... დღეს ეგვიპტელებისა და ტუნისელების ლოზუნგებს ნიუ-იორკსა და კალიფორნიაში იმეორებენ... ისლამური რესპუბლიკა ამჟამად ერების გამოღვიძების მოძრაობის ცხელი წერტილია. ამ რეალობამ კი შეაშინა მტრები.

ყველა სხვა რეგიონში ასეთი განცხადებები რევოლუციურ საბრძოლო მოწოდებად აღიქმებოდა: თეოკრატიული ლიდერი, რომელიც მნიშვნელოვან ქვეყანაში ფლობს უმაღლეს

სულიერ და სეკულარულ ძალაუფლებას, საჯაროდ აყალიბებს ალტერნატიული მსოფლიო წესრიგის შექმნის პროექტს, რომელიც მიმართულია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული წესრიგის წინააღმდეგ. თანამედროვე ირანის უმაღლესი წინამძღოლი აცხადებს, რომ ნაციონალური ინტერესებისა და თავისუფალი ინტერნაციონალიზმის მაგივრად, აღთქმულ ახალ მსოფლიოს დაიპყრობს უნივერსალური რელიგიური ღირებულებები. აზიელ ან ევროპელ პოლიტიკოსს რომ გამოეთქვა მსგავსი მოსაზრებები, მსოფლიო შოკში ჩავარდებოდა. მაგრამ 35 წელია იგივე მეორდება და მსოფლიო საზოგადოებრიობა ამ რადიკალურ შეხედულებებსა და დაპირებებს უკვე შეეჩვია. ირანი კი, თავის მხრივ, თანამედროვეობის წინააღმდეგ საბრძოლო მოწოდებას სახელმწიფო მართვის ათასწლოვან ტრადიციაზე დაფუძნებულ, უაღრესად დახვეწილ ხელოვნებას უკავშირებდა.

ირანის სახელმწიფო მართვის ტრადიცია

რადიკალურ-ისლამისტური პრინციპები სახელმწიფო ძალაუფლების დოქტრინად პირველად 1979 წელს გაცხადდა იმ დედაქალაქში, სადაც ამას ყველაზე ნაკლებად მოელოდნენ: მაშინ ირანი თავისი ძველი, მნიშვნელოვანი ეროვნული ისტორიითა და საკუთარი პრეისლამური წარსულის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემით, მკაფიოდ განსხვავდებოდა ახლო და შუა აღმოსავლეთის უმეტესი სახელმწიფოსგან. როდესაც ირანმა, ვესტფალიური სისტემის აღიარებულმა სახელმწიფომ, აიათოლა ხომეინის რევოლუციის შემდეგ, ისლამური ფუნდამენტალიზმი გაიზიარა, შუა აღმოსავლეთის რეგიონული წესრიგი თავდაყირა დადგა.

რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ირანს, ალბათ, ეროვნული იდენტობის ყველაზე კოჰერენტული განცდა და სახელმწიფოს ნაციონალურ ინტერესებზე დაფუძნებული მართვის ხელოვნების ყველაზე დახვეწილი ტრადიცია აქვს. ამავდროულად, ირანის ლიდერები, ტრადიციულად, მართავდნენ ქვეყანას, რომელიც უფრო დიდი იყო, ვიდრე დღევანდელი ირანი და იშვიათად დასჭირვებიათ საკუთარი სახელმწიფოებრიობისა და სუვერენული თანასწორუფლებიანობის მოსაპოვებლად ვესტფალიურ კონცეფციასთან მიერთება. სპარსეთის იმპერიამ, საიდანაც წარმოიშვა ირანი, ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნემდე თავისი მმართველობა სხვადასხვა სახით განავრცო ცენტრალური და ახლო აღმოსავლეთის დიდ ნაწილებზე, სამხრეთ-დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. მისი ბრწყინვალე ხელოვნება და კულტურა, დახვეწილი სახელმწიფო აპარატი, რომელიც შორეულ რეგიონებსაც კარგად მართავდა, მრავალ წარმატებულ ბრძოლაში გამოწრთობილი მულტიეთნიკური არმია სპარსელებს საკუთარი თავის სხვა საზოგადოებებზე საგრძნობლად აღმატებულად მიჩნევის საბაბს აძლევდა. მონარქიის იდეალი მათ სუვერენს თითქმის ღმერთს ატოლებდა. იგი იყო „მეფეთ მეფე", კეთილშობილი და სამართლიანი მონარქი, რომელიც მშვიდობიანი პოლიტიკური ქვეშევრდომობის სანაცვლოდ მხოლოდ ტოლერანტობას აკანონებდა.

ჩინეთის მსგავსად, სპარსული იმპერიაც წარმოადგენდა მსოფლიო წესრიგის ფორმას, რომელშიც კულტურული და პოლიტიკური მიღწევები და სულიერი სიმდიდრე ისეთივე მნიშვნელობისა იყო, როგორც სამხედრო მონაპოვარი. ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში ჟამთააღმწერელმა ჰეროდოტემ აღწერა თვითრწმენა ხალხისა, რომელმაც უცხო ქვეყნებისგან მხოლოდ საუკეთესო გადმოიღო – მაგალითად,

მედიური ქსოვილები, ეგვიპტური ჯავშანპერანგი – და თავს ცივილიზებული სამყაროს ცენტრად მიიჩნევდა:

> უახლოესი მეზობლები სპარსელების დიდი პატივისცემით სარგებლობენ, რასაკვირველია, საკუთარი თავის პატივისცემის შემდეგ. მათ მოჰყვებიან შორეული მეზობლები და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მცირდება სხვების მიმართ პატივისცემა. ყველაზე ნაკლებად მიიჩნევიან ყველაზე შორს მცხოვრები ხალხები. საკუთარი თავი მიაჩნიათ დედამიწის ყველაზე უპირატეს ადამიანებად; მოსახლეობის კეთილშობილება, მათი შეხედულებით, მათთან დაშორების მიხედვით კლებულობს, ყველაზე შორეულები ყველაზე ნაკლებად ფასდებიან.

დაახლოებით 2500 წლის შემდეგ ეს თვითრწმენა კიდევ იგრძნობა, როგორც ამას ადასტურებს 1850 წელს შეერთებულ შტატებსა და სეფევიდების დინასტიას შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულება. სეფევიდების დინასტია მართავდა სპარსეთის შემცირებულ, მაგრამ ჯერ კიდევ ექსპანსიაზე მეოცნებე მემკვიდრე ქვეყანას, რომელიც შედგებოდა დღევანდელი ირანის და დღევანდელი ავღანეთის, ერაყის, ქუვეიტის, პაკისტანის, ტაჯიკეთის, თურქეთის და თურქმენეთის დიდი ნაწილებისგან. ცოტა ხნით ადრე, ახალი ტერიტორიების დაპყრობის სურვილით მებრძოლ რუსეთთან ორი ომის წაგების შედეგად, რომლის დროსაც დაიკარგა სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნისა და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიები, შაჰი ქსერქსის და კიროსის მემკვიდრის თვითრწმენას ასხივებდა:

> ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მისი უდიდებულესობა, ისეთივე აღმატებული, როგორც პლანეტა სატურნი, მბრძანებელი, რომლისთ-

> ვისაც მზე წარმოადგენს ათვლის წერტილს, რომლის ბრწყინვალება და სიკაშკაშე ზეცისას უტოლდება, მონარქი, რომლის არმია უფრო უხვია, ვიდრე ცაზე ვარსკვლავები, რომლის სიდიდეც ჯამშიდს აღემატება, რომლის ბრწყინვალება დარიუსისას უტოლდება, მემკვიდრე კაიანიდების გვირგვინისა და ტახტისა, ბრწყინვალე შაჰი სრულიად სპარსეთისა – ორივე მათგანს ამოძრავებს გულწრფელი სურვილი, დაამყარონ მეგობრობა მთავრობებს შორის და განამტკიცონ იგი მეგობრობისა და ვაჭრობის ხელშეკრულებებით, რომელიც სიკეთეს და სარგებელს მოუტანს ხელშეკრულების ორივე აღმატებული ხელმომწერის მოქალაქეებსა და ქვეშევრდომებს. ამ მიზნით იხმეს მათ თავიანთი რწმუნებულები.

სპარსეთი, რომელიც აღმოსავლეთის და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარეობდა და მრავალ პროვინციასა და მასზე დამოკიდებულ ტერიტორიას მოიცავდა – დღევანდელი ლიბიიდან ყირგიზეთამდე და ინდოეთამდე იყო გადაჭიმული – ანტიკური ხანიდან ცივი ომის დაწყებამდე ევრაზიის მიწაზე ყველა მნიშვნელოვანი დამპყრობლის ინტერესის საწყის წერტილს ან საბოლოო მიზანს წარმოადგენდა. სპარსეთმა მთელი ამ ორომტრიალის განმავლობაში – მსგავს პირობებში მყოფი ჩინეთის მსგავსად – შეინარჩუნა საკუთარი იდენტობის მახვილი განცდა. როდესაც თვითონ ესხმოდა სხვებს თავს და განსხვავებული კულტურის რეგიონებს იპყრობდა, მათ ყველა მიღწევას ითავისებდა და წესრიგის საკუთარ უძველეს კონცეფციას ამდიდრებდა. სპარსეთს გადაუარა ალექსანდრე დიდმა, ადრეულმა ისლამურმა არმიამ, მოგვიანებით – მონღოლებმა; მსგავსმა შოკურმა ტალღებმა ბევრი სხვა ხალხის პოლიტიკური ავტონომია და ისტორიული მეხსიერება შეინირა – სპარსეთმა კი საკუთარი კულტურული უპირატესობის

შეგრძნება შეინარჩუნა. დამპყრობლებს დროებით ემორჩილებოდა და თავს უხრიდა, მაგრამ საკუთარი მსოფლმხედველობა არ დაუთმია, მუსიკისა და პოეზიის „დიდი შინაგანი სივრცეების" ჭვრეტას განაგრძობდა, ხოტბას ასხამდა თავის კავშირებს ანტიკური ხანის გმირ მბრძანებლებთან, რისი დასტურიც არის სპარსეთის ეროვნული ეპოსი „მეფეების წიგნი" (შაჰნამე). ამასობაში სპარსეთმა შეითვისა ის გამოცდილება, რაც მიიღო განსხვავებული ტერიტორიების მართვისას თუ პოლიტიკური კრიზისების დაძლევისას და შეიმუშავა დიპლომატიური უნარ-ჩვევების მოქნილი კატალოგი, რომელიც პირველ ადგილზე აყენებდა თანმიმდევრულობას, გეოპოლიტიკურ რეალობათა ზუსტ ანალიზს და მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური მანიპულაციის უნარს.

განსაკუთრებულობის განცდა და მოქნილი მანევრირება ისლამურ დროშიც ახასიათებდა სპარსეთს: მან არაბი დამპყრობლების რელიგია მიიღო, მაგრამ ერთადერთია დამპყრობლური ტალღის ქვეშ მოყოლილთაგან, ვინც საკუთარი ენა შეინარჩუნა და ახალ წესრიგში შეიტანა იმ იმპერიის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ისლამმა ეს-ეს იყო ჩამოშალა. საბოლოოდ, სპარსეთი იქცა შიიზმის დემოგრაფიულ და კულტურულ ცენტრად; შიიზმი, თავდაპირველად, არაბეთის ბატონობის ქვეშ განსხვავებული ტრადიციის მიმდინარეობას წარმოადგენდა, მე-16 საუკუნეში კი სახელმწიფო რელიგია გახდა (შიიზმის მიღება ალბათ იმანაც განაპირობა, რომ სპარსეთს სურდა პროვოკაციულად დაშორებოდა გაძლიერებულ სუნიტურ ოსმალურ იმპერიას). სუნიზმის გავრცელებული განმარტების საპირისპიროდ, ისლამის ეს შტო ხაზს უსვამდა რელიგიური სიმართლის მისტიკურ და ამოუცნობ ხასიათს და იძლეოდა „ფრთხილი, წინდახედული წარმოდგენის" უფლებას მორწმუნეთა ინტერესების სამსახურში. ირანმა (როგორც იგი უწოდებს თავს 1935 წლიდან) საკუთარი კულტურით, რელი-

გიითა და გეოპოლიტიკური პერსპექტივით შეინარჩუნა თავისი განსაკუთრებული ტრადიცია და გამორჩეული ადგილი რეგიონში.

ხომეინის რევოლუცია

მე-20 საუკუნეში მუჰამედ რეზა ფეჰლევის, ირანის შაჰის წინააღმდეგ მიმართული რევოლუცია (ყოველ შემთხვევაში, დასავლეთისთვის მიწოდებული ვერსიის მიხედვით) დაიწყო როგორც ანტიმონარქისტული მოძრაობა, რომელიც დემოკრატიასა და ეკონომიკური სიკეთეების გადანაწილებას ითხოვდა. რევოლუციონერების ბევრი მოთხოვნა დასაბუთებული იყო: შაჰის მოდერნიზაციის პროგრამამ ძლიერი სოციალური უთანხმოება გამოიწვია, რეჟიმს კი განსხვავებულ შეხედულებებზე მკაცრი ხელისა და თვითნებური რეპრესიების საშუალებით სურდა კონტროლის დამყარება. როდესაც აიათოლა ხომეინი 1979 წელს ერაყსა და პარიზში ემიგრაციიდან დაბრუნდა, რევოლუციის „უმაღლესი წინამძღოლის“ როლი გადაიბარა – ოღონდ სოციალური და დემოკრატიული პროგრამები არ ჰქონია გამზადებული. ამის მაგივრად მან მთელი რეგიონული წესრიგის და, ფაქტობრივად, თანამედროვეობის მთელი ინსტიტუციური მონაპოვრის წინააღმდეგ გაილაშქრა.

დოქტრინა, რომელიც ხომეინის ეგიდით გატარდა ირანში, ყოველივე იმისგან განსხვავდებოდა, რაც დასავლეთში რელიგიური ომების დამთავრებისა და ვესტფალიური ზავის წინა პერიოდში ხდებოდა. ამ დოქტრინის მიხედვით, სახელმწიფო არ განიხილებოდა როგორც განყენებული ლეგიტიმური წარმონაქმნი, არამედ იყო მიზნობრივი იარაღი რელიგიურ ბრძოლაში, რომელიც ფართოდ გაშლილ ფრონტზე მიმდინარეობ-

და. მე-20 საუკუნის ცენტრალური აღმოსავლეთის რუკა, გამოაცხადა ხომეინიმ, არის „იმპერიალისტების" და „ტირანი მბრძანებლების" შემოქმედების ხელოვნური და არაისლამური ნაყოფი, რომელმაც „ისლამური უმა (ერთობა) გახლიჩა და სხვადასხვა ერი წარმოქმნა. რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ არსებული ყველა თანამედროვე პოლიტიკური ინსტიტუცია არის „არალეგიტიმური", რადგან ისინი არ ეფუძნება ღვთის სამართალს". შესაბამისად, ვესტფალიური პროცედურული პრინციპების მიხედვით ჩამოყალიბებული თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები მცდარ ფუნდამენტს ეყრდნობა, რადგან „ერთა შორის ურთიერთობები სულიერ საფუძველს" უნდა ეყრდნობოდეს და არა ნაციონალური ინტერესების პრინციპებს.

ხომეინის შეხედულებით – ეგვიპტელი თეოკრატის, ყუტბის მსგავსად – ყურანი, მისი იდეოლოგიური და ექსპანსიური წაკითხვით, აჩვენებს გზას, როგორ უნდა მოეღოს ბოლო ამ ბლაზფემიას და როგორ უნდა შეიქმნას ჭეშმარიტად ლეგიტიმური მსოფლიო წესრიგი. პირველი ნაბიჯი უნდა იყოს მუსლიმურ სამყაროში ყველა რეჟიმის ჩამოგდება და მათი „ისლამური მთავრობებით" ჩანაცვლება. უნდა გადაილახოს ტრადიციული ნაციონალური ლოიალობა, რადგან „ყოველი ჩვენგანის ვალია, დავამარცხოთ *თაგუთი* (არალეგიტიმური პოლიტიკური ძალები), რომლებიც ამჟამად განაგებენ მთელ ისლამურ სამყაროს". 1979 წლის 1 აპრილს, ირანის ისლამური რესპუბლიკის დაარსების დღეს, ხომეინიმ გამოაცხადა, რომ ირანში ჭეშმარიტი ისლამური პოლიტიკური სისტემის აშენება აღნიშნავს „ღმერთის მბრძანებლობის პირველ დღეს".

ამ წარმონაქმნს ვერ შეადარებ ვერცერთ თანამედროვე სახელმწიფოს. როგორც მედი ბაზარგანმა, ხომეინის მიერ არჩეულმა პრემიერ-მინისტრმა „ნიუ-იორკ თაიმსს" განუცხადა: „სურდა ისეთი მთავრობა შეექმნათ, როგორიც იყო წინასწარ-

მეტყველ მუჰამედის მმართველობის პირველი ათი წლის განმავლობაში და მისი სიძის, ალის, პირველი შიიტი იმამის მმართველობის პირველ ხუთ წელიწადს". სადაც რეჟიმი ღვთაებრივად მიიჩნევა, იქ გადახვევის მცდელობა პოლიტიკურ ოპოზიციად კი არ აღიქმება, არამედ მკრეხელობად. ხომეინის მმართველობის ქვეშ ისლამურმა რესპუბლიკამ ეს პრინციპები დაამკვიდრა – დაწყებული პროცესების და სიკვდილით დასჯის ტალღით და დამთავრებული რელიგიური უმცირესობების სისტემატური რეპრესიებით, რამაც ყველაფერ იმას გადააჭარბა, რაც შაჰის ავტორიტარული რეჟიმის დროს ხდებოდა.

ამ არეულობაში გამოიკვეთა ახლებური პარადოქსი – საერთაშორისო წესრიგის მიმართ ორსახობრივი ბრძოლის გამოცხადებით. ვესტფალიური სისტემის დანგრევის მოსურნე ირანის რევოლუციის სახით, თანამედროვე ქვეყანაში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ისლამისტურმა მოძრაობამ, რომელიც თავისი ქვეყნისთვის კვლავ მოითხოვდა „ვესტფალიურ" უფლებებსა და პრივილეგიებს – მან გადაიბარა ადგილი გაეროში, განაგრძობდა ვაჭრობას და ინარჩუნებდა დიპლომატიურ აპარატს. ამგვარად, ირანის კლერიკალური რეჟიმი ორი მსოფლიო წესრიგის მიჯნაზე განთავსდა – იგი მოითხოვდა ვესტფალიური სისტემის ფარგლებში ფორმალურ დაცვას და თან იმეორებდა, რომ ამ სისტემის არ სწამდა, მის მიმართ ვალდებულებას არ გრძნობდა და მის შეცვლას ესწრაფოდა.

ეს ორაზროვანი პოლიტიკა ირანის სახელმწიფო დოქტრინის შემადგენელი ნაწილი გახდა. ირანი საკუთარ თავს უწოდებდა „ისლამურ რესპუბლიკას" და ამ დასახელებაში გულისხმობდა პოლიტიკურ წარმონაქმნს, რომლის მმართველობის არეალი ტერიტორიულ საზღვრებს იქით გადის. ირანის ხელისუფლების აპარატის თავში მყოფი აიათოლა (ხომეინის შემდეგ მისი მემკვიდრე ალი ხამენეი) არა მხოლოდ ირანის

უმაღლეს ხელისუფლად მოიაზრება, არამედ გლობალურ ავტორიტეტადაც – იგი არის „ისლამური რევოლუციის უმაღლესი წინამძღოლი“ და „ისლამური უმას და ჩაგრული ხალხის წინამძღოლი“.

ისლამურმა რესპუბლიკამ, მსოფლიოს პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენისთანავე, ხაზგასმით უარყო ვესტფალიის საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი – დიპლომატიური იმუნიტეტი – როდესაც თეირანში თავს დაესხა ამერიკის საელჩოს და საელჩოს პერსონალი 444 დღის განმავლობაში ჰყავდა მძევლად აყვანილი (ამ აქტს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ირანის მოქმედმა მთავრობამ 2014 წელს, როდესაც მძევლად ამყვანების თარჯიმანი გაეროში ელჩად დანიშნა). მსგავსი სულისკვეთებით მონიშნა აიათოლა ხომეინიმ 1989 წელს თავისი გლობალური იურიდიული გავლენის სფერო, როდესაც ფატვას (რელიგიური დებულება) საშუალებით, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მწერალ სალმან რუშდის. ინდურ-მუსლიმური წარმოშობის ბრიტანეთის მოქალაქე რუშდიმ დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში გამოსცა წიგნი, რომელიც მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადებად იქნა აღქმული.

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ირანი თავისი ისლამური იდეოლოგიით მხარს უჭერდა ისეთ ორგანიზაციებს, როგორიც არის ლიბანში ჰიზბოლა და მადის არმია ერაყში – არასახელმწიფო მილიციები, რომლებმაც ამ ქვეყნებში შეტევა განახორციელეს სახელმწიფო ძალაუფლებაზე და თავიანთი სტრატეგიის ნაწილად ტერორისტული აქტების მონყობას მიიჩნევენ – მას ამ ქვეყნებთან ამავე დროს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა. თეირანის მოწოდება ისლამური რევოლუციისკენ აღქმული იყო, როგორც კონფესიებს მიღმა თანამშრომლობა სუნიტებსა და შიიტებს შორის ანტიდასავლური ინტერესების ფრონტის გასაფართოებლად;

იგი გულისხმობდა ისრაელის წინააღმდეგ ჰამასის ჯიჰადისტი მებრძოლების შეიარაღებას ირანის მიერ და, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ავღანეთში თალიბანის აღჭურვასაც. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების საგამოძიებო კომისიის და 2013 წელს კანადაში მომხდარი ტერორისტული შეთქმულების გამოძიების დასკვნები მიუთითებს, რომ ალ ქაიდას ირანიდანაც ჰქონდა მოქმედების შესაძლებლობა.

ორივე მხარის ისლამისტებს – სუნიტებსა და შიიტებს – შორის გენერალური თანხვედრა მდგომარეობდა არსებული მსოფლიო წესრიგის დამხობის აუცილებლობაში. მიუხედავად 21-ე საუკუნის დასაწყისში, შუა აღმოსავლეთში, რელიგიური მოძღვრების საკითხზე ააღებული მწვავე დაპირისპირებისა, საიდ ყუტბის პოლიტიკური შეხედულებები არსებითად ეთანხმებოდა ირანის აიათოლას შეხედულებებს. მისმა აღთქმამ, რომ ისლამი მსოფლიოს ახლებურად გადააწყობდა და საბოლოოდ მას დაიპყრობდა, ირანში მათ, ვინც ქვეყანას ახალ რელიგიურ რევოლუციაში ითრევდა, ემოციები გაუმძაფრა. ყუტბის ნაშრომები, რომელთა ნაწილი აიათოლა ხამენეიმ თავად თარგმნა, ირანში ფართოდ არის გავრცელებული. როგორც იგი წერდა 1967 წელს ყუტბის „ამ რელიგიის მომავლის" წინასიტყვაში:

> ეს ამაღლებული და ბრწყინვალე ავტორი ამ წიგნის თავებში ცდილობდა... ჯერ არსებული რწმენის არსი განეჭვრიტა, შემდეგ კი ეჩვენებინა, რომ ეს არის ცხოვრების პროგრამა... მჭევრმეტყველურად და სამყაროს განსაკუთრებული აღქმით განამტკიცა მან შეხედულება, რომ მსოფლიოს მართვა საბოლოოდ ჩვენს მიმდევართა ხელში აღმოჩნდება და რომ „მომავალი ისლამს ეკუთვნის".

ირანისთვის, რომელიც ამ საერთო საქმეში რიცხობრივად უმცირესობაში მყოფ შიიტურ შტოს წარმოადგენდა, საერთო

მიზნის მისაღწევად იდეოლოგიური განსხვავებების დაძლევა მისაღები იყო. შესაბამისად, ირანის კონსტიტუციამ ყველა მუსლიმის გაერთიანების მიზანი ეროვნული მოვალეობის რანგში აიყვანა:

> ყურანის წმინდა სურის თანახმად („შეხედე, თქვენი ეს ერთობა ნამდვილი ერთობაა და მე ვარ თქვენი ღმერთი; და მემსახურე ესე" {21,92}). ირანის ისლამანური რესპუბლიკის მთავრობისა და ერის ყველა მუსლიმი ვალდებულია, ჩამოაყალიბოს თავისი გენერალური პოლიტიკური ხაზი ყველა მუსლიმური ერის მეგობრობისა და ერთობის გათვალისწინებით. (...ისლამური რესპუბლიკა) მუდამ უნდა ცდილობდეს ისლამური სამყაროს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ერთიანობის მიღწევას.

უმთავრესი იყო არა თეოლოგიური კამათი, არამედ იდეოლოგიის გავრცელება. ამის თაობაზე ხომეინი ამბობდა: „უნდა ვეცადოთ ჩვენი რევოლუცია განვავრცოთ მთელ მსოფლიოში და შევებრძოლოთ მათ, ვინც ფიქრითაც უარყოფს და ეწინააღმდეგება ჩვენს განზრახვას, ისლამი არა მხოლოდ არ აღიარებს განსხვავებას მუსლიმურ ქვეყნებს შორის, არამედ იგი არის ყველა ჩაგრული ხალხის ქომაგი". ამიტომაც, აუცილებელია მასშტაბური შეტევა „მსოფლიოს დამაქცეველი ამერიკის" წინააღმდეგ, აგრეთვე, რუსეთის და აზიის კომუნისტურ-მატერიალისტური საზოგადოებების და „სიონიზმისა და ისრაელის" წინააღმდეგ.

ხომეინი და მისი შიიტი რევოლუციონერები განსხვავდებიან სუნიტი ისლამისტებისგან იმის აღთქმით, რაც გახდა ძმათამკვლელი ქიშპობის საფუძველი, მაგრამ მათი მოძღვრების მიხედვით, მსოფლიო გადატრიალების გვირგვინი გახდება მაჰდის გამოჩენა, რომელიც „სამალავიდან" (უჩინარი ყოფიდან)

დაბრუნდება და გადაიბარებს სუვერენულ ძალაუფლებას, რომელიც მის არყოფნაში ისლამური რესპუბლიკის უმაღლეს მმართველს უპყრია. ირანის ყოფილი პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი ამ პრინციპს იმდენად მტკიცედ მიიჩნევდა, რომ 2007 წლის 27 სექტემბერს გაეროში სიტყვით გამოსვლისასაც კი გამოიყენა:

> უკანასკნელი მხსნელი უეჭველად გამოჩნდება. მორწმუნეთა, სამართლისმაძიებელთა და ქველმოქმედთა საზოგადოებაში დადგება ნათელი მომავალი და სამყარო აღივსება სამართლიანობითა და სილამაზით. ეს აღგვითქვა ღმერთმა: ამიტომაც აღსრულდება იგი.

მშვიდობას, რომელიც ასეთ კონცეფციას ეყრდნობა, რა-საკვირველია, უძღვის წინაპირობები, როგორც სახელმწიფოს პრეზიდენტი აჰმადინეჟადი წერდა ამერიკის პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშ უმცროსს 2006 წელს: მთელი მსოფლიო უნდა დაემორჩილოს ჭეშმარიტ რელიგიურ მოძღვრებას. აჰმადინეჟადის წერილი (რომელსაც დასავლეთი, ძირითადად, მოლაპარაკებების ავანსად განიხილავდა) ასე მთავრდებოდა: „ვასალამ ალა მან ატაბა ალ ჰოდა". ეს წინანადება გამოქვეყნებულ ვერსიაში ნათარგმნი არ იყო: „მშვიდობა მხოლოდ მათდა, ვინც ჭეშმარიტ გზას ადგას". ეს გაფრთხილება იდენტურია მე-7 საუკუნეში წინასწარმეტყველ მუჰამედის მიერ ბიზანტიისა და სპარსეთის იმპერატორებისთვის გაგზავნილი ცნობისა – მაშინ ამ უკანასკნელთ მალე მოუწიათ ისლამის წმინდა ომთან კონფრონტაცია.

დასავლელი დამკვირებლები ათწლეულების განმავლობაში ცდილობდნენ ასეთი შეხედულებების „ფუნდამენტური მიზნების" ამოცნობას. ბევრი მათგანი მივიდა დასკვნამდე, რომ განსაკუთრებით რადიკალური გამონათქვამები მეტწილად მეტაფორული ხასიათისაა. თუ დასავლეთი უარს იტყვის წარსულში

გამოყენებულ პოლიტიკასა და ქმედებებზე – როგორიც იყო, მაგალითად, ამერიკელების და ბრიტანელების ჩარევა ირანის საშინაო საქმეებში 1950-იან წლებში – შესაძლებელია გაიღოს შერიგების კარი. თუმცა რევოლუციურ ისლამიზმს დღემდე არ მოუცია საერთაშორისო თანამეგობრობასთან დასავლური გაგებით თანამშრომლობის მცდელობის დანახვის შესაძლებლობა. რასაკვირველია, ასევე აზრს მოკლებულია, ირანის სულიერ რეჟიმში ვეძებოთ პოსტკოლონიალური დამოუკიდებლობის მოძრაობა, რომელიც იმედით შეჰყურებს ამერიკის მხრიდან კეთილი ნების გამოჩენას. აიათოლას პოლიტიკური კონცეფციის მიხედვით, დასავლეთთან დაპირისპირება ცალკეული ტექნიკური დათმობების ან მოლაპარაკებების ფორმულების საკითხი კი არ არის, არამედ მსოფლიო წესრიგის არსისასთვის ბრძოლას წარმოადგენს.

მაშინ, როცა დასავლეთი ხოტბას ასხამდა შერიგების განწყობის გაჩენას – გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის და გერმანიის მიერ ირანის ატომურ პროგრამაზე დროებითი ხელშეკრულების ხელმოწერისას – 2014 წლის იანვარში ირანის უმაღლესმა წინამძღოლმა ხამენეიმ გამოაცხადა:

> ზოგიერთი ფერუმარილით ცდილობს ამერიკის მახინჯი, ძალადობრივი და ტერორისტული სახის შენილბვას და ირანელი ხალხისთვის ამერიკის მთავრობის კეთილად და კაცთმოყვარედ წარმოჩენას... როგორ შეიძლება ირანელი ხალხის დასანახად ფერუმარილით შეცვალო ასეთი მახინჯი და დანაშაულებრივი სახე?.. ირანი არ დაარღვევს ხელშეკრულებას, რომელსაც დაეთანხმა. მაგრამ ამერიკელები ისლამური რევოლუციის მტრები არიან. ისინი არიან ისლამური რესპუბლიკის, თქვენ მიერ აღმართული დროშის მტრები.

ანდა, როგორც 2013 წლის სექტემბერში ჩამოაყალიბა ხამენეიმ ირანის კონსტიტუციის მცველთა საბჭოზე: „როცა მოჭიდავე მოწინააღმდეგეს ებრძვის და ბრძოლის ზოგიერთ ფაზაში ტექნიკური მიზეზების გამო, მოქნილობას იჩენს, არ უნდა დაავიწყდეს, ვინ არის მისი მოწინააღმდეგე".

არ არის აუცილებელი, ეს მდგომარეობა უცვლელად ასე დარჩეს. შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოებს შორის, ირანს ალბათ ნაციონალური განზომილების ყველაზე ხანგრძლივი უწყვეტობის ისტორია აქვს და სტრატეგიული განსჯის უძველეს და დახვეწილ ტრადიციასაც ფლობს. მან სამი ათასი წლის განმავლობაში შეინარჩუნა თვითმყოფადი კულტურა, ხან როგორც დამპყრობელმა იმპერიამ, ხან კი გარშემორტყმულ ძალებთან მზაკვრული მანიპულაციის გზით. რევოლუციამდე და აიათოლებამდე დასავლეთსა და ირანს მეგობრული, ერთმანეთის ინტერესების აღიარებაზე დამყარებული თანამშრომლობა აკავშირებდა (პარადოქსია, რომ აიათოლების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ბოლო ფაზებს ხელი შეუწყო ამერიკის მიერ არსებული რეჟიმისგან გამიჯვნამ; ამერიკის ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა, რომ მოსალოდნელი ცვლილებები დემოკრატიზაციას დააჩქარებდა და ამერიკულ-ირანულ ურთიერთობებს გაამყარებდა).

შეერთებული შტატები და დასავლეთის დემოკრატიები ღიად უნდა ტოვებდნენ ირანთან კოოპერატიული ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობას. მაგრამ მათი პოლიტიკა არ უნდა დაეფუძნოს ვარაუდს, რომ საკუთარი შიდაპოლიტიკური გამოცდილება კატეგორიულად ან მყისიერად მოარგონ სხვა საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ირანულს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ თაობის შეურიგებელი რიტო-

რიკა მხოლოდ პოზა არ არის, იგი გამყარებულ შეხედულებებს ეყრდნობა და ბევრი ირანელი მოქცეულია მათი გავლენის ქვეშ. შეცვლილი ტონი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნორმალური ურთიერთობების აღდგენას, მით უმეტეს, რომ „ნორმალური" მათ სრულიად სხვანაირად ესმით. ტონის შეცვლა უნდა აისახოს ალბათ შეცვლილ ტაქტიკაზეც, რომელიც მიმართულია მარადიული მიზნების მისაღწევად. შეერთებული შტატები სერიოზულად უნდა ეცადოს ხელი შეუწყოს ნამდვილ შერიგებას. მაგრამ ამ ძალისხმევის წარმატებას სჭირდება მკაფიო ორიენტაცია ირანის ატომური პროგრამის ცენტრალურ საკითხზე.

ბირთვული ტექნოლოგიის გავრცელება და ირანი

ირანულ-ამერიკული ურთიერთობების მომავალი – ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალში – ერთი შეხედვით, სამხედრო-ტექნიკური საკითხის გადაჭრაზეა დამოკიდებული. ამ სტრიქონების წერისას, რეგიონის სამხედრო წონასწორობისა და ფსიქოლოგიური ბალანსის სფეროში, სავარაუდოდ, ძალთა ეპოქალური ცვლილებები მიმდინარეობს. ეს მოვლენა სათავეს იღებს სწრაფ პროგრესში, რომლითაც ირანი ესწრაფვის ატომურ ძალად ჩამოყალიბებას, თანაც, პარალელურად, გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრთან და გერმანიასთან (ჯგუფი P5 + 1) აწარმოებს მოლაპარაკებებს. მიუხედავად საკითხის ტექნიკურ და სამეცნიერო ტერმინებში შეფუთვისა, საქმე ეხება საერთაშორისო წესრიგს – შეძლებს თუ არა მსოფლიო თანამეგობრობა საკუთარი მოთხოვნების გატანას ირანის მოქნილი, გაჯიუტებული პოზიციის წინააღმდეგ, ანუ აღიკვეთება თუ არა ატომური იარაღის გავრცელება და შესაბამისად, ბირთვული შეიარაღების შემდგომი

ზრდის საშიშროება მსოფლიოს ყველაზე უფრო არასტაბილურ რეგიონში.

ძალთა ტრადიციული წონასწორობა ჩაანაცვლა მონაწილე სახელმწიფოების სამხედრო და ინდუსტრიულმა შესაძლებლობებმა. სიმძიმის ცენტრის გადახრა მხოლოდ ნაბიჯ-ნაბიჯ ან დაპყრობითი პოლიტიკით მიიღწეოდა. თანამედროვე ძალთა წონასწორობა ასახავს საზოგადოების ტექნიკურ-სამეცნიერო განვითარების დონეს და მას, თუნდაც ერთ სახელმწიფოში განვითარებული სიახლე, შეიძლება დრამატულად დაემუქროს. საბჭოთა კავშირმა საკუთარი სამხედრო პოტენციალი ვერცერთი ქვეყნის დაპყრობით ვერ აამაღლა ისე მკვეთრად, როგორც ეს მოახერხა 1949 წელს ამერიკის ბირთვული მონოპოლიის დარღვევით. შესაბამისად, ატომური იარაღის გავრცელება რეგიონულ ბალანსზე ახდენს გავლენას და, აქედან გამომდინარე, იწვევს მსოფლიო წონასწორობის დრამატულ ცვლილებას და საწინააღმდეგო მოქმედებების ჯაჭვურ რეაქციას.

ცივი ომის დროს, ამერიკის ყველა მთავრობა იძულებული იყო თავისი საერთაშორისო სტრატეგია ატომური საფრთხის გათვალისწინებით ჩამოეყალიბებინა – იცოდა რა, რომ ატომური ომი უამრავ მსხვერპლს გამოიწვევდა და მთელ პლანეტაზე გაანადგურებდა ცივილიზაციას. მათ კარგად ესმოდათ, რომ მუქარა მხოლოდ მაშინ მოქმედებს, თუკი ატომური ომის შესაძლებლობას გარკვეულ დონემდე უშვებ კიდეც, რათა მსოფლიო არ ჩააგდო ტოტალიტარიზმის საფრთხეში. ამ ორი პარალელური კოშმარული საფრთხის ფონზე, მუქარის წონასწორობა ეყრდნობოდა მხოლოდ ორი ატომური სუპერსახელმწიფოს არსებობას და ერთმანეთთან დაპირისპირებას. ორივე მათგანი ადექვატურად, თითქმის ერთნაირად აფასებდა ატომური იარაღის გამოყენების რისკებს, მათ შორის, საკუთარი სახელმწიფოსთვისაც. მაგრამ თუ ბირთვული იარაღი მეტ

სახელმწიფოს ჩაუვარდება ხელში, საშიშროება უსაზღვროდ გაიზრდება. მსოფლიოში, სადაც ბირთვული იარაღი ფართოდ არის გავრცელებული, ძნელი გასარკვევია, ვინ ვის ემუქრება და ვინ როგორ აფასებს რისკებს.

რომ ვივარაუდოთ, ატომური იარაღის მფლობელი ქვეყნები თავიანთ თავდაცვით სტრატეგიაში ისევე გამოითვლიან რისკებს, როგორც გამოცდილი სახელმწიფოები – ყოვლად შეუძლებელია, რადგან საერთაშორისო წესრიგისთვის ძირის გამოთხრა მათ მაინც ბევრი თვალსაზრისით შეუძლიათ: ბირთვული არსენალისა და დანადგარების დაცვის სირთულეები (მაღალტექნოლოგიური გამაფრთხილებელი სისტემების აგება მაღალგანვითარებული ატომური სახელმწიფოების მსგავსად) შეიძლება იქცეს მოულოდნელი შეტევის განხორციელების საბაბად და აამაღლოს პრევენციული დარტყმების რისკი; გარდა ამისა, ატომური იარაღი შეიძლება გამოიყენონ არასახელმწიფო ჯგუფების წინააღმდეგ ფარად, მათ დასაშინებლად; ანდა, ატომური სახელმწიფო შეიძლება იძულებული გახდეს რეაგირება მოახდინოს მის სიახლოვეს ატომური იარაღის გამოყენებაზე; დაბოლოს, თეორიულად მეგობარი პაკისტანის გამოცდილება აჩვენებს – პაკისტანს აქვს „კერძო" მიწოდების სერვისი ჩრდილოეთ კორეის, ლიბიისა და ირანისთვის – რომ ატომური იარაღის გავრცელებას მაშინაც აქვს შორსგამიზნული გავლენა საერთაშორისო წესრიგზე, როცა ახალი ატომური სახელმწიფო კორუმპირებული და საეჭვო რეპუტაციის სახელმწიფოების რიცხვს არ მიეკუთვნება.

სამი დაბრკოლების გადალახვაა აუცილებელი გამოსაყენებლად ვარგისი ბირთვული იარაღის შესაქმნელად: მიმწოდებელი სისტემის აწყობა, გახლეჩვადი მასალის წარმოება და რაკეტების აგება. მიმწოდებელი სისტემის აწყობა იოლია – საფრანგეთი და რუსეთი, გარკვეულწილად ჩინეთიც – ღია ბა-

ზრებია. მხოლოდ ფინანსების საკითხია ამ ბაზრებზე ვაჭრობა. ირანმა მიწოდების ასეთი სისტემა ფაქტობრივად ააწყო და ნებისმიერად შეუძლია მისი გაფართოება. რაკეტების აგების ნოუ-ჰაუ გავრცელებულია და იოლად ხელმისაწვდომი, თავად აშენების პროცესი კი შედარებით იოლად დასამალი. საუკეთესო და, ალბათ, ერთადერთი გზა, სახელმწიფოს ხელი შეუშალო ატომური იარაღის შექმნაში, არის დააბრკოლო იგი ურანის გამდიდრებაში. ამ პროცესს აუცილებლად ესაჭიროება ცენტრიფუგები (უნდა აეკრძალოთ პლუტონიუმის გამდიდრებაც, რაც ასევე წარმოადგენს მოლაპარაკებების საგანს).

აშშ და მისი ორი მთავრობა – როგორც დემოკრატების, ასევე რესპუბლიკელების – 10 წლის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებებს გაეროს უშიშროების საბჭოს სხვა მუდმივ წევრებთან ერთად, რათა ირანს ატომური იარაღისთვის ვარგისი მასალა ვერ ეწარმოებინა. 2006 წლიდან მოყოლებული, გაეროს უშიშროების საბჭო ირანს 6 რეზოლუციით მოუწოდებს, შეწყვიტოს ურანის გამდიდრების პროგრამა. ორივე პარტიის წარმომადგენელი სამი პრეზიდენტი, გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრი (ჩინეთისა და რუსეთის ჩათვლით), გერმანია და ატომური ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაცია (IAEO) აცხადებენ თავიანთ მოხსენებებსა და რეზოლუციებში, რომ მიუღებელია ირანის მიერ ატომური იარაღის შექმნის მცდელობა და მოუწოდებენ მას, უპირობოდ შეწყვიტოს ურანის გამდიდრების პროგრამა. ამ მიზნის მისაღწევად „ყველა შესაძლებლობა უნდა განვიხილოთ". – ამას ამერიკის ორი პრეზიდენტი მაინც ამბობდა.

როგორც მოხსენებები ადასტურებს, ირანი მუდმივად წარმატებული იყო ურანის გამდიდრების საქმეში, დასავლეთის პოზიცია კი სულ უფრო დამთმობი ხდებოდა. როდესაც ირანმა უგულებელყო გაეროს რეზოლუციები და მაინც დააყენა

ცენტრიფუგები, დასავლეთმა მას მთელი რიგი შემხვედრი წინადადებები შესთავაზა: ატომური გამდიდრების შეწყვეტის მოთხოვნას (2004 წელს) მოჰყვა სუსტად გამდიდრებული ურანის (LEU) წარმოების 20%-მდე შემცირების უფრო დამთმობი მოთხოვნა (2005 წელს); შემდეგ ირანს შესთავაზეს, თავისი LEU-ს დიდი ნაწილი (20%-მდე) გაეტანა ქვეყნიდან და ეწარმოებინა საფრანგეთში ან რუსეთში (2009 წელს); დასავლეთი იმაზეც კი იყო თანახმა, რომ კვლევის მიზნით ირანს კვლავაც გაემდიდრებინა საკუთარი ურანი, სამაგიეროდ კი გაეჩერებინა უდიდესი წარმადობის საწარმო „ფორდო" (2013 წ). მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს ერთ დროს საიდუმლო საწარმო „ფორდო", დასავლეთმა მისი სრულად დახურვა მოითხოვა. დღევანდელი შეთავაზებით კი გათვალისწინებულია კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლითაც იკრძალება მისი ხელახალი ამუშავება. 2006 წელს ჩამოყალიბდა P5+1 ჯგუფი, რომლის ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციების კოორდინაცია. ფორმატის მონაწილეებმა მოლაპარაკებების დაწყებისთანავე მოითხოვეს, ირანს ატომური წვის ციკლის აწყობა შეეჩერებინა. 2009 წელს კი ეს მოთხოვნა დაივიწყეს. შესაბამისად, რატომ უნდა მოენდომებინა ირანს რომელიმე წინადადების შესრულება? დახვეწილი დიპლომატიისა და მოზომილი თავხედობის წყალობით, ირანი მოლაპარაკებების ყველა ფაზაში ისე იქცეოდა, თითქოს მსოფლიოს სხვა ქვეყნებს მეტად აღელვებდათ გამოსავლის პოვნა, ვიდრე მას და შესაბამისად, მეტ დათმობასაც მოითხოვდა.

2003 წელს, როდესაც მოლაპარაკებები დაიწყო, ირანი 130 ცენტრიფუგას ფლობდა. დღეს მას დაახლოებით 19 ათასი ცენტრიფუგა აქვს დაყენებული (გინდაც მხოლოდ მათი ნახევარი მუშაობდეს); მოლაპარაკებების დაწყებისას მას საერთოდ არ შეეძლო გახლეჩვადი მასალის წარმოება. 2013 წლის ნოემბრის დროებით ხელშეკრულებაში ირანმა აღიარა შვიდი

ტონა ნაკლებგამდიდრებული ურანის ფლობა და რომ არსებული ცენტრიფუგებით რამდენიმე თვეში შეეძლო იარაღად ვარგისი მასალის შექმნა (ეს რაოდენობა საკმარისია ჰიროშიმის ტიპის შვიდიდან ათ ბომბამდე საწარმოებლად). დროებითი ხელეკრულებით ირანი ვალდებულია, დათმოს 20%-მდე გამდიდრებული ურანის მარაგის დაახლოებით ნახევარი – ოღონდ საკმაოდ ჩახლართული გზით: მან ურანი უნდა გადაიყვანოს ისეთ ფორმაში, რომლის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება უპრობლემოდ არის შესაძლებელი, სათანადოდ ირანი მომზადებულია. ცენტრიფუგების იმ რაოდენობის გათვალისწინებით, რომელსაც ის ფლობს, 20%-იანი გამდიდრება იოლი საქმეა, რადგან აქვს 5%-იანი ურანიც (ზედა ზღვარი – წარმატებულ მოლაპარაკებათა შედეგი), რომელიც სულ რამდენიმე თვეში გამდიდრდება იარაღად ვარგის დონემდე.

მოლაპარაკებებისას, ორივე მხარის პოზიციები მსოფლიო წესრიგის თაობაზე განსხვავებული იყო. ირანელმა მომლაპარაკებლებმა ცხადად დაანახვეს მოწინააღმდეგეებს, რომ კურსიდან მაშინაც არ გადაუხვევენ, გინდაც ხედავდნენ თავიანთ ბირთვულ სანარმოებზე იერიშის მიტანის რისკს. დასავლელი მომლაპარაკებლები კი, მეტწილად, ეყრდნობიან რწმენას (და მშვიდობისა და დემოკრატიის მიმართ საკუთარ მოვალეობას), რომ ირანის წინააღმდეგ სამხედრო დარტყმა უფრო სარისკოა, ვიდრე ირანის მიერ ატომური პროგრამის განხორციელება. მათ გათვლას მეტი საფუძველი შესძინა ექსპერტების მანტრამ, რომლის მიხედვითაც ჩიხში შესულ სიტუაციაში ახალი წინადადება არის საჭირო, რომელზედაც პასუხისმგებლობის აღება იქნება შესაძლებელი. დასავლეთისთვის ძირითად კითხვას წარმოადგენს შემდეგი: შესაძლებელია თუ არა საკითხის დიპლომატიური გადაწყვეტა თუ საჭირო გახდება სამხედრო ძალის გამოყენება? ირანისთვის ატომურ თემაზე დაპირისპირება წარმოადგენდა რეგიონული წესრიგისა და

იდეოლოგიური ჰეგემონიისთვის გარდაუვალი ბრძოლის ერთ ასპექტს. ეს ბრძოლა მას ბევრგან აქვს გაჩაღებული ომისა და მშვიდობის მეთოდების მთელი სპექტრის გამოყენებით: სამხედრო და პარამილიტარისტული ოპერაციებით, დიპლომატიით, ფორმალური მოლაპარაკებებით, პროპაგანდითა და პოლიტიკური სუბვერსიით. ეს ელემენტები მოქნილად ერწყმის და ეფექტურად აძლიერებს ერთმანეთს. ამ კონტექსტში, შეთანხმების გზების ძიებისას, გასათვალისწინებელია, რომ თეირანი აუცილებლად მოსინჯავს, როგორ შეიძლება დაძაბულობის ისე შესუსტება, რომ მიაღწიოს სანქციების რეჟიმის გაუქმებას და თან შეინარჩუნოს ქმედითი ბირთვული ინფრასტრუქტურა და მოქმედების მაქსიმალური თავისუფლება შემდგომში ატომური პროგრამის გასახორციელებლად.

პროცესის შედეგად, 2013 წლის ნოემბერში, მივიღეთ დროებითი ხელშეკრულება, რომელშიც ირანი მზადყოფნას გამოთქვამდა ურანის გამდიდრების დროებით და დასაბუთებულად შეწყვეტაზე. სანაცვლოდ უნდა შესუსტებულიყო ირანის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციები, დაწესებული გაეროს უშიშროების საბჭოს მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო. მაგრამ დროებითი ხელშეკრულების მოქმედების ექვსთვიან ვადაში ირანს მიეცა ატომური პროგრამის გაგრძელების უფლება. მკაცრი შეზღუდვები უნდა ამოქმედებულიყო უფრო ვრცელი ხელშეკრულების დადების შემდეგ. ასე რომ, რეალურად, ირანს დე ფაქტო ისე მიეცა გამდიდრების პროგრამაზე თანხმობა, რომ არ დაწესებულა (უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ დასავლეთისთვის) მისი მოცულობის ზღვარი.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები მუდმივ ხელშეკრულებაზე. მართალია, ხელშეკრულების პირობები ჯერჯერობით უცნობია, სამაგიეროდ გარკვეულია, რომ ის ეხება „წითელ ხაზებს", როგორც ეს ხშირად ხდება შუა და ახლო აღმოსავლეთის ბევრ საკითხში. დაიჟინებენ დასავლელი მომლაპა-

რაკებლები (რომლებიც P5+1 ჯგუფით არიან წარმოდგენილი), რომ ურანის გამდიდრების საკითხზე გაეროს რეზოლუციით დადგენილი „წითელი ხაზების" გადაკვეთას სანქციების დაწესებით უნდა უპასუხონ? ამის მიღწევა უზარმაზარი ამოცანაა. ირანმა ცენტრიფუგების არსენალი იმდენად უნდა შეამციროს, რომ მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისთვის საჭირო რაოდენობა დაიტოვოს, დანარჩენი კი უნდა გაანადგუროს ან გააჩეროს. მოლაპარაკებების ასეთი შედეგი, რაც რეალურად ნიშნავს ირანის მიერ სამხედრო ატომური პროგრამის შეჩერებას, გახსნიდა დასავლეთთან ურთიერთობის ფუნდამენტურად განსხვავებულ პერსპექტივას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი მას დაემატებოდა ორივე მხარის მონდომება, დააშოშმინონ მილიტანტური სუნიტური და შიიტური ექსტრემისტები, რომლებიც ამჟამად საფრთხეს უქმნიან რეგიონის სტაბილურობას.

უმაღლესი წინამძღოლის მრავალჯერ გაცხადებულის გათვალისწინებით, რომ ირანი არ დათმობს იმას, რაც უკვე აქვს (ამ განცხადებას ეთანხმება ქვეყნის მაღალჩინოსანთა უმრავლესობა), ირანის პოზიციის სიმძიმის ცენტრი გადაიხარა გეგმისკენ, რომელიც გულისხმობს „წითელი ხაზის" გავლებას ატომური რაკეტების აწყობასთან და ცენტრიფუგების რაოდენობის ისეთ შემცირებასთან, რომ დარჩეს სამხედრო ატომური პროგრამის განხორციელების სივრცე. ამ სქემის მიხედვით, ირანი საერთაშორისო ხელშეკრულებაში ჩართავდა უმაღლესი წინამძღოლის ფატვას, რომელიც კრძალავს ბირთვული იარაღის წარმოებას (ეს მოსაზრება არასოდეს არ გამოქვეყნებულა და ირანის მმართველი აპარატის გარდა არც არავისთვის არის ცნობილი). ირანი P5+1 ჯგუფს დაარწმუნებდა, რომ უარს ამბობს ბირთვული იარაღის წარმოებაზე და დაუშვებდა ინსპექციას და სადამკვირვებლო მისიას. ასეთი შეთანხმებების პრაქტიკული შედეგი დამოკიდებული იქნებოდა დროის მონაკ-

ვეთზე, რომელიც მას სჭირდება, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის ან დარღვევის შემთხვევაში შექმნას ატომური იარაღი. რადგან ირანმა, საერთაშორისო კონტროლის მიუხედავად, ერთხელ უკვე შეძლო აეშენებინა ორი გამამდიდრებელი სანარმო, დროის ამ მონაკვეთის განსაზღვრისას ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მან, შესაძლებელია, ხელშეკრულება ჩუმად დაარღვიოს. ამ ხელშეკრულების შედეგად, ირანი არ უნდა იქცეს „ვირტუალურ" ატომურ ძალად, ანუ, სახელმწიფოდ, რომელიც უფრო მოკლე დროში შეიძლება გახდეს ატომური ძალა, ვიდრე ატომური შეიარაღების არმქონე მისი მეზობლები და თანაც ისე, რომ არსებულმა ატომურმა სახელმწიფოებმა ეს ვერ აღკვეთონ.

ირანმა განსაკუთრებული მოხერხებულობა და სიმტკიცე გამოიჩინა და მიაღწია კიდეც მიზანს, თანმიმდევრულად დაეშალა ახლო და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა სისტემა და განედევნა რეგიონიდან დასავლეთის გავლენა. მნიშვნელობა არა აქვს, შექმნის ირანი ატომურ ბომბს უახლოეს მომავალში და გამოსცდის მას თუ არა, თუ „მხოლოდ" ატომური ბომბის რამდენიმე თვეში დამზადების პოტენციალს შეინარჩუნებს – რეგიონული და გლობალური წესრიგისთვის მისი შედეგები მსგავსია. გინდაც ირანი მხოლოდ ვირტუალურ ატომურ სახელმწიფოდ დარჩეს, იგი მაინც იქნება ძალა, რომელმაც, უპრეცედენტოდ ფართო საერთაშორისო სანქციების მუხედავად, მოახერხა მუქარის ასეთი პოტენციალის შენარჩუნება. შესაბამისად, ირანის გეოსტრატეგიული მეტოქეები – თურქეთი, ეგვიპტე და საუდის არაბეთი – დგანან უდიდესი ცდუნების წინაშე, თავადაც განავითარონ საპირწონე ატომური პროგრამები ან შეიძინონ ატომური იარაღი. მნიშვნელოვნად გაიზრდება ისრაელის მიერ პრევენციული დარტყმის განხორციელების ალბათობა. ირანი კი, რომელმაც საერთაშორისო სანქციების მიუხედავად განავითარა ატომური პოტენციალი,

მოიპოვებს დამატებით პრესტიჟს, მუქარის პოტენციალს და გაზრდილ უნარს, იმოქმედოს კონვენციური იარაღით ან გამოიყენოს არაკონვენციური ომის არაბირთვული ფორმები.

არსებობს მოსაზრება, რომ ატომური მოლაპარაკებების შედეგად გაჩნდება ახალი მიდგომა ამერიკულ-ირანული ურთიერთობებისადმი, რომელიც დააბალანსებს დასავლეთის ისტორიული პოზიციის დათმობას. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად ხშირად იმოწმებენ აშშ-ისა და ჩინეთის ურთიერთობების მაგალითს, როდესაც 1970-იან წლებში, შედარებით მოკლე დროში მოხერხდა მტრობის დაძლევა და ურთიერთაღიარების და თანამშრომლობის მიღწევა. ამბობენ, რომ ირანს, შესაძლებელია, უნდოდეს თავისი ვირტუალური ატომური პოტენციალის შეზღუდვა გამოიყენოს დიპლომატიური მიზნებისთვის, თუკი სანაცვლოდ აშშ გამოიჩენს კეთილ ნებას და დაიწყებს მასთან სტრატეგიულ თანამშრომლობას.

მაგრამ ეს შედარება მთლიანად ზუსტი არ არის: საბჭოთა კავშირთან მწვავე მტრობის ათწლიან პერიოდში, ჩინეთის ჩრდილოეთ საზღვარზე 42 საბჭოთა დივიზია იდგა, გარდა ამისა, ჩინეთში შიდა არეულობაც იწვევდა დესტაბილიზაციას. შესაბამისად, ჩინეთს სჭირდებოდა ალტერნატიულ საერთაშორისო სისტემაში ჩართვის შესაძლებლობა. ირანს დასავლეთთან ურთიერთობის მსგავსი საჭიროება ჯერ არ გააჩნია. გასულ ათწლეულში მისი ორი ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე – თალიბანის რეჟიმი ავღანეთში და სადამ ჰუსეინი ერაყში უკვე განადგურებულია – თანაც, არც მეტი, არც ნაკლები – ამერიკელების ნაწარმოები ომის შედეგად. გარდა ამისა, ირანმა მოახერხა თავისი სტრატეგიული გავლენის და სამხედრო როლის გაძლიერება ლიბანში, სირიასა და ერაყში. რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად მის ორ ყველაზე მნიშვნელოვან მეტოქეს – ეგვიპტესა და საუდის არაბეთს შიდა კონფლიქტებთან უწევს გამკლავება, თავად ირანმა კი მოახერხა და 2009

ნელს, დემოკრატიის მოთხოვნით, ქუჩაში მასობრივი პროტესტის მომწყობი ოპოზიცია სწრაფად და, როგორც ჩანს, ეფექტურად აღმოფხვრა. შედეგად, ირანის ხელმძღვანელობამ მეტი საერთაშორისო პატივისცემა მოიპოვა და არც პოლიტიკის შეცვლა დასჭირვებია. მიუხედავად იმისა, რომ სანქციები ძალაშია, ინვესტირების შესაძლებლობებზე მონადირე დასავლელი ფირმები რეჟიმს ელაქუცებიან. სუნიტური ჯიჰადის მებრძოლების განლაგება ირანის საზღვრის გასწვრივ ალბათ ისტორიის ირონიაა, რომელიც მის ლიდერებს დააფიქრებს. მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ თეირანი ხედავდეს სტრატეგიულ ლანდშაფტს, რომელიც მის სასიკეთოდ იცვლება და მის რევოლუციურ კურსს ადასტურებს. რომელ ვარიანტს აირჩევს ირანი, დამოკიდებული იქნება უშუალოდ მის გათვლაზე და არა აშშ-ში წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებზე.

აქამდე ირანი და დასავლეთი მოლაპარაკებების მნიშვნელობას განსხვავებულად აფასებდნენ. მაშინ, როცა ამერიკელი და ევროპელი მომლაპარაკებლები, ხელსაყრელი ვითარების შესანარჩუნებლად, ფრთხილი ოპტიმიზმით აღნიშნავდნენ ატომური ხელშეკრულების შესაძლო მიღწევას, აიათოლა ხამენეი ატომურ მოლაპარაკებებს უწოდებდა მარადიული რელიგიური ბრძოლის ნაწილს, ხოლო მოლაპარაკებებს – საბრძოლო სტრატეგიას, რომელიც კრძალავს კომპრომისებს. ჯერ კიდევ 2014 წლის მაისში, დროებითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ექვსი კვირით ადრე, ირანის უმაღლეს წინამძღოლს ბირთვული მოლაპარაკებები ასე დაუხასიათებია:

> ბრძოლის გაგრძელებაზე აქცენტის გაკეთების მიზეზი ისლამისტური რეჟიმის საომარ რიტორიკაში არ ძევს. როდესაც გსურს გადალახო რეგიონი, სადაც პირატები თარეშობენ, გონივრულია, შესაბამისად შეიარაღდე და გქონდეს თავდაცვის მოტივაცია და უნარი.

ამ ვითარებაში სხვა არჩევანი არ გაგვაჩნია, უნდა განვაგრძოთ ბრძოლა და ქვეყნის ყველა შიდა და საგარეო საქმეში დავუშვათ ბრძოლის შესაძლებლობა. ვინც ცდილობს მოგვაწონოს დათმობები და ტირანებისთვის დამონების იდეა და ისლამისტურ მთავრობას აბრალებს ომს, სინამდვილეში ღალატს სჩადის.

ქვეყნის ყველა წამყვანმა პირმა ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, პოლიტიკის, საკანონმდებლო სფეროში და ყველამ, ვინც აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხოეთში, უნდა იცოდეს, რომ ბრძოლაში იმყოფება და ეს ბრძოლა ისლამური სისტემის დასამკვიდრებლად და გადარჩენისთვის მიმდინარეობს... ჯიჰადი არასოდეს მთავრდება, რადგან სატანა და სატანური ფრონტი მუდამ იარსებებს.

ერების ხასიათს და როლს ისტორია აყალიბებს. ირანის ამაყ და მდიდარ ისტორიაში საერთაშორისო წესრიგის სამი სხვადასხვა კონცეფცია შეგვიძლია განვასხვაოთ. ხომეინის რევოლუციამდე სახელმწიფო პოლიტიკა ფხიზლად ადევნებდა თვალს საზღვრების დაცვას, პატივს სცემდა სხვა ერების სუვერენიტეტს და მზად იყო შეექმნა ალიანსები – შესაბამისად, იცავდა თავის ეროვნულ ინტერესებს ვესტფალიური სისტემის მიხედვით. ამავდროულად, სპარსეთი, იმპერიული ტრადიციის შესაბამისად, საკუთარ თავს ხედავდა ცივილიზებული სამყაროს ცენტრად და ესწრაფოდა გარშემომყოფი ქვეყნების ავტონომიების გაუქმებას, სადამდეც მისწვდებოდა მისი გავლენა. თუ როგორია ირანის პოლიტიკა ჯიჰადის დროს, ზევით აღვწერეთ. ამ ტრადიციებიდან რომლით საზრდოობენ ირანის მაღალჩინოსნები და საიდან იღებენ მოქმედების ინსპირაციას? თუ შევთანხმდებით, რომ ირანში მართლაც იკვეთება ფუნდამენტური ცვლილებების დადგომა, რამ

გამოიწვია იგი? ფსიქოლოგიური ხასიათის არის კონფლიქტი თუ სტრატეგიულის? გადაიჭრება ის შეცვლილი მიდგომით ან ახალი პოლიტიკით? რა ცვლილებას უნდა ესწრაფოდეს მოდიფიცირებული პოლიტიკა? შესაძლებელია ამ ორი ქვეყნის განსხვავებული თვალსაზრისის დაახლოება სასურველი მსოფლიო წესრიგის მისაღწევად? თუ მსოფლიოს მოუწევს ლოდინი, სანამ დაიკლებს ჯიჰადის წნეხი, როგორც ეს მოხდა ოსმალეთის იმპერიაში ძალთა გადალაგებისა და შიდაპოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილების შედეგად? ამ კითხვების პასუხებზეა დამოკიდებული მომავალი ამერიკულ-ირანული ურთიერთობების ბედი და შესაძლოა, მსოფლიო მშვიდობისაც კი.

შეერთებული შტატები კატეგორიულად მზად უნდა იყოს, ჩაურევლობის ვესტფალიურ პრინციპებზე დაყრდნობით მიაღწიოს გეოპოლიტიკურ შეთანხმებას ირანთან და შეიმუშაოს რეგიონული წესრიგის თავსებადი კონცეფციები. ხომეინის რევოლუციამდე ირანი და აშშ ფაქტობრივად მეკავშირეები იყვნენ, რადგან ამერიკის პრეზიდენტები ყოველთვის პრაგმატულად აფასებდნენ ნაციონალურ ინტერესებს. ორივე ქვეყანა ხედავდა საკუთარი ინტერესების თანხვედრას. არცერთს არ უნდოდა საბჭოთა კავშირის ჰეგემონია რეგიონში. ორივე მზად იყო, რეგიონში ელიარებინა სხვა ქვეყნების სუვერენიტეტი და თან თავისი პოლიტიკა გაეტარებინა. ორივე ხელს უწყობდა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, თუმცა ეს უკანასკნელი ფართოდ ვერ გაშალეს. ამერიკული თვალთახედვით, ურთიერთობების განახლების ბევრი მიზეზი არსებობს. ირანულ-ამერიკული ურთიერთობების დაძაბულობის მიზეზი უნდა ვეძებოთ ირანის მიერ ჯიჰადის პრინციპების და რიტორიკის გათავისებაში და ამერიკული ინტერესებისა და საერთაშორისო წესრიგის კონცეფციების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადებაში.

ძირითადად, შიდა განვითარება განსაზღვრავს, როგორ გააგრძელებს ირანი თავის რთულ მემკვიდრეობას. ქვეყნის ჩახლართული კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე გარეშე მდგომისთვის ეს რთული განსაჭვრეტია. ვერც გარედან მუქარა ან დაყვავება შეცვლის რამეს. როგორც არ უნდა აწოდებდეს ირანი დღეს თავს გარე სამყაროს, ახლა ის გზაგასაყართან დგას: მან უნდა გადაწყვიტოს, სურს იყოს ნურმალური ქვეყანა თუ იყოს causa. შეერთებულმა შტატებმა მას უნდა აჩვენოს, რომ ესწრაფვის აქტიურ თანამშრომლობას. მხოლოდ დასავლელ მომლაპარაკებელთა გონებამახვილობა და პრინციპულობა არ იქნება საკმარისი, განვითარება სწორად წარიმართოს. მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაბიჯი იქნება ირანმა ჰისბოლასა და მსგავსი დაჯგუფებების დახმარებაზე უარი თქვას, რათა ბილატერალურ ურთიერთობებში გამოიკვეთოს კონსტრუქციული ხაზი. უნდა გაირკვეს, ირანი მის საზღვრებთან არსებულ ქაოსს საშიშროებად აღიქვამს თუ საუკუნეთა განმავლობაში ნასაზრდოები იმედების ასრულების შანსად.

შეერთებულმა შტატებმა უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული ხედვა პროცესზე, რომელშიც თავად არის ჩართული. აშშ-ის მთავრობის სპიკერები, რომლებიც მსჯელობდნენ ახლო და ცენტრალურ აღმოსავლეთში აშშ-ის გავლენის შესუსტებაზე, გვთავაზობენ ნონასნორობის ხედვას, რომელიც ემყარება სუნიტური სახელმწიფოების (სავარაუდოდ, ისრაელისაც) მიერ ირანის დაბალანსებას. ასეთი განლაგება რომც შედგეს, მის შენარჩუნებას მხოლოდ აქტიური ამერიკული საგარეო პოლიტიკა შეძლებს. რადგან ძალთა ბალანსი არასოდესაა სტატიკური. მისი შემადგენელი ნაწილები მუდმივ მოძრაობაშია. ძალთა ბალანსი ამ რეგიონში რომც დამყარდეს, რაც მხოლოდ ძალიან შორეულ მომავალშია შესაძლებელი, აშშ, როგორც ერთ-ერთი დამაბალანსებელი, აუცილებელი იქნება. ამ როლს

კი საუკეთესოდ შეასრულებს ამერიკა, თუკი დაპირისპირებულ ძალებთან შეინარჩუნებს უფრო მჭიდრო ურთიერთობებს, ვიდრე მათ ერთმანეთთან აქვთ. აშშ-ს მნიშვნელოვანი, ან, ალბათ, უმნიშვნელოვანესი როლი დაეკისრება, როცა ირანს მოუწევს გადაწყვიტოს, რომელ გზას დაადგეს – გააგრძელოს რევოლუციური ისლამის და სპარსული იმპერიალიზმის აღორძინების გზა თუ აირჩიოს დიდი ერის საკადრისი გზა, რომელიც მას ხალხთაშორისი სამართლის ფარგლებში და სახელმწიფოთა ვესტფალიურ სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს მიანიჭებს. ამ როლს კი ამერიკა მხოლოდ მაშინ შეასრულებს, თუ მოვლენებში ჩართული იქნება და არა განზე გამდგარი.

ხედვა და რეალობა

ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის შესახებ დისკუსია უკანასკნელ წლებში უპირატესად ირანის ატომური შეიარაღების ტექნიკური საკითხით შემოიფარგლებოდა. მისი აღკვეთის იმპერატივი მალე ვერ შესრულდება. მაგრამ მაინც უნდა გავიხსენოთ დრო, როცა ამ რეგიონში სხვა, ერთი შეხედვით გადაუჭრელმა კრიზისებმა ახალი განზომილება შეიძინა მტკიცე პოზიციისა და ხედვის არსებობის წყალობით.

1967-1973 წლებში ორი არაბულ-ისრაელური ომი მოხდა, აშშ-ის შეიარაღებული ძალები ორჯერ აღმოჩნდა განგაშის სიტუაციაში, სირია შეიჭრა იორდანიაში, აშშ-მ დიდი სამხედრო კონტინგენტი გადაისროლა ომის ზონაში, უამრავი თვითმფრინავი გაიტაცეს და არაბეთის სახელმწიფოების უმეტესობამ დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა აშშ-სთან. მაგრამ შემდეგ დაიწყო სამშვიდობო პროცესი, რომელიც დასრულდა

ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამი ხელშეკრულების დადებით (რომლებიც 1979 წელს იქცა სამშვიდობო ხელშეკრულებად), 1974 წელს დაიდო გათავისუფლების შეთანხმება სირიასთან (მიუხედავად სირიაში სამოქალაქო ომისა, ამ ხელშეკრულებამ ოთხ ათწლეულს გაუძლო), 1991 წელს ჩატარდა მადრიდის კონფერენცია, რომელმაც გზა გაუხსნა სამშვიდობო პროცესს; შედეგად, 1993 წელს დაიდო ოსლოს ხელშეკრულება PLO-სა და ისრაელს შორის, ხოლო 1994 წელს – სამშვიდობო ხელშეკრულება იორდანიასა და ისრაელს შორის.

ამ მიზნების მიღწევას სამი გარემოების დამთხვევამ შეუწყო ხელი: ამერიკა ენეოდა აქტიურ პოლიტიკას; უარყოფილი იქნა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა უნივერსალური პრინციპების ძალისმიერად გატარებით რეგიონული წესრიგის დამყარებას. და პოლიტიკურ სცენაზე გამოჩნდნენ მშვიდობის ფართო ხედვის მქონე პოლიტიკოსები.

ჩემთვის ორი პირადი მოგონება დგას სიმბოლურად ამ ხედვის უკან. 1981 წელს პრეზიდენტმა სადათმა ვაშინგტონში ბოლო ვიზიტისას მომდევნო გაზაფხულზე ეგვიპტეში დამპატიჟა ისრაელის მიერ სინაის ნახევარკუნძულის დაბრუნების საზეიმო ცერემონიალზე დასასწრებად. შემდეგ ერთი წუთით დაფიქრდა და მითხრა: „არა, არ ჩამოხვიდეთ ცერემონიალზე: ეს ისრაელისთვის მტკივნეული იქნება. ექვსი თვის მერე ჩამოდით და ერთად წავიდეთ სინაის მთის მწვერვალზე. იქ მინდა მეჩეთი, ეკლესია და სინაგოგა ავაშენო, როგორც სიმბოლო მშვიდობისკენ სწრაფვისა".

იცხაკ რაბინი, ერთ დროს ისრაელის არმიის გენერალური შტაბის უფროსი, პრემიერ-მინისტრი იყო, როდესაც 1975 წელს ისრაელმა პირველი პოლიტიკური ხელშეკრულება დადო ეგვიპტესთან და 1994 წელს – მშვიდობის ხელშეკრულება იორდანიასთან, რომელზედაც მოლაპარაკებებს იგი თავდაცვის ყოფილ და მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრ შიმონ

პერესთან ერთად აწარმოებდა. ისრაელსა და იორდანიას შორის დადებული ხელშეკრულების აღსანიშნავად, იმავე წლის ივლისში, იორდანიის მეფე ჰუსეინთან ერთად რაბინმა სიტყვა წარმოთქვა აშშ-ის კონგრესში:

> დღეს ჩვენ მივიწევთ ბრძოლაში, სადაც არ იქნებიან მკვდრები და დაჭრილები, არ იქნება სისხლი და ტკივილი: ეს არის ბრძოლა მშვიდობისთვის...
>
> ბიბლიაში, ჩვენს წიგნთა წიგნში, მშვიდობა ორას ოცდაჩვიდმეტჯერ იხსენიება სხვადასხვანაირად. ბიბლიაში, რომლითაც საზრდოობს ჩვენი ღირებულებები და სიძლიერე, წმინდა იერემია წინასწარმეტყველის წიგნში, გვხვდება სინანული მატრიარქი რახელისა:

ასე ამბობს უფალი: „თავი შეიკავე ტირილისგან, ნუღარ გდის ცრემლი, რადგან საზღაური აქვს შენს ნაშრომს".

> მე ვერ შევუშრობ ცრემლებს მათ, ვინც წავიდა. მაგრამ ზაფხულის ამ დღეს ვაშინგტონში, სამშობლოსგან შორს, ვგრძნობთ, რომ ჩვენი შრომა დაფასდა, როგორც წინასწარმეტყველი ქადაგებდა.

ორივენი დახოცეს – სადათიც და რაბინიც, მაგრამ მათი ღვაწლი დაუვიწყარია; ისინი ყოველთვის იქნებიან შთაგონების წყარო.

და კიდევ ერთხელ გავიმეორებ – ძალადობრივი და მუქარის შემცველი მოძღვრებები ებრძვიან ქმედითი მსოფლიო წესრიგის იმედებს. მაგრამ მათ საფუძველს თუ გამოვაცლით – და მეტი არაფერია საჭირო – იქნებ ისევ დადგეს იმ წამის მსგავსი, რომელმაც მიგვიყვანა ზემოთ აღწერილ ისტორიულ წარმატებამდე, როდესაც შორსმჭვრეტელობამ იზეიმა რეალობაზე.

თავი 5

აზიის მრავალფეროვნება

აზია და ევროპა: ძალთა წონასწორობის განსხვავებული კონცეფციები

ტერმინი – „აზია“ ეწოდება მოჩვენებითი ურთიერთკავშირის მქონე ჰეტეროგენულ რეგიონს. თანამედროვე დასავლელი ძალების ჩასვლამდე, არცერთ აზიურ ენაში არ არსებობდა სიტყვა, რომელიც აღნიშნავდა „აზიას“. დღევანდელი აზიის თითქმის ორმოცდაათი სუვერენული სახელმწიფოდან არცერთი არ აღიქვამს თავს ერთი მთლიანი „კონტინენტის“ ან რეგიონის ნაწილად და არ გააჩნია სხვების მიმართ სოლიდარობის განცდა. როგორც „აღმოსავლეთი“, იგი არასოდეს ყოფილა „დასავლეთის“ მკაფიო საპირწონე. მას არ ჰქონია საერთო რელიგია, არც მცირე რელიგიურ ჯგუფებად დაქუცმაცებული საერთო რელიგია, როგორიც გვაქვს დასავლეთის ქრისტიანობაში. ბუდიზმი, ჰინდუიზმი, ისლამი და ქრისტიანობა აზიის სხვადასხვა ნაწილში გვხვდება. არ არსებობს საერთო ისტორიული მეხსიერება, როგორიც ახასიათებს, მაგალითად, რომის იმპერიას. ჩრდილო-აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ, სამხრეთ და ცენტრალურ აზიაში თანამედროვე ეპოქაში მიმდინარე ომებმა იქ არსებული ეთნიკუ-

რი, ენობრივი, სოციალური და კულტურული განსხვავებები კიდევ უფრო გაამწვავა.

აზიის პოლიტიკური და ეკონომიკური რუკა ჭრელი ნაკუნებისგან შემდგარი ხალიჩაა და რეგიონის კომპლექსურობას ასახავს. იგი მოიცავს ინდუსტრიულად და ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, როგორიცაა: იაპონია, კორეის რესპუბლიკა და სინგაპური – მათი ეკონომიკური ძალა და ცხოვრების სტანდარტი ევროპული სახელმწიფოებისას ეჯიბრება; სამ კონტინენტური მასშტაბის ქვეყანას – ჩინეთს, ინდოეთსა და რუსეთს; ორ დიდ არქიპელაგს (იაპონიის გარდა) – ფილიპინებსა და ინდონეზიას, რომლებიც ათასობით კუნძულს და მნიშვნელოვან საზღვაო გზებს ფლობენ; სამ უძველეს ერს – ტაილანდს, ვიეტნამსა და მიანმარს – თითოეულს საფრანგეთის და იტალიის მსგავსი რაოდენობის მოსახლეობით; აზიის განაპირას მდებარე, ძირითადად, ევროპელების შთამომავლებით დასახლებულ უზარმაზარ ავსტრალიასა და პასტორალურ ახალ ზელანდიას; და ჩრდილოეთ კორეას, სადაც ინდუსტრიასთან და ტექნოლოგიასთან მწყრალად მყოფი სტალინისტური დიქტატორული დინასტია ატომურ იარაღს ავითარებს. შუა აზიაში – ავღანეთში, ბანგლადეშში, მალაიზიასა და ინდონეზიაში მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმური რწმენის მიმდევარია. აღსანიშნავი რაოდენობის მუსლიმური უმცირესობები ცხოვრობენ ინდოეთში, ჩინეთში, მიანმარში, ტაილანდსა და ფილიპინებზე.

მე-19 საუკუნის და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო ნესრიგს ძირითადად ევროპა განსაზღვრავდა და მნიშვნელოვან ევროპულ ძალებს შორის წონასწორობის შექმნას ისახავდა მიზნად. თავიანთ კონტინენტს მიღმა ევროპული სახელმწიფოები კოლონიებს იპყრობდნენ, იქ სახლდებოდნენ და საკუთარ ქმედებას ცივილიზაციური მისიონერობის სხვადასხვა ფორმით ამართლებდნენ. 21-ე საუკუნის გადმოსახე-

დიდან, მას შემდეგ, რაც აზიურმა ქვეყნებმა კეთილდღეობა, ძალა და თავდაჯერებულობა მოიპოვეს, ძნელი წარმოსადგენია, რომ მაშინ კოლონიალიზმს ამხელა ძალა ჰქონოდა ან რომ მათი ინსტიტუციები საერთაშორისო ცხოვრების ნორმალურ მექანიზმებად აღქმულიყო. მხოლოდ მატერიალური ფაქტორებით ეს არ აიხსნება. ასევე თამაშობდა როლს გარკვეული მისიონერული გულმოდგინება და ძნელად ასახსნელი ფსიქოლოგიური სტიმული.

კოლონიური ძალების მიერ მეოცე საუკუნის დასაწყისში შექმნილი პამფლეტები და ნარკვევები ცხადყოფს საოცარ აროგანტულობას, რომლითაც ისინი იჩემებდნენ მსოფლიო წესრიგის თავიანთ ყაიდაზე დამყარების უფლებას. ჩინეთისა და ინდოეთის შესახებ ნარკვევებში ევროპელები დაცინვით უდგებიან ტრადიციულ კულტურებს და მაღალ ცივილიზაციასთან განათლების გზით მათი ზიარება მიაჩნიათ თავიანთ მისიად. ევროპელმა კოლონისტებმა მცირე პერსონალის საშუალებით დაუდგინეს უძველეს ერებს ახალი საზღვრები და აზრად არ მოსვლიათ, რომ არაბუნებრივ, არაპოპულარულ და უსამართლო საქმეს სჩადიოდნენ.

მე-15 საუკუნეში, ე. წ. ახალი დროის გარიჟრაჟზე, თავდაჯერებულმა, ტერიტორიულად დაქუცმაცებულმა ევროპამ აფრები გაშალა დედამიწის შესასწავლად და მიზნად დაისახა აღმოჩენილი ტერიტორიების ათვისება, დაპყრობა და „ცივილიზება“. ევროპელები იმ ხალხებს, ვინც ახალ ტერიტორიებზე ხვდებოდათ, თავს ახვევდნენ საკუთარი გამოცდილებით ჩამოყალიბებულ შეხედულებებს რელიგიაზე, მეცნიერებაზე, ვაჭრობაზე, სახელმწიფოებრიობასა და დიპლომატიაზე და ეს ყველაფერი კაცობრიობის უმაღლეს მონაპოვრად მიაჩნდათ.

დასავლეთმა გავლენის სფერო კოლონიურობის ნაცადი ხერხებით გააფართოვა; ეს იყო სიხარბე, კულტურული შოვინიზმი და დიდებისაკენ სწრაფვა. თუმცა ისიც უნდა ითქვას,

რომ კოლონიალიზმის უფრო კეთილშობილ წარმომადგენლებს სურდათ მსოფლიოსთვის გაეცნოთ ინტელექტუალური მეთოდი, რომელიც პოლიტიკური და დიპლომატიური მიდგომებისადმი სკეპტიციზმს ასწავლიდა და საბოლოოდ, დემოკრატიზაციას უწყობდა ხელს. ამ მეთოდმა კოლონიურ ერებში, დიდხნიანი დაპყრობის შემდეგ, თავისთავად გამოიწვია თვითგამორკვევის მოთხოვნილება, რასაც შემდეგ მიაღწიეს კიდეც. კოლონისტები, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში, თვით ყველაზე უხეში ჩაგვრის დროსაც კი, მიიჩნევდნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაპყრობილი ხალხებიც ისარგებლებდნენ საერთო მსოფლიო სისტემის მიღწევებით. დასავლეთი გმობდა მონობის პრაქტიკას, მან საფუძველი ჩაუყარა მოძრაობას, რომელიც არ შექმნილა არცერთ მონათმფლობელურ ქვეყანაში – მსოფლიო მასშტაბის აბოლიციონიზმს (მონობის გაუქმებას), რომელიც ეყრდნობოდა ზოგად ადამიანურ ფასეულობებს და ცალკეული ადამიანის თანდაყოლილ ღირსებას. დიდმა ბრიტანეთმა უარი თქვა თავისსავე უღირს გამოცდილებაზე და ჰუმანიტარული ფასეულობების ახალი განზომილების დამკვიდრებას ჩაუდგა სათავეში, თავის იმპერიაში გააუქმა მონათმფლობელობა და იდეალისტური ჰუმანურობის და რევოლუციური აზროვნების ნაზავი აღმოჩნდა თანამედროვე მსოფლიოს ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

იაპონიის გარდა, აზია იყო კოლონიალიზმის მიერ თავსმოხვეული მსოფლიო წესრიგის მსხვერპლი და არა მისი მოთამაშე. ტაილანდმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, მაგრამ, იაპონიისგან განსხვავებით, სუსტი იყო რეგიონული წესრიგის ძალთა ბალანსში მონაწილეობის მისაღებად. ჩინეთმა, თავისი სიდიდის წყალობით, მოახერხა მთლიანი კოლონიზაცია აეცილებინა, მაგრამ დაკარგა თავის საშინაო პოლიტიკის საკვანძო საკითხებზე კონტროლი. მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე აზიის უმეტესი ქვეყნები ევროპული ძალების

დანამატად რჩებოდნენ, ფილიპინების შემთხვევაში კი – ამერიკის შეერთებული შტატებისა. ვესტფალიური სისტემის დიპლომატიის განხორციელების წინაპირობები მხოლოდ დეკოლონიზაციის შემდეგ გამოიკვეთა – როდესაც ორმა მსოფლიო ომმა დაანგრია ევროპული წესრიგი.

გაბატონებული რეგიონული წესრიგისგან ემანსიპაციის პროცესი ძალადობრივად და სისხლიანად მიმდინარეობდა: ჩინეთის სამოქალაქო ომი (1927-1949), კორეის ომი (1950-1953), ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი (დაახლ. 1955-1980), რევოლუციური პარტიზანული აჯანყებები მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ვიეტნამის ომი (1961-1975), ოთხი ინდურ-პაკისტანური ომი (1947, 1965, 1971 და 1999), ჩინეთ-ინდოეთის ომი (1962), ჩინეთ-ვიეტნამის ომი (1979) და წითელი ქმერის ხალხთამკვლელი (გენოციდური) რეჟიმი (1975-1979).

ათწლეულობით ომებისა და რევოლუციური არეულობის შემდეგ აზია დრამატულად შეიცვალა. „აზიური ვეფხვების" – ჰონგკონგის, კორეის რესპუბლიკის, სინგაპურის, ტაივანისა და ტაილანდის აღზევებამ ეკონომიკური აღმავლობა და კეთილდღეობა მოუტანა რეგიონს. იაპონიამ გაითავისა დემოკრატიული ინსტიტუტები და ააშენა ეკონომიკა, რომელიც კონკურენციას უწევს დასავლეთს და ზოგჯერ სჯობნის კიდეც მას. 1979 წელს ჩინეთმა დენ სიაოპინის მმართველობის ქვეშ კურსი შეცვალა; განაცხადა, რომ გატარდებოდა იდეოლოგიისგან დაცლილი საგარეო პოლიტიკა და ეკონომიკური რეფორმები – ეს პოლიტიკა მისმა მემკვიდრეებმა გააგრძელეს და ჩინეთი და მსოფლიო მნიშვნელოვნად შეცვალეს.

ეს ცვლილებები მაშინ მიმდინარეობდა, როდესაც აზიის ქვეყნები, როგორც ჩანს, ეწეოდნენ ვესტფალიურ პრინციპებზე დაფუძნებულ, ეროვნული ინტერესების შესაბამის საგარეო პოლიტიკას. განსხვავებით ახლო და შუა აღმოსავლეთისგან, სადაც თითქმის ყველა სახელმწიფოს ლეგიტიმურობა

სამხედრო გამოწვევის პირისპირ დგას, აზიაში სახელმწიფო აღიქმება როგორც საერთაშორისო და ნაციონალური პოლიტიკის ძირითადი ერთეული. კოლონიური იმპერიებისგან აღმოცენებულმა ერებმა თავიდანვე აღიარეს ერთმანეთის სუვერენიტეტი და სხვის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. მათ გაითავისეს საერთაშორისო ორგანიზაციების ნორმები და შექმნეს რეგიონული და ზერეგიონული ეკონომიკური და სოციალური ორგანიზაციები. სხვათა შორის, ეს სულისკვეთება გაიზიარა ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ კი იანგუმაც. 2013 წლის იანვარში იგი თავის მთავარ პოლიტიკურ მოხსენებაში წერდა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა არის „საერთაშორისო ურთიერთობების იმ ძირითადი პრინციპების დაცვა, რომელიც დევს 1648 წლის ვესტფალიურ ზავში, განსაკუთრებით ეხება ეს სუვერენიტეტსა და თანასწორობას".

აზია აღმოჩნდა ვესტფალიური სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა: ისტორიული მნიშვნელობის და თავიანთი ისტორიის განმავლობაში ხშირად დაპირისპირებული ხალხები ჩამოყალიბდნენ სუვერენულ სახელმწიფოებად და შექმნეს რეგიონული ალიანსები. აზიაში, ევროპაზე მეტად – რომ აღარაფერი ვთქვათ ახლო და შუა აღმოსავლეთზე – ჰპოვა გამოხატულება საერთაშორისო წესრიგის ვესტფალიური კონცეფციის მაქსიმებმა – მათ შორის, დოქტრინებმა, რომელთაც დასავლეთში მუდამ აკრიტიკებენ ნაციონალური ინტერესების ზედმეტად და ადამიანის უფლებების არასათანადოდ დაცვის გამო. აზიაში, განსაკუთრებით ახლანდელ დროში, კოლონიური ერის დასრულების შემდეგ მოპოვებულ სუვერენიტეტს აბსოლუტურ ღირებულებად მიიჩნევენ. სახელმწიფო პოლიტიკის მიზანს არ წარმოადგენს ნაციონალური ინტერესების გადალახვა (ევროპასა და აშშ-ში

გავრცელებული მოდური კონცეფციების მსგავსად), არამედ მათი ენერგიული და მიზანმიმართული გატარება. საშინაო საქმეების გარედან კრიტიკას ყველა მთავრობა აღიქვამს სულ ახლახან დაძლეული კოლონიური ბატონობის სიმპტომად და ეწინააღმდეგება მას. მეზობელი ქვეყნების საშინაო პოლიტიკური ქმედებები ექსცესებად რომც აღიქმებოდეს – მაგალითად, მიანმარში განვითარებული მოვლენები – ისინი ჩუმი დიპლომატიით გვარდება და არავინ ცდილობს საჯაროდ წნეხის გაზრდას და, მით უმეტეს, ძალადობრივ ჩარევას.

ამავდროულად, ყველგან იგრძნობა ფარული მუქარაც. ჩინეთი არ გამორიცხავს სამხედრო ვარიანტს – სხვა მნიშვნელოვანი მოთამაშეები ამას უჩუმრად აკეთებენ – თუკი მათ უმთავრეს ეროვნულ ინტერესებს საფრთხე დაემუქრება. სამხედრო ბიუჯეტი იზრდება. სამხრეთ ჩინეთის ზღვაში და ჩრდილო-აღმოსავლეთის წყლებში ეროვნული ქიშპობა აქამდე მე-19 საუკუნის დიპლომატიური მეთოდებით გვარდებოდა. თუმცა სამხედრო ძალის გამოყენება ყოველთვის რჩებოდა შესაძლებლობად, გინდაც წლების განმავლობაში მისი გამოყენება შეზღუდულიყო.

იერარქია და არა სუვერენული თანასწორობა წარმოადგენდა აზიის ისტორიული საერთაშორისო სისტემების წესრიგის პრინციპს. ძალაუფლება ვლინდებოდა მმართველის და მისი ძალაუფლების გამომხატველი მმართველი სტრუქტურების წინაშე ერთგულებით და არა რუკაზე გავლებული საზღვრების მიხედვით. სამეფოები ავრცელებდნენ თავიანთ პოლიტიკურ გავლენასა და აფართოებდნენ ვაჭრობის სფეროს; მცირე პოლიტიკური ერთეულებისგან კი მორჩილებას მოითხოვდნენ. ორი ან მეტი იმპერიალური წესრიგის კვეთაზე მცხოვრები ხალხები ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებლობის მოპოვებას იმით ახერხებდნენ, რომ ნომინალურად გავლენის რამდენიმე სფეროს ქვეშევრდომებად ირიცხებოდნენ (ლა-

ვირების დაუვიწყარი ხელოვნება, რომელიც ზოგ რეგიონში დღესაც გამოიყენება).

აზიის ისტორიული დიპლომატიის სისტემაში, იქნება ეს ჩინური თუ ინდუისტური მოდელის მიხედვით, მონარქია მიიჩნეოდა ღვთაებრიობის გამოხატულებად ან, სულ მცირე, გარკვეული სახის პატერნალისტურ ავტორიტეტად. დაქვემდებარებული ქვეყნები ზემდგომის ვალში იყვნენ და აღიარების ნიშნად მათ ხარკს უხდიდნენ. თეორიულად, აქ ადგილი არ რჩებოდა რეგიონულ ძალებს შორის ამბივალენტური ურთიერთობებისთვის, რაც ხშირად იწვევდა ერთმანეთთან ხისტ ბმას. პრაქტიკაში კი, ეს პრინციპები საოცარი კრეატიულობით და მოქნილობით გამოირჩეოდა. ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში რიუკიუს სამეფო ერთდროულად უხდიდა ხარკს იაპონიასა და ჩინეთს. ბირმის ჩრდილოეთ მთებში მთიულმა ტომებმა ფაქტიური ავტონომია განამტკიცეს – ისინი ბირმის სამეფო კარსაც ეფიცებოდნენ ერთგულებას და ჩინეთის იმპერატორსაც (ამავე დროს, არცერთი მათგანის ბრძანებებს არ ასრულებდნენ ხალისით). ნეპალმა საუკუნეების განმავლობაში მოახერხა ურთიერთობების დიპლომატიურად დაბალანსება ჩინეთის მმართველ დინასტიებსა და ინდოეთს შორის; იგი წერილებს და საჩუქრებს უგზავნიდა ორივეს; ჩინეთი გზავნილებს პატივისცემად აღიქვამდა, ნეპალისთვის კი ეს თანაბარი რანგის მოთამაშეებს შორის ურთიერთობას ნიშნავდა; ასე მიაღწია განსაკუთრებულ ურთიერთობებს ჩინეთთან და შეძლო ინდოეთისგან დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ტაილანდმა, რომელსაც მე-19 საუკუნეში სტრატეგიული მდებარეობის გამო ყველა მზარდმა დასავლურმა იმპერიულმა ძალამ დაადგა თვალი, დახვეწილი სტრატეგიის წყალობით მოახერხა მათი ჩამოშორება და თან ყველა უცხოურ ძალასთან შეინარჩუნა გულითადი ურთიერთობები: იგი სტუმართმოყვარედ უღებდა კარს ყველა ერთმანეთის მოქიშპე დასავლურ ძალას, ამავ-

დროულად ხარკს უხდიდა ჩინეთს, ინდური წარმოშობის პინდუისტურ სასულიერო პირებს კი სამეფო კარის სამსახურში აყენებდა (გასაოცარია ინტელექტუალური მოქნილობა და ემოციური მოთმინება, რასაც დაბალანსების პოლიტიკა ითხოვდა, რადგან ტაის მეფეც ღვთიურ არსებად მიიჩნეოდა.) თუმცა, რეგიონული წესრიგის ყოვლისმომცველი კონცეფცია მათ არ სდომებიათ, რადგან მისი დამყარება ძალიან შეზღუდავდა დიპლომატიის მოქნილობას.

ამ დახვეწილი და მრავალშრიანი მემკვიდრეობის საპირისპიროდ, აზიის რუკაზე სუვერენული სახელმწიფოების ვესტფალიური ქსელი, რეგიონულ ურთიერთობებს მხოლოდ გამარტივებულად და ზოგადად ასახავს. აქ არ ჩანს ლიდერების მცდელობების მრავალფეროვნება, არც იერარქიების ზედმიწევნით დაცვა და პროტოკოლური წესების დახვეწილი მანერები. აზიურ დიპლომატიას დიდწილად განსაზღვრავს ეს ნაზავი, აზიაში იგი აქცევს საერთაშორისო ურთიერთობებს ფუნდამენტურ ჩარჩოში. მაგრამ სახელმწიფოებრიობა ამ კონტინენტზე მრავალფეროვან და დიდი გავლენის კულტურულ მემკვიდრეობასაც ისე უკავშირდება, როგორც ალბათ არცერთ სხვა რეგიონში. ეს ყველაზე აშკარად ჩანს აზიის ორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ერის – იაპონიისა და ინდოეთის ისტორიულ გამოცდილებაზე.

იაპონია

აზიის ყველა ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ წარმონაქმნზე სწრაფად და მკაფიოდ იაპონიამ მოახდინა რეაგირება დასავლეთის მსოფლიო ჰეგემონიაზე. იაპონია არქიპელაგზე მდებარეობს და აზიის კონტინენტის ყველაზე ახლო ადგილთან მხოლოდ ასიოდე მილი აშორებს. დიდი ხნის განმავლობაში იზოლაციაში ყოფნის წყალობით შეინარჩუნა მან თავისი ტრადიციები და განსაკუთრებული კულტურა. იაპონია ეთნიკურად და ენობრივად თითქმის ჰომოგენური ქვეყანაა, მას აქვს ოფიციალური იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც, იაპონელი ერი ღვთაებრივი წარმოშობის არის – იაპონიამ თავისი განუმეორებლობის რწმენა თითქმის რელიგიურ მოვალეობად აქცია. განსაკუთრებულობის განცდამ იაპონიას მოქნილი პოლიტიკის გატარება და მისი ეროვნულ საჭიროებებზე მორგება შეაძლებინა. თითქმის ერთსაუკუნოვანი ტოტალური იზოლაციის შემდეგ, 1868 წლიდან, იაპონია დაადგა კურსს, რომელიც ითვალისწინებდა დასავლეთის ყველაზე თანამედროვე, განვითარებული ქვეყნების (გერმანიიდან სამხედრო საქმის, დიდი ბრიტანეთიდან პარლამენტარიზმის და ნაოსნობის) გამოცდილების ფართოდ გადაღებას. იაპონიამ ჯერ გულწრფელად მოინდომა იმპერიის აშენება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი პაციფისტი გახდა, ოღონდ სუპერსახელმწიფოს პოზიცია არ დაუთმია. იაპონია სულ რაღაც ერთი საუკუნის განმავლობაში იქცა ფეოდალური ქვეყნიდან – დასავლური ავტორიტარიზმის მრავალფეროვანი ეტაპების გავლით – დემოკრატიულ სახელმწიფოდ. იაპონია ხშირად უერთდებოდა მსოფლიო წესრიგს (ჯერ დასავლურს, შემდეგ აზიურს და ახლა გლობალურს) და ისევ ტოვებდა მას, რადგან სულ სჯეროდა, რომ მისი ეროვნული მისია არ შეიძლებოდა გაზავებული ყოფილიყო სხვა საზოგადოებების მეთოდებითა

და ინსტიტუციებით, მხოლოდ მათი წარმატებული ადაპტაცია გახდიდა მის მისიას უფრო ეფექტურს.

იაპონია საუკუნეების განმავლობაში მდებარეობდა ჩინური სამყაროს კიდეზე და უხვად საზრდოობდა მისი რელიგიითა და კულტურით. თუმცა, ჩინეთის კულტურის გავლენის ქვეშ მყოფი საზოგადოებების უმეტესობისგან განსხვავებით, იაპონიამ, ჩინეთიდან ნასესხები ნიმუშები იაპონურ ნიმუშებად აქცია და ჩინეთთან იერარქიული ვალდებულებები არასოდეს აუღია. იაპონიის რეზისტენტული პოზიცია ჩინეთის სამეფო კარს კარგა ხანს უქმნიდა თავსატეხს. სხვა აზიური ხალხები აღიარებდნენ ხარკის გადახდის პროტოკოლს და მოთხოვნებს და ჩინეთის იმპერატორის მიმართ სიმბოლურ სუბორდინაციას, რომელიც მსოფლიოს აწესრიგებდა და ვაჭრობას ხარკად ასაღებდნენ, რათა მოეპოვებინათ წვდომა ჩინეთის ბაზარზე. ისინი პატივს სცემდნენ (ყოველ შემთხვევაში, ჩინეთის სამეფო კართან ურთიერთობისას) საერთაშორისო წესრიგის კონფუციანულ კონცეფციას, დაფუძნებულს ოჯახურ იერარქიაზე, რომელშიც ჩინეთს პატრიარქის როლი ჰქონდა. იაპონია გეოგრაფიულად საკმარისად ახლოს მდებარეობდა ჩინეთთან და კარგად იცნობდა ამ მოცემულობებს და, როგორც წესი, უხმოდ ითვალისწინებდა ჩინურ მსოფლიო წესრიგს, როგორც რეგიონულ რეალობას. მისი მისიები, რომლებსაც ვაჭრობისა და კულტურული გაცვლა-გამოცვლის სურვილი ამოძრავებდათ, იმდენად ზედმიწევნით და ზუსტად იცავდნენ ეტიკეტს, რომ ჩინელ მოხელეებს ეგონათ, იაპონია საერთო იერარქიის ნევრობას ესწრაფვისო. მაგრამ რეგიონში, სადაც ზუსტად იყო განსაზღვრული და პროტოკოლურად გაწერილი სტატუსის საფეხურები (პროტოკოლით ზუსტად იყო განსაზღვრული ის ერთადერთი სიტყვა, რომლითაც უნდა მოხსენიებულიყო იმპერატორი, როგორ უნდა მომხდარიყო ოფიციალური წერი-


აზია და ოკეანეთი დღეს
რუსეთი
ყაზახეთი
ულან-ბატორი
მონღოლეთი
ყირგიზეთი
ტაჯიკეთი
ავღანეთი
ქაბული
ისლამაბადი
პაკისტანი
დელი
ნეპალი
ბუტანი
კატმანდუ
ბანგლადეში
დაკა
ინდოეთი
მიანმა
ჩინეთი
პეკინი
ვლადივოსტოკი
ჩრდილოეთ კორეა
ფხენიანი
სეული
სამხრეთ კორეა
ტოკიო
იაპონია
წყნარი ოკეანე
ტაივანი
ჰონკონგი
ლაოსი
ვიენტიანი
რანგუნი
ტაილანდი
ბანგკოკი
ვიეტნამი
კამბოჯა
ფილიპინები
მანილა
შრილანკა
ბრუნეი
მალაიზია
კუალა-ლუმპური
სინგაპური
ჯაკარტა
ინდონეზია
ინდოეთის ოკეანე
ავსტრალია
ჩრდილოეთ მარიანას კუნძულები
გუამი
მარშალის კუნძულები
პალაუ
პაპუა-ახალი გვინეა
სოლომონის კუნძულები
ვანუატუ
ფიჯი
ტონგა
ნაურუ
კირიბატი
ტუვალუ
საამოა
ამერიკის საამოა
კუკის კუნძულები
პოლინეზია
ახალი კალედონია
ალასკა
N
0 მილი 1000
0 კილომეტრი 1000
მასშტაბი ეკვატორზე

ლის გადაცემა, ოფიციალურ სიგელში სად უნდა დასმულიყო თარიღი და ა. შ.), იაპონია ჯიუტად უარობდა ჩინეთის ცენტრისტულ სახარკო სისტემაში ოფიციალური როლის თამაშს. იგი დარჩა იერარქიული ჩინური მსოფლიო წესრიგის განაპირას, ოდნავ მოტივტივე მდგომარეობაში, რადგან მუდამ უხდებოდა საკუთარი თანასწორობის და ხანდახან უპირატესობის ხაზგასმაც კი.

იაპონური საზოგადოებისა და მისი მსოფლმხედველობითი წესრიგის სათავეში იდგა იაპონიის იმპერატორი. ჩინეთის იმპერატორის მსგავსად, იგიც ზეცის ვაჟიშვილი იყო, შუამავალი ადამიანურსა და ღვთაებრივს შორის. ეს ტიტული, რომელსაც იაპონიის მიერ ჩინეთის კარზე გაგზავნილი დიპლომატიური შეტყობინებები ხაზს უსვამდა, ჩინეთის მსოფლიო წესრიგის კოსმოლოგიას პირდაპირ აყენებდა კითხვის ქვეშ – ადამიანური იერარქიის სათავეში ხომ მხოლოდ ჩინეთის იმპერატორი უნდა ყოფილიყო. ამ სტატუსის გარდა (რომელიც თავისი ტრანსცენდენტული მნიშვნელობით უფრო მაღალი და ვრცელი იყო, ვიდრე საღვთო რომის იმპერიის ნებისმიერი იმპერატორის როდესმე გაცხადებული პრეტენზია), იაპონიის პოლიტიკური ფილოსოფია იმპერატორს აიგივებდა ღმერთთან, რომელიც იყო მზის ღმერთის შთამომავალი. ამ უკანასკნელს ეშვა პირველი იმპერატორი და ებოძებინა თავისი შთამომავლობისთვის მეფობის სამუდამო უფლება. მე-14 საუკუნის „ღვთაებრივი იმპერატორების სამართალმემკვიდრეების ქრონიკები" გვამცნობს:

> იაპონია ღმერთების ქვეყანაა. ზეციერმა წინაპრებმა ჩაუყარეს მას საფუძველი და მზის ღმერთმა სამუდამოდ გადასცა მის მემკვიდრეებს მმართველობა. ეს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არსებობს. სხვა ქვეყნებში მსგავსი არაფერია. ამიტომ ეწოდება მას ღმერთების ქვეყანა.

იაპონიას კუნძულზე მდებარეობა საშუალებას აძლევდა, ფართოდ ემსჯელა საერთაშორისო საქმეებში ჩართვა-არჩართვის თაობაზე. მრავალი საუკუნის განმავლობაში ეჭირა თავი შიდააზიური საქმეებისგან შორს, შიდა ბრძოლებში ხვეწდა თავის სამხედრო ტრადიციებს და საკუთარი სურვილით განსაზღვრავდა ვაჭრობისა და კულტურული გაცვლა-გამოცვლის ინტენსივობას. მე-16 საუკუნის ბოლოს იაპონია ისე უცბად და ამბიციურად შეუდგა საკუთარი როლის ახლებურ ჩამოყალიბებას, რომ მეზობლებმა თავიდან ვერც კი დაიჯერეს და ყურადღება არ მიუქცევიათ. შედეგად მივიღეთ აზიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სამხედრო კონფლიქტი, რომელიც ცოცხლად ჩარჩა რეგიონის კოლექტიურ მეხსიერებაში და საკამათო მემკვიდრეობა დატოვა – ეს გაკვეთილი ყველას კარგად რომ გაეთვალისწინებინა, მე-20 საუკუნეში ამერიკის მოქმედება კორეის ომში შეიძლებოდა სულ სხვაგვარი ყოფილიყო.

1590 წელს მებრძოლმა ტოიოტომი ჰიდეიოსიმ – მეტოქეების დამმარცხებელმა, იაპონიის გამაერთიანებელმა და თითქმის საუკუნოვანი სამოქალაქო ომის დამამთავრებელმა – კიდევ უფრო მასშტაბური გეგმა დაისახა: სურდა შეექმნა მსოფლიოში ყველაზე დიდი არმია, გასძღოლოდა მას კორეის ნახევარკუნძულზე, დაეპყრო ჩინეთი და დაემორჩილებინა მთელი მსოფლიო. თავის გზავნილში მან კორეის მეფეს შეატყობინა, „დიდი მინგის ქვეყნამდე გავიჭრები და იქაურ ხალხს ვაიძულებ ჩვენი ადათ-წესები გადაიღონო“. კორეელებს იგი ბრძოლაში ჩართვას სთხოვდა. კორეის მეფე ყოყმანობდა, მან ჰიდეიოსის საშიშროებებზე მიუთითა და უარის გასამართლებლად დაიმოწმა „ჩინეთთან განუყოფელი ურთიერთობები“, აგრთვე, კონფუციანური პრინციპი, რომლის მიხედვითაც, „სხვა სახელმწიფოში შეჭრა არის ქმედება, რომლისაც უნდა რცხვენოდეთ კულტურულ და განათლებულ ადამიანებს“.

ჰიდეიოსიმ თავისი დამპყრობლური ომი 160 ათასი კაცითა და 700 გემით დაიწყო. უზარმაზარმა შეიარაღებულმა ძალებმა გზაზე პირველი წინააღმდეგობა იოლად გადალახეს და კორეის ნახევარკუნძულიდან სწრაფად გაიჭრნენ ჩრდილოეთისკენ. ჯარი მაშინ მხოლოდ კორეელი ადმირალის, იი სუნ-სინის მიერ ზღვაზე გაწეულმა მედგარმა წინააღმდეგობამ შეაფერხა, კორეელებმა ზურგიდან შეუტიეს და სანაპიროს გასწვრივ ბრძოლა გაუმართეს არმიის დანაყოფებს. როდესაც იაპონიის ჯარმა ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ წვერზე მდებარე ფხენიანს (დღევანდელი ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქი) მიაღწია, კონფლიქტში ჩინეთი ჩაერია, რადგან არ უნდოდა მისთვის ხარკისგადამხდელი ქვეყანა გადაეთელათ. 40 ათასიდან 100 ათასამდე სიმძლავრის ჩინურმა საექსპედიციო ჯარმა გადალახა იალუს მდინარე და იაპონიის ჯარს სეულამდე დაახევინა უკან. როცა ხუთწლიანი უშედეგო მოლაპარაკებებისა და სასტიკი ბრძოლების შემდეგ ჰიდეიოსი დაილუპა, დამპყრობელმა ჯარმა უკან დაიხია. აღდგა სტატუს კვო ანტე. ვინც ამბობს, ისტორია არ მეორდებაო, უნდა განსაჯოს, შეიძლება თუ არა ერთმანეთს შევადაროთ ჰიდეიოსის წინააღმდეგ ჩინეთის ქმედება და 400 წლის შემდეგ ამერიკის გამოცდილება კორეის ომში.

წარუმატებელი თავგადასავლის შემდეგ იაპონია ახალ კურსს დაადგა და სულ უფრო განზე გადგა. „ქვეყნის ჩაკეტვის" პოლიტიკით, რაც ორი საუკუნე გრძელდებოდა, იაპონია, ფაქტობრივად, სრულიად დაემშვიდობა საერთაშორისო ურთიერთობებში და მსოფლიო ნესრიგში მონაწილეობას. სრულყოფილი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები მკაცრი დიპლომატიური თანასწორობის საფუძველზე იაპონიას მხოლოდ კორეასთან აკავშირებდა. ჩინელ ვაჭრებს გარკვეულ ადგილებში ვაჭრობის საშუალება ჰქონდათ, მაგრამ ჩინეთსა და იაპონიას არ გააჩნდათ ოფიციალური ურთიერთობები, რად-

გან მხარეები ვერ შეთანხმდნენ პროტოკოლზე, რომელიც მათ პატივმოყვარეობას დააკმაყოფილებდა. ევროპულ სახელმწიფოებთან საგარეო ვაჭრობა მხოლოდ რამდენიმე საპორტო ქალაქით შემოიფარგლებოდა. 1673 წლამდე ჰოლანდიელები პრაქტიკულად განდევნილები იყვნენ და მხოლოდ ნაგასაკის პორტთან მდებარე პატარა ხელოვნურ კუნძულზე საქმიანობდნენ. 1825 წლამდე დასავლელი მეზღვაურების მიმართ უკმაყოფილება იმდენად გაიზარდა, რომ იაპონიის მმართველმა სამხედრო უწყებებმა ბრძანება გამოსცეს, რომელიც „უცხოელების ყველა ხერხით განდევნას" მოითხოვდა: ყველა უცხოური გემი, რომელიც იაპონიის სანაპიროს მიუახლოვდებოდა, საჭიროების შემთხვევაში, ძალის გამოყენებით უნდა განდევნილიყო.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს აღმოჩნდა შემდგომი დრამატული გარდატეხის შესავალი, რომლის დასრულებისასაც იაპონია ჩაერთო – უმეტესად დასავლურად ორიენტირებულ ორსაუკუნოვან – საერთაშორისო წესრიგში და იქცა ვესტფალიური პრინციპების შესაბამის თანამედროვე ძლიერ სახელმწიფოდ. ამ პროცესს დასაბამი მისცა 1853 წელს ოთხი ამერიკული საომარი გემის გამოჩენამ იაპონიის სანაპიროსთან, რომლებიც ვირჯინიის ქალაქ ნორფოლკიდან დაიძრა მისიით, დაერღვია ქვეყნის ჩაკეტვის ბრძანება და შესულიყო ტოკიოს ყურეში. კომენდანტმა მეთიუ პერიმ თან ჩაიტანა ამერიკის პრეზიდენტის, მილარდ ფილიმორის წერილი იაპონიის იმპერატორისადმი. პერიმ იაპონიის დედაქალაქში იმპერატორის წარმომადგენლებისთვის წერილის პირადად გადაცემა დაიჟინა (ეს იყო ორსაუკუნოვანი სამართლებრივი ტრადიციის და დიპლომატიური პროტოკოლის დარღვევა). იაპონელები, რომლებიც საგარეო ვაჭრობას ისევე უმნიშვნელოდ მიიჩნევდნენ, როგორც ჩინელები, ალბათ ვერ მოალბო პრეზიდენტის წერილმა, რომელიც იმპერატორს აუწყებდა (ფილიმორი

მას „დიდ და კარგ მეგობარს" უწოდებდა) ამერიკელი ხალხის აზრს, „რომ ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო იქნებოდა, თუკი მისი საიმპერატორო უდიდებულესობა შეცვლიდა ძველ კანონებს და დაუშვებდა თავისუფალ ვაჭრობას". ფილიმორი დე ფაქტო ულტიმატუმს ფუთავდა შეთავაზებად, რომელიც გულისხმობდა კლასიკურ ამერიკულ პრაგმატიზმს: მან მოსინჯა ქვეყნის ჩაკეტვის მანამდე ხელუხლებელი, მოძველებული კანონების შესუსტების შესაძლებლობა:

> თუ თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობა საბოლოოდ უკმაყოფილო დარჩება საგარეო ვაჭრობის ამკრძალავი ძველი კანონების გაუქმებით, იქნებ ხუთი ან ათი წლით, ექსპერიმენტის სახით, შეეჩერებინა ისინი. თუკი იმ სარგებელს ვერ მოიტანს, რისი იმედიც გვაქვს, ისევ აღადგენდით კანონებს. შეერთებული შტატები უცხო ქვეყნებთან ხელშეკრულებებს ხშირად უწესებს რამდენიმეწლიან ვადას და შემდეგ მათ იმის მიხედვით აახლებს ან წყვეტს, როგორც მიიჩნევს საჭიროდ.

იაპონელი ადრესატები მიხვდნენ, რომ ეს გზავნილი მათი პოლიტიკური და საერთაშორისო წესრიგის კონცეფციის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას უდრიდა. მიუხედავად ამისა, გამოწვევას ჩვეული თავშეკავებით უპასუხეს – მსგავსი თავდაჭერა მხოლოდ ისეთ ხალხს ახასიათებს, ვინც საუკუნეების განმავლობაში გამოსცადა ადამიანურ ვნებათა წარმავალობა და მაინც შეინარჩუნა საკუთარი რაობა. როდესაც დარწმუნდნენ, რომ ამერიკელები სამხედრო ძალით მათ აღემატებოდნენ (იაპონელების ცეცხლსასროლი იარაღი და ქვემეხები ორი საუკუნის განმავლობაში თითქმის აღარ განვითარებულა, პერის გემები კი ყველაზე თანამედროვე იარაღით იყო აღჭურვილი. იაპონიის სანაპიროზე მათ თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინეს), იაპონიის მმართველები მიხვდნენ, რომ „შავი

გემების" წინააღმდეგ ღია დაპირისპირება უშედეგო იქნებოდა. ამიტომ დაეყრდნენ საკუთარი მოსახლეობის ერთსულოვნებას და უნარს, დაეძლიათ შოკი და შეენარჩუნებინათ თვითმყოფადობა. ამიტომაც უაღრესად ზრდილობიანი წერილით განუმარტეს ამერიკას, რომ მათი ნასურვები ცვლილებები „ნამდვილად იმპერატორის წინაპრების კანონით იყო აკრძალული", მაგრამ „ძველი კანონების განუხრელი დაცვა ფეხს ვეღარ უწყობდა დროის მოთხოვნებს", რადგან „ახალი დროება სხვაგვარ ქმედებებს მოითხოვდა". იაპონიის წარმომადგენლებმა პერის აღუთქვეს, რომ მზად იყვნენ, მათი ყველა მოთხოვნა შეესრულებინათ, ის კი არა, ახალ ნავსადგურსაც ააშენებდნენ ამერიკული გემების მისაღებად.

იაპონიამ დასავლეთიდან წამოსული გამოწვევისგან სულ სხვა დასკვნა გამოიტანა, ვიდრე მსგავს სიტუაციაში აღმოჩენილმა ჩინეთმა. იქ პირველად 1793 წელს ჩავიდა ბრიტანელი დესპანი (იხ. შემდეგი თავი). ჩინეთმა არ გადაუხვია ტრადიციულ პოზიციას, რომელიც ავალდებულებდა შემოჭრილი ძალის ქვეყნიდან გაძევებას და გულისხმობდა რწმენას, რომ უზარმაზარი მოსახლეობისა და ტერიტორიების, დახვეწილი და ღრმად ფესვგადგმული კულტურის წყალობით, ჩინეთი მაინც დაიმკვიდრებდა თავს. იაპონიამ კი გულდასმით და ზედმიწევნით გააანალიზა მატერიალური და ფსიქოლოგიური ძალების ბალანსი, რათა გადაეწყვიტა, შეებიჯებინა თუ არა მსოფლიო წესრიგში, რომელიც ეფუძნებოდა სუვერენიტეტის, თავისუფალი ვაჭრობის, საერთაშორისო სამართლის, ტექნიკისა და სამხედრო ძალის დასავლურ წამოდგენებს – თუნდაც უცხოს მიერ ძალაუფლების მოპოვების აღკვეთის მიზნით. როდესაც 1868 წელს ძალაუფლების სათავეში მოვიდა ახალი ფრაქცია, რომელიც მოსახლეობას ჰპირდებოდა, რომ „პატივს მიაგებდა იმპერატორს და განდევნიდა ბარბაროსებს", გულისხმობდა, რომ ბარბაროსების კონცეფციებსა და ტექნიკურ მიღწევებს

აითვისებდა და იაპონიას ვესტფალიური წესრიგის თანასწორუფლებიან წევრად მიაღებინებდა. მეიძის პერიოდის ახალი იმპერატორის, მუცუჰიტოს კურთხევისას, არისტოკრატიამ ხელი მოაწერა „ფიცის ქარტიას“, რომელიც ითვალისწინებდა რეფორმების ფართო პროგრამას საზოგადოების ყველა ფენის მონაწილეობით. ყველა პროვინციაში უნდა გამართულიყო საკონსულტაციო შეკრებები, უნდა ეღიარებინათ წესრიგის ზომები და დაედოთ პირობა, რომ მოსახლეობის სურვილები აღსრულდებოდა:

1. ამ ფიცით ჩვენ ვისახავთ მიზანს, შევქმნათ სრულყოფილი ეროვნული კეთილდღეობა, ჩამოვაყალიბოთ კონსტიტუცია და კანონები.
2. უნდა გაიმართოს საკონსულტაციო კრებები და ყველა საკითხი განხილულ იქნას საჯარო თათბირებისას.
3. ყველა ფენამ, მაღლიდან ქვემოთ, ბეჯითად უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფო საქმეების ერთობლივ მართვას.
4. უბრალო ხალხს სამოქალაქო და სამხედრო მოხელეებზე ნაკლები შესაძლებლობა არ უნდა ჰქონდეს საკუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად, რათა თავიდან ავიცილოთ უკმაყოფილება.
5. უნდა დავძლიოთ წარსულის მავნე ჩვევები და დავეყრდნოთ ბუნების სამართლიან კანონებს.
6. უნდა გავიზიაროთ მთელი მსოფლიოს ცოდნა და გამოცდილება, რათა გაძლიერდეს იმპერატორის მმართველობის ფუნდამენტი.

იაპონია მიზანდასახულად შეუდგა სარკინიგზო ქსელის, თანამედროვე ინდუსტრიის, ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკისა და უახლესი სამხედრო ძალის განვითარებას. ამ ცვლილებათა ორომტრიალში იაპონელებს ეროვნული თვით-

მყოფადობა უნდა შეენარჩუნებინათ უნიკალური კულტურითა და საზოგადოებრივი ერთსულოვნებით.

ამ დრამატული ცვლილებების შედეგებმა ქვეყანა რამდენიმე ათწლეულში აქცია გლობალური მნიშვნელობის ძალად. 1886 წელს ნაგასაკიში ჩინელი მეზღვაურები ქუჩაში დაუპირისპირდნენ პოლიციელებს. საქმის გასარჩევად ჩინეთმა იაპონიაში გაგზავნა გერმანელების მიერ აშენებული თანამედროვე საომარი გემი. მომავალ ათწლეულში იაპონიამ კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკური მოდერნიზაცია და სამხედრო ფლოტის განვითარება; როდესაც 1894 წელს კორეაში იაპონიის და ჩინეთის გავლენის გამო დაპირისპირება ომში გადაიზარდა, იაპონიამ გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა ჩინეთზე. სამშვიდობო ზავი გულისხმობდა კორეაში ჩინეთის გავლენის დასასრულს (რამაც გზა გაუხსნა იაპონიასა და რუსეთს შორის ახალ დაპირისპირებას) და ტაივანის დათმობას, რომელიც მას შემდეგ იაპონურ კოლონიად იმართებოდა.

ეს რეფორმები ისეთი ძალით ტარდებოდა, რომ დასავლურ სახელმწიფოებს იაპონიაში მოუწიათ „ექსტრატერიტორიულობის" მოდელის დათმობა, ანუ მათ დათმეს „უფლება", საკუთარი მოქალაქეები საკუთარი კანონებით გაესამართლებინათ და არა ადგილობრივი კანონებით – ეს პრაქტიკა მათ პირველად ჩინეთში შემოიღეს. დასავლეთის წამყვანმა ძალამ – დიდმა ბრიტანეთმა საეტაპო სავაჭრო ხელშეკრულებით აიღო ვალდებულება, ქვეშევრდომები იაპონური იურისდიქციის ქვეშ მოექცია. 1902 წელს ბრიტანული ხელშეკრულება გადაკეთდა სამხედრო ალიანსად, რომელიც წარმოადგენდა პირველ ფორმალურ სტრატეგიულ შეთანხმებას აზიურ და დასავლურ ძალებს შორის. დიდმა ბრიტანეთმა ალიანსის შექმნით უპასუხა ინდოეთზე რუსეთის მიერ განხორციელებულ ზეწოლას. იაპონიამ მიზნად დაისახა, რუსეთს კორეა და მანჯურია ვერ დაეპყრო და ამ რეგიონებში თვითონ ემოქმედა თავისუფლად.

სამი წლის შემდეგ იაპონიამ მსოფლიო გააოცა, როცა ომის დროს გაანადგურა რუსეთის ფლოტი – ეს იყო თანამედროვე ეპოქაში აზიური ქვეყნის პირველი გამარჯვება დასავლეთის ქვეყანაზე. პირველ მსოფლიო ომში იაპონია შეუერთდა ანტანტის სახელმწიფოებს და გერმანიის ბაზები დაიპყრო ჩინეთსა და წყნარი ოკეანის სამხრეთში.

იაპონია თანამედროვეობას „შეუერთდა". ის იყო პირველი დიდი არადასავლური ძალა, რომელმაც მოიპოვა სამხედრო, ეკონომიკური და დიპლომატიური აღიარება როგორც თანასწორმა სახელმწიფომ მანამდე საერთაშორისო წესრიგის განმსაზღვრელ ქვეყნებს შორის. მაგრამ არსებობდა ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება: იაპონიისთვის დასავლეთის ქვეყნებთან ალიანსი არ ეფუძნებოდა საერთო სტრატეგიულ მიზნებს, არამედ აზიიდან ევროპელი პარტნიორების განდევნას.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასუსტებული ევროპა, კონფლიქტებითა და ფინანსური კრიზისებით შერყეული მსოფლიო, ამერიკის მიერ იზოლაციის პოლიტიკის გატარება – ყველაფერ ამაში იაპონიის მესვეურებმა დაინახეს აზიაში იმპერიალისტური ექსპანსიით ჰეგემონიის მოპოვების ხელსაყრელი შესაძლებლობა. 1931 წელს იაპონიამ დაიპყრო მანჯურია და იგი აქცია იაპონურ სატელიტურ სახელმწიფოდ, რომელსაც მართავდა გადასახლებაში მყოფი ჩინეთის იმპერატორი. 1937 წელს იაპონიამ ომი გამოუცხადა ჩინეთს დამატებითი ტერიტორიების დაპყრობის მიზნით. იაპონიამ „აზიის ახალი წესრიგის" და შემდგომ „კეთილდღეობის დიდი აზიური სივრცის" სახელით შექმნა საკუთარი ანტივესტფალიური გავლენის სფერო – „აზიური ერების ბლოკი, რომელსაც მართავდა იაპონია და რომელიც თავისუფალი იყო ევროპული სახელმწიფოებისგან"; ბლოკი იერარქიულად უნდა ყოფილიყო აწყობილი, „რომ ყველა ერს მისცემოდა მსოფლიოში საკუთა-

რი ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობა". ახალ წესრიგს – იაპონიის ჰეგემონიას უნდა ჩაენაცვლებინა სხვა აზიური სახელმწიფოების სუვერენიტეტი.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო წესრიგის ნევრი სახელმწიფოები იმდენად ძალაგამოცლილები იყვნენ და იმდენად დაკავებული ევროპაში გამწვავებული ეკონომიკური კრიზისით, რომ ვერ შეენინააღმდეგნენ ამ გეგმას. იაპონიის ექსპანსიას ერთადერთი დასავლური სახელმწიფო უღობავდა გზას – შეერთებული შტატები, რომელმაც დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე აიძულა იაპონია უცხო ქვეყნის მიმართ გახსნილიყო. ბედის ირონიაა, რომ ორ ქვეყანას შორის ომში 1941 წელს პირველი ბომბები ამერიკის ტერიტორიაზე ჩამოცვივდა – როდესაც იაპონელები თავს დაესხნენ პერლ ჰარბორს. წყნარ ოკეანეში ამერიკის მობილიზაციის კულმინაცია იყო ორი ატომური ბომბის ჩამოგდება (დღემდე ერთადერთი შემთხვევა), რომლის შედეგად იაპონიამ უპირობო კაპიტულაცია გამოაცხადა.

იაპონია საკუთარ მარცხს ამჯერადაც იმავენაირად მოერგო, როგორც თავის დროზე კომენდანტ პერის მოთხოვნებს: წინააღმდეგობის გაწევის უდრეკი, უნიკალურ ეროვნულ კულტურაზე დაფუძნებული ეროვნული ნების გამოვლინების უნარით. იაპონელი ერის ნელში გასამართად იაპონიის ომის შემდგომი პერიოდის ლიდერებმა (რომლებიც 1930-იან და 1940-იან წლებში თითქმის უკლებლივ მსახურობდნენ სახელმწიფო სამსახურში) დამარცხება ნარმოაჩინეს როგორც ამერიკულ პრიორიტეტებზე მორგება. და მართლაც, იაპონიამ ამერიკის ოკუპაციური რეჟიმი გამოიყენა ქვეყნის უკეთესი მოდერნიზაციისა და ძალების სწრაფად აღდგენისათვის, რაც მხოლოდ ეროვნული მცდელობებით ასეთი ტემპით ვერ განხორციელდებოდა. იაპონიამ უარი თქვა ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის ინსტრუმენტზე, გააღრმავა კონსტრუქციული

დემოკრატიის პრინციპები და საერთაშორისო სახელმწიფოთა სისტემას დაუბრუნდა ამერიკის მოკავშირის როლში, თუმცა იგი ალიანსის თავშეკავებული პარტნიორი იყო, რომელიც თავის ეკონომიკურ აღმავლობას უფრო ცდილობდა, ვიდრე დიდ სტრატეგიულ საკითხებში მონაწილეობას. თითქმის სამოცდაათი წლის განმავლობაში ითამაშა ამ ახალმა მიდგომამ აზიაში სტაბილურობის და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და კეთილდღეობის დამყარებაში მნიშვნელოვანი როლი.

ომის შემდეგ იაპონიის პოზიციას ხშირად უწოდებენ „პაციფისტურს", სინამდვილეში კი ბევრად უფრო კომპლექსურია. უპირველესად, იგი ასახავს ამერიკული ჰეგემონიის აღიარებას და არსებული სტრატეგიული რუკის შეფასებას, რამაც იაპონიას ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოუტანა წარმატება. ომისშემდგომი იაპონიის პოლიტიკური კლასი აღიარებს კონსტიტუციას, რომელიც შექმნეს ამერიკელმა ოკუპანტებმა და რომელიც, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მკაცრად კრძალავს სამხედრო ქმედებებს. პოლიტიკურმა კლასმა გაითავისა კონსტიტუციის ლიბერალურ-დემოკრატიული ფორმა, აღიარა დემოკრატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის პრინციპები, რომლებიც ესადაგება დასავლეთის დედაქალაქების მიდგომებს.

ამავდროულად, იაპონიამ თავისი უნიკალური დემილიტარიზებული როლი გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებს მიუსადაგა. მისმა ხელმძღვანელობამ ომისშემდგომი პაციფისტური ასპექტები, მათ შორის, სამხედრო ქმედებების აკრძალვა, გამოიყენა ეროვნული სტრატეგიის სხვა ასპექტებზე მისამართად, მათ შორის, ეკონომიკური აღმშენებლობისკენ. მათ ამერიკელებს სთხოვეს, ქვეყანაში ჯარის დიდი კონტინგენტი დაეტოვებინათ. ამერიკული ჯარის თავდაცვის მანდატი განმტკიცდა უსაფრთხოების ერთობლივი ხელშეკრულებით, რომელიც მიზნად ისახავდა შესაძლო მოწინააღმდეგეების

(მათ შორის საბჭოთა კავშირის, რომელიც წყნარ ოკეანეში თავის გავლენას აფართოებდა) იაპონიაზე თავდასხმის თავიდან აცილებას. იაპონიის ხელმძღვანელობა, მოახერხა რა ცივი ომის დროს თავისი ურთიერთობების ჩარჩო-პირობების ჩამოყალიბება, წყნარად შეუდგა საკუთარი სამხედრო პოტენციალის განვითარებას.

ომისშემდგომ პერიოდში იაპონიამ შეძლო შორს დაეჭირა თავი ცივი ომის დაპირისპირებებისგან და მეტი ყურადღება დაეთმო რეფორმებისთვის, ეკონომიკის გასავითარებლად. მან ლეგალურად დაიკავა ადგილი განვითარებული დემოკრატიების ბანაკში, თუმცა უარს ამბობდა იდეოლოგიურ ბრძოლებში მონაწილეობაზე, ასაბუთებდა რა თავის პოზიციას პაციფისტური ორიენტაციით და საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ პატივისცემით. ამ ჭკვიანურმა სტრატეგიამ უზრუნველყო ეკონომიკის აღმავლობა, რომლის მსგავსი მხოლოდ 1868 წლის მეიძის რევოლუციის შემდეგ ენახა ქვეყანას. ომით დანგრეული იაპონია სულ რაღაც 20 წელიწადში იქცა დიდ გლობალურ ეკონომიკურ მოთამაშედ. სულ მალე იაპონიის „ეკონომიკური სასწაული" ამერიკის ეკონომიკური ჰეგემონიის შესაძლო მუქარად აღიქმებოდა; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში იაპონური ეკონომიკის ზრდაც საგრძნობლად შეფერხდა.

სოციალური სოლიდარობა და ეროვნული მოვალეობის განცდა, რამაც შესაძლებელი გახადა ეს გასაოცარი ცვლილებები, ისევ აღმოჩნდა გამოცდის წინაშე, როცა უახლოეს წარსულში ქვეყანას ახალი გამოწვევები გამოუჩნდა. სწორედ მათი საშუალებით დასძლია იაპონიამ 2011 წელს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის, ცუნამის და ატომური კატასტროფის შედეგები. ეს იყო ბუნების კატასტროფა, რომელიც მსოფლიო ბანკის შეფასებით, კა-

ცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძვირი დაჯდა. ქვეყანამ გამოავლინა დახმარების შთამბეჭდავი მზაობა და ეროვნული სოლიდარობა. იაპონია თავის ფინანსურ და დემოგრაფიულ გამოწვევებს ცივი გონებით განსჯის და ხშირად მიმართავს გაბედულ ნაბიჯებს. ყველა გამოწვევის პირისპირ იგი საკუთარ რესურსებს განამტკიცებს ტრადიციული რწმენით, რომ რაც არ უნდა მოხდეს, მაინც შეინარჩუნებს ეროვნულობას და კულტურას.

ძალთა ბალანსის დრამატულ ცვლილებებს იაპონიის ისტაბლიშმენტი მოქნილი საგარეო პოლიტიკით ეგებება. პრემიერ-მინისტრმა სინძო აბემ ძლიერი ეროვნული მმართველობა აღადგინა ქვეყანაში და ტოკიოს საკუთარი შეხედულებების მიხედვით მოქმედების შესაძლებლობა მიანიჭა. 2013 წლის დეკემბერში იაპონიის მთავრობამ გამოსცა სტრატეგიული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, „იაპონიის უსაფრთხოების პოლიტიკის გარემო იმღვრევა... იაპონია იძულებულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპების ფარგლებში გააქტიურდეს“, მათ შორის იგულისხმება იაპონიის „მუქარის პოტენციალის გაზრდა“. აზიის სტრატეგიული ლანდშაფტის ცვლილების პირობებში იაპონია სულ უფრო მკვეთრად გამოხატავს სურვილს, გახდეს სამხედრო ძალის მქონე „ნორმალური ქვეყანა“, რომელსაც კონსტიტუცია არ აუკრძალავს ომში ჩართვას და აქტიურ მეკავშირეობით პოლიტიკას. აზიის რეგიონული წესრიგისთვის მნიშვნელოვანი იქნება „ნორმალური“ განიმარტოს.

იაპონია, როგორც თავისი ისტორიის ყველა გადამწყვეტ მომენტში, ახლაც დგამს ნაბიჯებს საერთაშორისო წესრიგის ფარგლებში თავისი განსაკუთრებული როლის გამოსაკვეთად; ამასთან, მას კარგად ესმის თავისი როლის შორსმიმავალი გავლენა რეგიონზე და მის გარეთაც. ახალი პოზიციის ძიებაში

იაპონია ყურადღებით, ცივი გონებით და მშვიდად შეაფასებს, როგორ იცვლება მატერიალური და ფსიქოლოგიური ძალების ბალანსი ჩინეთის აღორძინების, კორეის განვითარების და იაპონიის უსაფრთხოებაზე მათი გავლენის პირობებში. იაპონია შეაჯამებს აშშ-სთან ალიანსის სარგებლობას და იმ დიდ წარმატებას, რაც ალიანსმა მოუტანა მათ საერთო ინტერესებს. ასევე კრიტიკულად მიუდგება ამერიკელების უკან დახევას სამი სამხედრო კონფლიქტიდან. ამ ანალიზს იაპონია ჩაატარებს სამი მნიშვნელოვანი ვარიანტის გათვალისწინებით: კვლავ ამერიკასთან ალიანსისთვის უპირატესობის მინიჭება, ჩინეთის აღმავლობაზე მორგება თუ უფრო გამოკვეთილი ნაციონალური საგარეო პოლიტიკა. ამ სამიდან რომელი ვარიანტი იქნება უფრო მნიშვნელოვანი ან ხომ არ აირჩევს სამივე ფაქტორის კომბინაციას, დამოკიდებულია იაპონიის მიერ გლობალურ ძალთა თანაფარდობის შეფასებაზე, მათ აღქმაზე და არა აშშ-ის ფორმალურ დაპირებებზე. თუკი იაპონია ძალთა ახალ კონფიგურაციას ამოიცნობს რეგიონში და მსოფლიოში, გადაწყვეტილებას რეალური სიტუაციიდან გამომდინარე მიიღებს და არა ტრადიციული ალიანსების სასარგებლოდ. საბოლოოდ, შედეგი დამოკიდებულია იაპონიის ხელმძღვანელობის მიერ აზიაში ამერიკის პოლიტიკის სარწმუნოობის აღქმაზე და მათ მიერ მთლიანად ძალთა ბალანსის შეფასებაზე. ამერიკის გრძელვადიანი სტრატეგია ისევე იმსახურებს დისკუსიას, როგორც იაპონიის პოლიტიკის ანალიზი.

ინდოეთი

იაპონიაში დასავლეთის შეჭრით გამოწვეულმა იმპულსებმა ისტორიულ ერს ჩამოყალიბების კურსი შეუცვალა, ინდოეთში კი დიდი ცივილიზაციის მქონე ერი თანამედროვე სახელმწიფოდ გადააქცია. სხვადასხვა საერთაშორისო წესრიგის გზა-გასაყარზე მდებარე ინდოეთს დიდი ხნის ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი განსაკუთრებული ხასიათი; მისი განვითარების რიტმს საერთაშორისო მოვლენები განსაზღვრავდა, თუმცა ინდოეთის გავლენაც არანაკლები იყო მისი გარემოცვის ფორმირებაზე. ინდოეთი უფრო მეტად კულტურული ტრადიციის საერთო სპექტრით განისაზღვრებოდა, ვიდრე პოლიტიკური საზღვრებით. ამ ქვეყანას არ გააჩნია დაარსების მითი, რომელიც ერთ სუბიექტს მიაწერდა ჰინდუიზმის – უმრავლესობის რწმენის და რწმენის მრავალი სხვა ფორმის წარმოშობის წყაროს – გამოცხადებას. ინდოეთის ისტორიას, არცთუ თანმიმდევრულად და სრულად, მაგრამ საინტერესოდ გადმოგვცემენ შემორჩენილი ჰიმნები, ლეგენდები, ინდისა და განგის სანაპიროებზე, ზეგანებსა და ჩრდილოეთისა და დასავლეთის მთებში შექმნილი კულტურული რიტუალების სინთეზი. ჰინდუს მიხედვით, ეს განსაკუთრებული ფორმები ფუნდამენტური პრინციპების გამოხატვის ნაირსახეობა იყო, რომელიც არსებობდა ნაწერ ტექსტებამდე. ჰინდუიზმი, რომელიც თავისი მრავალფეროვნების გამო ძნელი დასახასიათებელია, იმდენ სხვადასხვა ღმერთსა და ფილოსოფიურ ტრადიციას მოიცავს, რომ ევროპაში თითოეულ მათგანს ნამდვილად განსხვავებულ რელიგიებად მიიჩნევდნენ. ჰინდუიზმი აღიქმებოდა უზენაესის მრავალსახეობასთან მიახლოებად და მისი ერთადერთობის საბუთად, რომელიც „ყოვლისმომცველად და უსასრულოდ ასახავს ადამიანის მიერ სინამდვილის ძიების ხანგრძლივ და მრავალფეროვან ისტორიას“.

ერთიანობის დროს – ძველი წელთაღრიცხვის მე-4-მე-2 საუკუნეებში და ახალი წელთაღრიცხვის მე-4-მე-7 საუკუნეებში – ინდოეთიდან კულტურული გავლენების უზარმაზარი ნაკადი წამოვიდა. ბუდიზმი ინდოეთიდან გავრცელდა ბირმაში, ცეილონში, ჩინეთსა და ინდონეზიაში. ჰინდუიზმის ხელოვნებამ და სახელმწიფო მმართველობამ გავლენა მოახდინა ტაილანდზე, ინდოჩინეთსა და სხვა ტერიტორიებზე. გახლეჩილობის დროს – ინდოეთი ხშირად იყო დაყოფილი ერთმანეთთან დაპირისპირებულ სამეფოებად – იგი ინვაზორებს, ვაჭრებსა და თავგადასავლების მაძიებლებს იზიდავდა სულიერების საპოვნელად (ზოგმა მათგანმა ერთდროულად რამდენიმე როლი შეითავსა, მაგალითად, პორტუგალიელებმა, რომლებიც იქ 1498 წელს ჩავიდნენ „ქრისტიანებისა და სანელებლების საძიებლად"). ინდოეთს ძალას ართმევდა მძარცველების შეტევები, მაგრამ საბოლოოდ, მათი კულტურაც გაითავისა და საკუთარს შეურწყა.

ჩინეთი მის ტერიტორიაზე შეჭრილებს თანამედროვე ეპოქამდე ისეთი წარმატებით ახვევდა თავს თავისი წეს-ჩვეულებებისა და კულტურის მატრიცას, რომ ბოლოს დამპყრობლებსა და ჩინელებს შორის ზღვარიც კი წაიშალა. ინდოეთი კი უცხოელების გავლენების გადამუშავებას არ ცდილობდა მათი ინდურ რელიგიასა და კულტურაზე მოქცევით, არამედ მათ ამბიციებს საოცარი სიმშვიდით ეგებებოდა. ინდოეთი მათ მიღწევებს და ცოდნას დინჯად ითავისებდა და არ ამჟღავნებდა, რომ მასზე რამე ახდენდა შთაბეჭდილებას. ინვაზორები უზარმაზარ ძეგლებს იგებდნენ, თითქოს ცდილობდნენ, თავად დარწმუნებულიყვნენ საკუთარ სიდიადეშიო, ინდოელმა ერმა კი უცხოს ბატონობა თავისი კულტურის წყალობით გადაიტანა, კულტურის, რომელიც უცხო გავლენას სიმშვიდით ეგებებოდა. ინდოეთის ტრადიციული რელიგიები არ შეიცავს მესიანური აღთქმის წინასწარმეტყველურ ხილვებს, არამედ უფრო

მეტად ადამიანის ყოფის სიმყიფეს გამოხატავს. რელიგიები არ გვპირდებიან პირად ნეტარებას, არამედ გვანუგეშებენ, რომ ვერავინ გაექცევა ბედს.

ჰინდუისტური კოსმოლოგიის მიხედვით, მსოფლიო წესრიგი მარადიულ ციკლებად იმართება, მათი ხანგრძლივობა კი მილიონობით წლით იზომება. სამეფოების დაცემას და სამყაროს დაღუპვას ხელახალი დაბადება მოჰყვება და შემდეგ სხვა სამეფოები აღზევდებიან. ინდოეთში შეჭრილი ყველა დამპყრობელი (სპარსები ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში, ალექსანდრე დიდი და ბერძნულ-ბაქტრიულიული ხალხები ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში, არაბები მე-8 საუკუნეში, თურქები და ავღანელები მე-11 და მე-12 საუკუნეებში, მონღოლები მე-13 და მე-14 საუკუნეებში, დიდ მოგოლთა იმპერია მე-16 საუკუნეში, შემდეგ კი სხვადასხვა ევროპული ერი) ამ მარადიულ მატრიცაში ჩაეწერა. მათ არეულობა გამოიწვიეს, მაგრამ, უსასრულობასთან შედარებით, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონიათ. ადამიანის გამოცდილების ჭეშმარიტი ბუნება მხოლოდ მათ შეიცნეს, ვინც დროებით არეულობას მშვიდად იტანდა და უფრო შორს იხედებოდა.

ინდოეთის კლასიკური ნაწარმოები „ბჰაგავადგიტა“ სულიერ გამოცდებს მორალისა და ძალაუფლების ჭრილში განიხილავს. „მაჰაბჰარატას“ ეპოსის (ძველი პოეტური ეპოსი სანსკრიტზე, რომლის გავლენას ხანდახან ბიბლიისა და ჰომეროსის ეპოსების გავლენას ადარებენ) ეს ეპიზოდი აგებულია როგორც დიალოგი მებრძოლ თავად არიუნას და მის წინამძღოლს შორის, რომელიც წარმოადგენს ღმერთ კრიშნას მანიფესტაციას. არიუნა ბრძოლის წინა დღეს „სევდას შეუპყრია“ და თავის თავს ეკითხება, რამ უნდა გაამართლოს ომის საშინელებანიო. კრიშნა პასუხობს, ეს არასწორი კითხვააო. რადგან სიცოცხლე მარადიული ციკლია და სამყარო არასოდეს განადგურდება, „ბრძენი... არც ცოცხლებს დასტირიან და არც მკვდრებს. არასოდეს

ყოფილა დრო, რომელშიც არ ვყოფილვარ მე ან არ ყოფილხარ შენ და არ ყოფილან მთელი ეს მეფეები; მომავალშიც ვიქნებით ჩვენ ყველანი". ნეტარება მოვალეობის შესრულებას მოსდევს, დაწყვილებულს შემეცნებასთან, რომ მისი გარეგნული მანიფესტაცია მცდარია, რადგან „წარმავალს არ გააჩნია რეალობა", ეს უკანასკნელი მხოლოდ „მარადისობაში" არსებობს. მებრძოლმა არიუნამ უნდა წარმართოს ომი, რომელიც თავად არ უნდოდა. იგი უნდა შეურიგდეს ბედს, ღირსეულად შეასრულოს თავისი როლი, მოკლას მტერი და მოიპოვოს გამარჯვება „მწუხარების გარეშე".

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კრიშნა მეომარს მოვალეობის შეხსენებით არწმუნებს მოქმედების სისწორეში და არიუნა ეჭვებს გადალახავს, ომის საშინელება დარდს მაინც უმწვავებს – ომის საშინელებები დაწვრილებით არის აღწერილი „მაჰაბჰარატაში". ჰინდუისტური აზროვნების ამ ცენტრალურ ნაწარმოებში ფორმულირებულია ომის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, მაგრამ ომის თავიდან აცილება კი არ არის მთავარი, არამედ მისი გონებრივი გადამუშავება. მორალი უარყოფილი არ არის, მაგრამ მოცემულ სიტუაციებში უშუალო მოსაზრებებია გადამწყვეტი, მაშინ, როცა მარადისობა ნეტარობის პერსპექტივას გვპირდება. იმას, რაც ზოგიერთი მკითხველისთვის ბრძოლაში სიმამაცისკენ მოწოდებად აღიქმება, მოგვიანებით განდიმ თავისი „სულიერი ლექსიკონი" უწოდა.

მარადიული ჭეშმარიტების რელიგია ქადაგებდა, რომ ნებისმიერი მიწიერი საქმიანობა წარმავალია, რითიც პრაქტიკული მოთხოვნილებების წინაშე მდგარ ნებისმიერ მმართველს მოქმედების ფართო ასპარეზი ეხსნებოდა. ამ სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის სახელმწიფო მოღვაწე, მინისტრი ჩანაკია, რომელიც მიიჩნევა ინდოეთის ჩანდრაგუპტა მაურიას დინასტიის აღზე-

ვების არქიტექტორად, მან გააძევა ჩრდილოეთ ინდოეთიდან ალექსანდრე დიდის შთამომავლები და ერთი მმართველობის ქვეშ პირველად გააერთიანა ინდოეთის სუბკონტინენტი.

ჩანაკია წერდა ინდოეთზე, რომლის გარშემოწერილობა შეიძლება შევადაროთ ვესტფალიის ზავამდე პერიოდის ევროპას. იგი აღწერდა ნაკრებს სახელმწიფოებისა, რომლებიც პოტენციურად შეიძლებოდა ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ. მან მაკიაველის მსგავსად გააანალიზა მსოფლიო, როგორც იგი ხედავდა მას და შემოგვთავაზა მოქმედების პრაქტიკული და არა ნორმატიული ინსტრუქციები. მისი მორალური საფუძველი ჰგავს თითქმის ორი ათასწლეულის შემდეგ მოღვაწე რიშელიეს პოზიციას: სახელმწიფო მყიფე წარმონაქმნია. სახელმწიფო მოღვაწეს არ აქვს მორალური უფლება, საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს არსებობას ეთიკური მოსაზრებების გამო.

გადმოცემის მიხედვით, ჩანაკიამ, სტრატეგიული და საგარეო პოლიტიკური დაკვირვებები გადაამუშავა წიგნად სახელმწიფოს მართვის ხელოვნების შესახებ. „არტჰაშასტრა“ საოცრად მკაფიოდ და მშრალად აყალიბებს იმ მეთოდების ხედვას, რომლითაც უნდა შექმნას, დაიცვას სახელმწიფო. ეს მეთოდებია დამორჩილება, დასუსტება და, შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში, მეზობელი ქვეყნების დაპყრობა. წიგნი გვთავაზობს სახელმწიფოს მართვის პრაქტიკულ ინსტრუქციებს და არა ფილოსოფიურ დისკურსს. ჩანაკიას ძალაუფლება მიაჩნდა უპირველეს, მრავალგანზომილებიან, ფაქტორების ერთობლიობიდან გამომდინარე რეალობად, კონკრეტული სიტუაციის ყველა ელემენტის მნიშვნელობით. მათი გათვლა და მანიპულაცია შესაძლებელი იყო მმართველის სტრატეგიული ამოცანების სასარგებლოდ. გეოგრაფია, ფინანსები, სამხედრო სიძლიერე, დიპლომატია, შპიონაჟი, სამართალი, სოფლის მეურნეობა, კულტურული ტრადიციები,

მორალი და ხალხის აზრი, ჭორები და ლეგენდები, ადამიანების მავნე ჩვევები და სისუსტეები – ყველაფერი ეს ბრძენ მეფეს ისე უნდა გაეერთიანებინა, რომ ჩაეყენებინა იმპერიის სიძლიერისა და გაფართოების სამსახურში – დაახლოებით ისე, როგორც ამას შვრება დირიჟორი, რომელიც ცალკეულ ინსტრუმენტებს ჰარმონიულ სიმფონიად აქცევს. ამდენად, „არტჰაშასტრა" გვევლინება მაკიაველის და კლაუზევიცის ერთგვარ კომბინაციად.

ათასწლეულებით ადრე, ვიდრე ევროპელი მოაზროვნეები ადგილზე არსებული მოცემულობების საფუძველზე ძალთა წონასწორობის თეორიას შექმნიდნენ, ამ ნაშრომმა შექმნა შესაბამისი, ალბათ უფრო დახვეწილი სისტემაც კი ე. წ. „სახელმწიფოთა წრისა". მეზობელი ხალხები, ჩანაკიას ანალიზის მიხედვით, მუდმივად ლატენტური მტრობის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მიუხედავად მეგობრული ურთიერთობების შეპირებისა, ყველა მბრძანებელს, ვინც ცდილობდა საკუთარი ძალაუფლების გაფართოებას, საბოლოოდ უჩნდებოდა მეზობელი სამეფოს დაპყრობის ინტერესი. თვითგადარჩენის ეს თვისება თანდაყოლილია და მისთვის მორალს არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია. ჩანაკია, როგორც ორი ათასი წლის შემდეგ ფრიდრიხ დიდი, ასკვნის, რომ კონკურენტული ბრძოლის მკაცრი ლოგიკა არ ითმენს დათმობებს: „დამპყრობელი მუდამ უნდა ცდილობდეს საკუთარი ძალაუფლება და ბედნიერება განამტკიცოს". იმპერატიული ტონი აშკარაა: „როდესაც ... დამპყრობელი უფრო ძლიერია, ბრძოლა უნდა წარმართოს, სხვა შემთხვევაში კი – არა".

ევროპელი თეორეტიკოსები საგარეო პოლიტიკის მიზნად მიიჩნევდნენ ძალთა ბალანსს და მათ შექმნეს მსოფლიო წესრიგი, რომელიც სახელმწიფოთა შორის ძალთა წონასწორობას ეყრდნობოდა. „არტჰაშასტრაში" სტრატეგია მიმართული იყო ყველა სხვა ქვეყნის დაპყრობისკენ, რათა დაძლეულიყო

წონასწორობა, რომელიც გამარჯვებას გზას უღობავდა. ამ თვალსაზრისით, ჩანაკია ნაპოლეონსა და ცინ შიხუანდის (ჩინეთის გამაერთიანებელ იმპერატორს) უფრო შეიძლება შევადაროთ, ვიდრე მაკიაველის.

ჩანაკიას მიხედვით, სახელმწიფოების მოვალეობა იყო საკუთარი ინტერესების გატარება და არა სახელისა და დიდების მოხვეჭა. ბრძენი მმართველი მოკავშირეებს თავისი მეზობლების მეზობლებში ეძებდა, რათა შეექმნა კავშირების სისტემა, რომლის ცენტრშიც თავად იდგებოდა როგორც დამპყრობელი: „დამპყრობელმა სახელმწიფოთა წრე უნდა წარმოიდგინოს როგორც ბორბალი – თავად ის არის ბორბლის შუაგული, ირგვლივ მოკავშირეები, რომელიც მასთან ჩხირებით არიან დაკავშირებული და თან გამოყოფილები მათ შორის არსებული სივრცით. რაც არ უნდა ძლიერი იყოს მტერი, მაინც შეიძლება შეუტიო, თუკი დამპყრობელსა და მის მოკავშირეთა შორის მოიმწყვდევ“. მაგრამ არცერთი ალიანსი არ არის მუდმივი. საკუთარი ალიანსის სისტემაშიც კი უნდა ჩაატაროს მეფემ „საქმენი თავისი ძლევამოსილების განსამტკიცებლად, გააძლიეროს სახელმწიფო და აღკვეთოს მეზობელი ქვეყნების მიერ მისი საწინააღმდეგო ალიანსების შექმნა.

ჩანაკია, ისევე, როგორც ჩინელი სამხედრო სტრატეგი სუნ ძი მიიჩნევდა, რომ ყველაზე მეტად ჩახლართული კურსი იყო განსაკუთრებულად გონივრული მეზობლებსა და პოტენციურ მოკავშირეებს შორის შუღლის ჩამოსაგდებად: „მეზობელი მეფე თავის მეზობლებთან საომრად უნდა წააქეზო, რათა აღიკვეთოს მათი გაერთიანება, მხოლოდ ასე დაამარცხებ მტერს“. სტრატეგიული სწრაფვა უსასრულო ამოცანაა. წარმატების შემთხვევაში, ფართოვდება მეფის სამფლობელო, შესაბამისად იცვლება საზღვრები, ახლად ყალიბდება სახელმწიფოთა წრე. ძალაუფლების ახალი გათვლებია საჭირო, მოკავშირეები მტრებად იქცევიან და მტრები – მოკავშირეებად.

დღეს რასაც ფარული დაზვერვის ოპერაციებს ვუწოდებთ, „არტჰაშასტრაში" ზედმიწევნითაა აღწერილი. აგენტებმა „წრის ყველა სახელმწიფოში" (ანუ მეგობრებთანაც და მტრებთანაც) მოქმედებისას, „წმნიდა ასკეტებს, მოხეტიალე ბერებს, მეურმეებს, მოხეტიალე მომღერლებს, თაღლითებს, უსაქმურებს და მკითხავებს შორის" უნდა დაყარონ ჭორები, რათა სახელმწიფოებს შორის და ქვეყნის შიგნით გააღვივონ დაპირისპირება, გაანადგურონ მტრული არმიები და შესაფერის მომენტში ბოლო მოუღონ მეფის მოწინააღმდეგეებს.

ჩანაკია, სხვათა შორის, იმასაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ სასტიკი მეთოდით მიზნად ისახავდა ჰარმონიული მსოფლიოს შექმნას და დჰარმას – ღმერთების მიერ ნაკარნახევ პრინციპებზე დაყრდნობილი მარადიული მორალური წესრიგის გაძლიერებას. მორალისა და რელიგიის დამოწმება, რასაკვირველია, უფრო პრაქტიკულ და ოპერატიულ მიზნებს ემსახურებოდა, ვიდრე პრინციპებს – როგორც შემადგენელი ნაწილები დამპყრობლის სტრატეგიისა და ტაქტიკისა, არა როგორც წესრიგის გამაერთიანებელი კონცეფციის იმპერატივისა. ამასთან, „არტჰაშასტრაში" შეიცავს მინიშნებას, რომ ზომიერ ადამიანურ ქმედებას მეტწილად სტრატეგიული სარგებელი მოაქვს: მეფე, რომელიც თავის ქვეშევრდომებს ჩაგრავს, მათ მხარდაჭერას ვეღარ მოიპოვებს და აჯანყებისა და ინვაზიების საშიშროების წინაშე აღმოჩნდება. დამპყრობელი, რომელიც საჭიროების გარეშე უგულებელყოფს ქვეშევრდომი ხალხის წეს-ჩვეულებებსა და ზნეობრივ ფასეულობებს, წინააღმდეგობას იწვევს.

მე-20 საუკუნის ბრწყინვალე თეორეტიკოსი მაქს ვებერი „არტჰაშასტრას" „ჭეშმარიტად რადიკალურ მაკიაველიზმს" უწოდებდა წარმატების მისაღწევი იმპერატივების ყოვლისმომცველი და მშრალი კატალოგის გამო; მასთან შედარებით,

„მაკიაველის პრინციპები უწყინარი" არისო, ამბობდა იგი. მაკიაველისგან განსხვავებით, ჩანაკიას არ აწუხებს უკეთესი დროების ნოსტალგია. მისთვის ერთადერთი კრიტერიუმი არის ანალიზი, სწორადაა თუ არა არჩეული გამარჯვებისკენ მიმავალი გზა. აღწერდა იგი პოლიტიკას ისე, როგორც სინამდვილეში ხორციელდებოდა? ჩანაკიას მოსაზრებით, ნონასწორობა, თუკი ის როდესმე დამყარდებოდა, არის დროებითი შედეგი ეგოისტური მოტივების ურთიერთქმედებისა. იგი, ვესტფალიური წესრიგის ევროპული შეხედულებებისგან განსხვავებით, არ წარმოადგენდა საგარეო პოლიტიკურ მიზანს. „არტჰაშასტრა" იყო დამპყრობლური პოლიტიკის და არა საერთაშორისო წესრიგის აშენების ინსტრუქცია.

მიუხედავად იმისა, ითვალისწინებდა თუ არა ინდოეთი „არტჰაშასტრას" ინსტრუქციებს, ფაქტია, რომ ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში მისი საზღვრები უკიდეგანოდ გაფართოვდა. იმ დროს დიადი იმპერატორი აშოკა ფლობდა ტერიტორიას, რომელიც დღევანდელ ინდოეთს, ბანგლადეშს, პაკისტანს, ავღანეთის ნაწილს და ირანს მოიცავდა. როდესაც ძველი წელთაღრიცხვის 221 წელს ცინ შიხუანდიმ რამდენიმე სახელმწიფოსგან შექმნა ჩინეთის იმპერია, ინდოეთი ერთმანეთთან დაპირისპირებულ სამეფოებად დაიშალა. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ისევ გაერთიანდა, მაგრამ მე-7 საუკუნეში ისევ დაიშალა, როდესაც ისლამმა ევროპისა და აზიის იმპერიებს ბრძოლა გამოუცხადა.

თითქმის ათასი წლის განმავლობაში წარმოადგენდა ინდოეთი თავისი ნაყოფიერი მიწებით, მდიდარი ქალაქებით, ბრწყინვალე სულიერი და ტექნიკური მიღწევებით, დამპყრობლებისა და რელიგიურ ფანატიკოსთა სამიზნეს. ყველა საუკუნეში ესხმოდა მას თავს დამპყრობელი – თურქები, ავღანელები, პართელები, მონღოლები; ისინი ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთ აზიიდან იჭრებოდნენ ინდოეთში და

აყალიბებდნენ პატარა სამთავროების ჭრელ ხალიჩას. სუბკონტინენტი ამგვარად შეერწყა „გაფართოებულ შუა აღმოსავლეთს“, დამყარდა რელიგიური და ეთნიკური ურთიერთობები, სტრატეგიული მოცემულობები, რომლებიც დღემდე არსებობს. უმეტესი დროის განმავლობაში, დამპყრობელთა ურთიერთქიშპობის გამო, ვერცერთმა მათგანმა ვერ მოიპოვა მთელ რეგიონზე კონტროლი და ვერ გატეხა სამხრეთში ჰინდუისტური დინასტიების ბატონობა. მოგვიანებით, მე-16 საუკუნეში, ჩრდილო-დასავლეთიდან მოსულმა ყველაზე მოხერხებულმა დიდ მოგოლთა იმპერიამ შეძლო სუბკონტინენტის დიდი ნაწილი თავის მმართველობაში მოექცია. დიდ მოგოლთა იმპერია ინდოეთის სხვადასხვა გავლენას აერთიანებდა: რწმენის თვალსაზრისით – მუსლიმურს, თურქულს და მონღოლურს ეთნიკური წარმოშობის კუთხით და სპარსულს ელიტარული კულტურის მხრივ; ამგვარად განაგებდნენ მოგოლები მოსახლეობის ჰინდუისტურ უმრავლესობას, რომელიც დაქსაქსული იყო რეგიონულ იდენტობებად.

ენების, კულტურებისა და რელიგიების ამ დიდ ნაზავში, თავდაპირველად, ეპოქალურ მოვლენად არ აღქმულა მე-16 საუკუნეში უცხოელ თავგადასავლების მაძიებელთა კიდევ ერთი ტალღა. ბრიტანულ, ფრანგულ, ჰოლანდიურ და პორტუგალიურ კერძო კომპანიებს დიდ მოგოლთა შეძლებულ იმპერიასთან ვაჭრობის გაფართოებით მეტი სარგებელი ეიმედებოდათ და დამეგობრებულ სამთავროებში ფეხის მოკიდებას ცდილობდნენ. ყველაზე მეტად ბრიტანელებმა შეძლეს თავიანთი გავლენის სფეროს გაფართოება ინდოეთში, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბებული გეგმა თავდაპირველად არ გააჩნდათ (თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთმა კემბრიჯელმა პროფესორმა ასე შეაფასა ეს საკითხი: „იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ უნებურად, ლამის ნახევარი მსოფლიო დავიპყარით და დავასახლეთ“). ბრიტანელებმა ის-ის იყო აღ-

მოსავლეთ ბენგალში მოაწყვეს სამხედრო და სავაჭრო ბაზა, რომ გარს შემოერტყნენ ევროპელი და აზიელი კონკურენტები. ევროპაში და ამერიკის ორივე კონტინენტზე მიმდინარე ყოველი ომის შემდეგ ისინი კონფლიქტს იწყებდნენ ერთმანეთთან მოქიშპე კოლონიებთან და მათ მეკავშირეებთან. და ყოველი გამარჯვების შედეგად ითვისებდნენ მოწინააღმდეგის ინდურ ტერიტორიას. ბრიტანელების კუთვნილი ტერიტორიები ფართოვდებოდა – ფაქტობრივად, ეს იყო ბრიტანული აღმოსავლეთ-ინდური კომპანია და არა თვით ბრიტანეთის სახელმწიფო – მაგრამ ისინი თან მტრებით იყვნენ გარშემორტყმულნი: ჩრდილოეთიდან რუსეთი და უკვე მტრულად განწყობილი ბირმა, რომელიც მალე დაიშალა, აგრეთვე, სულ უფრო თავდაჯერებული მოგოლები. ბრიტანეთის თვალში, ყველაფერი ეს ამართლებდა მათ მიერ ახალი ტერიტორიების ანექსიას.

საბოლოოდ, დიდ ბრიტანეთს ერგო წილად შეექმნა ინდოეთის სახელმწიფო სტრუქტურა, რომლის ერთიანობა ეყრდნობოდა იმ ტერიტორიების კონტინენტური ზოლის უსაფრთხოებას, რომელსაც დღეს წარმოადგენს პაკისტანი, ინდოეთი, ბანგლადეში და მიანმარი. ბრიტანელებმა ჩამოაყალიბეს ერთგვარი ინდური ნაციონალური ინტერესი, რომელიც გულისხმობდა გეოგრაფიულ ერთიანობას და ფაქტობრივად სახელმწიფოსავით იმართებოდა, მიუხედავად იმისა, რომ (როგორც ისინი ფიქრობდნენ) არ არსებობდა ინდოელი ერი. ამ პოლიტიკით ინდოეთის უსაფრთხოება ეფუძნებოდა ინდოეთის ოკეანეში ბრიტანეთის საზღვაო ჰეგემონიას, მეგობრულ ან, ყოველ შემთხვევაში, ნეიტრალურ რეჟიმს, რომელიც ისევე შორს მდებარეობდა, როგორც სინგაპური თუ ადენი, აგრეთვე ნეიტრალურად განწყობილ რეჟიმებს – ხაიბერის გასასვლელსა და ჰიმალაიში. ჩრდილოეთით ბრიტანელები რუსეთის სამეფოდან ჯაშუშების, მოგზაური მკვლევრებისა და ადგილობრივი წარმომადგენლების შეჭრას იგერიებდნენ, მათ

ამისთვის ჰყავდათ ჯარის მცირე დანაყოფები – ეს ყველაფერი მოგვიანებით გადაიზარდა ჰიმალაის გეოსტრატეგიის ე. წ. „დიდ თამაშში". ამასთან, მათ ინდოეთის საზღვრები ჩინეთთან, ჩრდილოეთისკენ, ტიბეტამდე გადასწიეს და გამოიწვიეს კონფლიქტი, რომელიც ისევ გამწვავდა ინდოეთსა და ჩინეთს შორის სასაზღვრო ომში 1962 წელს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ პოლიტიკის თანამედროვე ანალოგები იქცა ინდოეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ელემენტებად. სამხრეთ აზიაში უნდა დამყარებულიყო რეგიონული წესრიგი, რომლის გული იქნებოდა ინდოეთი, ხოლო ყველა სხვა ქვეყანას, მიუხედავად მისი შინაგანი სტრუქტურისა, უნდა დაპირისპირებოდნენ, თუკი ეს უკანასკნელნი შეეცდებოდნენ მეზობელ ტერიტორიებზე სახიფათო ძალად გაერთიანებას.

1857 წელს, როდესაც მუსლიმი და ჰინდუისტი ჯარისკაცები ბრიტანულ „აღმოსავლეთ ინდურ კომპანიაში" აჯანყდნენ, ლონდონმა ინდოეთი უშუალოდ ბრიტანეთის გვირგვინს დაუქვემდებარა, ოღონდ ეს აქტი არ ჩაუთვლია უცხო ერის საკუთარი მმართველობის ქვეშ მოქცევად. მეტიც, ბრიტანელები საკუთარ თავს მიიჩნევდნენ ნეიტრალურ ზედამხედველებად და ცივილიზაციის დონის ამმაღლებელ ინსტანციად, რომელიც ხალხებისა და სახელმწიფოების დიდ რაოდენობას მეურვეობდა. 1888 წელს ერთმა წამყვანმა მოხელემ ასეთი რამ განაცხადა:

> არასოდეს ყოფილა და არც ახლა არსებობს ინდოეთი ან მისი მსგავსი რომელიმე ქვეყანა, რომელიც ევროპული წარმოდგენების შესაბამისად ფლობდა ფიზიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ ან რელიგიურ ერთობას... ასევე სათუოა, ველოდოთ დროს, როცა ერთი ცალკეული ერი დაიკავებს ევროპის სხვადასხვა ერის ადგილს.

ამბოხების შემდეგ ინდოეთის, როგორც ერთიანი ქვეყნის მართვის გადაწყვეტილებით, ბრიტანეთმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინდოეთის გაერთიანებაში. რეგიონები ერთმანეთს დაუკავშირდა სარკინიგზო მაგისტრალებით და ინგლისური ენით, რომელიც იქცა საყოველთაოდ. მოხერხდა ინდოეთის უძველესი, ბრწყინვალე კულტურის კვლევა და კატალოგიზაცია. ინდოეთის ელიტამ მიიღო განათლება, რომელიც მათ ბრიტანულ აზროვნებასა და ინსტიტუციებს აზიარებდა, შედეგად ბრიტანელებმა ინდოელებს გაუღვიძეს ცნობიერება, რომ სუბკონტინენტი ერთიანი წარმონაქმნი იყო უცხოთა ბატონობის ქვეშ. ბრიტანელების თვალსაზრისით, ინდოეთი ერად უნდა ჩამოყალიბებულიყო, რათა უცხოური გავლენა თავიდან აეცილებინა. დიდი ბრიტანეთის გავლენა ინდოეთზე შეიძლება შევადაროთ ნაპოლეონის გავლენას გერმანიაზე, რომლის დაქუცმაცებული სახელმწიფოები მანამდე მხოლოდ გეოგრაფიულ და არა პოლიტიკურ ერთობად აღიქმებოდა.

ინდოეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის და მსოფლიოში სასურველი როლის მოპოვება ამ მრავალფეროვანი მემკვიდრეობის ანარეკლია. ინდოეთმა საუკუნეებს გაუძლო, რადგან კარგად მოახერხა საერთო კულტურული ერთსულოვნების შერწყმა დამპყრობლებთან ურთიერთობის განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ უნართან. მოჰანდას განდის პასიური წინააღმდეგობა ბრიტანელი კოლონისტების მიმართ, უპირველესად იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ მაჰათმა სპირიტუალურ ძალას ასხივებდა და თან აღიარებდა ლიბერალური ბრიტანული საზოგადოების თავისუფლების მთავარ ღირებულებებს. როგორც ორი საუკუნით ადრე ამერიკელებმა, ინდოელებმაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა კოლონისტებთან თავისუფლების კონცეფციის მოშველიებით; მათ ელიტას ეს ბრიტანეთის უნივერსიტეტებში ჰქონდა ნასწავლი (მათ შორის, ლონდონის ეკონომიკის სკოლაში, სადაც ინდოეთის მომავალმა ლიდერებ-

მა შეიმეცნეს თავიანთი კვაზისოციალისტური იდეების უმეტესობა).

თანამდეროვე ინდოეთი საკუთარ დამოუკიდებლობას განიხილავს არა მხოლოდ როგორც ერის ტრიუმფს, არამედ როგორც უნივერსალური მორალური პრინციპის გამარჯვებას. ამერიკის დამფუძნებელი მამების მსგავსად, ინდოეთის პირველმა ლიდერებმაც ნაციონალური ინტერესი გაუტოლეს მორალურ სამართლიანობას. მაგრამ მათგან განსხვავებით, ვესტფალიურ პრინციპებს ინდოელი ლიდერები მხოლოდ ქვეყნის შიგნით ინსტიტუციების ჩამოყალიბებაში იყენებდნენ და არ გამოხატავდნენ ინტერესს საერთაშორისო დონეზე დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დასაცავად.

დამოუკიდებლობამოპოვებული სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ განაცხადა, რომ ინდოეთის საგარეო პოლიტიკა დაეყრდნობოდა ეროვნული ინტერესების დაცვას და არა საერთაშორისო თანხმობას ან თავსებადი შიდაპოლიტიკური სისტემების კულტივირებას. 1947 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სულ მალე, მან თავის გამოსვლაში აღნიშნა:

> როგორი პოლიტიკაც არ უნდა ავირჩიოთ, ქვეყნის საგარეო საქმეების მოგვარების ხელოვნება, მისთვის ყველაზე სასარგებლო მდგომარეობის დადგენაა. შეგვიძლია ვილაპარაკოთ საერთაშორისო კეთილ ნებაზე და ვიგულისხმოთ კიდეც, რასაც ვამბობთ. მაგრამ საბოლოოდ, მთავრობა თავისი ქვეყნის კეთილდღეობისთვის იღვწის, ვერცერთი მთავრობა ვერ გაბედავს ისეთ ქმედებას, რომელიც ადრე თუ გვიან ზიანს მიაყენებს მის ქვეყანას.

ჩანაკია (და მაკიაველი) უკეთესად ვერ იტყოდნენ.

ნერუ და მისი შემდგომი პრემიერ-მინისტრები, მათ შორის მისი ქალიშვილი, დიდი ინდირა განდი, იღვწოდნენ ინდოეთის ადგილის განსამტკიცებლად მსოფლიო წონასწორობის სისტემაში, მიანიჭეს რა თავიანთ საგარეო პოლიტიკას ინდოეთის აღმატებული მორალური ავტორიტეტის გამოხატვის მნიშვნელობა. ინდოეთი თავისი პოლიტიკით ისევე მკვეთრად იცავდა ეროვნულ ინტერესებს, როგორც ამერიკა ორასი წლით ადრე. ნერუმ და შემდგომ ინდირა განდიმ, რომელიც ორჯერ, 1966-1977 და 1980-1984 წლებში იყო პრემიერ-მინისტრი, მოახერხეს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავიანთი თვითმყოფადი ერისთვის მიეჩინათ გამორჩეული ადგილი საერთაშორისო წესრიგში.

რომელიმე ბლოკის წევრობისგან დამოუკიდებელი სტატუსის გამო, ინდოეთის საგარეო პოლიტიკა განსხვავდებოდა ძალთა ბალანსის სისტემის „დამაბალანსებელი ძალების პოლიტიკისგან". ინდოეთს არ სურდა დამდგარიყო სუსტის მხარეს, როგორც ამას იზამდა „დამაბალანსებელი ძალა". მას არ აინტერესებდა საერთაშორისო სისტემის შექმნა. ის არ ესწრაფოდა რომელიმე ბანაკის წევრობას და წარმატების მისაღწევად მიიჩნევდა, თავი შორს დაეჭირა იმ კონფლიქტებისაგან, რომელიც მის ეროვნულ ინტერესებს არ ეხებოდა.

ინდოეთმა, რომელიც ეტაბლირებული ძალებისა და ცივი ომის მსოფლიოში გახდა დამოუკიდებელი, მოქმედების თავისუფლება, რაც ადრე ვაჭრობის საგანი იყო, ეთიკურ პრინციპად აქცია. მორალური მიდგომის, ძალთა ბალანსისა და სუპერსახელმწიფოების ფსიქოლოგიის გამჭრიახი გონებით შეფასების ნაზავს წარმოადგენდა ნერუს განცხადება, რომ ინდოეთი მსოფლიო მნიშვნელობის ძალად იქცეოდა და დიდ ბლოკებს შორის მანევრირების კურსით დაიმკვიდრებდა თავს. 1947 წელს მან ჟურნალ „New Republic"-ში განაცხადა:

> ჩვენ არ გვინდა ჩავერთოთ ძალთა რომელიმე ბლოკში ან ჯგუფში, რადგან ვხედავთ, რომ ამით მხოლოდ ინდოეთის საქმეს კი არ მოვემსახურებით, არამედ მსოფლიო მშვიდობისასაც. ასეთი პოლიტიკა კი რომელიმე ჯგუფის მხარდამჭერს დააეჭვებს, თითქოს ჩვენ სხვა ჯგუფს ვუჭერდეთ მხარს. ყველა ერი თავის საკუთარ ინტერესებს აყენებს პირველ ადგილას, როცა საგარეო პოლიტიკას ახორციელებს. საბედნიეროდ, ინდოეთის ინტერესები ემთხვევა ყველა განვითარებული ერის მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას და ყველა პროგრესულ ქვეყანასთან თანამშრომლობას. ინდოეთი აუცილებლად დაუახლოვდება ყველა სახელმწიფოს, რომელიც მას მეგობრულად და თანამშრომლობის სურვილით შეეგებება.

სხვა სიტყვებით: ინდოეთი ნეიტრალური ქვეყანა იყო და ძალთა დაპირისპირების პოლიტიკაზე მაღლა იდგა, ნაწილობრივ, მსოფლიო მშვიდობის ინტერესიდან გამომდინარე, ნაწილობრივ კი პრინციპის, აგრეთვე ეროვნული ინტერესის გამო. როდესაც საბჭოთა კავშირმა 1957 და 1962 წლებში ულტიმატუმი დააყენა ბერლინის საკითხზე, ორი ამერიკული მთავრობა, განსაკუთრებით კი ჯონ ფ. კენედისა, ალყაში მყოფი ქალაქისთვის თავისუფლების სტატუსის შესანარჩუნებლად ინდოეთის მხარდაჭერას ეძიებდა. ინდოეთს კი ეჭირა პოზიცია, რომ ცივი ომის პირობებში რომელიმე ბლოკის მიერ მისთვის წესების თავსმოხვევა, მოქმედების თავისუფლებას შეუზღუდავდა და პოზიციებს შეუსუსტებდა. მოკლევადიანი მორალური ნეიტრალიტეტი იყო გრძელვადიანი მორალური გავლენის მოპოვების საშუალება. ამგვარად, ნერუმ თავის მრჩევლებს განუცხადა:

> ინდოეთის დელეგაციის მხრიდან აბსურდულობა და უტაქტობა იქნებოდა საბჭოთა ბლოკისგან თავის შორს დაჭერა, იმის შიშით, რომ ამერიკელები არ გავაღიზიანოთ. შესაძლებელია, მოვიდეს დრო, როცა ჩვენ მკაფიოდ და გადაჭრით ვეტყვით ამერიკელებს და სხვებსაც, რომ იძულებულნი ვართ, სხვა მეგობრები ვეძებოთ, თუკი ასე არამეგობრულად მოგვექცევიან.

ამ სტრატეგიის არსით ინდოეთს ცივი ომის ორივე ბანაკისგან შეეძლო დახმარება მიეღო – საბჭოთა კავშირისგან სამხედრო და დიპლომატიურ სფეროში, ამერიკელებისგან კი განვითარების დარგში, აგრეთვე, აშშ-ის ინტელექტუალური ელიტის მორალური მხარდაჭერის მოპოვებაში. რაც არ უნდა უსიამოვნო ყოფილიყო ეს კურსი ამერიკისთვის ცივი ომის პირობებში, აღზევების მსურველი ერისთვის იგი სწორ გზას წარმოადგენდა. ინდოეთი სამხედრო ძალის აღმშენებლობის ფაზაში იმყოფებოდა, მისი ეკონომიკა სუსტად იყო განვითარებული. ამ მოცემულობით მას პატივისცემით მოეპყრობოდნენ, თუმცა მაინც მეორეხარისხოვან მოკავშირედ დარჩებოდა. თავისუფალი მოთამაშის როლში კი მეტ გავლენას მოიპოვებდა.

ამგვარი როლის შესასრულებლად ინდოეთი თანამოაზრე სახელმწიფოების ალიანსის შექმნას შეუდგა – ეს იყო ბლოკი „ბლოკს გარეთ მყოფი ქვეყნებისა". როგორც ნერუმ აფრო-აზიური კონფერენციის დელეგატებს განუცხადა 1955 წელს ინდონეზიის ქალაქ ბანდუნგში:

> ნუთუ ჩვენ, აზიისა და აფრიკის ქვეყნებს, სხვა მკაფიო პოზიცია არ გაგვაჩნია, გარდა იმისა, პროკომუნისტური ვიქნებით თუ ანტიკომუნისტური? ნუთუ იქამდე მივიდა საქმე, რომ ჩვენ, სულიერი ლიდერები, ვინც მსოფლიოს რელიგიები და კიდევ ბევრი სხვა რამ ვაჩუქეთ, რომელიმე

> ჯგუფს უნდა მოვერგოთ, ამა თუ იმ პარტიის დანამატი უნდა გავხდეთ და მათი სურვილები ვასრულოთ და მხოლოდ ხანდახან მოგვეცემა ჩვენი იდეის გახმაურების საშუალება? ნებისმიერი საკუთარი თავის პატივისმცემელი ხალხისა და ერისათვის ეს მეტად დამამცირებელია. ჩემთვის მიუღებელია მოსაზრება, რომ აზიისა და აფრიკის დიდი ქვეყნები იმიტომ გათავისუფლდნენ ბორკილებისგან, რომ ახლა ამგვარად დაიმცირონ თავი.

საბოლოოდ, ინდოეთმა უარი თქვა ცივი ომის ძალთა დაპირისპირებაში (როგორც ინდოეთის ლიდერები უწოდებდნენ) მონაწილეობაზე, რადგან ამ მსოფლიო მნიშვნელობის პროცესში ვერსად დაინახა საკუთარი ინტერესები. ევროპის გამყოფი ხაზის გასწვრივ მიმდინარე დაპირისპირების გამო, ინდოეთს არ სურდა თავისი საზღვრიდან რამდენიმე ასეულ კილომეტრში მდებარე საბჭოთა კავშირთან მტრობა, რუსების გაღიზიანება და მათი პაკისტანთან დაახლოების გარისკვა. ასევე აშინებდა ინდოეთს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების გამო მუსლიმთა მტრობის გამოწვევა. ინდოეთმა თავი შეიკავა ჩრდილოეთ კორეის სამხრეთ კორეაში შეჭრის და სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმის ჩრდილო ვიეტნამის მიერ ჩამოგდების შეფასებაზე. ინდოეთის ლიდერებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, არ ჩამოშორებოდნენ განვითარებადი ქვეყნების პროგრესულ ტენდენციას და არ გაერისკათ საბჭოთა კავშირის მტრად გადაკიდება.

და მაინც, 1962 წელს ინდოეთი ჩართული აღმოჩნდა ჩინეთთან ომში და ოთხ ომში პაკისტანთან (რომელთაგან ერთი, 1971 წელს, საბჭოთა კავშირთან იმჟამად ხელმოწერილი დახმარების პაქტის მფარველობით მიმდინარეობდა. ომი დამთავრდა ინდოეთის მთავარი მოწინააღმდეგის ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – პაკისტანად და ბანგლადეშად გაყოფით – და გააძლიერა ინდოეთის სტრატეგიული პოზიცია).

მაშინ, როცა ინდოეთი ბლოკისგან დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის ლიდერობას ესწრაფოდა, ფაქტობრივად იყო დამოკიდებული საერთაშორისო წესრიგის კონცეფციაზე, რომელიც როგორც რეგიონულ, ასევე გლობალურ დონეზე ჩამოჰგავდა მემკვიდრეობით პრინციპს. მისი ოფიციალური ფორმულირება კლასიკური გაგებით ვესტფალიური იყო და ემთხვეოდა ძალთა ბალანსის ისტორიულ ევროპულ ანალიზს. ნერუმ ინდოეთის პოზიცია „მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპით" განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ მას ინდურ ფილოსოფიურ კონცეფციას – პანჩა შილას (მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს) უწოდებდნენ, სინამდვილეში იგი წარმოადგენდა სუვერენული სახელმწიფოების მულტიპოლარული წესრიგის ვესტფალიური მოდელის ამბიციურ, ახლებურ ფორმულირებას:

1. ტერიტორიული ინტეგრაციისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა.
2. ურთიერთთავდაუსხმელობა.
3. ურთიერთჩაურევლობა ერთმანეთის შიდა საქმეებში.
4. თანასწორუფლებიანობა ურთიერთსაკეთილდღეოდ და
5. მშვიდობიანი თანაარსებობა.

მსოფლიო წესრიგის აბსტრაქტული პრინციპების გარდა, ინდოეთს ჰქონდა რეგიონულ დონეზე თავისი უსაფრთხოების დოქტრინა. როგორც პირველმა ამერიკელმა ლიდერებმა ჩამოაყალიბეს მონროს დოქტრინით დასავლეთ ნახევარსფეროში ამერიკის განსაკუთრებული როლის კონცეფცია, ინდოეთიც აცხადებდა განსაკუთრებული როლის პრეტენზიას ტერიტორიაზე, რომელიც ინდოეთის ოკეანეში აღმოსავლეთ ინდოეთიდან აფრიკის სომალის ნახევარკუნძულამდეა გადაჭიმული. როგორც დიდი ბრიტანეთი ცდილობდა მე-18-მე19 საუკუნეებში, არ დაეშვა ევროპაში რომელიმე ძალის პეგემო-

ნად ჩამოყალიბება, ინდოეთიც იმავეს ცდილობს მსოფლიოს ამ დიდ ნაწილში. პირველი ამერიკელი ლიდერები, მონროს დოქტრინის მიხედვით, არ ცდილობდენ დასავლეთის ნახევარსფეროს ქვეყნების თანხმობის მოპოვებას, ინდოეთი კი რეგიონში ეწევა თავისი განსაკუთრებული სტრატეგიული ინტერესების შესაბამის პოლიტიკას, რომელიც მისი შეხედულებით ჩამოყალიბებულ სამხრეთაზიურ წესრიგს ეყრდნობა. და თუმცა ცივი ომის დროს, ინდოეთისა და ამერიკის შეხედულებები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო იყო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათი წარმოდგენები ამ რეგიონისა და მისი პერიფერიების შესახებ, ძირითადად, თანხვედრაშია.

ცივი ომის დასრულებამ ინდოეთი ბევრი კონფლიქტური წნეხისგან გაათავისუფლა და ზოგიერთი სოციალისტური ილუზიაც დააკარგვინა. 1991 წელს საბიუჯეტო კრიზისის გამო მიღებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის დახმარებით, ინდოეთმა ეკონომიკური რეფორმების გატარება დაიწყო. ამასობაში, ინდურმა კომპანიებმა ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში მსოფლიოში წამყვანი პოზიცია დაიკავეს. ახალი კურსი ინდოეთის დიპლომატიურ ურთიერთობებსაც დაეტყო. ინდოეთი მთელ მსოფლიოში ეძებდა ახალ პარტნიორებს, განსაკუთრებით კი აზიასა და აფრიკაში და კვლავაც ცდილობდა საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ ინსტიტუციებში უფრო ძლიერი როლის თამაშს. ინდოეთმა, თავისი მზარდი ეკონომიკური და დიპლომატიური გავლენის პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიძლიერა სამხედრო ძალები საზღვაო ფლოტისა და ატომური იარაღის არსენალის ჩათვლით. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ ინდოეთი გადაასწრებს ჩინეთს აზიის ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყნის რანგში.

მსოფლიო წესრიგში ინდოეთის როლს ართულებს სტრუქტურული ფაქტორები, რომელიც გამომდინარეობს მისი დაარსებიდან. ყველაზე კომპლექსური იქნება ურთიერთობე-

ბის დალაგება უშუალო მეზობლებთან – პაკისტანთან, ბანგლადეშთან, ავღანეთთან და ჩინეთთან. მისი ამბივალენტური ურთიერთობები და წინააღმდეგობები ასახავენ იმ ათასწლეულის მემკვიდრეობას, რომელიც განსაზღვრა სუბკონტინენტზე ურთიერთდაპირისპირებულმა ინვაზიებმა და მიგრაციის ტალღებმა, ბრიტანეთის შეჭრამ ინდოეთის გავლენის სფეროში და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის კოლონიური ბატონობის უეცარმა დასრულებამ. არცერთ მემკვიდრე ქვეყანას არ უღიარებია სრულყოფილად საზღვრები იმ სახით, როგორც დადგინდა 1947 წელს გაყოფის შედეგად. ზოგიერთი მხარე მათ დროებითად მიიჩნევს, რადგან ეს ადგილები მუდამ მიიჩნეოდა რელიგიურ თუ სხვადასხვა მიზეზთა ძალადობის კერად, სამხედრო დაპირისპირებების და ტერორისტების სათარეშოდ.

საზღვრები პაკისტანთან, სადაც სუბკონტინენტის მუსლიმური მოსახლეობის ყველაზე მჭიდრო კონცენტრაციაა, სხვადასხვა ეთნოსს ჰყოფს ერთმანეთისგან. წარმოიშვა ორი ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნაწილისგან შემდგარი სახელმწიფო, რომელიც ერთ დროს ბრიტანეთის ინდოეთს ეკუთვნოდა და ათასობით კილომეტრით იყო ერთმანეთისგან დაშორებული მათ შორის მდებარე ინდოეთის გამო. ამ მოცემულობამ ომების მთელი სერია გამოიწვია. მე-19 საუკუნეში ავღანეთთან და ჩინეთთან საზღვრები ბრიტანელი კოლონისტების მიერ დადგენილი ხაზების საფუძველზე გაიმიჯნა. მოწინააღმდეგე მხარეებმა ეს არ გაიზიარეს და დღემდე სადავო საკითხად რჩება. ინდოეთმა და პაკისტანმა ბევრი ინვესტიცია ჩადეს ატომური იარაღის არსენალის და რეგიონული სამხედრო ბაზების მშენებლობაში. პაკისტანი ითმენს, ან, შესაძლოა, ეხმარება კიდეც ძალადობრივ ექსტრემიზმს, მათ შორის ტერორიზმს ავღანეთში და ინდოეთშიც კი.

განსაკუთრებით რთულია ინდოეთის ურთიერთობები დანარჩენ ისლამურ სამყაროსთან, რომლის განუყოფელ შემადგენელ ნაწილსაც ის წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთი ხშირად სამხრეთაზიურ ან აღმოსავლეთაზიურ ქვეყნად მოიხსენიება, მას შუა და ახლო აღმოსავლეთთან ისტორიული კავშირები აქვს, ჰყავს მუსლიმური მოსახლეობა, რომელიც პაკისტანისაზე მრავალრიცხოვანია და, ინდონეზიის გარდა, ყველა ისლამური ქვეყნისას აჭარბებს. ინდოეთმა აქამდე მოახერხა პოლიტიკური რადიკალიზმის უძლიერესი ნაკადებისა და რელიგიურად მოტივირებული ძალადობის თავიდან აცილება, ნაწილობრივ თავის უმცირესობასთან გახსნილი ურთიერთობის წყალობით და იმითაც, რომ საერთო შიდაპოლიტიკური პრინციპების ერთგულია – მათ შორის დემოკრატიის და ნაციონალიზმის – რამაც დაჯგუფებებს შორის განსხვავებების გადალახვა შეაძლებინა. მიუხედავად ამისა, მაინც არაა გამოკვეთილი მისი შემდგომი განვითარება, ხოლო დღევანდელი ვითარების შენარჩუნებას ერთსულოვანი ძალისხმევა დასჭირდება. არაბული სამყაროს შემდგომმა რადიკალიზაციამ ან პაკისტანში სამოქალაქო კონფლიქტის გაღვივებამ შესაძლებელია სერიოზული შიდა დაძაბულობა გამოიწვიოს ინდოეთში.

ამჯერად, ინდოეთი აწარმოებს საგარეო პოლიტიკას, რომელიც ბევრი თვისებით ჰგავს ბრიტანეთის ყოფილი ქვეშევრდომისას, რადგან იგი მიმართულია ძალთა ბალანსით რეგიონული წესრიგის დამყარებისკენ რკალისებური ფორმის რეგიონში, რომელიც თითქმის ნახევარ მსოფლიოზე გადაჭიმულა – ახლო და შუა აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით – ავღანეთამდე და აღმოსავლეთით – სინგაპურამდე. ინდოეთის ურთიერთობები ჩინეთთან, იაპონიასთან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან იმეორებს მე-19 საუკუნის ევროპის ძალთა წონასწორობის ნიმუშს. ჩინეთის მსგავსად ინდოეთიც არ ერიდება შორეული „ბარბაროსების" – შეერთებული შტატების

– დახმარებით ისარგებლოს, რათა თავის რეგიონულ მიზნებს მიაღწიოს. – თუმცა ორივე მათგანი თავიანთ პოლიტიკას ალბათ უფრო ელეგანტურად შენიღბავდა. ჯორჯ ბუშ უმცროსის მთავრობაში ხანდახან მსჯელობდნენ ინდოეთის და ამერიკის პოლიტიკაში სტრატეგიული შეთანხმების გლობალურ დონეზე. ეს კოორდინაცია სამხრეთ აზიის რეგიონით შემოიფარგლა, რადგან ინდოეთის ტრადიციული დამოუკიდებლობა ბლოკებისგან გზას ულობავდა გლობალურ ხელშეკრულებას და არცერთს არ უნდოდა ჩინეთთან კონფრონტაცია გაეხადა თავისი ეროვნული საგარეო პოლიტიკის მუდმივ საკითხად.

როგორც მე-19 საუკუნეში ბრიტანელებმა, რომელთაც მასშტაბურად უნდა ემოქმედათ, რათა ინდოეთისაკენ მიმავალი ტრადიციული გზები დაეცვათ, 21-ე საუკუნეში ინდოეთმაც იგრძნო აზიაში და მუსლიმურ სამყაროში მზარდი სტრატეგიული როლის აღების აუცილებლობა, რათა თავიდან აეცილებინა მტრული ქვეყნებისა და იდეოლოგიების გავლენა. რასაკვირველია, ამ კურსის გატარებისას ინდოეთი ინარჩუნებდა ბუნებრივ კავშირებს „ანგლოსფეროსთან" – ინგლისურენოვან ქვეყნებთან. და მაინც, ალბათ, ინდოეთი ნერუს მემკვიდრეობას მიჰყვება და შეინარჩუნებს მოქმედების თავისუფლებას აზიის, შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობებში, აგრეთვე, იმ ავტოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, რომელთა რესურსებიც ეკონომიკის ზრდისთვის სჭირდება. ეს პრიორიტეტები საკუთარ იმპერატივებს შექმნის, რომელიც ინდოეთის ისტორიულ პოზიციას გასცდება. ახლო და შუა აღმოსავლეთში ამერიკის პოზიციის ახალი კონფიგურაცია რეგიონის ქვეყნებს აიძულებს ახალი პარტნიორები ეძებონ საკუთარი პოზიციების გასამყარებლად და გარკვეული სახის რეგიონული წესრიგის შესაქმნელად. ინდოეთის სტრატეგია ავღანეთში ვაკუუმს ან აზიაში სხვა ძალის ჰეგემონიას ვერ აიტანს.

ჰინდუ-ნაციონალისტური მთავრობა, რომელიც საზოგადოების ფართო მხარდაჭერით აირჩიეს 2014 წლის მაისში, რეფორმებისა და ეკონომიკური ზრდის დაპირებების გამო, სავარაუდოდ, მიზანდასახულად შეეცდება ინდოეთის ტრადიციული საგარეო პოლიტიკური მიზნების გატარებას. ნარენდრა მოდისის სოლიდური მანდატითა და ქარიზმატული ლიდერობით აღჭურვილი მთავრობა ალბათ გრძნობს, ისეთი ისტორიული საკითხების მოსაგვარებლად ახალი გზების ძიების ძალას, როგორიცაა პაკისტანთან კონფლიქტი და ჩინეთთან ურთიერთობები. რადგან ინდოეთი, იაპონია და ჩინეთი ახლა ძლიერი და სტრატეგიული ორიანტაციის მთავრობების მიერ იმართებიან, განუწყვეტელი ქიშპობის დამატებითი სივრცეც იქმნება და გაბედული გადაწყვეტილებებისაც.

ნებისმიერი მსგავსი განვითარების პირობებში, ინდოეთი 21-ე საუკუნის საერთაშორისო წესრიგის საყრდენი წერტილი გახდება: მისი გეოგრაფიის, რესურსების და ტრადიციული ძლიერი მმართველობის გამო, ინდოეთი იმ რეგიონების და წესრიგის კონცეფციების სტრატეგიული და იდეოლოგიური განვითარების აუცილებელი ელემენტია, რომელთა გზაჯვარედინზეც იგი მდებარეობს.

რა არის აზიის რეგიონული წესრიგი?

ისტორიული ევროპული წესრიგი დამოუკიდებელი, თვითკმარი მოვლენა იყო. მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ინგლისს, კუნძულზე მდებარეობის და ზღვაზე ჰეგემონიის წყალობით, შეეძლო ევროპის ძალთა გაწონასწორება. ხანდახან, ევროპული ძალები ცდილობდნენ სხვა ქვეყნებისგან დახმარება მიეღოთ, რათა პოზიციები დროებით გაემყარებინათ. მაგალითად, საფრანგეთი მე-16 საუკუნეში ოსმალეთის იმპერიას ემე-

გობრებოდა, მაშინ, როცა დიდი ბრიტანეთი მე-20 საუკუნის დასაწყისში იაპონიასთან ქმნიდა ალიანსს. მაგრამ არადასავლურ ქვეყნებს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ცალკეულ შეჭრას) ევროპაში თითქმის არ გააჩნდათ ინტერესები და არც არავის ჩაურთავს ისინი ევროპულ კონფლიქტებში.

ამის საპირისპიროდ, აზიის დღევანდელი წესრიგი გარე ძალებს ინტეგრალურად რთავს თავის სისტემაში: შეერთებული შტატები აზია-წყნარი ოკეანეთის ძალას წარმოადგენს, რაც ხაზგასმით გამოიკვეთა 2011 წლის იანვარში, აშშ-ის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას და ჩინეთის პრეზიდენტის, ჰუ ძინტაოს, აგრეთვე, 2013 წლის ივნისში ჩინეთის მომდევნო პრეზიდენტის, სი ძინპინის განცხადებებში. ამას ემატება რუსეთი – გეოგრაფიულად აზიური სახელმწიფო და აზიური წესრიგის ისეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციის წევრი, როგორიცაა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია – მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსახლეობის სამი მეოთხედი ქვეყნის ევროპულ ნაწილში ცხოვრობს.

დროდადრო აშშ-ს სთხოვენ, აზიურ ძალთა განლაგებაში დამბალანსებელი როლი შეასრულოს. მაგალითად, 1905 წელს, პორტსმაუთის ომში, აშშ რუსეთსა და იაპონიას შორის მომრიგებლად ჩაერთო. მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-მ აღკვეთა იაპონიის სწრაფვა აზიაში ჰეგემონიისკენ. მსგავსი როლი ითამაშა აშშ-მ რეგიონში ცივი ომის დროს, როდესაც ეცადა საბჭოთა კავშირის წონის დაბალანსებას პაკისტანიდან ფილიპინებამდე გადაჭიმული ალიანსების ქსელით.

აზიაში ახალმა სტრუქტურამ ბევრი ის სახელმწიფო უნდა გააერთიანოს, რომლებიც ამ წიგნში ჯერ არ გვიხსენებია. ინდონეზია, რომელიც, ისლამისტური წყობისადმი ერთგულების მიუხედავად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოდერატორად გვევლინება; იგი თანდათანობით დაწინაურდა რეგიონში და

წარმატებით დასძლია ჩინეთს, შეერთებულ შტატებსა და ისლამურ სამყაროს შორის ბალანსის დამყარების საქმე. იაპონიის, რუსეთის და ჩინეთის მეზობელი კორეის რესპუბლიკა ჩამოყალიბდა ქმედით დემოკრატიად, რომელიც ეყრდნობა მსოფლიოში კონკურენტუნარიან ეკონომიკას და ლიდერი ქვეყანაა ტელეკომუნიკაციის და გემთმშენებლობის სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგებში. ბევრი აზიური ქვეყანა – მათ შორის ჩინეთიც – ჩრდილოეთ კორეის ტაქტიკას დესტაბილიზაციის ხელშემწყობად მიიჩნევს, მაგრამ ამ ქვეყნის ჩამოშლას კიდევ უფრო დიდ საფრთხედ აფასებს. სამხრეთ კორეას, თავის მხრივ, მოუწევს ჩრდილოეთ კორეასთან გაერთიანების მოთხოვნის მზარდი შიდაპოლიტიკური წნეხის გაძლება.

აზიის სიდიდისა და მრავალგვარი შესაძლებლობების გათვალისწინებით, მისმა ერებმა შექმნეს მულტილატერალური კავშირებისა და ბილატერალური მექანიზმების თვალსაჩინო რაოდენობა. ევროკავშირისგან, ნატო-სგან და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიისგან (ეუთკ) განსხვავებით, ეს ინსტიტუციები უსაფრთხოების პოლიტიკასა და ეკონომიკურ საკითხებს განიხილავენ ცალკეული შემთხვევის საფუძველზე და არა როგორც რომელიმე რეგიონული წესრიგის ფორმალური წესების ერთობლიობად. მათგან რამდენიმე მნიშვნელოვანი ორგანიზაციის წევრი არის ამერიკის შეერთებული შტატებიც, ზოგიერთი მათგანი, მათ შორის, ეკონომიკურიც, წმინდა აზიური დაჯგუფებებია, ამ უკანასკნელთ ეკუთვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთა გაერთიანება (ASEAN) – ყველაზე უკეთ ორგანიზებული და ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია. ძირითადი პრინციპია იმ ერების ნებაყოფლობით მიღება, რომელთაც აქტუალური საკითხები უშუალოდ ეხებათ.

მაგრამ შექმნის ეს ყველაფერი აზიური წესრიგის სისტემას? ევროპის ძალთა ბალანსში მნიშვნელოვანი მხარეების

ინტერესები თუ სრულიად არ ემთხვევა ერთმანეთს, მსგავსი მაინცაა, ძალთა წონასწორობა არა მხოლოდ პრაქტიკულად – და იძულებით, ჰეგემონიის არარსებობის პირობებში – ჩამოყალიბდა ლეგიტიმურობის სისტემად, რომელიც აიოლებს გადაწყვეტილებების მიღებას და ხელს უწყობს ზომიერ პოლიტიკას. ინტერესთა ასეთი თანხვედრა აზიაში არ არსებობს, როგორც წარმოაჩენს დიდი ქვეყნების მიერ დასახული პრიორიტეტები. მაშინ, როცა ინდოეთი, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩინეთს განიხილავს თანასწორ მეტოქედ – რაც უმეტესწილად, 1962 წლის სასაზღვრო ომის შედეგია – ჩინეთი თავისი რანგის კონკურენტებად იაპონიასა და აშშ-ს მიიჩნევს. ამ დროს, ინდოეთი ნაკლებად იარაღდება ჩინეთის წინააღმდეგ, ვიდრე პაკისტანისა, რომელიც ნიუ დელისთვის სტრატეგიული თავის ტკივილია, თუმცა არ წარმოადგენს თანასწორ მეტოქეს.

აზიური ორგანიზაციების ხშირად ამორფული ხასიათი, გარკვეულწილად, გეოგრაფიის შედეგია – აღმოსავლეთი და სამხრეთ აზია ისტორიის განმავლობაში მკვეთრად იყო ერთმანეთისგან გამოყოფილი. კულტურულმა, ფილოსოფიურმა და რელიგიურმა გავლენებმა გადალახა გეოგრაფიული გამყოფი ხაზები და დღეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თანაარსებობენ სახელმწიფოს მართვის ჰინდუისტური და კონფუციური კონცეფციები; ჩრდილოეთში კი აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის იმპერიების სამხედრო დაპირისპირებას მე-20 საუკუნემდე შეუძლებელს ხდიდა გადაულახავი მთაგრეხილების და გაუვალი ჯუნგლების არსებობა. მონღოლები და მათი შთამომავლები არავის დასხმიან თავს ჰიმალაის უღელტეხილების გადავლით, ისინი ცენტრალური აზიიდან შეიჭრნენ ინდოეთის სუბკონტინენტზე და ვერ ჩააღწიეს ინდოეთის სამხრეთ ნაწილში. აზიის სხვადასხვა რეგიონი გეოპოლიტიკურად და ისტორიულად განსხვავებულ კურსს დაადგა.

დროის სხვადასხვა მონაკვეთში დამყარებული რეგიონული წესრიგებიდან არცერთი არ წარმოშობილა ვესტფალიური პრინციპების მიხედვით. სადაც ევროპული წესრიგი ქმნიდა ტერიტორიულად დეფინირებულ, სამართლებრივი თანასწორობის მაღიარებელ „სუვერენულ სახელმწიფოებს" შორის წონასწორობას, აზიაში ტრადიციული პოლიტიკური ძალები ნაკლებად მკაფიო კრიტერიუმებს იცავდნენ. თანამედროვე პერიოდამდე თანაარსებობდა მონღოლეთის იმპერიის, რუსეთის და ისლამის მიერ დაღდასმული „შიდა აზიური" სამყარო, რომელიც მონაწილეობდა ჩინეთის იმპერიის საგადასახადო სისტემაში. ეს სისტემა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამეფოებამდე სწვდებოდა; ისინი ჩინეთის უნივერსალობას მაშინაც აღიარებდნენ, როცა თავიანთ სახელმწიფოს ჰინდუისტური პრინციპების ღრმა გავლენით მართავდნენ, რომელიც მონარქს ღმერთის სტატუსს ანიჭებდა.

ახლა განსხვავებული მემკვიდრეობა იწვევს კონფლიქტებს და ზოგიერთი ქვეყანა შორს არის კონსენსუსისგან გავლილი გზის და 21-ე საუკუნის მსოფლიო წესრიგის გათვალისწინებით მიღებული გაკვეთილების შეფასებისგან. დღევანდელ პირობებში, ძირითადად, ძალთა ორი ბალანსი იკვეთება: ერთი სამხრეთ აზიაში, მეორე კი აღმოსავლეთ აზიაში. არცერთს არ გააჩნია ძალთა ევროპული ბალანსისთვის დამახასიათებელი აუცილებელი თვისება: დამაბალანსებელი ძალა, ქვეყანა, რომელსაც ექნება წონასწორობის შენარჩუნების უნარი საკუთარი შესაძლებლობის სუსტის მხარეს გადატანის გზით. შეერთებული შტატები (ავღანეთიდან გასვლის შემდეგ) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ძალთა დღევანდელ ბალანსს აღარ აფასებს უპირველესად სამხედრო პრობლემად. მაგრამ აშშ-მ დიპლომატიურად აქტიურად უნდა იმუშაოს რეგიონული წესრიგის აღსადგენად. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა შეიქმნას ვაკუუმი, რომელიც ყველა მიმდებარე ქვეყანას აუცილებლად ჩაითრევს რეგიონულ კონფლიქტში.

თავი 6

აზიური წესრიგისკენ კონფრონტაცია თუ პარტნიორობა?

აზიურ სახელმწიფოებს ყველაზე მეტად აერთიანებთ შეხედულება, რომ ისინი არიან „აღზევების გზაზე" დამდგარი ან „პოსტკოლონიური" ქვეყნები. კოლონიური მემკვიდრეობის დაძლევას ყველა მათგანი ცდილობს მძლავრი ეროვნული თვითმყოფადობის გზით. ყველას აერთიანებს რწმენა, რომ საუკუნეების შემდეგ, მსოფლიო წესრიგი, რომელშიც დასავლეთი არაბუნებრივად შეიჭრა და მათი ძალაუფლება დააკნინა, კვლავ წონასწორდება. მაგრამ მათ თავიანთი ისტორიული გამოცდილებიდან განსხვავებული დასკვნები გამოიტანეს. როდესაც ხელისუფლების სათავეში მყოფნი თავიანთი ქვეყნების ძირითადი ინტერესების ჩამოყალიბებას ცდილობენ, ძირითადად ეყრდნობიან განსხვავებულ კულტურულ ტრადიციებს და ახდენენ სხვადასხვა ოქროს ხანის იდეალიზაციას.

მე-18-მე-19 საუკუნეების ევროპის სახელმწიფოთა სისტემაში ღირსებად მიიჩნეოდა წონასწორობის – შესაბამისად, სტატუს კვოს – შენარჩუნება. აზიაში თითქმის ყველა ქვეყანა ინდივიდუალურად ვითარდება. საკუთარ „აღზევებაში" ღრმად დარწმუნებულებს მიაჩნიათ, რომ მსოფლიოს ჯერ სათანადოდ

არ შეუფასებია მათი მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ არცერთი სახელმწიფო არ აყენებს ეჭვქვეშ სხვა ქვეყნის სუვერენიტეტსა და ღირსებას და ყველა ეთანხმება ურთიერთსასარგებლო დიპლომატიას (ნულოვანი ჯამის თამაში), რეგიონულ წესრიგში ნაციონალური პრესტიჟის ასამაღლებლად შექმნილი უამრავი პროგრამა გარკვეულ რყევებს იწვევს. აზიის დიდი სახელმწიფოები, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, ბევრად უფრო დესტრუქციული პოტენციალის სამხედრო არსენალით შეიარაღდნენ, ვიდრე თავის დროზე მე-19 საუკუნის ევროპული სახელმწიფოები. ეს კი, ზრდის გაუთვალისწინებელ რისკებს.

შესაბამისად, აზიის შიდა მოწყობა, ბუნებრივად ემუქრება მსოფლიო წესრიგს. აქ ჩამოყალიბებული წესრიგის მექანიზმები ძალთა წონასწორობის ძიებაში არ შექმნილა, არამედ იგი დიდი ქვეყნების მიერ ეროვნული ინტერესების აღქმამ განაპირობა. ამ სისტემის გამოცდა აჩვენებს, არის თუ არა შესაძლებელი ტრანსპაციფიკური პარტნიორობა, რომელიც მრავალრიცხოვანი ინტერესების გათვალისწინებით შექმნიდა მშვიდობიანი თანამშრომლობის ჩარჩოს.

აზიის საერთაშორისო წესრიგი და ჩინეთი

აზიაში მსოფლიო წესრიგის კონცეფციათა შორის, ჩინეთი ყველაზე მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ვესტფალიური იდეებისგან ყველაზე დაშორებული ვარიანტის მიმდევარია, თანაც მან განვითარების ყველაზე რთული გზა გაიარა. ეს გზა, ანტიკური კულტურიდან კლასიკური იმპერიის გავლით, მივიდა კომუნისტურ რევოლუციამდე და თანამედროვე დიდი სახელმწიფოს სტატუსით მთავრდება – კაცობრიობის მომავალზე დიდი გავლენის პოტენციით.

ძველი წელთაღრიცხვის 221 წელს პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე არსებობდა წარმოდგენა, რომ ჩინეთი არის მსოფლიო წესრიგის ცენტრი; ეს წარმოდგენა იმდენად ღრმად იყო ფესვგადგმული ჩინელების ელიტარულ აზროვნებაში, რომ მათ ენას ამ მოვლენის აღსანიშნავი სიტყვა არ გააჩნდა. მხოლოდ მოგვიანებით განმარტეს სწავლულებმა ხარკის „სინოცენტრული" სისტემა. ამ ტრადიციულ კონცეფციაში იმპერია თავის თავს აღიქვამდა გარკვეულწილად მსოფლიოს ერთადერთ სუვერენულ მმართველად. ჩინეთის იმპერატორი მიიჩნეოდა კოსმიური განზომილების ფიგურად, რომელიც ქმნიდა ცენტრს ადამიანურსა და ღვთიურს შორის. მისი მეფობის არეალი სუვერენული სახელმწიფო „ჩინეთი" – მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული ტერიტორია კი არ იყო – არამედ „მთელი ცისქვეშეთი", ხოლო ჩინეთი ქმნიდა ამ უკიდეგანო სივრცის ცენტრალურ, ცივილიზებულ ნაწილს: „შუაგულის სამეფო", რომელიც დანარჩენი კაცობრიობისთვის ინსპირაციის და ცივილიზაციის წყაროს წარმოადგენდა.

ამ შეხედულების მიხედვით, მსოფლიო წესრიგი ასახავდა უნივერსალურ იერარქიას და არა წონასწორობას ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი სუვერენული სახელმწიფოებისა. ჩინეთს ყველა სხვა ქვეყანა, ასე თუ ისე, ხარკს უხდიდა, რასაც, გარკვეულწილად განსაზღვრავდა მათი სიახლოვე ჩინურ კულტურასთან. მასთან თანასწორობას ვერავინ მიაღწევდა. სხვა მონარქები არ იყვნენ თანაბარრანგიანები, ისინი მიიჩნეოდნენ შეგირდებად, რომლებიც გამალებით ცდილობდნენ სახელმწიფოს მართვის ხელოვნების სწავლას და ესწრაფოდნენ ცივილიზაციას. ჩინეთისთვის დიპლომატია არ წარმოადგენდა მრავალფეროვანი სუვერენული ინტერესებისათვის მოლაპარაკებების პროცესს, არამედ იგი იყო ზედმიწევნით ჩამოყალიბებული ცერემონიების სერია, რომელიც უცხო

ხალხებს აძლევდა საშუალებას, დაემკვიდრებინათ მათთვის მითითებული ადგილი მსოფლიო იერარქიაში. შესაბამისად, ჩინეთის „საგარეო პოლიტიკა“, როგორც დღეს მას უწოდებენ, იყო რიტუალების სამინისტროს სფერო, რომელიც ადგენდა ხარკის გადახდის ურთიერთობების საფეხურებს, აგრეთვე, საზღვრების საქმეთა უწყება, რომელსაც ევალებოდა მომთაბარე ტომებთან ურთიერთობა. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მხოლოდ მე-19 საუკუნის შუა ხანს შეიქმნა და ისიც იძულებით, რათა მოლაპარაკებები ეწარმოებინათ დასავლეთიდან შემოჭრილ ძალებთან. მაგრამ, მაშინაც კი, მოხელეებს თავიანთ ამოცანად მიაჩნდათ ბარბაროსებთან ურთიერთობისას ტრადიციული პრაქტიკის გატარება, რასაც ვესტფალიურ დიპლომატიასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ახალ სამინისტროს მრავლისმეტყველი სახელწოდება ჰქონდა – „ყველა ერის საქმეთა მართვის უწყება“ და ააშკარავებდა, რომ ჩინეთი არანაირ სახელმწიფოთაშორის დიპლომატიას არ ეწეოდა.

ხარკის გადახდის სისტემის მიზანი იყო თაყვანისცემის უზრუნველყოფა და არა ეკონომიკური სარგებელი ან უცხო ხალხების სამხედრო ძალით დაჯაბნა. ჩინეთის ყველაზე შთამბეჭდავი არქიტექტურული მიღწევის, დაახლოებით ხუთი მილის სიგრძის დიდი კედლის მშენებლობა მაშინ დაიწყო, როცა იმპერატორმა ცინ შიხუანდიმ ყველა მეტოქე დაამარცხა სამხედრო ძალით, დაამთავრა დაპირისპირებულ იმპერიათა დრო და გააერთიანა ჩინეთი. კედელი გახლდათ სამხედრო გამარჯვების გრანდიოზული მოწმობა, ამავე დროს, ბუნებრივი საზღვარიც, უზარმაზარი ძალაუფლების სიმბოლო, შერწყმული საკუთარი მოწყვლადობის ცნობიერებასთან. ათწლეულების განმავლობაში ცდილობდა ჩინეთი საკუთარი მოწინააღმდეგეების მოსყიდვას და მოთვინიერებას და არა იარაღით დამარცხებას. ჰანის დინასტიის (ძველი წელთაღრიცხვის 206

– ახალი წელთაღრიცხვის 220) ერთმა მინისტრმა დაასახელა „ხუთი სატყუარა", რომლითაც ჩინეთის ჩრდილოეთ საზღვარზე ხუნუს მხედარი მომთაბარეები კონტროლქვეშ უნდა ჰყოლოდათ, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი სამხედრო თვალსაზრისით მათზე ძლიერი იყო:

> მივართვათ მათ თვალის დასაბრმავებლად დახვეწილი სამოსი და ეტლები; მივართვათ კარგი კერძები პირის გემოს მოსათაფლად; მივართვათ მათ ქალები და მუსიკა ყურის დასატკბობად; მოვისყიდოთ მათი სიამაყე ამაღლებული ნაგებობებით, ხორბლის საცავებით და მონებით... ქვეშევრდომობის მსურველებს იმპერატორმა კეთილი ნება აჩვენოს და მეფურად მიიღოს, პირადად გაუმასპინძლდეს ღვინითა და კერძებით, რომ მათი სული მოისყიდოს. ეს არის ხუთი სატყუარა – ასე შეიძლება მათ ვუწოდოთ.

ჩინეთის დიპლომატიურ რიტუალებს ახასიათებდა თაყვანისცემა – ადამიანები მუხლს იდრეკდნენ და შუბლით მიწას ეხებოდნენ, რომ იმპერატორის უდიდესი ავტორიტეტისთვის ეცათ თაყვანი. მაგრამ რადგან ეს რიტუალი სხვა კულტურების წარმომადგენლების მიერ დამცირებად აღიქმებოდა, ახალი დროის დასავლურ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ხელისშემშლელი აღმოჩნდა. თუმცა თაყვანისცემა ნებაყოფლობითი იყო: იგი წარმოადგენდა იმ ხალხის პატივისცემას, რომელიც არც ქვეშევრდომი იყო და არც საშიში. ხშირად, ხარკს, რომელსაც ჩინეთი ასეთ შემთხვევებში იღებდა, ბევრად აღემატებოდა იმპერატორის მიერ სამაგიეროდ ნაბოძები ძღვენი.

ჩინეთი, ტრადიციულად, ფსიქოლოგიურ ძალაუფლებას ელტვოდა, რასაც საკუთარი მიღწევებითა და ცხოვრების სტილით გამოხატავდა – იგი ხანდახან აწყობდა სამხედრო ექსკურსიებს, რომ ურჩი „ბარბაროსებისთვის" ჭკუა და პა-

ტივისცემა ესწავლებინა. ეს ორივე სტრატეგიული მიზანი და ფსიქოლოგიური მიდგომა შეიარაღებული კონფლიტების მიმართ, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინაც იგრძნობოდა – მაგალითად, 1962 წელს ინდოეთთან და 1979 წელს ვიეტნამთან ომში – და დღემდე რჩება მეთოდად, რომლითაც ჩინეთი მეზობელი სახელმწიფოების მიმართ თავის ძირითად ინტერესებს ატარებს.

ამავე დროს, ჩინეთი არ იყო, დასავლური გაგებით, მისიონერული საზოგადოება. იგი ესწრაფოდა პატივისცემას და არა სხვების მოქცევას. ეს ნატიფი გამყოფი ხაზი არასოდეს არ უნდა გადალახულიყო. ჩინეთის მისია იყო თავის წარმოჩენა და უცხო ხალხებისგან აღიარებასა და პატივისცემას ელოდებოდა. სხვა ქვეყანა შეიძლებოდა გამხდარიყო მეგობარი, ძველი მეგობარიც კი, მაგრამ ვერასოდეს გახდებოდა ჩინეთის თანასწორი. ისტორიის ირონიაა, რომ ერთადერთი უცხოელები, რომლებმაც მიახლოებით მაინც მოიპოვეს თანასწორის სტატუსი, დამპყრობლები იყვნენ. კულტურული იმპერიალიზმის ერთ-ერთ განსაცვიფრებელ მოვლენას წარმოადგენს ისტორიული ფაქტი, რომ ჩინეთმა თავისი ორივე დამპყრობელი – მონღოლები მე-13 საუკუნეში და მანჯურიელები მე-17 საუკუნეში – აიძულა მისი კულტურის ძირითადი ელემენტები გაეზიარებინათ. მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ დამპყრობლებს ამ მრავალრიცხოვანი, საკუთარ კულტურულ უპირატესობაში დარწმუნებული ხალხის სათანადოდ მართვა. დამპყრობლები დაქვემდებარებულ ჩინურ საზოგადოებასთან იმდენად ასიმილირდნენ, რომ მალე მათი ტერიტორიების დიდი ნაწილები ტრადიციული გაგებით ჩინურად მიიჩნეოდა. ჩინეთი არ ესწრაფოდა თავისი პოლიტიკური სისტემის ექსპორტს, მან სხვების ძალაუფლება უფრო მეტად გამოსცადა. ამ გაგებით, იგი დამპყრობლობით კი არ გაფართოვდა, არამედ ოსმოზის გზით.

ახლანდელ დროში, ევროპის წარმომადგენლები – ასევე შეპყრობილნი საკუთარი კულტურული უპირატესობით – შეუდგნენ ჩინეთის ჩართვას დასავლური სამყაროს სისტემაში, რომელიც წარმოადგენდა საერთაშორისო წესრიგის ძირითად სტრუქტურას. მათ ჩინეთი აიძულეს, დანარჩენ მსოფლიოსთან დაემყარებინა ურთიერთობა, გახსნეს რა საელჩოები, დაიწყეს თავისუფალი ვაჭრობა ჩინეთთან. მოსახლეობის ინტერესებისთვის ხდებოდა ჩინეთის ეკონომიკის მოდერნიზაცია და გზა გაეხსნათ ქრისტიან მისიონერებს.

რაც დასავლეთში განმანათლებლობის პროცესად და მონდომებად მიიჩნეოდა, ჩინეთში შეურაცხყოფად მიიღეს. ჩინეთმა ჯერ მოთხოვნილი ცვლილებების მოგერიება გადაწყვიტა, მოგვიანებით კი მას აქტიურად შეეწინააღმდეგა. როდესაც მე-18 საუკუნის ბოლოს ბრიტანეთის პირველი დესპანი ჯორჯ მაკარტნი ჩინეთში ჩავიდა, თან ჩაიტანა ინდუსტრიული რევოლუციის ადრეული მიღწევები და მეფე ჯორჯ მესამის წერილი, რომლითაც მეფე იმპერატორს თავისუფალ ვაჭრობას და ორივე ქვეყნის წარმომადგენლობის გახსნას სთავაზობდა პეკინსა და ლონდონში. ჩინური გემი, რომლითაც იგი გუანჯოუდან პეკინში გაემგზავრა, მორთული იყო ლენტით, სადაც ეწერა, რომ იგი იყო „ინგლისის ელჩი, რომელიც ჩინეთის იმპერატორს ხარკს უხდის". მაკარტნი შინ, ინგლისის მეფესთან, წერილით გაისტუმრეს. მასში ეწერა, რომ პეკინი ვერ მიიღებდა ელჩს, რადგან „ევროპა შენ გარდა კიდევ ბევრი ერისგან შედგება. რა ვქნათ, თუ ყველა მოინდომებს ჩვენს კარზე წარმომადგენლობის გახსნას? ეს ყოვლად შეუძლებელია". იმპერატორი ვერ ხედავდა შეზღუდული და მკაცრად რეგულირებული ვაჭრობის გაფართოების აუცილებლობას, რადგან ინგლისი მას სასურველ საქონელს ვერ სთავაზობდა:

> ვბატონობ რა ფართო მსოფლიოზე, მხოლოდ ერთ მიზანს ვისახავ, კერძოდ, შევინარჩუნო უზადო მმართველობა და შევასრულო სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებები. უცხო და ძვირფასი საგნები მე არ მაინტერესებს. როდესაც ვბრძანე, მიგვეღო ხარკი, რომელიც ოპ, მეფეო, თქვენ გამოაგზავნეთ, ეს ვქენი მხოლოდ იმიტომ, რომ დავაფასე სული, რომელმაც იგი ასეთი შორეული ქვეყნიდან გამოგაგზავნინა... როგორც თქვენმა ელჩმა საკუთარი თვალით იხილა, ჩვენ ყველაფერი გვაქვს.

როდესაც ბრიტანელებმა ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ თავიანთი მერკანტილური ექსპანსია დააჩქარეს, მეორედ გააგზავნეს ჩინეთში იმავე წინადადებით აღჭურვილი დესპანი. ნაპოლეონის ომების დროს ბრიტანეთის საზღვაო ძალების შესაძლებლობის დემონსტრირებამ, რასაკვირველია, ვერ იმოქმედა ჩინეთის მიერ დიპლომატიური ურთიერთობების სიკეთის შეფასებაზე. როდესაც ბრიტანეთის დესპანმა, უილიამ ამჰერსტმა უარი განაცხადა თაყვანისცემის რიტუალის შესრულებაზე და მიზეზად მოიდო, ჩემი საზეიმო ფორმა ჯერ არ ჩამოსულაო, მისი მისიაც უკან გაისტუმრეს. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ყველა შემდგომი მცდელობაც ცივი უარით დასრულდა. იმპერატორმა ინგლისის პრინც-რეგენტს გაუგზავნა გზავნილი, სადაც სთხოვდა, რომ ჩინეთი – „მბრძანებელი ციისქვეშეთისა" – აღარ შეეწუხებინათ, ბარბაროსთა დესპანები სწორი პროტოკოლით მიეღოთ. იმპერატორის ქრონიკები, წესისამებრ, აღიარებენ, რომ „შენმა ოკეანისგაღმელმა სამეფომ ერთგულება გამოგვიცხადა და ცივილიზაციას ესწრაფვის", მაგრამ (მე-19 საუკუნის ქრისტიანული მისიონერის გამოცემაში ნათარგმნი ედიქტის მიხედვით)

> ამის შემდეგ ზედმეტია დესპანების გამოშვება შორ გზაზე. შედეგი მხოლოდ ძალების ფუჭი ფლანგვაა. რადგან

> გული არ გაძლევს ქვეშევრდომული სამსახურის გაწევის სურვილს, თავი შეიკავე ჩემს კარზე დროდადრო მისიების გამოგზავნისგან. ეს არის ცივილიზაციისკენ მოქცევის ჭეშმარიტი გზა. შენი მუდმივი მორჩილებისთვის გამოვცემთ ამ ბრძანებას.

ქვეყანაში, რომელსაც ეს-ესაა გადაერჩინა ევროპულ ძალთა წონასწორობა და ევროპის წამყვან საზღვაო, ეკონომიკურ და ინდუსტრიულ ძალად მიიჩნეოდა, ასეთი წერილი უხეშ შეურაცხყოფად აღიქვეს. მართალია, დღევანდელი წესების მიხედვით, ეს გზავნილი ქედმაღლური ჩანს, მაგრამ იმპერატორი იმას გამოხატავდა, რაშიც ჩინეთი ათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში იყო დარწმუნებული – კერძოდ, სად ეკუთვნოდა ადგილი მსოფლიოში; ამ პრეტენზიას კი უსიტყვოდ ემორჩილებოდა მისი მეზობელი ხალხების უმეტესობა.

სამარცხვინოა, რომ დასავლური ძალები სწორედ იმ პროდუქტის გამო ებრძოდნენ ერთმანეთს თავისუფალი ვაჭრობის უფლების მოსაპოვებლად, რომლის საშინელი შედეგი აშკარა იყო: ისინი იბრძოდნენ, ჩინეთში ოპიუმი შეუზღუდავად შეეტანათ, თითქოს დასავლური წარმოების უკეთესი პროდუქტი არ არსებულიყო. მოგვიანებით, ცინის დინასტიის დროს, ჩინეთს დიდად აღარ უზრუნია სამხედრო ტექნიკა განევითარებინა, რადგან საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არც არავინ დამუქრებია და არც არავინ დასხმია თავს; სამხედრო საქმის განუვითარებლობის უპირველესი მიზეზი კი ის იყო, რომ კონფუციანული საზოგადოების იერარქიაში სამხედროებს დიდად არ აღიარებდნენ. ერთი ანდაზა ზუსტად გამოხატავს ამ აზრს: „ფოლადს ლურსმნებისთვის არ იმეტებენ. ღირსეულნი ჯარისკაცები არ ხდებიან“. ჯერ კიდევ 1893 წელს, როდესაც ცინის დინასტიას დასავლეთის შეიარაღებული ძალები დაესხნენ თავს, სამხედრო ბიუჯეტის სახსრები იმ-

პერატორის საზაფხულო სასახლეში მარმარილოს დიდებული ნავის აღსადგენად დახარჯეს.

1842 წელს, როდესაც ჩინეთზე სამხედრო წნეხი დროებით გაძლიერდა, მან ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს დასავლეთის მოთხოვნების შესრულების თაობაზე. ამავდროულად, ჩინეთს არ დაუთმია თავისი უნიკალურობის განცდა და არ შეუწყვეტია ფარული წინააღმდეგობა. 1856-1858 წლების ომში (რომელიც გამოიწვია ბრიტანეთის დროშის ქვეშ მცურავი გემის არაკანონიერად დატყვევებამ გუანჯოუში), დიდმა ბრიტანეთმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა. ჩინეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა ხელშეკრულებისთვის, რომელიც ბრიტანელებს პეკინში მუდმივი წარმომადგენლობის გახსნის დიდი ხნის ნანატრ უფლებას აძლევდა. როდესაც ერთი წლის თავზე ბრიტანეთის დესპანი ტრიუმფალური ამალით ჩავიდა ჩინეთში სამსახურის დასაწყებად, დედაქალაქისკენ მიმავალი გზა – მთავარი მდინარე – ჯაჭვებითა და ლურსმნებით ჩაკეტილი დახვდა. მან გზის გასაწმენდად ბრიტანელი მეზღვაურების კონტინგენტი გამოიძახა, ჩინეთის სამხედრო ძალებმა კი ჯარს ცეცხლი გაუხსნა. ბრძოლაში 519 ბრიტანელი მეზღვაური დაიღუპა, 456 – დაიჭრა. შემდეგ ბრიტანელებმა ლორდ ელგინის ხელმძღვანელობით ჯარი გაგზავნეს ჩინეთში, რომელმაც შტურმით აიღო პეკინი და გადაწვა ზაფხულის სასახლე. ცინის სამეფო კარს გაქცევის მეტი აღარაფერი დარჩენოდა. ბრუტალური ინტერვენციის შედეგად მმართველი დინასტია აიძულეს შეექმნა „ლეგაციის კვარტალი" დიპლომატიური წარმომადგენლების დასაბინავებლად. ჩინეთი იძულებული შეიქნა დასთანხმებოდა ურთიერთდიპლომატიის კონცეფციას, სუვერენული სახელმწიფოების ვესტფალიური სისტემის ფარგლებში.

დაპირისპირება ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო დაიწყო: ჩინეთი თავისთავად სრულყოფილ მსოფლიო წესრიგს

წარმოადგენდა თუ მხოლოდ ერთ-ერთი იყო მრავალთა შორის და ეკუთვნოდა უფრო ვრცელ საერთაშორისო სისტემას? ჩინეთი თავის ტრადიციულ შეხედულებას ებღაუჭებოდა. ჯერ კიდევ 1863 წელს, „ბარბაროსების" მიერ მიყენებული ორი სამხედრო მარცხის და ძლიერი შიდა ამბოხის (ტაიპინის აჯანყება) შემდეგ, რომლის ჩახშობა მხოლოდ უცხოური ჯარების დახმარებით მოხერხდა, ლინკოლნს წერილით ჩინეთის პატივისცემა და კეთილგანწყობა დაუდასტურა იმპერატორმა: „რადგან ჩვენ ზეცით მოგვენიჭა სამყაროს მართვის დავალება, ორივეს – შუაგულის სამეფოსა (ჩინეთსა) და გარე ქვეყნებსაც ერთი ოჯახის ნაწილად განვიხილავთ და მათ არ ვასხვავებთ".

1872 წელს ბრწყინვალე შოტლანდიელმა სინოლოგმა, ჯეიმზ ლეგემ, იმ დროისთვის დამახასიათებელი რწმენით სხარტად ჩამოაყალიბა მსოფლიო წესრიგის შესახებ დასავლური წარმოდგენის უპირატესობა:

> უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ჩინეთის პოზიცია მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების მიმართ სრულიად შეიცვალა. ჩინეთმა ხელშეკრულებები დადო თანასწორობის საფუძველზე. მაგრამ არ მგონია, რომ მისმა მინისტრებმა და მოსახლეობამ ამ ჭეშმარიტებას ბეჯითად გაუსწორეს თვალი და მიხვდნენ, რომ ჩინეთი მხოლოდ ერთ-ერთია დედამიწის მრავალ დამოუკიდებელ ერს შორის და რომ „ცისქვეშეთი", რომელზეც მეფობს მისი იმპერატორი, ყველაფერს კი არ მოიცავს, რაც ცის ქვეშ არსებობს, არამედ მხოლოდ გარკვეულ ნაწილს იმისა, რაც მდებარეობს დედამიწის ზედაპირზე და რისი შემოსაზღვრაც რუკაზეა შესაძლებელი.

მსოფლიო წესრიგის რომელი წესები დამკვიდრდებოდა ეპოქაში, რომელშიც ტექნიკა და ვაჭრობა წინააღმდეგობრივ სისტემებსაც კი აახლოებს ერთმანეთთან?

ევროპაში ვესტფალიური სისტემა აღმოცენდა ოცდაათწლიანი ომის შემდეგ დე ფაქტო დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჭარბი რაოდენობის საფუძველზე. როდესაც აზია შეუერთდა თანამედროვეობას, იქ ნაციონალური და ინტერნაციონალური ორგანიზაციების განვითარებული აპარატი არ არსებობდა. ბევრი ცივილიზაციური ცენტრის გარშემო იყო პატარა სამეფოები, რომლებიც ერთმანეთთან მექანიზმების დახვეწილი და ცვალებადი კომბინაციებით ურთიერთობდნენ.

ჩინეთმა თავისი ნაყოფიერი მიწების, წინააღმდეგობის უჩვეულო უნარის მქონე კულტურის და პოლიტიკური გამჭრიახობის წყალობით, ორი ათასწლეულის განმავლობაში შეინარჩუნა ერთიანობა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენას ახდენდა სხვებზე მაშინაც კი, როცა იგი, სხვებთან შედარებით სულაც არ ფლობდა სამხედრო ძლიერებას. მისი ასე თუ ისე უპირატესი პოზიცია ემყარებოდა ეკონომიკას, რომელიც ყველა მეზობლისთვის სანატრელ საქონელს აწარმოებდა. ეს ელემენტები განსაზღვრავდა ჩინეთის წარმოდგენას მსოფლიო წესრიგის შესახებ – მკაფიოდ განსხვავებულს ევროპულისგან, რომელიც ეყრდნობოდა თანასწორი სახელმწიფოების მრავალფეროვნებას.

განვითარებულ დასავლეთთან და იაპონიასთან ჩინეთის კონფრონტაციის დრამატულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ექსპანსიურ ძალებად ჩამოყალიბებული დიდი სახელმწიფოები ეჯახებოდნენ ცივილიზაციებს, რომლებიც თავდაპირველად თანამედროვე სახელმწიფოებრიობას დამცირებად აღიქვამდნენ. 21-ე საუკუნეში ჩინეთის საერთაშორისო მნიშვნელობის ქვეყნად „დაწინაურება" სიახლე კი არ არის, ისტორიული მაგალითის გამეორებაა. განსაკუთრებულობა კი ისაა, რომ ძველი კულტურის მემკვიდრე ჩინეთმა, როგორც თანამედროვე დიდმა სახელმწიფომ, კვლავ მოიპოვა ადგილი ვესტფალი-

ურ სისტემაში. იგი ერთმანეთს უკავშირებს „ცისქვეშეთზე" მბრძანებლობის მემკვიდრეობას, ტექნოკრატიულ მოდერნიზაციას და მე-20 საუკუნისთვის დამახასიათებელ მღელვარე ძიებას ამ ორის სინთეზის მისაღწევად.

ჩინეთი და მსოფლიო წესრიგი

იმპერატორიის დინასტია 1911 წელს დაემხო, ხოლო 1912 წელს სუნ იატსენის მიერ რესპუბლიკის დაარსებისას, ჩინეთს მხოლოდ სუსტი ცენტრალური მთავრობა ჰყავდა, რამაც სამხედრო დაჯგუფებებს შორის ათწლიანი შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვია. 1928 წლის შემდეგ ჩან კაიშის უფრო ძლიერი ცენტრალური მთავრობა ცდილობდა ჩინეთის ჩართვას მსოფლიო წესრიგის ვესტფალიურ კონცეფციაში და ეკონომიკის გლობალურ სისტემაში. ჩინეთი ერთდროულად ეძებდა თანამედროვე და ტრადიციულ ჩინურ იდენტობაზე დაყრდნობილ მოდელს და სურდა ჩართულიყო საერთაშორისო სისტემაში, რომელიც, თავის მხრივ, გარდატეხას განიცდიდა; სწორედ მაშინ იაპონია, რომელმაც ნახევარი საუკუნით ადრე დაიწყო მოდერნიზაცია, აზიაში ჰეგემონიის დამყარებას ცდილობდა. იაპონიამ 1931 წელს დაიკავა მანჯურია და 1937 წელს ჩინეთის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებში შეიჭრა. ნაციონალისტურმა მთავრობამ ვერ მოახერხა საკუთარი პოზიციის კონსოლიდაცია და კომუნისტების აჯანყება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს, გამარჯვებული ალიანსის წევრი იყო, მაინც ჩაეფლო სამოქალაქო ომში და რევოლუციურ არეულობაში, რამაც საფრთხე შეუქმნა მის საგარეო ურთიერთობებს და მთელ მემკვიდრეობას.

1949 წლის 1 ოქტომბერს ძლევამოსილი კომუნისტური პარტიის ლიდერმა, მაო ძედუნმა პეკინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსება შემდეგი სიტყვებით გამოაცხადა: „ჩინელი ხალხი აღდგა". მაო ამ სლოგანს უკავშირებდა ჩინეთს, რომელიც „პერმანენტული რევოლუციის" დოქტრინით იტარებდა თვითწმენდას და ძლიერდებოდა; და მან დაიწყო შიდაპოლიტიკური და საერთაშორისო წესრიგის მოძველებული კონცეფციების მსხვრევა. მთელი ინსტიტუციური სპექტრი აღმოჩნდა საფრთხის ქვეშ: დასავლური დემოკრატია, საბჭოთა კავშირის ლიდერობის პრეტენზია კომუნისტურ სამყაროში და ჩინეთის წარსულის მემკვიდრეობა. ხელოვნება და ძეგლები, გამოსასვლელი დღეები და წეს-ჩვეულებები, ლექსიკა და ტანსაცმლის მოდა – ყველაფერს დაბრალდა ხელშეწყობა სიზარმაცისა, რის გამოც ჩინეთი არ აღმოჩნდა მზად უცხოური ინტერვენციების წინააღმდეგ. ყველა ტრადიცია ემსხვერპლა სხვადასხვა ფორმით მის ვერდიქტს. მაოს წესრიგის კონცეფციის მიხედვით – „დიდი ჰარმონია", როგორც იგი უწოდებდა კლასიკური ჩინური ფილოსოფიის პერიფრაზით – ახალი, ჰარმონიული ჩინეთი უნდა აღმოცენებულიყო ტრადიციული კონფუცისეული კულტურის დამსხვრევით. რევოლუციური მონდომების ყველა ტალღა შემდგომის წინამორბედია, ამბობდა ის. რევოლუციის პროცესი სულ უფრო უნდა დაჩქარდეს, რათა რევოლუციონერები არ მოდუნდნენ და თვითკმაყოფილებას არ მიეცნენ. „უწონასწორობა ზოგადი, ობიექტური წესია", წერდა მაო:

> ციკლი, რომელიც უსასრულოა, უწონასწორობიდან წონასწორობას და ისევ უწონასწორობას ესწრაფვის, ყველა ციკლს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ავყავართ. უწონასწორობა მუდმივი და აბსოლუტურია, წონასწორობა კი დროში შემოსაზღვრული და ფარდობითი.

მაგრამ, საბოლოოდ, გარდაქმნა ისე განხორციელდა, რომ, გარკვეულწილად, კარგად ნაცადი ჩინური შედეგი მოიტანა: მან შექმნა კომუნიზმი, რომელიც ჩინეთის არსს შეესაბამება და ჩინეთის მიღწევების მიმართ განსაკუთრებული პატივისცემით გამოირჩევა. ამასთან, განსაკუთრებული და ახლა რევოლუციური მორალური ავტორიტეტი ისევ მეფობს „მთელ ცისქვეშეთზე".

მაო საერთაშორისო საქმეებს წარმართავდა ჩინეთის განუმეორებლობის ტრადიციული რწმენით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა, მსოფლიო მასშტაბის მიხედვით, ობიექტურად სუსტი იყო, მაო მაინც იჩემებდა თავისი ქვეყნისთვის ცენტრალურ როლს, რომელიც, მისი შეხედულებით, ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური უპირატესობის გამო ეკუთვნოდა – რაც იმაში ვლინდებოდა, რომ ბრძოლას უცხადებდა მსოფლიოს, რომელშიც სიძლიერეს ფიზიკური ძალის უპირატესობა განსაზღვრავდა, იმის მაგივრად, რომ მასთან მორიგებულიყო. როდესაც მაომ 1957 წელს მოსკოვში, კომუნისტური ლიდერების საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა, განაცვიფრა დელეგატები განცხადებით, რომ ატომური ომის შემთხვევაში, ჩინელი ხალხი, რიცხობრივი უპირატესობისა და გამძლეობის განსაკუთრებული უნარის წყალობით, საბოლოოდ გამარჯვებას მოიპოვებდა. ასობით მილიონი დაღუპულიც ვერ გადაახვევინებს ჩინეთს რევოლუციური კურსიდანო, ირწმუნებოდა იგი. მიუხედავად იმისა, რომ ეს, ნაწილობრივ, მხოლოდ ხმამაღალი განცხადებები იყო, ატომური იარაღის უფრო დიდი არსენალის ქვეყნების დასაშინებლად მაოს უნდოდა მსოფლიო დაერწმუნებინა, რომ ატომურ ომს მშვიდად უყურებდა. 1971 წლის ივლისში – პეკინში ჩემი საიდუმლო ვიზიტის დროს – ზოუ ენლაიმ მაოს მსოფლიო წესრიგის კონცეფცია ცინიკურად ასე შეაჯამა – თან დიდი საჭეთმპყრობლის მიერ ჩინეთის იმპერატორთან დატოლებაზე გადა-

მიკრა სიტყვა – „ცისქვეშეთში დიდი უწესრიგობა სუფევს; მდგომარეობა ბრწყინვალეა". წლობით ბრძოლაში გამობრძმედილი სახალხო რესპუბლიკა მსოფლიო ქაოსის ბოლოს არა მხოლოდ ჩინეთში, არამედ მთელ „ცისქვეშეთში" გაიმარჯვებს. ამგვარად, კომუნისტური მსოფლიო წესრიგი იმპერატორის კარის ტრადიციულ თვალსაზრისს შეერწყმებოდა.

როგორც ერთ დროს ცინ შიხუანდი, ჩინეთის პირველი უძლეველი დინასტიის დამაარსებელი (ძველი წელთაღრიცხვის 221-207), მაოც ესწრაფოდა ქვეყნის გაერთიანებას უძველესი კულტურის დანგრევის გზით, სწორედ უძველეს კულტურას მიიჩნევდა იგი სისუსტისა და დამცირების მიზეზად. იგი მმართველობისას ისეთივე მიუწვდომელი იყო, როგორც ერთ დროს იმპერატორი (რომელსაც, ოღონდ, მასობრივი მიტინგები არ მოუწყვია) და ამ სტილს ლენინისა და სტალინის პრაქტიკულ გამოცდილებებს უზავებდა. თავისი მმართველობით იგი განასახიერებდა რევოლუციის დილემას. რაც უფრო რადიკალურად ცდილობდა რევოლუციონერი ცვლილებას, მით უფრო დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა – არა მხოლოდ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთაგან, არამედ, უპირველესად, ჩვეული უმოქმედობის გამო. რევოლუციის წინასწარმეტყველი ყოველთვის ცდილობს საკუთარი მოკვდავობის გადალახვას დაჩქარებული მოქმედებითა და მიზნის მისაღწევი საშუალებების გამრავალფეროვნებით. 1958 წელს მაომ დიდი ნახტომი მოიწადინა, რომ უმოკლეს დროში მიეღწია ინდუსტრიალიზაციისთვის და ამით ბორკილები ახსნა 1966 წლის კულტურულ რევოლუციას, რათა თამაშგარეთ დაეტოვებინა ძლიერი მოწინააღმდეგეები და აღეკვეთა მათი ინსტიტუციური ჩამოყალიბება. ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე იდეოლოგიურ ბრძოლაში, განათლებული ახალგაზრდების მთელი თაობა გაასახლეს სოფლად. მაოს მიზნების განხორციელებას მილიონობით ადამიანი შეეწირა, მათი უმე-

ტესობა ცივი გონებით გადაარჩიეს და შესწირეს ისტორიულ გარდატეხად სახელდებულ მოვლენას, რომელიც ერთი ადამიანის სიცოცხლის პერიოდში უნდა განხორციელებულიყო.

რევოლუციონერები მაშინ იმარჯვებენ, როცა მათ მიღწევებს ბუნებრივად აღიქვამენ და საფასური გარდაუვლად მიიჩნევა. დღევანდელი ჩინეთის მმართველთაგან ბევრმა გადაიტანა კულტურული რევოლუციის დროს მძიმე პერიოდები, მაგრამ მაშინდელ უსიამოვნებებს დღეს წარმოაჩენენ როგორც გამობრძმედისა და თვითშეცნობის აუცილებელ პროცესს, რომელიც დაეხმარათ უზარმაზარი ცვლილებების დაძლევაში. ჩინეთის მოქალაქეები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, რომელთაც ეს მძიმე დრო თავად არ გამოუცდიათ, როგორც ჩანს, ეთანხმებიან აზრს, რომ მაო უპირველესად გამაერთიანებელი იყო და ჩინეთის ღირსების სახელით მოქმედებდა. ამ მემკვიდრეობის რომელი ასპექტი დაიმკვიდრებს თავს – მაოს მიერ მსოფლიოსთვის ცინიკური ბრძოლის გამოცხადება თუ ხასიათის ჩუმი სიმტკიცე, რომელიც ხალხმა გადარჩენისათვის ბრძოლაში შეიძინა მაოს მმართველობის დროინდელ ორომტრიალში, მნიშვნელოვან დაღს დაასვამს 21-ე საუკუნის მსოფლიო წესრიგის მიმართ ჩინეთის დამოკიდებულებას.

კულტურული რევოლუციის ადრეულ ფაზებში ჩინეთს, საკუთარი სურვილით, მხოლოდ ოთხი ელჩი ჰყავდა მსოფლიოში და ორივე სუპერსახელმწიფოსთან – შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირთან ჰქონდა კონფლიქტი. 1960-იანი წლების ბოლოს მაო მიხვდა, რომ კულტურული რევოლუცია თვით ათასწლეულების განმავლობაში ნატანჯი და გამობრძმედილი ჩინელი ხალხისთვისაც კი მეტისმეტი იყო და რომ ჩინეთის იზოლაცია მაინც გამოიწვევდა უცხოელების ინტერვენციებს, რომელთაც მანამდე იდეოლოგიური დაუმორჩილებლობით და სიჯიუტით იგერიებდა. 1969 წელს იმდენად სახიფათოდ ჩანდა საბჭოეთის შეტევა, რომ მაომ მთელი სამინისტროები პრო-

ვინციებში გახიზნა და მხოლოდ ზოუ ენლაი დაიტოვა პეკინში. მაოს პასუხი კრიზისზე ისევ იყო მისთვის დამახასიათებელი კურსის მოულოდნელი ცვლილება. კულტურული რევოლუციის ანარქისტული ასპექტების მოსამთავრებლად მან წითელ გვარდიას – თავის ყოფილ დამრტყმელ ჯარს, შეიარაღებული ძალები დაუპირისპირა, პროვინციებში გადახვეწა და იძულებით სამუშაოზე უკრა თავი იმ ხალხთან ერთად, ვინც ადრე სწორედ მათ მსხვერპლს წარმოადგენდა. მაო საბჭოთა კავშირის განეიტრალებას ცდილობდა და ამ მიზნით შეეკრა მანამდე დემონიზირებულ მოწინააღმდეგეს – ამერიკის შეერთებულ შტატებს.

მაოს გათვლით, აშშ-ის მიმართ ნდობა ჩინეთის იზოლაციას დაამთავრებდა და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ქვეყნებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აღიარებისთვის განაწყობდა. (როდესაც ჩინეთში ჩემს პირველ ვიზიტს ვგეგმავდი, მომზადდა CIA-ს საინტერესო ანალიზი, რომელიც ცხადყოფდა, რომ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაძაბულობა მეტად გამძაფრებული იყო საიმისოდ, რომ ხელი შეწყობოდა აშშ-ისა და ჩინეთის დაახლოებას, მაგრამ ეს მაოს სიცოცხლეში ვერ მოხერხდა, მისი იდეოლოგიური სიჯიუტის გამო.)

რევოლუციას, სულერთია, როგორი რადიკალურიც არ უნდა იყოს იგი, სჭირდება კონსოლიდაცია და ეიფორიული ფაზის დასრულების შემდეგ გრძელვადიან სტაბილურ მოცემულობებზე მორგება. ეს ისტორიული ამოცანა ითავა დენ სიაოპინმა. დენი ორჯერ იყო მაოს წმენდის მსხვერპლი. მაოს სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ, 1976 წელს კი ქვეყნის ფაქტიურ მმართველად მოგვევლინა. იგი სწრაფად შეუდგა ეკონომიკური რეფორმების გატარებას და სასარგებლო ურთიერთობათა გზების ძიებას. როგორც თავად უწოდებდა, „სოციალიზმის ჩინურ ნაირსახეობაში“ გაათავისუფლა თავისი ხალხის ლატენტური ენერგია. ერთ თაობაზე ნაკლებ დროში მან ჩინეთი მსოფლიო-

ში სიდიდით მეორე სახალხო ეკონომიკის ქვეყნად გარდაქმნა. ამ დრამატული გარდატეხის დასაჩქარებლად – და არა მაინცდამაინც შინაგანი რწმენის გამო – ჩინეთი შეუერთდა საერთაშორისო ინსტიტუციებს და აღიარა მსოფლიო წესრიგის დადგენილი წესები.

ჩინეთი ვესტფალიურ სტრუქტურებს ორმაგი მოტივით აღიარებდა, რაც ისტორიული მოცემულობებით აიხსნება, რის გამოც ქვეყანა ამ წესრიგს შეუერთდა. ჩინეთს არ დავიწყებოდა, რომ ერთ დროს იმგვარად აიძულეს არსებულ საერთაშორისო წესრიგს დათანხმებოდა, რომ შეურყიეს ისტორიული იმიჯი და არც ვესტფალიური სისტემის რეალურ პრინციპებს შეესაბამებოდა მაშინდელი იძულება. ჩინეთს სთხოვდნენ დამორჩილებოდა საერთაშორისო წესრიგის „თამაშის წესებს“ და „პასუხისმგებლობებს“, რამაც ბევრი ჩინელის – მათ შორის წარჩინებულთა უნდობლობა გამოიწვია, რადგან გააცნობიერეს, რომ ამ წესების დადგენაში თავად არ მიუღიათ მონაწილეობა. ჩინელებმა გონივრული სიფრთხილე გამოიჩინეს და წნეხს დამორჩილდნენ, გადაწყვიტეს დასთანხმებოდნენ არსებულ წესებს, მაგრამ სამომავლოდ – და ადრე თუ გვიან, იმოქმედებენ კიდეც შესაბამისად – საერთაშორისო წესრიგი განვითარდება და მათი ქვეყანა ამ სიახლეთა ჩამოყალიბებაში წამყვან როლს ითამაშებს – შედეგად კი, შესაძლებელია, არსებული წესების გაუქმებაც კი გახდეს აუცილებელი.

ამ იმედით აღვსილი პეკინი მსოფლიო სცენაზე უაღრესად გააქტიურდა. რადგან, სავარაუდოდ, ჩინეთი მსოფლიოში უდიდეს სახალხო ეკონომიკას წარმართავს, მის მხარდაჭერას ყველა საერთაშორისო ფორუმი ესწრაფვის. ჩინეთი მონაწილეობდა მე-19-მე-20 საუკუნეების დასავლეთის წესრიგის მრავალ პრესტიჟულ ღონისძიებაში: იყო ოლიმპიური თამაშების მასპინძელი, გაეროს წინაშე გამოვიდნენ მისი პრეზიდენტები, მთელი მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან გაიცვალა

სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა ვიზიტები. ჩინეთმა ყველა სტანდარტით დაიბრუნა სტატუსი, რაც კი ჰქონია უდიდესი და ფართო გავლენის საუკუნეებში. ამიტომაც ჩნდება კითხვა, როგორ პოზიციას დაიკავებს ჩინეთი ამჟამინდელი მსოფლიო წესრიგის ძიებაში და განსაკუთრებით აშშ-ის მიმართ.

აშშ და ჩინეთი მსოფლიო წესრიგის ორი უმთავრესი საყრდენია. აღსანიშნავია, რომ ისტორიულად ორივეს ამბივალენტური დამოკიდებულება ჰქონდა იმ საერთაშორისო სისტემის მიმართ, რომლის საფუძველსაც დღეს წარმოადგენენ. ისინი აღიარებენ საერთაშორისო სისტემის წინაშე ვალდებულებას, თუმცა მისი ზოგიერთი ნაწილის მიმართ თავშეკავებულნი არიან. 21-ე საუკუნის წესრიგში ჩინეთის როლი, იყოს ერთ-ერთი უდიდესი დიადთა შორის – ისტორიულად უპრეცედენტოა. არც შეერთებულ შტატებს არ გააჩნია გამოცდილება მუდმივი თანამშრომლობისა ქვეყანასთან, რომელიც სიდიდით, გავლენით და ეკონომიკური მიღწევებით მას არ ჩამოუვარდება, მაგრამ შიდა პოლიტიკური წესრიგისთვის სრულიად სხვა მოდელი აქვს არჩეული.

ამ სახელმწიფოების კულტურული და პოლიტიკური ბექგრაუნდი უმთავრეს საკითხებში განსხვავებულია. ამერიკა პოლიტიკას პრაგმატულად უდგება, ჩინეთი კი კონცეპტუალურად. ამერიკას არასოდეს დამუქრებია ძლიერი მეზობელი, ჩინეთს კი ყოველთვის უწევდა დაპირისპირება ძლიერ მოწინააღმდეგეებთან სასაზღვრო რეგიონებში. ამერიკელებს სწამთ, რომ ყველა პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. ჩინელები ფიქრობენ, რომ ყოველი გადალახული დაბრკოლება წარმოშობს ახალს. ამერიკელები ესწრაფვიან შედეგს, რომელიც პასუხობს უშუალო ვითარებას, ჩინელები კი ევო-

ლუციურ ცვლილებებს ანიჭებენ დიდ ყურადღებას. ამერიკელების დღის წესრიგი პრაქტიკული, „განხორციელებადი" პუნქტებისგან შედგება, ჩინელები კი ზოგად პრინციპებს და მათ შედეგებს აანალიზებენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩინური აზროვნება კომუნიზმმაც ჩამოაყალიბა, დღეს ტრადიციული ჩინური შეხედულებების პოპულარობა მატულობს. მსგავსი ინტუიციური მიდგომები ამერიკელებისთვის მეტად უცხოა.

ჩინეთი და შეერთებული შტატები სუვერენულ სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემაში საფუძვლიანად მხოლოდ ბოლო დროს ჩაერთნენ. ჩინეთს თავი სწორუპოვრად მიაჩნდა და ძირითადად საკუთარ რეალობაში იყო ჩამწყვდეული. „სწორუპოვარი" – ანუ არაჩვეულებრივი პგონია თავი ამერიკასაც, მაგრამ ამ განცდას ახლავს მორალური ვალდებულება საკუთარი ღირებულებების მთელ მსოფლიოში გავრცელებისა, მიზეზით, რომელიც სცდება raison d´état-ს. კულტურულად და ისტორიულად ასე განსხვავებული ორი დიდი საზოგადოება ანგარიშს უწევს ფუნდამენტურ შიდა მოთხოვნებს. 21-ე საუკუნის მსოფლიო წესრიგისთვის მნიშვნელოვანი იქნება, ეს განსხვავებულობა მათში მეტოქეობას უფრო გააღვივებს თუ პარტნიორობის ახალ ფორმას შესძენთ.

ამასობაში, ჩინეთს რევოლუციის შემდგომი მეხუთე თაობა მართავს. ყველა წინამორბედმა ლიდერმა საკუთარი თვალთახედვა ჩამოაყალიბა თავისი ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად. მაო ძედუნი ანგრევდა ეტაბლირებულ ინსტიტუციებს, მათ შორის, გამარჯვების შემდეგ საკუთარი ხელით შექმნილსაც, რადგან ეშინოდა, რომ ჩინეთის მიდრეკილება ბიუროკრატიულობისკენ სტაგნაციას გამოიწვევდა. დენ სიაოპინი მიხვდა, რომ ჩინეთი ისტორიულ პოზიციას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებდა, თუ საერთაშორისო ძალისხმევას გამოიჩენდა. ძენის სტილი მკაფიოდ იყო შემოსაზღვრული: ტრაბახს ვერიდოთ, რომ არ ავაღელვოთ მეზობლები, არ განვაცხადოთ ლი-

დერობის პრეტენზია, საზოგადოების და ეკონომიკის მოდერნიზაციით გავაფართოოთ ჩინეთის გავლენა. ძიან ძემინი ტიანანმენის მოედანზე პროტესტის სისხლიანი დარბევის დროს მოვიდა თანამდებობაზე. 1989 წლიდან იგი საერთაშორისო დონეზე ამ დარბევის შედეგებს აგვარებდა პირადი დიპლომატიური გზებით, ეროვნულ დონეზე კი კომუნისტური პარტიის საძირკველს აფართოებდა. მან გახადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საერთაშორისო თანამეგობრობისა და ვაჭრობის სისტემის სრულფასოვან წევრად. ძენის მიერ არჩეულმა ჰუ ძინტაომ ჩინეთის მზარდი ძალის გამო მსოფლიოში წარმოქმნილი შეშფოთება მოხერხებულად ჩააცხრო და საფუძველი დაუდო დიდ სახელმწიფოებს შორის ახალი ტიპის ურთიერთობების კონცეფციას. ეს უკანასკნელი კი სი ძინპინმა გამოაცხადა.

სი ძინპინის მმართველობა ცდილობდა ამ მემკვიდრეობაზე აეგო რეფორმების უზარმაზარი პროგრამა, ძენის პროექტის გასავითარებლად. შეიქმნა სისტემა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო უფრო დემოკრატიული, მაგრამ უნდა ყოფილიყო უფრო გამჭვირვალე და მასში პიროვნული წარმატებები უფრო მეტად სამართლებრივი პროცედურებით და არა მანამდე ჩამოყალიბებული პირადული და ოჯახური ურთიერთობებით განსაზღვრულიყო. ახალმა ხელისუფლებამ ბევრ გამყარებულ ინსტიტუციას და პრაქტიკას გამოუცხადა გაბედული და გააზრებული ომი, მათ შორის, სახელმწიფო საწარმოებს, რეგიონულ ფინანსურ სამსახურებს და ფართო კორუფციას. ეს ბრძოლა უდავოდ გამოიწვევს გარდატეხის პერიოდს და გაურკვევლობას.

ჩინეთის ხელისუფლების შემადგენლობა ასახავს განვითარებას და მის სურვილს, არა მხოლოდ მონაწილეობა მიიღოს გლობალურ საქმეებში, არამედ წვლილიც შეიტანოს მათ ფორმირებაში. 1982 წელს პოლიტბიუროს არცერთ წევრს არ

გააჩნდა აკადემიური განათლება. დღესდღეობით თითქმის ყველას აქვს მარტივი უმაღლესი (კოლეჯის დონის) განათლება, ზოგიერთს კი უფრო მეტიც. ჩინეთში კოლეჯის დონის სწავლება ამასობაში უკვე ეფუძნება დასავლეთის სასწავლო გეგმების სტანდარტს და არა მანდარინის ძველი საგანმანათლებლო სისტემის მემკვიდრეობას (ან მის შემდგომ კომუნისტურ სასწავლო გეგმას, რომელიც ინტელექტუალური გადაგვარების ფორმა იყო). შესაბამისად, ხორციელდება რადიკალური წყვეტა ჩინეთის წარსულთან, როცა ჩინელები ინტენსიურად და სიამაყით ებღაუჭებოდნენ სამყაროს იმ ნაწილების ვიწრო აღქმას, რომელიც მათი თვალთახედვის გარეთ მდებარეობდა. ჩინეთის დღევანდელი ხელისუფალნი კარგად იცნობენ თავიანთი ქვეყნის ისტორიას, მაგრამ აღარ არიან მისი მძევლები.

გრძელვადიანი პერსპექტივა

ძველ და ახალ ძალებს შორის პოტენციური დაძაბულობა უცხო არ არის. უცხო უნებურად იჭრება სფეროებში, რომელიც ეტაბლირებულ ძალას თავის სამფლობელოდ მიაჩნია. ამიტომაც ახალი ძალა ეჭვობს, რომ მეტოქე ეცდება ხელი შეუშალოს აღზევებაში, სანამ გვიან არ არის. ჰარვარდში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ ისტორიულად, ახალი და ეტაბლირებული ძალების დაპირისპირების 15 შემთხვევიდან 10 ომით დამთავრდა.

აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ორივე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მოაზროვნეები ისტორიულ მაგალითებზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ კონფლიქტი გარდაუვალია.

ჩინეთის მხარე აშშ-ს ბევრ მოქმედებას აფასებს როგორც ჩინეთის აღმასვლის შემაფერხებელ გეგმას. ამერიკის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა კი აღიქმება ჩინეთის შიდაპოლიტიკური სტრუქტურის დანგრევისკენ მიმართულ პროექტად. რამდენიმე მნიშვნელოვანი ფიგურა აშშ-ის გეოსტრატეგიული სიმძიმის ცენტრის აზიაში გადაწევას განიხილავს ძალთა ურთიერთდატოლების უვერტიურად, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ჩინეთის მუდმივად მეორეხარისხოვან პოზიციაში დატოვება. ეს დამოკიდებულება მით უფრო აღსანიშნავია, რომ აქამდე მას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი სამხედრო გადაწყობა.

ამერიკის მხარეს კი მატულობს შიში, რომ აღმავალი ჩინეთი დაემუქრება მის მოწინავე პოზიციას და, შესაბამისად, აშშ-ის უსაფრთხოებას. გავლენიანი წრეების შეხედულებაა, რომ ჩინეთს უნდა – როგორც საბჭოთა კავშირს უნდოდა ცივი ომის დროს – მთელ მის მიმდებარე რეგიონში სამხედრო და ეკონომიკური დომინანტობა და, საბოლოო ჯამში, ჰეგემონიური პოზიციის დაკავება.

დაეჭვებული მხარეები ერთმანეთის სამხედრო მანევრებსა და შეიარაღების პროგრამებს თავიანთი ეჭვების დადასტურებად მიიჩნევენ. გინდაც საქმე გვქონდეს მხოლოდ „ნორმალურ", ანუ ისეთ ღონისძიებებთან, როგორსაც ქვეყნები ეროვნული ინტერესების დასაცავად ატარებენ, მათი ინტერპრეტაცია მაინც განიხილება როგორც მზადება „უარესი სცენარისთვის". ორივე მხარეს მართებს სიფრთხილე, რომ ჯარის უნილატერალურმა სტაციონირებამ და მანევრებმა არ მიგვიყვანოს გამალებულ შეიარაღებამდე.

ორივე მხარემ უნდა გამოიტანოს დასკვნები პირველი მსოფლიო ომის წინა ათწლეულის ისტორიული გაკვეთილებიდან, როდესაც მომეტებული უნდობლობით ლატენტური კონფრონტაცია კატასტროფაში გადაიზარდა. ევროპელი ლი-

დერები მაშინ საკუთარი სამხედრო გეგმების ხაფანგში და ტაქტიკურისა და სტრატეგიულის ერთმანეთისგან განსხვავების უუნარობაში გაებნენ.

ჩინურ-ამერიკული ურთიერთობების დაძაბულობას კიდევ ორი სადავო საკითხი ამძაფრებს. ჩინეთი არ ეთანხმება თეზისს, რომლის მიხედვითაც, საერთაშორისო წესრიგს აძლიერებს ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება და რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ვალია მისი ხელშეწყობა, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებების დაცვა. ჩინეთი მკაცრად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების ამერიკული გაგებით გატარებას საერთაშორისო აქციების საშუალებით. აშშ, შესაძლებელია, ადამიანის უფლებების მისეულ ხედვას სტრატეგიულ პრიორიტეტებს არგებდეს, მაგრამ ისტორიისა და მისი მოქალაქეების შეხედულებების გათვალისწინებით, არასოდეს დათმობს ამ პრინციპებს. ამ თემაზე ჩინეთის ელიტის შეხედულება დენ სიაოპინმა შემდეგნაირად გამოხატა:

> ამჟამად ნაციონალური სუვერენიტეტი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის უფლებები, მაგრამ შვიდეულის (ან რვიანის) ჯგუფი ხშირად ლახავს მესამე სამყაროს ღარიბი, სუსტი ქვეყნების სუვერენიტეტს. მათი ლაპარაკი ადამიანის უფლებებზე, თავისუფლებასა და დემოკრატიაზე მხოლოდ მათივე, მდიდარი ქვეყნების ინტერესებზეა მორგებული. ისინი თავიანთ სიძლიერეს სუსტი ქვეყნების დაჩაგვრისთვის იყენებენ, პეგემონიას ელტვიან და ძალის პოლიტიკას ატარებენ.

ამ ორ ხედვას შორის ნამდვილი კომპრომისი შეუძლებელია. ორივე სახელმწიფოს ხელისუფალთა უმთავრესი მოვალეობაა, აღკვეთონ ამ სხვადასხვა შეხედულების გამო კონფლიქტური სპირალის ესკალაცია.

უფრო მეტად აქტუალური ჩრდილოეთ კორეის საკითხია, რასაც კარგად ესადაგება ბისმარკის მე-19 საუკუნის აფორიზმი: „საოცარ დროში ვცხოვრობთ – ხანდახან ძლიერი, სინდისის ქენჯნის გამო, უფრო სუსტია, სუსტი კი, უტიფრობის გამო, უფრო ძლიერი“. ჩრდილოეთ კორეა არ იმართება ლეგიტიმურობის არცერთი აღიარებული პრინციპის მიხედვით, თვით მის მიერ გამოცხადებული კომუნისტური პრინციპითაც კი. მისი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია შექმნილი რამდენიმე ატომური ბომბი. მას არ გააჩნია საკმარისი სამხედრო საშუალებები აშშ-სთან ომის საწარმოებლად. მაგრამ ატომურ იარაღს ჩრდილოეთ კორეის ხელში პოლიტიკური გავლენა აქვს, რომელიც სცდება მის სამხედრო მნიშვნელობას. იგი სტიმულია იაპონიისა და სამხრეთ კორეისთვის, თავადაც დაიწყონ ბირთვული პროგრამები ატომური იარაღის შესაქმნელად. იგი ისეთი რისკისკენ უბიძგებს ფხენიანს, რომელიც არანაირად შეესაბამება მის სამხედრო უნარებს: შესაბამისად, იზრდება ომის საშიშროება კორეის ნახევარკუნძულზე.

ჩინეთისთვის ჩრდილოეთ კორეა კომპლექსურ მემკვიდრეობას განასახიერებს. ბევრი ჩინელისთვის კორეის ომი ჩინეთის პრინციპულობის სიმბოლოა, დაემთავრებინა „დამცირების საუკუნე“ და „წარმოჩენილიყო“ მსოფლიო სცენაზე; ამავე დროს, იგი გაფრთხილებაცაა, არ ჩაებას ომში, რომლის მიზეზსაც ჩინეთი ვერ აკონტროლებს და რომელსაც სამომავლოდ არასასურველი და მძიმე შედეგები მოჰყვება. ამიტომ უკავიათ ჩინეთსა და აშშ-ს გაეროს უშიშროების საბჭოში თანაბარი პოზიცია ჩრდილოეთ კორეისგან არა მხოლოდ ატომური პროგრამის შეწყვეტის, არამედ მთლიანად გაუქმების მოთხოვნის საკითხში.

ფხენიანის რეჟიმისთვის ატომურ იარაღზე უარის თქმა სრულიად შესაძლებელია, უკავშირდებოდეს მის პოლიტიკურ დაშლას. მაგრამ სწორედ ატომურ იარაღზე უარის თქმას

მოითხოვენ შეერთებული შტატები და ჩინეთი მათ მიერ მხარდაჭერილი გაეროს რეზოლუციით. ორივე ქვეყანამ უნდა შეათანხმოს თავიანთი პოლიტიკა იმ სავარაუდო სცენარისთვის, რომ აღსრულდება დასახული მიზნები. მოხერხდება კორეის საკითხზე ამ ორი ქვეყნის შეშფოთებისა და მიზნების გაერთიანება? შეძლებენ ჩინეთი და აშშ ატომური იარაღისგან თავისუფალი, გაერთიანებული კორეის კოოპერატიული სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც ყველა მონაწილეს მოუტანს მეტ უსაფრთხოებას და თავისუფლებას? ეს იქნებოდა „დიდ სახელმწიფოებს შორის ახალი ტიპის ურთიერთობაში" გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაზეც ხშირად ლაპარაკობენ, მაგრამ საქმე წინ ვერ მიიწევს.

ჩინეთის ახალი ხელმძღვანელობა მიხვდება, რომ განუჭვრეტელია, როგორი რეაქცია ექნება ჩინეთის მოსახლეობას ამ უზარმაზარ დღის წესრიგზე. იგი უცხო წყლებში დაცურავს. ალბათ არ მოინდომებს საგარეო თავგადასავლებს, მაგრამ უშუალოდ მის უმთავრეს ინტერესებში ჩარევას უფრო კატეგორიულად შეეწინააღმდეგება, ვიდრე მისი წინამორბედი მთავრობა. მიზეზი კი საკმარისია. საბოლოოდ, ხელისუფლებამ უნდა გაამართლოს ეროვნული ინტერესების მოშველიებით ის მტკივნეული ცვლილებები, რომლებსაც აუცილებლად მოიტანს რეფორმები. ნებისმიერი საერთაშორისო წესრიგი, რომელიც აერთიანებს შეერთებულ შტატებსაც და ჩინეთსაც, უნდა გულისხმობდეს ძალთა ბალანსს. ამასთან, ძალთა ბალანსის მიმართ ტრადიციული მიდგომა უნდა განიმუხტოს წესებზე შეთანხმებით და გაძლიერდეს ურთიერთთანამშრომლობით.

ჩინეთის და აშშ-ის ხელისუფალნი ხმამაღლა აღიარებენ, რომ კონსტრუქციული შედეგების მისაღწევად ორივეს უნდა ჰქონდეს მოქმედების თავისუფალი სივრცე. ორი ამერიკელი პრეზიდენტი (ბარაკ ობამა და ჯორჯ ბუში უმცროსი)

შეთანხმდა ჩინელ კოლეგებთან (სი ძინპინი და ჰუ ძინტაო) წყნარი ოკეანის რეგიონში სტრატეგიულ პარტნიორობაზე. ამგვარად, შესაძლებელია მოხერხდეს ძალთა წონასწორობის შენარჩუნება და სამხედრო მუქარის შემცირება, რაც თან ახლავს მსგავს სიტუაციებს. თუმცა განზრახულობათა გაცხადებას ჯერ არ მოჰყოლია კონკრეტული ნაბიჯები შეთანხმებული მიმართულებით.

პარტნიორობა განცხადებებით არ მიიღწევა. ვერცერთი შეთანხმება ვერ მისცემს აშშ-ს განსაკუთრებული საერთაშორისო სტატუსის გარანტიას. თუ აშშ-ს აღიქვამენ დაღმავალ ძალად – არჩევანის საკითხია და არა ბედის – ჩინეთი და სხვა ქვეყნები დაიკავებენ იმ წამყვან პოზიციებს გლობალურ სცენაზე, რომლებიც, მშფოთვარებისა და გარდატეხის შუალედის შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში თითქმის მუდამ ამერიკას ეკავა.

ალბათ ბევრი ჩინელი აღიქვამს შეერთებულ შტატებს სუპერსახელმწიფოდ, რომელმაც თავისი გავლენის კულმინაციურ წერტილს უკვე გადააბიჯა. და მაინც, ჩინეთის ხელისუფლებამ აღიარა, რომ შეერთებული შტატები მომავალში, სავარაუდოდ, შეინარჩუნებს ლიდერობას. კონსტრუქციული მსოფლიო წესრიგის ასაშენებლად გადამწყვეტია, რომ დღეს არცერთ ქვეყანას, არც ჩინეთსა და არც შეერთებულ შტატებს არ შეუძლია მარტომ იკისროს მსოფლიო ლიდერის როლი, როგორც ეს მოახერხა აშშ-მ ცივი ომის დამთავრებისთანავე, მატერიალური და ფსიქოლოგიური უპირატესობის წყალობით.

აღმოსავლეთ აზიაში შეერთებული შტატები, უპირველესად არა დამაბალანსებელი ელემენტი, არამედ წონასწორობის გაუნუყოფელი ნაწილია. წინა თავებში ვაჩვენეთ, როგორი ლაბილური ხდება ძალთა ბალანსი, როცა მოთამაშეთა რაოდენობა მცირეა და ახალი ალიანსის შექმნას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. აღმოსავლეთ აზიის ძალთა ბალანსის მი-

მართ წმინდა მილიტარისტულ მიდგომას ნამდვილად შეუძლია გამოიწვიოს ალიანსების შექმნა, რომლებიც უფრო მოუქნელი იქნება, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი კავშირები.

აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთს, კორეას, იაპონიასა და შეერთებულ შტატებს, ნაწილობრივ რუსეთსა და ვიეტნამს შორისაც არსებობს ურთიერთობები, რომელიც უახლოვდება ძალთა წონასწორობას. მაგრამ იგი ისტორიული წონასწორობისგან იმით განსხვავდება, რომ ერთი მნიშვნელოვანი მონაწილის – აშშ-ის გრავიტაციის ცენტრი აზიის გეოგრაფიული ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს. გარდა ამისა, ორივე ქვეყნის ლიდერები ხაზს უსვამენ, რომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში თანამშრომლობა მათი მნიშვნელოვანი მიზანია, სამხედრო ჟურნალებში და საჯარო გამოსვლებში კი შეიარაღებული ძალები ერთმანეთს მტრად მოიხსენიებენ. ამგვარად, დღეს აშშ იაპონიის მოკავშირე და ამავე დროს ჩინეთის გაცხადებული პარტნიორია. ეს სიტუაცია გვაგონებს, როგორ შექმნა ბისმარკმა ჯერ ალიანსი ავსტრიასთან და როგორ დააბალანსა შემდეგ ეს ალიანსი რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით. პარადოქსია, მაგრამ ორაზროვნებამ მიანიჭა ევროპულ წონასწორობას მოქნილობა. როდესაც ის – გამჭვირვალობის სახელით – დათმეს, დაიწყო კონფლიქტების გამწვავება, რამაც, საბოლოოდ, პირველ მსოფლიო ომამდე მიგვიყვანა.

მთელი საუკუნის განმავლობაში – ღია კარის პოლიტიკის დაწყების და რუსეთ-იაპონიის ომში თეოდორ რუზველტის შუამავლობის შემდეგ – ამერიკის საგარეო პოლიტიკის უცვლელ მიზანს წარმოადგენდა აზიაში ჰეგემონიის აღკვეთა. დღევანდელ მოცემულობაში ჩინეთის პოლიტიკის აუცილებელი კომპონენტია, პოტენციურად დაპირისპირებული ძალები თავისი საზღვრებიდან რაც შეიძლება შორს ეგულებოდეს. ამ

ველზე მოძრაობს ორივე ქვეყანა. მშვიდობის შენარჩუნება დამოკიდებულია მიზნების მიღწევისას გამოვლენილ თავშეკავებასა და მათ უნარზე, მხოლოდ პოლიტიკურ და დიპლომატიურ ველზე გაუწიონ ერთმანეთს კონკურენციაა.

ცივი ომის დროს გავლენის სფეროების საზღვრებს შეიარაღებული ძალები ადგენდნენ. სადღეისოდ საზღვრები ჯარების განლაგებამ არ უნდა დაადგინოს. სამხედრო კომპონენტი არ შეიძლება გახდეს წონასწორობის დაცვის ერთადერთი ან უმნიშვნელოვანესი საშუალება. პარტნიორობის კონცეფციები, პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ, განსაკუთრებით აზიაში, უნდა გახდეს ძალთა თანამედროვე წონასწორობის ელემენტები. ეს იქნებოდა სრულიად ახალი და მნიშვნელოვანი მიდგომა, თუკი მოხერხდება მისი ყოვლისმომცველ პრინციპად ქცევა. ძალთა ბალანსის შენარჩუნების სტრატეგიისა და პარტნიორული დიპლომატის კომბინაცია, რასაკვირველია, ყველა კონფლიქტს ვერ გადაჭრის, მაგრამ შეასუსტებს მათ მოქმედებას. უპირველესად კი, ჩინელ და ამერიკელ ხელისუფალთ მისცემს კონსტრუქციული თანამშრომლობის გამოცდილებას და ორივე ქვეყნის საზოგადოებას აჩვენებს უფრო მშვიდობიანი მომავლის შექმნის გზას.

წესრიგს მუდამ ესაჭიროება შეზღუდვა, სიძლიერესა და ლეგიტიმურობას შორის დახვეწილი ბალანსი. აზიაში მან ძალთა ბალანსი პარტნიორობის კონცეფციას უნდა დაუკავშიროს. წონასწორობის მხოლოდ მილიტარისტული მდგენელი დაპირისპირებას გაამწვავებს. პარტნიორობის მიმართ მხოლოდ ფსიქოლოგიური მიდგომა ჰეგემონიის შიშს გააღვივებს. ბრძენი სახელმწიფო მოღვაწეები უნდა ეცადონ წონასწორობის პოვნას. ეს თუ არ გამოუვათ, უბედურება გვემუქრება.

თავი 7

„კაცობრიობის საკეთილდღეოდ“ შეერთებული შტატები და წესრიგის მისეული კონცეფცია

არცერთ ქვეყანას არ შეუსრულებია უფრო გადამწყვეტი როლი დღევანდელი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში, ვიდრე შეერთებულ შტატებს და არცერთი ქვეყანა არ მონაწილეობს მასში ისე ამბივალენტურად, როგორც შეერთებული შტატები. ამერიკამ, განმსჭვალულმა რწმენით, რომ მისი კურსი განსაზღვრავს კაცობრიობის ბედს, ისტორიის მსვლელობისას, საკმაოდ პარადოქსული როლი ითამაშა მსოფლიო წესრიგის შექმნაში: ის თავისი „აშკარა ბედისწერის“ (“Manifest Destiny”) სახელით გასცდა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს, მაგრამ არ ჰქონია იმპერიალისტური მიზნები; გავლენას ახდენდა უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, მაგრამ ეროვნული ინტერესები არ ამოძრავებდა; გახდა სუპერ-სახელმწიფო, მაგრამ არასოდეს გამოუხატავს ძალისმიერი პოლიტიკის განზრახვა. ამერიკის საგარეო პოლიტიკა ასახავს რწმენას, რომ მისი შიდა პრინციპები თავისთავად უნივერსალურია და მას ყოველთვის სასიკეთო გავლენა ექნება. ამერიკა თავისი საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობის ნამდვილ გამოწვევას

ხედავს არა ტრადიციული გაგებით საგარეო პოლიტიკაში, არამედ იმ ფასეულობების გავრცელებაში, რომლებიც, ყველა ხალხმა სიამოვნებით უნდა გაიზიაროს.

ეს დოქტრინა განსაკუთრებულად ორიგინალური ხედვით იყო მომხიბლავი. მაშინ, როდესაც ძველი მსოფლიო ახალ კონტინენტს თავისი დამპყრობლური პოლიტიკის, სიმდიდრისა და ძალაუფლების მოსახვეჭ ასპარეზად მოიაზრებდა, ამერიკაში იშვა ახალი ერი, რომელიც ირწმუნება, რომ რელიგიური თავისუფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება და თავისუფალი ვაჭრობა მისი ეროვნული ისტორიისა და ხასიათის უმთავრესი თვისებებია.

ევროპაში წესრიგის სისტემა ემყარებოდა მორალური აბსოლუტიზმის მკაფიოდ გამიჯვნას პოლიტიკური მოქმედებისგან – გინდაც ამის ერთადერთი მიზეზი ის ყოფილიყო, რომ ყველა მცდელობა, კონტინენტის უაღრესად განსხვავებული ხალხებისთვის თავზე მოეხვიათ ერთი რწმენა ან ერთი მორალური სისტემა, კატასტროფით მთავრდებოდა. ამერიკაში კი მისიონერული სულისკვეთება განმსჭვალული იყო ეტაბლირებული ინსტიტუციებისა და იერარქიების მიმართ უკიდურესი უნდობლობით. ბრიტანელი ფილოსოფოსი და პარლამენტარი ედმუნდ ბერკი თავის კოლეგებს ხშირად ახსენებდა, რომ კოლონისტებმა „თავისუფლება ინგლისური იდეის შესაბამისად" გაიტანეს საზღვრებს გარეთ. მაგრამ ასევე ჩაიტანეს ამერიკაში თავიანთი ერთმანეთისგან განსხვავებული რელიგიური სექტებიც, რომლებსაც ევროპაში დევნიდნენ („პროტესტანტული რელიგიის პროტესტანტიზმი") და „სხვა არაფერში ემთხვეოდნენ ერთმანეთს", გარდა „თავისუფლების სულისკვეთების გაზიარებაში". ამ ძალებმა, რომლებიც ოკეანის გაღმა ერთმანეთს შეერივნენ, ბერკის მიხედვით, შვეს ერთმნიშვნელოვანი ნაციონალური პერსპექტივა: „ამერიკელების ხასიათის

უმთავრესი ნიშანია თავისუფლების სიყვარული, რომელიც მთელ მის არსს ახასიათებს და განასხვავებს".

ფრანგი არისტოკრატი ალექსის დე ტოკვილი, რომელმაც 1831 წელს შეერთებულ შტატებში იმოგზაურა და ამერიკელი ხალხის სულსა და ხასიათზე დღემდე ყველაზე მახვილგონივრული წიგნი დაწერა, ამერიკულ ხასიათს, როგორც თავად აღნიშნავდა, უკავშირებდა ერთ „ამოსავალ წერტილს". იგი ამბობდა: „ახალ ინგლისში ვაკვირდებით ლოკალური დამოუკიდებლობის დაბადებას და ზრდას, სწორედ ეს არის ამერიკული თავისუფლების წყარო და მამოძრავებელი ძალა"; „პურიტანიზმი მხოლოდ რელიგიური რწმენა არ ყოფილა; იგი მრავალნაირად იზიარებს აბსოლუტურად დემოკრატიულ და რესპუბლიკურ თეორიებს". დე ტოკვილი ასკვნიდა, რომ ეს „არის ... ორი სრულიად განსხვავებული ელემენტის შერწყმის ნაყოფი, სხვაგან რომ ერთმანეთთან დაპირისპირებულად მიიჩნევა; ამერიკაში მიხვდნენ, რომ ისინი ერთმანეთთან უნდა დაეკავშირებინათ და მივიღეთ სასურველი შედეგი. მე ვგულისხმობ *რელიგიისა და თავისუფლების სულისკვეთებას*".

შეერთებული შტატები თავისი გახსნილი კულტურითა და დემოკრატიული ფასეულობებით მილიონობით ადამიანისთვის სანიმუშოა და საიმედო თავშესაფარია. ამავე დროს, რწმენამ, რომ ამერიკული პრინციპები უნივერსალურია, ახალი, პროვოკაციული ელემენტი შეიტანა საერთაშორისო სისტემაში, რადგან იგულისხმება, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც ამ პრინციპებით არ ცხოვრობენ, სრულყოფილად ლეგიტიმურები არ არიან. ეს მიდგომა ამერიკულ აზროვნებაში მართლაც ისე სიღრმისეულია, რომ იშვიათად უსვამენ ხაზს, როგორც ოფიციალურ პოლიტიკურ დოგმას, რაც გულისხმობს, რომ მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ პირობებში ცხოვრობს და ეს დროებითი მდგომარეობა ერთ მშვენიერ დღეს უნდა გამოსწორდეს. მაგრამ

სანამ აქამდე მივსულვართ, ამ „არასრულყოფილი" ქვეყნების ურთიერთობას მსოფლიოს ყველაზე ძლიერ სახელმწიფოსთან, ძალაუნებურად, ახლავს გარკვეული ლატენტური დაძაბულობა.

ეს დაძაბულობა ამერიკის ისტორიას თავიდანვე დაჰყვებოდა. თომას ჯეფერსონისთვის ამერიკა არა მხოლოდ შექმნის პროცესში მყოფი დიდი სახელმწიფო იყო, არამედ „თავისუფლების იმპერია" – მუდმივად მზარდი ძალა, რომელიც კაცობრიობის სახელით იცავდა სახელმწიფოს კარგი მართვის პრინციპებს. ჯეფერსონი თავისი პრეზიდენტობის დროს წერდა:

> ვგრძნობთ, რომ გვაკისრია მოვალეობები, რომლებიც სცდება მხოლოდ ჩვენი საზოგადოების ფარგლებს. შეუძლებელია, ვერ ხედავდნენ, რომ მთელი კაცობრიობისთვის ვიღწვით. გარემოებანი, რომლებიც გვებოძა, მაგრამ სხვებისთვის მიუწვდომელია, გვავალდებულებს დავამტკიცოთ, რა არის თავისუფლების და თვითგამორკვევის ხარისხი, რომელსაც საზოგადოება გაბედავს, რომ თავის ცალკეულ წევრებს მიანიჭოს.

ამ განმარტების მიხედვით, შეერთებული შტატების საზღვრების გაფართოება და მისი ქმედებების წარმატება მუდამ ემთხვეოდა კაცობრიობის ინტერესებს. როდესაც 1803 წელს ქვეყანამ გონივრული გადაწყვეტილებით, ე. წ. „ლუიზიანის გარიგებით" მიწები შეისყიდა და ტერიტორია თითქმის გაიორმაგა, პენსიაზე გასულმა ჯეფერსონმა პრეზიდენტ მონროს წინაშე „დაუფარავად აღიარა": „მე ყოველთვის მივიჩნევდი კუბას ყველაზე საუკეთესო ადგილად, რომელიც შეიძლებოდა ჩვენი შტატების სისტემისთვის მიგვემატებინა". ხოლო ჯეიმზ მედისონს ჯეფერსონი სწერდა: „ჩვენ მხოლოდ ჩრდილოეთიღა (კანადა) უნდა მივამატოთ ჩვენს კონფედერა-

ციას და შევქმნით თავისუფლების იმპერიას, რომლის მსგავსი სამყაროს დასაბამიდან არავის უნახავს: და დარწმუნებული ვარ, ჩვენი კონსტიტუციასავით არცერთი სხვა კონსტიტუცია არ დამუშავებულა ასე კარგად; იგი იდეალურია ჩვენი გაფართოებული იმპერიისა და მისი თვითმმართველობისთვის". მაგრამ იმპერია, რომელიც ჯეფერსონსა და მის კოლეგებს წარმოედგინათ, მათი აზრით, განსხვავდებოდა ევროპის სამეფოებისგან, რადგან ეს უკანასკნელნი უცხო სახელმწიფოთა დაპყრობა-დამორჩილებას ეფუძნებოდნენ. ჯეფერსონის იმპერია, ძირითადად, ჩრდილო-ამერიკული იყო და მეტ თავისუფლებას გულისხმობდა. (და მართლაც: რაც არ უნდა ითქვას ამ პროექტის არათანმიმდევრულობაზე ან მის დამფუძნებელთა პიროვნულ თვისებებზე, შეერთებული შტატების გაფართოებით, დემოკრატიის სივრცეც ფართოვდებოდა; დემოკრატიული მოძრაობები კი მეორე ნახევარსფეროშიც დაიწყო და შემდეგ მთელ დედამიწას მოედო.)

მიუხედავად ამგვარი ამბიციებისა, ამერიკის ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები და მისი უზარმაზარი რესურსი ამყარებდა შეხედულებას, რომ საგარეო პოლიტიკა მხოლოდ არასავალდებულო აქტივობაა. ორ უზარმაზარ ოკეანეს შორის უსაფრთხოდ მდებარე შეერთებულ შტატებს ჰქონდა იმის ფუფუნება, საგარეო პოლიტიკა განეხილა როგორც მცირე, ეპიზოდური პრობლემების თანმიმდევრობა და არა როგორც ერთი დიდი და მუდმივი ამოცანა. ამ თვალსაზრისით, დიპლომატია და ძალის გამოვლინება აქტივობის მკაფიოდ განსხვავებულ სტადიებს წარმოადგენდა და ორივე მისდევდა თავის საკუთარ, დამოუკიდებელ წესებს. ამ შემთხვევაში, უნივერსალური წვდომის დოქტრინა შეერწყა სხვა ქვეყნების მიმართ ამბივალენტურ დამოკიდებულებას – იმ ქვეყნების მიმართ, ვინც ძალაუნებურად შეერთებულ შტატებზე უარეს მდგომარეობაში იყვნენ და, ასე ვთქვათ, სხვა გზა არ გააჩნდათ, გარდა იმისა,

მუდმივად ეწარმოებინათ საგარეო პოლიტიკა ნაციონალური ინტერესებისა და ძალთა ბალანსის მისაღწევად.

ეს მყარად ჩამოყალიბებული მიდგომები მაშინაც არ შეცვლილა, როცა შეერთებული შტატები მე-19 საუკუნის განმავლობაში თანდათან ყალიბდებოდა დიდ სახელმწიფოდ. მე-20 საუკუნეში შეერთებული შტატები სამი თაობის დროს, სამჯერ – ორ მსოფლიო ომსა და ცივ ომში – გადაჭრით ჩაერთო საერთაშორისო წესრიგის დასაცავად, მტრული და ფატალური საფრთხეები რომ აცილებულიყო. ამერიკამ სამჯერ მოახერხა ვესტფალიის სისტემისა და ძალთა წონასწორობის შენარჩუნება. მაგრამ ამასთან, შეერთებული შტატები სწორედ ამ სისტემას და მის ინსტიტუციებს აკისრებდა მტრობის გაღვივების გამო პასუხისმგებლობას და დაჟინებით იმეორებდა, რომ სრულიად ახალი სამყაროს აშენება განეზრახა. ამ პერიოდის უმეტეს ნაწილში ამერიკის სტრატეგიის ფარულ მიზანს წარმოადგენდა დასავლეთ ნახევარსფეროს იქით მსოფლიოს ისე შეცვლა, რომ აღარ დასჭირვებოდა სტრატეგიული მოთამაშის ქმედება.

რადგან ამერიკა ევროპელების მიერ სულ უფრო მკაფიოდ აღიქმებოდა როგორც სახელმწიფო, გარდაუვალი გახდა ტრადიციული აზროვნების გადახედვა. ამერიკის ათვისება და იქ დასახლება ადამიანებს პერსპექტივებს უხსნიდა და მათ მსოფლიო წესრიგის ფუნდამენტურად ახლებურ გზას სთავაზობდა. ადრე დასახლებულთა თვალში, ორივე ამერიკა უმჯობესი იყო, ვიდრე დასავლეთის ცივილიზაცია, რომლის შიდა ერთობას ბზარი შეჰპარვოდა. ახალი მსოფლიო ნიშნავდა ახალ ასპარეზს, რომელზეც შეიძლებოდა სამართლიანი მსოფლიო წესრიგი განმტკიცებულიყო. ამერიკაში ევროპიდან იმიტომ არ გაქცეულან, რომ აღარ აღიარებდნენ მის ცენტრალურ მნიშვნელობას, მეტწილად, გადასახლების მსურველებს მიაჩნდათ, რომ ძველი კონტინენტი მოწოდებას ვეღარ პა-

სუხობდა. რელიგიურმა კონფლიქტებმა და სისხლიანმა ომებმა ვესტფალიური მშვიდობიდან ევროპა საბოლოოდ სავალალო შედეგამდე მიიყვანა – ძველ მსოფლიოში ერთადერთი ღვთიური მმართველობის ქვეშ გაერთიანებული კონტინენტის იდეალი მიუწვდომელი იყო. ამის შესაძლებლობა ახლა შორეულ სანაპიროზე, ახალ მსოფლიოში გამოიკვეთა. სანამ ევროპა შეეგუებოდა, რომ უსაფრთხოება მხოლოდ ძალთა წონასწორობით მიიღწევა, ამერიკელები (როგორადაც ისინი უკვე აღიქვამდნენ თავს) მიეცნენ ერთობასა და ისეთ სახელმწიფოზე ოცნებას, რომელიც მათ ხსნას შეძლებდა. ამდენად, ადრინდელი პურიტანლები უკვე აცხადებდნენ, რომ ახალ კონტინენტზე უბინო ცხოვრების შესაძლებლობის გამოცდას აპირებდნენ; ამაში ხედავდნენ ერთადერთ გზას, ის ქვეყნებიც შეეცვალათ, საიდანაც თავად გამოიქცნენ. ჯონ ვინთროპი, პურიტანელი ადვოკატი აღმოსავლეთ ინგლისიდან, რომელიც რელიგიურ ჩაგვრას გაექცა, 1630 წელს ახალი ინგლისისკენ მიმავალი „არაბელას" გემბანზე იდგა და ქადაგებდა. მან განაცხადა, რომ ღმერთმა ინება, ამერიკა გახდეს „მაგალითი ყველა ადამიანისთვის":

> ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ ისრაელის ღმერთი ჩვენ შორის არის, როცა ათი ჩვენთაგანი შეძლებს გაუმკლავდეს ათას მტერს; როცა ღმერთი, ჩვენდა სასახელოდ, შეგვაძლებინებს, გვიან ჩამოსულებმა ინატრონ: „ღმერთმა იგივე ინებოს, რაც ახალ ინგლისში ხდება". უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვიქნებით ქალაქი მთაზე. ყველას მზერა ჩვენკენ იქნება მოპყრობილი".

აღარავინ ეჭვობდა, რომ ამერიკაში, რაღაც გზით, გაცხადდებოდა და აღსრულდებოდა ჰუმანურობა და მისი მიზნები.

ამერიკა მსოფლიო ასპარეზზე

როდესაც შეერთებულმა შტატებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თავი ძალაუფლების ახალ სახეობად მიიჩნია. დამოუკიდებლობის დეკლარაციაში აღიწერა მისი პრინციპები და აღინიშნა, „რომ ანგარიში უნდა გასწეოდა კაცობრიობის აზრს", რითიც „კაცობრიობა" დასახელდა დეკლარაციის ადრესატად. "Federalist Papers"-ის 1787 წელს გამოქვეყნებულ შესავალ ესეში ალექსანდერ ჰამილტონი ახალ რესპუბლიკას ახასიათებდა როგორც „იმპერიას, რომელიც მრავალმხრივაა მსოფლიოში ყველაზე საინტერესო", ხოლო მისი წარმატება ან მარცხი თვითმმართველობის ქმედითუნარიანობის დადასტურება იქნება ყველა სხვა ქვეყანაშიც. ეს მოსაზრება არ გამოთქმულა, როგორც რაღაც პრინციპულად ახალი, არამედ გამეორებულ იქნა, როგორც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომელიც უკვე ბევრჯერ „იყო დადასტურებული" – მით უფრო აღსანიშნავია, რომ შეერთებული შტატები მაშინ მხოლოდ აღმოსავლეთ სანაპიროს მოიცავდა, მეინიდან ჯორჯიამდე.

ამ დოქტრინულ მტკიცებათა მიუხედავად, დამფუძნებელი მამები განათლებული ადამიანები იყვნენ, მათ კარგად უწყოდნენ ევროპულ ძალთა ბალანსი და იგი ახალი ქვეყნისთვის სასიკეთოდ გამოიყენეს. დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ომში მათ ალიანსი შექმნეს ფრანგებთან, შემდეგ ალიანსი დაშალეს, როგორც კი საფრანგეთი რევოლუციაში გადაეშვა და ევროპული ჯვაროსნული მსვლელობა მოაწყო, რისი უშუალო ინტერესიც შეერთებულ შტატებს არ გააჩნდა. პრეზიდენტმა ვაშინგტონმა, 1796 წელს, გამოსამშვიდობებელ სიტყვაში, – საფრანგეთის რევოლუციური ომების შუაგულ პერიოდში, – გამოთქვა მოსაზრება, რომ „ჩვენთვის სწორი პოლიტიკაა, უცხოეთის რომელიმე ნაწილთან ხანგრძლივი ალიანსისგან თავი შევიკავოთ" და, სამაგიე-

როდ, „განსაკუთრებულ შემთხვევებში ხანმოკლე ალიანსები დამყარდეს". მან ამ სიტყვებით გონივრულად განჭვრიტა, როგორ შეეძლო ამერიკას ხელსაყრელი მდებარეობის სასიკეთოდ გამოყენება. შეერთებული შტატებისთვის – უსაფრთხო ოკეანეებს შორის მზარდ ძალას – არც აუცილებელი საჭიროება ჰქონდა და არც რესურსები გააჩნდა ევროპის დაპირისპირებებსა და ძალთა ბალანსის საქმეებში ჩასარევად. ჯორჯ ვაშინგტონი არ შეერთებია საერთაშორისო ალიანსებს რომელიმე კონკრეტული საერთაშორისო წესრიგის კონცეფციის დასაცავად, არამედ მხოლოდ მაშინ უკავშირდებოდა მათ, როცა ეს საკუთრივ, მკაცრად ჩამოყალიბებულ ეროვნულ ინტერესს ემსახურებოდა. სანამ ევროპული ძალთა ბალანსი მუშაობდა, ამერიკისთვის უფრო სასარგებლო იყო მოქმედების თავისუფლების შენარჩუნება და ქვეყნის შიგნით წესრიგის კონსოლიდირება. ძირითადად, ამ კურსს მისდევდნენ საუკუნე-ნახევრის შემდეგ დამოუკიდებლობამოპოვებული ადრინდელი კოლონიური ქვეყნები (მაგალითად, ინდოეთი).

დიდ ბრიტანეთთან 1812 წლის უკანასკნელი, ხანმოკლე ომის შემდეგ ამერიკის პოლიტიკას თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში განსაზღვრავდა ეს სტრატეგია და მან შეაძლებინა შეერთებულ შტატებს მიეღწია იმისთვის, რაზედაც ვერცერთი სხვა ქვეყანა ვერც კი იოცნებებდა: ის მხოლოდ საკუთარი შინაგანი ძალით ჩამოყალიბდა დიდ სახელმწიფოდ და კონტინენტური მასშტაბის ერად, რომლის საგარეო პოლიტიკა, კონცენტრირებული მხოლოდ პასიურ მიზნებზე, შეძლებისდაგვარად შორს იდგა უცხოეთის მოვლენებისგან.

მაგრამ შეერთებული შტატები მალევე შეუდგა თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების მაქსიმალურად გავრცელებას ორივე ამერიკულ კონტინენტზე. ყველაზე ძლიერ საზღვაო ძალასთან – დიდ ბრიტანეთთან უსიტყვო შეთანხმებამ შეერთებულ შტატებს მისცა უფლება მონროს 1823 წლის დოქტრინის

მიხედვით, მთელი დასავლეთ ნახევარსფერო გამოეცხადებინა დახურულ ზონად, ნებისმიერი კოლონიური მცდელობისთვის. და ეს გააკეთა ათწლეულებით იმაზე ადრე, ვიდრე თეორიული შანსი მაინც გაჩნდებოდა ამ ყოვლისმომცველი პრეტენზიის რეალურად განსახორციელებელად. ქვეყნის შიგნით მონროს დოქტრინა დამოუკიდებლობის ბრძოლის გაგრძელებად განიმარტებოდა; მას დასავლეთის ნახევარსფერო ევროპული ძალთა წონასწორობის გავლენებისგან უნდა დაეცვა. თუმცა, არცერთი ლათინურამერიკული ქვეყნისთვის არ უკითხავთ აზრი (ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ იმ დროისთვის მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო არსებობდა). და როდესაც ამერიკელი ერის საზღვრები სულ უფრო მიიწევდა დასავლეთისკენ და ჩრდილოამერიკული ხმელეთისკენ, ამერიკის გაფართოებას მოსახლეობა ნელ-ნელა ბუნების კანონად აღიქვამდა. შეერთებული შტატები, პრაქტიკულად, იმას აკეთებდა, რასაც სხვაგან იმპერიალიზმი დაერქმეოდა, მაგრამ ამერიკელები ამ მოვლენას სხვა სახელს უწოდებდნენ, კერძოდ, "Manifest Destiny"-ს – „ერის მკაფიო მისიას, გაფართოვდეს და მოიცვას მთელი კონტინენტი, რადგან განგებამ ჩვენ დიდი ექსპერიმენტი გვანდო – თავისუფლების დამკვიდრება მილიონობით შემოერთებული ხალხისთვის". საფრანგეთისგან 1803 წელს ლუიზიანის ტერიტორიის გამოსყიდვა განიხილებოდა როგორც ჩვეულებრივი ტრანსაქცია, მექსიკის დიდი ნაწილების ანექსია – როგორც გარდაუვალი შედეგი ამ მისიისა. მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს, 1898 წელს ჩაერთო შეერთებული შტატები ოკეანის გაღმელ დიდ უცხო სახელმწიფოსთან სრულმასშტაბიან მტრულ დაპირისპირებაში – ესპანურ-ამერიკულ ომში.

მთელს მე-19 საუკუნეში შეერთებულ შტატებს გაუმართლა – რიგრიგობით შეძლო გამკლავებოდა ყველა გამოწვევას და ხშირად საბოლოოდ გადაეჭრა კიდეც პრობლემები. ესენი

იყო: წყნარ ოკეანეზე გასვლა და ჩრდილოეთსა და სამხრეთში საზღვრების ხელსაყრელად გავლება; ერთიანობის შენარჩუნება სამოქალაქო ომში; ესპანეთის კოლონიალიზმის წინაშე ძალის დემონსტრირება და შემდგომ მისი კუთვნილი ტერიტორიების დაკავება – ყველა ეს მოვლენა ცალკეული ღონისძიების სახით ჩატარდა. თითეული მათგანის მოგვარების შემდეგ ამერიკელები უბრუნდებოდნენ თავიანთ ძირითად ამოცანას – კეთილდღეობის სრულყოფას და დემოკრატიული სისტემის დახვეწას. ამერიკის ისტორია ადასტურებდა ვარაუდს, რომ მშვიდობა ოდითგანვე ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და რომ იგი მხოლოდ სხვა ქვეყნების დაუდევრობით ან ბოროტი განზრახვით ირღვევა. სახელმწიფოს მართვის ევროპული ხელოვნება, გამოხატული ალიანსების მუდმივი ცვალებადობით, და ომსა და მშვიდობას შორის არსებულ სპექტრში მოქნილი მანევრებით, ამერიკელების აზროვნებას ჯანსაღი გონებიდან პერვერსულ გადახვევად უნდა მოსჩვენებოდა. მათი შეხედულებით, ძველი მსოფლიოს საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო წესრიგის მთელი სისტემა, სხვა არაფერი იყო, თუ არა შედეგი დესპოტური ახირებებისა ან არისტოკრატული შეთქმულებებისა და მიჩუმათობის ბოროტი მიდრეკილებისა. ამერიკას ასეთი რამეები არ უნდოდა, მას სურდა კოლონიური ინტერესები უკუეგდო, თავი შორს დაეჭირა ევროპელების საერთაშორისო წესრიგის სისტემისგან და სხვა ქვეყნებთან თავისი ურთიერთობები, სამართლიანი მოპყრობისა და ერთმანეთის ინტერესების აღიარების საფუძველზე აეწყო.

ჯონ ქუინსი ადამსმა 1821 წელს ეს განწყობა დაუფარავად შეაფასა, თუ როგორ ეძლეოდა სასოწარკვეთას, სხვა ქვეყნები თავიანთ მზაკვრულ კურსს ჯიუტად რომ ვერ ელეოდნენ:

> ამერიკამ, ხალხთა თანამეგობრობაში მიღებისთანავე, მათ მტკიცე, გულწრფელი მეგობრობისა და ურთიერთ-

> პატივისცემის ხელი გაუწოდა. იგი ყველას თავისუფლების და სამართლიანობის თანაბარი უფლებით ელაპარაკა, მაგრამ ამგვარ მოწოდებას და კეთილ ზრახვებს ბევრჯერ შეაგებეს უყურადღებობა და ქედმაღლობა. ამერიკამ, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, უკლებლივ აღიარა სხვა ერების დამოუკიდებლობა, საკუთარი კი გააძლიერა და შეინარჩუნა. იგი ყოველთვის თავს იკავებდა სხვების საქმეში ჩარეულიყო, მაშინაც კი, როცა საქმე იმ პრინციპებს ეხებოდა, რომელთაც ის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე განუხრელად იცავდა.

რადგან ამერიკა „თავისუფლებას ესწრაფვის და არა ჰეგემონიას", ამტკიცებდა ადამსი, უნდა განერიდოს ევროპის კინკლაობაში ნებისმიერი სახით ჩართვას. ამერიკამ ბრძნული და დისტანცირებული პოზიცია უნდა შეინარჩუნოს და კვლავაც უპირველესად მიიჩნიოს თავისუფლება და ადამიანის ღირსების დაცვა, ამასთან, შორიდან უნდა გამოხატავდეს სამართლიან დასაბუთებულ თანაგრძნობას. ადამსი, მართალია, ამერიკის პრინციპების უნივერსალურობის პრეტენზიას იცავდა, თუმცა არ ეთანხმებოდა დასავლეთის ნახევარსფეროს (ნაგულისხმევია ამერიკული ნახევარსფერო) მიღმა მათ გატარებას:

> ამერიკა უცხოეთში არ ეძებს უჩხულს, რომელიც უნდა დაამარცხოს. იგი ყველას უსურვებს მშვიდობასა და თავისუფლებას. მაგრამ ამ ფასეულობათა დასამკვიდრებლად ამერიკა მხოლოდ თავის შიგნით იბრძვის.

დასავლეთის ნახევარსფეროში კი ამერიკა შეუპოვრად მიიწევდა წინ. ჯერ კიდევ 1792 წელს ამტკიცებდა ჯედიდია მორსი, მასაჩუსეტსელი სასულიერო პირი და გეოგრაფი, რომ შეერთებული შტატები ისტორიის აპოგეას განასახიერებს იმის

მიუხედავად, რომ ათი წელიც არ გასულა, რაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და მისი კონსტიტუცია ჯერ მხოლოდ ოთხი წლისაა. ეს ახალი ქვეყანა, წინასწარმეტყველებდა მორსი, კიდევ უფრო გაფართოვდება დასავლეთით, მთელ ამერიკაზე გაავრცელებს თავისუფლების მისეულ პრინციპებს და იქცევა ადამიანური ცივილიზაციის გვირგვინად:

> გარდა ამისა, იმპერია, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიიწევს. სავარაუდოდ, საბოლოო ნაბიჯით სრულყოფს თავის განზრახვას... ჩვენ შეგვიძლია სიხარულით დაველოდოთ არცთუ შორეულ დროს, როცა **ამერიკული იმპერია** მისისიპის დასავლეთით მილიონობით ადამიანს ჩაიკრავს გულში.

მაგრამ ამერიკა დაბეჯითებით ცდილობდა, არ მიმართულიყო, ტრადიციული გაგებით, ტერიტორიულ ექსპანსიაზე, შესაბამისად, თავისუფლების პრინციპის გავრცელება ღმერთისგან მინიჭებულ მისიად მიაჩნდა. როდესაც შეერთებული შტატების შემსწავლელმა ოფიციალურმა ექსპედიციამ (United States Exploring Expedition) 1839 წელს დასავლეთის ნახევარსფეროს და სამხრეთ პაციფიკის ყველაზე შორეული ტერიტორიებიც გამოიკვლია, ჟურნალმა United States Magazine and Democratic Review გამოაქვეყნა სტატია, სადაც შეერთებული შტატები მოიხსენიებოდა „მომავლის ყველაზე დიდ ერად" – ისტორიაში მანამდე მომხდარისგან განყენებულად და ყველაზე უპირატესად:

> ამერიკელი ხალხი, რომელიც წარმომავლობით ბევრი სხვა ერის ნაზავია და ეროვნული დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელიც მთლიანად ეყრდნობა თანასწორობის მაღალ იდეალებს, ფაქტობრივად გამოხატავს ჩვენს პოზიციას, გამორჩეულს ყველა სხვა ერისაგან:

> რომ მცირედი გვაკავშირებს ყველა სხვა ერის წარსულთან და კიდევ უფრო ნაკლები – ყველაფერ გარდასულთან, იქნება ეს მათი სახელ-დიდება თუ დანაშაული. ჩვენი ერის დაბადება, პირიქით, ახალი ისტორიის დასაწყისია.

შეერთებული შტატების წარმატება – დარწმუნებით აღნიშნავდა ავტორი, – მეტ-ნაკლებადაა დავალებული სხვათა ისტორიულ გამოცდილებაზე და მომავლის დემოკრატიული ეპოქის დასაბამს წარმოადგენს. დიადი, თავისუფალი ერი, ღმერთის მიერ კურთხეული და ყველა სხვა სახელმწიფოზე აღმატებული, თავის პრინციპებს მთელ დასავლეთ ნახევარსფეროში გაავრცელებს – ეს არის ძალა, რომელიც განგებამ ამოირჩია, თავისი ზნეობრივი მიზნისთვის გახდეს უფრო დიადი, ვიდრე სხვა ნებისმიერი კაცობრიული მონაპოვარი:

> ჩვენ ვართ პროგრესისთვის რჩეული ერი და ვინ ან რამ შეიძლება დააბრკოლოს ჩვენი ნინსვლა? განგება ჩვენთან არის, მიწიერ ძალთაგან კი ეს არავის ხელეწიფება.

ამ თვალთახედვითაც, შეერთებული შტატები ჩვეულებრივი ქვეყანა კი არ იყო, არამედ ღვთიური მისიის აღმსრულებელი და მსოფლიო წესრიგის მეწინავე.

1845 წელს, როდესაც ამერიკა დასავლეთისკენ ექსპანსიის ფარგლებში ორეგონის ტერიტორიის გამო დაუპირისპირდა დიდ ბრიტანეთს, ხოლო ტეხასის რესპუბლიკის გამო – მექსიკას (ტეხასი გამოეყო მექსიკას და გამოაცხადა შეერთებულ შტატებთან მიერთება), ჟურნალი United States Magazine and Democratic Review მივიდა დასკვნამდე, რომ ტეხასის ანექსია მხოლოდ თავისუფლების მტრებისგან თავდაცვას წარმოადგენდა. ავტორი შემდეგ არგუმენტებს იშველიებდა: „კალიფორნია ალბათ შემდეგი იქნება, ვინც მექსიკას გამოეყოფა“,

მერე კი, ალბათ, მოსალოდნელია ამერიკელები შეიჭრნენ ჩრდილოეთში, კანადაში. ჟურნალი წერდა, რომ კონტინენტური სიძლიერის წყალობით, საბოლოოდ, ამერიკა ისეთ მწვერვალს მისწვდა, რომ ევროპულ ძალთა წონასწორობა მნიშვნელობას დაკარგავს. ჟურნალის სტატიის ავტორმა მართლაც ინინასწარმეტყველა დრო, რომელიც ას წელიწადში დადგებოდა. რადგან ამერიკა 1945 წელსაც კი უფრო ძლიერი იქნებოდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელი ევროპა რომ დაპირისპირებოდა:

> თავიანთი საბრძოლო ტექნიკა და რესურსები სრულადაც რომ მოაქუჩონ სასწორის ერთ მხარეს, მარტო საფრანგეთისა და ინგლისის კი არა, არამედ მთელი ევროპის, როგორ უნდა გადაიხაროს სასწორი ორასორმოცდაათი თუ სამასი მილიონის – ამერიკული მილიონის – წინააღმდეგ, რომლის მისიაც არის გაერთიანდნენ ვარსკვლავებიანი დროშის ქვეშ ქრისტეშობიდან 1845 წელს, რომელიც სადაცაა იწურება.

და ასეც მოხდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კანადასთან საზღვრის მშვიდობიან დადგენას და რომ ინგლისი 1945 წელს მტრული ევროპის ნაწილი კი არ იყო, არამედ მოკავშირე). ეს ხედვა გადაჭარბებულად ჟღერს, მაგრამ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. მან გადალახა ძველი მსოფლიოს მკაცრი დოქტრინები და შექმნა მისი საპირწონე; ხედვა, რომელიც გახდა მთელი ერის ინსპირაცია – თუმცა სხვაგან სრული გულგრილობით შეხვდნენ, ზოგან კი გაოგნება გამოიწვია, რამაც გავლენა მოახდინა ისტორიის მსვლელობაზე.

მაგრამ შემდეგ შეერთებულ შტატებს ტოტალური ომი ელოდა – გამოცდილება, რომელიც ევროპამ ნახევარი საუკუნის შემდეგ მიიღო – ეს იყო ამერიკული სამოქალაქო ომი. იმდენი რამე წყდებოდა ამ ომში, რომ როგორც ჩრდილოეთის, ისე

სამხრეთის შტატებმა დაივიწყეს ნახევრსფეროს იზოლაციის პრინციპი და საფრანგეთი და ინგლისი ჩაითრიეს თავიანთ დაპირისპირებაში. ამერიკელებმა თავიანთი კონფლიქტი განმარტეს როგორც განსაკუთრებული შემთხვევა, ყოვლისმომცველი ზნეობრივი მნიშვნელობით. გაბატონდა შეხედულება, რომ ომი უნდა ყოფილიყო დაჩქარებული მოვლენა, რომელიც აუცილებლად გამართლდებოდა, როგორც „დედამიწაზე საუკეთესო იმედთაგან უკანასკნელი". შეერთებულმა შტატებმა ომის მიმდინარეობისას მსოფლიოში ყველაზე დიდი და ძლიერი არმია ჩამოაყალიბა და ტოტალური ომი აწარმოა; ომის დამთავრებიდან წელიწად-ნახევრის განმავლობაში კი ჯარი თითქმის მთლიანად დაშალა და შეიარაღებული ძალების რაოდენობა ერთი მილიონი ჯარისკაციდან დაახლოებით 65 ათასამდე შეამცირა. 1890 წლისთვის ამერიკის არმია მსოფლიოში მხოლოდ მე-14 ადგილს იკავებდა, თვით ბულგარეთიც კი მასზე წინ იდგა, ხოლო ამერიკის საზღვაო ძალები იტალიისაზე მცირე იყო, მაშინ, როცა იტალიის ეკონომიკა ამერიკის ეკონომიკის ერთ მეცამეტედსაც კი ვერ აღწევდა. ჯერ კიდევ 1885 წელს, საინაუგურაციო სიტყვაში, პრეზიდენტმა გროვერ კლივლენდმა განაცხადა, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკას ახასიათებს დისტანცირებული ნეიტრალურობა და სრულიად განსხვავდება ძველი, ნაკლებად განათლებული სახელმწიფოების მიერ გატარებული პოლიტიკისგან, რომელიც მუდამ საკუთარი ინტერესების კარნახს ემორჩილება. იგი უკუაგდებდა

> ნებისმიერ გადახვევას საგარეო პოლიტიკიდან, რომელსაც გვკარნახობს ჩვენი რესპუბლიკის ისტორია, ტრადიციები და კეთილდღეობა; ეს არის დამოუკიდებლობის პოლიტიკა, რომელსაც ხელს უწყობს ჩვენი მდებარეობა, რომელსაც იცავს ჩვენი სიყვარული სამართლიანობის მიმართ და რომელსაც იფარავს ჩვენი ძალაუფლება.

ეს არის მშვიდობის პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ჩვენს ინტერესებს. ეს არის ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რომელიც უარყოფს და კრძალავს ნებისმიერ მონაწილეობას უცხო ქვეყნებისა თუ სხვა კონტინენტების მისწრაფებებში.

ერთი ათწლეულის შემდეგ ამერიკის როლი მსოფლიოში შეიცვალა: ტონი გამძაფრდა და ძალაუფლების შესახებ განსჯა მნიშვნელოვანი გახდა. ვენესუელასა და ბრიტანულ გაიანას შორის სასაზღვრო დავაში ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რიჩარდ ოლნიმ, დიდი ბრიტანეთი – მაშინ ჯერ კიდევ მსოფლიო მნიშვნელობის ძალა – გააფრთხილა დასავლეთ ნახევარსფეროში არათანაბარი სამხედრო ძალების არსებობის შესახებ: „დღეს შეერთებული შტატები ამ კონტინენტზე პრაქტიკულად სუვერენული სახელმწიფოა და მისი ნება კანონია". „ამერიკის უსაზღვრო რესურსები და მისი იზოლირებული გეოგრაფიული მდებარეობა მას სიტუაციის ბატონ-პატრონის როლს ანიჭებს და მიუწვდომელს ხდის ყველა სხვა ძალისთვის".

ამასობაში ამერიკა უკვე მძლავრ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა და აღარ იყო დაარსების ფაზაში მყოფი რესპუბლიკა, მსოფლიო წესრიგის განაპირას. პოლიტიკურად აღარ იზღუდავდა თავს ნეიტრალურობით; ვალდებულებად მიიჩნევდა დიდი ხნის წინ გაცხადებული უნივერსალური სამართლიანობისთვის მეტი მნიშვნელობა და გეოგრაფიული გავლენა შეეძინა. როდესაც იმავე წელს, ცოტა მოგვიანებით, კუბელი ქვეშევრდომები აუჯანყდნენ ესპანეთის კოლონიურ სამეფოს, შეერთებული შტატები დილემის წინაშე აღმოჩნდა. მას არ სურდა, უმოქმედოდ ედევნებინა თვალი, როგორ ჩაახშობდნენ მის წინკარში ანტიიმპერიალისტურ აჯანყებას, თუმცა, ამ დამოკიდებულებაში უკვე გამოსჭვიოდა რწმენაც, რომ

შეერთებულ შტატებს დაუდგა საკუთარი უნარისა და ნების გამოვლენის და დიდი სახელმწიფოს შესაფერისად ქმედების დრო – ეპოქაში, როცა ევროპული ერების მნიშვნელობა უპირველესად მათი კოლონიური მფლობელობის სიდიდით განისაზღვრებოდა. როდესაც 1898 წელს ამერიკული სამხედრო გემი USS Maine ჰავანის პორტში გაურკვეველ გარემოებაში აფეთქდა, ფართო საზოგადოებრიობამ მოითხოვა სამხედრო ჩარევა. შედეგად, პრეზიდენტმა მაკკინლიმ ესპანეთს ომი გამოუცხადა – ეს იყო შეერთებული შტატების პირველი სამხედრო კონფლიქტი სხვა დიდ სახელმწიფოსთან.

მაშინ მხოლოდ თითო-ოროლა ამერიკელი თუ წარმოიდგენდა, როგორ შეიცვლებოდა მსოფლიო წესრიგი ამ „მშვენიერი პატარა ომის" შემდეგ, როგორც მას უწოდა ამერიკის ელჩმა ლონდონში ჯონ ჰეიმ თეოდორ რუზველიტისადმი მიწერილ წერილში. (რუზველტი მაშინ ქალაქ ნიუ იორკში მცხოვრები ახალგაზრდა, პერსპექტიული პოლიტიკური რეფორმატორი იყო). სულ რაღაც სამთვენახევარიანი სამხედრო დაპირისპირების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა ესპანეთის კოლონიური სამეფო კარიბის ზღვიდან განდევნა, დაიკავა კუბა და მოახდინა პუერტო რიკოს, ჰავაის, გუამის და ფილიპინების ანექსია. პრეზიდენტი მაკკინლი ამ ქმედების გასამართლებლად ტრადიციულ ღირებულებებს ისე იმოწმებდა, რომ უხერხულობისგან ძარღვიც არ შესტოკებია – ომმა, რომელმაც ამერიკას ორ ოკეანეზე მოუპოვა სიძლიერე, წარმოაჩინა მისი როგორც რჩეული ქვეყნის უანგარო მისია. „ამერიკული დროშა არ აღმართულა უცხოურ მიწაზე ტერიტორიების მოსაპოვებლად, იგი აღიმართა კაცობრიობის საკეთილდღეოდ", განაცხადა და იგივე სიტყვები დააწერინა საარჩევნო პლაკატებზე პრეზიდენტმა, რომელიც 1900 წელს მეორე ვადით არჩევისთვის იბრძოდა.

ესპანეთ-ამერიკის ომი არის დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკასა და კონფლიქტებში ამერიკის ჩართვის ნიშნული, რასაც ის მანამდე ამრეზით უყურებდა. ამერიკა უკვე ინტერკონტინენტულ დონეზე იყო წარმოდგენილი, რადგან მოიცავდა კარიბის ზღვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპირომდე გადაჭიმურ ტერიტორიას. თავისი სიდიდის, მდებარეობისა და რესურსების გამო, შეერთებული შტატები მაშინვე იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გლობალურ მოთამაშედ. ამავდროულად, მომავალში, ყველა უკვე აღიარებული ძალა ზედმიწევნით ყურადღებით დააკვირდებოდა, გადაამოწმებდა და ხანდახან დაუპირისპირდებოდა კიდეც ამერიკის ქმედებებს, მით უმტეს, რომ ეს ძალები უკვე ისედაც დავობდნენ ტერიტორიებსა და საზღვაო გზებზე, სადაც ამიერიდან ამერიკაც გამოხატავდა თავის ინტერესს.

თეოდორ რუზველტი: ამერიკა როგორც მსოფლიო ძალა

პირველი, ვინც სისტემატურად განიხილავდა მსოფლიო წესრიგში ამერიკის გავლენასა და ამის შედეგებს, იყო თეოდორ რუზველტი – პრეზიდენტი 1901 წელს მოკლული წინამორბედის, მაკკინლის შემდეგ. რუზველტის დანინაურება ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე თავბრუდამხვევი სისწრაფით მოხდა. იგი უმკაცრესი, უაღრესად განსწავლული და პატივმოყვარე, ზედმიწევნით კოსმოპოლიტი იყო, ფერმის მუშასავით შეეძლო ელაპარაკა და უფრო გაქნილი იყო, ვიდრე მისი თანამედროვენი წარმოიდგენდნენ. რუზველტი შეერთებულ შტატებს უყურებდა, როგორც პოტენციურად ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც, ხელსაყრელი პოლიტიკური, გეოგრაფიული თუ კულტურული მიღწევებით, მსოფლიოში

დიდ როლს ითამაშებდა. რუზველტის საგარეო პოლიტიკური კონცეფცია მაშინდელი ამერიკისთვის უპრეცედენტო იყო, რადგან, ძირითადად, გეოპოლიტიკურ უპირატესობას ეფუძნებოდა. მისი თვალსაზრისით, ამერიკას მე-20 საუკუნის განმავლობაში თავის თავზე უნდა აეღო იმ როლის უფრო გლობალური ვერსია, რომელსაც ფლობდა დიდი ბრიტანეთი მე-19 საუკუნის ევროპაში: უნდა შეენარჩუნებინა მშვიდობა ძალთა წონასწორობის დაცვით, არ უნდა შეეწყვიტა ევრაზიის სანაპიროებთან ტივტივი და ყველა იმ ძალასთან დაეცვა ბალანსი, რომელიც სტრატეგიულ რეგიონში დომინირებას დააპირებდა. საინაუგურაციო სიტყვაში 1905 წელს მან განაცხადა:

> წილად გვხვდა ახალ კონტინენტზე ჩვენი ეროვნული ცხოვრების საძირკვლის ჩაყრა... ბევრი მოგვეცა და სამართლიანად ელიან ჩვენგან მეტს. ვალდებულნი ვართ სხვებისა და საკუთარი თავის წინაშეც, პასუხისმგებლობას არ გავექცეთ. ჩვენ დიდი ერი გავხდით, თუმცა ეს შესაძლებლობა დედამიწის სხვა ერებთან ურთიერთობისას გვავალდებულებს ისე მოვიქცეთ, როგორც ასეთი პასუხისმგებლობის მქონე ხალხს შეეფერება.

რუზველტს განათლება ნაწილობრივ ევროპაში ჰქონდა მიღებული და კარგად იცნობდა ძველი მსოფლიოს ისტორიას (ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაწერა წიგნი 1812 წლის ომის სამხედრო-საზღვაო კომპონენტის შესახებ). მას ძველი მსოფლიოს ელიტურ წრეებთან საუკეთესო ურთიერთობა აკავშირებდა, იცნობდა სტრატეგიის ტრადიციულ პრინციპებს და ძალთა ბალანსის კონცეფციას. რუზველტი იზიარებდა თავისი თანამემამულეების შეფასებას ამერიკის განსაკუთრებულობის შესახებ. თუმცა, დარწმუნებული იყო, რომ შეერთებულ შტატებს, თუ თავისი მისიის აღსრულებას მოინდომებდა, მოუწევდა გასვლა მსოფლიოს ასპარეზზე, სადაც მოვლენების

მიმდინარეობას არა მხოლოდ პრინციპები განსაზღვრავდა, არამედ ძალაც.

რუზველტის შეხედულებით, საერთაშორისო სისტემა მუდმივ ცვალებადობას განიცდიდა. პატივმოყვარეობა, საკუთარი ინტერესები და ომი არა უბრალოდ სულელური და მცდარი წარმოდგენების შედეგი იყო, – რომელიც ამერიკელებს უნდა მოეშლევინებინათ ტრადიციული მმართველებისთვის – ეს იყო ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა და, ამიტომ, საერთაშორისო საქმეებში აშშ-სგან პრინციპულ ძალისხმევას მოითხოვდა. რუზველტი საერთაშორისო თანამეგობრობას ადარებდა საზღვრისპირა დასახლებას, სადაც სახელმწიფოებრივ წესრიგს არ აღიარებდნენ:

> ახალ და ველურ დასახლებებში, სადაც ძალადობა სუფევს, პატიოსანმა კაცმა თავი თვითონ უნდა დაიცვას, სანამ არ გამოგონილა სხვა საშუალებები მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სიგიჟეც იქნებოდა და ბოროტებაც იქ მცხოვრებთა დარწმუნება, რომ დაყარონ იარაღი, სანამ არ დაუყრიათ იარაღი მათ, ვინც ამ დასახლებას საფრთხეს უქმნის.

ეს არსებითად ჰობსისეული ანალიზი რუზველტმა მშვიდობის ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვაში გაახმაურა. ეს გამოსვლა არის ათვლის წერტილი, რომლიდანაც აშშ დაემშვიდობა წარმოდგენას, რომ ნეიტრალურობა და პაციფისტური ზრახვები საკმარისია მშვიდობის შესანარჩუნებლად. რუზველტი დაბეჯითებით განმარტავდა: თუ რომელიმე ერს არ ძალუძს ან არ სურს, აქტიურად შეეცადოს დაიცვას საკუთარი ინტერესები, ნურც მოლოდინი ექნება, რომ მის ინტერესებს სხვა ერები პატივისცემით მოეკიდებიან.

რუზველტი ვერ ეგუებოდა პიეტისტურ პოზიციებს, რომლებიც გაბატონებული იყო ამერიკის საგარეო პოლიტიკურ

აზროვნებაში. საერთაშორისო სამართლის ცოტა ხნის წინანდელი გაფართოება ვერ იქნებოდა ეფექტური, თუ მას ზურგს არ გაუმაგრებდა ძალა, – ასკვნიდა იგი, – ხოლო განიარაღება, რაც უკვე ქცეულიყო საერთაშორისო თემად, ილუზიად მიაჩნდა:

> ამჯერად არ არის მოსალოდნელი, რაიმე სახის საერთაშორისო ძალაუფლება დამყარდეს... რომელიც მცდარ ქმედებებს ეფექტურად გაუმკლავდება; ხოლო ამ პირობებში უგუნურება და ბოროტება იქნებოდა, თუ დიდი და თავისუფალი ერი თავად იტყოდა უარს ძალაუფლებაზე, რომელიც იცავს მის უფლებებს და, გამონაკლის შემთხვევებში, სხვების უფლებებსაც კი. იმაზე მეტად ვერაფერი წაახალისებს უთანასწორობას... ვიდრე თავისუფალი და განათლებული ხალხების მიერ... ძალაუფლებაზე შეგნებულად ნათქვამი უარი, მაშინ, როცა დესპოტები და ბარბაროსები შეიარაღებას ინარჩუნებენ.

რუზველტს სწამდა, რომ ლიბერალური საზოგადოებები არასათანადოდ აფასებდნენ ურთიერთსაპირისპირო მოვლენებს და საერთაშორისო ურთიერთობების კონფლიქტებს. ბრიტანელი დიპლომატის, სესილ სპრინგ რაისისადმი წერილში რუზველტი ეთანხმება უკეთ ადაპტირებულის გადარჩენის დარვინისეული გაგებას:

> სამწუხარო ფაქტია, რომ ყველაზე ჰუმანური ქვეყნები, რომელთაც უაღრესად აინტერესებთ საერთაშორისო საქმეების გაუმჯობესება, სულ უფრო და უფრო სუსტდებიან იმ ქვეყნებთან შედარებით, ნაკლებად ალტრუისტული ცივილიზაციით რომ გამოირჩევიან.
>
> მძულს და უარვყოფ ყველანაირ ფსევდო-ჰუმანიზმს, რომელიც ისე აღიქვამს ცივილიზაციის პროგრესს, თით-

ქოს ეს აუცილებლად და სამართლიანად გულისხმობდეს საბრძოლო სულისკვეთების დასუსტებას. ამიტომაც ნადგურდება პროგრესული ცივილიზაცია ნაკლებად პროგრესული ძალის მიერ.

თუ ამერიკა უარყოფდა სტრატეგიულ ინტერესებს, ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ მსოფლიოს გადაჯგეგავდნენ აგრესიული ძალები და საბოლოოდ, ამერიკული კეთილდღეობის საძირკველსაც შეარყევდნენ. ამიტომ გვესაჭიროება „დიდი საბრძოლო ფლოტი, რომელიც უბრალო ლაინერებით კი არ იქნება შევსებული, არამედ ძლიერი საბრძოლო გემებით, რომლებიც გაეჯიბრებიან ნებისმიერი სხვა ერის გემებს". და უნდა არსებობდეს მათი გამოყენების მკაფიოდ გამოხატული ნებაც.

რუზველტს მიაჩნდა, რომ ეროვნული ინტერესების სამსახურში საგარეო პოლიტიკა ამერიკული პოლიტიკის მოცემულობებზე მორგების, ძალთა გლობალური თანაფარდობისგან ფარულად, მკვეთრი სწრაფვის ხელოვნება იყო. შეერთებულ შტატებს იგი ჭვრეტდა როგორც ეკონომიკურად აღმავალ ქვეყანას, ერთადერთ სახელმწიფოს, რომელსაც რეგიონული მეტოქეები არ ემუქრებოდნენ და რომელიც ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდა როგორც ატლანტიკურ, ასევე პაციფიკურ ძალას. რუზველტის აზრით, ეს იყო განსაკუთრებულ ვითარებაში მყოფი ქვეყანა, „რომელმაც სასურველი ხელსაყრელი მდგომარეობა უნდა გამოიყენოს, რათა მონაწილეობა მიიღოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ოკეანეთის ბედის ფორმირებაში". ამერიკა დასავლეთ ნახევარსფეროს გარეშეთაგან იცავს და საჭიროების შემთხვევაში ყველა სხვა სტრეტეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში ჩაერევა ძალთა წონასწორობის შესანარჩუნებლად. ამგვარად, ამერიკა იქნება გლობალური ბალანსის მთავარი მცველი, შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობის დარაჯიც.

ეს გასაოცრად ამბიციური ხედვა იყო ქვეყნისთვის, რომელიც ამ მომენტამდე თვითიზოლაციას თავის ყველაზე ხელსაყრელ მახასიათებლად მიიჩნევდა და, შესაბამისად, საზღვაო ძალები მხოლოდ სანაპირო დაცვისთვის შექმნა. მაგრამ მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური მიღწევების წყალობით, რუზველტმა, მართალია დროებით, მაგრამ მაინც შეძლო შეერთებული შტატების საგარეო როლს ახალი შინაარსი მიენიჭებოდა. ორივე ამერიკის შემთხვევაში, იგი გასცდა მონროს აღიარებულ დოქტრინასაც, რომელიც დასავლეთ ნახევარსფეროში უცხოური ინტერვენციების აღკვეთას გულისხმობდა. რუზველტი ახლა შეერთებულ შტატებს აკისრებდა დასავლეთ ნახევარსფეროში არა მხოლოდ კოლონიური მცდელობების მოგერიების მოვალეობას – იგი ომით მუქარასაც არ მოერიდა ვენესუელაში გერმანიის შეჭრის თავიდან ასაცილებლად – არამედ მათ ჩანასახშივე აღკვეთას. ამგვარად გაცხადდა „რუზველტის დანართი" – მონროს დოქტრინის გავრცობა. შესაბამისად, შეერთებულ შტატებს ენიჭებოდა უფლება, პრევენციული მიზნით ჩარეულიყო დასავლეთის ნახევარსფეროს სხვა ერების შიდა საქმეებში, რათა აღეკვეთა „მცდარი ქმედება ან უუნარობა". რუზველტი ამ პრინციპებს შემდეგნაირად აღწერდა:

> ამ ქვეყანას ისე არაფერი ესაჭიროება, როგორც მეზობლობა სტაბილურობით, წესრიგითა და კეთილდღეობით გამორჩეულ ქვეყნებთან. ყოველ მათგანს, ვინც ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, შეუძლია დაიმედდეს შეერთებულ შტატებთან გულწრფელი მეგობრობით. თუ რომელიმე ერი გამოავლენს სოციალური და პოლიტიკური საკითხების გონივრული, ენერგიული და სამართლიანი გზით გადაჭრის ცოდნას, თუ ის შეინარჩუნებს წესრიგს და გადაიხდის ვალებს, მაშინ შეუძლია

> ირწმუნოს – შეერთებული შტატები მის საქმეებში არ ჩაერევა. მუდმივმა უსამართლობამ ან უუნარობამ, რომელიც იწვევს ცივილიზებული საზოგადოების კავშირების მოშლას, შესაძლოა, საბოლოოდ, ამერიკაშიც და სხვაგანაც გამოიწვიოს რომელიმე ცივილიზებული ერის ინტერვენცია. შესაბამისად, ქაოსისა და მოსალოდნელი ხიფათის ასაცილებლად, მისი ნების საწინააღმდეგოდ, შესაძლოა საერთაშორისო პოლიციური ძალაც იქნეს გამოყენებული.

როგორც მონროს თავდაპირველ დოქტრინაში, ახლაც არცერთ ლათინურამერიკულ ქვეყანასთან არ ჩატარებულა კონსულტაციები. „რუზველტის დანართი", საბოლოოდ, გულისხმობდა შეერთებული შტატებს მიერ დასავლეთ ნახევარსფეროში უსაფრთხოების ქოლგის აღმართვას. ამ მომენტიდან ვერცერთ უცხოურ ძალას თვითნებურად ვერ უნდა გაეტარებინა თავისი მიზნები ან მოთხოვნები ამერიკის ვერცერთ ნაწილში. უცხოური ძალა იძულებული უნდა გამხდარიყო, თავისი გეგმები გაეზიარებინა შეერთებული შტატებისთვის, რომელმაც დასავლეთ ნახევარსფეროში წესრიგის შენარჩუნების ვალდებულება თავად იკისრა.

ამ ამბიციურ პროექტს პანამის არხის მშენებლობამ, პირდაპირი გაგებით, გაუმყარა საძირკველი. არხი შეერთებულ შტატებს აძლევდა საშუალებას, საზღვაო ძალები დაუბრკოლებლად გადაესროლა წყნარ ოკეანეში. მას აღარ დასჭირდებოდა, ჰორნის კონცხის გავლით, მთელი სამხრეთ ამერიკის შემოვლა. 1904 წელს არხის მშენებლობა დაიწყო ამერიკული დაფინანსებით, ამერიკელი ინჟინრების მონაწილეობით, ტერიტორიაზე, რომელიც შეერთებული შტატების მიერ მხარდაჭერილი ადგილობრივი მეამბოხეების გამოყენებით გამოეყო კოლუმბიას. ახალშექმნილმა სახელმწიფომ ამერიკელებს პანამის

არხის ზონაში იურისდიქცია გრძელვადიანი ხელშეკრულებით გადასცა. არხი 1914 წელს გაიხსნა ოფიციალურად და მას მსოფლიო ვაჭრობა უნდა განევითარებინა, ამავდროულად კი შეერთებულ შტატებს, რეგიონში სამხედრო კონფლიქტის გაღვივების შემთხვევაში, გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებდა. (იურისდიქციის საფუძველზე, შეერთებულ შტატებს შეეძლო ნებისმიერი უცხოური სამხედრო გემისთვის განეცხადებინა უარი პანამის არხის გადაკვეთის უფლებაზე.) ნახევარსფეროს უსაფრთხოება მსოფლიოში ამერიკის როლის ცენტრალურ წერტილად უნდა ქცეულიყო – იგი ემყარებოდა ეროვნული ინტერესების დემონსტრირებას კუნთების ძალის ჩვენებით.

სანამ დიდი ბრიტანეთი ზღვაზე ჰეგემონიას ფლობდა, სწორედ ის გახლდათ ევროპის წონასწორობის გარანტი. რუსეთ-იაპონიის ომში (1904-1905) რუზველტმა აჩვენა, როგორ აპირებდა თავისი დიპლომატიური კონცეფციის გავრცობას აზიის წონასწორობაზე და, თუ საჭირო გახდებოდა, გლობალურ დონეზეც. რუზველტისათვის მთავარი იყო წყნარი ოკეანის რეგიონში ძალთა ბალანსი და არა რუსეთის ცარისტული, ავტოკრატიული რეჟიმის ხარვეზების აღმოფხვრა (საამისო ილუზიებს არ აპყოლია). რუსეთი დაუბრკოლებლად მიიწევდა აღმოსავლეთისკენ (მანჯურიასა და კორეაში), ხოლო რუზველტი ამ მოვლენას უყურებდა როგორც ექსპანსიას ქვეყნისა, რომელიც „აღმოსავლეთში ატარებს ჩვენს საწინააღმდეგო პოლიტიკას და თან, აშკარად უკიდეგანო ფარისევლობაზეა დამყარებული" – იგი ვნებს ამერიკის ინტერესებს. ამიტომაც იმთავითვე მიესალმა იაპონიის სამხედრო წარმატებას. როდესაც რუსეთის ფლოტი, რომელსაც მანამდე მთელი მსოფლიო შემოევლო, ცუსიმის ბრძოლაში, ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საზღვაო შეტაკებისას, სრულიად განადგურდა, რუზველტის კომენტარი ასეთი იყო: „იაპონია ჩვენს თამაშს თამაშობს". მაგრამ როდესაც იაპონელებმა შემდეგი

გამარჯვებები მოიპოვეს და აზიაში რუსეთის კუთვნილ ტერიტორიებს გადაუარეს, რუზველტმა აზრი შეიცვალა. მართალია, აღფრთოვანებული იყო იაპონიის მიღწევებით, მაგრამ ალბათ, სწორედ ამიტომაც, იაპონიის გაფართოებულ იმპერიაში ხედავდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის პოზიციების პოტენციურ საფრთხეს და დაასკვნა, რომ იაპონიას, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს „ჰავაის კუნძულებზეც კი გასჩენოდა პრეტენზია".

რუზველტი, კაცმა რომ თქვას, რუსეთის მხარდამჭერი იყო, მაგრამ შორეული აზიის ამ კონფლიქტში შუამავლის მისია იკისრა, რამაც ამერიკის, როგორც აზიური ძალის როლი გააძლიერა. 1905 წელს დადებული პორტსმუთის ხელშეკრულება იყო რუზველტის ძალთა ბალანსზე დამყარებული დიპლომატიის სრულყოფილების გამოხატულება. ხელშეკრულება ზღუდავდა იაპონიის ექსპანსიურ მისწრაფებებს, თავიდან იცილებდა რუსეთის კოლაფსს და საბოლოო ჯამში იწვევდა შედეგს, რომლითაც, როგორც რუზველტმა აღნიშნა, რუსეთი „მიაღწევდა იაპონიის დონეს და შემდეგ ისინი, ერთმანეთის პირისპირ დარჩენილები, ერთმანეთს დააბალანსებდნენ". შუამავლობისთვის რუზველტს მშვიდობის ნობელის პრემია მიენიჭა – ის იყო პირველი ამერიკელი, ვისაც ეს ჯილდო მიაკუთვნეს.

რუზველტის შეხედულებით, ამ წარმატებამ მშვიდობის სტატიკური მდგომარეობა კი არ გამოიწვია, არამედ იგი გახდა დასაბამი ამერიკის ახალი მისიისა, რომელიც გულისხმობდა აზია-პაციფიკის რეგიონში წონასწორობის დამყარებას. როდესაც რუზველტს იაპონიის „ომის პარტიის" თაობაზე საშიში ინფორმაცია მიუვიდა, ამ დაჯგუფებას მაშინვე აჩვენა ამერიკის ძლევამოსილება, ოღონდ მეტად დახვეწილად: მან მშვიდობიანი გაზრახვის ნიშნად, თეთრად შეღებილი თექვსმეტი საომარი გემი გაგზავნა „დედამიწის შესწავლის მიზნით გა-

დასაცურად". „დიდი თეთრი ფლოტი" უცხოურ ნავსადგურებში უნდა შესულიყო მეგობრული ვიზიტით, მაგრამ თან უნდა ეჩვენებინა, რომ შეერთებულ შტატებს უკვე შეეძლო თავისი უზარმაზარი საზღვაო ძალის მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში გამოყენება. როგორც რუზველტი სწერდა თავის ვაჟიშვილს, ძალის დემონსტრირების მიზანს წარმოადგენდა იაპონიის აგრესიული დაჯგუფებების გაფრთხილება და ამერიკის ძალის დემონსტრირებით მშვიდობის შენარჩუნება. „მართალია, არ მჯერა, რომ იაპონიასთან ომი მოგვიწევს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ომის საფრთხე დიდია და უაღრესად მნიშვნელოვანია თავდაცვა – ისეთი საზღვაო ძალების აშენება, როგორიც იაპონიას წარმატების ყველა იმედს გაუფანტავს".

იაპონიას შთამბეჭდავად დაანახეს ამერიკის საზღვაო ძალა, მაგრამ მას თან დახვეწილად უნდა მოპყრობოდნენ. რუზველტმა ფლოტის ადმირალს დაჟინებით მოსთხოვა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ოდნავადაც არ შეხებოდა თავმოყვარეობას ქვეყნისა, რომლისთვისაც ჭკუის სწავლება განეზრახა:

> მინდა ხაზგასმით გირჩიოთ, თუმცა, რჩევა ალბათ ზედმეტიცაა, ყურადღება მიაქციოთ, რომ ჩვენებმა იაპონიაში ყოფნისას უკადრისი არაფერი ჩაიდინონ. ტოკიოში ან რომელიმე სხვა ნავსადგურში რომ იქნებით, იმ მეზღვაურებს მიეცით ხმელეთზე გადასვლის უფლება, რომლებსაც ბოლომდე ენდობით. არავინ არ უნდა მიიტანოს ჩვენზე მცირედი ეჭვიც კი, რომ უსირცხვილოდ ან უხეშად ვიქცევით... თუკი გემის დაკარგვის საშიშროების წინაშე არ აღმოჩნდებით, მირჩევნია, შეურაცხყოფა მოგვაყენონ, ვიდრე ჩვენ მივაყენოთ ვინმეს შეურაცხყოფა.

რუზველტის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი გამოთქმა რომ დავიმოწმოთ, „ილაპარაკე ჩუმად და ზრდილობიანად, მაგრამ მუდამ თან გქონდეს დიდი კეტი".

ატლანტიკაში რუზველტი ყველაზე მეტად უფრთხოდა გერმანიის ძალაუფლებისა და მისწრაფებების ზრდას, განსაკუთრებით, გერმანიის მიერ დიდი სამხედრო ფლოტის შენების პროგრამას. თუ ბრიტანეთის ჰეგემონია ზღვებზე სათუო აღმოჩნდებოდა, ბრიტანელები ვეღარ შეძლებდნენ ევროპული წონასწორობის უზრუნველყოფას. რუზველტი მიხვდა, რომ გერმანია მალე დაწინაურდებოდა და თავის მეზობლებს დასჯაბნიდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, უკვე პენსიაზე მყოფმა რუზველტმა, ამერიკას მოუწოდა, გაეზარდა შეიარაღების ბიუჯეტი, სამწევრიან ანტანტას – დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და რუსეთს მიერთებოდა და ომში ჩართულიყო, რათა აღეკვეთა საშიშროების გავრცელება დასავლეთ ნახევარსფეროზე. 1914 წელს იგი გერმანიის მიმართ სიმპათიით განწყობილ ერთ ამერიკელს სწერდა:

> როგორ ფიქრობთ, გერმანია ამ ომს თუ მოიგებს, ინგლისის ფლოტს გაანადგურებს და ბრიტანეთის იმპერიას დაანგრევს, ერთ-ორ წელიწადში სამხრეთ ამერიკაშიც არ მოინდომებს ჰეგემონიის მოპოვებას?.. მე ასე მჯერა. მეტიც, დარწმუნებული ვარ. რადგან გერმანელები, რომლებთანაც მისაუბრია, ისე გულწრფელად იზიარებენ ამ შეხედულებას, ყოველ შემთხვევაში, კერძო საუბრებში მაინც, რომ ცინიზმს აღარაფერი უკლიათ.

ერთმანეთთან მოპაექრე დიდი სახელმწიფოების მისწრაფებები, საბოლოოდ, მსოფლიო წესრიგს ჩამოაყალიბებსო, ფიქრობდა რუზველტი. ჰუმანური ღირებულებები უკეთ იქნებოდა დაცული, თუ ლიბერალური ქვეყნები, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, წარმატებით განახორციელებდნენ თავიანთ

ინტერესებს და მკაცრი ღონისძიებების გატარებისასაც შეინარჩუნებდნენ სანდოობას. საერთაშორისო პაექრობაში უპირატესობა უფრო ფართოდ გამოიკვეთებოდა და გაამყარებდა ცივილიზაციას, მის სასიკეთო ეფექტს.

რუზველტი სკეპტიკურად უყურებდა აბსტრაქტულ საერთაშორისო მოწოდებებს კეთილი ნების გამოსავლენად. იგი დარწმუნებული იყო, რომ არაფრის მომტანი და ხანდახან საზიანოც კია, როცა ამერიკა ხმამაღალ, პრინციპულ განცხადებებს აკეთებს და, ამ დროს, მოწინააღმდეგეს აქტიურად ვერ უპირისპირდება. „ჩვენი სიტყვები ჩვენივე ქმედებით უნდა შეფასდეს". როდესაც ინდუსტრიის წარმომადგენელმა, ენდრიუ კარნეგიმ რუზველტს მოსთხოვა, შეერთებულმა შტატებმა მეტი უნდა გააკეთოს განიარაღებისა და საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებების დასაცავად, რუზველტმა პასუხად ისეთი პრინციპები დაუსახელა, რომელსაც ალბათ თვით ჩანაკიაც კი დაეთანხმებოდა:

> ჩვენ არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძლიერი, თავისუფალი ხალხებისთვის შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს, გულხელდაკრეფილნი თუ დააკვირდებიან, როგორ იარაღდებიან დესპოტები და ბარბაროსები. ასე უდარდელად მხოლოდ მაშინ შეგიძლია მოიქცე, როდესაც იარსებებს რაიმე სახის საერთაშორისო პოლიციური სისტემა; მაგრამ ამჟამად მსგავსი არაფერი არსებობს... არავითარ შემთხვევაში არ გავბედავ ბლეფს, თუ შესაბამისი მოქმედება არ შემიძლია, არ ვიმეტებ და არ დავემუქრები სხვას, თუ მუქარის შესრულებას ვერ შევძლებ, როცა საქმე საქმეზე მიდგება და სიტყვებს მოქმედება უნდა მოჰყვეს.

რუზველტის მემკვიდრე მისი რომელიმე მოსწავლე რომ გამხდარიყო, ან 1912 წელს არჩევნები თავად რომ მოეგო, შე-

საძლებელია, ამერიკა მსოფლიო წესრიგის ვესტფალიის სისტემის ნაწილი გაეხადა, ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ადაპტირებული ვერსიის მაინც. ასე რომ მომხდარიყო, ამერიკა, დიდი ალბათობით, პირველი მსოფლიო ომის სასწრაფოდ დამთავრებას მოითხოვდა, რაც შესაბამისობაში იქნებოდა ევროპულ ძალთა ბალანსთან, დაახლოებით ისე, როგორც ეს შესულია რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულების ძირითად პოსტულატებში. მართალია, გერმანია დამარცხებული იქნებოდა, მაგრამ ამერიკის წინაშე ვალდებულებას იგრძნობდა მისი თავშეკავების გამო და, გარდა ამისა, საკმარისად ძლიერი ძალებით იქნებოდა გარშემორტყმული, რომ მომავალში ველარ გაებედა ახალი თავგადასავლები. ეს მიზანი მანამ რომ აღსრულებულიყო, სანამ სისხლისღვრა ნიჰილისტურ განზომილებას მიაღწევდა, ისტორიის სვლა სხვაგვარი იქნებოდა. ევროპული კულტურისა და პოლიტიკური თვითრწმენის განადგურება თავიდან იქნებოდა აცილებული.

მაგრამ რუზველტი გარდაიცვალა როგორც პატივსაცემი სახელმწიფო მოღვაწე და ბუნების დამცველი, რომელსაც არ დაუმკვიდრებია საგარეო პოლიტიკური კურსი. მას არ ჰყოლია ღირსეული მემკვიდრე, არც საგარეო პოლიტიკის სამეცნიერო ანალიზის დარგში და არც პრეზიდენტის პოსტზე. რუზველტმა 1912 არჩევნები ვერ მოიგო, რადგან კონსერვატორების ხმების გაყოფა მოუწია მოქმედ პრეზიდენტთან, უილიამ ჰოვარდ ტაფტთან.

ალბათ გარდაუვალი იყო, რომ თავისი მემკვიდრეობის გადასარჩენად, მესამე ვადით არჩევნებში მონაწილეობამ რუზველტს, ამავდროულად, ამ მემკვიდრეობის გადარჩენის ყველა შანსი მოუსპო. ტრადიცია მნიშვნელოვანია, რადგან იგი ადამიანებს შეახსენებს, რომ არსებობს წარსული და ყველა მოქმედება არ არის ნებადართული. საზოგადოებას, რეალუ-

რად, წესად დამკვიდრებული განვითარების ტრაექტორიიდან მხოლოდ ოდნავ შეუძლია გადახვევა. ჭეშმარიტად დიდი სახელმწიფო მოღვაწეები ამ სივრცის უკიდურეს საზღვრებს ეთამაშებიან. თუ მის საზღვრებს ვერ შეჰბედავენ, საზოგადოება ჩიხში ექცევა. თუ ამ საზღვრებს გადალახავენ, კარგავენ მომავლის ფორმირების უნარს. თეოდორ რუზველტი თავისი საზოგადოების უნარის აბსოლუტურად უკიდურეს საზღვრებს ეხლებოდა. ის რომ არ ყოფილიყო, ამერიკის საგარეო პოლიტიკა ისევ დაუბრუნდებოდა მთაზე მდებარე მანათობელი ქალაქის ხედვას – რაც ნიშნავდა გეოგრაფიული ბალანსის სისტემიდან განდგომას და მით უმეტეს არა დომინანტურობას. მიუხედავად ამისა, პარადოქსია, მაგრამ ამერიკა მაინც იმ მთავარ როლს თამაშობდა, რომელიც რუზველტს წარმოედგინა თავისი ქვეყნისთვის – მისი სიცოცხლის დროსაც კი. მაგრამ ეს ხდებოდა რუზველტისთვის მიუღებელი პრინციპების და იმ პრეზიდენტით სახელით, რომელსაც რუზველტი პატივს არ სცემდა.

ვუდრო უილსონი: ამერიკა როგორც მსოფლიოს სინდისი

ვუდრო უილსონმა 1912 წელს საპრეზიდენტო არჩევნები მხოლოდ ხმათა 42%-ით მოიგო – აკადემიური სამყაროდან ეროვნულ პოლიტიკაში გადასვლიდან მხოლოდ ორი წლის თავზე. უილსონი პრეზიდენტის რანგში შეუდგა ამერიკის მიერ საკუთარი მიზნებისთვის ჩამოყალიბებული ხედვის გარდაქმნას მასშტაბურ პროგრამად, რომელიც მთელ მსოფლიოზე უნდა გავრცელებულიყო. მსოფლიო კი, ამასობაში, ხან ინსპირაციის წყაროდ ხედავდა ამერიკის ძალასა და ვიზიონარულ სიდიდეს,

ხან კი გაუცხოებით რეაგირებდა, თუმცა, ძალაუნებურად, მუდამ უწევდა ანგარიშს ამერიკას.

პირველმა მსოფლიო ომმა დასაბამი მისცა პროცესს, რომელმაც, საბოლოოდ, დაანგრია ევროპის სახელმწიფოთა სისტემა. ამერიკის შესვლა ამ კონფლიქტში რუზველტის გეოპოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე არ მომხდარა, არამედ განხორციელდა მორალის უნივერსალური განაცხადის დროშის ქვეშ, რომელიც ევროპაში სამი საუკუნის წინანდელი რელიგიური ომების შემდეგ აღარავის აუფრიალებია. ამერიკის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ ახალ უნივერსალურობას მსოფლიო მასშტაბით უნდა დაემკვიდრებინა სახელმწიფო სისტემა, რომელიც მანამდე მხოლოდ ჩრდილოატლანტიკურ ქვეყნებში არსებობდა, უილსონის სასურველი ფორმით კი, მხოლოდ შეერთებულ შტატებში. უილსონი განმსჭვალული იყო ამერიკის ისტორიული და ზნეობრივი მისიის პასუხისმგებლობით და განაცხადა, რომ ამერიკა არ ჩარეულა მსოფლიო ომში ევროპულ ძალთა წონასწორობის აღსადგენად, არამედ „მსოფლიოს დემოკრატიის გადასარჩენად". სხვა სიტყვებით: მსოფლიო წესრიგი უნდა დაფუძნებოდა პოლიტიკურ ინსტიტუციებს, რომლებიც შეესაბამებოდა ამერიკულ მოდელს. ეს კონცეფცია ეწინააღმდეგებოდა მოწინავე ევროპელ სახელმწიფო მოღვაწეთა განმტკიცებულ თვალსაზრისს, თუმცა მაინც დაეთანხმნენ, ამერიკის ომში ჩართვის სანაცვლოდ.

უილსონმა, მშვიდობის მისეული ხედვით, უარყო ძალთა წონასწორობის კონცეფცია, რომლის შესანარჩუნებლადაც მისმა ახალმა მოკავშირეებმა ომი წამოიწყეს. მან ასევე უარყო დამკვიდრებული დიპლომატიური მეთოდები (მათ „საიდუმლო დიპლომატიას" უწოდებდა საქილიკოდ), როგორც კონფლიქტის მთავარი მიზეზი. სამაგიეროდ, რამდენიმე საპროგრამო გამოსვლაში წარადგინა საერთაშორისო მშვიდობის ახალი კონცეფცია, რომელიც ემყარებოდა ამერიკის ტრადიციული,

ფუნდამენტური შეხედულებების და მათი მთელ მსოფლიოში გავრცელებისკენ პრინციპული სწრაფვის ნაზავს. და დღემდე, სწორედ ეს არის, მცირედი ვარიაციებით, მსოფლიო წესრიგის ამერიკული კონცეფცია.

როგორც მანამდე ბევრი ამერიკელი ლიდერი, უილსონიც ეთანხმებოდა შეხედულებას, რომ შეერთებული შტატები, ღმერთის ხელდასმით, სრულიად ახალი ტიპის ერად ჩამოყალიბდა. 1916 წელს ვესტ პოინტის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა წინაშე უილსონმა განაცხადა: „თითქოს განგებამ შემოინახა ერთი კონტინენტი და ელოდებოდა, როდის დასახლდებოდა იქ მშვიდობისმოყვარე ხალხი, რომელსაც თავისუფლება და ადამიანის უფლებები ყველაფერზე უფრო მეტად ეყვარებოდა და დააარსებდა უანგარო საზოგადოებას".

პრეზიდენტ უილსონის თითქმის ყველა წინამორბედი მოაწერდა ხელს ამ შეხედულებას. უილსონი მათგან მაინც გამოირჩეოდა, რადგან სწამდა – ამ შეხედულებაზე დამყარებული მსოფლიო წესრიგის შექმნა ერთი თაობის სიცოცხლის პერიოდში იყო შესაძლებელი, ის კი არა, პრეზიდენტობის ერთ ვადაშიც კი. ჯონ ქუინსი ადამსი ხოტბას ასხამდა ამერიკის განსაკუთრებულ ერთგულებას თვითმმართველობისა და სამართლიანი საერთაშორისო ქმედებისადმი, მაგრამ თანამემამულეებს ურჩევდა, ეს კარგი თვისებები დასავლეთ ნახევარსფეროს მიღმა, სხვა ძალებთან არ გამოეყენებინათ, რადგან მათ არ გააჩნდათ პასუხისმგებლობის მსგავსი გრძნობა. უილსონი კი უფრო მეტად ისწრაფვოდა მკაფიო მიზნის სრულყოფისათვის. კონგრესის წინაშე გამოსვლისას აღნიშნა, რომ „დიდი ომი არის კულმინაცია და საბოლოო ბრძოლა ადამიანის თავისუფლებისათვის".

როდესაც უილსონი პრეზიდენტის ფიცს დებდა, საერთაშორისო საქმეებში ამერიკის ნეიტრალიტეტის შენარჩუნება ეწადა. მისი წარმოდგენით, ამერიკას მიუკერძოებელი შუა-

მავლის როლი უნდა ეთამაშა და საერთაშორისო არბიტრაჟის სისტემა განევითარებინა მსოფლიოში ომების თავიდან ასაცილებლად. ამიტომაც, 1913 წელს, როდესაც პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, საფუძველი ჩაუყარა „ახალ დიპლომატიას" და თავის საგარეო საქმეთა მინისტრს, უილიამ ჯენინგს ბრაიანს დაავალა საერთაშორისო არბიტრაჟის ხელშეკრულებების მოლაპარაკებების წარმართვა. ბრაიანმა 1913-1914 წლებში ოცდაათზე მეტი ხელშეკრულება გააფორმა. უმეტესად, ეს ხელშეკრულებები ითვალისწინებდა სხვა გზით გადაუჭრელი დავების მიუკერძოებელი საგამოძიებო კომისიისთვის გადაცემას; იკრძალებოდა იარაღის გამოყენება კომისიის მიერ მხარეებისთვის რეკომენდაციების წარდგენამდე. უნდა დაწყებულიყო „დაცხრომის პერიოდი", რომელიც შესაძლებელს გახდიდა კონფლიქტის დიპლომატიური გზებით გადაჭრას და არავის მისცემდა შესაძლებლობას, ნაციონალისტურ გრძნობებს აჰყოლოდნენ. არ მოიძიება დამადასტურებელი ჩანაწერი, რომ, რომელიმე კონკრეტული შემთხვევისას გამოეყენებინოთ ერთი ხელშეკრულება მაინც. 1914 წლის ივლისში ევროპა და დანარჩენი მსოფლიოს დიდი ნაწილი უკვე ჩართული იყო ომში.

1917 წელს უილსონმა განაცხადა, რომ ომის წამომწყები ერთი მხარის – გერმანიის საზარელი ქმედებების გამო შეერთებული შტატები იძულებულია მოწინააღმდეგეებთან „მჭიდრო თანამშრომლობით" ჩაებას ომში (უილსონი უარს ამბობდა „ალიანსის" შექმნაზე), თუმცა, ამავე დრო ამტკიცებდა, რომ ამერიკის მიზანი საკუთარი ინტერესებისადმი არ არის მიმართული, არამედ იგი უნივერსალურია:

> ჩვენ არ ვმოქმედებთ ეგოისტური მიზნებით, ჩვენ არ ველტვით სხვათა დაპყრობას, არც გავლენებს. ჩვენ არც ზარალის ანაზღაურებისთვის ვიბრძვით, არც მატერია-

> ლური დანაკლისისთვის. პირიქით, მზად ვართ გავიღოთ მსხვერპლი. ჩვენ მხოლოდ ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლები ვართ.

უილსონის დიდი სტრატეგიის ამოცანა იყო, რომ მსოფლიოს ამერიკული ღირებულებანი გაეთვალისწინებინა.

> ეს არის ამერიკული პრინციპები, ამერიკული პოლიტიკა. ჩვენ მხოლოდ მათ ვიცავთ. და, ამავდროულად, ეს არის ყოველი შორსმჭვრეტელი კაცისა და ქალის, ყველა თანამედროვე ერის, ყველა განათლებული საზოგადოების პრინციპები და პოლიტიკა.

კონფლიქტებს მზაკვარი ავტოკრატები ქმნიან და არა ეროვნულ ინტერესებსა და მისწრაფებებს შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობები. თუ ყველა ფაქტს გავათვალსაჩინოებთ და ხალხს არჩევანის საშუალებას მივცემთ, ჩვეულებრივი ადამიანები მშვიდობას ამჯობინებენ – ეს არის შეხედულება, რომელსაც განმანათლებლობის ფილოსოფოსი კანტი ისევე (როგორც ზემოთ აღინიშნა) იზიარებდა, როგორც თავისუფალი ინტერნეტის დღევანდელი მომხრეები. როგორც, 1917 წლის აპრილში, უილსონი კონგრესისგან გერმანიისთვის ომის გამოცხადების თანხმობის მიღებისას აღნიშნავდა:

> ავტონომიური ერები მეზობელ ქვეყნებში ჯაშუშებს არ აგზავნიან ვითარების გასამწვავებლად და არც ინტრიგებს ხლართავენ, თავდასხმისა და დაპყრობის საბაბით. ასეთ გეგმებს მხოლოდ ფარულად მოაქვს წარმატება, სადაც კითხვებს ვერავინ სვამს. შეცდომაში შეყვანისა და აგრესიის მზაკვრული გეგმები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა, მხოლოდ თავის თავში ჩაკეტილი მმართველების კარზე ან გონებაშეზღუდული და პრივილეგირებული კლასის სანდოდ დაცულ

> გარემოში შეიძლება დაუმალონ საზოგადოებას. საბედნიეროდ, იქ, სადაც საჯარო აზრი ბატონობს, სადაც საზოგადოება ქვეყნის საქმეების შესახებ ვრცელ ინფორმაციას ფლობს, ასეთი რამ შეუძლებელია.

ამიტომ, ძალთა ბალანსის პროცედურული ასპექტი, ანუ ნეიტრალიტეტი, მოპაექრე მხარეების ზნეობრივი პოზიციების მიმართ, ამორალურიც არის და საშიშიც. დემოკრატია არ არის მხოლოდ მართვის საუკეთესო ფორმა, იგი ხანგრძლივი მშვიდობის ერთადერთი გარანტიცაა. ამდენად, ამერიკის ინტერვენციას მხოლოდ ერთი მიზანი – გერმანიის საომარი ქმედებების გაუვნებელყოფა კი არ ჰქონია, არამედ მისი მმართველობის სისტემის შეცვლაც განიზრახა:

> ყველაზე უარესი, რაც შეიძლება დაემართოს გერმანელ ხალხს, არის ის, რომ ომის დამთავრების შემდეგ, ისინი კვლავ აიძულონ, იცხოვრონ ძალაუფლების მოსურნე, ინტრიგანი მმართველების ქვეშ, რომელთაც მხოლოდ მსოფლიოს მშვიდობის დანგრევა სურთ, ისევ რომ აღმოჩდნენ იმ პირთა და ელიტების ხელში, რომლებსაც მსოფლიოს სხვა ხალხები იმდენად არ ენდობიან, რომ ვერ მიიღებენ ხალხთა თანამეგობრობაში, რომელმაც დღეიდან უნდა განამტკიცოს მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

როდესაც გერმანიამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებებისთვის მზადყოფნა განაცხადა, უილსონმა უნდობლობის გამო თქვა მონაწილეობაზე უარი, სანამ კაიზერი არ გადადგებოდა. საერთაშორისო მშვიდობა მოითხოვს, „ყველგან განადგურდეს თვითნებური ძალაუფლება, რომელიც სეპარატისტულად, ჩუმად და მხოლოდ ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ემუქრება მსოფლიო მშვიდობას; ან, თუკი

მას ახლა ერთბაშად ვერ გავანადგურებთ, უნდა შევამციროთ მაინც ფაქტიურ უუნარობამდე". სამართლიანობაზე დაფუძნებული მშვიდობიანი საერთაშორისო წესრიგის მიღწევა შესაძლებელია, მაგრამ რადგან „ვერ ვენდობით ვერცერთ ავტოკრატიულ რეჟიმს, რომ დაიცავს ამ წესებს და შეასრულებს თავის ვალდებულებებს", მშვიდობა მოითხოვს, რომ „ჯერ ავტოკრატიას მიეთითოს, როგორი მიუღებელია მათი პრეტენზია ძალაუფლებაზე ან თანამედროვე მსოფლიოს წინააღმდეგობაზე".

უილსონის შეხედულებით, დემოკრატია თავისთავად გავრცელდებოდა, როცა თვითგამორკვევის პრინციპის განმტკიცებას დაიწყებდა. ვენის კონგრესის შემდეგ ომები ყოველთვის ხელშეკრულებებით მთავრდებოდა, რომლებიც ტერიტორიული გადალაგების საფუძველზე აღადგენდნენ ძალთა წონასწორობას. მსოფლიო წესრიგის უილსონისეული კონცეფცია კი ეყრდნობოდა „თვითგამორკვევის უფლებას" – ყველა ერს, რომელიც ხასიათდებოდა ეთნიკური და ლინგვისტური ერთიანობით, უნდა მინიჭებოდა სახელმწიფო სტატუსი. ხალხები მხოლოდ ავტონომიის საშუალებით შეძლებდნენ საერთაშორისო ჰარმონიისადმი თავიანთი ნების გამოხატვას. ხოლო, თუკი დამოუკიდებლობას და ნაციონალურ ერთობას მიაღწევდნენ, ამბობდა უილსონი, მათ აღარ ექნებოდათ აგრესიული და ეგოისტური პოლიტიკის გატარების სურვილი. სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც დაემორჩილებოდნენ თვითგამორკვევის პრინციპს, ვეღარ გაბედავდნენ „ეგოისტური და კომპრომისული პაქტების დადებას, როგორც ეს ქნეს ვენის კონგრესზე", რადგან იქ დიდი სახელმწიფოების ელიტარულმა წარმომადგენლებმა საიდუმლოდ გაავლეს ახლიდან საერთაშორისო საზღვრები და ძალთა წონასწორობა ამჯობინეს თავიანთი ხალხების ნებას. საბოლოოდ, ამგვარად, მსოფლიო შევა ეპოქაში,

> სადაც უარს იტყვიან ნაციონალური ეგოიზმის სტანდარტებზე, რაც განსაზღვრავდა ერთ დროს ერთა შორის ურთიერთობას, ეს კი მოითხოვს, რომ ახალ წესრიგს დაეთმოს ადგილი, სადაც ერთადერთი კითხვა იქნება: „სწორია ეს?" „სამართლიანია?", „კაცობრიობის ინტერესს გამოხატავს?"

მწირად მოიპოვება საბუთი უილსონის მიდგომის სისწორისა, – რომ საზოგადოებრივი აზრი „კაცობრიობის საყოველთაო ინტერესს" მეტად დააფასებდა, ვიდრე ძველი თაობის სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთაც უილსონი აგრერიგად საყვედურობდა. ყველა ევროპულ ქვეყანაში, რომელიც 1914 წელს ომში ჩაება, არსებობდა განსხვავებული გავლენის მქონე წარმომადგენლობითი ინსტიტუციები. (გერმანიის პარლამენტი საყოველთაო არჩევნების შედეგად იყო არჩეული). ომს ყველა ქვეყანაში საყოველთაო ენთუზიაზმით შეხვდნენ, მას თვით არჩევითი ორგანოებიც კი მხოლოდ სიმბოლურად ეწინააღმდეგებოდნენ. ომის შემდეგ საზოგადოებრიობა დემოკრატიულ საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთშიც მოითხოვდა სადამსჯელო მშვიდობას და ივიწყებდა საკუთარ ისტორიულ გამოცდილებას, რომ სტაბილური ევროპული წესრიგი, საბოლოოდ, ყოველთვის გამარჯვებულებისა და დამარცხებულების შერიგებით მყარდებოდა. ასეთი თავშეკავება იმ არისტოკრატებისგან უფრო იყო მოსალოდნელი, ვინც ვენის კონგრესზე აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს, რადგან ზოგადად, მათი პოზიცია ევროპული არისტოკრატიის საერთო ღირებულებებსა და გამოცდილებას ემყარებოდა. პოლიტიკური ლიდერები, ჩამოყალიბებულნი სახელმწიფო წესრიგში, რომელშიც მუდამ სხვადასხვა ინტერესების ირგვლივ გაერთიანებული ჯგუფების მრავალფეროვნებას უნდა გასწეოდა ანგარიში, უფრო იმ მომენტისთვის გავრცელებული განწყო-

ბების ან ეროვნული ღირსების კარნახის ანგარიშგაწევისკენ იხრებოდნენ, ვიდრე კაცობრიობის სასიკეთო ზოგადი პრინციპების გათვალისწინებისკენ.

თავისთავად გასაოცარი კონცეფცია, რომ ომს თავიდან აიცილებდნენ, თუკი ყველა ერს მიეცემოდა დამოუკიდებლად სახელმწიფოებრიობის ქონის უფლება, რეალურად უზარმაზარ სიძნელეს წააწყდა. ბედის ირონიაა, რომ ახალი პრინციპის საფუძველზე (ლინგვისტურ კონტექსტზე დაფუძნებული ეროვნული თვითგამორკვევის უილსონისეულ პრინციპზე) საზღვრების თავიდან გადანაწილება, გერმანიას უკეთეს გეოპოლიტიკურ პერსპექტივას უქმნიდა. ომამდე გერმანია სამი დიდი ძალით იყო გარშემორტყმული (საფრანგეთი, რუსეთი და ავსტრო-უნგრეთი), რაც, მის ექსპანსიურ მისწრაფებებს, პრაქტიკულად ზღუდავდა. ახლა კი, თვითგამორკვევის შედეგად აღმოცენებული პატარა-პატარა ქვეყნების შეჯგუფების წინაშე აღმოჩნდა. პრაქტიკაში ნაწილობრივ მოხერხდა ახალი პრინციპის გატარება, რადგან აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთზე ეროვნებები ისე იყვნენ ერთმანეთში აღრეულნი, რომ თითოეული ახალი სახელმწიფო ძალაუნებურად სხვა ეთნოსსაც შეიცავდა. ეს იყო ამ კონცეფციის სტრატეგიულად სუსტი მხარე, რადგან მოწყვლადობის გამო ეს ერები იოლად ექცეოდნენ განსხვავებული იდეოლოგიების გავლენის ქვეშ და ვითარებას უფრო ამწვავებდნენ. ევროპის ცენტრალური ძალის – მღელვარებით მოცული გერმანიის – აღმოსავლეთით აღარ არსებობდა დიდი სახელმწიფო მასები – რაც, შესაძლებელია, ვენის კონგრესს საჭიროდ მიეჩნია იმდროინდელი აგრესიული საფრანგეთის მოსათოკად – არამედ, როგორც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ლოიდ ჯორჯმა დანანებით აღნიშნა, „პატარა ქვეყნების გარკვეული რაოდენობა, რომელთაგან ბევრი შედგება ხალხებისგან, რომელთაც ჯერ არასდროს ჰყოლიათ სტაბილური მთავრობა, მაგრამ, სამაგიეროდ,

ჰყავთ დიდი რაოდენობით გერმანელები, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვენ თავიანთ სამშობლოსთან გაერთიანებას".

უილსონის მიზნების რეალიზაციას ხელი შეუწყო ახალი საერთაშორისო ინსტიტუციებისა და პრაქტიკული ქმედებების განმტკიცებამ – მათ უნდა უზრუნველეყოთ უთანხმოებების მშვიდობიანად მოგვარება. ერთა ლიგას უნდა შეეცვალა ძალთა ადრინდელი გუნდი. წევრებმა უარი თქვეს დაპირისპირებული ინტერესების წონასწორობის ტრადიციულ კონცეფციაზე. უნდა შემდგარიყო „არა ძალთა ბალანსი, არამედ ძალთა თანამეგობრობა; არა ორგანიზებული მეტოქეობა, არამედ ორგანიზებული საერთო მშვიდობა". გასაგები იყო, რომ სახელმწიფო მოღვაწეები, ომის შემდეგ, რომელიც ორი რიგიდული ალიანსის სისტემის კონფრონტაციამ გამოიწვია, უკეთეს ალტერნატივას ეძებდნენ. მაგრამ „ერთა თანამეგობრობა", რომელზედაც უილსონი ლაპარაკობდა, რიგიდულობას განუჭვრეტელობით ანაცვლებდა.

რასაც უილსონი „სახელმწიფოთა თანამეგობრობას" უწოდებდა, იყო ახლებური კონცეფცია, რომელსაც მოგვიანებით „კოლექტიური უსაფრთხოება" ეწოდა. ტრადიციულ საერთაშორისო პოლიტიკაში მსგავსი ინტერესების სახელმწიფოები თავად ინიჭებდნენ მშვიდობის დამცველის განსაკუთრებულ მისიას და ამ მიზნით ქმნიდნენ ალიანსებს – მაგალითად, როგორც ეს მოხდა ნაპოლეონზე გამარჯვების შემდეგ. ასეთი შეთანხმებები ყოველთვის ემსახურებოდა კონკრეტულ (უშუალო ან სავარაუდო) სტრატეგიულ საფრთხესთან გამკლავებას, მაგალითად, საფრანგეთის რევაშიზმს ვენის კონგრესის შემდეგ. ერთა ლიგა, მისგან განსხვავებით, მორალურ პრინციპს უნდა დაფუძნებოდა, ანუ სამხედრო აგრესიის, როგორც ასეთის, სრულიად საპირისპიროს; ამასთან, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა იყო ამ აგრესიის მიზეზი, მიზანი ან პროკლამირებული გამართლება. ამდენად, ერთა ლიგა მიმართული იყო

არა კონკრეტული მიზნისკენ, არამედ მას ნორმების დარღვევაზე უნდა მოეხდინა რეაგირება. მაგრამ რადგან ნორმების ინტერპრეტაცია ყველა ქვეყანაში განსხვავებული იყო, ამ მოდელით წინასწარ ვერავინ განჭვრეტდა, კოლექტიური უსაფრთხოება როგორ უნდა მიღწეულიყო.

ერთა ლიგის კონცეფციის მიხედვით, ყველა ქვეყანას უნდა აელო სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარების ვალდებულება და დამორჩილებოდა სამართლიანი თამაშის ნეიტრალურ, საერთო წესებს. სახელმწიფოებს, რომლებიც სხვანაირად აღიქვამდნენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, მოუწევდათ ეს განსხვავებული თვალსაზრისი ნეიტრალური ორგანოსთვის წარედგინათ. თუ რომელიმე ქვეყანა ამ პრინციპს დაარღვევდა და შეეცდებოდა თავისი მოთხოვნები სამხედრო ძალით დაემკვიდრებინა, ის აგრესორად მიიჩნეოდა. ასეთ შემთხვევაში, ერთა ლიგის დანარჩენი წევრები მეომარ მხარეს საერთო მშვიდობის დარღვევის ბრალდებით, ერთობლივად დაუპირისპირდებოდნენ. ერთა ლიგის შიგნით არ უნდა ყოფილიყო დაჯგუფებები, არ უნდა გამოკვეთილიყო „განსაკუთრებული ინტერესები" ან „შეთქმულებები", რადგან ეს ხელს შეუშლიდა სისტემის წესების ნეიტრალურ გამოყენებას. სამაგიეროდ, საერთაშორისო წესრიგი ისევ უნდა დაყრდნობოდა „ღიად და საჯაროდ გაფორმებულ სამშვიდობო ხელშეკრულებებს".

უილსონის შეხედულებამ იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს ალიანსებსა და კოლექტიურ უსაფრთხოებას, როგორც ერთა ლიგის სისტემის ძირითად ელემენტს შორის, გადამჭრელი გავლენა იქონია მაშინ წარმოქმნილ და დღემდე აღმოუფხვრელ დილემებზე. ალიანსი წარმოადგენს შეთანხმებას სპეციფიკური ფაქტების ან მოლოდინების შესახებ. იგი აყალიბებს ფორმალურ ვალდებულებებს, როგორ უნდა იმოქმედონ მისმა წევრებმა გარკვეული მოვლენების ან სიტუაციებისას – წი-

ნასწარ შეთანხმებული ზუსტი გეგმის მიხედვით; ანუ, შეიცავს სტრატეგიულ ვალდებულებას, რომელიც უნდა აღსრულდეს ურთიერთშეთანხმებით. ეს ვალდებულება წარმოიშობა საერთო ინტერესების ცნობიერებიდან და რაც უფრო ემთხვევა ინტერესები, მით უფრო მყარია თავად ალიანსი. საპირისპიროდ ამისა, კოლექტიური უსაფრთხოება სამართლებრივი კონსტრუქციაა, რომელიც არ არის მიმართული კონკრეტულ სიტუაციაზე და სპეციფიკურ მოვლენაზე. იგი არ განსაზღვრავს არც განსაკუთრებულ ვალდებულებებს, გარდა საერთო მოქმედებისა მშვიდობიანი საერთაშორისო წესრიგის წესების დარღვევის შემთხვევაში. პრაქტიკულად იგულისხმება, რომ ქმედებები შემთხვევიდან შემთხვევამდე კვლავ გადაიხედოს.

ალიანსები გარკვეული საერთო ინტერესის წინასწარ შეცნობით იქმნება. კოლექტიური უსაფრთხოება ნიშნავს წევრი სახელმწიფოების გავლენის სფეროში ყველა სახის აგრესიული ქმედების უარყოფას. ერთა ლიგის შემთხვევაში ყველა წევრი ლეგიტიმურად აღიარებული სახელმწიფო იყო. წესების დარღვევისას, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემამ, საერთო მიზანი წევრი სახელმწიფოების მრავალფეროვანი ინტერესებიდან უნდა გამოფილტროს. მაგრამ ვარაუდი, რომ სახელმწიფოები ასეთ სიტუაციებში მშვიდობის დარღვევის ფაქტს იდენტურად შეაფასებენ და მზად იქნებიან მის წინააღმდეგ სამოქმედოდ, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, მცდარია. უილსონის დროიდან დღემდე, როგორც ერთა ლიგაში, ისე მის მომდევნო ინსტიტუციაში – გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში – კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფციის შესაბამისი კლასიფიკაცია მხოლოდ ორ სამხედრო ინტერვენციას შეიძლება მიენიჭოს: კორეის ომსა და ერაყის პირველ ომს. ორივე მათგანი იმიტომ შედგა როგორც კოლექტიური აქცია, რომ შეერთებულმა შტატებმა სრულიად

აშკარად აჩვენა, თუ გაჭირდებოდა, უნილატერალურადაც იმოქმედებდა (და მართლაც, ამერიკას ორივე შემთხვევაში უკვე დაწყებული ჰქონდა ჯარების გაგზავნა, სანამ გაეროს ფორმალურ გადაწყვეტილებას მიიღებდა). გაეროს გადაწყვეტილებამ არა მხოლოდ ამერიკელების ენთუზიაზმი გააძლიერა, არამედ, ამავდროულად, მისი რატიფიცირებაც მოახდინა უკუთარიღით. თანხმობა შეერთებული შტატებისთვის ამერიკელების უკვე ისედაც დაწყებულ ქმედებაზე გარკვეული გავლენის მოპოვების მცდელობა იყო და არა მორალური კონსენსუსის გამოხატულება.

ძალთა ბალანსის სისტემა პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჩამოიშალა, რადგან მის გამო შექმნილი ალიანსები მოქნილობას ვერ ამჟღავნებდნენ – განურჩევლად განიხილავდნენ პერიფერიულ საკითხებს და კონფლიქტებს უფრო მეტად აღვივებდნენ. კოლექტიური უსაფრთხოების სისტემამ კი ზუსტად საპირისპირო გაგებით განიცადა კრახი, როდესაც აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომის წინაშე. ერთა ლიგა უმწეო აღმოჩნდა, როდესაც ჩეხოსლოვაკია ორად გახლიჩეს, როდესაც იტალიელები აბისინიას დაესხნენ თავს, როდესაც გერმანელებმა ლოკარნოს ხელშეკრულება დაარღვიეს, იაპონელები კი ჩინეთში შეიჭრნენ. ერთა ლიგის მიერ აგრესიის განმარტება ისეთი ბუნდოვანი იყო (ამით გააჭიანურა მან კოლექტიური მოქმედებების დაწყება), რომ მაშინაც ვერ მიიღო გადამჭრელი ღონისძიებები, როცა უშუალოდ აღმოჩნდა უდიდესი საფრთხის პირისპირ. კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის უუნარობა ბევრჯერ გამოვლინდა განსხვავებულ სიტუაციებში, რომელთაგან ყველა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას ემუქრებოდა. (მაგალითად, 1973 წელს ახლო აღმოსავლეთის ომის დროს, გაეროს უშიშროების საბჭო არ შეკრებილა, რადგან არსებობდა წინასწარი შეთანხმება მის მუდმივ წევრებს შორის, რომ შეკრება არ შედგებოდა, სანამ

ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის არ დაიდებოდა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება).

მიუხედავად ამისა, უილსონის მემკვიდრეობამ ამერიკის საგარეო პოლიტიკურ წარმოდგენებზე ისეთი ძლიერი გავლენა მოახდინა, რომ ამერიკელი ლიდერები კოლექტიურ უსაფრთხოებასა და ალიანსებს ერთმანეთთან აიგივებდნენ. როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სკეპტიკურად განწყობილი კონგრესისთვის ატლანტიკური ალიანსის სულ ცოტა ხნის წინ შექმნილი სისტემა უნდა განემარტათ, მთავრობის წარმომადგენელი ნატო-ს ჯიუტად ახასიათებდა როგორც ალიანსს, რომელიც მხოლოდ კოლექტიური უსაფრთხოების დოქტრინის განხორციელებას მოემსახურებოდა. სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს წარუდგინეს ანალიზი, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებდა ისტორიულ ალიანსებსა და ნატო-ს ხელშეკრულებას და ამბობდა, რომ ნატო ტერიტორიების დაცვას არ ისახავდა მიზნად (რამაც ალბათ განაცვიფრა ამერიკის ევროპელი მეკავშირეები). დასკვნა კი ასე ჟღერდა: „ნატო არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული; იგი მიმართულია მხოლოდ აგრესიის წინააღმდეგ. იგი არ ისახავს მიზნად „ძალთა ბალანსზე" გავლენას, არამედ მისი მიზანია „პრინციპის ბალანსის" გამყარება". (ადვილი წარმოსადგენია, როგორ უბრწყინავდა თვალები საგარეო საქმეთა მინისტრ დინ აჩესონს, ისტორიის კარგ მცოდნეს, როდესაც კონგრესს წარუდგინა ხელშეკრულება, რომელიც ვითომდა კოლექტიური უსაფრთხოების დოქტრინის სუსტ წერტილებს თავიდან იცილებდა, სინამდვილეში კი ზუსტად მათ შეიცავდა.)

პენსიონერმა თეოდორ რუზველტმა პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას გააკრიტიკა უილსონის მცდელობა, ევროპული კონფლიქტებისგან შორს დაეჭირა თავი. ომის დამთავრების შემდეგ კი ეჭვი გამოთქვა ერთა ლიგის დაარსების არგუმენტების საწინააღმდეგოდ. როდესაც 1918 წელს ცეცხლის

შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რუზველტი წერდა:

> მე ერთა ლიგას ვუჭერ მხარს, თუ მისგან დიდი მოლოდინი არ გვექნება... არ მსურს ვითამაშო როლი, რომელსაც თვით ეზოპეც კი აქილიკებდა, როდესაც აღწერდა მგლებისა და ცხვრების განიარაღების შეთანხმებას, მერე ცხვრებმა რომ თავიანთი ნდობის დასადასტურებლად მეცხვარე ძაღლები დაითხოვეს და მაშინვე მგლები დაერივნენ შესაჭმელად.

„უილსონიანიზმი" არასოდეს დამდგარა გამოცდის წინაშე, მოახერხებდა თუ არა მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებას, თუკი საკმარისად ზუსტ წესებს შექმნიდა და საკმარისი რაოდენობის პარტნიორებს მოიპოვებდა. მთავარი კითხვა სხვა შინაარსისა იყო: რა უნდა ვქნათ, თუ დაირღვევა წესები ან, უარესი, – ისე შეცვლიან მათ, რომ დაირღვევა ამ წესების სულისკვეთება? დავუშვათ, საერთაშორისო წესრიგი სამართლებრივი სისტემაა, რომელიც მუშაობს კრიტიკული საზოგადოებრივი ჟიურის მეთვალყურეობით: რა მოხდება, თუკი რომელიმე აგრესორი გადაწყვეტს, რეალური კონფლიქტით მოაგვაროს საკითხი, რომელიც საზოგადოებრიობისთვის იმდენად უმნიშვნელოა, რომ მასში ჩარევაც არ ღირს – როგორიცაა, მაგალითად, სასაზღვრო კონფლიქტი აღმოსავლეთ აფრიკაში, იტალიურ კოლონიებსა და აბისინიის დამოუკიდებელ სამეფოს შორის. ისიც დავუშვათ, რომ კონფლიქტის არცერთი მონაწილე მხარე არ იცავს ძალის გამოუყენებლობის საერთაშორისო წესებს და საერთაშორისო თანამეგობრობა კონფლიქტის ორივე მხარეს უწესებს ემბარგოს იარაღზე: მიანიჭებს თუ არა ეს უფრო ძლიერს უპირატესობას? რა მოხდება, თუ კონფლიქტის ერთი მხარე „ლეგალურად" და-

ტოვებს მშვიდობიანი საერთაშორისო წესრიგის მექანიზმების სისტემას და აღარ დაივალდებულებს თავს, მის შეზღუდვებს დაემორჩილოს? ამის მაგალითი მრავლად მოიპოვება, თუნდაც, გერმანიის, იაპონიისა და ბოლოს იტალიის გასვლა ერთა ლიგიდან, ვაშინგტონის ფლოტის ხელშეკრულება 1922 წელს, 1928 წელს კელოგ-ბრაიანის პაქტი და ჩვენს დროში ატომური იარაღის აკრძალვის ხელშეკრულების უგულებელყოფა, ბირთვული იარაღის ტექნოლოგიის გადაცემის გზით. სტატუს კვოს წარმომადგენლები რომ ყოფილიყვნენ უფლებამოსილნი, ძალის გამოყენებით დაესაჯათ წესების უგულებელმყოფელნი, ეს აჯობებდა, თუ სისტემიდან გასული ძალის უკან დაბრუნება? თუ უბრალოდ, თვალი რომ დაეხუჭათ ამ გამოწვევაზე? ასეთ შემთხვევაში, შერიგების პოლიტიკა ხომ არ აღიქმებოდა, როგორც ჯილდო დაუმორჩილებლობისთვის? და, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია არსებულიყო „ლეგალური“ შედეგებიც, რომელსაც მაინც უნდა შეწინააღმდეგებოდნენ, რადგან ისინი სამხედრო და პოლიტიკური წინასწორობის სხვა პრინციპებს არღვევენ? აქაც შეგვიძლია მოვიყვანოთ ორი მაგალითი: ხალხის მიერ რატიფიცირებული „თვითგამორკვევა“ ავსტრიისა და გერმანულენოვანი ჯგუფებისა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში და ნაცისტურ გერმანიაზე მიერთება 1938 წელს, ან მანჯურიაში იაპონელების მიერ გამოგონილი ვითომდა თვითგამორკვეული სამეფო მანჯოუ, რომელიც 1932 წელს ამოკვეთეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთს. წესები და პრინციპები, *თავისთავად*, საერთაშორისო წესრიგს წარმოადგენს თუ მხოლოდ საყრდენია, გეოპოლიტიკურ სტრუქტურით განმტკიცებული, რომელსაც შეუძლია დიფერენცირებული ფუნქციონირება – მეტიც, გარდაუვალსაც კი ხდის მას?

„ძველი, ცრურწმიანი დიპლომატია“ მიმართული იყო დაპირისპირებულ ძალთა შორის წონასწორობის დამყარებასა და ამდენად, სახელმწიფოების ინტერესებისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგობის დასაბალანსებლად. ამ სულისკვეთებით შეძლო ტრადიციულმა დიპლომატიამ, მაგალითად, ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, საფრანგეთი ევროპული წესრიგისთვის დაებრუნებინა. ვენის კონგრესზე მიწვეული საფრანგეთი გარშემორტყმული იქნებოდა დიდი ერებით, რომლებიც ჩაუხშობდნენ მას მომავალში ტერიტორიული ექსპანსიის ყველა სურვილს. ახალი დიპლომატიისთვის, რომელიც საერთაშორისო საკითხების ახლებურად გადაჭრას ისახავდა, სტრატეგიული პრინციპების ნაცვლად მორალურ პრინციპებზე დაყრდნობით ასეთი გათვლა მიუღებელი იყო.

1919 წელს ამ მიდგომამ უხერხულ დღეში ჩააგდო სახელმწიფო მოღვაწეები. სამშვიდობო კონფერენციაზე არ მიუწვევიათ გერმანია – საბოლოო ხელშეკრულებაში ომის ერთადერთ აგრესორად რომ მოიხსენიებოდა. მას დაეკისრა კონფლიქტის მთელი ფინანსური ტვირთი და მორალური პასუხისმგებლობა. მაგრამ რაც შეეხება გერმანიის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიებს, ვერსალში შეკრებილ სახელმწიფო მოღვაწეებს გაუჭირდათ მოლაპარაკებები ბევრ სხვადასხვა ხალხთან, რომლებიც თვითგამორკვევას ითხოვდნენ იმავე ტერიტორიებზე. ამგვარად, შეიქმნა მრავალი სუსტი, ეთნიკურად ფრაგმენტირებული სახელმწიფო ორ პოტენციურ დიდ ძალას – გერმანიასა და რუსეთს შორის. როგორც აღმოჩნდა, ახლა უკვე საკმარისზე მეტი ერი არსებობდა და ძნელი იყო ყველასთვის რეალისტური და უსაფრთხო დამოუკიდებლობის მინიჭება. ამის მაგივრად, ორჭოფად მიუდგნენ საკითხს და ამ სახელმწიფოებში მცხოვრები უმცირესობების უფლებების განსაზღვრას შეუდგნენ. სწორედ მაშინ შექმნილი საბჭოთა კავშირი, რომელიც ასევე არ ყოფილა მიწვეული ვერსალში,

ჯერ ჩრდილოეთ რუსეთში მოკავშირეთა ინტერვენციის მცდელობით გააღიზიანეს (ამ განზრახვაზე მოგვიანებით ხელის აღება მოუწიათ), შემდეგ კი იზოლაციაში მოაქციეს. თითქოს ეს შეცდომები არ კმაროდაო და შეერთებული შტატების სენატმა უარი თქვა აშშ-ს ერთა ლიგაში გაწევრიანებაზე – უილსონისთვის ეს სასტიკი იმედგაცრუება იყო.

უილსონის პრეზიდენტობის შემდგომ წლებში მისი პოლიტიკის მარცხი ზოგადად არ აიხსნებოდა საერთაშორისო ურთიერთობების მისეული კონცეფციის ხარვეზებით, არამედ ბრალდებოდა არსებულ გარემოებებს – მაგალითად, აშშ-ს კონგრესის ჩაკეტილობას (თუმცა, უილსონს ბევრი არაფერი გაუკეთებია, კონგრესის დასაშოშმინებლად) აგრეთვე, უილსონის ინსულტს, რომელმაც მაინცდამაინც მაშინ დაასუსტა, როცა ქვეყნის მასშტაბით ერთა ლიგაში აშშ-ს გაწევრიანების სარეკლამო კამპანიას ატარებდა.

რასაკვირველია, ეს მოვლენები, ადამიანური თვალსაზრისით, ტრაგიკული იყო, თუმცა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ უილსონის მიზანდასახულობამ იმიტომ არ გაამართლა, რომ „უილსონიალიზმს" საკმარისი პრინციპულობით არ უჭერდნენ მხარს. უილსონის მემკვიდრეები ცდილობდნენ მისი ვიზიონარული პროგრამა სხვა, მისი პროგრამის განზოგადებით ან მსგავსი საშუალებებით განეხორციელებინათ. 1920-იან და 1930-იან წლებში ამერიკამ და მისმა დემოკრატიულმა პარტნიორებმა დიდი ძალისხმევა დაახარჯეს განიარაღების დიპლომატიას და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. 1921-1922 წლების ვაშინგტონის კონფერენციაზე შეერთებული შტატები ცდილობდა გამალებული შეიარაღება აღეკვეთა: მზად იყო, გაენადგურებინა თავისი ოცდაათი სამხედრო გემი, თუკი დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია, შესაბამისად განაიარაღებდნენ თავიანთ სამხედრო ფლოტს. ფრანკ კელოგმა, პრეზიდენტ კელვინ კულიჯის საგარეო სა-

ქმეთა მინისტრმა, 1928 წელს გზა გაუხსნა კელოგ-ბრაიანის პაქტს, რომელშიც ხელშეკრულების დამდები მხარეები თავიანთი ხალხის სახელით აცხადებდნენ, „რომ გმობდნენ ომს, როგორც საერთაშორისო დავების გადაჭრის საშუალებას და უარს ამბობდნენ ორმხრივ ურთიერთობებში ეროვნული პოლიტიკის ამ ინსტრუმენტის გამოყენებაზე". ხელმომწერები, მათ შორის მსოფლიოს დამოუკიდებელი სახელმწიფოების უმეტესობა და, აგრეთვე, პირველი მსოფლიო ომის ყველა მონაწილე და ყველა მომავალი ანგარიშგასაწევი ძალა, ხელშეკრულებით ადასტურებდნენ, „რომ მათ შორის წარმოშობილი, ნებისმიერი სახის და წარმომავლობის, ყველა დავა და კონფლიქტი მოგვარდება და გადაწყდება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით". ამ ინიციატივებიდან ვერცერთმა ვერ გაუძლო დროს.

და თუმცა ვუდრო უილსონის პოლიტიკური კარიერა უკეთესი მასალა იქნებოდა შექსპირის ტრაგედიისთვის, ვიდრე საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელოსთვის, იგი ამერიკული სულის ერთ მთავარ სიმს მაინც შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ უილსონი, გეოპოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზრისით, არ ყოფილა მე-20 საუკუნის ყველაზე გამჭრიახი და მოხერხებული ამერიკელი საგარეო პოლიტიკოსი, დღესაც, აშშ-ში ჩატარებულ გამოკითხვებში, მუდამ „უდიდეს" პრეზიდენტთა შორის მოიხსენიება. უილსონის ინტელექტუალური ტრიუმფის მაჩვენებელია, რომ რიჩარდ ნიქსონიც კი, რომლის საგარეო პოლიტიკა, ძირითადად, თეოდორ რუზველტის ხაზს მიჰყვებოდა, თავს უილსონისეული ინტერნაციონალიზმის მოსწავლედ მიიჩნევდა და უილსონის, პირველი მსოფლიო ომის დროინდელი პრეზიდენტის პორტრეტი თეთრი სახლის Cabinet Room-ში დააკიდებინა.

ვუდრო უილსონის ისტორიული სიდიდე იმით უნდა შეფასდეს, რამდენად მოახერხა მან ამერიკული განსაკუთრებულობის ტრადიციის გააქტიურება და, მიუხედავად დაბრკოლებე-

ბისა, დასახული მიზნების განხორციელება. მას თაყვანს სცემენ როგორც წინასწარმეტყველს, რომლის ხედვის მიმდევრობა ამერიკას მოვალეობად მიაჩნია. როცა არ უნდა აღმოჩენილიყო ამერიკა კრიზისის ან კონფლიქტის წინაშე, იქნებოდა ეს მეორე მსოფლიო თუ ცივი ომი, ან, თუნდაც დღევანდელი გამოწვევები ისლამურ სამყაროში – ამა თუ იმ გზით ყოველთვის უბრუნდება მსოფლიო წესრიგის ვუდრო უილსონისეულ ხედვას, რომელიც მშვიდობის განმტკიცებას ცდილობდა დემოკრატიის, ღია დიპლომატიის და საყოველთაო წესებისა და სტანდარტების დაცვის გზით.

ამ ხედვის გენიალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამერიკულ იდეალიზმს მშვიდობის, ადამიანის უფლებების განმტკიცებისა და პრობლემების ერთობლივი გადაჭრის მიზნით აყენებს დიდი საგარეო პოლიტიკური წამოწყებების სამსახურში, იმ იმედით, რომ მსოფლიო შესაძლებელია იყოს უკეთესი და უფრო მშვიდობიანი. მისი ხედვის გავლენად მიიჩნევენ წინა საუკუნეში მსოფლიოში კიდევ უფრო გავრცელებულ პარტიციპატორულ სახელმწიფო წესრიგს, აგრეთვე, განსაკუთრებულ რწმენას და ოპტიმიზმს, რომელიც ასაზრდოებს ამერიკელების ძალისხმევას მსოფლიო მნიშვნელობის საკითხების გადაჭრაში. „უილსონიალიზმის" ტრაგიკულობა იმაში მდგომარეობს, რომ მან შეერთებულ შტატებს – მე-20 საუკუნის გადამწყვეტ ძალას – ამაღლებული საგარეო პოლიტიკური დოქტრინა დაუტოვა, რომელიც ისტორიულ და გეოპოლიტიურ რეალობას სათანადოდ არ ითვალისწინებს.

ფრანკლინ რუზველტი და ახალი მსოფლიო წესრიგი

უილსონის პრინციპები ისეთი დამაჯერებელი იყო და ისე მისადაგებული აშშ-ს სულისკვეთებასთან, რომ როდესაც ორი ათწლეულის თავზე ისევ დადგა მსოფლიო წესრიგის საკითხი, ომებს შორის პერიოდში განცდილმა მარცხმა ვერ შეაჩერა მისი ტრიუმფალური დაბრუნება. კიდევ ერთი მსოფლიო ომის შუაგულში ამერიკამ ისევ შეეგება გამოწვევას, თავიდან ჩამოეყალიბებინა ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც იქნებოდა აგებული უილსონის პრინციპებზე.

როდესაც ფრანკლინ დელანო რუზველტი (იგი იყო თეოდორ რუზველტის ბიძაშვილი და ერთადერთი პრეზიდენტი, რომელიც სამი ვადით მართავდა ქვეყანას) და უინსტონ ჩერჩილი 1941 წლის აგვისტოში, ნიუფაუნდლენდში, გემზე HMS Prince of Wales, პირველად შეხვდნენ ერთმანეთს პოლიტიკურ ლიდერთა რანგში, თავიანთი საერთო ხედვა რვა „ზოგადი პრინციპის" სახით ჩამოაყალიბეს ატლანტიკურ ქარტიაში. უილსონი უეჭველად მოაწერდა ხელს ქარტიის ყველა პუნქტს; მაგრამ, ალბათ, ჩერჩილის წინამორბედი არცერთი ბრიტანელი პრემიერ-მინისტრი არ იზამდა იმავეს. ამ ჩამონათვალში შედიოდა „ყველა ხალხის უფლება, აირჩიოს მმართველობის ისეთი ფორმა, რომლის პირობებშიც ისურვებდა ცხოვრებას". ქარტიის ხელმომწერებს არ სურდათ „არანაირი ტერიტორიული ცვლილებები, რომელიც არ შეესაბამებოდა სრულიად თავისუფალი კონკრეტული ხალხის ნებას". ადამიანებს თავიანთი ცხოვრება უნდა წარემართათ „შიშისა და იძულების გარეშე". გარდა ამისა, მათ აუცილებლობად მიაჩნდათ „საერთო უსაფრთხოებისა და განიარაღების მასშტაბური და ხანგრძლივი სისტემის შექმნა". ალბათ, უინსტონ ჩერჩილის ინიციატივა ვერ იქნებოდა ყველა პუნქტი, განსაკუთრებით კი ის, რომელიც კოლონიალიზმის დასრულებას გულისხმობდა და, უეჭვე-

ლია, ამ პუნქტს არც დათანხმდებოდა, უფრო მნიშვნელოვანი რომ არ ყოფილიყო მისთვის ამერიკელების პარტნიორობა, რადგან ეს იყო დიდი ბრიტანეთისთვის უმნიშვნელოვანესი, ალბათ ერთადერთი იმედი მოსალოდნელი მარცხის თავიდან ასაცილებლად.

რუზველტი უილსონზე შორსაც კი წავიდა საერთაშორისო მშვიდობის ფუნდამენტის იდეების ჩამოყალიბებაში. რადგან უილსონი აკადემიური სამყაროდან მოდიოდა, ყოველთვის მიაჩნდა, რომ საერთაშორისო წესრიგი უმეტესად ფილოსოფიური ხასიათის პრინციპებს უნდა დამყარებოდა. ამერიკული პოლიტიკის მორევში გამობრძმედილი რუზველტი კი, უმეტესად, ადამიანებთან ურთიერთობის საკუთარ უნარს ეყრდნობოდა.

ამიტომაც, რუზველტის რწმენით ახალი საერთაშორისო წესრიგის საფუძველი უნდა ყოფილიყო პიროვნული ნდობა:

> იმ სახის მსოფლიო წესრიგი, რომელიც ჩვენი, მშვიდობისმოყვარე ხალხების შესაქმნელია, არსებითად უნდა ეფუძნებოდეს ადამიანებს შორის მეგობრულ ურთიერთობებს, ნაცნობობას, ტოლერანტობას, ნამდვილ გულწრფელობას, კეთილ ნებას, ერთგულებასა და რწმენას.

ამ თემას რუზველტი 1945 წელს თავის მეოთხე საინაუგურაციო გამოსვლაში დაუბრუნდა:

> ჩვენ ვისწავლეთ ემერსონის მარტივი ჭეშმარიტება, რომ „ერთადერთი გზა მეგობრების ყოლისა, არის თავად იყო მეგობარი". ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ მუდმივად მშვიდობაში, თუ მას ვასაზრდოებთ ეჭვით, უნდობლობითა და შიშით.

რუზველტი ამ სულისკვეთებით ცდილობდა ომში სტალინთან მოლაპარაკებასაც. როდესაც მას წარუდგინეს საბჭოთა

კავშირის მიერ შეთანხმებათა მრავალჯერ დარღვევისა და ანტიდასავლურ ქმედებათა დამადასტურებელი საბუთები, მოსკოვში ადრინდელი ამერიკელი ელჩი, უილიამ ც. ბილიტი ასე დაუმშვიდებია:

> ბილ, მე თქვენს ფაქტებს არ უარვყოფ, ფაქტები ზუსტია. და არც თქვენს ლოგიკურ არგუმენტებს ვეწინააღმდეგები. მაგრამ გუმანი მკარნახობს, სტალინი ასეთი კაცი არ უნდა იყოს... მე მგონია, რომ თუ ყველაფერს მივცემ, რისი მიცემაც შემიძლია და სანაცვლოდ არაფერს მოვთხოვ, noblesse oblige, იგი არ ეცდება რაიმეს ანექსირებას და დემოკრატიული და მშვიდობიანი მსოფლიოსთვის იღვაწებს.

1943 წელს, თეირანში ორი სახელმწიფო მოღვაწის პირველი შეხვედრისას, რუზველტის ქცევა მის გამონათქვამებს შეესაბამებოდა. საბჭოთა ლიდერმა ჩასვლისთანავე გააფრთხილა რუზველტი, რომ საბჭოთა საიდუმლო სამსახურების მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ნაცისტები გეგმავდნენ პრეზიდენტზე თავდასხმას. სტალინმა რუზველტს კარგად დაცულ საბჭოთა საელჩოში მასპინძლობა შესთავაზა, რადგან ამერიკის საელჩო ნაკლებად უსაფრთხო იყო და თან მოლაპარაკებების ადგილიდან საკმაოდ შორს მდებარეობდა. რუზველტმა მიიღო შეთავაზება და უფრო ახლოს მდებარე ბრიტანული საელჩოს მიპატიჟებაზე უარი თქვა, რომ არ შექმნილიყო შთაბეჭდილება, ანგლოსაქსონელი პოლიტიკოსები სტალინის წინააღმდეგ ერთიანდებიანო. სტალინთან შეხვედრებისას რუზველტი კიდევ უფრო შორს წავიდა: მან რამდენჯერმე დემონსტრაციულად გააღიზიანა ჩერჩილი, რომ სტალინი დაეჯერებინა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ვემიჯნებიო.

უსწრაფესად უნდა შექმნილიყო მშვიდობის კონცეფცია, კერძოდ, რომელი პრინციპებით უნდა ეხელმძღვანელათ მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნებს ურთიერთობებისას? რა წვლილი უნდა შეეტანა შეერთებულ შტატებს საერთაშორისო წესრიგის შექმნასა და განმტკიცებაში? უნდა მორიგებულიყვნენ საბჭოთა კავშირთან თუ უნდა დაპირისპირებოდნენ მას? და როგორი იქნებოდა მსოფლიო ამ ამოცანების წარმატებით დასრულების შემდეგ? მშვიდობა მხოლოდ ქაღალდზე დარჩებოდა თუ ქმედითად ჩამოყალიბდებოდა?

1945 წლის გეოპოლიტიკური გამოწვევა უფრო კომპლექსური იყო, ვიდრე ყველა დანარჩენი, რომლის წინაშეც ოდესმე მდგარან ამერიკის პრეზიდენტები. საბჭოთა კავშირმა, თვით ომის შემდგომ გაპარტახებულ მდგომარეობაშიც, ორი დამაბრკოლებელი გარემოება შეაგება ომისშემდგომი საერთაშორისო წესრიგის აშენებას: პირველი – მისი ზომა და დაპყრობილი ტერიტორიების სიდიდე ევროპაში ძალთა ყველანაირ ბალანსს თავდაყირა აყენებდა. მეორე – მისი იდეოლოგიური ძალა გამოწვევას წარმოადგენდა ყველა დასავლური ინსტიტუციური სტრუქტურის ლეგიტიმურობისთვის. კომუნიზმი, რომელიც არსებულ ინსტიტუციებს უგამონაკლისოდ მიიჩნევდა არალეგიტიმური ჩაგვრის გამოვლინებად, მსოფლიო რევოლუციისკენ მოუწოდებდა ხალხებს – მათ უნდა დაემხოთ გაბატონებული კლასი და ძალაუფლება გადაეცათ მათთვის, ვისაც მარქსი „მსოფლიო პროლეტარიატს“ უწოდებდა.

როდესაც 1920-იან წლებში ევროპაში კომუნისტური აჯანყებების პირველი ტალღის უმეტესობა ჩაახშეს ან თავად დამარცხდა პროლეტარიატად შერაცხულთა არასაკმარისი მხარდაჭერის გამო, აგრესიულმა და სასტიკმა იოსებ სტალინმა გამოაცხადა დოქტრინა „სოციალიზმის ერთ ქვეყანაში“ განმტკიცების შესახებ. წმენდის ათწლიან პერიოდში მან მოსპო რევოლუციის სათავეებთან მდგარი სხვა ლიდერები

და მუშათა მთელი არმია იძულებით დარაზმა რუსეთის ინდუსტრიის ასაშენებლად. იმისათვის, რომ ნაცისტების პირველი დარტყმა დასავლეთისკენ მიემართა, სტალინმა 1939 წელს ჰიტლერთან ხელი მოაწერა თავდაუსხმელობის პაქტს, რომელიც ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპას საბჭოთა და გერმანიის გავლენის სფეროებად ყოფდა. როდესაც 1941 წლის ივნისში, ჰიტლერი, მიუხედავად პაქტისა, რუსეთში შეიჭრა, სტალინმა რუსული ნაციონალიზმი იდეოლოგიური აკლდამიდან წამოაყენა და „დიდი სამამულო ომი" გამოაცხადა; ამ განცხადებით კომუნისტური იდეოლოგია გაიყლინთა ჯერ კიდევ იმპერიალისტური რუსული ემოციებისადმი ოპორტუნისტული მოწოდებით. კომუნიზმის სათავეში მოსვლიდან პირველად დაიმოწმა სტალინმა ხალხის სული, რომელმაც შექმნა რუსული სახელმწიფო და საუკუნეების განმავლობაში იცავდა მას შიგნით განადგურებისა და ტირანიისაგან, ხოლო გარედან თავდასხმებისაგან.

მეორე მსოფლიო ომში რუსეთის გამარჯვებამ მსოფლიო კიდევ ერთხელ დააყენა ამ ქვეყნისგან მოსალოდნელი საფრთხის პირისპირ, დაახლოებით ისევე, როგორც ნაპოლეონის ომების შემდეგ. მაგრამ ახლა ეს საშიშროება უფრო მწვავე იყო. როგორი რეაქცია ექნებოდა მძიმედ დაჭრილ გოლიათს – სულ ცოტა ოცი მილიონი მსხვერპლის და უზარმაზარი ტერიტორიის დასავლეთ ნაწილის ერთი მესამედის განადგურების შემდეგ – მის წინ გაჩენილ ვაკუუმზე? სტალინის გამონათქვამები უკეთ რომ გაეანალიზებინათ, პასუხიც ეცოდინებოდათ – მაგრამ მათ ხელი შეუშალა ომიანობის კონვენციურმა ილუზიამ, რომელიც სტალინმა თავად კვება, რომ ვითომ კომუნისტურ იდეოლოგიას, გაღვივების მაგივრად, შეასუსტებდა.

სტალინის გლობალური სტრატეგია კომპლექსური იყო. იგი დარწმუნებული იყო, რომ კაპიტალისტურ სისტემას ძალაუნე-

ბურად მივყავართ ომებისკენ, ამიტომ, მეორე მსოფლიო ომის დასრულება, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტას ნიშნავდა. ჰიტლერი სტალინის თვალში კაპიტალისტური სისტემის sui generis-ის წარმომადგენელი იყო და არა მისი გადაცდომა. კაპიტალისტური ქვეყნები ჰიტლერის დამარცხების შემდეგაც მოწინააღმდეგეებად დარჩებოდნენ, რაც არ უნდა ეთქვათ და ეფიქრათ მათ ლიდერებს. როგორც მან აგდებულად განაცხადა 1920-იანი წლების ბრიტანელი და ფრანგი პოლიტიკოსების შესახებ:

> ლაპარაკობენ პაციფიზმზე, ევროპულ სახელმწიფოთა შორის მშვიდობაზე. ბრაიანი და ჩემბერლენი ერთმანეთს ეხვევიან ... ეს ყველაფერი სისულელეა. ევროპის ისტორიიდან ვიცით, რომ ყოველთვის, როდესაც იდებოდა ხელშეკრულებები და ახალი ომებისთვის ერთიანდებოდნენ ძალები, ამ ხელშეკრულებებს სამშვიდობოს არქმევდნენ ... სინამდვილეში კი მათ მომავალი ომის ახალი ელემენტების დასადგენად დებდნენ.

სტალინი დარწმუნებული იყო, რომ გადაწყვეტილებებს ობიექტური ფაქტორები განაპირობებს და არა პირადი ურთიერთობები. ამიტომაც ომში შექმნილი ალიანსის კეთილი ნება მხოლოდ „სუბიექტური" იყო და გამარჯვების შემდეგ მას ახალი გარემოებებისთვის უნდა დაეთმო ადგილი. საბჭოთა სტრატეგიის მიზანს წარმოადგენდა ძალთა გარდაუვალი ფინალური გამოცდისთვის მაქსიმალური უსაფრთხოების მიღწევა. ეს კი ნიშნავდა, რომ რუსეთის უსაფრთხოების საზღვრები რაც შეიძლება შორს გადაწეულიყო, დასავლეთის მიმართულებით; გარდა ამისა, მოსაზღვრე ქვეყნები უნდა დასუსტებულიყო კომუნისტური პარტიებითა და იატაკქვეშა აგიტაციით.

სანამ ჯერ კიდევ ომი მძვინვარებდა, დასავლელი ლიდერები ამ შეფასებების გაცნობიერებაზე უარს ამბობდნენ – ჩერჩილი, რომელსაც ამერიკისთვის ფეხის აწყობა სურდა და რუზველტი, რომელსაც განეზრახა „ამომწურავი სამოქმედო გეგმის" განხორციელება, სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობის განსამტკიცებლად. სინამდვილეში, ეს იყო იმის ამოტრიალება, რაც ერთ დროს წარმოადგენდა ევროპულ საერთაშორისო წესრიგს. რუზველტს არც ძალთა წონასწორობის და არც იმპერიების აღდგენის მოთმენა არ სურდა. მისი საჯარო პროგრამა მოითხოვდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების წესებს და ამავდროულად, დიდი სახელმწიფოების, ე. წ. „ოთხი მსოფლიო პოლიციელის" – შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის ერთდროულ ძალისხმევას. განსაკუთრებით შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირისგან მოელოდნენ აქტიურ ქმედებას მშვიდობის მოწინააღმდეგეთა დასაცხრომად.

ჩარლზ ბოლენი, მაშინ საგარეო უწყების ახალგაზრდა მოხელე, რუზველტის რუსული ენის თარჯიმანი, შემდეგ კი ცივი ომის დროს ამერიკის საგარეო პოლიტიკის არქიტექტორი, აკრიტიკებდა რუზველტის „ამერიკულ რწმენას", რომ ის, მეორე, „კარგი კაცია", კორექტულად და წესიერად მოიქცევა, სწორად თუ მიუდგები":

> მას (რუზველტს) სჯეროდა, რომ სტალინი მსოფლიოს იმავე ჭრილში უყურებდა და რომ სტალინს მტრობა და უნდობლობა გაუჩნდა რევოლუციის შემდგომ წლებში, როცა სხვა ქვეყნები საბჭოთა კავშირს სათანადოდ არ აფასებდნენ ანდა სულაც არ აღიარებდნენ. მისთვის წარმოუდგენელი იყო, რომ სტალინის მტრობა ღრმად ფესვგადგმული იდეოლოგიური რწმენით იკვებებოდა.

სხვათა შეხედულებების მიხედვით, რუზველტს, რომელსაც ხშირად უკანმოუხედავად ჩაუთრევია რეალურად ნეიტრალურად განწყობილი ამერიკელი ხალხი ომში, რომელსაც მხოლოდ თითო-ოროლა მისი თანამედროვე თუ მიიჩნევდა აუცილებლად, იოლად ვერ გააბრიყვებდა ვერცერთი პოლიტიკოსი, გინდაც ისეთი მზაკვარი და ცბიერი, როგორიც იყო სტალინი. ამ ინტერპრეტაციის მიხედვით, რუზველტს უბრალოდ დროის მოგება და საბჭოთა ლიდერის შექცევა უნდოდა, რომ მისთვის ჰიტლერთან სეპარატისტული შეთანხმების დადების საშუალება არ მიეცა. ყოველ შემთხვევაში, რუზველტს ეცოდინებოდა – ან მალე მიხვდებოდა – რომ მსოფლიო წესრიგის საბჭოური ხედვა ამერიკული შეხედულებისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. დემოკრატიასა და თვითგამორკვევაზე ლაპარაკი მხოლოდ ამერიკული საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას ემსახურებოდა; მოსკოვი კი, საბოლოოდ, ამას მაინც არ დაეთანხმებოდა. როგორც კი გერმანიის უპირობო კაპიტულაციას მიაღწევდნენ და საბჭოთა კავშირის გაუტეხლობა დადასტურდებოდა, ამ შეხედულების მიხედვით, რუზველტი ისევე მყარად შემოიკრებდა დემოკრატიულ სახელმწიფოებს, როგორც ეს ერთხელ უკვე მოახერხა ჰიტლერის წინააღმდეგ.

დიდ ლიდერებს ხშირად ახასიათებთ დიდი ორაზროვნება. პრეზიდენტი ჯონ ფ. კენედი ცოტა ხნით ადრე, სანამ მოკლავდნენ, ვიეტნამში ამერიკული ძალისხმევის გაფართოებას აპირებდა თუ პირიქით, ჯარების გამოყვანას? გულუბრყვილობას რუზველტს ნამდვილად ვერცერთი ოპონენტი ვერ დააბრალებს. ალბათ პასუხი ასეთია, რომ რუზველტს, ისევე, როგორც აშშ-ს მოქალაქეებს, არ გააჩნდა მკაფიო პოზიცია საერთაშორისო წესრიგის ორი მხარის შესახებ. მას ჰქონდა მშვიდობის ლეგიტიმურობის, ანუ, ცალკეულ პირებს შორის ნდობის, საერთაშორისო სამართლის, ჰუმანურ მიზნებსა და კეთილი ნების საფუძველზე დამყარების იმედი. მაგრამ რო-

დესაც შეეჯახა საბჭოთა კავშირის ძალაუფლებაზე დამყარებულ პოზიციას, ალბათ გაახსენდებოდა თავისი მაკიაველური თვისება, რამაც სახელმწიფოს სათავეში მიიყვანა და თავისი დროის უმნიშვნელოვანეს ფიგურად აქცია. კითხვა, საბოლოოდ როგორ ბალანსს მიაღწევდა, ზედმეტია, რადგან რუზველტი პრეზიდენტობის მეოთხე ვადის მეოთხე თვეში გარდაიცვალა და ვერ მოასწრო საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გეგმის ჩამოყალიბება. მისი სიკვდილის შედეგად ვიცე-პრეზიდენტი ჰარი ს. ტრუმენი, რომელიც რუზველტს ყველა გადაწყვეტლებებისგან ჩამოშორებული ჰყავდა, ბედმა უცებ ატყორცნა ამ როლში.

თავი 8

შეერთებული შტატები ამბივალენტური სუპერ-სახელმწიფო

ომის შემდგომი პერიოდის თორმეტივე პრეზიდენტი ენთუზიაზმით ირწმუნებოდა, რომ მსოფლიოში ამერიკის საგარეო პოლიტიკური როლი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. და ყველა მათგანი აქსიომად მიიჩნევდა ფაქტს, რომ შეერთებული შტატები უანგაროდ ესწრაფვის კონფლიქტების გადაჭრასა და ხალხთა თანასწორობას – ამოცანას, რომელიც წარმატებულად მიიჩნევა, როდესაც მშვიდობა და უნივერსალური ჰარმონია დამყარდება დედამიწაზე.

ორივე პოლიტიკური პარტიის ყველა პრეზიდენტი აცხადებდა, რომ ამერიკული პრინციპები მთელი მსოფლიოსთვის ვარგისია. ამ შეხედულების ალბათ ყველაზე მკაფიო (მაგრამ, არავითარ შემთხვევაში, უნიკალური) გამოხატულებაა 1961 წლის 20 იანვარს პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის საინაუგურაციო გამოსვლა: მან თავის ქვეყანას მოუწოდა „გადაიხადოს ნებისმიერი საფასური, გაუძლოს ყველანაირ სიმძიმესა და განსაცდელს, მოითმინოს ყველაფერი, დაეხმაროს ყველა მეგობარს და დაუპირისპირდეს ყველა მტერს, რათა უზრუნველყოს მშვიდობა და განამტკიცოს იგი“. კენედის არ დაუკონკრეტებია

საფრთხეები, მას არ დაუდგენია ამერიკელების ძალისხმევის პრიორიტეტები. მან ხაზგასმით უარყო ძალთა ტრადიციული ბალანსის განსხვავებულად შეფასების ყველა მცდელობა. კენედი მოუწოდებდა, დაესახათ „ახალი მიზანი" – „არა ძალთა ახალი წონასწორობა, არამედ ახალი სამართლის მსოფლიო". „კაცობრიობის საერთო მტრების წინააღმდეგ უნდა შეიქმნას დიდი და გლობალური ალიანსი". რასაც სხვა ქვეყნებში რიტორიკულ სიტყვაკაზმულობად მიიჩნევდნენ, ამერიკულ დისკურსში გლობალური ქმედების კონკრეტულ გეგმად დაისახა. პრეზიდენტ კენედის მკვლელობიდან ერთი თვის შემდეგ ლინდონ ჯონსონმა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის წინაშე სიტყვით გამოსვლისას დაადასტურა უპირობო გლობალური პასუხისმგებლობა:

> ცალკეული ადამიანი და ქვეყანა, რომელიც ელტვის მშვიდობას, რომელსაც სძულს ომი და მზად არის, ღირსეული ბრძოლა გამოუცხადოს შიმშილს, ავადმყოფობასა და სიღატაკეს, დაინახავს, რომ მხარს უმაგრებს ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც მასთან ერთად გაივლის ამ გზის თითოეულ მონაკვეთს.

ამ სიტყვებში არა მხოლოდ მსოფლიო წესრიგისადმი პასუხისმგებლობა გამოიხატება, არამედ რწმენაც, რომ ამერიკის ძალაუფლება აუცილებელია. ამერიკის პრეზიდენტებს შეეძლოთ თავიანთი მორალური უნივერსალიზმის კონსენსუსი მყარად დაეყრდნოთ ამერიკელი ხალხის მტკიცე ნებაზე და ყველგან ებრძოლათ თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. სწორედ ამ პრინციპული შეხედულებების წყალობით მიაღწია ამერიკამ, ცივი ომის დროს და მის შემდეგაც, განსაკუთრებულ მონაპოვარს. ამერიკა დაეხმარა ევროპას დანგრეული ეკონომიკის აღდგენაში; მან შექმნა ატლანტიკური ალიანსი და უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პარტნიორობის გლობალუ-

რი ქსელი. მან გადალახა კომუნისტური ჩინეთის იზოლაცია და სახალხო რესპუბლიკასთან თანამშრომლობის პოლიტიკას მისცა დასაბამი. მან შექმნა ღია მსოფლიო ვაჭრობის სისტემა, რომელიც იქცა პროდუქტიულობისა და კეთილდღეობის მამოძრავებელ ძალად და ამერიკა წარმოადგენდა (როგორც უკვე მთელი საუკუნის განმავლობაში) იმ დროის ყველა ტექნოლოგიური რევოლუციის ავანგარდს. ამერიკა ხელს უწყობდა პარტიციპატორულ სახელმწიფო წესრიგს როგორც მეგობარ, ისე მტრულად განწყობილ ქვეყნებში; ის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ახალი ჰუმანური პრინციპების ჩამოყალიბებაში და, 1945 წლის შემდეგ, ხუთ ომსა და კიდევ ბევრ სხვა კონფლიქტში დაღვარა ამერიკული სისხლი – მსოფლიოს ყველაზე შორეულ კუთხეებშიც კი – ამ ღირებულებების დასაცავად. ვერც ერთი სხვა ქვეყანა ვერ შეძლებდა ასეთი იდეალიზმით და რესურსით შეჭიდებოდა მსგავსი მასშტაბის გამოწვევებს, არავის არ გააჩნდა მათი წარმატებით გადაჭრის შესაძლებლობა. ამერიკული იდეალიზმი და განსაკუთრებულობა იქცა ახალი საერთაშორისო წესრიგის შენების მამოძრავებელ ძალად.

რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გასაოცარი თანხვედრა იყო ამერიკის ტრადიციებისა თუ ისტორიულ გამოცდილებასა და იმ მსოფლიოს შორის, რომლის თანადგომისთვისაც ისწრაფვოდა. პოლიტიკური ლიდერების თაობამ, რომელმაც თავის თავზე აიღო ომისშემდგომი წესრიგის შენება, ორი დიდი და მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინა: 1930-იან წლებში რეცესიის დაძლევა და აგრესიის დამარცხება 1940-იან წლებში. ორივე ამოცანამ მიგვიყვანა საბოლოო შედეგებამდე: ეკონომიკის სფეროში ეს იყო ეკონომიკის ზრდა და ახალი სოციალური კეთილდღეობის პროგრამა; ომში კი ეს იყო მტრების უპირობო კაპიტულაცია.

შეერთებული შტატები, ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც ომში, ფაქტობრივად, ზიანი არ მიყენებია, ომის შემდეგ

მსოფლიოს ნაციონალური პროდუქტის (GNP) დაახლოებით 60% აწარმოებდა. ამიტომ, შეეძლო, საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, თავად ჩამოეყალიბებინა თავისი, როგორც წამყვანი ქვეყნის როლი – ალიანსები იქმნებოდა კოლექტიური უსაფრთხოების უილსონისეული კონცეფციის მიხედვით; სახელმწიფო მმართველობა განიხილებოდა როგორც პროგრამა ეკონომიკური ძალების აღსადგენად და დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად. ცივ ომში ამერიკა გააქტიურდა იმ ქვეყნების დასაცავად, რომლებიც იზიარებდნენ ამერიკის შეხედულებას მსოფლიო წესრიგის შესახებ. საბჭოთა კავშირში, ანუ მოწინააღმდეგეში ხედავდნენ სისტემას, რომელიც ჩამოსცილდა საერთაშორისო თანამეგობრობას, მაგრამ ბოლოს მაინც იქ დაბრუნდებოდა.

მაგრამ ამ პოზიციის აღსრულებისას აშშ დაეჯახა მსოფლიო წესრიგის განსხვავებულ, ისტორიულად განპირობებულ თვალსაზრისს. კოლონიალიზმის დასრულების შედეგად ახალი ერები გამოჩნდნენ, თავიანთი განსხვავებული ისტორიული გამოცდილებითა და კულტურით. კომუნიზმი უფრო კომპლექსური გახდა და მისი გავლენა უფრო განსხვავებული. ჩამოყალიბდა ურთიერთსაპირისპირო სამხედრო დოქტრინები და ბევრი ქვეყნის მთავრობა სახელმწიფო და საერთაშორისო წესრიგის ამერიკულ წარმოდგენას ჯიუტი წინააღმდეგობით ხვდებოდა. რაც არ უნდა დიდი ყოფილიყო ამერიკის რესურსი, ნელ-ნელა მისი შესაძლებლობების საზღვრებიც გამოიკვეთა. საჭირო გახდა პრიორიტეტების დადგენა.

ახალ რეალობასთან შეჯახებამ გააჩინა კითხვა, რომელიც მანამდე არასოდეს დასმულა ამ ქვეყნის წინაშე: კერძოდ, არის თუ არა ამერიკის საგარეო პოლიტიკა პროექტი, მკაფიო დასაწყისით და შესაბამისად, დასასრულით და მოიტანს თუ არა იგი საბოლოო გამარჯვებას? თუ ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც განუწყვეტლივ მოითხოვს ახალ-ახალ გამონვევებ-

თან დაპირისპირებას და მთლიანობაში მხოლოდ უმნიშვნელო გავლენის მოხდენა შეუძლია მათზე? იკვეთება საგარეო პოლიტიკის საბოლოო მიზანი, თუ იგი პროცესია, რომელიც სრულყოფილად ვერასოდეს დასრულდება?

ამ კითხვებზე პასუხების ძიებისას – საბოლოო ჯამში, მსოფლიოში ამერიკის როლის განსაზღვრისას – ქვეყანამ ბევრი მწვავე კამათი და შიდა დაპირისპირება გადაიტანა. ეს იყო მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული იდეალიზმის აბსოლუტურად საპირისპირო მოვლენა. ამერიკა მსოფლიოში თავისი როლის განსაზღვრით თავისივე მორალურ უპირატესობას უწყობდა გამოცდას – საშინელ თვითგვემას ეძლეოდა, თუ ხელი ეცარებოდა, შედეგები კი ხშირად იყო ძირეული. მაგრამ რადგან ამერიკას მაინც ჰქონდა მოლოდინი, რომ მისი მონდომება წარმატებით დაგვირგვინდებოდა – კერძოდ, განხორციელდებოდა მშვიდობიანი, დემოკრატიული, წესებზე დაფუძნებული მსოფლიოს იდეა, როგორც ეს იწინასწარმეტყველა უილსონმა – ხშირად უჭირდა შეგუება აზრთან, რომ მისი საგარეო პოლიტიკა მხოლოდ პერმანენტული სამუშაო იყო, შეზღუდული მიზნებით. და რადგან ყველა პრეზიდენტი იმეორებდა, რომ ამერიკა უნივერსალურ *პრინციპებს* მისდევდა, სხვა ქვეყნები კი მხოლოდ თავიანთ ეროვნულ ინტერესებს, აშშ დღემდე ორ უკიდურეს რისკს ეთამაშება: ერთი მხრივ, ზედმეტი აქტივობის და მეორე მხრივ, იმედგაცრუებისა და უკანდახევის.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკა, მსოფლიო წესრიგის სიახლეთა ძიებაში, ხუთ ომში ჩაება, შორს მსწრაფი მიზნებით და თავიდან თითქმის უნივერსალური საჯარო მხარდაჭერით სარგებლობდა, მოგვიანებით კი საჯაროდ დაიგმო, რამაც თვით აშშ-შიც გამოიწვია ძალადობრივი დაპირისპირებები. ამ ომებიდან სამში პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ისტაბლიშმენტში გამეფებული კონსენსუსი უცბად გადაიხარა უპირობო, ცალმხრივი უკანდახევის მიმართულე-

ბით. ორი თაობის პერიოდში სამჯერ გამოეთიშა შეერთებული შტატები ომს, რადგან აღარ ჰქონდა იმედი, რომ ომი საკმარის ცვლილებებს გამოიწვევდა ან რადგან თავიდანვე მცდარი იყო მისი შეფასება: ეს მოხდა ვიეტნამში კონგრესის გადაწყვეტილების გამო და ერაყსა და ავღანეთში პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.

ცივ ომში გამარჯვებას თანდაყოლილი ამბივალენტურობა ახასიათებდა. მას შემდეგ ეძებს ამერიკა თავისი ძალისხმევის მორალურ გამართლებას – ძალისხმევისა, რომლის მასშტაბსაც ისტორიული პარალელები ალბათ არ მოეძებნება. შესაბამისად, მიზნები ან მიუღწეველი აღმოჩნდა, ან შეერთებულ შტატებს არ გააჩნდა სათანადო სტრატეგია დასახული მიზნების აღსასრულებლად. კრიტიკოსები წარუმატებლობას ამერიკელი ლიდერების მორალურ და ინტელექტუალურ სისუსტეს მიაწერენ. ისტორიკოსები ალბათ დაასკვნიან, რომ მიზეზი დაძაბულობის განმუხტვის უუნარობაა; დაძაბულობისა, რომელიც ძალადობასა და დიპლომატიას, რეალიზმსა და იდეალიზმს, ძალაუფლებას და ლეგიტიმურობას შორისაა და მთელ საზოგადოებას მოიცავს.

ცივი ომის დასაწყისი

ჰარი ს. ტრუმენის კარიერაში არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ის ერთ მშვენიერ დღეს პრეზიდენტი გახდებოდა და მით უმეტეს იმაზე, რომ მნიშვნელოვნად წასწევდა წინ მსოფლიო წესრიგის ისეთი სტრუქტურის შექმნას, რომელიც გაუძლებდა ცივ ომს და გავლენას მოახდენდა მის დამთავრებაზე. მაგრამ ეს კაცი, პირდაპირი გაგებით „საშუალო სტატისტიკური ამერიკელი", საბოლოოდ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი პრეზიდენტი აღმოჩნდა.

არცერთი მისი წინამორბედი არ მდგარა ამხელა ამოცანის წინაშე. ომი ისე დამთავრდა, რომ არცერთ დიდ სახელმწიფოს არ უცდია მსოფლიო წესრიგის ახლებური განმარტება, როგორც ეს მოხდა 1648 წელს ვესტფალიის ზავის დადებისას ან 1815 წელს ვენის კონგრესზე. ამდენად, ტრუმენის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა რეალობად ექცია რუზველტის წამონყება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციად წოდებული საერთაშორისო ორგანიზაცია აემუშავებინა. გაერთიანებული ერების ქარტიას 1945 წელს მოეწერა ხელი სან-ფრანცისკოში. მასში ერთმანეთს შეერწყა საერთაშორისო გადაწყვეტილებების მიღწევის ორი ფორმა. გენერალურ ასამბლეას უნდა გაეერთიანებინა ყველა წევრი სახელმწიფო და დაფუძნებოდა თანასწორუფლებიანი სახელმწიფოების დოქტრინას – „ერთი სახელმწიფო, ერთი ხმა". ამავდროულად, გაერთიანებულ ერებს გლობალური თანხმობით უნდა ეზრუნა კოლექტიურ უსაფრთხოებაზე. ეს თანხმობა კი უნდა შემდგარიყო მსოფლიოს უშიშროების საბჭოში, რომელსაც „მუდმივი წევრის" სტატუსით და ვეტოს უფლებით ქმნიდა ხუთი დიდი სახელმწიფო (შეერთებული შტატები, ბრიტანეთი, საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი და ჩინეთი). (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი საბჭოში მიიღეს როგორც მათი დიდი მიღწევების, ასევე მათი მაშინდელი რესურსების აღიარების საფუძველზე.) ამას ემატებოდა ცხრა არამუდმივი, ანუ ცვალებადი წევრების ჯგუფი. უშიშროების საბჭოს დაეკისრა „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების" შენარჩუნების განსაკუთრებული პასუხისმგებლობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი ამოცანის შესრულებას მხოლოდ მაშინ შეძლებდა, თუ მისი მუდმივი წევრები მსოფლიო წესრიგის ერთობლივ წარმოდგენას გაიზიარებდნენ. საკითხებში, რომლებშიც ისინი ვერ შეთანხმდებოდნენ, მსოფლიო ორგანიზაციას, შესაძლოა, დაპირისპირე-

ბული პოზიციები უფრო გაემყარებინა, ვიდრე მათი მორიგებისთვის შეეწყო ხელი. 1945 წლის ივლისსა და აგვისტოში მოკავშირეთა უმაღლესი დონის ბოლო შეხვედრაზე პოტსდამში – ტრუმენის, ჩერჩილისა და სტალინის მონაწილეობით – განისაზღვრა გერმანიის ოკუპაციის ზონები. (ჩერჩილმა კონფერენციის მიმდინარეობისას წააგო არჩევნები ქვედა პალატაში და იგი მისმა ადრინდელმა მოადგილემ, კლემენტ ეტლიმ შეცვალა). გარდა ამისა, ბერლინი ოთხი გამარჯვებული ძალის ერთობლივ ადმინისტრაციას დაუქვემდებარეს; შეთანხმება ითვალისწინებდა თავისუფალი შესვლის გარანტიას დასავლეთის ოკუპირებულ ზონებში აღმოსავლეთის საბჭოთა ოკუპირებული ზონიდანაც. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ეს იყო მოკავშირეთა უკანასკნელი მნიშვნელოვანი შეთანხმება.

შეთანხმებებზე მოლაპარაკებებისას, დასავლელი მოკავშირეები და საბჭოეთი მალე მიხვდნენ, რომ ჩიხში აღმოჩდნენ. საბჭოთა კავშირმა დაიჟინა აღმოსავლეთ ევროპაში ახალი საერთაშორისო, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის შექმნა, რომელიც დაეფუძნებოდა 1945 წელს სტალინის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპს: „ვინც ტერიტორიას დაიპყრობს, თავის საზოგადოებრივ სისტემას იქამდე დაამყარებს, სადამდეც ჯარი მიწვდება. სხვაგვარად შეუძლებელია“. ვესტფალიური პრინციპები სტალინს უკვე კარგა ხნის გაცვლილი ჰქონდა „ობიექტურ ფაქტორებზე“; ახლა ის მთელი აღმოსავლეთ ევროპისთვის მარქსისტულ-ლენინისტური სისტემის ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ პრინციპულ თავსმოხვევას ახორციელებდა.

პირველი უშუალო სამხედრო დაპირისპირება ადრინდელ მოკავშირეებს შორის ბერლინში, ყოფილი საერთო მტრის დედაქალაქში შესასვლელი გზების საკითხმა გამოიწვია. მას შემდეგ რაც სამმა დასავლურმა ძალამ 1948 წელს თავიანთ

საოკუპაციო ზონებში გაატარა ფულის რეფორმა, სტალინმა მათ ქმედებას ბერლინის შესასვლელი გზების ბლოკადით უპასუხა. ქალაქი ბლოკადის დამთავრებამდე მარაგდებოდა უმეტესად ამერიკელების საჰაერო ხიდით.

რას მიიჩნევდა სტალინი „ობიექტურ ფაქტორებად" , ჩემთვის ცხადი გახდა 1989 წელს, ანდრეი გრომიკოსთან საუბარში. გრომიკომ 28 წელიწადი იმსახურა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად; მიხაილ გორბაჩოვმა, ქვეყნის სათავეში მოსვლისას, იგი სახელმწიფოს პრეზიდენტის ძირითადად წარმომადგენლობით პოსტზე დაწინაურებით მოიშორა თავიდან. გრომიკოს ახალ თანამდებობაზე მეტი დრო მიეცა რუსეთის ისტორიაზე სასაუბროდ, დასამალიც აღარაფერი ჰქონდა, რადგან თავის მომავალზე აღარ ღელავდა. ვკითხე, როგორი რეაქცია ექნებოდა საბჭოთა კავშირს, ბერლინის ბლოკადაზე ამერიკელებს სამხედრო პასუხი რომ გაეცათ, თუ გავითვალისწინებთ, რამდენი მსხვერპლის გაღება მოგინიათ და როგორი დანგრეული იყო თქვენი ქვეყანა ომის შედეგად-მეთქი. გრომიკომ მიპასუხა, სტალინი ამ კითხვაზე თავის ქვეშევრდომს ასე უპასუხებდაო: მეეჭვება, ლოკალური ამბის გამო, შეერთებულმა შტატებმა ატომური იარაღი გამოიყენოს. თუ დასავლელი მოკავშირეები ბერლინის შესასვლელ გზებზე კონვენციურად მოინდომებენ შეჭრას, საბჭოთა ჯარი მისი, სტალინის განკარგულებას არ უნდა დაელოდოს და წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს. მაგრამ თუ ამერიკელები ფრონტის მთელ ხაზზე გამოიყვანენ ჯარს, მაშინ „ჩემთან მოდითო". სხვა სიტყვებით: ლოკალური კონფლიქტის მოსაგვარებლად სტალინი საკმარის ძალას ფლობდა; შეერთებულ შტატებთან დიდ ომს კი არ გარისკავდა.

ამ მომენტიდან ორი კბილებამდე შეიარაღებული სისტემა ედგა ერთმანეთს პირისპირ, კრიზისის გამომწვევი კონფლიქტი კი გადაუჭრელი იყო. ევროპა, მართალია, გათავისუფლდა

ნაციონალ-სოციალიზმისგან, მაგრამ ისევ იყო ახალი ჰეგემონიური ძალის გავლენის ქვეშ მოქცევის საფრთხეში. აზიაში სულ ცოტა ხნის წინ გათავისუფლებულმა ქვეყნებმა, თავიანთი მყიფე ინსტიტუციებით და ღრმა შიდა და ეთნიკური პრობლემებით, ავტონომია კი მოიპოვეს, მაგრამ ეჯახებოდნენ დოქტრინულ სისტემას, რომელიც დასავლეთს – მთლიანობაში, პლურალიზმს კი ნაციონალურ და ინტერნაციონალურ დონეზეც მტრულად უყურებდა.

ამ გზაგასაყარზე მიიღო ტრუმენმა სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომელიც ამერიკის ისტორიისა და საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებისთვის ფუნდამენტური აღმოჩნდა: მან ამერიკული „სოლო მოქმედების" ისტორიულ ცდუნებას წერტილი დაუსვა და თავის ქვეყანას ახალი, ხანგრძლივი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებაში თანამშრომლობა დააკისრა. ამ საკითხზე მან რამდენიმე გადამწყვეტი ინიციატივა წამოაყენა. 1947 წლის საბერძნეთ-თურქეთის პროგრამამ ჩაანაცვლა დიდი ბრიტანეთის დახმარების პროგრამა ხმელთაშუა ზღვის ამ ორი მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის – ბრიტანეთს დახმარების საშუალება აღარ ჰქონდა. მარშალის გეგმა 1948 წელს გადამწყვეტი აღმოჩნდა ევროპის აღდგენასა და ეკონომიკურ გაჯანსაღებაში. ხოლო 1949 წელს, ტრუმენის საგარეო საქმეთა მინისტრი, დინ აჩესონი ხელმძღვანელობდა ნატო-ს (ჩრდილო-ალანტიკური ალიანსის) დაარსების ცერემონიას. ნატო გახდა ამერიკის ინიცირებული საერთაშორისო წესრიგის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი.

ნატო იყო ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის დასაწყისი. საერთაშორისო წესრიგს ახლა უკვე აღარ ესვა დაღი ევროპულ ძალთა წონასწორობის ტრადიციული კონცეფციისა, რომელიც ბევრი ქვეყნის მუდმივად ცვალებად კოალიციებს ეყრდნობოდა. ნატო-მ მრავალთა შორის წონასწორობის ბირთვი ორ ატომურ სუპერ-სახელმწიფოს შორის წონასწორობით

ჩაანაცვლა. თუ ამ ორთაგან ერთ-ერთი გაქრებოდა ან ქმედითუუნარო გახდებოდა, წონასწორობა დაირღვეოდა და ჯერ კიდევ აქტიური სუპერსახელმწიფო დაწინაურდებოდა. ამ ორ მოვლენათაგან პირველი დადგა 1990 წელს, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი; მეორე კი იყო ცივი ომის მოკავშირეების მუდმივი შიში, რომ ამერიკა დაკარგავდა ევროპის დაცვის ინტერესს. ნატო-ს წევრმა სახელმწიფოებმა ჯარები კი გამოყვეს, მაგრამ ეს ნატო-ში შესასვლელ ბილეთს უფრო ნიშნავდა, ვიდრე რეგიონული თავდაცვის ინსტრუმენტს. შესაბამისად, ამერიკამ ტრუმენის ეპოქაში დააარსა გარკვეულწილად ტრადიციული ალიანსი, რომელიც მხოლოდ ცალმხრივ გარანტიას ეყრდნობოდა.

როდესაც სტრუქტურამ თავი დაიმკვიდრა, ისევ ამოყვინთა ძველმა ისტორიულმა დებატებმა ამერიკის საგარეო პოლიტიკის საბოლოო მიზნის შესახებ. ახალი ალიანსის მიზნები მორალური ხასიათის·უფრო იყო თუ სტრატეგიულისა? მონინააღმდეგესთან თანაარსებობას ცდილობდა თუ მის დაშლას? ამერიკას მონინააღმდეგის სისტემის ცვლილება ეწადა თუ მისი საფეხურეობრივი ევოლუცია? სისტემური ცვლილება მოითხოვდა მონინააღმდეგის მიერ ყოვლისმომცველი აქტით ან ისტორიული ჟესტით უარის თქმას საკუთარ წარსულზე. ევოლუცია კი თანდათანობითი პროცესია; იგი გულისხმობს მზაობას, რომ საბოლოო საგარეო პოლიტიკური მიზნებისკენ სვლა განხორციელდება არასრულყოფილი, პატარა ან დიდი ნაბიჯებით და პროცესის დასრულებამდე მონინააღმდეგე რეალობად აღიქმება. რომელ კურსს დაადგებოდა ამერიკა? ამერიკამ ამ საკითხის გადაჭრისას კიდევ ერთხელ გამოიჩინა ამბივალენტურობა და ორივე გზა ერთად აირჩია.

სტრატეგიები ცივი ომის წესრიგში

ცივი ომის დროს განსაკუთრებულად ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმა ჯორჯ კენანმა, მაშინ საგარეო უწყების შედარებით უცნობმა თანამშრომელმა შექმნა. კენანი თავის დროზე მოსკოვში ამერიკის საელჩოს მრჩეველი გახლდათ. საგარეო საქმეთა სამინისტროს არცერთ სხვა თანამშრომელს არ დაუსვამს ასეთი დაღი მსოფლიოში ამერიკის როლის შესახებ დებატებზე. მაშინ, როცა ვაშინგტონი ომისშემდგომ ეიფორიაში სტალინის კეთილი ნებით ტკბებოდა, კენანმა მოსალოდნელი დაპირისპირება უკვე განჭვრიტა. 1945 წელს იგი ერთ-ერთ კოლეგას პირად წერილში დაჟინებით აფრთხილებდა, რომ შეერთებულმა შტატებმა თვალი უნდა გაუსწოროს ფაქტს, რომ მისი მოკავშირე საბჭოთა კავშირი ომის დამთავრების შემდეგ მოწინააღმდეგედ შეიძლება იქცეს:

> ამგვარად იქმნება საფუძვლიანი კონფლიქტი ევროპის თავზე ძლიერი და დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების შენარჩუნების მოსურნე ატლანტიკურ საზღვაო ძალასა და ჩამორჩენილ ევროპულ ძალას შორის, რომელსაც მუდამ დასავლეთისკენ გაფართოება სწადია და ჰგონია, რომ მანამ არ უნდა გაჩერდეს, სანამ ატლანტის ოკეანეს არ მიაღწევს.

კენანი იძლეოდა სტრატეგიული რეაქციის მკაფიო რეკომენდაციას; კერძოდ, „ბოლომდე გავათამაშოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა კარტი“. იგი ასკვნიდა, რომ აღმოსავლეთ ევროპა ისევ მოსკოვის კონტროლის ქვეშ მოექცეოდა; აღმოსავლეთ ევროპაში უმთავრესი ძალა იქნება მოსკოვი; აღმოსავლეთ ევროპა რუსეთის ძალაუფლების ცენტრთან ისედაც უფრო ახლოსაა, ვიდრე ვაშინგტონთან, საბჭოთა ჯარები კი იქ პირველები შევიდნენ, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს ეს.

ამიტომ, შეერთებულმა შტატებმა დასავლეთ ევროპაში უნდა განიმტკიცოს გავლენის სფერო და დაიცვას ის – გამყოფი ხაზი კი გერმანიაზე უნდა გადიოდეს. ამერიკელებმა უნდა იზრუნონ, რომ მათი გავლენის სფეროს განუმტკიცდეს საკმარისი ძალა და უნარი გეოპოლიტიკური ბალანსის შესანარჩუნებლად.

ომისშემდგომი პერიოდის შედეგების ეს შორსმჭვრეტელური წინასწარმეტყველება კენანის კოლეგამ, ჩარლზ „ჩიპ" ბოლენმა გააბათილა უილსონის კონცეფციაზე დაყრდნობილი მიზეზებით, რადგან „ასეთ საგარეო პოლიტიკას დემოკრატია ვერ გაატარებს, მხოლოდ ტოტალიტარულ სახელმწიფოებს შეუძლიათ ასეთი პოლიტიკის დაგეგმვა და გატარება". ვაშინგტონმა, შესაძლებელია, აღიაროს ძალთა ბალანსის ფაქტი, მაგრამ არ გაითავისებს მას როგორც პოლიტიკას.

სტალინის დოქტრინული გამოსვლის შემდეგ, ვაშინგტონმა, 1946 წლის თებერვალში მოსკოვში ამერიკის საელჩოს ჰკითხა, ამ სიტყვით სტალინს ჰარმონიული საერთაშორისო წესრიგისთვის საბჭოთა ძალისხმევის შეცვლა ხომ არ გამოუცხადებიაო. კენანს, რომელიც უკვე ელჩის მოადგილე გამხდარიყო, ისეთი შესაძლებლობა მიეცა, რაზეც საგარეო უწყების მოხელეები შეიძლება მხოლოდ ოცნებობდნენ – ელჩის თანხმობის გარეშე წარედგინა თავისი მოსაზრებები პირდაპირ მაღალ დონეზე. კენანმა შეკითხვას ხუთნაწილიანი დეპეშით უპასუხა, იგი მოიცავდა 19 გვერდს, დაბეჭდილს მხოლოდ ერთი ინტერვალით. ეს ე.წ. „გრძელი დეპეშა" ძირითადად იმას ამბობდა, რომ მთელი ამერიკული დებატები საბჭოთა კავშირის განზრახვების შესახებ თავიდან უნდა გააზრებულიყო. საბჭოთა ლიდერები, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებს, კენანის აზრით, ორ არათავსებად მსოფლიო წესრიგს შორის შეჯიბრად განიხილავდნენ, თავადაც გრძნობენ „რუსეთის ტრადიციულ და ინსტინქტურ ეჭვებს", რომელიც

გლობალური მასშტაბის რევოლუციური დოქტრინით გადაფარეს. კრემლი საერთაშორისო საკითხების ყველა ასპექტს საბჭოთა დოქტრინის ჭრილში განიხილავს, რომლის მიხედვითაც „მსოფლიო მნიშვნელობის ორივე ცენტრი", როგორც მას უწოდებდა სტალინი, კერძოდ, კაპიტალიზმი და კომუნიზმი, უპირატესობის მოსაპოვებლად იბრძვის. ეს გლობალური შეჯიბრი გარდაუვალია და ბოლოს მხოლოდ ერთი გამარჯვებული დარჩება. საბჭოელები კი ამ ბრძოლისთვის მზად არიან.

შემდეგ წელს კენანმა, რომელიც, ამასობაში, სახელმწიფო დეპარტამენტში პოლიტიკის დაგეგმვის შტაბის უფროსი გამხდარიყო, ჟურნალში "Foreign Affairs" ანონიმურად გამოაქვეყნა სტატია. ზედაპირულად თუ შევხედავთ, სტატია იმავე არგუმენტებს შეიცავდა, რასაც მისი „გრძელი დეპეშა": საბჭოთა კავშირის ექსპანსიური ტენდენციები და მათი წნეხი დასავლეთზე რეალურია და სისტემისთვის ბუნებრივი, თუმცა, მისი „განელება" შესაძლებელია მუდმივად ცვალებად გეოგრაფიულ და პოლიტიკურ პუნქტებზე საპირისპირო წნეხის მარჯვე და ფრთხილი გამოყენებითო.

თეოდორ რუზველტს არ გაუჭირდებოდა ამ ანალიზზე ხელი მოეწერა, მაგრამ როდესაც კენანმა კონფლიქტის დამთავრების თავისი ხედვა ჩამოაყალიბა, ისევ უილსონის კონცეფციას დაუბრუნდა. კენანი ვარაუდობდა, რომ გარესამყაროსთან მოსკოვის უშიშარი დაპირისპირების რომელიმე მომენტში საბჭოთა ლიდერი აუცილებლად იგრძნობდა მოთხოვნილებას, ჩამოყალიბებული პარტიული აპარატის იქითაც გაეხედა და დამატებითი მხარდაჭერა მოეპოვებინა მოსახლეობის ფართო წრეებში. მაგრამ ხალხი, ამბობდა კენანი, მომწიფებული არ არის, გამოუცდელია, რადგან მათთვის არასოდეს მიუციათ პოლიტიკური შეხედულების დამოუკიდებლად ჩამოყალიბების ნებართვა. მაგრამ თუკი „პარტიის, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტის ერთობა და გავლენა" ოდნავ მაინც შეირყევა,

საბჭოთა რუსეთი ერთ დღეში გადაიქცევა ერთ-ერთი უძლიერესი საზოგადოებიდან ერთ-ერთ ყველაზე სუსტ და საცოდავ საზოგადოებად". ამ არსებითად სწორ წინასწარმეტყველებას უილსონის რწმენა ედო საფუძვლად, რომ პროცესის ბოლოს დემოკრატიული პრინციპები გაიმარჯვებს და ლეგიტიმურობა დაამარცხებს ძალაუფლებას.

ამ რწმენით ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა მინისტრი დინ აჩესონი – ბევრი მომდევნო მინისტრის (ჩემი ჩათვლით) სამაგალითო იდეალი. 1949-დან 1953 წლამდე იგი დიდ ყურადღებას უთმობდა, როგორც თვითონ უწოდებდა, ნატო-ს საშუალებით „სიძლიერის სიტუაციების" აგებას; აღმოსავლეთ-დასავლეთის დიპლომატიას ავტომატურად უნდა აესახა ძალთა წონასწორობა. აიზენჰაუერის პრეზიდენტობის დროს აჩესონის მომდევნო მინისტრმა, ჯონ ფოსტერ დალესმა ალიანსის პოლიტიკა გააფართოვა ორი ორგანიზაციის შექმნით – SEATO (Southeast Asia Traty Organization) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისთვის (1954) და „ბაღდადის პაქტი" ახლო აღმოსავლეთისთვის (1955). ამგვარი პოლიტიკის მიზანი იყო სამხედრო ალიანსების შექმნა საბჭოთა კავშირის მთელ პერიფერიაზე, ორივე კონტინენტზე, ამის შემდეგ მსოფლიო წესრიგი უნდა განესაზღვრა ორი ერთმანეთთან შეუთავსებელი, განსხვავებული სუპერ-სახელმწიფოს დაპირისპირებას, მაშინ, როცა ორივე სახელმწიფო თავისი გავლენის სფეროში საკუთარ საერთაშორისო წესრიგს ამყარებდა.

ორივე ნახსენები სახელმწიფო მდივანი ძალასა და დიპლომატიას ერთმანეთის მომდევნო სტადიებად განიხილავდა: ამერიკას ჯერ საკუთარი ძალის კონსოლიდირება და დემონსტრაცია სჭირდებოდა; შემდეგ საბჭოელები იძულებულნი იქნებოდნენ, შეეწყვიტათ პროვოკაციები და არაკომუნისტურ სამყაროსთან გონივრულად შეთანხმებულიყვნენ. მაგრამ თუ დიპლომატია სამხედრო ძალის პოზიციებს ემყარებოდა, მა-

შინ რატომ არ მიაჩნდათ საჭიროდ გამოეყენებინათ დიპლომატიური ურთიერთობები, მით უმეტეს, როცა ატლანტიკურ ურთიერთობებს აძლიერებდნენ? და როგორ უნდა ეჩვენებინათ მეორე მხარისთვის თავისუფალი მსოფლიოს სიძლიერე? სინამდვილეში ხომ ორმა ფაქტორმა განაპირობა ცივი ომის დაწყებისას დასავლეთის უალრესად ხელსაყრელი საწყისი მდგომარეობა, ძალთა რეალურ დამოკიდებულებაში – ამერიკის ბირთვულმა მონოპოლიამ და მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირისთვის მიყენებულმა კატასტროფულმა ზარალმა. უპირატესობას შექმნა არ სჭირდებოდა, იგი უკვე არსებობდა.

უინსტონ ჩერჩილმა 1948 წლის ოქტომბერში წარმოთქმულ სიტყვაში შემდეგნაირად დაახასიათა ვითარება – დასავლეთის პოზიცია მოლაპარაკებების პროცესში არასოდეს იქნება უფრო ხელსაყრელი, ვიდრე დღესაა. ამიტომ, მოლაპარაკებებზე უარი კი არ უნდა ვთქვათ, არამედ, პირიქით, ინტენსიურად შევუდგეთო:

> კითხვა ასე ისმის: თვითონაც თუ შექმნიან ატომურ ბომბს და თან დიდი რაოდენობით – რა მოხდება? ყველამ თავად შეაფასოს, იმის მიხედვით, რაც ახლა ხდება. ნედლ ხეს თუ ამას უბედავ, ხმელს რაღას უზამ? ... არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი არ დაიჯერებს, რომ დრო თავზესაყრელად გვაქვს. ახლა უნდა შევიმუშავოთ გადაწყვეტილება და დავდოთ საბოლოო ხელშეკრულება... ბევრად უფრო რეალისტურია, რომ დასავლეთის ქვეყნებმა უსისხლოდ მიაღწიონ ხანგრძლივ შეთანხმებას, თუ თავიანთ სამართლიან მოთხოვნებს მანამ ჩამოაყალიბებენ, სანამ რუს კომუნისტებსაც შეუქმნიათ ატომური იარაღი, რომელსაც ახლა მხოლოდ დასავლეთი ფლობს.

რასაკვირველია, ტრუმენი და აჩესონი რისკს უაღრესად აფასებდნენ და ამიტომ არ უნდოდათ მაღალ დონეზე მოლაპარაკებები, ეშინოდათ, რომ ამით მოკავშირეების ერთობას გამოაცლიდნენ საძირკველს. ბოლოს და ბოლოს, ჩერჩილი ოპოზიციის ლიდერი იყო და არა პრემიერ-მინისტრი, როდესაც დიპლომატიურ დაპირისპირებას სთავაზობდა მოკავშირეებს; პრემიერ-მინისტრი კლემენტ ეტლი და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი ერნესტ ბევინი კი აუცილებლად შეეწინააღმდეგებოდნენ გეგმას, რომელსაც, შესაძლოა, ომის საშიშროება გამოეწვია.

ამ კონტექსტში შეერთებულმა შტატებმა, საბჭოთა ექსპანსიონიზმის ჩასახშობად, იკისრა მსოფლიო მასშტაბის მისწრაფებების წინამძღოლობა, მაგრამ ის ამ საქმეს უპირველესად მორალურ და არა გეოპოლიტიკურ საკითხად მიიჩნევდა. მართალია, ორივე სფეროში არსებობდა საფუძვლიანი ინტერესები, მაგრამ მათი არტიკულაციის სტილმა გადაფარა სტრატეგიული პრიორიტეტების ჩამოყალიბების მცდელობა. თვით NSC-68-ც კი, თავდაპირველად საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც ძირითადად მძაფრი პოლიტიკის მომხრე პოლიტიკოსების მიერ იყო შექმნილი და ტრუმენის ეროვნული უშიშროების პოლიტიკას მიმოიხილავდა, ერიდებოდა ნაციონალური ინტერესის კონცეფციის ხსენებას და კონფლიქტს ტრადიციული მორალური კატეგორიებით (თითქმის ლირიკულად) ახასიათებდა. ეს იქნება ბრძოლა ორ ძალას შორის – „თავისუფლება სამართლებრივი სახელმწიფოს მთავრობის ქვეშ („არაჩვეულებრივი მრავალფეროვნების, ღრმა ტოლერანტულობის, თავისუფალი სამართლებრივი საზოგადოების... სადაც თითოეულ ადამიანს აქვს თავისი კრეატიული უნარების გამოვლენის საშუალება") და „კრემლის ბნელი ოლიგარქიის ქვეშ მონობას" შორის. შესაბამისად, ამერიკა, თავისი გადმოსახედიდან, ცივ ომს აღიქვამდა არა როგორც გეოპოლიტიკურ

ბრძოლას რუსეთის ძალაუფლების საზღვრების შესამცირებლად, არამედ როგორც მორალურ ჯვაროსნულ ომს, თავისუფალი მსოფლიოს შესაქმნელად.

აშშ-ს პოლიტიკის ძალისხმევა უნდა წარმოჩენილიყო კაცობრიობის საერთო ინტერესების ხელისშემწყობ და არა ეროვნული ინტერესების გატარების მცდელობად. ჯონ ფოსტერ დალესი – კრიზისების მართვის ჭკვიანი მენეჯერი და ამერიკული ძალაუფლების მუდმივი დამცველი, ამერიკის საგარეო პოლიტიკას ახასიათებდა მოხალისეთა გლობალურ სამსახურად, რომელსაც ამოძრავებდა ისტორიის განმავლობაში არსებული ყველა სახელმწიფოსგან განსხვავებული პრინციპები. იგი აღნიშნავდა, რომ შეერთებული შტატების ქმედება, მართალია, „ბევრისთვის ძნელად გასაგებია", მაგრამ „მართლაც... სხვა მოსაზრებებით ხელმძღვანელობს და არა ხანმოკლე მიზეზ-შედეგობრიობით". მისი თვალსაზრისით, ამერიკის გავლენამ გეოპოლიტიკური ბალანსი კი არ უნდა აღადგინოს, არამედ ეს კონცეფცია გადალახოს: „ამდენი საუკუნის განმავლობაში ერები მიჩვეულნი იყვნენ თავიანთი ინტერესების მიხედვით მოქმედებას და მეტოქეებისთვის ზიანის მიყენებას. ამიტომ იოლად არ შეეგუებიან ახალი ეპოქის დადგომას, სადაც ერები პრინციპების მიხედვით იმოქმედებენ".

აქედან გამომდინარე დასკვნა, რომ სხვა ერები „ეგოისტური ინტერესებით" მოქმედებენ, ამერიკა კი „თავის პრინციპებსა და მოწოდებას" მისდევს, ისეთივე ძველი იყო, როგორც თავად რესპუბლიკა. სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ გლობალური გეოპოლიტიკური დაპირისპირება – ბრძოლა, რომელშიც აშშ-მ წამყვანი როლი აიღო და არა მაყურებლის – უპირველესად მორალური ასპექტით მართლდებოდა და უარყოფილი იყო ამერიკის ეროვნული ინტერესი. უნივერსალური პასუხისმგებლობის მოწოდება აძლიერებდა ფაქტს, რომ ამერიკელებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ომის შემდგომ

დანგრეულის აღმშენებლობა და თან საბჭოთა ექსპანსიისთვის დაბრკოლებების შექმნა. მაგრამ როდესაც კომუნისტური სამყაროს პერიფერიაზე „ცხელი" ომის დრო დადგა, მალე გამოჩნდა, რომ ქვეყანას არ შეეძლო განუხრელად დაეცვა ეს კურსი.

კორეის ომი

კორეის ომი მკაფიო შედეგის გარეშე დამთავრდა. მაგრამ მის ირგვლივ დებატების დროს ჩადებულმა ნაღმებმა შეერთებული შტატები, ათი წლის შემდეგ, პირდაპირი გაგებით დააქუცმაცა.

კორეა 1945 წლამდე იაპონიის კოლონია იყო, რომელიც გამარჯვებულმა მოკავშირეებმა გაათავისუფლეს. კორეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი საბჭოთა კავშირმა დაიკავა, სამხრეთი კი შეერთებულმა შტატებმა. ორივე ოკუპანტმა თავის ზონაში მმართველობის საკუთარი ფორმა დაამკვიდრა, სანამ 1948/1949 წლებში ჯარებს გაიყვანდნენ. 1950 წლის ივნისში ჩრდილოეთ კორეის არმია სამხრეთ კორეაში შეიჭრა. ტრუმენის ადმინისტრაციამ ეს შემთხვევა შეაფასა როგორც საბჭოთა-ჩინური აგრესიის კლასიკური შემთხვევა, გერმანული და იაპონური ინტერვენციების მეორე მსოფლიო ომამდელი მოდელის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულმა შტატებმა წინა წლებში თავისი ჯარის რაოდენობა უაღრესად შეამცირა, ტრუმენმა წინააღმდეგობის გასაწევად გაბედული გადაწყვეტილება მიიღო, ძირითადად, იაპონიაში განლაგებული ამერიკული ჯარების გამოყენებით.

თანამედროვე კვლევებმა ცხადყო, რომ კომუნისტებს თავდასხმისას საკმაოდ კომპლექსური მოტივები ამოძრავებდათ.

როდესაც ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა, კიმ ირ სენმა 1950 წლის აპრილში სტალინისგან თავდასხმაზე თანხმობა მიიღო, ამ უკანასკნელმა იგი შეაგულიანა კიდეც. ორი წლით ადრე ტიტო გაემიჯნა საბჭოთა კავშირს, სტალინმა ტიტოს მაგალითზე ისწავლა, რომ პირველი თაობის კომუნისტი ლიდერები განსაკუთრებით რთული ჩასაბმელი იყვნენ სატელიტური ქვეყნების საბჭოთა სისტემაში, ყოველ შემთხვევაში, უფრო რთული, ვიდრე სტალინს რუსული ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ენდომებოდა. 1949 წლის ბოლოს მოსკოვში მაოს ვიზიტის შემდეგ – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებამდე სამი თვით ადრე – სტალინს აშფოთებდა ჩინეთის უკვე თვალშისაცემი პოტენციალი, მით უმეტეს, რომ ქვეყანას მართავდა კაცი, რომელიც დაუბრკოლებლად მიიწევდა წინ. სტალინის გათვლით, სამხრეთ კორეის ინვაზიის გზით ჩინეთის სასაზღვრო კონფლიქტში ჩართვა ამერიკელებს ყურადღებას გადაატანინებდა ევროპიდან აზიისკენ. გარდა ამისა, ეს მოვლენა აუცილებლად გამოიწვევდა ამერიკის რესურსების ნაწილის დახარჯვასაც. თუ ფხენიანი საბჭოთა კავშირის დახმარებით წარმატებით განახორციელებდა გაერთიანების პროექტს, საბჭოთა კავშირი კორეაში დაწინაურებულ პოზიციას მიიღებდა. კორეასა და ჩინეთს შორის ტრადიციული ისტორიული უნდობლობის გამო, იქნებ ამ გზით შექმნილიყო აზიაში საბჭოეთის საპირისპირო ძალა ჩინეთთან მიმართებით. მაო ნამდვილად ემორჩილებოდა სტალინის ლიდერობას – სტალინის პოზიცია მას კიმ ირ სენმა, სავარაუდოდ, უაღრესად გადაჭარბებულად დაუხატა – მაგრამ ზუსტად საპირისპირო მიზნით: მაოს, თავის მხრივ, ეშინოდა საბჭოთა კავშირის ალყაში არ მოქცეულიყო, რადგან რუსეთს საუკუნეების განმავლობაში სულ უჩნდებოდა ტერიტორიების მოპოვების ინტერესი კორეის ნახევარკუნძულზე. ახლაც აშკარა იყო ინტერესი – სტალინი ჩინურ-საბჭოთა ალიანსისთვის

ითხოვდა საფასურს – კორეას იდეოლოგიურად საბჭოთა მოდელი უნდა მიეღო.

ერთხელ, ერთმა ცნობილმა ჩინელმა პოლიტიკოსმა მიამბო, მაოს ერთადერთი სტრატეგიული შეცდომა ის იყო, რომ სტალინმა კორეის ომში ჩაითრიაო. ამ ომმა კი ჩინეთის გაერთიანება ერთი საუკუნით გააჭიანურა, რადგან შედეგად ამერიკამ ტაივანის უსაფრთხოების გარანტიები თავის თავზე აიღოო. როგორც არ უნდა ყოფილიყო, კორეის ომის დაწყება, ამერიკის წინააღმდეგ ჩინეთ-საბჭოთა შეთქმულებაზე მეტად, იყო შედეგი სამკუთხა მანევრისა, რომლის ამოცანას წარმოადგენდა საერთაშორისო კომუნისტურ წესრიგში პირველობის მოპოვება; ამავე დროს, კიმ ირ სენი სულ უფრო მეტ ძალას ახმარდა კონფლიქტს, რომ თავისი საოკუპაციო პროგრამისთვის მეტი მხარდაჭერა მოეპოვებინა; მისმა გლობალურმა შედეგმა კი ბოლოს კონფლიქტის ყველა ძირითადი მონაწილე გააოცა.

კომუნისტური სამყაროს საკმაოდ რთულ სტრატეგიულ ხედვას ამერიკამ მსგავსი ვერაფერი დაუპირისპირა. ამერიკა, უპირველესად, იბრძოდა პრინციპისთვის, კერძოდ შეიარაღებული აგრესიის მოსაგერიებლად, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საშუალებით მისი განხორციელებისთვის. ამერიკამ შეძლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანხმობის მოპოვება, რადგან გაეროში საბჭოთა ელჩი უშიშროების საბჭოს გადამწყვეტ სხდომას არ ესწრებოდა და საბჭოთა კავშირმა ვეტოს უფლება ვერ გამოიყენა. სხდომაზე მისი არყოფნის მიზეზი ის იყო, რომ კომუნისტური ჩინეთის გაეროში არმიღების გამო, საბჭოთა კავშირი უშიშროების საბჭოს სხდომებს ბოიკოტს უცხადებდა. ნაკლებად ცნობილია, რა იგულისხმებოდა „აგრესიის მოგერიების" ფორმულირებაში. იგულისხმებოდა ტოტალური გამარჯვება? და თუ არა, მაშინ რა? მოკლედ, რა იყო ომის კონკრეტული მიზანი?

როგორც შემდეგ გამოიკვეთა, გამოცდილებამ კიდევ ერთხელ გააბათილა თეორია. გენერალი დუგლას მაკართური 1950 წლის სექტემბერში მოულოდნელად დაეშვა ინჩეონში და ხაფანგში მოიქცია ჩრდილოეთ კორეის სამხრეთ ნაწილში განლაგებული არმია. მაკართურმა მას გადამწყვეტი მარცხი აწვნევინა. უნდა გადაეჭრა აშშ-ს ძლევამოსილ არმიას 38-ე განედზე მდებარე გამყოფი ხაზი, გადასულიყო ჩრდილოეთ კორეაში და გაეერთიანებინა კორეა? ასეთი ქმედებით ამერიკა უარყოფდა კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპის სიტყვა-სიტყვით ინტერპრეტაციას, რადგან, ხალხთაშორისი სამართლის მიხედვით, მიზანი თავდასხმის მოგერიება იყო – რაც უკვე მიღწეულად მიიჩნეოდა. მაგრამ რა გაკვეთილის გამოტანა შეიძლება გეოპოლიტიკური გადმოსახედიდან? თუ აგრესორის ერთადერთი სასჯელი არის სტატუს კვო ანტე და მეტი არაფრის უნდა ეშინოდეს, მაშინ ხომ ალბათ ასეთ მცდელობას ნებისმიერ დროს გაიმეორებს?

თავისთავად, ბევრი ვარიანტი არსებობდა. მაგალითად, შეიძლებოდა შეჭრა შეეჩერებინათ ნახევარკუნძულის ყველაზე ვიწრო ადგილას, ფხენიანსა და ვონსანს შორის ხაზზე, დაახლოებით 150 მილში ჩინეთის საზღვრიდან. ამგვარად, შეიძლებოდა გაენადგურებინათ ჩრდილოეთ კორეის შეიარაღების ინდუსტრიული პოტენციალი და მოსახლეობის ცხრა მეათედი ისე ჩაერთოთ გაერთიანებულ კორეაში, რომ საერთოდ არ მიახლოებოდნენ ჩინეთის საზღვარს.

დღეს ვიცით, რომ ჩინეთი მანამ ემზადებოდა ინტერვენციისთვის, სანამ ამერიკელები დააზუსტებდნენ, სად უნდა შეჩერებულიყო მათი სვლა. ჯერ კიდევ 1950 წლის ივლისში განალაგა ჩინეთმა კორეის საზღვართან 250 ათასიანი ჯარი. აგვისტოში ჩინეთის წამყვანი სტრატეგები ამოდიოდნენ მოსაზრებიდან, რომ ამ დროისთვის ჯერ კიდევ წინ მსწრაფი ჩრდილოკორეელი მოკავშირეები ჩამოიშლებოდნენ, როგორც

კი მათზე ძლიერი ამერიკული ჯარი, მთელი შემადგენლობით, მიადგებოდა ომის ველს. (ჩინელებმა მაკართურის მოულოდნელი დაშვებაც კი სნორად გამოითვალეს). უკვე 4 აგვისტოს, როდესაც ომის ხაზი ჯერ კიდევ ღრმა სამხრეთ კორეაში, ე. წ. პუსანის პერიმეტრზე გადიოდა, მაომ პოლიტბიუროს განუცხადა: „ამერიკელი იმპერიალისტები თუ გაიმარჯვებენ, წარმატება დაათრობთ და ჩვენც შემოგვიტევენ. კორეას უნდა დავეხმაროთ, მას უნდა დავუჭიროთ მხარი. დახმარება შეიძლება გამოიხატოს მოხალისეთა არმიაში, ჩვენ შევარჩევთ ბრძოლაში ჩართვის სათანადო დროს, თუმცა მზადება ახლავე უნდა დავიწყოთ". მაგრამ ზოუ ენლაის მაომ უთხრა, რომ თუ შეერთებული შტატები ფხენიან-ვონსანის ხაზზე შეჩერდებოდნენ, ჩინეთის შეიარაღებული ძალები მაშინვე არ ჩაერთვებოდნენ ბრძოლაში და პაუზას გამალებული წვრთნისთვის გამოიყენებდნენ. ახლა მხოლოდ თუ წარმოვიდგენთ, რა მოხდებოდა ასეთი პაუზის დროს ან მის შემდეგ.

მაგრამ ამერიკულ შეიარაღებულ ძალებს პაუზა არ ჰქონიათ: ვაშინგტონმა მაკართურს დართო 38-ე განედის გადაკვეთის უფლება და მისთვის, ჩინეთს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა საზღვარი არ დაუწესებია.

მაოს ამერიკელების ჩინეთის საზღვრამდე წაწევა უფრო აღელვებდა, ვიდრე კორეის ბედი. ტრუმენმა კორეის ომის დაწყებისას მეშვიდე ფლოტი ტაივანის სრუტეში განალაგა, რომ ერთმანეთისგან დაეცვა ჩინეთის სამოქალაქო ომში დაპირისპირებული ორივე მხარე და, ამავდროულად, თვალსაჩინო გაეხადა ამერიკელთა ღვაწლი აზიაში მშვიდობის დამყარების საქმეში. ეს მოხდა ცხრა თვით ოდნავ ადრე, სანამ მაო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას გამოაცხადებდა. თუ კორეის ომის საბოლოო შედეგი უნდა ყოფილიყო უმეტესწილად ამერიკული ჯარის განლაგება ჩინეთის საზღვრის გასწვრივ და ამერიკის ფლოტი კი იმოძრავებდა ტაივანსა და კონტინენტს

შორის, დამტკიცდებოდა ისიც, რომ ჩრდილოეთ კორეის შეჭრა სამხრეთ კორეაში სტრატეგიულ კატასტროფას ნიშნავდა.

მსოფლიო წესრიგის ორი განსხვავებული კონცეფციის შეჯახებისას ამერიკა ცდილობდა სტატუს კვოს შენარჩუნებას, მისდევდა რა ვესტფალიურ და სამართლის საერთაშორისო პრინციპებს. მაგრამ არაფერი ისე არ ეწინააღმდეგებოდა მაოს აღქმას მისი რევოლუციური მისიის შესახებ, ვიდრე სტატუს კვოს შენარჩუნება. ჩინეთის ისტორიიდან მას ახსოვდა ბევრი მაგალითი, როდესაც კორეა გამოიყენეს ჩინეთის ინვაზიის მარშრუტად. მისი სტრატეგიული ალღო ყოველთვის ეყრდნობოდა მოსაზრებას, რომ სამოქალაქო ომები ან გამარჯვებით მთავრდება. და ან მარცხით, მაგრამ არასოდეს პატური (ჩიხური) მდგომარეობით. გარდა ამისა, მაო დარწმუნებული იყო, რომ როგორც კი ამერიკელები დაიკავებდნენ ჩინეთსა და კორეას შორის სასაზღვრო მდინარე იალუძიანს, შემდეგ ნაბიჯს ჩინეთის ალყაში მოსაქცევად და ვიეტნამში შესასვლელად გადადგამდნენ. (ეს იყო ოთხი წლით ადრე, სანამ ამერიკა მართლაც შევიდოდა ინდოჩინეთში). ეს ანალიზი ზოუ ენლაიმაც წარუდგინა 1950 წლის 26 აგვისტოს სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სამხედრო კომისიას; მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორეას ჩინეთის სტრატეგიულ დაგეგმარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კორეა „მართლაც არის მსოფლიოს ყველა ბრძოლის ფოკუსში... თუ შეერთებული შტატები კორეას დაიკავებს, აუცილებლად მიადგება ვიეტნამს და სხვა კოლონიურ ქვეყნებს. ამიტომ, კორეის პრობლემა უდავოდ არის, სულ ცოტა, აზიის გასაღები".

ამ მოსაზრებებმა აიძულა მაო კიდევ ერთხელ მიემართა სტრატეგისთვის, რომელიც ჩინეთის ლიდერებმა ჯერ კიდევ 1593 წელს გამოიყენეს ტოიოტომი ჰიდეიოსის წინამძღოლობით განხორციელებული იაპონური ინვაზიის წინააღმდეგ. სუპერ-სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი მეტად სარისკო იყო;

სულ ცოტა, ორმა ჩინელმა ფელდმარშალმა განაცხადა უარი ეხელმძღვანელათ დანაყოფებისთვის, რომელთაც დაეკისრა ამერიკის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ მაომ დაიჭინა შეტევა და ჩინეთის მოულოდნელმა თავდასხმამ ამერიკის შეიარაღებული ძალები სასაზღვრო მდინარე იალუძიანიდან განდევნა.

მაგრამ ჩინეთის ინტერვენციის შემდეგ ისმოდა კითხვა, აწი რა უნდა ყოფილიყო ომის მიზანი და როგორ განისაზღვრებოდა სტრატეგია? ამ კითხვებმა ამერიკაში ცხარე დებატები გამოიწვია, უკვე იკვეთებოდა, როგორი მწვავე დისკუსია მოყვებოდა მომავალში ამერიკის ომებს. (განსხვავება ის იყო, რომ კორეის ომის კრიტიკოსები, განსხვავებით ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეებისგან, ტრუმენის ადმინისტრაციას ადანაშაულებდნენ არასაკმარისი ჯარის გამოყენების გამო; მათ გამარჯვება ეწადათ და არა უკანდახევა.)

საჯარო დაპირისპირება შედგა უმაღლეს მთავარსარდალ გენერალ დუგლას მაკართურსა და ტრუმენის ადმინისტრაციას შორის; გაერთიანებული გენერალური შტაბის თავმჯდომარეც მთავრობის მხარეს იყო. მაკართური ამერიკის ყველა სამხედრო ოპერაციისთვის დამახასიათებელი ტრადიციული არგუმენტებით გამოდიოდა: ომის მიზანი გამარჯვებაა, რომელიც ყველა გზით უნდა მოვიპოვოთ, ამ შემთხვევაში კი ეს ნიშნავს ჩინეთზე საჰაერო თავდასხმას. ჩიხური მდგომარეობა სტრატეგიული მარცხია. უნდა დავუპირისპირდეთ კომუნისტურ აგრესიას, სადაც არ უნდა გამომჟღავნდეს იგი, ამჯერად კი ეს ხდება აზიაში. ამერიკის შეიარაღებული ძალები საჭირო მოცულობით უნდა ჩავრთოთ ბრძოლაში და არ უნდა ვამყოფოთ რეზერვში სამშე შორეულ რეგიონში ჰიპოთეტური შემთხვევების მოლოდინში – შორეულ რეგიონში დასავლეთ ევროპა იგულისხმებოდა.

ტრუმენის ადმინისტრაციამ მას ორგვარად უპასუხა. ერთი მხრივ, ამერიკის სამხედრო ძალაზე სამოქალაქო კონტროლის დემონსტრაციის გზით: 1951 წლის 11 აპრილს პრეზიდენტმა ტრუმენმა მაკართურს ჩამოართვა ყველა უფლებამოსილება, რადგან გენერლის განცხადებები არ შეესაბამებოდა მთავრობის პოლიტიკას. მეორე მხრივ, ტრუმენმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა თავშეკავების კონცეფცია: მთავარი საფრთხე მომდინარეობს საბჭოთა კავშირისგან, რომლის სტრატეგიულ მიზანს ევროპაში ჰეგემონია წარმოადგენს. ამიტომ, რეკომენდირებული არ არის კორეის ომის სამხედრო გზით გაგრძელება და, მით უფრო, ომი ჩინეთის მიმართულებით გაფართოვდესო. გაერთიანებული გენერალური შტაბის უფროსის, გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთ-ერთი წამყვანი სარდლის, გენერალ ომარ ბრედლის სიტყვების მიხედვით, ეს იქნება „არასწორი ომი, არასწორ ადგილას, არასწორ დროს და არასწორ მტერთან".

რამდენიმე თვის შემდეგ, 1951 წლის ივნისში, ომი 38-ე განედის გაყოლებაზე მიმდინარეობდა, ანუ იქ, სადაც ომი დაიწყო, ზუსტად ისე, როგორც ნახევარი ათასწლეულის წინათ. ჩინელებმა ამერიკას მოლაპარაკებები შესთავაზეს. შეერთებული შტატები შეთავაზებას დასთანხმდა. ორი წლის თავზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც, რამდენიმე ინტენსიურ, მაგრამ ხანმოკლე წყვეტას თუ არ ჩავთვლით, უკვე სამოც წელზე მეტია, დაცულია.

მოლაპარაკებებისას, ისევე, როგორც ომის მიზეზების შემთხვევაში, ორი სტრატეგიული თვალსაზრისი შეეჯახა ერთმანეთს. ტრუმენის ადმინისტრაციამ გამოხატა ამერიკის პოზიცია ძალაუფლებისა და ლეგიტიმურობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მისი განსაზღვრით, ომი და მშვიდობა პოლიტიკის მკვეთრად განსხვავებული ფაზებია. თუ მოლაპარაკებები დაიწყება, უნდა შეწყდეს ძალის გამოყენება და გზა

დაეთმოს დიპლომატიას. ამ შეხედულებების მიხედვით, ყველანაირი ქმედება თავისი წესით უნდა წარიმართოს. ძალის გამოყენება საჭიროა მოლაპარაკებების პროცესის მისაღწევად, მაგრამ შემდეგ ერთბაშად უნდა შეწყდეს. მოლაპარაკებების შედეგი დამოკიდებული იქნება კეთილმოსურნე გარემოზე, რომელიც, სამხედრო ზეწოლის შემთხვევაში, დაირღვევა. ამ სულისკვეთებით უბრძანეს ამერიკის შეიარაღებულ ძალებს, მოლაპარაკებების დროს შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ თავდაცვითი ღონისძიებებით და თავის მხრივ არ წამოეწყოთ ფართომასშტაბიანი შეტევითი მანევრები.

ჩინეთის პოზიცია აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა ამერიკისას. ომი და მშვიდობა მედლის ორ მხარედ განიხილებოდა, მოლაპარაკებები კი საომარი ველის გაგრძელებად. ჩინეთის ძველი სტრატეგის, სუნ ძის ნაშრომის, „ომის ხელოვნების" შესაბამისად, ჩინელებისთვის ბრძოლა არსებითად ფსიქოლოგიური ხასიათისაა: მთავარია მტრის სტრატეგიის გაუვნებელყოფა და გამარჯვების იმედის ჩახშობა. მტრის მხრიდან დეესკალაცია მისი სისუსტის მაჩვენებელია და სამხედრო უპირატესობის მოსაპოვებლად უნდა იქნეს გამოყენებული. კომუნისტური მხარე პატის მდგომარეობას იყენებდა ამერიკული საზოგადოების იმედგაცრუების გასაძლიერებლად. და მართლაც, ამერიკამ მოლაპარაკებების დროს თითქმის ისეთივე დანაკარგი განიცადა, როგორც მთელი შეტევითი ფაზის განმავლობაში.

საბოლოოდ, ორივე მხარემ მიაღწია მიზანს: ამერიკამ მოახერხა თავშეკავების დოქტრინის წარმატებით გატარება და მოკავშირის ტერიტორიული ინტეგრაციის შენარჩუნება – ეს ქვეყანა აზიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ჩინეთმა კი დაამტკიცა საკუთარი სასაზღვრო ზონების დაცვის მტკიცე გადაწყვეტილება და დაუფარავად გამოხატა იმ ინტერნაციონალური წესების მიმართ უარყო-

ფითი დამოკიდებულება, რომელთა ჩამოყალიბებაში თვითონ მონაწილეობა არ მიუღია. ომის შედეგი იყო ფრე. მაგრამ ამ შედეგმა ამერიკის პოტენციური მოწყვლადობა გამოააშკარავა, რადგან აჩვენა ხარვეზები სტრატეგიისა და დიპლომატიის, ძალაუფლებისა და ლეგიტიმურობის ერთმანეთთან დაკავშირების და ულტიმატიური მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარში. საბოლოოდ, კორეის ომმა საუკუნის გამყოფი ხაზი გამოკვეთა. ეს იყო პირველი ომი, სადაც ამერიკამ გაახმაურა უარი გამარჯვებაზე, როგორც ომის საბოლოო შედეგზე. ამდენად, ამ ომის დასასრულმა უკვე ცხადყო, თუ რა მოხდებოდა მომავალში.

საბჭოთა კავშირს კი, როგორც გაირკვა, ამ ომში ყველაზე მეტი დანაკარგი ჰქონდა. მან ჩრდილოეთ კორეის თავდაპირველ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა და მოკავშირეების მომარაგებაში მიიღო მონაწილეობა. მაგრამ სამაგიეროდ, მათი ნდობა დაკარგა. ჩინეთ-საბჭოეთის განხეთქილების მარცვალი კორეის ომში დაითესა, რადგან საბჭოელებმა დახმარების სანაცვლოდ საფასური მოითხოვეს, სამხედრო დახმარებაზე კი უარი თქვეს. ამერიკაში ომმა სწრაფი და უზარმაზარი შეიარაღება გამოიწვია, რითიც დასავლეთ ევროპასთან შედარებით გაუწონასწორებელი მდგომარეობა დამყარდა; გადაიდგა დიდი ნაბიჯი ამერიკის თავშეკავების დოქტრინის საფუძველზე დამყარებული ძლიერებისკენ.

ორივე მხარეს მოუწია დანაკარგებთან შეგუება. ზოგიერთი ჩინელი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ჩინეთმა ხელიდან გაუშვა ტაივანის კონტინენტურ ჩინეთთან გაერთიანების შესაძლებლობა და ამის მაგივრად არასანდო მოკავშირე არჩია. შეერთებულმა შტატებმა დაკარგა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩენილი უძლეველობის აურა, და, გარკვეული თვალსაზრისით, ორიენტაციაც. სხვა აზიელმა რევოლუციონერებმა კორეის ომით ისწავლეს, რომ შესაძლებელია ამერიკის ჩათრე-

ვა გაწელილ ომში, სანამ ამოიწურება ამერიკული საზოგადოების მზაობა, მხარი დაუჭიროს ომს. სტრატეგიისა და საერთაშორისო წესრიგის შესახებ ამერიკულ აზროვნებას გაუჩნდა ბზარი, რომელიც ერს მომავალში, ვიეტნამის ჯუნგლებში, გახლეჩას უქადდა.

ვიეტნამი და ეროვნული კონსენსუსის ჩამოშლა

მიუხედავად კორეის ომის სირთულეებისა, უილსონის პრინციპებისა და რუზველტის გეოსტრატეგიის ნაზავმა ცივი ომის პირველ თხუთმეტ წელიწადს განსაკუთრებული საგარეო პოლიტიკური დინამიკა შესძინა. და მიუხედავად ქვეყნის შიგნით დაწყებული ცხარე დებატებისა, დინამიკა საკმარისი აღმოჩნდა 1948-1949 წლებში საბჭოთა ულტიმატუმის შედეგად ბერლინის ყველა შესასვლელი გზის ჩაკეტვის გამო, ამერიკის მიერ საჰაერო ხიდის განსახორციელებლად, კორეის ომის გადასატანად და ბოლოს, 1962 წელს საბჭოთა კავშირის მიერ კუბაზე საშუალო მანძილის ბირთვული ბალისტიკური რაკეტების განლაგების მცდელობის წარმატებით მოსაგერიებლად. ამ მოვლენებს 1963 წელს მოჰყვა საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულება ატმოსფეროში ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ; ბირთვული იარაღი იქცა სუპერ-სახელმწიფოების აუცილებელ სიმბოლოდ – იგი განსაზღვრავდა დისკუსიას კაცობრიობის განადგურების უნარის შეზღუდვის შესახებ. თავშეკავების პოლიტიკა მთლიანობაში კონგრესის ორივე პარტიის კონსენსუსის შედეგი იყო. პოლიტიკასა და ინტელექტუალურ წრეებს შორის ურთიერთობები პროფესიონალურად მიმდინარეობდა; ორივე მხარე ეყრდნობოდა საერთო გრძელვადიანი მიზნების არსებობას.

მაგრამ დაახლოებით მაშინ, როდესაც მოკლეს პრეზიდენტი ჯონ ფ. კენედი, ნაციონალურ კონსენსუსს ბზარები გაუჩნდა. მიზეზი, ნაწილობრივ, გახლდათ შოკი, გამოწვეული თავდასხმით ახალგაზრდა პრეზიდენტზე, რომელიც ამერიკას საკუთარი იდეალისტური ღირებულებითი წარმოდგენების განხორციელებისკენ მოუწოდებდა. მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელი კომუნისტი იყო, რომელიც ერთ დროს საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა, დიდმა დანაკარგმა ახალგაზრდა თაობაში ბევრს გაუჩინა კითხვა ამერიკულ ქმედებათა მორალური გამართლების შესახებ.

ცივი ომი დაიწყო მოწოდებით, მთელ მსოფლიოში დაეჭირათ მხარი დემოკრატიისა და თავისუფლების გავრცელებისთვის; ეს პოსტულატი კენედიმ თავის საინაუგურაციო სიტყვაში კიდევ უფრო გააძლიერა. მაგრამ, დროთა განმავლობაში, სამხედრო დოქტრინები, რომლებიც თავშეკავების პოლიტიკას განამტკიცებდა, მოსახლეობაში უარყოფითად აღიქმებოდა. იარაღის გამანადგურებელ ძალასა და მისი სავარაუდო გამოყენების ამაღლებულ მიზნებს შორის უფსკრული გადაულახავი აღმოჩნდა. სამხედრო ბირთვული ტექნოლოგიების შეზღუდული გამოყენების ყველა თეორია განუხორციელებელი ჩანდა. გაბატონებული სტრატეგია ემყარებოდა უნარს, მოწინააღმდეგისთვის მიგეყენებინა ურიცხვი რაოდენობის სამოქალაქო მსხვერპლი; თუმცა, ვარაუდობდნენ, რომ მსხვერპლი ორივე მხარეს იქნებოდა და რომ მათი რაოდენობა რამდენიმე დღის განმავლობაში ათეულობით მილიონამდე გაიზრდებოდა. ამ სავარაუდო გაანგარიშებით აღიარებული პოლიტიკოსების თავდაჯერებულობა ცხრებოდა, მაგრამ ლიდერების მიმართ საზოგადოების ნდობაც მცირდებოდა.

გარდა ამისა, თავშეკავების პოლიტიკა, მიადგა რა აზიის განაპირა ზონებს, შეეჯახა პირობებს, რომლებიც აბსოლუტურად განსხვავდებოდა ევროპულისაგან. მარშალის გეგმა

და ნატო წარმატებული აღმოჩნდა, რადგან სახელმწიფოთა-შორისი ნესრიგის საფუძვლები ევროპაში შერყეული, მაგრამ საერთო ჯამში მაინც შენარჩუნებული იყო. ეკონომიკური აღმავლობა პოლიტიკურ ენთუზიაზმსაც აუცილებლად აღად-გენდა. მაგრამ განუვითარებელი მსოფლიოს დიდ ნაწილში პოლიტიკური ჩარჩო-პირობები ჯერ კიდევ მყიფე ან ახალი და გამოსაცდელი იყო, ეკონომიკური დახმარება კი იმდენივე კორუფციას ბადებდა, რამდენ სტაბილურობასაც.

დილემები გამწვავდა ვიეტნამის ომში. ტრუმენმა 1951 წელს სამოქალაქო მრჩევლები გაგზავნა სამხრეთ ვიეტნამში, პარტიზანულ ომში ქვეყნის დასახმარებლად; აიზენჰაუერმა 1954 წელს სამხედრო მრჩევლები მიავლინა; კენედიმ 1962 წელს მეომარი ჯარი გაუშვა, როგორც დამხმარე ძალები; ჯონსონმა 1965 წელს საექსპედიციო კორპუსი დაამატა, რომე-ლიც ბოლოს ნახევარ მილიონზე მეტი ჯარისკაცით გააძლიე-რა. კენედის ადმინისტრაციას ცოტაღა დააკლდა და ომში ჩაერთვებოდა, ჯონსონის ადმინისტრაციამ კი ომი საკუთარ პროექტად გამოაცხადა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამის თავდასხმა სამხრეთ ვიეტნამზე მხო-ლოდ და მხოლოდ შუბის წვერი იყო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის მცდელობისა, მოეპოვებინა გლობალური ჰეგემონია, რომელსაც ამერიკის შეიარაღებული ძალები უნდა დაპირის-პირებოდა, რათა არ დაეშვა კომუნიზმის გამარჯვება მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

აზიის დაცვისას ამერიკა ფიქრობდა ისე ემოქმედა, რო-გორც მანამდე დასავლეთ ევროპაში. აიზენჰაუერის „დომინოს თეორიის" თანახმად, თუ ქვეყანა კომუნისტური გახდებოა, მისი მეზობელი ქვეყნებიც დომინოს ქვებივით „წაიქცეოდნენ" და ასევე კომუნისტური გახდებოდნენ. ამ თეორიის მიხედ-ვით, ამერიკა ცდილობდა თავშეკავების დოქტრინით (ნატო-ს მოდელის მიხედვით) დაპირისპირებოდა აგრესიას და ამავე

დროს დაეწყო ეკონომიკურ-პოლიტიკური აღმშენებლობის პროგრამა (მარშალის გეგმის მსგავსად). „ომის გავრცობის" თავიდან ასაცილებლად, ამერიკამ უარი თქვა კამბოჯასა და ლაოსში მტრული ბაზების იერიშზე, საიდანაც ახორციელებდა სამხრეთ ვიეტნამზე თავდასხმას ჰანოის შეიარაღებული ძალები; თავდასხმებს ათასობით მსხვერპლი მოჰყვებოდა, მათ კი ამ ბაზებზე უკანდახევა შეეძლოთ და დევნას თავიდან ირიდებდნენ.

ზემოთ ნახსენები ამერიკული მთავრობებიდან ვერცერთმა ვერ შეძლო შეემუშავებინა გეგმა ომის დამთავრების თაობაზე. მუდმივად ლაპარაკობდნენ, როგორ შენარჩუნებულიყო ვიეტნამის დამოუკიდებლობა, განადგურებულიყო ჯარი, რომელსაც ჰანოი აიარაღებდა და გზავნიდა სამხრეთ ვიეტნამის დასაკავებლად, დაბომბილიყო ჩრდილოეთ ვიეტნამი, სანამ არ მოეშვებოდა დაპყრობით პოლიტიკას და გამოთქვამდა მოლაპარაკებებისთვის მზადყოფნას. ჯონსონის ადმინისტრაციის დაახლოებით შუა პერიოდამდე ეს გეგმა არ მიჩნეულა მნიშვნელოვნად და მასზე მწვავე დისკუსია არ გამართულა. შემდეგ კი დაიძრა პროტესტების ტალღა და მედიის რეპორტაჟებმა ადმინისტრაციაშიც გამოიწვია განსჯის პროცესის დაწყება. ტეტის შეტევით პროტესტმა კულმინაციურ წერტილს 1968 წელს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ შეტევა კონვენციური სამხედრო ტერმინოლოგიით ჩრდილოეთ ვიეტნამის მძიმე მარცხს ნიშნავდა, დასავლეთის მედიამ ის ჰანოის ბრწყინვალე გამარჯვებად და ამერიკელების უუნარობის დადასტურებად წარმოაჩინა.

ლი კუან იუ, სინგაპურის დამაარსებელი და ალბათ იმ დროის აზიის ყველაზე ბრძენი ლიდერი, დღემდე დარწმუნებულია, რომ ამერიკის ინტერვენცია ვიეტნამში გარდაუვალი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დამოუკიდებლობის შანსის შესანარჩუნებლად. მისი ანალიზი შედეგებისა, რომელიც რე-

გიონში კომუნისტების გამარჯვებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ვიეტნამში მეტწილად გამართლდა. ვიეტნამის ომში ამერიკის სრული ჩართულობის პერიოდში ჩინეთ-საბჭოეთის ერთობა უკვე დაშლილი იყო და 1960-იან წლებში აშკარა კრიზისს განიცდიდა. „წინ გადადგმული დიდი ნაბიჯის" და კულტურული რევოლუციის გამო დასუსტებული ჩინეთი საბჭოთა კავშირს სულ უფრო საშიშ და სახიფათო მოწინააღმდეგედ მიიჩნევდა.

თავშეკავების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აზიაში ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ევროპაში. ევროპაში არასტაბილურობა გამოიწვია ომის შედეგად დამდგარმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნიდა ცალკეული ქვეყნების ტრადიციულ პოლიტიკურ ინსტიტუციებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კი საუკუნოვანი კოლონიალიზმის შემდეგ მსგავსი ინსტიტუციების ჩამოყალიბება დაწყებულიყო, განსაკუთრებით, სამხრეთ ვიეტნამში, რომელიც სახელმწიფო მანამდე არასოდეს ყოფილა.

ამერიკა ცდილობდა, ცარიელი ადგილი, სამხედრო ოპერაციის პარალელურად, პოლიტიკური აღმშენებლობის კამპანიით შეევსო. სანამ შეერთებული შტატები კონვენციურ ომს ანარმოებდა ჩრდილოვიეტნამური დივიზიების წინააღმდეგ, ხოლო ჯუნგლებში ებრძოდა ვიეტკონგის პარტიზანულ რაზმს, პარალელურად აშენებდა პოლიტიკურ ინფრასტრუქტურას – რეგიონში, რომელსაც არასოდეს გამოუცდია არც დემოკრატია და არც თვითმმართველობა.

მთელი რიგი გადატრიალებების შემდეგ (პირველი პუტჩი 1963 წლის ნოემბერში ამერიკის საელჩომ წაახალისა კიდეც თეთრი სახლის ნებართვით, რადგან მოლოდინი გაჩნდა, რომ სამხედრო მმართველობა ლიბერალურ ინსტიტუციებს შექმნიდა) სამხრეთ ვიეტნამის ახალი პრეზიდენტი გახდა გენერალი ნგუენ ვან თხეუ. ცივი ომის საწყის ფაზაში ამერიკელები იმითაც კმაყოფილდებოდნენ, თუ რომელიმე მთავრობა ანტიკო-

მუნისტურ ორიენტაციას გამოამჟღავნებდა, რომ მერე ის – ალბათ ცოტა ნაჩქარევად – საბჭოთა გავლენებისგან დაეცვა. მაგრამ სამხრეთ ვიეტნამში არასასურველი ვითარება შეიქმნა, პოლიტიკოსები ყველაფრის ერთმანეთზე გადაბრალებით იყვნენ დაკავებულნი, ქვეყანას არ აღმოაჩნდა უნარი (სისხლიანი სამოქალაქო ომის პირობებში), სრულყოფილ დემოკრატიად ჩამოყალიბებულიყო, უკმაყოფილება და საყვედურები მატულობდა. ომს თავიდან ამერიკელების მნიშვნელოვანი უმრავლესობა უჭერდა მხარს; მას პრეზიდენტი თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების უნივერსალურ პრინციპებზე დაყრდნობით წარმართავდა და ასე მიაღწია არსებულ მასშტაბს. ახლა კი მას აკრიტიკებდნენ როგორც ამერიკის საოცარი სიჯიუტის მაგალითს. ხმამაღლა ადანაშაულებდნენ ერთმანეთს სიცრუესა და უზნეობაში. „ბარბაროსული“ – ყველაზე ხშირად გამოყენებული ეპითეტი იყო. ამერიკელების სამხედრო ძალისხმევა განიხილებოდა როგორც ერთგვარი „სულიერი აშლილობა“, რომელმაც გამოაჩინა ცნებათა უკიდურესი აღრევა, რომელსაც ეწოდებოდა American Way of Life. ბრალდება, რომ ამ ომში სასტიკად დახოცეს სამოქლაქო პირები, რუტინულ გამონათქვამად იქცა.

ვიეტნამის ომის შესახებ შიდა ამერიკულმა დებატებმა ქვეყანას ისეთი ღრმა ჭრილობა დაუტოვა, ისტორიის არცერთ სხვა მოვლენას რომ არ დაუმჩნევია. იმ ადმინისტრაციების შემადგენლობაში, რომლებმაც ინდოჩინეთის კონფლიქტში ჩაითრიეს ქვეყანა, შედიოდნენ მაღალი ინტელექტისა და გამოცდილების პიროვნებები და მათ ახლა ბრალდებოდათ მოსახლეობის განზრახ შეცდომაში შეყვანა, დაუფიქრებელი მოქმედება და კრიმინალური ენერგია. ის, რაც დაიწყო როგორც გონივრული მსჯელობა შესაძლებლობებისა და სტრატეგიის შესახებ, გადაიზარდა ქუჩის დემონსტარციებში, გინებასა და ძალადობრივ დაპირისპირებაში.

ოპონენტები მართლები იყვნენ, როდესაც მიუთითებდნენ, რომ ამერიკული სტრატეგია, განსაკუთრებით, ომის საწყის ფაზაში, ასიმეტრიული კონფლიქტის რეალურ პირობებს არ შეესაბამებოდა. ინტენსიური დაბომბვის ჩანაცვლება „პაუზებით", რათა დაედგინათ ჰანოის მზაობა მოლაპარაკებების დასაწყებად, საბოლოოდ, აუცილებლად გამოიწვევდა პატის სიტუაციას. ამერიკის ასეთი სტრატეგია მოსახლეობაში მხოლოდ დენუნციაციას და წინააღმდეგობას იწვევდა, მოწინააღმდეგეს კი სერიოზულ მოლაპარაკებებზე ვერ ითანხმებდა. ვიეტნამის ომის დილემები დიდწილად გამოიწვია აკადემიურ სამყაროში ჩამოყალიბებულმა თეორიებმა საფეხურეობრივი ესკალაციის შესახებ, რომელსაც ეყრდნობოდნენ ცივი ომის დროს. შესაძლებელია, ისინი თავსებადი ყოფილიყო ატომურ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებასთან, მაგრამ პარტიზანული სტრატეგიით მებრძოლ ასიმეტრიულ მოწინააღმდეგესთან კონფლიქტში საერთოდ არ გაამართლა. ხოლო გარკვეული მოლოდინები, რომ ეკონომიკური რეფორმების საშუალებით შესაძლებელი გახდებოდა პოზიტიური პოლიტიკური განვითარების დაწყება, აზიაში განუხორციელებელი აღმოჩნდა. ასეთი საკითხები სერიოზულ დებატებს მოითხოვდა და არა ბრალდებებს, რომლებმაც საპროტესტო მოძრაობის რადიკალური ფრთები მოიცვა, არც უნივერსიტეტებსა და სამთავრობო შენობებზე თავდასხმები იყო გამართლებული.

დიდი მოლოდინის გაცრუებამ თავდაჯერებულობა მოსპო, მის გარეშე კი ნებისმიერი ისტაბლიშმენტი მარცხისთვის არის განწირული. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სტუდენტების მრისხანებამ იმ პოლიტიკოსებზე, ვინც მანამდე წარმართავდა ამერიკის საგარეო პოლიტიკას. ხელისუფლების დაეჭვებამ პროტესტანტი ახალგაზრდების ბრალდებები ინსტუტიციურ მრისხანებაში გადაზარდა და ეროვნულ ტრავმად აქცია. დემონსტრაციებმა და პროტესტმა ისეთ განზომილე-

ბას მიაღწია, რომ პრეზიდენტი ჯონსონი, რომელიც მაინც ცდილობდა ომის ტრადიციული ფრაზებით გამართლებას („აუცილებელი იყო თავისუფალი ხალხის დაცვა ტოტალიტარიზმის შეტევისგან"), იძულებული გახდა, პრეზიდენტობის ბოლო წელს საჯარო გამოსვლები ძირითადად სამხედრო ბაზებზე განეხორციელებინა.

ჯონსონის პრეზიდენტობის დასასრულის მომდევნო თვეებში (1969 წელს), ომის ბევრმა მნიშვნელოვანმა არქიტექტორმა შეიცვალა პოზიცია; ისინი ახლა სამხედრო ოპერაციების დასრულებას და ამერიკის ჯარის გამოყვანას ითხოვდნენ. ეს თემები სულ უფრო ინტენსიურად განიხილებოდა, სანამ ბოლოს პოლიტიკური ისტაბლიშმენტის შეხედულება „ომის დამთავრების პროგრამაზე" და ამერიკის მიერ ჯარის ცალმხრივად გამოყვანაზე არ ჩამოყალიბდა. ამერიკის ერთადერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ტყვეების გათავისუფლება.

რიჩარდ ნიქსონი პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას მაშინ შეუდგა, როდესაც ომის ველზე 500 ათასი ამერიკელი იმყოფებოდა – და მათი რაოდენობა ჯონსონის მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით კიდევ იზრდებოდა. ჯარი ვიეტნამში იდგა – უკიდურესად შორს სამშობლოს საზღვრებიდან. ნიქსონს თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა ომის დამთავრება. მაგრამ გრძნობდა პასუხისმგებლობასაც გლობალურ კონტექსტში აშშ-ს ვალდებულების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ომისშემდგომი პერიოდის საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებას. ნიქსონი პრეზიდენტი გახდა საბჭოთა კავშირის მიერ ჩეხოსლოვაკიაში სამხედრო ძალით შეჭრიდან ხუთი თვის თავზე; საბჭოთა კავშირი სახიფათოდ ზრდიდა ინტერკონტინენტური რაკეტების რაოდენობას და საფრთხეს უქმნიდა ამერიკელების მუქარის პოტენციალს (ბევრი ექსპერტის აზრით, აჭარბებდა კიდეც ამერიკის პოტენ-

ციალს), ჩინეთის მხრიდან მტრული განწყობა კი საერთოდ არ შეცვლილიყო. თუ ამერიკა უსაფრთხოების ვალდებულებებს მსოფლიოს ერთ ნაწილში ვერ შეასრულებდა, მაშინ მალე მსოფლიოს სხვა ნაწილშიც ეჭვქვეშ დადგებოდა მისი განუხრელი პოზიცია. დამაჯერებლობის შენარჩუნება საკუთარი მოკავშირეების დაცვის და გლობალური წესრიგის სისტემის შენარჩუნების საკითხში იყო როლი, რომელსაც შეერთებული შტატები ორი ათწლეულის განმავლობაში ასრულებდა; ეს როლი ნიქსონის სტრატეგიის მყარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ნიქსონმა ვიეტნამიდან გამოსვლა დაიწყო საფეხურებად – 150 ათასი ჯარისკაცი წელიწადში; ქვეით ბრძოლებში მონაწილეობა მან 1971 წელს დაასრულა. გასცა მოლაპარაკებების დაწყების უფლება, ოღონდ ერთი პირობით: არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმებოდა ჰანოის მოთხოვნას, რომ სამშვიდობო პროცესი დაიწყებოდა მაშინ, როდესაც სამხრეთ ვიეტნამის მოქმედი მთავრობა – ამერიკის მოკავშირე – ჩანაცვლდებოდა ე. წ. კოალიციური მთავრობით, რომელიც, ძირითადად, ჰანოის მიერ წარდგენილი პირებით დაკომპლექტდებოდა. ამ მოთხოვნას ოთხი წლის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა ჰანოი, 1972 წელს კი, ჩრდილო ვიეტნამის თავდასხმის წარუმატებლობის შემდეგ (რომლის მოგერიება ამერიკის ქვეითი ჯარის გარეშე მოხერხდა) იგი იძულებული გახდა დასთანხმებოდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას და ხელშეკრულების დადებას.

შეერთებულ შტატებში დებატების ფოკუსში მოექცა ფართოდ გავრცელებული მოთხოვნა ინდოჩინეთში ომის შედეგად გაჩენილი ეროვნული ტრავმის დამთავრებისა – ვითომ აშშ ყოფილიყო ამ ტანჯვის მიზეზი. ბოლოს და ბოლოს, ჰანოი ითხოვდა ბრძოლის გაგრძელებას – არა იმიტომ, რომ ეჭვი

ეპარებოდა აშშ-ს სამშვიდობო მზადყოფნაში, არამედ მოელოდა, რომ ამერიკელებს ძალა ამოეწურებოდათ და აღარ ენდომებოდათ ამხელა მსხვერპლის გაღება. ჰანოი ფსიქოლოგიურ ომს აწარმოებდა; იგი, მთელ ვიეტნამში ძალაუფლების მოსაპოვებლად, უმოწყალოდ იყენებდა ამერიკელების მიერ კომპრომისის ძიებას. ამ ვითარებაში კი, როგორც აღმოჩნდა, კომპრომისის ადგილი არ მოიძებნებოდა.

ნიქსონის მიერ ნაბრძანებმა სამხედრო ოპერაციებმა, რომელსაც მე, როგორც ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მისი მრჩეველი, მხარს ვუჭერდი, საბოლოოდ, დიპლომატიურ მოქნილობასთან ერთად, მიგვიყვანა 1973 წლის ხელშეკრულებამდე. ნიქსონის ადმინისტრაცია დარწმუნებული იყო, რომ საიგონი შეძლებდა, ხელშეკრულების მცირე დარღვევებს საკუთარი ძალით გამკლავებოდა. მასშტაბური დარტყმის შემთხვევაში კი შეერთებული შტატები ჰაერიდან და ზღვიდან აპირებდა მიხმარებას. დროთა განმავლობაში სამხრეთ ვიეტნამის მთავრობას ამერიკული ეკონომიკური დახმარების საშუალებით უნდა მოეხერხებინა ქმედითი საზოგადოების ჩამოყალიბება და ტრანსპარენტული ინსტიტუციების აშენება (როგორც ეს წარმატებით განხორციელდა სამხრეთ კორეაში).

შესაძლებელი იყო თუ არა ამ პროცესის დაჩქარება და შეიძლებოდა თუ არა ამერიკის დამაჯერებლობის სხვაგვარად დამტკიცება, კიდევ დიდხანს იქნება ცხარე დებატების საგანი. მთავარი დაბრკოლება იმაში მდგომარეოდა, რომ ამერიკას არ ესმოდა ჰანოის აზროვნების სტილი. ჯონსონის ადმინისტრაციამ გადაჭარბებულად შეაფასა ამერიკის სამხედრო ძალა. და ნიქსონის ადმინისტრაციამ, გავრცელებულ მოსაზრებათა საპირისპიროდ, გადაჭარბებულად შეაფასა მოლაპარაკებების სამოქმედო სივრცე. ჰანოის ომში გამობრძმედილი ხელმძღვანელობისთვის, რომელმაც სიცოცხლე გამარჯვებისთვის

ბრძოლას მიუძღვნა, კომპრომისი დამარცხებას უდრიდა, პლურალისტული საზოგადოება კი წარმოუდგენლად მიაჩნდა.

დებატები შესაძლო გამოსავალის ძიებაზე, ამ წიგნის მიზანს სცილდება; ერთი რამ ცხადია – პროცესი ყველა მონაწილისთვის მტკივნეული იყო. ნიქსონმა დაასრულა ჯარის გამოყვანა და დადო ხელშეკრულება, რომელიც, მიაჩნდა, რომ სამხრეთ ვიეტნამს თავისი მომავლის განსაზღვრის კარგ შანსს აძლევდა. მაგრამ ვიეტნამის ომის შესახებ განუწყვეტელი დაპირისპირების ათწლეულის შემდეგ, ამერიკას დამატებით უოტერგეიტის კრიზისთან მოუწია გამკლავება, რომელმაც უაღრესად დაძაბა ვითარება. ამ პირობებში გადაწყვიტა კონგრესმა 1973 წელს ეკონომიკური დახმარების მკვეთრი შემცირება და 1975 წელს მისი სრულად დამთავრება. შემდეგ ჩრდილოეთ ვიეტნამმა თითქმის მთელი თავისი არმია გადაისროლა საზღვარზე და სამხრეთ ვიეტნამი დაიპყრო. კონგრესმა უარი თქვა ამერიკელების მხრიდან ყველა სახის ჩარევაზე. საერთაშორისო თანამეგობრობა კი დუმილით შეხვდა მოვლენებს. მალე კომუნისტები შეიჭრნენ ლაოსსა და კამბოჯაში და ორივე სახელმწიფოს მთავრობა ჩამოაგდეს. კამბოჯაში წითელმა ხმერმა გაუგონარი სისასტიკით იძია შური მოსახლეობაზე.

ამერიკამ პირველად წააგო ომი. და ამასთან, დაკარგა წვდომა მსოფლიო წესრიგის საკუთარ კონცეფციაზე.

რიჩარდ ნიქსონი და საერთაშორისო წესრიგი

1969 წელს, როდესაც რიჩარდ ნიქსონი მოვიდა ქვეყნის სათავეში, მას თავდასხმებით, რასობრივი არეულობით და გაურკვეველი შედეგის ომებით დატვირთული, აფორიაქებული 1960-იანი წლების მძიმე მემკვიდრეობის მიღება მოუწია – ნიქსონის ამოცანა მდგომარეობდა ამერიკული საზოგადოების ერთობის აღდგენასა და შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კონსოლიდაციის მიღწევაში.

ნიქსონი უაღრესად ინტელიგენტი ადამიანი იყო, მაგრამ თან უაღრესად დაურწმუნებელი საკუთარ თავში, რასაც ვერასდროს წარმოიდგენ საჯარო სივრცის ასეთ გამოცდილ პიროვნებაზე. იგი არ წარმოადგენდა იდეალურ ლიდერს საზოგადოებრივი მშვიდობის აღდგენის ამოცანისთვის. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1969 წლის 20 იანვარს, როდესაც ნიქსონი პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა, უკვე კარგად იყო ჩამოყალიბებული მასობრივი დემონსტრაციების, დაშინებისა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ტაქტიკა, რომელიც მშვიდობიანი პროტესტის უკიდურეს ზღვარზე ლავირებდა.

და მაინც, ნიქსონი ბრწყინვალედ იყო მომზადებული თავისი ამოცანისთვის, რომელიც მდგომარეობდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის არსის ახლებურ განსაზღვრაში. კალიფორნიის სენატორი, დუაიტ დ. აიზენჰაუერის დროს ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტობის ჯიუტი კანდიდატი ბევრგან იყო ნამყოფი მსოფლიოში. სახელმწიფო მოღვაწეები, ვისაც ის უცხოეთში ხვდებოდა, მასთან პიროვნულ დაპირისპირებას ერიდებოდნენ, რომ თავი ცუდად არ ეგრძნო და კონკრეტულ საკითხებზე საუბრებში ითრევდნენ, სადაც ნიქსონს ბადალი არ ჰყავდა. მარტოსული იყო და მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა, ვიდრე საშუალო პოლიტიკურ ასპირანტს, ამიტომ ბევრს კითხულობ-

და. ამ კომბინაციის წყალობით, თეოდორ რუზველტის შემდეგ რიჩარდ ნიქსონი იყო საგარეო პოლიტიკურ ამოცანებში ყველაზე უკეთ მომზადებული პრეზიდენტი.

რუზველტის შემდეგ არცერთ პრეზიდენტს არ მიუძღვნია ასეთი სისტემატური და საფუძვლიანი ყურადღება საერთაშორისო წესრიგის, როგორც გლობალური კონცეფციისთვის, როგორც ნიქსონს. 1971 წელს ჟურნალ „თაიმის“ გამომცემლებთან შეხვედრისას ასეთი კონცეფცია ჩამოაყალიბა: მისი შეხედულებით, იარსებებდა ძალაუფლების ხუთი დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი, რომლებსაც, საკუთარი ინტერესების გატარებისას, არაფორმალურად უნდა აეღოთ თავშეკავების ვალდებულება. მათი მისწრაფებების და თვითდანესებული შეზღუდვების შერწყმა ხელს შეუწყობდა ძალთა ნონასწორობას:

> უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოს ისტორიაში მხოლოდ მაშინ ხანგრძლივდებოდა ხოლმე მშვიდობა, როცა არსებობდა ძალთა წონასწორობა. ომის საშიშროება კი მაშინ წარმოიქმნება ხოლმე, როდესაც ერთი სახელმწიფო მის პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უსასრულოდ ძლიერდება. მე მწამს მსოფლიოსი, რომელშიც შეერთებული შტატები ძლიერი იქნება. მსოფლიო უფრო უსაფრთხო და უკეთესი იქნება, თუ შეერთებული შტატები, ევროპა, საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, იაპონია ძლიერები და სრულყოფილები იქნებიან, ერთმანეთს გააწონასწორებენ და ურთიერთსაწინააღმდეგოდ არ იმოქმედებენ, ანუ, როცა დამყარდება უნაკლო ბალანსი.

აღსანიშნავია, რომ ნიქსონმა ძლიერ სახელმწიფოთა სიაში მოახვედრა ამერიკის ორი დე ფაქტო მოწინააღმდეგე – სსრკ, რომელთანაც აშშ-ს ცივი ომი ჰქონდა გაჩაღებული და ჩინეთი, რომელთანაც ორათწლეულიანი წყვეტის შემდეგ პირველ

დიპლომატიურ კონტაქტებს აბამდა, მაგრამ ჯერ ელჩები არ გაეცვალა და ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობები არ დაემყარებინა. თეოდორ რუზველტმა წარმოადგინა მსოფლიო წესრიგის იდეა, სადაც შეერთებული შტატები გლობალური წონასწორობის მცველად გვევლინებოდა. ნიქსონი კიდევ ერთი ნაბიჯით დაწინაურდა. შეერთებული შტატები უნდა გამხდარიყო მყარი შემადგენელი ნაწილი მუდამ ცვალებადი, მცურავი ბალანსისა – არა მისი მცველი, არამედ მხოლოდ მისი ერთ-ერთი კომპონენტი.

ნიქსონმა ინტერვიუს ამ პასაჟში ტაქტიკური საზრიანობა გამოიჩინა, რადგან სრულიად გამორიცხა წონასწორობის ცალკეულ წარმომადგენელთა ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედებანი. საკმაოდ კარგი ხრიკია, პოტენციური მოწინააღმდეგე გააფრთხილო, როცა ფლობ უნარს და მან იცის ამის შესახებ, თანაც დარწმუნებულია, რომ არსად გაქრება, გინდაც უარყო მისი არსებობა. ნიქსონმა ეს მოსაზრება გაავრცელა პეკინში ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე – ამ ვიზიტმა დრამატულად გააუმჯობესა ჩინეთთან ურთიერთობები. ეს იყო ამერიკის მოქმედი პრეზიდენტის პირველი ვიზიტი ჩინეთში. მაშინ შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირთანაც და ჩინეთთანაც უფრო ახლოს იყო, ვიდრე ეს ორი კომუნისტური გოლიათი სახელმწიფო ერთმანეთთან და ამ პოზიციიდან აბალანსებდა მათ. ნიქსონის 1971 წლის თებერვლის მოხსენებაში საგარეო პოლიტიკის შესახებ, ჩინეთი იწოდებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკად – მას პირველად მიანიჭეს აღიარების ეს ხარისხი – და ფიქსირდებოდა, რომ შეერთებული შტატები თანახმაა, „ეროვნული ინტერესის გათვალისწინებით“ დაიწყოს დიალოგი ჩინეთთან.

ჩინეთის საშინაო პოლიტიკის შესახებ ნიქსონმა ზუსტად მაშინ გამოთქვა მსგავსი მოსაზრება, როდესაც პეკინისკენ მიმავალ თვითმფრინავში ვიჯექი. ეს იყო ე. წ. საიდუმლო ვიზი-

ტი 1971 წლის ივლისში. კანზას სიტიში გამართულ შეკრებაზე ნიქსონმა განაცხადა, რომ „ჩინეთის შიდა წუხილებისგან" – იგი გულისხმობდა კულტურულ რევოლუციას – არ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ

> სულ ასე იქნება. რადგან, თუ ჩინელებს შევხედავთ როგორც ერს – და მე მათ მთელ მსოფლიოში შევხვედრივარ – აღმოვაჩინეთ, როგორი მიზანსწრაფულნი და შრომისმოყვარენი არიან. ისინი ერთ-ერთი ყველაზე უნარიანი ხალხია დედამიწაზე. 800 მილიონი ჩინელი ერთ დღეს აუცილებლად გახდება უზარმაზარი ეკონომიკური ძალა, ყველა მიმართულებით, საითაც დაიწყებს სვლას.

ეს წინადადებები წინასწარმეტყველური იყო იმისა, რაც დღეს უკვე ყველასთვის არის ცნობილი, მაშინ კი რევოლუციური მოსაზრება იყო. და რადგან ეს აზრი პრეზიდენტმა სპონტანურად გამოთქვა, მე კი ვაშინგტონთან კონტაქტი არ მქონდა, ზოუ ენლაიმ მიამბო სწორედ მაშინ, როცა ოცწლიანი წყვეტის შემდეგ პეკინთან თავიდან ვიწყებდი დიალოგს. ნიქსონი, ნამდვილი ანტიკომუნისტი, მივიდა დასკვნამდე, რომ გეოპოლიტიკური ეკვილიბრიუმის მარწუხებს უნდა მინიჭებოდა პრიორიტეტი იდეოლოგიური სიწმინდის მოთხოვნასთან შედარებით. საბედნიეროდ, ამასობაში სწორედ იმავეს მიხვდნენ მისი ჩინელი პარტნიორებიც.

1972 წლის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დროს ნიქსონის მოწინააღმდეგე ჯორჯ მაკგოვერნი ქილიკობდა: „ამერიკა, შინ დაბრუნდი!" ნიქსონმა მას დაახლოებით ასე უპასუხა: თუ ამერიკა გაექცევა თავის საერთაშორისო ვალდებულებებს, აუცილებლად დამარცხდება შინაც. მან აღინიშნა: „მხოლოდ მაშინ ვიქნებით კვლავაც დიდი ერი, თუ საზღვარგარეთ უნაკლოდ ვიმოქმედებთ და ჩვენს მოვალეობებს შევასრულებთ,

და თუ ვიქნებით სანიმუშონი, შინაც არაჩვეულებრივად გავართმევთ თავს ყველა გამოწვევას". ამავდროულად, ნიქსონი ცდილობდა დაეოკებინა „ჩვენი ინსტინქტური რწმენა, რომ ყოველთვის ვიცით, რა არის სხვებისთვის კარგი", რადგან ეს „სხვებს აცდუნებს, მიენდონ ჩვენს რეცეპტებს".

ამ მიზნით ნიქსონმა შემოიღო რეგულარული „წლიური ანგარიში მსოფლიოს მდგომარეობის შესახებ". როგორც ყველა საპრეზიდენტო დოკუმენტს, მასაც თეთრი სახლის შტაბი ქმნიდა, კონკრეტულად კი ეროვნული უშიშროების საბჭო, ჩემი ხელმძღვანელობით. მაგრამ ნიქსონი ამ დოკუმენტების სტრატეგიულ აგებულებას თავად განსაზღვრავდა და შემდეგ მზა დოკუმენტს აფასებდა. დოკუმენტები, სამთავრობო სააგენტოებს, რომლებიც საგარეო პოლიტიკაზე მუშაობდნენ, ეხმარებოდა მიმართულების ჩამოყალიბებაში. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ დოკუმენტები უცხოეთს მიანიშნებდა ამერიკის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის მიმართულების შესახებ.

ნიქსონი საკმაოდ რეალისტი იყო და არ სჭირდებოდა მუდმივად ხაზგასმა, რომ შეერთებული შტატები თავის ბედს არც ნაწილობრივ და, მით უმეტეს, არც დიდწილად, სხვების კეთილ ნებას არ ანდობდა. 1970 წლის ანგარიშში მან საგანგებოდ აღნიშნა, რომ მშვიდობის აუცილებელი საწინდარია მოლაპარაკებების და პარტნიორობის საიხლეთა ძიება, თუმცა მხოლოდ ეს არ კმარა: „ხანგრძლივი მშვიდობის მეორე საყრდენი უნდა იყოს ამერიკის სიძლიერე. რადგან ჩვენ ერთი რამ ვისწავლეთ: მხოლოდ კეთილი ნება არ კმარა მშვიდობის დასამყარებლად". ამერიკის ძალის განუწყვეტელი დემონსტრირება და მისი მზაობა გლობალური ქმედებისთვის კი არ შეაბრკოლებს სამშვიდობო პროცესს, არამედ პირიქით, გააძლიერებს მას. ეს მოსაზრება რუზველტისას გვაგონებს. რუზველტმა 1907-1909 წლებში თავისი „თეთრი ფლოტი" გაუშვა მსოფლიოს გარშემო.

მაგრამ შეერთებულ შტატებს სხვა ქვეყნებისგან ვერ ექნებოდა მოლოდინი, რომ ისინი თავიანთ მომავალს უპირატესად საკუთარი საგარეო პოლიტიკის სხვა ერების კეთილ ნებაზე დამყარებაში დააბანდებდნენ. ამიტომ, უპირველესი უნდა ყოფილიყო ისეთი საერთაშორისო წესრიგის აშენების სურვილი, რომელიც ძალას დაუკავშირებდა ლეგიტიმურობას – იმ გაგებით, რომ ყველა მნიშვნელოვანი წევრი სამართლიანად აღიქვამდა შექმნილ სისტემას:

> ყველა ერი, მონინააღმდეგე თუ მეგობარი, დაინტერესებული უნდა იყოს საერთაშორისო სისტემის შენარჩუნებით. ისინი უნდა გრძნობდნენ, რომ მათ ძირითად პრინციპებს პატივს სცემენ და მათ ეროვნულ ინტერესებს ანგარიშს უწევენ... თუ საერთაშორისო გარემოცვა თავის სასიცოცხლო დანიშნულებას მიხვდება, ისიც შეიტანს წვლილს სისტემის შენარჩუნებაში.

საერთაშორისო წესრიგის ასეთმა ხედვამ მისცა პირველი ბიძგი ჩინეთის მიმართ გახსნილობას, რაც ნიქსონს წესრიგის აუცილებელ კომპონენტად მიაჩნდა. ჩინეთის მიმართ გახსნილობის ერთი წახნაგი იყო შეერთებულ შტატებში ათწლეულის განმავლობაში მძვინვარე შიდასაზოგადოებრივი კონფლიქტის გადალახვის მცდელობა. ნიქსონი იქცა პრეზიდენტად ერისა, რომელსაც მწვავე შიდა და საგარეო დაპირისპირებებისა და წაგებული ომის გამო, დაკარგული ჰქონდა შინაგანი წონასწორობა. ამიტომ იყო მნიშვნელოვანი სამშვიდობო ნება და საერთაშორისო თანხმობის გამოცხადება და მისი სრულყოფა სამომავლოდ, ყოველივე კი ამერიკის ისტორიასა და ღირებულებებთან იყო თანხვედრაში. ამავე დროს, ეს ნიშნავდა მსოფლიო წესრიგის ამერიკული კონცეფციის გადამუშავებასაც. ჩინეთთან გამოსწორებული ურთიერთობების შედეგად საბჭოთა კავშირი ან თანდათან მოექცეოდა იზოლაციაში,

ან იძულებული გახდებოდა, შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ეზრუნა. სანამ შეერთებული შტატები ეცდებოდა, რომ უფრო ახლოს ყოფილიყო ორივე დიდ კომუნისტურ ქვეყანასთან, ვიდრე ისინი იყვნენ ერთმანეთთან, ალბათ შიშის აჩრდილიც განიდევნებოდა, რომელიც ამერიკის საგარეო პოლიტიკას ორი ათწლეულის განმავლობაში თან სდევდა. ეს იყო ჩინეთ-საბჭოთა კოოპერაცია მსოფლიო ჰეგემონიის მიზნით. (სინამდვილეში, საბჭოთა კავშირს, გარკვეული დროის შემდეგ, აღარ შეეძლო უმეტესწილად საკუთარი მიზეზით შექმნილი დილემის ატანა – ევროპაშიც და აზიაშიც დაპირისპირებოდა მოწინააღმდეგეებს, მათ შორის მათაც, ვინც მაშინ ვითომ იმავე იდეოლოგიურ ბანაკს ეკუთვნოდა).

ნიქსონის მცდელობას, პრაქტიკულად განეხორციელებინა ამერიკული იდეალიზმი და გაეხანგრძლივებინა ამერიკული პრაგმატულობა, ორივე მხრიდან შეუტიეს – კიდევ ერთხელ გახდა თვალსაჩინო ტიპური ამერიკული ამვიბალენტურობა ძალასა და პრინციპს შორის. იდეალისტები აკრიტიკებდნენ ნიქსონს, რადგან იგი საგარეო პოლიტიკას გეოპოლიტიკური პრინციპებით ახორციელებდა. კონსერვატორები საყვედურობდნენ – საბჭოთა კავშირის მიმართ განმუხტვის პოლიტიკა ნიშნავს, რომ აღარ ვუპირისპირდებით საფრთხეს, რომელიც კომუნისტური რეჟიმისგან ემუქრება დასავლეთის ცივილიზაციასო. ორივე მხარის ოპონენტებს მხედველობის მიღმა რჩებოდათ, რომ ნიქსონმა საბჭოთა პერიფერიაზე წინააღმდეგობის გაწევის უნარის მქონე თავდაცვა ააგო და რომ ის იყო პირველი ამერიკელი პრეზიდენტი, ვინც აღმოსავლეთ ევროპას ეწვია (იუგოსლავია, პოლონეთი, რუმინეთი) – ამ ვიზიტით მან აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის ჰეგემონია სიმბოლურად დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ; და რომ ნიქსონმა შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირთან მრავალი კრი-

ზისი მშვიდობიანად გადაატანინა, ორი დაძაბული შემთხვევის დროს კი (1970 წლის ოქტომბერსა და 1973 წლის ოქტომბერში) უკან არ დაუხევია და ამერიკის შეიარაღებული ჯარები საგანგაშო მზადყოფნაში მოიყვანა.

ნიქსონმა არაჩვეულებრივი მოხერხებულობა გამოიჩინა მსოფლიო წესრიგის შენების გეოპოლიტიკურ ასპექტში. იგი მოთმინებით აკავშირებდა სტრატეგიის სხვადასხვა კომპონენტებს ერთმანეთთან, განსაკუთრებულ გამბედაობას იჩენდა კრიზისების დაძლევისას და დიდ ნებისყოფას ამჟღავნებდა გრძელვადიანი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მაქსიმა, რომელსაც თავად ხშირად იმეორებდა, ასე ჟღერდა: „სანახევროდ გაკეთებული საქმე ზუსტად იმდენივე ჯდება, რაც მისი მთლიანად გაკეთება. ამიტომ, უმჯობესია ახლავე მივყვეთ ბოლომდე". შედეგად, 1972-1973 წლებში, მხოლოდ 18 თვეში მოახერხა ვიეტნამის ომის დამთავრება, ჩინეთთან ურთიერთობის გახსნა, საბჭოთა კავშირთან უმაღლეს დონეზე შეხვედრა; ამავდროულად, მან გააფართოვა სამხედრო მოქმედებები ჩრდილოეთ ვიეტნამის მასიური თავდასხმის საპასუხოდ, ხელი შეუწყო ეგვიპტის პოზიციის ცვლილებას – ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირის მოკავშირეობიდან იქცა შეერთებული შტატების მჭიდრო პარტნიორად; წვლილი შეიტანა ახლო აღმოსავლეთში ჯარების დაშორიშორების ორი ხელშეკრულების მომზადებაში – ისრაელსა და ეგვიპტეს და ისრაელსა და სირიას შორის (მიუხედავად სასტიკი სამოქალაქო ომისა, ეს ხელშეკრულება სირიაში დღემდე მოქმედებს) და მხარი დაუჭირა ევროპის უსაფრთხოების კონფერენციის ჩატარებას, რომელიც სამომავლოდ აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა ჰეგემონიის მნიშვნელოვნად დასუსტებას ითვალისწინებდა.

მაგრამ სწორედ გზაგასაყარზე, როდესაც ტაქტიკური წარმატებები შეიძლებოდა მსოფლიო წესრიგის მუდმივ კონცეფ-

ციად ჩამოყალიბებულიყო, მოხდა ტრაგედია. ვიეტნამის ომმა ყველა მხარეს გამოაცალა ენერგია. უოტერგეიტის საქმე, რომელიც, მოდუნების გამო, თავად ნიქსონის ბრალი იყო, მისმა დიდი ხნის მოწინააღმდეგეებმა დაუნდობლად გამოიყენეს და აღმასრულებელი ხელისუფლება უუნარო გახადეს. მშვიდ ვითარებაში ნიქსონის პოლიტიკის სხვადასხვა შტრიხები ამერიკის ახალ გრძელვადიან სტრატეგიად შეიკვრებოდა, ნიქსონი მოესწრო „აღთქმულ ქვეყანას", სადაც იმედი და რეალობა გაერთიანდა – ცივი ომი დასრულდა, ატლანტიკური ალიანსის ამოცანები ახლიდან განისაზღვრა, ნამდვილი პარტნიორობა დამყარდა ჩინეთთან, დიდი ნაბიჯი გადაიდგა ახლო აღმოსავლეთის მშვიდობისკენ, რუსეთი თავიდან ჩაერთო საერთაშორისო წესრიგში – მაგრამ ნიქსონს ნაკლები დრო რჩებოდა თავისი გეოპოლიტიკური ხედვა ნამდვილ საქმეებად დაეგვირგვინებინა. გზის ამ მონაკვეთის გავლა სხვებს ერგო წილად.

განახლების დასაწყისი

1960-იანი წლების ამდენი უსიამოვნებისა და პრეზიდენტის დაცემის შემდეგ, ერთადერთი, რაც ქვეყანას სჭირდებოდა, იყო შინაგანი სიმტკიცის აღდგენა. ბედნიერმა გარემოებებმა ამ ამოცანის შესრულება ჯერალდ ფორდს არგუნა.

საპრეზიდენტო პოლიტიკის ქარტეხილმა ფორდი ისეთ თანამდებობაზე ატყორცნა, რომ არც კი უოცნებია. შესაბამისად, იგი თავისუფალი იყო დაინტერესებული ჯგუფების ვნებებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზრუნვისაგან და შეეძლო, თავისი პრეზიდენტობა დაეფუძნებინა ღირებულებებზე, რომლებზეც გაიზარდა: კეთილ ნებასა და

საკუთარი ქვეყნის რწმენაზე. წარმომადგენლობით პალატაში ხანგრძლივი მოღვაწეობისას ნამსახურები ჰქონდა თავდაცვისა და საიდუმლო სამსახურების მნიშვნელოვან ქვეკომიტეტებში – შესაბამისად, სათანადოდ ერკვეოდა საგარეო პოლიტიკურ საკითხებში.

ფორდის ისტორიული დამსახურება ამერიკის წინაშე არის ქვეყნის საზოგადოების გახლეჩის დაძლევა. საგარეო პოლიტიკაში იგი ცდილობდა – უმეტესწილად წარმატებით – ძალაუფლება პრინციპებთან დაეკავშირებინა. მისი პრეზიდენტობის დროს დაიდო პირველი ხელშეკრულება ისრაელსა და არაბულ ქვეყანას – ამ შემთხვევაში, ეგვიპტეს შორის, რომელთა შეთანხმებები უმეტესწილად პოლიტიკური ხასიათის იყო. ძალთა დაშორიშორების მეორე ხელშეკრულება ეგვიპტის შეუქცევად გარდატეხას და მშვიდობის დამყარებას აღნიშნავდა. ფორდის ინიციატივა იყო სამხრეთ აფრიკაში, აქტიური დიპლომატიის საშუალებით, უმრავლესობის ძალაუფლების დამყარება. იგი იყო პირველი პრეზიდენტი, რომელიც ამ მიზნისკენ მტკიცედ მიისწრაფვოდა. საკუთარ ქვეყანაში, ძლიერი ოპოზიციის მიუხედავად, მან ხელი მოაწერა ევროპის უსაფრთხოების კონფერენციის ფინალურ აქტს, რომლის ბევრ ღონისძიებას შორის იყო წესები, რომლითაც ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაში საფუძვლიანად ჩაიწერა ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი პრინციპი. სწორედ ამ გარემოებებს დაეყრდნენ მოგვიანებით ისეთი ჰეროიკული პიროვნებები, როგორებიც იყვნენ ლეხ ვალეზა პოლონეთში და ვაცლავ ჰაველი ჩეხოსლოვაკიაში – მათ დემოკრატიზაციის პროცესი დაიწყეს თავიანთ ქვეყნებში და ხელი შეუწყვეს კომუნიზმის დამარცხებას.

პრეზიდენტ ფორდის გარდაცვალებისას წარმოთქმული სამგლოვიარო სიტყვა შემდეგი სიტყვებით დავიწყე:

> უძველესი ტრადიციის მიხედვით, ღმერთი კაცობრიობას იცავს, მიუხედავად ჩადენილი მრავალი ცოდვისა, რადგან ყველა დროში არსებობს ათი მართალი კაცი, რომელთაც თავადაც არ იციან, კაცობრიობის გადამრჩენის როლი რომ აკისრიათ. ჯერალდ ფორდი ერთი მათგანი იყო.

ჯიმი კარტერი იმ დროს გახდა პრეზიდენტი, როდესაც ინდოჩინეთში ამერიკის დამარცხების შემდგომმა სიმპტომებმა ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა; ადრე, როდესაც ამერიკა უძლეველად აღიქმებოდა, მსგავსი პრობლემები წარმოუდგენელი იყო. ირანში – მანამდე ახლო აღმოსავლეთის რეგიონული წესრიგის ერთ-ერთ საყრდენში – აიათოლების იმ ჯგუფმა მიიტაცა ძალაუფლება, რომელმაც ამერიკას პოლიტიკური და იდეოლოგიური ომი გამოუცხადა და ამდენად, ახლო აღმოსავლეთის ძალთა ბალანსს ძირი გამოუთხარა. სიმბოლურად ეს მაშინ გამოიხატა, თეირანში ამერიკელი დიპლომატები ასზე მეტი დღით მძევლებად რომ აიყვანეს. საბჭოთა კავშირმა თითქმის იმავდროულად მიიჩნია თავი იმდენად ძლიერად, რომ ავღანეთში შეჭრილიყო და ქვეყანა დაეპყრო.

ამ ორომტრიალის შუაგულში მოქცეულ კარტერს ბედმა გაუღიმა – მან მოახერხა ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის წინ წაწევა და თეთრ სახლში სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა. ისრაელსა და ეგვიპტეს შორის ხელშეკრულება ისტორიული მოვლენა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების პირველმიზეზი რეგიონში საბჭოთა გავლენის აღკვეთა იყო, სამშვიდობო პროცესი კი წინა ადმინისტრაციებმა დაიწყეს, კარტერის პრეზიდენტობის დროს მისი დასრულება მტკიცე და პრინციპული დიპლომატიის კულმინაციურ წერტილს წარმოადგენდა. კარტერმა სრულყოფილი დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა ჩინეთთან, ფართოდ

გაუხსნა გზა და გაამყარა ამ საკითხზე ორივე დიდ პარტიას შორის არსებული კონსენსუსი. ავღანეთში საბჭოთა ინვაზიის მიმართ მან მტკიცე პოზიცია დაიკავა – მხარს უჭერდა მათ, ვინც არ ეგუებოდა საბჭოელების მიერ დაპყრობას. კარტერმა არეულ დროში მოახერხა ადამიანის ღირსების – უმნიშვნელოვანესი ამერიკული ღირებულების კიდევ უფრო განმტკიცება. მაგრამ პრეზიდენტობის ვადის დასასრულს, სულ უფრო და უფრო იხევდა უკან ახალი სტრატეგიული გამოწვევის – კერძოდ, ძალაუფლებასა და ლეგიტიმურობას შორის სწორი ბალანსის დამყარების წინაშე.

რონალდ რეიგანი და ცივი ომის დასასრული

ამერიკის ისტორიაში არ მოიძებნება მეორე პრეზიდენტი, ისე რომ მორგებოდა თავის თანამედროვეობას და ისე ეგრძნო იგი, როგორც ეს რონალდ რეიგანმა მოახერხა. ჯერ კიდევ ათწლეულით ადრე, რეიგანი მილიტანტური გამოჩნდებოდა და რეალისტად მას არავინ აღიარებდა, ათი წლით გვიან კი მისი აზრები ნამდვილად ერთგანზომილებიანად აღიქმებოდა. მაგრამ რეიგანი შეეჯახა საბჭოთა კავშირს, რომლის ეკონომიკა სულს ღაფავდა და რომლის გერონტოკრატიული ლიდერები ერთი მეორის მიყოლებით იხოცებოდნენ. ქვეყნის შიგნით რეიგანს მხარს უჭერდა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ესწრაფვოდა მუდმივი დეზილუზიონირების პერიოდისთვის თავი დაეღწია. რეიგანმა ერთმანეთთან დააკავშირა ამერიკის ლატენტური და ხანდახან დისონანსური ძლიერი მხარეები: იდეალიზმი, ურყევობა, მისი კრეატიულობა და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა.

რეიგანმა ამოიცნო საბჭოთა კავშირის პოტენციური სისუსტე. ამავე დროს, იგი ღრმად იყო დარწმუნებული ამერიკული სისტემის უპირატესობაში (ამერიკის პოლიტიკურ ფილოსოფიაში ბევრად უფრო ნაკითხი იყო, ვიდრე მის ოპონენტებს ეგონათ). და მან შეძლო, ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა ძალაუფლება და ლეგიტიმურობა – რამაც გასულ საუკუნეში ჩამოაყალიბა ამერიკის ამბივალენტური პოზიცია. მან ბრძოლაში გამოიწვია საბჭოთა კავშირი და თავს მოახვია შეიარაღებისა და ტექნოლოგიების განვითარების შეჯიბრი, რომელსაც სსრკ ვერასოდეს მოიგებდა; ეს ყველაფერი კი ეყრდნობოდა კონგრესის მიერ მანამდე, დიდი ხნის განმავლობაში უარყოფილ პროგრამებს. ის, რაც მოგვიანებით თავდაცვის სტრატეგიული ინიციატივის სახელით გახდა ცნობილი, გულისხმობდა რაკეტების თავდასხმის მოსაგერიებელ ფარს და კონგრესშიც და მედიაშიც ქილიკისა და დაცინვის საგანს წარმოადგენდა. დღეს საყოველთაოდ მიიჩნევა, რომ სწორედ ამ გეგმებს უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა ლიდერების მიერ აღიარებას, რომ უპერსპექტივო იყო შეერთებული შტატების წინააღმდეგ გამალებული შეიარაღების შეჯიბრში მონაწილეობა.

ამავე დროს, რეიგანი თავისი განცხადებებით, რომლითაც უილსონის მორალიზმის უკიდურეს ზღვარს ეხმიანებოდა, გარკვეულ ფსიქოლოგიურ დინამიკასაც ქმნიდა. ალბათ ამის ყველაზე ნათელი მაგალითია მისი სიტყვა, წარმოთქმული 1989 წელს, პრეზიდენტობის ვადის დასრულებისას. ამ გამოსვლაში რეიგანმა აღწერა ამერიკა, როგორც ბორცვზე მდებარე მანათობელი ქალაქი:

> მთელი ჩემი პოლიტიკური ცხოვრების განმავლობაში ვლაპარაკობდი მანათობელ ქალაქზე, მაგრამ არ ვიცი, როდესმე მოვახერხე თუ არა იმის ზუსტად გადმოცემა, რაც თვალწინ მედგა. ჩემს წარმოდგენაში ეს იყო მაღლა

> მსწრაფი, ამაყი ქალაქი, უფრო მყარად მდგარი კლდეზე, ვიდრე ოკეანე; მას ყოველი მხრიდან ქარი უტევდა, ქალაქი ღმერთს დაელოცა და ყველა რჯულის ადამიანით დაესახლებინა; ისინი იქ ჰარმონიულად და მშვიდობიანად ცხოვრობდნენ – ქალაქს ბევრი ნავსადგური ჰქონდა, გაცხოველებული იყო ვაჭრობა და შემოქმედებითი ცხოვრება და თუ ამ ქალაქს გალავანი დასჭირდებოდა, გალავანს ბევრი კარიბჭე ექნებოდა, ღია ყველასთვის, ვისაც იქ მოსვლის სურვილი მოეძალებოდა.
>
> ასე ვხედავდი მე ამ ქალაქს და ახლაც ასე ვხედავ.

ამერიკა, როგორც მანათობელი ქალაქი რეიგანისთვის მხოლოდ მეტაფორა არ ყოფილა – მისთვის ცხადად არსებობდა, ეს მისი დაუოკებელი სურვილი იყო.

ეს იყო მნიშვნელოვანი განსხვავება რონალდ რეიგანსა და რიჩარდ ნიქსონს შორის, რომელთა პოლიტიკა, სხვა მხრივ, უმეტესად პარალელური ხასიათის და ხშირად მსგავსი იყო. ნიქსონი საგარეო პოლიტიკას უყურებდა როგორც დაუსრულებელ პროცესს, რიტმების თანმიმდევრობას, რომელიც დაძლევას მოითხოვდა. მის ჩახლართულობას და წინააღმდეგობებს განსაკუთრებით მომთხოვნი მასწავლების მიერ გაცემული საშინაო დავალების მსგავსად ეპყრობოდა. ნიქსონი, რა თქმა უნდა, მოელოდა, რომ ამერიკა უპირატესობას შეინარჩუნებდა, მაგრამ ეს ხანგრძლივ და უსიამოვნო ძალისხმევად დაუჯდებოდა და ალბათ აღსრულება მხოლოდ მისი თეთრი სახლიდან წასვლის შემდეგ წლებში ეწერა. რეიგანი კი სულ სხვაგვარად ფიქრობდა; მან თავის ერთ-ერთ მრჩეველთან საუბრისას ცივი ომის სტრატეგია ჩვეული ოპტიმისტური ეპიგრამით ჩამოაყალიბა: „ჩვენ ვიგებთ, ისინი აგებენ“. ნიქსონის პოლიტიკის სტილი მნიშვნელოვანი იყო ცივი ომის პირობებში

დიპლომატიის ასამუშავებლად; რეიგანის სტილი კი აუცილებელი მისი დასრულებისთვის.

ზერელე დაკვირვებისას, ხანდახან შეიძლებოდა გეფიქრა, რეიგანს თავისი რიტორიკით აღმოსავლეთ-დასავლეთის დიპლომატიის ყველა მცდელობის დასამარება სურსო. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა 1983 წლის მარტში წარმოთქმულ სიტყვაში, როცა საბჭოთა კავშირი „ბოროტების იმპერიად" მოიხსენია. მაგრამ სიღრმისეულად თუ დავაკვირდებით, მისი ლაპარაკის სტილი სიმბოლურად განასახიერებდა გარდამავალ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირმა დაინახა თავისი გამალებული შეიარაღების უპერსპექტივობა და როდესაც მისი ხანდაზმული ლიდერები მემკვიდრის შერჩევის გამოწვევის წინაშე დადგნენ. მაგრამ რეიგანი გამოუცნობი ადამიანი იყო, რასაც ხშირად სისადავით ფარავდა. მან საბჭოთა კავშირთან შერიგების პროგრამაც წარადგინა, რომელიც ბევრად უფრო შორსმჭვრეტელური იყო, ვიდრე ნიქსონის წარმოდგენა.

რეიგანს მიაჩნდა, რომ კომუნისტების უდრეკობა უფრო მათ არცოდნას ემყარებოდა, ვიდრე ბოროტ განზრახვას, უფრო გაუგებრობებს, ვიდრე მტრობას. ნიქსონისგან განსხვავებით, რომელსაც სჯეროდა, რომ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის თანხმობას მიაღწევდა, თუ ორივეს ეროვნულ ინტერესებს შეაფასებდა და შესაბამისად გაითვალისწინებდა, რეიგანს მიაჩნდა, რომ კონფლიქტს დაასრულებდა, თუ მოწინააღმდეგე შეიცნობდა ამერიკის პრინციპების უპირატესობას. როდესაც პარტიის ვეტერანი, კოსტანტინ ჩერნენკო 1984 წელს სკკპ-ს გენერალურ მდივნად და საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიდერად აირჩიეს, რეიგანმა თავის დღიურს გაანდო: „განცდა მაქვს, რომ მასთან ჩვენს პრობლემებზე თუ ვისაუბრებ, როგორც კაცი კაცთან, შეიძლება დავარწმუნო კიდეც, რომ საბჭოთა კავშირისთვის მატერიალურად უკეთესი იქნება, ხალხთა თანამეგობრობას თუ შეურთდება და ა. შ.".

როდესაც ერთი წლის შემდეგ მიხაილ გორბაჩოვი გახდა ჩერნენკოს მემკვიდრე, რეიგანის ოპტიმიზმი გაიზარდა. მან თავის მრჩევლებს უამბო, როგორ ოცნებობდა, საბჭოთა ლიდერი ამერიკის მუშათა კლასის საცხოვრებელ კვარტალში წაეყვანა ექსკურსიაზე. როგორც მისი ერთ-ერთი ბიოგრაფი აღწერს, რეიგანს წარმოედგინა, რომ „ვერტმფრენით ჩაფრინდებოდნენ და იგი გორბაჩოვს ეტყოდა, ნებისმიერ კარზე დააკაკუნე და იკითხე, რა აზრის არიან ჩვენს სისტემაზეო. მუშები კი უპასუხებდნენ, რა არაჩვეულებრივია ამერიკაში ცხოვრება“. ასეთ რამეს თუ ნახავდნენ, საბჭოელები საბოლოოდ გადაწყვეტდნენ დემოკრატიის მსოფლიო მოძრაობას შეერთებოდნენ, რადგან „მთავრობა, რომელიც ეყრდნობა მოქალაქეების ნებას, არასოდეს დაიწყებს ომს მეზობელთან“ – საერთაშორისო წესრიგის უილსონისეული კონცეფციის მთავარი პრინციპი.

ატომური იარაღის კონტროლზე საკუთარი ხედვის განსახორციელებლად რეიგანმა 1986 წელს რეიკიავიკში გორბაჩოვთან გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე წამოაყენა წინადადება, გაენადგურებინათ ყველა ბირთვული მზიდი რაკეტა, მაგრამ შეენარჩუნებინათ და განევითარებინათ რაკეტების მომგერიელებელი სისტემები. ასეთი შედეგით რეიგანი მიაღწევდა ხშირად გაცხადებულ მიზანს – ატომური ომის საფრთხის მოგერიებას შეტევის რესურსების განადგურების ხარჯზე, მაშინ, როცა შეთანხმების დარღვევა შემოისაზღვრებოდა ან აღიკვეთებოდა კიდეც რაკეტების მოგერიების სისტემების საშუალებით. ეს იდეა გორბაჩოვის წარმოსახვის უნარს აღემატებოდა, ამიტომ უმნიშვნელო საკითხზე გააჯანჯლა მოლაპარაკება, კერძოდ, შეიძლებოდა თუ არა მომგერიებელი რაკეტები გამოეცადათ „ლაბორატორიულ პირობებში. (მზიდი რაკეტების სისტემის განიარაღების წინადადება მაინც განუხორციელებელი იყო, რადგან ამას სას-

ტიკად უპირისპირდებოდნენ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეთჩერი და საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი. ორივეს სწამდა, რომ ევროპა ბირთვული იარაღის გარეშე დაუცველი იქნებოდა და ამიტომ თავიანთ, აშშ-სგან დამოუკიდებელ ბირთვულ პოტენციალში ულტიმატურ დაზღვევას ხედავდნენ.) წლების შემდეგ ვკითხე საბჭოთა კავშირის ელჩს, ანატოლი დობრინინს, რატომ არ შემოგვთავაზა საბჭოთა კავშირმა იარაღის გამოცდის საკითხზე კომპრომისული წინადადება-მეთქი. მან მიპასუხა: „რადგან საერთოდ არ მოგვსვლია თავში, რომ რეიგანი ადგებოდა და კონფერენციას მიატოვებდაო".

გორბაჩოვს სურდა, რეიგანის მოსაზრებისთვის საბჭოთა კავშირის რეფორმის კონცეფცია დაეპირისპირებინა. მაგრამ 1980-იან წლებში „ძალთა ბალანსი", რომელსაც საბჭოთა ლიდერები თავიანთი მმართველობის ათწლეულების განმავლობაში დაუღალავად ეყრდნობოდნენ, მათთვის საზიანოდ გადაიხარა. ოთხი ათწლეულის იმპერიალური ექსპანსია მუდმივად და ყველა მიმართულებით ვერ გაგრძელდებოდა ეკონომიკის უუნარო მოდელზე დაყრდნობით. შეერთებულმა შტატებმა, მიუხედავად შიდა დაძაბულობისა და არასტაბილურობისა, მაინც მოახერხა თავისი პოზიციის გამაძლიერებელი ძირითადი ნიშნები შეენარჩუნებინა. ორი თაობის განმავლობაში ჭედდა ამერიკა არაფორმალურ ანტისაბჭოთა კოალიციას, რომელსაც ყველა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი და განვითარებადი ქვეყნების უდიდესი ნაწილი ეკუთვნოდა. გორბაჩოვი მიხვდა, რომ საბჭოთა კავშირი ძველ კურსს დიდხანს ვეღარ შეინარჩუნებდა, მაგრამ სათანადოდ ვერ შეაფასა საბჭოთა სისტემის სიმყიფე. რეფორმებისადმი მისმა მოწოდებამ – ცნობილმა „გლასნოსტმა" და „პერესტროიკამ" – ბორკილებისაგან გაათავისუფლა ძალები, რომლებსაც ნამდვილი რეფორმების გატარება არაოგანიზებულობის გამო

არ შეეძლოთ; დემორალიზებულ ძალებს კი აღარც მმართველობის ტოტალიტარული სტილის შენარჩუნება შეეძლოთ – მივიღეთ დაახლოებით ის სიტუაცია, რასაც კენანი ნახევარი საუკუნით ადრე წინასწარმეტყველებდა.

რასაკვირველია, მხოლოდ დემოკრატიისადმი რეიგანის იდეალისტური ერთგულება ასეთ შედეგს ვერ მოიტანდა. უფრო მეტად, თავდაცვისა და ეკონომიკის დამაჯერებელმა პოლიტიკამ, საბჭოთა სისუსტეების ჭკვიანურმა ანალიზმა და გასაოცრად ხელსაყრელმა გარეშე პირობებმა შეუწყო ხელი მისი პოლიტიკის წარმატებას. ისიც უდავოა, რომ რეიგანის იდეალიზმმაც (მისი იდეალიზმი ხანდახან ისტორიის უარყოფას ესაზღვრებოდა) გამოიწვია საბჭოთა ჰეგემონიის დასასრული და დასაბამი მისცა დემოკრატიულ მომავალს მთელ მსოფლიოში.

ოთხი ათწლეულის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა მთავარ დაბრკოლებას მშვიდობიანი მსოფლიო წესრიგისკენ. ამ მოსაზრების შედეგი იყო რწმენა, რომ, თუკი ბუნდოვან, შორეულ მომავალში დაიშლებოდა კომუნიზმი, დადგებოდა სტრაბილურობისა და კეთილი ნების ეპოქა. მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ ისტორია, უმეტესად, უფრო გრძელ ციკლებად ვითარდება. და სანამ ახალ საერთაშორისო წესრიგს ააშენებდე, ცივი ომის ნანგრევებს უნდა მიხედო.

ეს ამოცანა ჯორჯ ბუშ უფროსს ერგო – პრეზიდენტს, რომელიც ამერიკის ჰეგემონიას სიფრთხილით უდგებოდა. პატრიციელი ბუში წარმოშობით კონექტიკუტიდან იყო. მან სიმდიდრის დაგროვება ტეხასში, მეწარმეებისთვის ამერიკის ყველაზე ხელსაყრელ შტატში გადაწყვიტა. ბუშმა, მთავრობის სიტემის ყველა დონეზე მუშაობის მრავალმხრივი გამოცდილების

საშუალებით, დიდი ოსტატობით გაართვა თავი მთელ რიგ გასაოცარ კრიზისებს, რომლებმაც სერიოზული გამოცდა მოუწყო როგორც ამერიკის ღირებულებებს, ასევე მის ძალაუფლებასაც. ბუშის გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე თვეში ჩინეთში, ტიანანმენის მოედნის აჯანყება არა მხოლოდ ამერიკის ძირითადი პრინციპებისთვის იყო გამოწვევა, არამედ დაისვა კითხვაც გლობალური წონასწორობის შენარჩუნების საკითხში ამერიკულ-ჩინური ურთიერთობების მნიშვნელობის შესახებ. ბუში, რომელიც ჩინეთთან ფორმალური ურთიერთობების დამყარებამდე პეკინში ამერიკული სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი იყო, ისეთ კურსს დაადგა, რომელმაც არა მხოლოდ ამერიკული პრინციპები დაიცვა, არამედ ჩინეთთან თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივაც შეინარჩუნა. მან ჭკვიანური დიპლომატიური ინიციატივებით მოახერხა ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება – გერმანიის გაყოფა მანამდე ომის შესაძლებელ მიზეზად განიხილებოდა. სწორი აღმოჩნდა მისი გადაწყვეტილება, ბოროტად არ ესარგებლა დაშლილი საბჭოთა კავშირის სისუსტით. ბუშმა ამ სულისკვეთების კარნახით თქვა უარი, 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემისას, ბერლინში გაფრენაზე და საბჭოთა ჰეგემონიური პოლიტიკის მარცხის აშკარა და სიმბოლური მტკიცებულების ზეიმით აღნიშვნაზე.

მაშინ, როცა ბუშმა ოსტატურად დაასრულა ცივი ომი, თვით ამერიკაში არსებულ მწვავე დაპირისპირებებზე თვალის დახუჭვა არ გამოდიოდა – ამერიკა უკვე ხედავდა შემდეგი სტადიის გამოწვევებს. ცივი ომის მინავლებამ განამტკიცა საერთო განწყობა, რომ გარდაქმნის ძირითადი სამუშაო შესრულებული იყო. დემოკრატიული ქვეყნები ახლა მხოლოდ უნდა დახმარებოდნენ დემოკრატიზაციის ბოლო ტალღას, რომელსაც მოეცვა ჯერ კიდევ ავტოკრატული მმართველობის ქვეყნები, შემდეგ კი მშვიდობიანი მსოფლიო წესრიგი თავისთავად დამყარდებოდა.

უილსონის ულტიმატური ხედვა ასე განხორციელდებოდა. თავისუფალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუციები განივრცობოდა და ბოლოს, დრომოჭმულ ანტაგონიზმს ჰარმონიის დიდი, ფართო ტალღა გადაფარავდა.

ამ სულისკვეთების კარნახით ჩაერია ბუში ომში, როდესაც ერაყი ქუვეითში შეიჭრა. სპარსეთის ყურის პირველი ომისთვის ბუშმა, გაეროს საშუალებით, მსურველთა კოალიცია შექმნა – კორეის ომის შემდეგ ეს იყო პირველი აქცია, რომელშიც მონაწილეობდნენ იღებდნენ დიდი სახელმწიფოები; მან სამხედრო ოპერაცია შეწყვიტა, როდესაც გაეროს რეზოლუციით განსაზღვრულ მიზანს მიაღწია. (ალბათ ეს იყო ისტორიული გაკვეთილიდან გაეროში ყოფილი ელჩის მიერ გამოტანილი დასკვნა – გენერალმა მაკარტურმა ინჩეონში გამარჯვების შემდეგ მარცხი იწვნია, როდესაც ორ კორეას შორის სადემარკაციო ხაზი გადალახა.)

1991 წელს სადამ ჰუსეინის მიერ ქუვეითის დაპყრობა ამერიკელების მეთაურობით შექმნილმა გლობალურმა კოალიციამ უკუაგდო. ამ მოვლენამ მცირე ხნით დაამყარა კონსენსუსი, რამაც ახალი სუნთქვა შთაბერა ამერიკელების მარადიულ იმედს, რომ მიაღწევდნენ წესებზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს. 1990 წლის ნოემბერში ბუშმა პრაღაში გამოაცხადა „თავისუფლების თანამეგობრობა“, რომელიც დაეყრდნობოდა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს, ეს იქნებოდა „მორალური საზოგადოება, გაერთიანებული თავისუფლების იდეალებით“. ნებისმიერ ქვეყანას შეეძლო ამ გაერთიანებაში შესვლა, რადგან „თითეული წევრი კიდევ ერთი ნაბიჯით გვაახლოებს ახალ მსოფლიო წესრიგთან“. „გვეძლევა ისტორიული შანსი... თავისუფლების თანამეგობრობის დიდი და მზარდი ძალით შევქმნათ ყველა ერისთვის ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც აქამდე ცნობილ ყველა წესრიგზე უფრო სტაბილური და უსაფრთხო იქნება“.

შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები ერთობლივად გადალახავენ „თავშეკავების პოლიტიკას და დაიწყებენ აქტიური მოღვაწეობის პოლიტიკას“.

ბუშის პრეზიდენტობა 1992 წლის არჩევნებში წაგებამ დაასრულა. იგი ნაწილობრივ იმიტომაც დამარცხდა, რომ საგარეო პოლიტიკის პრეზიდენტი იყო, მისი მონინააღმდეგე ბილ კლინტონი კი, ომით დაღლილ საზოგადოებას შიდა პოლიტიკურ დღის წესრიგზე კონცენტრირებას ჰპირდებოდა და ამომრჩეველმა უკეთესად მიიღო. მიუხედავად ამისა, ახალმა პრეზიდენტმა მალე გამოავლინა საგარეო პოლიტიკისადმი ინტერესი, რომელიც ისეთივე ძლიერი იყო, როგორც ბუშისა. კლინტონმა 1993 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას ჩამოაყალიბა ის მოლოდინი, რომელიც ჰქონდა იმ პერიოდისთვის; განაცხადა, რომ მისი საგარეო პოლიტიკის მიზანი არ არის „თავშეკავება“, არამედ არის „გაფართოება“. ახალი საფრთხეებისა და შესაძლებლობების ეპოქაში „ჩვენს უმაღლეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს ბაზარზე ორიენტირებული დემოკრატიების მსოფლიო თანამეგობრობის გაფართოება და გაძლიერება“. და რადგან პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების პრინციპები უნივერსალურია და პოლონეთიდან ერითრეამდე, გვატემალიდან სამხრეთ კორეამდე მოქმედებს, არ გვჭირდება სხვებისთვის „ჩვენი ცხოვრების წესის ან შეხედულებების თავზე მოხვევა“. კლინტონმა ამგვარად აღწერა ღონისძიებები, რომლითაც ძალაუნებურად გაგრძელდებოდა ისტორიული ევოლუცია. მან განაცხადა, რომ ამერიკა მოწადინებულია, შექმნას „აყვავებული დემოკრატიული ქვეყნების მსოფლიო, სადაც ყველა იცხოვრებს მშვიდობითა და თანამშრომლობით“.

როდესაც კლინტონის საგარეო საქმეთა მინისტრი ვორენ ქრისტოფერი შეეცადა, გაფართოების თეორია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის მიესადაგებინა და ეკონომიკური

შეთანხმებების საკითხი ჩინეთის მმართველობის სისტემის ცვლილებაზე დამოკიდებული გაეხადა, ჩინელებმა უხეშად მოიშორეს თავიდან. ჩინეთის მმართველობას ჰქონდა მტკიცე პოზიცია, რომ შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა მხოლოდ გეოსტრატეგიულ საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო და არა ჩინეთის (შეთავაზებულ) პროგრესზე პოლიტიკური ლიბერალიზაციის მიმართულებით. პრეზიდენტობის მესამე წელს კლინტონმა თავად თქვა უარი მსოფლიო წესრიგის თავის შეხედულებაზე უფრო პრაგმატული და ნაკლებად დაჩქარებული მიდგომის სასარგებლოდ.

მაგრამ, ამასობაში, კლინტონის „გაფართოების" სტრატეგია უაღრესად მილიტანტურ მოწინააღმდეგეს გადააწყდა. ჯიჰადიზმმა მსოფლიოს თავისი გზავნილი გააცნო და დასავლეთის ღირებულებებსა და ინსტიტუციებს დაესხა თავს – უპირველეს ყოვლისა კი შეერთებულ შტატებს, რომელსაც მიიჩნევდა ყველაზე დიდი დაბრკოლებად თავისი ექსპანსიის გზაზე. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე კლინტონის სიტყვამდე რამდენიმე თვით ადრე, ექსტრემისტების ინტერნაციონალურმა ჯგუფმა (მათ შორის ამერიკის ერთი მოქალაქეც იყო) ნიუ იორკში, მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განახორციელა ბომბით თავდასხმა. თუ თავდასხმა ჩაიშლებოდა, მეორე სამიზნედ ტერორისტებს გაეროს სამდივნოს შენობა ჰქონდათ მიზანში ამოღებული. ეს ცხადყოფს, როგორ ეზიზღებოდა ამ მოძრაობას სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო სამართლის ვესტფალიური წესრიგის კონცეფცია, რომელიც არ ემყარებოდა ყურანის მიერ მკაფიოდ დაშვებულ წესებს. ასევე აგდებით მოიხსენიებოდა დემოკრატია, რომელიც არ ეყრდნობოდა ისლამის რელიგიურ კანონზე – შარიაზე დაფუძნებულ სამართლებრივ შეხედულებას. ჯიჰადისტური მოძრაობის შეხედულებით, ამერიკა ჩაგრავდა მუსლიმებს, რომელთაც უნდა განეხორციელებინათ თავიანთი უნივერსალური მისია.

გამონვევა თვალსაჩინო გახდა 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკსა და ვაშინგტონზე განხორციელებული ტერორისტული აქტების მაგალითზე. ახლო აღმოსავლეთში, ცივი ომის დასასრულმა მაინც არ მოიტანა დემოკრატიული კონსენსუსის ნანატრი ეპოქა, არამედ მხოლოდ იდეოლოგიური და სამხედრო კონფრონტაციის ახალი დროება.

ავღანეთის და ერაყის ომები

„ვიეტნამის გაკვეთილების" შესახებ მტკივნეული დებატებიდან სამი ათწლეულის შემდეგ დილემა განმეორდა ავღანეთის და ერაყის ომებით. ორივე კონფლიქტის მიზეზი საერთაშორისო წესრიგის ჩამოშლამ წარმოშვა. ამერიკისთვის ორივე ომი უკანდახევით დამთავრდა.

ავღანეთი

ალ ქაიდამ 1998 წელს ფატვა გამოაცხადა და მთელ მსოფლიოში მოუწოდა ამერიკელებისა და ებრაელების განურჩეველი მკვლელობისკენ. ავღანეთი ტერორისტული ქსელების უსაფრთხო თავშესაფრად იქცა, რადგან ხელისუფლებაში მყოფი თალიბანი ალ ქაიდას ხელმძღვანელებისა და მისი მებრძოლების გადაცემაზე უარს ამბობდა. შეერთებული შტატების რეაქცია ამერიკის ტერიტორიაზე განხორციელებულ თავდასხმაზე გარდაუვალი იყო და მას მთელ მსოფლიოში გაგებით შეხვდნენ.

ამ მოვლენებმა ახალი პრობლემა გამოიწვია: როგორ უნდა შექმნილიყო საერთაშორისო წესრიგი, როდესაც უმთავრესი მოწინააღმდეგეები იყვნენ არასახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებსაც არ გააჩნდათ საკუთარი ტერიტორია და კატე-

გორიულად უარყოფდნენ ლეგიტიმურობის დამკვიდრებულ პრინციპებს?

ავღანეთში ომს თავიდან მხარს უჭერდა ეროვნული ერთიანობა და საერთაშორისო კონსენსუსი. მეტიც, წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის შანსი უკეთესიც კი ჩანდა, როდესაც ნატო-მ პირველად თავის ისტორიაში გამოაცხადა „კოლექტიური თავდაცვის" აუცილებლობის დადგომა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით, რომელიც ხელშეკრულების მხარეების „ჩრდილოეთ ამერიკის ან ევროპის ერთი ან რამდენიმე წევრის წინააღმდეგ შეიარაღებულ შეტევას განიხილავს, როგორც შეტევას ყველაზე". 11 სექტემბრის ტერორისტული აქტებიდან ცხრა დღის შემდეგ პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშ უმცროსმა ულტიმატუმი წაუყენა ავღანეთის თალიბანის ხელისუფლებას, რომელიც ისევ იფარავდა ალ ქაიდას: „გადაეცით შეერთებულ შტატებს ალ ქაიდას ყველა გავლენიანი წევრი, რომელიც იმალება თქვენს ქვეყანაში... მიეცით შეერთებულ შტატებს შეუზღუდავი წვდომა ტერორისტების საწვრთნელ ცენტრებზე, რომ დავრწმუნდეთ, მათ ოპერირება აღარ შეუძლიათ". როდესაც თალიბანმა მოთხოვნები არ შეასრულა, შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა დაიწყეს ომი, რომლის მიზანი ბუშმა 7 ოქტომბერს მოკლედ ჩამოაყალიბა: „ზედმიწევნით მიზანმიმართული ქმედებები ემსახურება იმას, რომ აღკვეთოს ტერორისტების მიერ ავღანეთის საოპერაციო ბაზად გამოყენება და გაანადგუროს თალიბანის რეჟიმის სამხედრო უნარები".

გაფრთხილება, რომ ავღანეთი თავისი ისტორიის განმავლობაში ხშირად გამხდარა „იმპერიის სასაფლაო", თავიდან დაუსაბუთებელი ჩანდა. ამერიკული, ბრიტანული და მათთან შეკრული ავღანური ჯარების სწრაფი შეტევის შედეგად თალიბანის რეჟიმი დაემხო. 2001 წლის დეკემბერში ბონში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ავღანეთის

მთავრობის სათავეში დროებით დასვეს ჰამიდ ყარზაი. ამავდროულად, გადაწყდა ლოია ჯირგას (ტრადიციული ავღანური ტომების საბჭოს) მოწვევა, რომელსაც უნდა დაეგეგმა და შეექმნა ავღანეთის ომისშემდგომი ინსტიტუციური სტრუქტურა. ამით მოკავშირეების საომარი მიზნები შესრულებული ჩანდა.

ბონის ავღანეთის კონფერენციის მონაწილეები ოპტიმისტურად შეთანხმდნენ მასშტაბურ პოზიციაზე, რომელიც გულისხმობდა „გენდერული და მულტიეთნიკური თანასწორობის ფართო საფუძველზე შექმნილ წარმომადგენლობით მთავრობას...“ ხოლო 2003 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ თავისი რეზოლუციით გასცა ნატო-ს საერთაშორისო უსაფრთხოების ჯარების მანდატის გაფართოების ნებართვა და მას მიანიჭა უფლება:

> დაეხმაროს ავღანეთის დროებით მმართველობასა და მის მემკვიდრეებს ქაბულსა და მის შემოგარენში უსაფრთხოების შენარჩუნებაში, რათა ავღანურმა უწყებებმა და გაეროს პერსონალმა უსაფრთხო გარემოში შეძლონ თავიანთი საქმიანობის განხორციელება.

ამერიკელების და მათი მოკავშირეების უმთავრეს მიზნად გამოცხადდა „ავღანეთის აღმშენებლობა“, რომელიც უნდა განხორციელებულიყო დემოკრატიული, პლურალისტული, გამჭვირვალე ავღანური მთავრობის მიერ, რომლის ძალაუფლება ვრცელდებოდა მთელ ქვეყანაზე; ასევე უნდა აშენებულიყო ავღანეთის ნაციონალური არმია, რომელიც ეროვნულ დონეზე აიღებდა უსაფრთხოების პასუხისმგებლობას. გასაოცარი იდეალიზმით ადარებდნენ ამ მიზნებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიასა და იაპონიაში დემოკრატიის აღდგენის საქმეს.

ავღანეთში ან თუნდაც ქვეყნის რომელიმე ერთ რეგიონში, მისი მთელი ისტორიის განმავლობაში არ არსებულა ინსტი-

ტუციები, რომლებიც პრეცედენტულ მაგალითად გამოდგებოდა ამ უაღრესად დიდ საქმეში. ავღანეთი ტრადიციულად ერქვა არა კონვენციური გაგებით სახელმწიფოს, არამედ იყო გეოგრაფიული სახელწოდება გარკვეული ტერიტორიისა, სადაც არასოდეს დამკვიდრებულა ერთადერთი მმართველობა ან სტრუქტურა. წერილობით შემონახული ისტორიის უდიდესი ნაწილის განმავლობაში, ავღანური ტომები და სექტები, ძირითადად, ერთმანეთს ეომებოდნენ, ხანდახან, დროებით ერთიანდებოდნენ მტრის შემოტევის მოსაგერიებლად ან რომელიმე მეზობელზე თავდასასხმელად. ქაბულის ელიტარული წრეები კი დროდადრო ატარებდნენ საპარლამენტო ინსტიტუციების ექსპერიმენტს, მაგრამ დედაქალაქიდან შორს ტომების ღირსების უძველესი კოდექსები მოქმედებდა. ავღანეთის ერთობა უცხოებმა გამოიწვიეს ძალაუნებურად, რადგან ტომები და სექტები უცხოს შემოჭრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

ქვეყანა, რომელშიც 21-ე საუკუნის დასაწყისში შეერთებული შტატებისა და ნატო-ს ჯარები შევიდა, არსებითად განსხვავდებოდა ავღანეთისგან, რომელსაც ახალგაზრდა უინსტონ ჩერჩილი აღწერდა 1897 წელს:

> თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოსავლის აღების დროს, როდესაც თვითგადარჩენის გამო დროებით ზავდებიან, პუშტუნები მუდმივად ბრძოლაში არიან ჩართულები – ან კერძოდ და ან სახალხოდ. თითეული მათგანი მეომარია, პოლიტიკოსი და თეოლოგი. თითოეული მოზრდილი სახლი ნამდვილი ფეოდალური ციხესიმაგრეა ... ყველა სოფელს საკუთარი თავდაცვა ჰყავს. ყველა ოჯახი იცავს ვენდეტას, ყველა გამოირჩევა თავისი საგვარეულო შუღლით. უამრავი ტომი თუ ტომთა ჯგუფი ანგარიშს უსწორებენ ერთმანეთს. არაფერს ივიწყებენ და ძალიან იშვიათად რჩება ვინმე სამაგიერომიუზღველი.

ამ კონტექსტში კოალიციისა და გაეროს მიზანი ავღანეთში გამჭვირვალე, დემოკრატიული, უსაფრთხო გარემოში მოქმედი ცენტრალური მთავრობის შექმნის შესახებ, დე ფაქტო ნიშნავდა ავღანეთის ისტორიის რადიკალურ გადახედვას. ამ გეგმის განხორციელება, რეალურად გამოიწვევდა ერთი კლანის სხვებზე მაღლა დაყენებას – ეს იქნებოდა ჰამიდ ყარზაის, ქვეყნის დროებითი პრეზიდენტის, პოპალცაის პუშტუნისტური კლანი. ამ ტომს უნდა განემტკიცებინა თავისი ძალაუფლება ქვეყანაში ან ძალადობრივად (საკუთარი და საერთაშორისო კოალიციის ძალის გამოყენებით), ან უცხოეთიდან შემოსული დახმარების სხვებისთვის განაწილებით, ან ამ ორივე მეთოდის ნაზავით. ასევე ვერ ასცდებოდა ქვეყანა თანამედროვე ინსტიტუციების აშენების მცდელობისას, უძველესი იერარქიის ფეხქვეშ გათელვას; ახლებურად გადანაწილდებოდა ტომთა ალიანსების კალეიდოსკოპი; უცხოური ძალები მას ვერც ჩასწვდებოდნენ და ვერც გააკონტროლებდნენ.

ამერიკაში 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები რთულ და ამბივალენტურ ვითარებაში ჩატარდა. ახალმა პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ საარჩევნო კამპანიის დროს განაცხადა, რომ ჯარს გამოიყვანდა ერაყში მიმდინარე „სულელური ომიდან" (რომლის დასრულებასაც მალე გეგმავდა) და მათ ავღანეთის „საჭირო ომში" გადაისროდა. მაგრამ პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას, ქვეყნის შიგნით ცვლილებები დაისახა პრიორიტეტად, როგორც ეს ხდებოდა ხოლმე მშვიდობიან დროს. შესაბამისად, ისევ ისეთი ამბივალენტურობის პირისპირ აღმოვჩნდით, რომელიც მუდამ თან ახლდა ამერიკის სამხედრო კამპანიებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ: იმავე განცხადებაში, რომლითაც ობამამ ჯარის 30 ათას ათასამდე გაზრდა გამოაცხადა, ილაპარაკა ჯარის 18 თვეში გამოყვანაზეც. როგორც განიმარტა, ბოლო ვადის დაწესება ემსახურებოდა ყარზაის მთავრობის მოტივაციას, დაეჩქარებინა სახელმწი-

ფოს მართვისა და სამხედრო ძალების მოდერნიზაციის პროგრამის განხორციელება ამერიკელების სწრაფად ჩანაცვლების მიზნით. ამგვარად, თალიბანს ერთადერთი მიზანი დარჩა მისაღწევი – კოალიციურ ძალებზე მეტხანს გაეძლო პარტიზანული სტრატეგიის საშუალებით. რადგან გამოცხადებული იყო ჯარის გაყვანის ზუსტი ვადა, რა დროიდანაც ქვეყანა ვეღარ მიიღებდა დახმარებას გარედან, ქაბულის ხელისუფლებამ დაუყონებლივ დაიწყო სხვადასხვა ბანაკებთან და დაჯგუფებებთან რაც შეიძლება სარფიანი შეთანხმებების მიღწევა – ზოგან თალიბანიც კი მონაწილეობდა.

წინსვლა, რომელსაც ავღანეთმა ამ პერიოდში მიაღწია, მართლაც აღსანიშნავია და უზარმაზარი ძალისხმევის შედეგი. მოსახლეობისგან დიდ გამბედაობას მოითხოვდა დემოკრატიული არჩევნების ინსტიტუციის მიღება, მით უმეტეს, რომ თალიბანი ისევ ემუქრებოდა სიკვდილით ყველას, ვინც მონაწილეობას მიიღებდა დემოკრატიულ სტრუქტურებში. შეერთებულმა შტატებმა მოახერხა ოსამა ბინ ლადენის განადგურება – კიდევ ერთი ძლიერი გზავნილი, რომ ამერიკას მთელ მსოფლიოზე აქვს წვდომა და პრინციპულად იბრძვის სისასტიკის წინააღმდეგ.

და მაინც, ისევ დიდ გამოწვევად რჩება რეგიონისთვის მომავლის რწმენის გაღვივება. ამერიკის ჯარის გამოყვანის შემდეგ დადგება დრო (სწორედ ამ წიგნის წერისას დგება ეს დრო), როცა ავღანეთის მთავრობის ძალაუფლება ქაბულზე და მის შემოგარენზე გავრცელდება, მაგრამ ალბათ მთლიანად და თანაბრად ვერ მოიცავს მთელ ქვეყანას. ალბათ შეიკვრება ნახევრადავტონომიური, ფეოდალური ტერიტორიების კონფედერაციები, დამყარებული ეთნიკურ ურთიერთობებზე და მოქცეული უმეტესად ერთმანეთთან მოპაექრე უცხოური ძალების გავლენის ქვეშ. გამოწვევა ისევ საწყის

წერტილს დაუბრუნდება – შეესაბამება თუ არა დამოუკიდებელი ავღანეთი რეგიონულ პოლიტიკურ წესრიგს.

ავღანეთის მეზობლებს ოდნავ მსგავსი – სამომავლოდ კი უდიდესი – ეროვნული ინტერესი უნდა ჰქონდეთ, როგორც შეერთებულ შტატებს, რომ ავღანეთში დამყარდეს და განვითარდეს კოჰერენტული, არაჯიჰადისტური სახელმწიფო სისტემა. ავღანეთის ყველა მეზობელს ემუქრება საკუთარ საზღვრებს შიგნით ძლიერი არეულობის რისკი, თუ ავღანეთი დაუბრუნდება ომისწინანდელ სტატუსს, როგორც არასახელმწიფო ჯიჰადისტური ორგანიზაციების ბაზა ან განვითარდება ჯიჰადისტური პოლიტიკის მიმდევარი სახელმწიფოს გზით – პაკისტანის მთელი პოლიტიკური სტრუქტურა დადგება საფრთხის ქვეშ, რუსეთის ნაწილობრივ მუსლიმური რეგიონები სამხრეთსა და დასავლეთში, ჩინეთის ავტონომიური რეგიონი სინძიანი, სადაც მოსახლეობის უმეტესობას მუსლიმური იუგურები წარმოადგენენ და თვით შიიტურ ირანშიც გაიღვიძებენ ფუნდამენტალისტური სუნიტური ტენდენციები. სტრატეგიული თვალსაზრისით, ტერორისტების მფარველი ავღანეთისგან ყველა მათგანს მეტი საფრთხე ელის, ვიდრე შეერთებულ შტატებს (გამონაკლისი ალბათ მხოლოდ ირანია, რომლის ლიდერებმაც შეიძლება იფიქრონ – როგორც სირიაში, ლიბანსა და ერაყში მოხდა – რომ საზღვრებთან ქაოსური ვითარება გაუიოლებთ ირანის მოქიშპე დაჯგუფებების მართვას).

ულტიმატური ირონია იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ ომის შედეგად დაქუცმაცებული ავღანეთი გახდა სატესტო შემთხვევა, რომელიც აჩვენებს, შესაძლებელია თუ არა რეგიონული წესრიგის განვითარება უსაფრთხოების განსხვავებული ინტერესებიდან და ისტორიული პერსპექტივიდან გამომდინარე. გრძელვადიანი საერთაშორისო პროგრამის გარეშე, რომელიც გასცემს ავღანეთის უსაფრთხოების გარანტიას, ყველა დიდი

მეზობელი დაეხმარება დაპირისპირებულ ფრაქციებს, მიუხედავად ძველი ეთნიკური და რელიგიური გამყოფი ხაზებისა. ყველაზე მოსალოდნელი შედეგი შესაძლებელია იყოს ქვეყნის დე ფაქტო გაყოფა, სადაც პაკისტანი გააკონტროლებს პუშტუნისტურ სამხრეთს, ხოლო ინდოეთი, რუსეთი და ალბათ ჩინეთიც ამჯობინებენ ეთნიკურად ჭრელ ჩრდილოეთს. ვაკუუმის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დიდი დიპლომატიური ძალისხმევა, რათა დამყარდეს ქმედითი რეგიონული წესრიგი, რომელიც მიზნად დაისახავს აღკვეთოს ავღანეთის ისევ ჯიჰადიზმის ცენტრად გადაქცევა. მე-19 საუკუნეში დიდი სახელმწიფოები წარმოადგენდნენ ბელგიის ნეიტრალურობის გარანტიას, რამაც თითქმის ას წელს გასტანა. იქნებ რაიმე მსგავსმა, სიტუაციაზე მორგებულმა მოდელმა იმუშაოს ავღანეთში? რადგან, თუკი გავექცევით ამ ან სხვა მსგავსი კონცეფციის განხორციელებას, ავღანეთი ალბათ ისევ ჩაითრევს მსოფლიოს თავის მარადიულ ომში.

ერაყი

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ უმცროსმა წარმოადგინა გლობალური სტრატეგიული გეგმა ჯიჰადისტური ექსტრემიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და ეტაბლირებული საერთაშორისო წესრიგის დემოკრატიული ტრანსფორმაციისადმი ვალდებულების გასაძლიერებლად. თეთრი სახლის გამოცემაში "National Security Strategy" 2002 წელს აღნიშნული იყო, რომ მე-20 საუკუნეში გაჩაღებულმა ომებმა ცხადყო – „ერთადერთი უტყუარი მოდელი ეროვნული წარმატების მისაღწევად არის: თავისუფლება, დემოკრატია და თავისუფალი ეკონომიკა".

„ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის" დოკუმენტში, გარდა ამისა, წერია, რომ ამჟამად მსოფლიო უპრეცედენტო

ტერორისტულმა სისასტიკემ შოკში ჩააგდო; დიდი სახელმწიფოები „დაჯგუფდნენ – ისინი გააერთიანა ტერორისტული ძალადობის და ქაოსის საერთო საშიშროებამ". დიდ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ინსტიტუციებისა და მჭიდრო თანამშრომლობის წახალისებამ შექმნა „საუკეთესო შანსი (მე-17 საუკუნეში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ ასეთი შანსი არ ყოფილა) ისეთი მსოფლიოს ასაშენებლად, რომელშიც ქვეყნები უკეთ ითანამშრომლებენ და „ერთმანეთს გაეჯიბრებიან მშვიდობის განმტკიცებაში და არა ომისთვის მზადებაში". ამ პოლიტიკის უმთავრესი ნაწილით, რომელსაც საბოლოოდ „სამშვიდობო დღის წესრიგი" – Freedom Agenda – ეწოდა, შესაძლებელი უნდა გამხდარიყო ერაყის ტრანსფორმაცია. ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე რეპრესიული სახელმწიფო უნდა გარდაქმნილიყო მრავალპარტიულ დემოკრატიად და რეგიონების სხვა სახელმწიფოებშიც უნდა შეეტანა დემოკრატიული გარდაქმნების მუხტი. „ერაყში დემოკრატია აუცილებლად გაიმარჯვებს და ეს წარმატება იქნება გზავნილი დამასკოდან თეირანამდე, რომ თავისუფლების მოპოვება ყველა ერის შესაძლებლობაა".

Freedom Agenda არ ყოფილა ერთი პრეზიდენტის და მისი მრჩევლების აკვიატება, როგორც მოგვიანებით ამტკიცებდნენ. მისი ფუნდამენტური საწყისი წარმოადგენდა კვინტესენციური ამერიკული იდეების ხორცშესხმას. 2002 წლის „უსაფრთხოების ეროვნულ სტრატეგიაში", სადაც პირველად ახსენეს Freedom Agenda, გაიმეორეს არგუმენტები National Seurity Council Report 68 (NSC-68)-დან, რომლითაც ჯერ კიდევ 1950 წელს ასაბუთებდნენ ამერიკის სტრატეგიას ცივ ომში, მხოლოდ ერთი გადამწყვეტი განსხვავებით. 1950 წლის დოკუმენტი თავისუფალი მსოფლიოს დასაცავად ამერიკულ ღირებულებებს ეყრდნობოდა. 2002 წლის დოკუმენტი კი თავისუფლების უნი-

ვერსალური ღირებულების სახელით მოუწოდებდა, დასრულებულიყო ტირანია მთელ მსოფლიოში.

1991 წლის გაეროს უშიშროების საბჭოს 687-ე რეზოლუციამ ერაყს მოუწოდა გაენადგურებინა მასობრივი განადგურების იარაღის მარაგები და ვალდებულება აეღო, რომ აღარასდროს განავითარებდა მსგავს იარაღს. მომდევნო წლებში ერაყს ათი რეზოლუციით წაუყენეს ვალდებულებების უხეში დარღვევის ბრალდება.

ერაყში ინვაზია, რომელიც, ძირითადად, რეზოლუციების შესრულების კონტროლს ემსახურებოდა, წარმოჩენილი იყო როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიის გავრცელების პროექტი. ამით განსხვავდებოდა იგი სხვა აქციებისგან და აქცევდა მას ამერიკული ტრადიციის შესაბამის მცდელობად. ამერიკა რადიკალური ისლამისტური უნივერსალურობის პრეტენზიის წამლეკავ ნიაღვარს კვლავ პასუხობდა საკუთარი ღირებულებების და მსოფლიო წესრიგის თავისი კონცეფციის უნივერსალურობის საგანგებო ხაზგასმით.

ეს ფუნდამენტური მიდგომა თავიდან ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა, განსაკუთრებით, სადამ ჰუსეინის ჩამოგდების გამო. 1998 წელს კონგრესმა ორივე პარტიის დიდი უმრავლესობის ხმებით დაამტკიცა კანონი ერაყის გათავისუფლების შესახებ (360 – 38 წარმომადგენლობით პალატაში და ერთხმად სენატში). კანონის ტექსტში წერია, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკამ მხარი უნდა დაუჭიროს ყველა მცდელობას, რათა ერაყში ძალაუფლებას ჩამოაშოროს სადამ ჰუსეინის რეჟიმი; გარდა ამისა, უნდა გადაიდგას ნაბიჯები დემოკრატიული მთავრობის შესაქმნელად". 1998 წლის 31 ოქტომბერს, კანონის სენატში გატანის და ხელმოწერის დღეს, პრეზიდენტმა კლინტონმა ორივე პარტიას შორის არსებული კონსენსუსი შემდეგნაირად გამოხატა:

> შეერთებულ შტატებს სურს, რომ ერაყი დაუბრუნდეს მსოფლიოს ხალხთა ოჯახს, როგორც თავისუფლების მოყვარული და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთგული წევრი. ეს არა მხოლოდ ჩვენს ინტერესშია, არამედ რეგიონში ჩვენს მოკავშირეთა ინტერესშიც... შეერთებული შტატები დაეხმარება ერაყის საზოგადოების ყველა სექტორის ოპოზიციურ ჯგუფებს, რომელთაც მიენიჭებათ უფლება მოსახლეობის მიერ მხარდაჭერილი მთავრობის შექმნისა.

რადგან ერაყში სადამ ჰუსეინის მიერ რკინის ხელით მართული ბათის პარტიის გარდა სხვა პოლიტიკური პარტიები აკრძალული იყო და ოფიციალურად ოპოზიცია არ არსებობდა, პრეზიდენტის სიტყვები მიანიშნებდა, რომ შეერთებული შტატები ფარული პროგრამით შეეცდებოდა ერაყელი დიქტატორის დამხობას.

ერაყში სამხედრო ინტერვენციის შემდეგ, ჯორჯ ბუშ უმცროსმა, 2003 წლის ნოემბერში, National Endowment for Democracy-ს დაარსების 20 წლის იუბილეზე სიტყვით გამოსვლისას, დააზუსტა ამ პოლიტიკის შემდგომი გართულებები. ბუშმა გააკრიტიკა რეგიონში შეერთებული შტატების ადრინდელი პოლიტიკა, რადგან მისი მიზანი იყო სტაბილურობის მიღწევა თავისუფლების ხარჯზე:

> სამოც წელზე მეტია, დასავლელი სახელმწიფოები მოთმინებით აკვირდებიან და შეეგუნენ კიდეც ახლო აღმოსავლეთში დიქტატორულ მმართველობას, ვიდრე ჩვენთვის საფრთხე არ წარმოიქმნა. სამომავლოდ სტაბილურობა არ დამყარდება, ვიდრე თავისუფლება იქნება შეზღუდული.

21-ე საუკუნის შეცვლილ ვითარებაში ტრადიციული პოლიტიკური მიდგომები გაუთვალისწინებელ რისკებს შეიცავს, გა-

ნაცხადა ბუშმა. ამიტომაც ამჯობინა მისმა ადმინისტრაციამ, სტაბილურობის პოლიტიკიდან გადასულიყო „ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისკენ მიმართულ სტრატეგიაზე". ამერიკის გამოცდილებამ ევროპასა და აზიაში აჩვენა, რომ „თავისუფლებისკენ სწრაფვას მივყავართ მშვიდობამდე".

მე მხარს ვუჭერდი გადაწყვეტილებას ერაყში რეჟიმის ცვლილების შესახებ. მაგრამ მაინც მეეჭვებოდა, რაც საჯაროდ და სამთავრობო ორგანოებშიც ხშირად გამომითქვამს – საჭირო იყო ამ მისიის ნაციის ჩამოყალიბებაზე გავრცობა და მისთვის ამდენად უნივერსალური მნიშვნელობის მინიჭება? მაგრამ სანამ ჩემს ეჭვებს ჩავუღრმავდებოდე, მინდა უცვლელი პატივისცემა და დაფასება გამოვხატო პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უმცროსის მიმართ. მან ამერიკა არეულ დროში გაბედულად, ღირსეულად და რწმენით გაიყვანა სამშვიდობოს. მისი მიზნები და მოღვაწეობა ღირსებას მატებდა მის ქვეყანას, გინდაც მისი მიზნები, ზოგ შემთხვევაში, მიუღწეველი ყოფილიყო. Freedom Agenda-სთვის ბუშის ძალისხმევას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ ეს თემა მისთვის კვლავ უმთავრესად რჩებოდა. მას ეძღვნება დალასში ბუშის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის მიმართულებაც.

ბავშვობა ტოტალიტარულ სისტემაში გავატარე, როგორც დისკრიმინირებული უმცირესობის ნევრმა, ახალგაზრდობა კი შეერთებულ შტატებში, როგორც ემიგრანტმა – ანუ, საკუთარ ტყავზე გამოვცადე, რაოდენ მნიშვნელოვანია თავისუფლება ამერიკის ღირებულებათა სისტემაში. ამერიკული ტრადიციის დასაფასებელი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ამ ღირებულებების ფართოდ გაზიარება და დახმარების პროგრამების შეთავაზება – როგორიც იყო მარშალის გეგმა ან ეკონომიკური განვითარების სხვა პროგრამები. მაგრამ სულ სხვა არის, ამ ღირებულებების სამხედრო ოკუპაციის გზით

გადატანის მცდელობა მსოფლიოს იმ ნაწილში, სადაც მას ისტორიული ფესვები არ გააჩნია და თან, მოლოდინი, რომ პოლიტიკურად რელევანტურ დროში შესაძლებელია ფუნდამენტური გარდაქმნა განხორციელდეს. სწორედ ეს მოლოდინი ჰქონდა ბევრს, ვინც ამ პოლიტიკას მხარს უჭერდა (და ზოგ ოპონენტსაც კი). მაგრამ ეს პოლიტიკა სცდება იმას, რისი მხარდაჭერისთვისაც მზად იყო ამერიკული საზოგადოებრიობა და რისი შეთვისების უნარიც გამოავლინა ერაყის საზოგადოებამ.

ერაყს დაღი დაასვა ეთნიკურმა დაძაბულობამ და ათასწლოვანმა კონფლიქტმა სუნიტებსა და შიიტებს შორის, გამყოფი ხაზი კი ზედ ბაღდადზე გადის. ამ ფონზე, ისტორიული მოცემულობების მაინცდამაინც საომარ პირობებში გადაჭრის მცდლობა, ისევე, როგორც ამერიკის მთელი მოღვაწეობა ერაყში, სიზიფეს სამუშაოდ შეიძლება ჩაითვალოს. სიძნელეებს კიდევ უფრო ამძაფრებს მეზობელი რეგიონის პრინციპული ოპოზიციური დამოკიდებულება. ამგვარად, ეს წამოწყება იქცა უსასრულო და წარუმატებელ ძალისხმევად.

სადამ ჰუსეინის სასტიკი მმართველობის პლურალისტული დემოკრატიით შეცვლის სურვილი ბევრად უფრო ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა, ვიდრე დიქტატორის დამხობა. ერაყში შიიტები ქმნიან უმრავლესობას, მაგრამ ჰუსეინმა მათ უფლებები ჩამოართვა და ათწლეულების განმავლობაში ჩაგრავდა. დემოკრატიისგან ახლა ისინი მოელოდნენ სახელმწიფოს სადავეების მოპოვებას, რაც, მათი აზრით, რიცხობრივი უმრავლესობის გამო ეკუთვნოდათ. სუნიტები კი, თავის მხრივ, დემოკრატიაში ხედავდნენ უცხოურ შეთქმულებას, რომელიც მიზნად ისახავდა მათ დაჩაგვრას. ამიტომ, სუნიტების უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა 2004 წლის პირველ თავისუფალ საპარლამენტო არჩევნებს, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ომისშემდგომი განვითარებისთვის გადამწყვეტი იყო.

ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრებმა ქურთებმა, რომელთაც არ დავიწყნოდათ ბაღდადის სისხლისმღვრელი შეტევები, უმალვე დაიწყეს თავიანთი სეპარატისტული სამხედრო ძალის შენება. მათი მიზანი იყო ჩრდილოეთში მდებარე ნავთობის საბადოების გაკონტროლება, საკუთარი შემოსავლების უზრუნველსაყოფად და სახელმწიფო ბიუჯეტისგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მაგრამ რასაც ისინი ქურთების ავტონომიას ეძახდნენ, თითქმის არ განსხვავდებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს განმარტებისგან.

ერაყში რევოლუციისა და უცხოური ოკუპაციის გამო ისედაც უაღრესად დაძაბულ ვითარებას, 2003 წლის შემდეგ, კიდევ უფრო ამწვავებდნენ გარე ძალები და მზაკვრულად იყენებდნენ სიტუაციას თავიანთ სასარგებლოდ. ასეთი იყო ირანი, რომელიც შიიტურ დაჯგუფებებს ეხმარებოდა ახლადჩამოყალიბებულ მთავრობაში ავტორიტეტის მოსაპოვებლად. აგრეთვე, სირია, რომელიც ხელს უწყობდა იარაღისა და ჯიჰადისტების გადაადგილებას საკუთარ ტერიტორიაზე (როგორც ახლახან გამოჩნდა, თავისი ეროვნული ერთობისთვის კატასტროფული შედეგებით) და ბოლოს ტერორისტული ქსელი ალ ქაიდა, რომელიც სისტემატურ, სისხლისმღვრელ კამპანიას აწარმოებდა შიიტების წინააღმდეგ. სამივე მოთამაშე ერაყის ომისშემდგომ წესრიგში ჭვრეტდა თავის უპირობო გამარჯვებას, ძალაუფლების, ტერიტორიებისა და ნავთობის საბადოების მოსაპოვებლად.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, 2007 წლის იანვარში, პრეზიდენტმა ბუშმა მიიღო გაბედული გადაწყვეტილება, ერაყში დამატებითი ჯარების გაგზავნის შესახებ, რაც მიზნად ისახავდა ძალადობის შეჩერებას. მისი წინადადება წარმომადგენლობით პალატაში 246 დეპუტატმა დაიწუნა არასავალდებულო რეზოლუციით და მიუხედავად იმისა, რომ სენატში გადაწყვეტილება პროცედურული მიზეზებით ჩავარდა, 56-მა

სენატორმა დაუჭირა მხარი ჯარის გაზრდის მიმართ უარყოფით პოზიციას. შემდეგ სენატის უმრავლესობის ლიდერმა განაცხადა: „ეს ომი წაგებულია, ჯარის გაზრდა ვეღარაფერს უშველის". იმავე თვეში წარმომადგენლობითმა პალატამ და სენატმა მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ჯარის გამოყვანა უნდა დაწყებულიყო ერთი წლის განმავლობაში. ბუშმა ამ კანონს ვეტო დაადო.

ამბობენ, ბუშმა 2007 წელს ერთ-ერთი სხდომა, სადაც სტრატეგიის დაგეგმვა ხდებოდა, ასეთი კითხვით დაამთავრაო: „გამარჯვება თუ არ გვინდა, რაღა დაგვიკარგავს მაშინ იქ?" ეს კითხვა ცხადყოფს პრეზიდენტის პრინციპულობას და თან წარმოაჩენს ტრაგედიას ქვეყნისა, რომლის მოსახლეობა ნახევარ საუკუნეზე მეტია, თავის ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს დედამიწის ყველაზე მიგდებულ ნაწილებში აგზავნის მშვიდობის დასაცავად, მაგრამ იქ, სადაც ჩადიან, პოლიტიკურ სისტემას არ გააჩნია საერთო, მტკიცე მიზნების განხორციელების უნარი. რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ბუშმა, საბოლოოდ, მაინც გაბედულად გადაწყვიტა ჯარი გაეზარდა, ხოლო გენერალმა დევიდ პეტრეუსმა ბრწყინვალედ განახორციელა მისია და მოსალოდნელი ჩამოშლის ფონზე საპატიო შედეგსაც მიაღწია, ამერიკაში განწყობა შეიცვალა. ბარაკ ობამამ დემოკრატებს შორის ნომინაცია ნაწილობრივ იმიტომაც მოიგო, რომ ერაყის ომის წინააღმდეგი იყო. მან ინაუგურაციის დროსაც განაგრძო თავისი წინამორბედის საჯარო კრიტიკა და განაცხადა, რომ სურდა ომიდან „გამოსვლის სტრატეგიის" განხორციელება. ამ წინადადებაში აქცენტი სიტყვა „გამოსვლაზე" დაისვა და არა სტრატეგიაზე. ამ წიგნის წერის დროს ერაყი წარმოადგენს ბრძოლის ცენტრალურ ველს რეგიონის კვლავაც გამძაფრებულ რელიგიურ დაპირისპირებაში: ერაყის მთავრობა იხრება ირანისკენ, სუნიტური მოსახლეობის ნაწილი სამხედრო ოპოზიციაში უდგას მთავრობას, რელი-

გიური უფსკრულის ორივე მხარის წარმომადგენლები მხარს უჭერენ სირიაში სხვადასხვა, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ჯიჰადისტურ მისწრაფებებს, ისლამისტური სახელმწიფოს ტერორისტული ჯგუფი კი ცდილობს ქვეყნის მთელ ჩრდილოეთ ნაწილში ხალიფატი შექმნას.

პრობლემა, ამასობაში, ბევრად გასცდა პოლიტიკურ დაპირისპირებას, რომელიც ახლდა ადრინდელ ღონისძიებებს. არაბული სამყაროს გულში კონსოლიდირება შეძლო ჯიჰადისტურმა პოლიტიკურმა ერთეულმა, რომელიც აღჭურვილია იარაღის მნიშვნელოვანი არსენალით და ფლობს ტრანსნაციონალურ საბრძოლო ძალას. იგი ჩართულია რელიგიურ ომში რადიკალურ ირანულ და ერაყულ შიიტურ დაჯგუფებებთან. ეს ყველაფერი ორგანიზებულ და უკომპრომისო საერთაშორისო ქმედებას ითხოვს, სხვა შემთხვევაში, კონფლიქტი მეტასტაზებს გაისვრის. შეერთებული შტატების და უშიშროების საბჭოს დანარჩენი წევრების მდგრადი სტრატეგიული ძალისხმევა, აგრეთვე, რეგიონული კონფლიქტის მხარეების მონდომება – სასწრაფო და აუცილებელია.

განზრახვა და შესაძლებლობა

როდესაც საბჭოთა კავშირი იმდენად აღზევდა, რომ გამოწვევად ექცა სახელმწიფოთა ვესტფალიურ სისტემას, მთელი საერთაშორისო წესრიგი დადგა საფრთხის წინაშე. გასულ რამდენიმე ათასწლეულს თუ გადავხედავთ, შეგვიძლია ვიკამათოთ, ყოველთვის იყო თუ არა ოპტიმალური ამერიკის სასურველი ბალანსი. მაგრამ ალბათ ვერ უარვყოფთ, რომ შეერთებულმა შტატებმა, მასობრივი განადგურების იარაღისა და პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობის ეპოქა-

ში, მშვიდობა შეინარჩუნა, ევროპის სიცოცხლისუნარიანობის აღდგენაში წვლილი შეიტანა და ახლადშექმნილ ქვეყნებს სასიცოცხლო ეკონომიკური დახმარება გაუწია.

მხოლოდ „ცხელი" ომების წარმოებისას ჰქონდა ამერიკას პრობლემები განზრახვისა და შესაძლებლობის ერთმანეთთან დაკავშირებაში. ამერიკამ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოებული ხუთი ომიდან (კორეა, ვიეტნამი, სპარსეთის ყურის პირველი ომი, ერაყი და ავღანეთი), მხოლოდ ერთში მოახერხა დასახული მიზნისთვის ისე მიეღწია – სპარსეთის ყურის პირველ ომში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უფროსის ხელმძღვანელობით – რომ არ გამოეწვია ქვეყანაში საზოგადოების უკიდურესი გახლეჩა. სხვა კონფლიქტები სხვადასხვანაირად დასრულდა – იყო პატის სიტუაციაც, იყო ჯარების ცალმხრივი გაყვანაც. გარდაუვალი იყო თუ არა ეს შედეგები ან, ზოგ შემთხვევაში, წინასწარ შეიძლებოდა განჭვრეტილიყო, სხვა დისკუსიის საგანია. ამ წიგნის მიზანია დაასკვნას, რომ ქვეყანამ, რომელმაც მსოფლიო წესრიგის ძიებაში აუცილებელი როლი უნდა შეასრულოს, ჯერ საკუთარი თავის წინაშე უნდა გაარკვიოს თავისი როლი.

ისტორიული მოვლენების ძირითადი არსი მათთვის, ვინც ამ მოვლენებს უშუალოდ განიცდის, მთელი განზომილებით ძნელი აღსაქმელია. ერაყის ომს შეგვიძლია მივაწეროთ კატალიზატორის მოქმედება რეგიონის უფრო მასშტაბური გარდაქმნის პროცესში, მაგრამ რამდენად ღრმა იყო მისი გავლენა, ჯერ არ ჩანს და „არაბეთის გაზაფხულის" გრძელვადიან შედეგზეც ისევე იქნება დამოკიდებული, როგორც ირანის ბირთვულ და გეოპოლიტიკურ მუქარასა და ჯიჰადისტების ერაყსა და სირიაზე თავდასხმაზე. 2005 წელს ერაყში პირველმა დემოკრატიულმა არჩევნებმა, ალბათ სათანადო წვლილი შეიტანა, რომ რეგიონის სხვა ქვეყნებშიც გამოიკვეთა პოლიტიკური აზრის გამოთქმისა და შესაბამისი ინსტიტუციების

მოთხოვნა. მაგრამ უნდა დაველოდოთ, შესაძლებელი იქნება თუ არა ამ მისწრაფებების შერწყმა ტოლერანტულობისა და სამშვიდობო კომპრომისებისთვის.

სანამ ამერიკა ჯერ კიდევ 21-ე საუკუნეში თავისი ომების გაკვეთილებს იკვლევს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქამდე არცერთ დიდ სახელმწიფოს არ დაუკავშირებია თავისი სტრატეგიული მისწრაფებები ასე საფუძვლიანად იმედთან, რომ კაცობრიობის მდგომარეობის გამოსწორებას შეძლებდა. ეს სრულიად განსაკუთრებული მისიაა, როდესაც ქვეყანა ომის მიზნად მხოლოდ მტრების დასჯას არ ისახავს, არამედ მათი ხალხების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასაც; მას გამარჯვება ჰეგემონიისთვის არ სჭირდება, არამედ თავისუფლების გასავრცელებლად. ამერიკა თავის თავს უღალატებდა, ამ, მასში ღრმად ფესვგადგმულ იდეალიზმს თუ დათმობდა. და ვეღარც მეგობრებს შეინარჩუნებდა ან მოიპოვებდა, თუ თავისი ეროვნული ისტორიის ამდენად მნიშვნელოვან პრინციპს დაივიწყებდა. მაგრამ განზრახვის სრულყოფისათვის ყოველთვის აუცილებელია პოლიტიკის განმსაზღვრელი ასპექტები, არასენტიმენტალური ანალიზით შეპირისპირდეს რეალურ ფაქტორებთან. მათ რიცხვშია სხვა რეგიონის კულტურული და გეოპოლიტიკური მოცემულობებიც და ამერიკის ინტერესებთან და ღირებულებებთან დაპირისპირებულ მოთამაშეთა სიმტკიცე და უნარებიც.

ამერიკის მორალური მისწრაფებები უნდა დაუკავშირდეს მიდგომას, რომელიც გაითვალისწინებს პოლიტიკის სტრატეგიულ ელემენტსაც და ამას ისე წარმოაჩენს, რომ ამერიკელმა ხალხმა მისი მხარდაჭერა და შენარჩუნება შეძლოს რამდენიმე პოლიტიკური ციკლის განმავლობაში.

ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჯორჯ შულცმა ამერიკის ამბივალენტურობა შემდეგი ბრძნული სიტყვებით დაახასიათა:

> ამერიკელები მორალური ხალხია; მათ სურთ, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკამ გამოკვეთოს ღირებულებები, რომელსაც ჩვენ, როგორც ერი, ვაღიარებთ. მაგრამ ამერიკელები პრაგმატული ხალხიცაა, ამიტომ, ისიც სურთ, რომ მათმა საგარეო პოლიტიკამ მიზანს მიაღწიოს.

შიდაამერიკული დებატები ხშირად იდეალიზმსა და რეალიზმს შორის დაპირისპირებად წარმოჩინდება. დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, შეიძლება ამერიკა ერთ დღეს მიხვდეს, რომ თუ ორივე მოდუსში ვერ იმოქმედებს, ვერცერთში ვეღარ შეასრულებს თავის ამოცანას.

თავი 9

ტექნოლოგია, წონასწორობა და შორსმჭვრეტელობა

ყოველი ეპოქას ახასიათებს თავისი დაიცვოტივი და მრავალსახეობა შეხედულებებისა, რომელიც ათვალსაჩინოებს სამყაროს, ნუგეშსა და იმედს აძლევს ადამიანს და უადვილებს მას მოვლენათა მრავალფეროვნების გაგებას. შუა საუკუნეებში ეს რელიგია იყო, განმანათლებობის ეპოქაში – გონება, ხოლო მე-19 და მე-20 საუკუნეებში ნაციონალიზმი, რომელიც წარმოადგენდა ისტორიის თვალთახედვის კომბინაციას, მოტივაციის მიმნიჭებელ ძალასთან ერთად. ჩვენი ეპოქის უპირველესი პრინციპებია მეცნიერება და ტექნიკა. მათი წყალობით, ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებას ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება. მათი განვითარება ამსხვრევს ტრადიციულ კულტურულ მარწუხებს. მაგრამ მათ ისეთი იარაღიც გამოიგონეს, რომელსაც კატასტროფის მოშთობა შეუძლია. ტექნიკა გვთავაზობს კომუნიკაციის საშუალებას, ცალკეული პირები და მთელი ინსტიტუციები მთელ დედამიწაზე რეალურ დროში ამყარებენ კომუნიკაციას ან ღილაკზე თითის ერთი დაჭერით ინახავენ მონაცემთა უსაზღვრო რაოდენობას. მაგრამ რა მიზნებისთვის გამოიყენება ტექნოლოგიები? რა ემართე-

ბა საერთაშორისო წესრიგს, თუ ტექნოლოგია ყოველდღიური ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება, რომ თავის სამყაროს ერთადერთ რელევანტურ უნივერსუმად აღიქვამს. თანამედროვე ტექნოლოგიის იარაღის გამანადგურებელი ძალა მართლაც ისეთი დიდია, რომ ერთ მუშტად შეკრავს ბირთვული მუქარით შეშინებულ კაცობრიობას, რომ თავიდან აიცილოს ომის საშიშროება? თუ ეს იარაღი მუდამ დამოკლეს მახვილივით ეკიდება მის თავზე? ქვეყნებსა და ერებს შორის კომუნიკაციის ტემპი და მოცულობა მართლა დაანგრევს ბარიერებს და შექმნის წარმოუდგენელ გამჭვირვალობას, რასაც უძველესი დროიდან ნატრობდა ადამიანი? თუ საპირისპირო რამ მოხდება – მასობრივი განადგურების იარაღის, ინტერნეტის ტრანსპარენტულობის, და პირადი სივრცის დაკარგვის პირობებში, ხომ არ ამოყოფს თავს კაცობრიობა უსაზღვრო და უწესრიგო სამყაროში, სადაც გაუგებარი კრიზისები დახვდება?

ავტორს არ გააჩნია პრეტენზია თანამედროვე ტექნიკის კომპეტენტურ ცოდნაზე, იგი მხოლოდ მის გავლენებს მიმოიხილავს.

მსოფლიო წესრიგი ატომურ ხანაში

მას შემდეგ, რაც ისტორიის აღწერა დაიწყო, პოლიტიკური წარმონაქმნები – მიუხედავად იმისა, უწოდებდნენ თუ არა თავს სახელმწიფოს – ომს მიიჩნევდნენ უკანასკნელ გამოსავლად. მაგრამ ტექნიკა, რომელიც ომის წარმოების საშუალებას იძლეოდა, საზღვრებს უდგენდა მის გავრცელებას. ყველაზე ძლიერ და უკეთესად აღჭურვილ სახელმწიფოებს ძალის გამოყენება შეეძლოთ მხოლოდ შეზღუდულ მანძილზე, გარკვეული მოცულობით და შეზღუდული რაოდენობის სამიზნის წი-

ნააღმდეგ. ლიდერების პატივმოყვარეობას საზღვრებს უდგენდა კონვენციაც და მისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიაც. რადიკალური გეგმები დაჩქარებულად ვერ ხორციელდებოდა. დიპლომატიურ ინსტრუქციებს უნდა გაეთვალისწინებინა ალბათობები, რომელიც სავარაუდოდ შეიძლება დამდგარიყო გზავნილის გადაცემისთვის საჭირო დროის განმავლობაში. იგეგმებოდა განსჯისთვის განკუთვნილი პაუზები, რათა ლიდერები დაფიქრებულიყვნენ, რა შეეძლოთ ეკონტროლებინათ და რა არა.

არა აქვს მნიშვნელობა, სახელმწიფოებს შორის ძალთა წონასწორობა ოფიციალურად იყო გაფორმებული თუ თეორიული საფუძვლის გარეშე ხორციელდებოდა – რაიმე სახით დაბალანსება ყველა საერთაშორისო წესრიგის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა: განცალკევებულს, როგორც რომის იმპერიის და ჩინეთის იმპერიის შემთხვევაში, ან როგორც მოქმედების ძირითად პრინციპს ევროპაში.

ინდუსტრიულმა რევოლუციამ დააჩქარა ცვლილებების ტემპი. მეტია თანამედროვე სამხედრო მანქანების გამანადგურებელი ძალა. ტექნიკის განვითარების სხვადასხვაობას, გინდაც დღევანდელი გადმოსახედიდან პრიმიტიულად მოგვეჩვენოს ის იარაღი, მთელი ხალხის გენოციდი შეიძლებოდა გამოეწვია. ევროპელების ტექნოლოგიამ და მათ მიერ ჩატანილმა დაავადებებმა ამერიკის კონტინენტზე არსებული ცივილიზაციების განადგურება გამოიწვია. ახალი მიღწევები გზას უხსნიდა განადგურების პოტენციალის ზრდასაც, მასობრივმა მობილიზაციამ მრავალჯერ გაზარდა სამხედრო ტექნიკის ძალა.

ატომური ბომბის გამოგონებით ამ განვითარებამ კულმინაციას მიაღწია. მეორე მსოფლიო ომის დროს გავლენიანი სახელმწიფოების მეცნიერები ცდილობდნენ ატომის დაუფლებასა და მისი ენერგიის მოპოვებას. ამერიკელების ე.წ.

მანჰეტენის პროექტმა, რომლის განხორციელებაზეც აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და ევროპული დიასპორის აღიარებული მოაზროვნეები მუშაობდნენ, პირველმა მიაღწია მიზანს. 1945 წლის ივლისში ნიუ მექსიკოში ატომური ბომბის პირველი წარმატებული გამოცდის შემდეგ, თეორეტიკოსი ფიზიკოსი ჯ. რობერტ ოპენჰაიმერი – საიდუმლო პროგრამის ხელმძღვანელი – საკუთარმა ტრიუმფმა შეაშინა და მას ბჰაგავადგიტას ერთი სტროფი გაახსენა: „ახლა მე გავხდი სიკვდილი, გამანადგურებელი სამყაროსი".

უწინდელ დროში ომებს უკან ასეთი გაანგარიშება იდგა: გამარჯვების სარგებელს უნდა გადაეჭარბებინა ხარჯისთვის, და სუსტი იბრძოდა, რომ ძლიერისთვის ისეთი ხარჯი აეკიდებინა, რომელიც მას გეგმებს ჩაუშლიდა. კოალიციები იქმნებოდა ძალაუფლების გასაზრდელად, ძალთა მობილიზაციის თვალსაჩინოებისთვის და casus belli-ს შესაქმნელად (რამდენადაც შესაძლებელი იყო სუვერენული სახელმწიფოების თანამეგობრობაში საბოლოო განზრახვების უეჭველი დადგენა). საომარი დაპირისპირების ხარჯები ნაკლებად მიიჩნეოდა, ვიდრე პოლიტიკური მარცხის ფასი. ატომური ეპოქა კი ახლა იმედს ამყარებდა იარაღზე, რომლის გამოყენებაც ისეთ ხარჯებს უკავშირდებოდა, რომელსაც ვერაფრით გადაწონიდა მოტანილი სარგებელი.

ატომურმა ეპოქამ წარმოქმნა დილემა – როგორ შეიძლება შეფარდებოდა თანამედროვე იარაღის გამანადგურებელი ძალა დასახული მიზნის მორალურ ან პოლიტიკურ გამართლებას. ნებისმიერი სახის საერთაშორისო წესრიგის – ის კი არა, კაცობრიობის გადარჩენისათვის, უსიტყვო აუცილებლობაა, დიდ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტები განიმუხტოს მაინც, თუ მთლიანად ვერ მოხერხდება მათი აღმოფხვრა. მოსაძებნი იყო თეორიული ზღვარი, რომელიც გადიოდა იმ ხაზს

ქვევით, რომელზედაც დიდი სახელმწიფო მზად იყო გამოეყენებინა მთელი თავისი საბრძოლო არსენალი.

სტრატეგიული სტაბილურობა განისაზღვრა წონასწორობად – არცერთი მხარე არ გამოიყენებდა მასობრივი განადგურების იარაღს, რადგან საპირისპირო მხარესაც შეეძლო, სამაგიეროს გადახდის მიზნით, წარმოუდგენელი მასშტაბის განადგურების გამოწვევა. 1950-იან და 1960-იან წლებში ჰარვარდის უნივერსიტეტში, კალტექში, MIT-ში და Rand Corporation-ში ჩატარებულ სემინარებში განიმარტა „შეზღუდული გამოყენების" დოქტრინა. მსჯელობდნენ, როგორ შეიძლებოდა ბირთვული იარაღის გამოყენება მხოლოდ ბრძოლის ველზე ან სამხედრო მიზნების გასანადგურებლად. მაგრამ არცერთმა თეორიულმა მსჯელობამ არ მოიტანა შედეგი. როგორც კი გადაიკვეთებოდა ატომური ომის ზღურბლი, თანამედროვე ტექნიკა ყველა წარმოდგენილ საზღვარს გადალახავდა და მოწინააღმდეგეს ესკალაციისკენ უბიძგებდა. საბოლოოდ, ორივე მხარის სტრატეგები შეთანხმდნენ კონცეფციაზე, ყოველ შემთხვევაში, დუმილით მაინც, რომ ორმხრივად გარანტირებული განადგურების მუქარა ქმნის მექანიზმს, რომელიც იძლევა ატომური მშვიდობის საშუალებას. იმ პირობით, რომ ორივე მხარეს აქვს ბირთვული არსენალი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მოწინააღმდეგის მიერ განხორციელებული დარტყმის პასუხად. მიზანი ისახავდა მუქარის წონასწორობის შენარჩუნებას, რაც ორივე მხარეს ხელს აღებინებდა იარაღი მართლა გამოეყენებინა.

1960-იანი წლების ბოლოს ორივე სუპერ-სახელმწიფოს სტრატეგიული დოქტრინა ეყრდნობოდა პოტენციური მოწინააღმდეგისთვის „მიუღებელი" ზომის ზარალის მიყენების უნარს. რასაკვირველია, მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რას მიიჩნევდა მოწინააღმდეგე „მიუღებლად".

მუქარის გაანგარიშებას, რომელიც ეყრდნობოდა სცენარების ლოგიკურ მსგავსებას და ასახელებდა მსხვერპლის ისეთ რაოდენობას რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში, რომელიც დიდად აჭარბებდა ოთხწლიან ომში დალუპულთა რიცხვს, სიურრეალური ელფერი დაჰკრავდა. რადგან არ არსებობდა არანაირი ხელშესახები გამოცდილება ამ იარაღის გამოყენებისა, შიში, ძირითადად, იქმნებოდა მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზეწოლით. როდესაც მაო 1950-იან წლებში ირწმუნებოდა, რომ ჩინეთი მზად იყო, შეგუებოდა ასობით მილიონ მსხვერპლს ატომურ ომში, მისი ეს განცხადება დასავლეთში სულიერი აშლილობის ან იდეოლოგიური სიგიჟის სიმპტომად უფრო მიიჩნიეს. სინამდვილეში კი, ეს იყო მშრალი გაანგარიშების შედეგი – განადგურების ძნელად წარმოსადგენი განზომილების თავიდან აცილების მიზნით, ქვეყანას უნდა დაედასტურებინა წარმოუდგენელი რაოდენობის მსხვერპლის გაღების მზაობა.

მაოს გამონათქვამებით მიღებულმა შოკმა ორივე სამხედრო ბლოკის დედაქალაქებში დაავიწყათ პოლიტიკოსებს, რომ სუპერ-სახელმწიფოების მუქარის კონცეფციები სწორედ ასეთ აპოკალიფსურ რისკებს ეყრდნობოდა. უფრო ზრდილობიანად რომ ვთქვათ, ორმხრივად გარანტირებული განადგურების დოქტრინა ეფუძნებოდა თეზისს, რომ ლიდერები მშვიდობის ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც საკუთარ მოსახლეობას შეგნებულად იმეტებდნენ გასანადგურებლად.

დიდი ძალისხმევა დასჭირდა დილემის გადალახვას, რომ სუპერ-სახელმწიფოები ფლობდნენ ატომურ არსენალს, რომელსაც არ გამოიყენებდნენ, ხოლო მუქარა ვერ იქნებოდა დამაჯერებელი. წარმოსახავდნენ ომის რთულ სცენარებს. მაგრამ, რამდენადაც ვიცი – და მაშინ ისეთი პოზიცია მეკავა, რომ რაღაცები ვიცოდი – არცერთი მხარე არ მისულა წერტილამდე, რომ მძაფრი კრიზისის დასაძლევად სერიოზულად

დაფიქრებულიყო ატომური იარაღის გამოყენებაზე. მხოლოდ 1962 წელს, კუბაზე საბჭოთა ატომური რაკეტების სტაციონირების კრიზისის დროს მიეცათ საბჭოთა დანაყოფებს, თავდაცვის მიზნით, ბირთვული იარაღის გამოყენების ავტორიზაცია. ამ შემთხვევის გარდა, არცერთ მხარეს სერიოზულად არ უფიქრია მეორის წინააღმდეგ ან რომელიმე მესამე, არაბირთვულ სახელმწიფოსთან ომში მის გამოყენებაზე.

ამდენად, ყველაზე საშიშმა იარაღმა, რომელიც შთანთქავდა სუპერ-სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტს, აქტუალურ კრიზისებში რელევანტურობა დაკარგა. ატომური იარაღის გამოყენებით ორმხრივად გარანტირებული გამანადგურებელი ქმედების საშიშროება იქცა საერთაშორისო წესრიგის მექანიზმად. ამგვარად მიმდინარეობდა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ცივი ომის დროს ბრძოლა. ბირთვული ეპოქის კულმინაციურ წერტილზე ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებს ენიჭებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. იმ დროს სამხედრო დაპირისპირება შორეულ პერიფერიაზე თამაშდებოდა: სამხრეთ კორეის ინჩეონში, მდინარე მეკონგის დელტაზე, ანგოლაში, ერაყსა და ავღანეთში. წარმატება განისაზღვრებოდა ეფექტურობის მიხედვით, რომლითაც ლოკალურ მოკავშირეებს ეხმარებოდნენ განვითარებად ქვეყნებში. მოკლედ, დიდი სახელმწიფოების სტრატეგიული არსენალი, რომლითაც არ მიიღწეოდა არანაირი პოლიტიკური მიზანი, ქმნიდა ყოვლისშემძლეობის ილუზიას, რომელსაც მოვლენათა რეალური განვითარება ცხადყოფდა.

ამ ფონზე შეუდგა 1969 წელს აშშ-ს პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ოფიციალურ მოლაპარაკებებს საბჭოთა კავშირთან (შემოკლებით SALT) სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე. შედეგად, 1972 წელს დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ადგენდა თავდასხმითი შეიარაღების ზედა ზღვარს. ამასთან, სუპერ-სახელმწიფოები ერთ ერთეულამდე ამცირებ-

დნენ ანტი-ბალისტიკური რაკეტების არსენალს. (და მართლაც, ისინი გადაკეთდა საწვრთნელ ცენტრებად, რადგან სრული ABM (ანტიბალისტიკური რაკეტების) სისტემა ნიქსონის თავდაპირველი, 1969 წლის გეგმის მიხედვით ამერიკისთვის თორმეტ ასეთ პოზიციას მოითხოვდა). არსებობდა მოსაზრება, რომ მუქარა უნდა დაფუძნებოდა ორმხრივად გარანტირებული განადგურების პოტენციალს, რადგან აშშ-ს კონგრესი უარს ამბობდა რაკეტების მოგერიების ორზე მეტი პოზიციის უფლებაზე. ამ სტრატეგიისთვის საკმარისი და საკმარისზე მეტიც იყო ბირთვული თავდასხმითი იარაღის არსებობა ორივე მხარეს, რასაც შეეძლო ურიცხვი მსხვერპლი გამოეწვია. რაკეტების მოგერიების სისტემის არარსებობას უნდა გაეფანტა ეჭვები, ორმხრივად გარანტირებული უნდა ყოფილიყო მუქარა, მაგრამ, სცენარის ჩაშლის შემთხვევაში, მოსახლეობა განადგურდებოდა.

1986 წელს რეიკიავიკში გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე რეიგანმა ორმხრივად გარანტირებული განადგურების კონცეფცია შეატრიალა: მისი წინადადებით ორივე მხარის მიერ ყველა თავდასხმითი იარაღი უნდა განადგურებულიყო. ანტი-ბალისტიკური რაკეტების ხელშეკრულება გაუქმებულიყო და განვითარებულიყო თავდაცვითი სისტემა. მისი შეთავაზების მიხედვით, ორმხრივად გარანტირებული განადგურების კონცეფცია უნდა გადახედილიყო, უარი თქმულიყო თავდასხმით სისტემებზე და თავდასხმის მოსაგერიებლად აგებულიყო თავდაცვის სისტემის დამცავი ქოლგები. მაგრამ გორბაჩოვმა მცდარი შეხედულების გამო, რომ აშშ-ს რაკეტების მოგერიების სისტემებს ყავლი გაუვიდა, ხოლო საბჭოთა კავშირს არ გააჩნდა ამერიკის მსგავსი ტექნოლოგიური და ეკონომიკური ბაზა, ხელშეკრულების შენარჩუნება დაიჟინა. საბჭოთა კავშირმა სამი წლის შემდეგ მართლაც

შეაჩერა სტრატეგიული იარაღით გამალებული შეიარაღება და ასე დაამთავრა ცივი ომი.

მას შემდეგ სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის რაოდენობა ჯერ აშშ-ს პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშ უმცროსის და შემდეგ პრეზიდენტ ობამას მიერ რუსეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ დაახლოებით 1500-მდე შემცირდა – ეს იყო დაახლოებით ათი პროცენტი რაოდენობისა, რომელიც არსებობდა ორმხრივად გარანტირებული განადგურების სტრატეგიის კულმინაციურ წერტილზე. (ეს შემცირებული რაოდენობა მაინც ჭარბობდა ორმხრივად გარანტირებული განადგურების სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო პოტენციალს).

ატომურ წონასწორობას პარადოქსული გავლენა ჰქონდა საერთაშორისო წესრიგზე. ძალთა ისტორიულმა ბალანსმა მაშინდელ კოლონიურ სამყაროზე დასავლეთის ჰეგემონია გააიოლა. ბირთვულმა წესრიგმა კი – დასავლეთის შემოქმედების ნაყოფმა – საწინააღმდეგო შედეგი მოიტანა. განვითარებული სახელმწიფოების სამხედრო უპირატესობა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, წარმოუდგენლად დიდი იყო, ვიდრე ოდესმე ისტორიაში. მაგრამ რადგან სუპერ-სახელმწიფოები შეიარაღებისთვის განსაზღვრულ ხარჯების უდიდეს ნაწილს ატომურ იარაღში აბანდებდნენ, რომელთა უსარგებლობა თავისთავად იგულისხმებოდა (გარდა უკიდურესად მწვავე კრიზისისა), რეგიონულმა ძალებმა შეძლეს გლობალური სამხედრო ბალანსის დათრგუნვა სტრატეგიით, რომელიც გულისხმობს ომის მანამ გაჭიანურებას, სანამ „მაღალი განვითარების“ ქვეყნების საზოგადოებრიობას მისი გაგრძელება აღარ ენდომება. ეს იწვნია საფრანგეთმა ალჟირსა და ვიეტნამში, აშშ-მ – კორეაში, ვიეტნამსა და ერაყში და საბჭოთა კავშირმა – ავღანეთში. (კორეის ომის გარდა ყველა

კონვენციურად წარმოქმნილი და გაჭიანურებული კონფლიქტი დასრულდა სამხედრო თვალსაზრისით მკაფიოდ აღმატებული ძალის უკანდახევით). ომის ასიმეტრიული წარმოება იქ ოპერირებდა, სადაც სწორხაზოვანი ოპერაციების ტრადიციული დოქტრინები ვერაფერს აწყობდა მტრის ტერიტორიის წინააღმდეგ. პარტიზანული ძალები, რომლებსაც ტერიტორია არ აქვთ დასაცავი, კონცენტრირებული იყვნენ მოწინააღმდეგისთვის მაქსიმალური ზიანი მიეყენებინათ, რათა გაეტეხათ კონფლიქტის გაგრძელებაზე საზოგადოებრიობის პოლიტიკური ნება. ამ თვალსაზრისით, ტექნოლოგიური უპირატესობა გეოპოლიტიკურ უსუსურობად იქცა.

ატომური იარაღის პროლიფერაციის საფრთხე

ცივი ომის დამთავრებამ არსებულ ორ ბირთვულ სუპერ-სახელმწიფოს შორის ატომური ომის საშიშროება, ფაქტობრივად, დაასრულა. მაგრამ ტექნოლოგიის ფართო გავრცელებამ – განსაკუთრებით, ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისთვის – ბევრად უფრო გააადვილა ატომური იარაღის დამზადების შესაძლებლობა. იდეოლოგიური წითელი ხაზების გამწვავება და გადაუჭრელი რეგიონული კონფლიქტების გაღვივება აშკარად უფრო ანდომებს კორუმპირებული და საეჭვო რეპუტაციის სახელმწიფოებსაც და არასახელმწიფო მოთამაშეებსაც ატომური იარაღის მოპოვებას. ურთიერთდაპირისპირების რისკების გაანგარიშება, რაც ცივ ომში თავშეკავებას უზრუნველყოფდა, იმდენად აღარ მოქმედებს – თუ საერთოდ მოქმედებს – ატომური იარაღის შემქმნელ სახელმწიფოებზე და, კიდევ უფრო ნაკლებად, ინდივიდუალურ მოთამაშეებზე. ბირთვული იარაღის გავრცელება ამჟამინდელი მსოფლიო

წესრიგისთვის ყოვლისმომცველ სტრატეგიულ პრობლემად იქცა.

ამ საშიშრებათა პასუხად შეერთებულმა შტატებმა, საბჭოთა კავშირმა და დიდმა ბრიტანეთმა შეიმუშავეს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება (NPT), რომელიც 1968 წელს ხელმოსაწერად მზად იყო და რომელსაც ბირთვული იარაღის შემდგომი გავრცელება უნდა აღეკვეთა. (ნახსენებმა სამმა სახელმწიფომ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 1968 წელს, საფრანგეთმა და ჩინეთმა კი 1992 წელს.) ბირთვული იარაღის არმქონე სახელმწიფოებს ატომური სახელმწიფოები უნდა დახმარებოდნენ ბირთვული ტექნოლოგიების მშვიდობიანი მიზნით გამოყენებაში, თუ დაიცავდნენ უსაფრთხოების ზომებს და არ დაუშვებდნენ თავიანთი ატომური პროგრამების სამხედრო მიზნებით გამოყენებას. დღემდე ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 189 ქვეყანამ.

თუმცა, ატომური იარაღის გაუვრცელებლობის სისტემა ნამდვილ საერთაშორისო სტანდარტად ვერ დამკვიდრდა. ზოგის მიერ „ბირთვული აპარტაიდის" ფორმად წოდებულმა და ბევრი სახელმწიფოს მიერ მდიდარი ქვეყნების ცალმხრივ ახირებად გაკრიტიკებულმა შეთანხმებამ ვერ უზრუნველყო NPT რეგულაციების ყველას მხრიდან სავალდებულოდ აღქმა – უფრო მეტად ის განიხილებოდა როგორც სტიმული მათი რეგულაციების დასაცავად. ხელშეკრულების დარღვევით ატომური იარაღის განვითარება ძნელი აღმოსაჩენი და აღსაკვეთი იყო, რადგან საწყისი ეტაპები ემთხვევა იმ რეგულაციებს, რომელსაც NTP ხელშეკრულება აწესებს მათი მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებისთვის. მართალია, ხელშეკრულებამ ლიბიას, სირიას, ერაყსა და ირანს აუკრძალა საიდუმლო ატომური პროგრამების განვითარება, მაგრამ მათი არსებობა ვერ აღმოფხვრა. ხოლო ჩრდილოეთ კორეა 2003 წელს გავიდა

კიდეც NTP ხელშეკრულებიდან, გამოსცადა ბირთვული ტექნოლოგია და საერთაშორისო კონტროლის გარეშე გაასხვისა იგი.

თუ რომელიმე ქვეყანა უგულებელყოფს NTP-ს მოთხოვნებს, არღვევს მას, მოქმედებს მისი შესრულების საზღვრებზე ან, უბრალოდ, არ აღიარებს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო წესის ლეგიტიმურობას, შესაბამისი ზომების გასატარებლად არ არსებობს საერთაშორისო მექანიზმი. პრევენციულად აქამდე მხოლოდ შეერთებული შტატები მოქმედებდა ერაყის წინააღმდეგ – სავარაუდო საიდუმლო ატომური პროგრამა აღმოჩნდა შეერთებული შტატებისთვის სადამ ჰუსეინთან ომის დამატებითი მოტივი – აგრეთვე, ისრაელისთვის – ერაყისა და სირიის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი 1960-იან წლებში მსგავს პროცედურას განიხილავდა ჩინეთის წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს თავი შეიკავა.

თუმცა, ატომური იარაღის გაუვრცელებლობის სისტემამ მნიშვნელოვანი წარმატებებიც მოიპოვა. მოლაპარაკებების შედეგად მოხერხდა რამდენიმე ბირთვული წამოწყების შეჩერება. სამხრეთ აფრიკამ, ბრაზილიამ, არგენტინამ და ზოგიერთმა „პოსტსაბჭოთა“ რესპუბლიკამ შეწყვიტეს ატომური შეიარაღების პროგრამები – ზოგიერთი მათგანი დასრულებული იყო ან ტექნიკურად საკმაოდ დაწინაურებული. ამასთან, მას შემდეგ, რაც 1949 წელს საბჭოთა კავშირის მიერ ატომური იარაღის შექმნამ დაარღვია ამერიკის მონოპოლია, რუსეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ისრაელმა, ჩინეთმა, ინდოეთმა, პაკისტანმა და ჩრდილოეთ კორეამაც განავითარეს ატომური პროგრამები. ირანი ატომური ბომბის მშენებლობის ზღურბლზე დგას. უფრო მეტიც, პაკისტანმა და ჩრდილოეთ კორეამ თავიანთი ბირთვული ნოუ ჰაუც ფართოდ გაავრცელეს.

პროლიფერაცია იმის მიხედვით ახდენს გავლენას ატომურ წონასწორობაზე, თუ როგორია მზაობა ახალი ატომური ძალის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენებისა. ბრიტანეთის

და საფრანგეთის ბირთვული პოტენციალი ნატო-ს არსენალის მხოლოდ მარგინალური დანამატია. ისინი, ძირითადად, კონცეპირებულია, როგორც უკანასკნელი საშუალება, უსაფრთხოების ბადე იმ შემთხვევისთვის, თუ აშშ ამ ქვეყნებს ზურგს შეაქცევს ბრიტანეთის ან საფრანგეთის ძირეული ეროვნული ინტერესების მიმართ რომელიმე დიდი სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული მუქარის პირობებში ან იმისათვის, რომ განერიდოს ორ დიდ ატომურ სახელმწიფოს შორის შესაძლო დაპირისპირებას – არცერთი ამ სცენართაგან არ არის მოსალოდნელი. ინდოეთის და პაკისტანის ატომური არსენალი უპირველესად ემსახურება ორმხრივი მუქარის შენარჩუნებას და ორგვარ გავლენას ახდენს სტრატეგიულ წონასწორობაზე. ესკალაციის რისკმა შესაძლოა შეამციროს კონვენციური ომის საშიშროება სუბკონტინენტზე. მაგრამ, შეიარაღების სისტემების მოწყვლადობის და მოკლე მანძილიდან თავდასხმის მოგერიების ტექნიკური სირთულის გამო, ატომური იარაღი პრევენციული დარტყმის ცდუნებასაც აჩენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ემოციები ისედაც დუღს. მოკლედ რომ ვთქვათ, ატომური იარაღის პროლიფერაცია ქმნის კლასიკურ ბირთვულ დილემას: ატომური იარაღი ამცირებს ომის ალბათობას, მაგრამ თუ ომი მაინც დაიწყო, მის სისასტიკეს უსაზღვროდ ზრდის.

ინდოეთის დამოკიდებულება ჩინეთთან ატომური იარაღის საკითხში, ალბათ მუქარის ისეთივე სცენარს გამოიწვევს, როგორიც არსებობდა ცივი ომის დაპირისპირებულ მხარეებს შორის: ორივე მხარე ეცდება მათი გამოყენების აღკვეთას. პაკისტანის ატომური არსენალი რეგიონული და გლობალური მოცემულობების უფრო ფართო ფრონტზე მოქმედებს. პაკისტანმა, როგორც შუა აღმოსავლეთის ნაწილმა და ისლამისტების ძლიერმა ცენტრმა, რამდენჯერმე აიღო თავის თავზე ატომური მფარველის ან ატომური ტექნოლოგიების მიმწოდე-

ბლის როლი. თუკი პაკისტანი ატომურ ტექნიკას გადასცემს ირანს – როგორც ეს აღვწერეთ მეოთხე თავში – ყველა განხილული პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდება.

დროთა განმავლობაში, ატომური იარაღის გავრცელება ორ მთავარ ატომურ სახელმწიფოს შორის არსებულ ბირთვულ წონასწორობასაც შეეხება. მათი ლიდერები ყველაზე უარესისთვის უნდა იყვნენ მზად, მათ შორის, იმისთვისაც, რომ საშიშროება შეიძლება წამოვიდეს არა მეორე სუპერ-სახელმწიფოსგან, არამედ ატომური ტექნოლოგიის გამავრცელებელი ქვეყნებისგანაც. ისინი თავიანთ არსენალს გაზრდიან, რადგან დაინახავენ, რომ პოტენციური მოწინააღმდეგის გარდა, მათ დანარჩენი მსოფლიოს ახალი ატომური ძალებიც ემუქრებიან და ყველასთან გამკლავებას უფრო დიდი საბრძოლო რეზერვი სჭირდება. თუ ორივე სუპერ-სახელმწიფო ამგვარად გათვლის სიტუაციას, ატომური იარაღი გავრცელდება საბრძოლო რეზერვების ზედა ზღვრამდე ან მის იქით. შედეგად წარმოიშვება ახალი ბირთვული წონასწორობები, რომლებიც ერთმანეთს გადაფარავენ და მით უფრო გართულდება მდგომარეობა, რაც უფრო გავრცელდება ატომური იარაღი. ცივი ომის შედარებით სტაბილური ატომური წესრიგის ადგილს დაიკავებს საერთაშორისო წესრიგი, რომელშიც ატომური იარაღით აღჭურვილი სახელმწიფო, რომელიც აპოკალიფსური გადაწყვეტილების მზაობას გამოამჟღავნებს, პერვერსული გზით მოიპოვებს უპირატესობას მოწინააღმდეგეთა წინაშე.

ძლიერი ატომური შეიარაღების მქონე ქვეყნებისგან თავდასაცავად, ის ქვეყნებიც კი, რომლებსაც ატომური იარაღის შექმნა პოტენციურად თვითონაც შეუძლიათ, ცდილობენ თავი შეაფარონ რომელიმე სუპერ-სახელმწიფოს ბირთვულ ბადეს – ამ უკანასკნელის ღია ან ფარული მხარდაჭერით (ამის მაგალითებია ისრაელი, ევროპული ბირთვული სახელმწიფოები, იაპონია, რომელიც ბირთვული პოტენციალის ზღვარზე

იმყოფება, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები, რომლებიც უკვე არიან ბირთვული ნოუ ჰაუს და მასალების მიმწოდებლები ან მიმღებნი). ამგვარად, შესაძლებელია, პროლიფერაციამ მიგვიყვანოს ისეთივე ჩაკეტილ და მოუქნელ ალიანსურ სისტემამდე, როგორმაც გამოიწვია პირველი მსოფლიო ომი; განსხვავება ის იქნება, რომ ახლა ბევრად ძლიერი იქნება მათი გლობალური წვდომა და განადგურების ძალა.

შესაძლებელია შეიქმნას უაღრესად სახიფათო გაუწონასწორებლობა, თუ რომელიმე „ახალი" ატომური სახელმწიფო მიაღწევს ორი ბირთვული სუპერ-სახელმწიფოს სამხედრო თავდასხმის უნარს (მიზანი, რომლის მიღწევა ჩინეთსა და ინდოეთს, სავარაუდოდ, შეუძლიათ). ნებისმიერი მნიშვნელოვანი ატომური სახელმწიფო, რომელიც მოახერხებს და სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტს თავს აარიდებს, პოტენციურად აღმოჩნდება ჰეგემონი ძალა. ეს მულტიპოლარულ მსოფლიოშიც შეიძლება მოხდეს, თუ ასეთი ქვეყანა შეეკვრება სუპერ-სახელმწიფოს, რადგან ძალების გაერთიანებით ორივე მიიღებს სტრატეგიულ უპირატესობას. დღევანდელ სუპერ-სახელმწიფოებს შორის არსებული უხეში ატომური წონასწორობა, ასეთ შემთხვევაში, დაკარგავს სტრატეგიულ სტაბილურობას. ეს საშიშროება მით უფრო გაიზრდება, რაც უფრო დაბლა დაიწევს აშშ-ს და რუსეთის თავდასხმითი იარაღის არსენალის შეთანხმებული ზედა ზღვარი.

ატომური იარაღის ყველა შემდგომი გავრცელება ამრავლებს ბირთვული დაპირისპირების შესაძლებლობას. იზრდება მასალის და ტექნოლოგიის განზრახ ან უნებართვოდ გაცემაც. საბოლოოდ, იგი დაარღვევს ატომურ ბალანსს ბირთვულ სუპერ-სახელმწიფოთა შორის. და მაშინ, როცა მიუხედავად მიმდინარე მოლაპარაკებებისა, ირანი და ჩრდილოეთ კორეაც მუშაობენ ატომური იარაღის შექმნაზე, შეიძლება სხვა ქვეყნებმაც ვერ გაუძლონ იმავე ცდუნებას.

ამ ტენდენციების გამო, აშშ-მ თავისი ტექნოლოგიური დონე მუდმივად უნდა აკონტროლოს. ცივი ომის დროს ატომური ტექნოლოგია ამერიკის სამეცნიერო მიღწევების მწვერვალად იყო აღიარებული – ეს იყო ცოდნის ზღვარი, რომლის გადალახვა მაშინ ყველაზე მნიშვნელოვან და სტრატეგიულ გამოწვევად მიიჩნეოდა. დღეს საუკეთესო მეცნიერებს არა ბირთვული ტექნოლოგიების, არამედ საჯარო სივრცისთვის რელევანტური პროექტებისთვის იზიდავენ. ამიტომაც, გადაულახავად წარმოაჩენენ ხოლმე ბირთვული ტექნოლოგიის შექმნის სირთულეს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ქვეყანა უკვე მიილტვის ბირთვული შეიარაღებისკენ და ზოგიც ატომური ტექნოლოგიის განვითარებაზე მუშაობს. შეერთებულმა შტატებმა ბირთვული ტექნიკის სფეროში მაშინაც უნდა შეინარჩუნოს მოწინავე პოზიცია, როცა პარალელურად მათი გამოყენების შეზღუდვაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს.

გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში კაცობრიობა გადაურჩა ორ დიდ სახელმწიფოს შორის ომს, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ატომურმა იარაღმა შეამცირა ომის საფრთხე. მაგრამ ომების რაოდენობის აშკარა შემცირებას თან ახლდა არასახელმწიფო ჯგუფების ან სახელმწიფოების მიერ სხვა ეტიკეტით შემკული ძალადობრივი აქტების დრამატული ზრდა. უკიდურესი რისკის და იდეოლოგიური რადიკალიზმის კომბინაციამ ფართოდ გაუღო კარი არასახელმწიფო ჯგუფების მიერ ჩადენილ ასიმეტრიულ ომებსა და პროვოკაციებს; მათ სამომავლოდ ძირი გამოუთხარეს სამხედრო თავშეკავებას.

ძველმა ატომურმა სახელმწიფოებმა ალბათ ყველაზე დიდ გამოწვევად უნდა მიიჩნიონ რეაქციის შემუშავება იმ შემთხვევისთვის, თუ ახალი ატომური სახელმწიფოები ერთმანეთს ატომური იარაღით დაუპირისპირდებიან. უპირველესად, რა არის გასაკეთებელი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბირ-

თვული იარაღის გამოყენება არსებული ხელშეკრულებების დარღვევით? რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მსგავსი ომის შესაჩერებლად, თუ მათ მაინც გამოიყენებენ? როგორ უნდა დავუპირისპირდეთ ზარალს, რომელიც მიადგება ადამიანებს და საზოგადოებას? როგორ შეიძლება ესკალაციის მოგერიება და მუქარის შენარჩუნება საპასუხო დარტყმის საშუალებით? რა შედეგებია მოსალოდნელი ამ ღონისძიებების წარუმატებლობის შემთხვევაში? ტექნილოგიის განვითარებას გამოდევნებულებს, არ უნდა დაგვავიწყდეს, კაცობრიობამ განადგურების რამხელა არსენალი შექმნა და როგორი მყიფეა ბალანსები, რომელმაც მისი გამოყენება უნდა შეაკავოს. ატომური იარაღი არ უნდა იქცეს ბრძოლის კონვენციურ საშუალებად. არსებული დიდი ატომური სახელმწიფოები დგანან გზაგასაყარზე, სადაც საერთაშორისო წესრიგი მოითხოვს პრინციპულ შეთანხმებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ. სხვა შემთხვევაში, ატომური ომის საშიშროება გვიკარნახებს წესრიგს.

კიბერტექნოლოგია და მსოფლიო წესრიგი

ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, ტექნოლოგიური ცვლილებები ათწლეულებსა და საუკუნეებს საჭიროებდა და პატარ-პატარა ნაბიჯებით ხვეწდა და აკავშირებდა არსებულ ტექნოლოგიებს. თვით რადიკალური ინოვაციებიც კი ჯდებოდა არსებულ ტაქტიკურ და სტრატეგიულ დოქტრინებში: ტანკების შენაერთებმა საუკუნოვანი კავალერია შეცვალა. თვთმფრინავები იქცა არტილერიის ახალ ფორმად, სამხედრო გემები თანამედროვე ციხე-სიმაგრეებად, ხოლო ავიამზიდები – მობილურ აეროდრომებად. მიუხედავად განადგურების

უზარმაზარი პოტენციალისა, თვით ბირთვული იარაღიც კი, გარკვეული გაგებით, ექვემდებარება ძველი გამოცდილების წარმოდგენებს.

დღევანდელი ეპოქის სიახლეს წარმოადგენს გამომთვლელი ტექნიკის ტემპი და ინფორმაციული ტექნოლოგიის გავრცელება ადამიანის ყოფის ყველა სფეროში. როდესაც გორდონ მორი 1960-იან წლებში ინტელ კორპორეიშენის ინჟინრად მუშაობისას აკვირდებოდა კომპიუტერების პროცესორების განვითარების ტენდენციას, მივიდა დასკვნამდე, რომ გამოთვლის უნარი და მოცულობა ყოველ ორ წელიწადში გაორმაგდებოდა. „მორის კანონი" საოცრად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. კომპიუტერები სულ უფრო მცირე ზომის, იაფი და სწრაფი გახდა. თანამედროვე პროცესორები შეიძლება ჩამონტაჟდეს თითქმის ყველა ობიექტში: ტელეფონში, მაჯის საათში, მანქანაში, საყოფაცხოვრებო ტექნიკაში, იარაღის სისტემებში, უპილოტო საფრენ ობიექტებში და თვით ადამიანის სხეულშიც კი.

პირველად ისტორიის განმავლობაში, ინფორმაციის რევოლუციური გავრცელება უთვალავ ინდივიდსა და პროცესს აკავშირებს კომუნიკაციის მედიუმის საშუალებით, რომელიც მათ ქმედებებს ერთ ტექნიკურ ენაზე თარგმნის და ინახავს. კიბერსივრცემ – სიტყვამ, რომელიც 1980-იან წლებში დამკვიდრდა როგორც ჰიპოთეტური ცნება – ფიზიკურ სივრცეში შექმნა კოლონიები და, ურბანულ ცენტრებში მაინც, ნელ-ნელა იწყებს მათ შთანთქმას. კომუნიკაცია მასში და მის გამრავლების უნარის მქონე კვანძებს შორის, ფაქტობრივად, რეალურ დროში მიმდინარეობს. ამოცანები, რომლებიც ერთი თაობის წინ, ძირითადად, პირადი კონტაქტის საშუალებით ან ქაღალდზე სრულდებოდა – კითხვა, ვაჭრობა, განათლება, მეგობრობა, ინდუსტრიული და სამეცნიერო კვლევა, პოლიტიკური კამპანიები, ფინანსები, სახელმწიფო სტატისტიკური

სამსახური, თვალთვალი ან სამხედრო სტრატეგია – დღეს მიმდინარეობს კომპიუტერულ სამყაროში, რომელიც თავისი ფილტრებით ზრუნავს, რომ ადამიანების აქტივობები იქცეს მონაცემებად და ერთადერთი „კვანტიფიცირებული, ანალიზს დაქვემდებარებული" სისტემის ნაწილად.

მით უფრო, რომ „საგნების ინტერნეტი" ან „ყველაფრის ინტერნეტი" იზომება მასზე მიერთებული ხელსაწყოების რაოდენობით – ამჯერად 10 მილიარდია, 2020 წლამდე კი მათი რაოდენობა 50 მილიარდამდე გაიზრდება. ინოვატორები წინასწარმეტყველებენ სამყაროს, სადაც ინფორმაციას გადაამუშავებენ მინიატურული პროცესორები, რომელთა ჩამონტაჟება შესაძლებელი იქნება ნებისმიერ ყოველდღიური მოხმარების საგანში – „ჭკვიანი საკეტები, კბილის ჯაგრისები, მაჯის საათები, ფიტნეს-ხელსაწყოები, კვამლის სენსორები, სათვალთვალო კამერები, ღუმელები, სათამაშოები და რობოტები" – ანდა ჰაერში მოფარფატე „ჭკვიანი მტვერი", რომელიც დააკვირდება და თავადაც შექმნის გარემოს. ყველა ობიექტი უნდა მიურთდეს ინტერნეტს და ისე დაპროგრამირდეს, რომ ცენტრალურ სერვერთან ან ქსელის სხვა ხელსაწყოებთან ჰქონდეს კომუნიკაცია.

ეს რევოლუცია გავლენას ახდენს ადამიანური ყოფის ყველა დონეზე. სმარტფონის მომხმარებელი ინდივიდები (დღეს-დღეობით დაახლ. ერთი მილიარდი ადამიანი) ფლობენ ინფორმაციასა და ანალიტიკურ უნარებს, რაც უფრო მეტია, ვიდრე საიდუმლო სამსახურების უმეტესობას შეეძლო ერთი თაობის წინ. კორპორაციები, რომლებიც ამ ინდივიდუალურად გაცვლილ მონაცემებს აგროვებენ და აკონტროლებენ, ფლობენ გავლენისა და კონტროლის შესაძლებლობებს, რომელიც ბევრად აღემატება მრავალი ქვეყნის, თვით ტრადიციული დიდი სახელმწიფოების შესაძლებლობებს. ამიტომ, შიშით, რომ ეს ახალი სამყარო რომელიმე მეტოქეს ჩაუვარდება ხელ-

ში, მთავრობებიც აღარ ერიდებიან შეჭრას კიბერსფეროში, სადაც თითქმის არ არსებობს წესები ან შეზღუდვები. როგორც ყველა ტექნოლოგიური ინოვაციის დროს, აქაც დიდია ცდუნება, კიბერსივრცე იქცეს სტრატეგიული უპირატესობის მოპოვების სამოქმედო ველად.

ეს ცვლილებები ისე სწრაფად ხდება, რომ დილეტანტები ველარ აფასებენ მათ გრძელვადიან გავლენას. კაცობრიობა ჯერ ამოუცნობ, აქამდე წარმოუდგენელ სივრცეებში იჭრება. შედეგად, დღეს, ყველაზე უფრო რევოლუციური ტექნოლოგიისა და ტექნიკის გამოყენების შეზღუდვა მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვინც ამ სფეროში უკეთ ერკვევა და ბოლომდე არ ამჟღავნებს თავის თვისებებს.

ვერცერთმა მთავრობამ – ვერც უაღრესად ტოტალიტალურმა – მოახერხა დღემდე დინებისა თუ ტენდენციის შეკავება, რომელსაც სულ უფრო მეტი ოპერაცია გადააქვს დიგიტალურ სფეროში. უმეტეს დემოკრატიულ ქვეყნებში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ საინფორმაციო რევოლუციის გავლენის სფეროს შეზღუდვის ყველა მცდელობა მარცხისთვისაა განწირული და მორალურად დაუშვებელია. თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს მიღმა ქვეყნების უმრავლესობამ ამასობაში შეწყვიტა ამ განვითარების წინააღმდეგ გალაშქრება და ახლა მისი შედეგების კონტროლსღა ცდილობს. თითოეული სახელმწიფო, თითოეული კომპანია და თითოეული ადამიანი ჩართულია ტექნოლოგიურ რევოლუციაში სუბიექტის ან ობიექტის როლში. ამ წიგნის მიზნისთვის მნიშვნელოვანია, როგორ გავლენას მოახდენს ეს განვითარება საერთაშორისო წესრიგის პერსპექტივაზე.

თანამედროვე მსოფლიო ფლობს ატომური იარაღის მემკვიდრეობას, რომელსაც შესწევს უნარი მთელი ცივილიზებული სიცოცხლე გააქროს. მაგრამ მიუხედავად მისი შესაძლო კატასტროფული გართულებებისა, მოხერხდა ამ იარაღის

სარგებლისა და ხიფათის ანალიზი ომისა და მშვიდობის მკაფიოდ გამიჯნული ციკლების მიხედვით. ინტერნეტის ახალი ტექნოლოგია სრულიად ახალ პერსპექტივებს ხსნის. კიბერსივრცე ყველა ისტორიულ გამოცდილებას აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ. მიუხედავად მისი ყოვლისმომცველობისა, იგი თავისთავად საშიშროებას არ წარმოადგენს. მის გამოყენებაზეა დამოკიდებული, რამდენად ვაქცევთ მას საფრთხედ. კიბერსივრციდან მომავალი საფრთხე გაურკვეველია, ბუნდოვანია და ხშირად ძნელად გასაგები. ქსელური კომუნიკაციის გაფართოებას სოციალურ, ფინანსურ, ინდუსტრიულ და სამხედრო სფეროებში უზარმაზარი სარგებელი მოაქვს, მაგრამ მან მოწყვლადობაც რევოლუციური მასშტაბით გაზარდა. მის თავბრუდამხვევ ტემპს წესები და რეგულაციები (თვით რეგულატორების ტექნიკური განათლებაც) ვეღარ ეწევა, რამაც ისეთი ბუნებრივი მდგომარეობა მოამზადა, რომლის დაძლევის აუცილებლობის გამოც შეიქმნა, თომას ჰობსის მიხედვით, პოლიტიკური წესრიგი.

კიბერეპოქამდე ერების უნარები სამხედრო ძალის, შეიარაღების, გეოგრაფიის, ეკონომიკისა და მორალის კომბინაციით იზომებოდა. ომიანობისა და მშვიდობის ჟამი მკაფიოდ იყო ერთმანეთისგან გამიჯნული. მტრობას კონკრეტული გამომწვევი მიზეზი ჰქონდა და მკაფიო დოქტრინის შესაბამისი სტრატეგიებით მიმდინარეობდა. საიდუმლო სამსახურების უპირველესი ამოცანა იყო მოწინააღმდეგის უნარების შეფასება და მათი დროდადრო დასუსტება. მათი აქტივობები უსიტყვო შეთანხმებით ან ქცევის საერთო წესებითა და ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი საერთო გამოცდილებით შემოიფარგლებოდა.

ინტერნეტის ტექნოლოგიის განვითარებამ სტრატეგიისა და დოქტრინის განვითარებას გაასწრო – ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. ახალ ერაში არსებობს უნარები, რომელ-

თათვისაც დღემდე არ მოუძებნიათ საერთო განმარტება – ან საერთო გაგება. ხოლო მათთვის, ვინც ამ უნარებს ფლობს, არ არსებობს საზღვრები, რომლებიც ღიად ან ფარულად დააწესებდა შეზღუდვებს. როდესაც ბუნდოვანი მიზნების მქონე ცალკეულ პირებს უჩნდებათ ამბიციური ქმედებების უნარები და არ ერიდებიან სხვების პირად სივრცეში ღრმად შეჭრას, მათ მეთოდებს სახელმწიფო ბევრს ვერაფერს უპირისპირებს. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ კიბერშეტევების განხორციელება უფრო იოლია, ვიდრე მისი მოგერიება – ეს კი განვითარების პროცესს მეტად აჩქარებს.

საფრთხეს ისიც ამწვავებს, რომ ასეთ ქმედებაში ეჭვმიტანილნი დამაჯერებლად უარყოფენ დანაშაულს და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად არ არსებობს საერთაშორისო შეთანხმება; და თუ ოდესმე იარსებებს, ჯერ შეუცნობელია მისი განხორციელების სისტემა. ერთ ლეპტოპს გლობალური შედეგების გამოწვევა შეუძლია. საკმარისი კომპიუტერული ძალის ერთ აქტორს შეუძლია თითქმის ანონიმურად შეიჭრას კიბერსივრცეში და დააზიანოს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა, გათიშოს ან გაანადგუროს კიდეც იგი. ძაბვის მომატებით შესაძლებელია განადგურდეს ელექტროქსელი, გაჩერდეს დიდი ელექტროსადგურები – და ეს განხორციელდეს სახელმწიფო საზღვრებს გარედან (როგორც არ უნდა ხდებოდეს სახელმწიფო საზღვრის დეფინიცია). ჰაკერების ერთი იატაკქვეშა სინდიკატი სახელმწიფო ქსელებში შეიჭრა და ისეთი მოცულობით გაავრცელა გასაიდუმლოებული საინფორმაციო მასალა, რომ გავლენა იქონია დიპლომატიურ ურთიერთობებზე. სტაქსნეტმა – კიბერშეტევის მაგალითმა, რომლის უკანაც სახელმწიფო ორგანო იდგა, შეძლო ირანის ატომური პროგრამის იმგვარი მასშტაბით და ხანგრძლივობით დაზიანება, რომ, ანგარიშების

მიხედვით, შესაძლებელია ეს შევადაროთ შეზღუდული მასშტაბის სამხედრო დარტყმას. 2007 წელს რუსეთიდან განხორციელებულმა ბოტნეტის შეტევამ ესტონეთში რამდენიმე დღის განმავლობაში გათიშა კომუნიკაცია.

ასეთი რამ, მაშინაც კი, თუ ტექნიკური უპირატესობის მქონე ქვეყნებისთვის სარგებელი მოაქვს, გრძელვადიან პერსპექტივაში დაუშვებელია. მსოფლიო წესრიგისკენ მიმავალი გზა შეიძლება გრძელი და ბუნდოვანი იყოს, მაგრამ არსებით პროგრესს ვერ მივაღწევთ, თუ მის შესახებ სერიოზულ დიალოგში გამოტოვებული იქნება საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი. ძალიან სათუოა, რომ ყველა მხარე, განსაკუთრებით, ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურული ტრადიციის მქონე მხარეები, დამოუკიდებლად მივიდნენ ერთნაირ დასკვნებამდე იმის შესახებ, როგორ უნდა შეფასდეს მათ მიერ სხვის ტექნიკაში შეჭრის ახლადშეძენილი უნარები და რამდენად დაშვებულია მათი გამოყენება. გადამწყვეტია ახალ გარემოებებზე საერთო ხედვის ჩამოყალიბების მცდელობა. მათ გარეშე მხარეები ისევ გააგრძელებენ საკუთარი ინტუიციის მიხედვით ქმედებას, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქაოსის საფრთხეს. ვირტუალურ, ქსელურ სამყაროში განხორციელებულ ქმედებებს აქვს ფიზიკურ რეალობაში საპასუხო ღონისძიებების გამოწვევის პოტენციალი, განსაკუთრებით, თუ შექმნეს საფრთხე, რომელიც ადრე შეიარაღებულ თავდასხმასთან ასოცირდებოდა. დაწესებული საზღვრების და დარეგულირებული ურთიერთთავშეკავების შეთანხმების გარეშე, სავარაუდოდ, კრიზისულ სიტუაციაში აღმოვჩნდებით. ძალაუნებურად, საერთაშორისო წესრიგის კონცეფციაც შეიძლება საგრძნობლად დაზიანდეს.

მთავრობებმა სტრატეგიული უნარების სხვა კატეგორიებში აღმოაჩინეს, რომ შეუზღუდავი ნაციონალური ქმედებანი თვითდამაზიანებელი ბუნებისაა. უფრო მდგრადი კურსი იქნე-

ბა პოტენციურ მოწინააღმდეგესთან ერთად ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც გააერთიანებს მუქარასა და ორმხრივ თავშეკავებას. ამას უნდა დაემატოს მცდარი ინტერპრეტაციისა და მცდარი კომუნიკაციის აღმკვეთი ღონისძიებები, რათა არ წარმოიქმნას კრიზისები.

ამასობაში, კიბერსფერო სტრატეგიული მოქმედების განუყოფელ ნაწილად იქცა. დღესდღეობით, მომხმარებელი, იქნება ეს ცალკეული პირი, კომპანია თუ სახელმწიფო, თავისი აქტივობის საკუთარ შეფასებას ენდობა. აშშ-ს სამხედრო უწყების – United States Cyber Command-ის ხელმძღვანელის აზრით, „შემდეგი ომი კიბერსივრცეში დაიწყება". საერთაშორისო წესრიგის აგება შეუძლებელი იქნება, თუ სფერო, სადაც სახელმწიფოებმა თავი უნდა დაიმკვიდრონ და განვითარდნენ, არ იქნება მოწესრიგებული საერთაშორისო ქცევის სტანდარტებით და დარჩება უნილატერალური გადაწყვეტილებების ამარა.

ომის წარმოების ისტორია გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ტექნიკური შეტევის პოტენციალი საბოლოოდ ბათილდება შესაბამისი თავდაცვითი ღონისძიებებით, გინდაც ეს ყველა ქვეყანას ერთნაირად არ შეეძლოს. ნიშნავს ეს იმას, რომ ტექნიკურად უფრო განუვითარებელმა ქვეყნებმა მაღალი ტექნოლოგიების მქონე სახელმწიფოებს უნდა შეაფარონ თავი? შედეგად ხომ არ მივიღებთ მრავლობით მცირე ზომის და დაძაბულ წონასწორობას? მუქარის სცენარს, რომელშიც ატომური იარაღის განადგურების პოტენციალს აბალანსებდა მეორე მხარის საპირწონე არსენალი, კიბერსფეროზე პირდაპირ ვერ გადავიტანთ, რადგან ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს მოულოდნელი თავდასხმა, რომელიც თავს არ იჩენს, სანამ არ განხორციელდება.

ატომური იარაღისგან განსხვავებით, კიბერსფეროში მუქარა ვერ დაემყარება საპასუხო დარტყმის სიმეტრიულ ზო-

მას. თუ კიბერშეტევა ერთ კონკრეტულ ფუნქციაზე ან ერთ კონკრეტულ მოცულობაზეა მიმართული, აგრესორის წინააღმდეგ განხორციელებულმა „იმავე სტილით რეაქციამ" შეიძლება მას სულ სხვა შედეგები მოუტანოს, ვიდრე მისი აქცია მოუტანს შეერთებულ შტატებს. მაგალითად, თუ დიდი ინდუსტრიული ეკონომიკის ფინანსური არქიტექტურა დაზიანდება, მსხვერპლს მხოლოდ იმის უფლება აქვს, რომ თავდამსხმელის – გინდაც უმნიშვნელო – ქონებაზე განახორციელოს საპასუხო დარტყმა? თუ მხოლოდ იმ კომპიუტერზე, საიდანაც აგრესია განხორციელდა? რადგან, ალბათ, არცერთი ეს რეაქცია საფუძვლიანად არ შეაშინებს მტერს, ისმის კითხვა, „ვირტუალური" შეტევა ამართლებს თუ არა „კინეტიკური" ძალით ანგარიშსწორებას – და რა დონემდე და როგორი ექვივალენტურობით? მუქარის თეორიის ახალი სამყარო და სტრატეგიული დოქტრინა, რომელიც ჯერ ისახება, სასწრაფო განვითარებას საჭიროებს.

საბოლოოდ, გარდაუვალი გახდება გლობალური კიბერგარემოს ორგანიზაციის რეგულაციები. გინდაც მისი განვითარება ჩამორჩებოდეს ტექნოლოგიურ პროგრესს, მას შეუძლია ლიდერები ავარჯიშოს საფრთხეებისა და შედეგების უკეთ შეფასებაში. გინდაც ხელშეკრულებას, კონფრონტაციის შემთხვევაში, ნაკლები წონა ჰქონდეს, გაუგებრობებით გამოწვეულ კონფლიქტებს მაინც აგვაცილებს თავიდან.

ასეთი ტექნოლოგიების დილემა ისაა, რომ ვერ შეიქმნება ქცევის წესები, სანამ არ შეფასდება ზოგადად მისგან გამოწვეული, თუნდაც მხოლოდ რამდენიმე შედეგით. მაგრამ ეს სწორედ ის შედეგებია, რომელთა გაჟღავნებაც არ ენდომებათ ძირითად მოთამაშეებს. შეერთებული შტატები მოუწოდებდა ჩინეთს, თავი შეეკავებინა კიბერშეტევების გზით ეკონომიკური ჯაშუშობისგან, რასაც ისინი აქამდე არნახული მასშტაბით

ახორციელებდნენ. მაგრამ თავად აშშ რამდენად იქნება მზად, გაასაჯაროს საკუთარი შესაძლებლობები კიბერსივრცეში?

ამგვარად, კიბერძალებს შორის დიპლომატიური და სტრატეგიული ურთიერთობების თანდაყოლილი მოვლენაა ასიმეტრიული ურთიერთობები და დარღვეული წესრიგი. უამრავი სტრატეგიული მეტოქეობის ფონზე, სიმძიმის ცენტრი ფიზიკურიდან საინფორმაციო სივრცეში გადადის, მონაცემების მოგროვება-შეფასება, ქსელების გატეხვა, ფსიქოლოგიური მანიპულაციები წარმოადგენს ახალ იარაღს. საერთაშორისო ქცევის ჩამოყალიბებული წესების გარეშე, სისტემის შინაგანი დინამიკა კრიზისამდე მიგვიყვანს.

ადამიანის ფაქტორი

მე-16 საუკუნეში ახალი დროის დაწყებიდან, ფილოსოფოსები მსჯელობენ ადამიანის დამოკიდებულებაზე გარემოსთან. ჰობსმა, ლოკმა და რუსომ შექმნეს ადამიანის ცნობიერების ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური პორტრეტი და აქედან გამომდინარე ჩამოაყალიბეს მისი პოლიტიკური პოზიციები. ეს პრობლემა აწუხებდათ ამერიკის დამაარსებელ მამებსაც, კერძოდ, მედისონს ესსეში "Federalist 10". მათ საზოგადოების განვითარება აღწერეს „ადამიანის ბუნებაში ჩათესილი" ფაქტორების მიხედვით: თითოეული ინდივიდის ძლიერი, მაგრამ შეცდომისგან დაუზღვეველი გონის ძალა და თანდაყოლილი „თავმოყვარეობა", რომელთა ურთიერთკავშირი წარმოშობს „განსხვავებულ მოსაზრებებს"; ამას ემატება ადამიანის უნარების მრავალფეროვნება, საიდანაც გამომდინარეობს „განსაკუთრებული თვისებების განსხვავებული სახეობები და ხარისხი", რის გამოც „საზოგადოება იყოფა სხვადასხვა ინტე-

რესებისა და პარტიების" მიხედვით. ეს მოაზროვნენი, ცალკეული ფაქტორების ანალიზისა და გამოტანილი დასკვნებისას, განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, მაგრამ ყველა მათგანმა შექმნა კონცეფცია კაცობრიობისა, რომლის თანდაყოლილი ბუნება და რეალობის გამოცდილება მარადიული და უცვლელია.

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის ცნობიერებას უპრეცედენტო ფილტრი აყალიბებს. ტელევიზიის, კომპიუტერისა და სმარტფონის სამეული გვაძლევს საშუალებას, განუწყვეტელი ურთიერთობა გვქონდეს ეკრანთან. ადამიანის ინტერაქცია ფიზიკური სამყაროდან სულ უფრო გადადის ერთმანეთთან დაკავშირებული ინსტრუმენტების ვირტუალურ სამყაროში. ახალი კვლევების მიხედვით, მაგალითად, ზრდასრული ამერიკელები, საშუალოდ, ფხიზლად ყოფნის ნახევარზე მეტ დროს ეკრანის წინ ატარებენ – და დროის ეს მონაკვეთი კიდევ იზრდება.

როგორ აისახება ეს კულტურული გარდატეხა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაზე? პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები მრავალნაირ დავალებას ასრულებს, რომელთაგან ბევრი მისი ქვეყნის ისტორიაზე და კულტურაზეა დამოკიდებული. საკუთარი საზოგადოების გათვალისწინებით, მან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადგინოს თავისი საზოგადოების ზუსტი პოზიცია, რომელიც, ალბათ, წარსულსა და მომავალს შორის მდებარეობს. თუ პოლიტიკოსმა ამ ორ ელემენტს ალღო ვერ აუღო, საზოგადოების განწყობას ვერ შეაფასებს. შემდეგ მან უნდა იგრძნოს, საით მიჰყავს თავად ის და მისი საზოგადოება მოვლენების განვითარებას. პოლიტიკოსმა უნდა გაუძლოს ცდუნებას და პოლიტიკას არ უნდა შეხედოს როგორც ნდობის პროექციას მომავალში, რადგან ამ გზაზე მას სტაგნაციის და ბოლოს მარცხის საშიშროება ემუქრება. ტექნოლოგიური და პოლიტიკური გარდატეხის

დროში ხშირად სიახლენი უფრო გონივრულია. ბუნებრივია, სიახლე, რომელსაც საზოგადოება არსებული მდგომარეობიდან გამოჰყავს, დადებით და უარყოფით მხარეებს შეიცავს, მათი დაბალანსება კი მნიშვნელოვანია. სიახლე ხასიათის სიმტკიცესა და გამბედაობას მოითხოვს: ხასიათის სიმტკიცეს, რადგან არჩევანი გამოკვეთილი არ არის, ხოლო გამბედაობას, რადგან გზას თავიდან უკაცრიელ ველზე მივყავართ. შემდეგ სახელმწიფო მოღვაწემ თავისი ხალხი უნდა დაარწმუნოს ახალი გზის სისწორეში. დიდი სახელმწიფო მოღვაწეები (ჩერჩილი, ორივე რუზველტი, დე გოლი და ადენაუერი) ამ თვისებებს ფლობდნენ, მათ ჰქონდათ ხედვა და მოქმედების მტკიცე სურვილი. ამ თვისებების განვითარება დღევანდელ საზოგადოებაში სულ უფრო ძნელი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტმა ჩვენს დროს მნიშვნელოვანი მიღწევები მოუტანა, რომელთა გარეშე ცხოვრება უკვე წარმოუდგენლად გვეჩვენება, მისთვის აქტუალური უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსალოდნელი, ფაქტობრივი უფრო მთავარია, ვიდრე კონცეპტუალური. მის ღირებულებებს უფრო კონსენსუსი განსაზღვრავს, ვიდრე თვითანალიზი. ისტორიისა და გეოგრაფიის ცოდნას მისთვის, ვინც ინფორმაციას ღილაკზე თითის ერთი დაჭერით იძახებს, ალბათ მნიშვნელობა არ აქვს. პოლიტიკურ გზაზე მარტო სიარულის სურვილს ვერ გაიგებს ადამიანი, რომელიც ფეისბუკზე ასობით და ათასობით მეგობრისგან მოწონებას ელტვის.

ინტერნეტის ეპოქაში მსოფლიო წესრიგი ხშირად უტოლდება თეზისს, რომ კაცობრიობის ბუნებრივი ლტოლვა თავისუფლებისკენ გაიმარჯვებს და განხორციელდება, როგორც კი ადამიანს თავისუფალი წვდომა ექნება ცოდნაზე და მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეძლებს ინფორმაციის გაზიარებას, მაშინ, ისტორია, ასე ვთქვათ, ავტოპილოტზე გადაერთვება. მაგრამ ფილოსოფოსები და პოეტები სულიერ სფეროს

დიდხანს სამ კომპონენტად ყოფდნენ: ინფორმაცია, ცოდნა და სიბრძნე. ინტერნეტი ფოკუსირდება ინფორმაციის სამყაროზე, რომლის გავრცელება სულ უფრო და უფრო უმჯობესდება. ხდება სულ უფრო კომპლექსური ფუნქციების კონსტრუქცია, განსაკუთრებით, კითხვებზე პასუხების მინოდების კუთხით, კითხვები კი ჟამთა სვლის მიუხედავად არ იცვლება. საძიებო მანქანები სულ უფრო რთულ დავალებებს ასრულებენ სულ უფრო სწრაფი ტემპით. თუმცა, ინფორმაციის სიჭარბე, პარადოქსია, მაგრამ ცოდნის მიღებას აფერხებს და სიბრძნისგან კიდევ უფრო გვაშორებს.

ეს პრობლემა თ. ს. ელიოტმა კარგად „დაიჭირა" თავის "Choruses from The Rock"-ში:

> სად არის სიცოცხლე, ცხოვრებას რომ ვანაცვალეთ?
> სად არის სიბრძნე, ცოდნას რომ ვანაცვალეთ?
> სად არის ცოდნა, ინფორმაციას რომ ვანაცვალეთ?

ფაქტებს იშვიათად აქვთ თვითახსნის უნარი. მათი მნიშვნელობა, ანალიზი და ინტერპრეტაცია – ყოველ შემთხვევაში, საგარეო პოლიტიკის სამყაროში – დამოკიდებულია კონტექსტსა და რელევანტურობაზე. როდესაც კითხვა მეტი წამოიჭრება, ვიდრე ფაქტების ძიების სურვილი, იგულისხმება, რომ ყველა კითხვაზე უნდა იძებნებოდეს პასუხი და პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე კი აღარ უნდა დავფიქრდეთ, არამედ მოვიძიოთ ეს გზები. მაგრამ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში – და ბევრ სხვა სფეროშიც – ინფორმაცია, რომელიც მართლა შეიძლება გამოგვადგეს, უნდა განვიხილოთ ისტორიისა და გამოცდილების უფრო ფართო კონტექსტში, რათა იგი გადაიქცეს ნამდვილ ცოდნად. ბედნიერია საზოგადოება, თუ მისი ლიდერები ხანდახან მაინც აღწევენ სიბრძნის საფეხურს.

წიგნიდან შეძენილ ცოდნას ინტერნეტში ძიებისგან განსხვავებული გამოცდილება მოაქვს. კითხვა უფრო მეტ დროს მოითხოვს. ამ პროცესის გასამარტივებლად, სტილს დიდი ნიშვნელობა ენიჭება. რადგან შეუძლებელია, ადამიანმა ერთ რომელიმე თემაზე წაიკითხოს ყველა წიგნი და მით უმეტეს, საერთოდ ყველა წიგნი, რაც დედამიწაზე არსებობს, ან წაკითხული იოლად გადაამუშავოს, წიგნებიდან სწავლისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კონცეპტუალურ აზროვნებას: ეს არის მსგავსი ინფორმაციისა და მოვლენების შეცნობის და მათი ნიმუშის მომავალში პროეცირების უნარი. სტილი კი მკითხველსა და ავტორს ან თემას შორის ქმნის ურთიერთობას, რომლითაც შინაარსს ესთეტიკას უკავშირებს.

ცოდნის შეძენის კიდევ ერთი გზა, ტრადიციულად, პირადი საუბრებიც იყო. აზრების გაზიარება და მათზე მსჯელობა ათასწლეულების განმავლობაში აფართოებდა შეძენილი ფაქტობრივი ინფორმაციის მოცულობას ემოციური და ფსიქოლოგიური განზომილებით. ისინი ასახავდა შეხედულებებსა და პირად მოსაზრებებს. დღეს, მოკლე ტექსტური შეტყობინებების კულტურა, თითქოს პირისპირ ურთიერთობის თავიდან აცილებას ემსახურება.

კომპიუტერმა მნიშვნელოვნად გაამარტივა ინფორმაციის შეგროვება, მისი შენახვა და პოვნა. მონაცემები თითქმის უსაზღვროდ შეგვიძლია შევინახოთ და ვმართოთ. კომპიუტერი ინფორმაციის ისეთ რაოდენობაზე აჩენს წვდომას, ისე ეფექტურად ახარისხებს მას, რასაც წიგნის ეპოქა ვერასდროს შეძლებდა. ამ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველსაყოფად აღარც სტილია საჭირო და აღარც დამახსოვრების უნარი. რადგან კომპიუტერს შეუძლია ცალკეული კითხვების კონტექსტის გარეშე დამუშავება, გვაძლევს შესაძლებლობებს, რომელსაც ათი წლის წინათ ვერც კი წარმოვიდგენდით. მაგრამ, ამავე დროს, აკნინებს შედეგს. რადგან ინფორმაციას

მარტივად ვიძახებთ და კომუნიკაცია დაუბრკოლებლად მიმდინარეობს, მათ მნიშვნელობას წონა ეკარგება. ისიც კარგავს მკაფიობას, რა არის, კაცმა რომ თქვას, მნიშვნელოვანი. ამ დინამიკამ, შესაძლებელია, პოლიტიკოსს უბიძგოს, დაელოდოს პრობლემის გაჩენას, იმის მაგივრად, რომ წინასწარ აღკვეთოს იგი, მერე კი გადაწყვეტილების მომენტებს შეხედოს როგორც ცალკეული მოვლენების სერიას და არა როგორც ისტორიული დინების ნაწილს. ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის მიმართ დამოკიდებულება ჩაანაცვლებს რეფლექსიას, როგორც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ინსტრუმენტს.

ინტერნეტის მოხმარება ასევე ენებს ისტორიულ მეხსიერებასაც. ამ ფენომენს ასე აღწერენ: „ადამიანებს ავიწყდებათ ის, რაც ჰგონიათ, რომ გარეთ მოიპოვება და იმახსოვრებენ იმას, რაზეც ასე არ ფიქრობენ". რადგან ინტერნეტის შესაძლებლობები განუსაზღვრელია, ქრება დამახსოვრების სურვილი. კომუნიკაციის ტექნოლოგია ასევე თრგუნავს ცალკეული ინდივიდის უნარს, თავის თავში ეძებოს გამოსავალი, რადგან ადამიანი სულ უფრო მეტად ენდობა და ეყრდნობა განსჯის პროცესში გაჩენილ შუამავალს და დამხმარეს. მუდამ ხელმისაწვდომი ინფორმაცია გვიბიძგებს კვლევისკენ, თუმცა თრგუნავს დამოუკიდებელი აზროვნებისკენ სწრაფვას. ცნობიერების ცვლილება ალბათ ცვლის ადამიანის ხასიათსაც, მის ბუნებას და, სავარაუდოდ, ადამიანურობასაც შეცვლის ნელ-ნელა. წიგნის ბეჭდვის ეპოქაში ადამიანი სამყაროს ისევე აღიქვამდა, როგორც მისი შუასაუკუნეების წინაპრები? კომპიუტერის ეპოქამ შეგვიცვალა სამყაროს აღქმის ოპტიკური პერსპექტივა?

დასავლეთის ისტორიასა და ფსიქოლოგიაში აქამდე სიმართლე დამკვირვებლის პიროვნებისა და გამოცდილებისგან დამოუკიდებელ მოცემულობად მიიჩნეოდა. ჩვენს ეპოქაში ვდგავართ სიმართლის არსის კონცეფციის ცვლილების

ზღურბლზე. თითქმის ყველა ვებგვერდს აქვს პერსონალიზაციის ფუნქცია, რომლითაც მომხმარებლის მონაცემები გროვდება, იკრიბება და იქმნება მისი პორტრეტი. ამ მეთოდით „მეტი შინაარსის მოხმარებას" უნდა შეეწყოს ხელი და მომარაგდეს სარეკლამო სფერო, რაც, საბოლოო ჯამში, ამოძრავებს ინტერნეტ-ეკონომიკას. დიფერენცირებული მართვა არის ვრცელი ტენდენციის ნაწილი, რომელიც პრაქტიკული თვალსაზრისით იყენებს ადამიანის მიერ არჩევანის გაკეთების ტრადიციულ სტილს. შეთავაზებები შესაბამისად ლაგდება და მომხმარებელს მიეწოდება ის, რაც „ალბათ მოეწონებოდა". ონლაინ-ინფორმაცია პერსონალიზირებული ხდება და ისე მიეწოდება მკითხველს, „როგორც მას ყველაზე უკეთ შეესაბამება". ორი პირი, რომელიც ერთსა და იმავე კითხვას შეიყვანს ინტერნეტში, მაინცდამაინც ერთნაირ პასუხს ვერ მიიღებს. სიმართლის კონცეფცია პირობითი და ინდივიდუალური ხდება – კარგავს უნივერსალურ ხასიათს. ინფორმაციას უფასოდ გვთავაზობენ, მაგრამ საფასურს ვიხდით საკუთარი მონაცემების გამჟღავნებით, რასაც უცნობი პირები იყენებენ შემოთავაზებული ინფორმაციის კიდევ უფრო დასახვეწად.

რაც არ უნდა სასარგებლო იყოს ეს მიდგომა სამომხმარებლო სამყაროსთვის, მან, შესაძლებელია, საფუძვლიანად შეცვალოს პოლიტიკის კეთების სტილი. პოლიტიკაში მუდამ რთული გადაწყვეტილებებია მისაღები. როგორ უნდა განავითაროს ინდივიდმა, ყოვლისმომცველი სოციალური ქსელების არსებობის პირობებში, მდგრადობა გადაწყვეტილებებისა, რომლებიც, წარმოუდგენელია, მიღებული იყოს კონსენსუსის საფუძველზე? ანდაზა, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო, იმიტომ ამართლებს, რომ იგი კონვენციური კონცეფციების მიღმა მოქმედებს და მის პოზიციას მომწიფების დრო აღარ რჩება. ცხოვრების ყველა სფეროში შეჭრილი გამჭვირვალობა

და დაქსელვა, პირადი სივრცის დარღვევა, აღარ იძლევა პიროვნების მომწიფებისა და ინდივიდუალური გადაწყვეტილებათა მიღების საშუალებას.

ეს განვითარება კარგად ჩანს აშშ-ს არჩევნების მაგალითზეც, განსაკუთრებით, საპრეზიდენტო არჩევნებისას. ცნობილია, რომ 2012 წლის საარჩევნო კამპანიისთვის შეგროვდა ათეულ მილიონობით პოტენციურად დამოუკიდებელი ამომრჩევლის მონაცემები. სოციალური ქსელების, მონაცემთა ღია ბანკებისა და სამედიცინო ანკეტების კვლევის შედეგად შეგროვილი მონაცემები ქმნიან პიროვნების პროფილს, რომელიც ალბათ უფრო ზუსტია, ვიდრე თვით ეს პირები დაიხასიათებდნენ თავს. ამ მონაცემების ბაზაზე კოორდინატორებს შეეძლოთ ყველაზე ხელსაყრელი მეთოდის არჩევა მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად, იქნებოდა ეს კანდიდატის ერთგული მეგობრების (მათი ვინაობაც ინტერნეტით დგინდება) სახლში სტუმრობა, პირადი წერილი (შექმნილი სოციალური ქსელების კვლევის შედეგად) თუ ჯგუფური შეხვედრები.

საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია მალე იქცევა ინტერნეტის პროფესიონალ მომხმარებელთა მედია-შეჯიბრად. თუ ადრე კანდიდატები პოლიტიკურ შინაარსებზე კამათობდნენ, მომავალში იქცევიან გამხმოვანებლებად მარკეტინგული სტრატეგიისა, რომელიც ისე ღრმად იჭრება პირად სივრცეში, რომ ჯერ კიდევ ერთი თაობის წინ მისი მეთოდები მეცნიერული ფანტასტიკის ფილმის სიუჟეტად გამოდგებოდა. კანდიდატების ყველაზე მნიშვნელოვანი როლი, ალბათ იქნება შემოწირულობების მოგროვება და არა თემების დამუშავება. რა არის მარკეტინგის ამოცანა, ამომრჩევლისთვის კანდიდატის შეხედულებების გაცნობა თუ ის, რომ კანდიდატის გამოთქმულმა შეხედულებებმა ასახოს ამომრჩევლის სავარაუდო პრიორიტეტები და განწყობები, მოპოვებულ მონაცემთა გადამუშავების შედეგად? შეძლებს დემოკრატია, გაუძალიანდეს და არ იქცეს

პოპულიზმად, რომელიც მასების ემოციას უფრო ეხმიანება, ვიდრე აზრის ჩამოყალიბების პროცესს, როგორც ეს ესმოდათ ამერიკის დამაარსებელ მამებს? თუ უფსკრული ხმების მოსაპოვებლად საჭირო უნარსა და სახელმწიფოს მართვის უნარს შორის ძალიან გაღრმავდება, დაზიანდება გონივრული საგარეო პოლიტიკის წარმართვისთვის აუცილებელი ატრიბუტები – ისტორიის ანალიზი და შეგრძნება. შესაძლებელია, ამ თვისებების კულტივაციამ იმდენად განსაზღვროს ამერიკის პრეზიდენტის პირველი ვადა, რომ შეიძლება დაკნინდეს შეერთებული შტატების, როგორც ლიდერის როლი.

საგარეო პოლიტიკა უახლესი ტექნიკოლოგიების ეპოქაში

საზრიანი დამკვირვებლები გლობალურ გარდაქმნებს, რომელსაც ხელი შეუწყო ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარებამ, მიიჩნევენ დემოკრატიისა და მშვიდობის განმტკიცების ახალი ეპოქის დასაწყისად. ისინი ხოტბას ასხამენ ახალ ტექნოლოგიებს, რომელიც აძლიერებს ინდივიდის გავლენას და ქმნის გამჭვირვალობას, იქნება ეს უწყებათა არაკეთილსინდისიერი მმართველობის გასაჯაროება, თუ კულტურული გაუგებრობების აღმოფხვრა. ან სათანადო ბარიერების გადალახვა. ოპტიმისტები ნამდვილად სამართლიანად მიუთითებენ ახალი კომუნიკაციის განსაზღვრულ გავლენაზე, უსწრაფესად რომ ვრცელდება გლობალურ ქსელზე. ისინი აღფრთოვანებით საუბრობენ კომპიუტერული ქსელის შესაძლებლობებზე და „ჭკვიან" ხელსაწყოებზე, რომელთა საშუალებით საზოგადოება, ეკონომიკა და გარემოს დაცვა მეტ ეფექტურობას იძენს. აგრეთვე ეიმედებათ, რომ აქამდე

გადაუჭრელი ტექნიკური პრობლემები, ინტელექტით დაკავშირებული მასების წყალობით, ბოლოს და ბოლოს გადაიჭრება.

ერთ-ერთი თვალსაზრისის თანახმად, ქსელური კომუნიკაციის მსგავსი პრინციპები, თუ სწორად მივუსადაგებთ საგარეო პოლიტიკურ საკითხებს, დაგვეხმარება ძალადობრივი კონფლიქტების საუკუნოვანი პრობლემების გადაჭრაშიც. ამ თეორიის თანახმად, უძველესი ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებები ინტერნეტის ეპოქაში სიმწვავეს დაკარგავს, რადგან „ადამიანები, რომლებიც მითებს ავრცელებენ რელიგიის, კულტურის, ეთნიკური საკითხების შესახებ, ვეღარ დააჯერებენ ინფორმირებულ მსმენელს. მონაცემთა სიმრავლისას ყველას უკეთესი წვდომა აქვს ფაქტებზე". ეროვნული ქიშპობა და უძველესი დაპირისპირებები გადაილახება, „რადგან მომავალში მთავრობებს, დღეს არსებული ტექნიკური აღჭურვილობის, პლატფორმებისა და მონაცემთა ბაზების გამო, ბევრად უფრო გაუჭირდებათ მსგავს საკითხებზე დავა, არა მხოლოდ მუდმივი ევიდენტურობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ყველას ერთნაირი წვდომა ექნება წყაროებზე". ამ შეხედულების მიხედვით, ერთმანეთთან დაკავშირებული დიგიტალური ხელსაწყოების გავრცელება სასიკეთოდ უნდა გაცხადდეს. კომუნიკაციის უახლესი ქსელები უნდა დაგვეხმაროს ხარვეზების დაძლევაში, სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობების განმუხტვაში და დაქუცმაცებული ნაწილების ჰარმონიულ გლობალურ სისტემად გადაქცევაში.

ვუდრო უილსონისეული სამყაროს ხედვის ყველაზე უკეთილშობილესი მოსაზრებების რეალური აღიარებით ეს იქნება სამყარო, რომელსაც გააერთიანებს დემოკრატია, ღია დიპლომატია და საერთო წესები. ეს ოპტიმიზმი, როგორც ასლი პოლიტიკური და სოციალური წესრიგისა, ბადებს ისეთ კითხვე-

ბსაც, როგორსაც უილსონის ხედვა ბადებდა პრაქტიკულსა და სასურველს შორის განსხვავების საკითხში.

კონფლიქტები საზოგადოების შიგნით და საზოგადოებებს შორის ცივილიზაციის დასაბამიდან არსებობს. ამ კონფლიქტების მიზეზები არ დაიყვანება ინფორმაციის ნაკლებობამდე ან არასაკმარისად გავრცელებამდე. ისინი ხლეჩენ არა მხოლოდ განსხვავებულ, დაპირისპირებულ საზოგადოებებს, არამედ ისეთებსაც, ერთმანეთთან რომ საუკეთესო ურთიერთობებით გამოირჩეოდნენ. მაშინაც, როდესაც ინდივიდებს ერთსა და იმავე წყაროზე ჰქონდათ წვდომა, უთანხმოება სუფევდა იმაზე, რა მნიშვნელობა ჰქონდა მის შინაარსს ან როგორი იყო მისი სუბიექტური ფასი. სადაც ღირებულებები, იდეალები და სტრატეგიული მიზნები საფუძველშივე ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ინფორმაციის წვდომა და ქსელი კონფლიქტებს კი არ განმუხტავს, არამედ, შეიძლება უარესად გაამწვავოს კიდეც.

უახლესი სოციალური და საინფორმაციო ქსელები ხელს უწყობენ კრეატიულობას. ინდივიდს შესაძლებლობა ეძლევა შეხედულებები გამოხატოს ამა თუ იმ უსამართლობაზე და საჯაროდ დაგმოს კიდეც, რაც მანამდე მიჩუმათებული იყო. კრიზისულ სიტუაციებში ისინი იძლევიან მოვლენებისა და ტაქტიკის სწრაფი კომუნიკაციის და გამოქვეყნების გადამწყვეტ უნარს – და, ამგვარად, შესაძლოა, კონფლიქტის გამომწვევ გაუგებრობათა თავიდან აცილებაც მოხერხდეს.

მაგრამ, ამავდროულად, სოციალურ და საინფორმაციო ქსელებს უფრო ახლო კონტაქტში მოჰყავს ერთმანეთთან დაპირისპირებული და ხანდახან სრულიად შეუთავსებელი ღირებულებითი სისტემები. ინტერნეტის საშუალებით ცნობებისა და კომენტარების გავრცელების და მონაცემთა გადამუშავებაზე დაფუძნებული საარჩევნო სტრატეგიების გამო, ამერიკის პოლიტიკაში არავითარ შემთხვევაში არ დაუკარგავს მნიშვნელობა პარტიულ-პოლიტიკურ ასპექტს. პირიქით, მათ უფრო

დიდი აუდიტორია მოიპოვეს. გამონათქვამები, რომლებიც ადრე საერთაშორისო დონეზე შეუმჩნეველი და უყურადღებოდ დარჩებოდა, ახლა მთელ მსოფლიოში ვრცელდება და მათ ძალადობრივი მოწოდებების მიზეზადაც კი იყენებენ. ასე მოხდა ისლამურ სამყაროში, როდესაც ერთ დანიურ ჟურნალში გამოქვეყნდა პროვოკაციული კარიკატურები ან უმნიშვნელო სამოყვარულო ამერიკულ ფილმში გაჩნდა მარგინალური შინაარსი. კონფლიქტურ სიტუაციებში სოციალური ქსელები გამოიყენება როგორც სოციალური წინააღმდეგობების გაღრმავების, ასევე მათი გადაჭრის პლატფორმად. სირიის სამოქალაქო ომში გადაღებულმა სასტიკმა ვიდეოებმა დაპირისპირებულ მხრეებს შორის უფრო გაამწვავა კონფლიქტი, ვიდრე შეაჩერა სისხლისღვრა. ხოლო ტერორისტული ორგანიზაცია ISIL სოციალურ მედიას იყენებს ხალიფატის პროკლამაციისა და წმინდა ომისკენ მოწოდების გასავრცელებლად.

ზოგიერთი ავტორიტარული სტრუქტურა მართლაც შეიძლება ჩამოიშალოს ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციისა და სოციალური ქსელებით ორგანიზებული პროტესტის გამო, ჩანაცვლდეს უფრო ღია და პარტისიპატორული სისტემით, რომელიც დამყარებული იქნება ჰუმანურ ღირებულებებსა და ჩართულობაზე. მაგრამ სხვაგან ძალაუფლებაში მყოფნი ჩაგვრის უფრო ძლიერ ინსტრუმენტებს მიიღებენ. ინდივიდის გადაადგილების მოთვალთვალე და გადამამუშავებელი, ყველა გამონათქვამის ჩამწერი და გადამცემი (ახლა უკვე დაბადების მომენტიდან), მის მაგივრად მოაზროვნე (კომპიუტერული ტექნიკის მოწინავე ფრონტის) ხელსაწყოების საყოველთაო გავრცელება, რეპრესიებსაც ისევე ფართოდ უღებს კარს, როგორც ისეთ ახალ შესაძლებლობებს, როგორიცაა თავისუფლებისკენ სწრაფვა. ასე თუ შევხედავთ, ალბათ უახლესი ტექნოლოგიების ყველაზე რადიკალური ასპექტი არის ის, რომ იგი პოლიტიკური და ეკონომიკური იერარქიის სათავეში მყოფ მცირე

ჯგუფებს ინფორმაციის გავრცელებისა და კონტროლის, დებატების წარმართვისა და გარკვეულ დონემდე სიმართლის ჩამოყალიბების კიდევ უფრო მეტ საშუალებას აძლევს.

დასავლეთში „ფეისბუკისა" და „ტვიტერის" როლს „არაბული გაზაფხულის" რევოლუციების დროს ხოტბას ასხამდნენ. მაგრამ გინდაც ციფრულად აღჭურვილმა მასებმა წარმატებით მოაწყონ დემონსტრაციები, ტექნოლოგია ვერაფრით მოგვცემს გარანტიას, რომ დამკვიდრდება ღირებულებები, რომლებიც ინოვაციის შემქმნელებმა ან საზოგადოების უმრავლესობამ გაითავისეს. გარდა ამისა, ტექნოლოგიები, რომელიც ემსახურება დემონსტრაციების მოწყობას, ასევე შეუძლიათ გამოიყენონ აქტივისტების დევნისა და განადგურებისთვის. დღეს თითქმის ყველა დიდი ქალაქის ცენტრალურ მოედნებზე მუდმივი ვიდეოთვალთვალი ხორციელდება. სმარტფონის ნებისმიერი მფლობელის ლოკალიზება არის შესაძლებელი რეალურ დროში. როგორც ერთმა ახალმა კვლევამ დაასკვნა: „ინტერნეტმა ამგვარი მონაცემების მოპოვება უფრო მარტივი, იაფი და სასარგებლო გახადა".

კომუნიკაციის გლობალური გავრცელება და ტემპი შლის საზღვრებს შიდა და საერთაშორისო არეულობებს, აგრეთვე, ლიდერებსა და ჯგუფებს, მათ შორის, ყველაზე ხმაურიან ჯგუფებს შორის. მოვლენები, რომელთა შედეგები მხოლოდ თვეების შემდეგ ვრცელდებოდა, ახლა წამებში მოედება ხოლმე მთელ მსოფლიოს. პოლიტიკოსებისგან მოელიან, რამდენიმე საათში ჩამოაყალიბონ პოზიცია და ჩაერთონ მოვლენათა ნიაღვარში, შემდეგ კი ეს ყველაფერი ქსელების საშუალებით დაუყონებლივ გაავრცელონ. მასების დიგიტალურად გამოთქმულ მოთხოვნებზე რეაქცია შეიძლება უფრო დიდი აღმოჩნდეს, ვიდრე მონდომება, განსჯით გადაიჭრას რთული მდგომარეობანი და თანაც ხანგრძლივი დროით.

სამწუხაროდ, ინფორმაციას, ცოდნასა და სიბრძნეს შორის განსხვავება ნელ-ნელა იკარგება.

თუ ადამიანების საკმარისი რაოდენობა ინტერნეტის მეშვეობით მოითხოვს მთავრობა გადადგეს, ახალი დიპლომატიისთვის ეს მიჩნეულია დემოკრატიული ნების გამოხატულებად და დასავლეთს მორალური და მატერიალური დახმარებისთვისაც ავალდებულებს. დასავლელი (და განსაკუთრებით ამერიკელი) ლიდერები გამოუვალ ვითარებაში ექცევიან, მათ უსწრაფესად და მკაფიოდ უნდა გამოხატონ ქსელებში მხარდაჭერა, რომ გადადგომის მოთხოვნა ასევე ინტერნეტით გავრცელდეს და განმტკიცდეს.

თუკი ტრადიციულმა დიპლომატიამ ხანდახან ხელიდან გაუშვა იმ პოლიტიკური ძალების მხარდაჭერა, რომლებიც ამას მორალურად იმსახურებდნენ, ამჯერად ახალი დიპლომატიაა საფრთხის წინაშე, განურჩევლად და დაუყოვნებლივ, სტრატეგიის გაუთვალისწინებლად ჩაერიოს ყველა საქმეში. ახალი დიპლომატია მსოფლიო საზოგადოებრიობას მანამ ამცნობს მორალურ თეზისებს, სანამ მთავარი მოთამაშეების გრძელვადიან მიზნებს, მათ სავარაუდო წარმატებას ან მდგრადი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას შეაფასებდეს. ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფების მოტივები, მათი შეთანხმებული მმართველობის უნარი, რომელსაც საფუძვლად უნდა ედოს ქვეყნის სტრატეგიული და პოლიტიკური გარემოებები და მათი ურთიერთობა სხვა სტრატეგიულ პრიორიტეტებთან, მეორე პლანზე ინაცვლებს და მთავარი ხდება წამიერი განწყობის უძლიერეს იმპერატივს დამორჩილება.

დაუშვებელია, წესრიგს მიენიჭოს უპირატესობა თავისუფლებაზე. მაგრამ თავისუფლებისათვის ბრძოლა ემოციური განწყობიდან სტრატეგიაში უნდა გადაიზარდოს. ზნეობრიობის გამოხატვა ადამიანური ღირებულებებისკენ სწრაფვაში მხოლოდ პირველი ნაბიჯია. შემდეგ მან უნდა გაუძლოს ყვე-

ლანაირ დამაბრკოლებელ გარემოებას – ეს კი პოლიტიკის ამოცანაა. ამ პროცესში ინფორმაციის გავრცელება და თავისუფალი ინსტიტუციების ღია მხარდაჭერა ჩვენი დროის მნიშვნელოვანი ახალი ასპექტებია. მაგრამ თუ მისი საფუძვლის შემქმნელ სტრატეგიულ და პოლიტიკურ ფაქტორებს არ გავითვალისწინებთ, დანაპირების შესრულება გაჭირდება.

დიდი სახელმწიფო მოღვაწეები, მიუხედავად მათი პიროვნული თავისებურებებისა, თითქმის გამონაკლისის გარეშე ფლობენ თავიანთი ქვეყნის ისტორიისა და საზოგადოების ინტუიციურ ალღოს. მწერალი, ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი ედმუნდ ბერკი როგორც ამბობდა, „ხალხი ვერ გაიაზრებს მომავალს, თუ წინაპრებისკენ არასოდეს მიუპყრია მზერა". როგორი პოზიცია ექნებათ მათ, ვინც ინტერნეტის ეპოქაში ლამობს დიდ სახელმწიფო მოღვაწედ ჩამოყალიბებას? დიგიტალურ ხანაში ლიდერებსაც და მთელ საზოგადოებასაც ემუქრება ქრონიკული დაეჭვებისა და ჯიუტი თვითდამკვიდრების კომბინაცია. ლიდერები, რადგან სულ უფრო ნაკლებად არიან თავიანთი პროგრამების ავტორები, თავის დამკვიდრებას ნების სიმტკიცითა და ქარიზმით ცდილობენ. მოქალაქეებს კი, სულ უფრო ეზღუდებათ წვდომა საჯარო დებატების ძნელად გასაგებ თემებზე. აშშ-ში, ევროპასა და სხვაგან, დიდი მოცულობის, ხშირად ათასობით გვერდიანი კანონები და მათი ზუსტი მნიშვნელობა მათ შემქმნელ დეპუტატებსაც კი აღარ ესმით.

დასავლელი ლიდერების ადრინდელი თაობები თავიანთ დემოკრატიულ მისიას აღასრულებდნენ ცნობიერებით, რომ მმართველობა უფრო მეტია, ვიდრე გამოკითხვების შედეგების ყოველდღიურ პოლიტიკაში გატარება. შესაძლებელია, ხვალინდელმა თაობებმა ნაკლებად მოიწადინონ წინამორბედთა გამოცდილებით დამოუკიდებელი მმართველობა გაატარონ. საინფორმაციო გარემოს ოსტატურმა ფლობამ მათ შეიძლება

გაამარჯვებინოს, ოღონდ გონივრულად უნდა დასახონ მიზნები და მხოლოდ ახლო მომავლის პოლიტიკის გატარებას დასჯერდნენ.

ამ ვითარებაში საჯარო დებატების მონაწილენი დგანან საშიშროების წინაშე, რომ ემოციებს უფრო აპყვნენ, ვიდრე რაციონალურ არგუმენტებს. ასეთ შემთხვევაში, დრამატიზებისკენ მიდრეკილი საზოგადოებრივი აზრის შემქმნელები განსაზღვრავენ, რა უმჯობესია იყოს საჯარო მსჯელობის საგანი. საპროტესტო აქციის მონაწილეებს იშვიათად აერთიანებს გააზრებული პროგრამა. ბევრი მათგანი დემონსტრაციაში პათეტიკური აღფრთოვანებით უფრო მონაწილეობს და იქ ყოფნას ძირითადად ემოციურ კოლექტიურ გამოცდილებად აღიქვამს.

ეს მიდგომები ნაწილობრივ ასახავს სოციალური მედიის ეპოქაში იდენტობის შექმნის სიძნელეს. ტექნოლოგიები, რომლებსაც ადამიანური ურთიერთობების გარდამტეხ ინოვაციას უწოდებენ, ქმნიან რაც შეიძლება მეტი პირადი პოლიტიკური ინფორმაციის გაცვლის ცდუნებას. ადამიანებს აქეზებენ და უბიძგებენ, იმ კონცერნების მართულ ვებ-გვერდებზე გაამჟღავნონ თავიანთი ფიქრებისა და მოქმედების ყველაზე პირადული მომენტები, რომელთა შიდა პოლიტიკა, მიუხედავად საჯაროობისა, ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის თითქმის შეუღწევადია. ყველაზე მგრძნობიარე ინფორმაციაზე წვდომა მხოლოდ „მეგობრებს" აქვთ, მაგრამ რეალურად მათი რაოდენობა ათასობითაა. დადასტურებაა მიზანი. ეს რომ არ იყოს, ადამიანები პირად მონაცემებს ასე საყოველთაოდ და ასე აშკარად არ გასცემდნენ. მხოლოდ უაღრესად ძლიერ პიროვნებებს შეუძლიათ თანაბარრანგიანი პირების დიგიტალურად მოგროვილი და მკვეთრად ნეგატიური აზრების კრიტიკული შეფასება. უნდა მოიძებნოს კონსენსუსი არა იმდენად აზრების გავრცელების, არამედ გრძნობების გაზიარების სა-

შუალებით. თანაც, მონაწილეები ვერ გაურბიან ვითომ თანამოაზრეთა ჯგუფის წევრობის ცდუნებას. ხომ არ აღმოჩნდება ეს ქსელები კაცობრიობის ისტორიაში პირველი ინსტიტუცია, რომელიც დაცულია ბოროტად სარგებლობისგან და ამიტომ არ საჭიროებს დემოკრატიული კონტროლის მექანიზმებს?

უახლესი ტექნოლოგიებისგან მიღებული უსაზღვრო შესაძლებლობების კვალდაკვალ, საერთაშორისო წესრიგზე ფიქრისას, უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოების შიდა საფრთხეები, რომელსაც მასობრივი კონსენსუსი მართავს, კონტექსტისა და შორსმჭვრეტელობის გარეშე, რომელიც აუცილებელია დაემთხვას კონცეფციის ისტორიულ ხასიათს. ნებისმიერ წინამორბედ ეპოქაში ეს მმართველობის უმთავრეს ასპექტს წარმოადგენდა. ჩვენს დროში ლიდერები დგანან საფრთხის წინაშე, რომ სლოგანების დონეზე დავლენ ხანმოკლე აპლოდისმენტების მოსაპოვებლად. მომავლის ჩამოყალიბების მაგივრად, საგარეო პოლიტიკა დგას შიდა პოლიტიკის ქვეგანყოფილებად გადაქცევის საშიშროების წინაშე. თუ დიდი სახელმწიფოები თავიანთ პოლიტიკას შიდა პრიორიტეტებს მოარგებენ, საერთაშორისო არენაზე საგარეო პოლიტიკა მხოლოდ დანაწევრებულად ასახავს საჭიროებებს. პერსპექტივის ძიების მაგივრად, შესაძლოა, განსხვავებები გამწვავდეს, სახელმწიფოს მართვის ხელოვნება კი პროფილირებამ ჩაანაცვლოს. თუ დიპლომატია ვნებების ამშლელი ჟესტებით შემოიფარგლება, წონასწორობის ძიების მაგივრად, მისი საზღვრები მოისინჯება.

მხოლოდ ბრძნული შორსმჭვრეტელობით იქნება შესაძლებელი მოსალოდნელი საშიშროებების თავიდან აცილება და აგრეთვე იმის უზრუნველყოფა, რომ მაღალი ტექნოლოგიების ეპოქამ თავისი დიდი მისია შეასრულოს კიდეც. აქტუალურ თემებზე ფიქსაცია საკმარისი არ არის. იგი ისტორიისა და გეოგრაფიის საფუძვლიანი გათვალისწინებით უნდა გაფარ-

თოვდეს. ეს ამოცანა არა მხოლოდ – ან სულაც უპირატესად – ტექნოლოგიური საკითხია. საზოგადოებამ თავისი განათლების პოლიტიკა ქვეყნის კურსის გრძელვადიან იმპერატივებს და მისი ღირებულებების გავრცელებას უნდა მოარგოს. ტექნოლოგიის ნოვატორებმა, რომელთაც რევოლუციურად გარდაქმნეს ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება, ასევე დიდი, შესაძლოა უდიდესი წვლილიც შეიტანეს სიახლეთა დანერგვაში, როდესაც შექმნეს საშუალებები მათი ცნებების საფუძვლიანად განმტკიცებისათვის. პირველი ჭეშმარიტად გლობალური მსოფლიო წესრიგის გზაზე კაცობრიობის დიდი ტექნოლოგიური მიღწევების ფეხდაფეხ უნდა გაძლიერდეს ჰუმანური, ტრანსცენდენტური და გეოპოლიტიკური საკითხების განსჯის უნარი.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ?

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲝᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲨᲘ მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბება რეალური ჩანდა. ინდუსტრიული ქვეყნები დაასუსტა ომმა, მსოფლიოს ნაკლებად განვითარებულმა რეგიონებმა კი მოიწადინეს კოლონიალიზმისგან გათავისუფლება და საკუთარი იდენტობის ახლებურად ჩამოყალიბება. კონფრონტაციის მაგივრად კოოპერაციის დრო დადგა. შეერთებული შტატები, რომელსაც ომის გამო ნგრევა არ განუცდია, კონფლიქტმა ეკონომიკურად და ეროვნული თავდაჯერების თვალსაზრისით, კიდევ უფრო გააძლიერა. ამერიკა თავისი იდეალების განმტკიცებას და მათ მთელ მსოფლიოში გავრცელებას შეუდგა, რადგან დარწმუნებული იყო ამ იდეალების უნივერსალურობაში.

როდესაც აშშ-მ საერთაშორისო ლიდერის ჩირაღდანი გადაიბარა, მსოფლიოში წესრიგის ჩამოყალიბებას ახალი განზომილება შესძინა. ამერიკა საკუთარ თავს ხედავდა როგორც ერს, რომელიც გაცხადებულად ეფუძნებოდა თავისუფალი არჩევნებით შექმნილი წარმომადგენლობითი მთავრობის იდეას. იგი დაწინაურებას თავისუფლებისა და დემოკრატიის გავრცელებასთან აიგივებდა და დარწმუნებული იყო, რომ ამ იდეებს ძალა შესწევდა სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდო-

ბა დაემყარებინა, რაც აქამდე არ ღირსებია მსოფლიოს. საერთაშორისო წესრიგის მიმართ ტრადიციული ევროპული პოზიცია გულისხმობდა, რომ ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ყოველთვისაა ბუნებრივი მეტოქეობა და რომ მათი დაპირისპირებული ამბიციები ძალთა წონასწორობის საშუალებით და მოწინავე სახელმწიფო მოღვაწეების გუნდის ძალისხმევით უნდა ჩაცხრეს და შეიზღუდოს. აშშ-ში დომინირებდა ადამიანის, როგორც გონიერებით დაჯილდოვებული არსების სურათ-ხატი – ადამიანი ბუნებრივადაა მიდრეკილი მშვიდობიანი კომპრომისისა და სხვა ადამიანებთან პატიოსანი ურთიერთობისადმი. ამიტომაც, დემოკრატიის გავრცელება უნდა გამხდარიყო საერთაშორისო წესრიგის უმთავრესი მიზანი. თავისუფალმა ბაზარმა ცხოვრება უნდა გააუმჯობესოს, საზოგადოებას კეთილდღეობა უნდა მოუტანოს, საერთაშორისო მეტოქეობა კი ეკონომიკური დამოუკიდებლობით ჩაანაცვლოს. ამ შეხედულებით, ცივი ომის მიზეზები კომუნიზმის აბსურდულ მოძღვრებაში უნდა დაგვენახა. შესაბამისად, ივარაუდებოდა, რომ საბჭოთა კავშირი ადრე თუ გვიან ხალხთა თანამეგობრობას დაუბრუნდებოდა. ახალ მსოფლიო წესრიგს უნდა მოეცვა დედამიწის ყველა რეგიონი. საერთო ღირებულებებსა და მიზნებს ადამიანების ცხოვრება უფრო ჰუმანური უნდა გაეხადა და ომის საშიშროება შეემცირებინა.

მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად მრავალი თაობის მცდელობა ნაყოფიერი აღმოჩნდა. წარმატებები დასტურდება მრავალი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს შექმნით; დღესდღეობით ასეთი ქვეყნებით არის მოფენილი დედამიწის თითქმის მთელი ტერიტორია. დემოკრატიის და სახელმწიფოს პარტიციპატორული მართვის გავრცელება იქცა საყოველთაო მისწრაფებად, უნივერსალურ რეალობადაც კი. საკომუნიკაციო და ფინანსური ქსელები ამჟამად მთელ მსოფლიოში ფუნქციონირებს და იძლევა ისეთი მასშტაბუ-

რი თანამშრომლობის შესაძლებლობას, რასაც წინამორბედი თაობები ძნელად წარმოიდგენდნენ. გარემოს დაცვის გლობალური პრობლემების გადაჭრის ერთობლივი ძალისხმევა, ყოველ შემთხვევაში, სურვილი მაინც, ნამდვილად არსებობს. ხოლო მეცნიერების, მედიკოსების და ფილანთროპების საერთაშორისო ერთობა მოწადინებულია კაცობრიობა იხსნას ისეთი ავადმყოფობებისა და უბედურებებისგან, რომელიც საბედისწერო დარტყმებს აყენებდა მას.

ამ განვითარებაში შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ამერიკულმა სამხედრო ძალამ დანარჩენი მსოფლიოსთვის ააგო დამცავი ფარი, მიუხედავად იმისა, რომ მოსარგებლე ქვეყნებს საამისო თხოვნა არ წარუდგენიათ. აშშ-ს უპირატესად უნილატერალური სამხედრო დამცავი ქოლგის ქვეშ სისტემურ ალიანსებად გაერთიანდა განვითარებული მსოფლიოს დიდი ნაწილი. განვითარებად ქვეყნებს იცავდნენ ისეთი საშიშროებისგანაც, რომლებსაც ისინი ხანდახან ვერც კი ამჩნევდნენ ან სულაც უარყოფდნენ. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესში ამერიკას ფინანსებით, ბაზრებითა და უზარმაზარი ინოვაციებით შეჰქონდა წვლილი. დაახლოებით 1948 წლიდან საუკუნის მიწურულამდე კაცობრიობის ისტორიაში იყო დროის მოკლე მონაკვეთი, როცა შეიძლებოდა საუბარი მსოფლიო წესრიგის შექმნაზე. მას ასაზრდოებდა ამერიკული იდეალიზმისა და ძალთა ბალანსის ტრადიციული კონცეფციების ნაზავი.

მაგრამ მთელი ეს მცდელობა, სწორედ მისი წარმატებულობის გამო, საბოლოოდ, ძალაუნებურად, სათუო აღმოჩნდა; ხანდახან მას თვით მსოფლიო წესრიგის სახელითაც კი აყენებენ. ვესტფალიური წესრიგის უნივერსალურობას განაპირობებდა მისი პროცედურული და, შესაბამისად, ნეიტრალური ღირებულებითი არსი. მისი წესების გადაღება ყველა ქვეყანას შეეძლო: სხვა სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩაურევლობა,

საზღვრების ხელშეუხებლობა, სახელმწიფოების სუვერენიტეტი და საერთაშორისო სამართლის განვითარება. ეს იყო ვესტფალიური სისტემის ძლიერი მხარეები, თუმცა ამგვარმა სიმტკიცემ მისი სუსტი მხარეებიც წარმოაჩინა. იგი შექმნეს სახელმწიფოებმა, რომლებიც დაასუსტა ომში დაღვრილმა სისხლმა, ხოლო შემდგომი განვითარების მიმართულება არ ჩანდა. მისი მეთოდებით დაიყო და შენარჩუნდა ძალაუფლება, მაგრამ ვესტფალიის სისტემამ ვერ გასცა პასუხი კითხვაზე, რას უნდა დაფუძნებოდა ლეგიტიმურობა.

მსოფლიო წესრიგის აშენება წარმოშობს უმთავრეს შეკითხვას, ამ წესრიგის გამართიანებელი პრინციპების შესახებ. აქაა უმნიშვნელოვანესი განსხვავება წესრიგისადმი დასავლურ და არადასავლურ მიდგომებს შორის. დასავლეთში, რენესანსიდან მოყოლებული, ღრმად ფესვგადგმულია წარმოდგენა, რომ რეალური სამყარო დამკვირვებლის მხედველობის არეალს მიღმა მდებარეობს და ცოდნის მოპოვება მდგომარეობს ინფორმაციის რაც შეიძლება ზუსტ აღნუსხვასა და კლასიფიკაციაში. შესაბამისად, საგარეო პოლიტიკური წარმატებები დამოკიდებულია სინამდვილესთან შესაბამისი გარემოებების და ტენდენციების შეფასებაზე. ვესტფალიის ზავი იყო რეალობის შეფასება, განსაკუთრებით, ძალაუფლების პოლიტიკისა და ტერიტორიული გარემოებებისა – რომელიც გადაიზარდა რელიგიის პოსტულატებზე მაღლა მდგომი მსოფლიო წესრიგის კონცეფციაში.

მაშინდელი დროის სხვა მნიშვნელოვანი ცივილიზაციები რეალობას მიიჩნევდნენ თვით დამკვირვებლის თვისებად, რომელსაც განსაზღვრავდა ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და რელიგიური შეხედულებები. ამდენად, კონფუცისეული მსოფლიო წესრიგი შედგებოდა ხარკის გადამხდელთა იერარქიისგან, რომელთა რანგი ჩინურ კულტურასთან მათი სიახლოვით განისაზღვრებოდა. ისლამი მსოფლიოს ყოფდა

მშვიდობის, ანუ ისლამის მსოფლიოდ და ომის, ანუ ურწმუნოებით დასახლებულების მსოფლიოდ. ჩინეთის მსოფლმხედველობაში უცხო იყო შორეულ ადგილებში მოგზაურობისა და ახალი მიწების აღმოჩენის მოთხოვნილება, რადგან მსოფლიო მას უკვე დალაგებულად მიაჩნდა და ის კიდევ უფრო უკეთ დალაგდებოდა, თუ ჩინეთის მორალის პრინციპებს ყველგან მოუფრთხილდებოდნენ და დაიცავდნენ. ისლამს კი მსოფლიო წესრიგის თავისი თეორიული კონცეფციის განხორციელება შეეძლო მხოლოდ ახალი მიწების დაპყრობით ან მთელი მსოფლიოს საკუთარ რჯულზე მოქცევით, რომელსაც, უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტური წინაპირობები არ გააჩნდა. ჰინდუიზმი, რომელიც აღიქვამდა ისტორიის ციკლებსა და მეტაფიზიკურ რეალობას, თანაც მიწიერ გამოცდილებას ტრანსცენდენტურად ამუშავებდა, რწმენის სამყაროს უყურებდა როგორც ჩაკეტილ სისტემას, სადაც ახლებისთვის – მოქცეულებისთვის ან დაპყრობილთათვის – ადგილი არ მოიძებნებოდა.

ასევე განსხვავებულად უდგებოდნენ ეს კულტურები მეცნიერებასა და ტექნოლოგიას. დასავლეთი ესწრაფვოდა ემპირიული რეალობის ფლობასა და დედამიწის შორეული კუთხეების აღმოჩენას და ავითარებდა მეცნიერებასა და ტექნიკას. სხვა ტრადიციული ცივილიზაციები, რომლებსაც თავი სამყაროს ცენტრად მიაჩნდათ, მსგავს მისწრაფებას ვერ გრძნობდნენ და დასავლეთს, ტექნიკური განვითარების მხრივ, საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ.

ამასობაში, ის დრო წავიდა. ახლა მთელი მსოფლიო ესწრაფვის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, ცდილობენ, გათავისუფლდნენ მოძველებული შეხედულებებისგან, ჩინეთი და „სხვა აზიელი ვეფხვები" ალბათ უფრო მეტი ენერგიითა და მოქნილობით ეჭიდებიან ახალ მიზნებს, ვიდრე დასავლეთი.

გეოპოლიტიკურად მოწყობილ მსოფლიოში დასავლეთის ქვეყნების მიერ შექმნილი და უნივერსალურად გამოცხადებული წესრიგი გზაგასაყარზე დგას. მიუხედავად იმისა, რომ მისი პრინციპები უნივერსალურად მიიჩნევა, მათ გამოყენებაზე კონსენსუსი არ არსებობს. მართლაც, ისეთი ცნებები, როგორიცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები და საერთაშორისო სამართალი იმდენად განსხვავებულად განიმარტება, რომ ომში დაპირისპირებული მხარეები მათ სისტემატურად იყენებენ ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოწოდებად. მართალია, სისტემის წესები სახელდება, მაგრამ, არასათანადო გატარების გამო, არაეფექტურია. ზოგიერთ რეგიონში პარტნიორობა და ერთობა ჩაანაცვლა ან ნაწილობრივ ჩაანაცვლა უფრო ხისტმა პოლიტიკურმა მიდგომამ, რომელიც საზღვრების მოსინჯვითაა დაკავებული.

პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისებით აღსავსე მეოთხედი საუკუნე მიიჩნევა დასავლეთის მიერ პროცესებზე პასუხისმგებლობის აღების და მისი მეთოდების ნაყოფად, ან სულ მცირე, მისი ხელშეწყობით განპირობებულად. რეგიონული წესრიგების დაშლა, სისხლიანი რელიგიური ომები, ტერორი და ომები, რომელთაც გამარჯვებული არ ჰყოლიათ – ყველაფერი ეს, უშუალოდ ცივი ომის დასრულების შემდეგ, სათუოს ხდის ოპტიმისტურ ვარაუდს – რომ დემოკრატიის და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის გავრცელება ავტომატურად შექმნის სამართლიან, მშვიდობიან და ინკლუზიურ მსოფლიოს.

მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში საპირისპირო იმპულსები შეიმჩნევა. ბასტიონები იქმნება იმის წინააღმდეგ, რაც უკვე განვითარებული დასავლეთის კრიზისულ პოლიტიკად მიიჩნევა, მათ რიცხვშია გლობალიზაციის გარკვეული გამოვლინებებიც. ვალდებულებები, რომელიც უსაფრთხოების პოლიტიკის მტკიცე საწინდრად არის აღიარებული, ახლა საეჭვოდაც

მიიჩნევა, ხანდახან იმ ქვეყანაშიც კი, რომლის თავდაცვისუნარიანობაზეც მას უნდა ეზრუნა. მაშინ, როცა დასავლეთის ქვეყნები საკუთარ ბირთვულ არსენალს მკვეთრად ამცირებენ ან თავიანთ სტრატეგიულ დოქტრინებში შემცირებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, ეგრეთ წოდებული განვითარებადი ქვეყნები დიდი მონდომებით ცდილობენ ატომური იარაღის ფლობას. მთავრობები, რომლებიც ერთ დროს მსოფლიო წესრიგის ამერიკულ ვერსიას იზიარებდნენ (გინდაც ხანდახან მოტყუებულნი დარჩენილიყვნენ), ახლა კითხულობენ, შეძლებენ თუ არა ამერიკელები საქმე ბოლომდე მიიყვანონ? ამ თვალსაზრისით, მსოფლიო წესრიგის დასავლური „წესების" გაზიარება გულისხმობს მოვალეობებს, რომელთა განსაზღვრა რთულია. შესაძლებელია, სწორედ ეს იყოს მიზეზი შეერთებული შტატების ზოგიერთი ტრადიციული მოკავშირის აშკარა განზე გადგომისა. ზოგიერთ რეგიონში მართლაც მიაჩნიათ უნივერსალური ნორმები (როგორიცაა ადამიანის უფლებები, სამართლებრივი სისტემა ან ქალთა თანასწორობა) ჩრდილო ატლანტიკური სახელმწიფოების ახირებად და ამ ღირებულებების დაკნინება ალტერნატიული სისტემის სიძლიერედ და მახასიათებლად აღიქმება. ხოტბა ესხმება იდენტობის ბუნებრივ ფორმებს საკუთარი, ექსკლუზიური ინტერესების გასამართლებლად და სხვებისგან გასამიჯნად.

შედეგად ვიღებთ არა უბრალოდ ძალთა მულტიპოლარულ მდგომარეობას, არამედ სულ უფრო მეტად დაპირისპირებულ მსოფლიოს. თუ ამ ყოველივეს არ გავუმკლავდებით, ნუ ვირწმუნებთ, რომ ეს ტენდენციები როდესმე თავისთავად მიაღწევს წონასწორობას და თანამშრომლობას ჰარმონიული მსოფლიოს ან სხვა რაიმე სახის წესრიგის დასამკვიდრებლად.

საერთაშორისო წესრიგის განვითარება

ნებისმიერი მსოფლიო წესრიგი ადრე თუ გვიან აღმოჩნდება ორი ტენდენციის წინაშე, რომელიც გავლენას მოახდენს მის ერთობაზე, ესენია: ლეგიტიმურობის ახალი დეფინიცია ან ძალთა ბალანსის მნიშვნელოვანი გადახრა. პირველი ტენდენცია იკვეთება, როდესაც ღირებულებები, რომელიც საფუძვლად უდევს საერთაშორისო თანხმობას, ფუნდამენტურად იცვლება: ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ისინი, ვინც მის შენარჩუნებას უზრუნველყოფდნენ, ამ ღირებულებებს აღარ იზიარებენ ან როდესაც ლეგიტიმურობის ახალი კონცეფცია რევოლუციური გზით იკიდებს ფეხს.

ასეთი გავლენა ჰქონდა ადრე დასავლეთს არადასავლური სამყაროს ბევრ ტრადიციულ წესრიგზე; ისლამს – მე-7–მე-8 საუკუნეებში განხორციელებული პირველი დაპყრობითი ტალღის დროს; საფრანგეთის რევოლუციას ევროპულ დიპლომატიაზე მე-18 საუკუნეში; კომუნისტურ და ფაშისტურ ტოტალიტარიზმს – მე-20 საუკუნეში; და, ჩვენს რეალობაში, ისლამური ფუნდამენტალიზმის ძალადობრივ თავდასხმებს ახლო და ცენტრალური აღმოსავლეთის მყიფე სახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე.

ეს გარდატეხები, როგორც წესი, ძალადობრივი გზით ხორციელდება, მაგრამ მათი გავლენა ფსიქოლოგიური ხასიათისაა. თავდასხმის ობიექტებს უწევთ არა მხოლოდ საკუთარი ტერიტორიის, არამედ თავიანთი ცხოვრების სტილის ძირითადი მაჩვენებლების და არსებობის მორალური უფლების დაცვა – ის, რაც საფრთხის დადგომამდე ბუნებრივად მიაჩნდათ, ახლა დასაცავი უხდებათ. განსაკუთრებით პლურალისტული საზოგადოების ლიდერებს ახასიათებთ მიდრეკილება, დიალოგში ჩაერთონ რევოლუციის წარმომადგენლებთან, რადგან ჰგონიათ, რომ რევოლუციონერებს მართლა სურთ არსებუ-

ლი წესრიგის საწყისებზე მსჯელობა და გონივრული შედეგების მიღწევა. წესრიგი უპირატესად სამხედრო მარცხის და რესურსების არათანაბარი წონასწორობის გამო არ ირღვევა (გინდაც, ხშირად, შედეგი ეს იყოს), არამედ საფრთხის ბუნებისა და მასშტაბის შეფასების უუნარობის გამო. ამიტომაც, ირანის ატომურ პროგრამაზე მოლაპარაკებებისას, გადამწყვეტია იმის გაცნობიერება, რომ ირანის მიერ გაცხადებული მზაობა, პრობლემის დიალოგით გადაჭრას გულისხმობს, თუ სტრატეგიული გარდატეხაა, ან მხოლოდ ხანგრძლივი პოლიტიკური პროცესის შედეგად ჩამოყალიბებული ტაქტიკური მანევრი. და, ამასთანავე, დასავლეთი ტაქტიკას მიუდგება თუ არა ისე, თითქოს იგი იყოს სტრატეგიული გარდატეხა.

საერთაშორისო წესრიგის კრიზისის მეორე მიზეზი არის სიტუაცია, როდესაც აღმოჩნდება, რომ მას არ შესწევს ძალა, მართოს ძალთა ურთიერთობაში წარმოქმნილი დიდი ცვლილებები. ხანდახან წესრიგი ირღვევა, რადგან მისი მნიშვნელოვანი მონაწილეებიდან რომელიმე მათგანი ვეღარ თამაშობს თავის როლს ან წყვეტს არსებობას, როგორც მოხდა კომუნისტური საერთაშორისო წესრიგის შემთხვევაში, როდესაც მე-20 საუკუნის ბოლოს დაიშალა საბჭოთა კავშირი. მაგრამ კრიზისი შეიძლება, აგრეთვე, დადგეს, როდესაც ახალი აღმავალი ძალა უარს იტყვის მისთვის მიჩენილ როლზე სისტემაში, რომლის ჩამოყალიბებაშიც თვითონ მონაწილეობა არ მიუღია, სისტემის ეტაბლირებულ ძალებს კი არ შეუძლიათ ისეთი ახალი წონასწორობა დაამყარონ, სადაც ახალ ძალას მისი აღმავლობის შესაბამისი ადგილი მიეჩინება.

გერმანიის დიდ სახელმწიფოდ აღმასვლამ მე-20 საუკუნეში დაარღვია ევროპაში ძალთა ბალანსი, რამაც ორი კატასტროფული, კონტინენტისთვის დღემდე მოუნელებელი ომი გამოიწვია. ჩინეთის აღმასვლა 21-ე საუკუნეში მსგავსი სტრუქტურული გამოწვევაა ძალთა ბალანსისათვის. ამ

საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტი სახელმწიფოების – აშშ-სა და ჩინეთის – პრეზიდენტებმა აღთქმა დადეს, რომ აღკვეთენ ევროპის ტრაგედიის განმეორებას „ორ დიდ სახელმწიფოს შორის ახლებური ურთიერთობების" საშუალებით. ეს კონცეფცია ჯერ კიდევ ერთობლივად დასამუშავებელია. შესაძლებელია, რომ ორივე მათგანმა ეს კონცეფცია მხოლოდ ტაქტიკური მოტივების გამო წამოაყენა, მაგრამ, ასეა თუ ისე, ეს არის ერთადერთი გზა ადრინდელი ტრაგედიების განმეორების თავიდან ასაცილებლად.

წესრიგის ორივე ასპექტს – ძალასა და ლეგიტიმურობას – შორის შუალედის პოვნა სახელმწიფოს მართვის ხელოვნების უპირველესი ამოცანაა. ბრძოლა ძალაუფლებისთვის, რომელიც დაცლილია მორალური განზომილებისგან, აზრთა ნებისმიერ სხვადასხვაობას ძალების მოსინჯვად აქცევს; ამბიციების დროული შეკავება შეუძლებელი გახდება; ქვეყნები, ძალთა ცვალებად სტრუქტურაში საკუთარი ძალების მცდარი შეფასების გამო, ჩათრეულები აღმოჩნდებიან უაზრო თავგადასავლებში. მეორე მხრივ, მორალური იმპერატივები თუ დაბალანსებას არ ეძებს, ტენდენციურად იწვევს ჯვაროსნულ ომებს ან უუნარობის პოლიტიკას, რაც მოწინააღმდეგეს სასტიკი ქმედებებისკენ უბიძგებს. ორივე უკიდურესობა იმ რისკის შემცველია, რომ საერთაშორისო წესრიგის მთლიანობის შენარჩუნებას საფრთხე დაემუქრება.

დღესდღეობით, ძალთა თანაფარდობა – ნაწილობრივ მე-9 თავში აღწერილი ტექნოლოგიური მიზეზების გამო – უპრეცედენტოდ სწრაფად იცვლება, ლეგიტიმურობის პრეტენზია კი აქამდე წარმოუდგენელი სახით იზრდება ყოველ ახალ ათწლეულში. როდესაც იარაღმა მთელი ცივილიზაციის განადგურების უნარი შეიძინა, ხოლო ღირებულებების სისტემებს შორის ინტერაქცია თავბრუდამხვევი ტემპით მიმდინარეობს და არნახული ძალით იჭრება ყველა სფეროში, ძალ-

თა წონასწორობის შენარჩუნების ან ღირებულებათა სისტემის დასტაბილურების ძველმა მეთოდებმა, ალბათ დრო მოჭამა.

როცა ამდენი რამ გამოდის წონასწორობიდან, 21-ე საუკუნის მსოფლიო წესრიგის სტრუქტურაში ოთხი მნიშვნელოვანი განზომილების დეფიციტი ჩანს.

პირველი – სახელმწიფო, როგორც ასეთი – საერთაშორისო ცხოვრების ძირითადი კანონიერი ერთეული – მრავალგვარი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა: სახელმწიფო სტრუქტურებს მიზანმიმართულად უტევენ და ამსხვრევენ, ზოგიერთ რეგიონში კი იმდენად ზერელედ ეპყრობიან, რომ სტრუქტურები ლპება ან მათ მოვლენები გადათელავენ. ევროპის სურვილია სახელმწიფოს დაძლევა და უმეტესად რბილ ძალასა და ჰუმანიტარულ ღირებულებებზე დამყარებული საგარეო პოლიტიკის გატარება. მაგრამ საეჭვოა, მოხერხდეს მსოფლიო წესრიგის ლეგიტიმურობის შენარჩუნება, თუ მის უკან არ იდგება სტრატეგიული კონცეფცია. და რომ ევროპას აქამდე არ შეუქმნია სახელმწიფოებრიობისთვის აუცილებელი მახასიათებლები, შიგნით იწვევს ძალის ვაკუუმს, ხოლო მის საზღვრებთან ძალთა უთანასწორობას. შუა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ნაწილში სახელმწიფო ერთმანეთთან დაპირისპირებულ რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებად დაიშალა. რელიგიური მილიცია და მისი მხარდამჭერი ძალები განურჩევლად არღვევენ საზღვრებს და სუვერენიტეტის უფლებებს. აზია კი ევროპის საპირისპირო გამოწვევის წინაშე დგას: ძალთა ბალანსის ვესტფალიური პრინციპები საერთო კონცეფციაზე შეუთანხმებლად გამოიყენება ლეგიტიმურობისათვის.

ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოს ბევრ ნაწილში გაჩნდა „ხელმოცარული სახელმწიფოები", „უმართავი სივრცეები" ან სახელმწიფოები, რომლებიც ამ სახელწოდებას არ იმსახურებენ, რადგან მათ არ აქვთ ძალოვანი მონოპოლია და არ ჰყავთ ქმედითუნარიანი ცენტრალური მთავრობა. თუ,

საბოლოოდ, დიდ სახელმწიფოებს საგარეო პოლიტიკის ნარმოება მოუწევთ ნახევრადსუვერენული ერთეულების დიდ რაოდენობასთან, რომლებიც გაუმჭვირვალედ და ძალადობრივად მოქმედებენ და განსხვავებული კულტურული გამოცდილებით გამოირჩევიან, ძალაუნებურად მივიღებთ ანარქიას.

მეორე – მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციები ერთმანეთთან დაპირისპირების რეჟიმში იმყოფებიან. მაშინ, როცა მოხდა საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის გლობალიზაცია, მსოფლიოს პოლიტიკური სტრუქტურა ჯერ კიდევ ეროვნული სახელმწიფოების ბაზაზე მოქმედებს. გლობალური ეკონომიკური ტენდენცია ცდილობს დაბრკოლებები ჩამოაშოროს საქონლის და კაპიტალის ნაკადების თავისუფალ დინებას. საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა, უმეტესად, ისევ ემყარება მსოფლიო წესრიგის კონტრასტულ იდეებს და ეროვნული ინტერესების კონცეფციების ერთმანეთთან შერიგებას. გლობალური ეკონომიკა, თავისი არსით, არ ცნობს ნაციონალურ საზღვრებს, საერთაშორისო პოლიტიკა კი მაშინაც ხაზს უსვამს საზღვრების მნიშვნელობას, როდესაც დაპირისპირებული ეროვნული მიზნების ერთმანეთთან მორიგებას ცდილობს.

ეს დინამიკა ათწლეულების განმავლობაში ქმნიდა მდგრად ეკონომიკურ ზრდას, რომელიც დროდადრო ფერხდებოდა საფეხურეობრივად გამწვავებული ფინანსური კრიზისების სერიის გამო: ლათინურ ამერიკაში 1980-იან წლებში, აზიაში 1997 წელს, რუსეთში 1998 წელს, შეერთებულ შტატებში 2001 წელს და 2007 წელს, აგრეთვე ევროპაში 2010 წელს. გამარჯვებულები, ვინც ქარიშხალს გაუძლო და ადეკვატურ ვადაში გააგრძელა წინსვლა, სისტემას უფრო ნაკლებ კრიტიკულად უდგებიან. წაგებულები კი, მაგალითად, სტრუქტურული რეფორმების არქონის გამო სტაგნაციაში მყოფი ევროკავშირის სამხრეთ ევროპელი წევრები, გამოსავალს ეძებენ ისეთ ღო-

ნისძიებებში, რომელიც მიმართულია ქმედითუნარიანი გლობალური ეკონომიკური სისტემის წინააღმდეგ ან სულ მცირე, აზიანებს მას.

მიუხედავად ამ კრიზისების განსხვავებული გამომწვევი მიზეზებისა, ყველა მათგანის უკან იდგა უსაზღვრო სპეკულაციები და სისტემატურად რისკების არასათანადო შეფასება. ახლადშექმნილი ფინანსური ინსტრუმენტები და მათი გაუმჭვირვალე ტრანსაქციები მეანაბრეებს რისკებს უმალავდნენ, ხოლო კრედიტის მიმღებები, მათ შორის დიდი სახელმწიფოებიც, თვალს ვეღარ ადევნებდნენ იმ საფრთხეს, რომელშიც მათ აგდებდა დავალიანების ზრდა.

საერთაშორისო წესრიგი პარადოქსის წინაშე დგას: მისი მდგრადობა დამოკიდებულია გლობალიზაციის ნარმატებაზე, მაგრამ პროცესი იწვევს ისეთ პოლიტიკურ რეაქციებს, რომელიც ხშირად მიზნებს ეწინააღმდეგება. გლობალიზაციის აღიარებულ ეკონომისტებს იშვიათად ეძლევათ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობა, პოლიტიკოსები კი არ რისკავენ თავიანთ შიდაპოლიტიკურ დასაყრდენს ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების გამო, რადგან პრობლემები ამასობაში ისეთი კომპლექსურია, რომ მათი განჭვრეტა მხოლოდ ექსპერტებსღა შეუძლიათ.

ამ ვითარებაში თავად სახელმწიფოს მართვა იქცევა გამოწვევად. მთავრობები წნეხის ქვეშ დგანან, მათ გლობალიზაციის პროცესი ნაციონალური უპირატესობის გათვალისწინებითა და მერკანტილური რეგულაციებით უნდა მართონ. დასავლეთში გლობალიზაციის გამო გაჩენილი კითხვები შეუსაბამოა დემოკრატიული საგარეო პოლიტიკის საკითხებთან. პოლიტიკური და ეკონომიკური საერთაშორისო წესრიგის პარმონიზაცია ძველ და ნაცად შეხედულებებს გადაფასებას უქადის: მსოფლიოში წესრიგისკენ სწრაფვა მოითხოვს ეროვნული საზღვრების გაფართოებას; გლობალიზაციის რეგუ-

ლირება აუცილებელია, რადგან მდგრადი ეკონომიკისთვის კონვენციური მეთოდების მოდიფიკაციაა აუცილებელი.

მესამე – დიდი სახელმწიფოები ნაკლებ ქმედითუნარიანნი არიან განსაკუთრებული მასშტაბის ამოცანების შესათანხმებლად და სათანადო თანამშრომლობისთვის. ეს კრიტიკა შეიძლება გამაოგნებელი ჩანდეს, თუ გავიხსენებთ, რამდენი მულტილატერალური ფორუმი არსებობს, დღეს მათი რაოდენობა უფრო დიდია, ვიდრე ოდესმე. მათ შორისაა გაეროს უშიშროების საბჭო – რომელსაც აქვს სავალდებულო რეზოლუციების მიღების უფლება, მაგრამ ბევრი სადავო საკითხი იქაც იბლოკება; ნატო-ს წევრი ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურების სისტემატური შეხვედრები უმაღლეს დონეზე, აგრეთვე, ევროკავშირის, აზია-პაციფიკის (APEC) და აღმოსავლეთ აზიის ორგანიზაციის (EAS) ლიდერების ფორუმები, განვითარებული ქვეყნების G7-ის, G8-ის და მსხვილი სახალხო მეურნეობის ქვეყნების G20-ის ლიდერების შეხვედრები. ყველა ამ ფორუმზე აშშ მთავარი მონაწილეა. მაგრამ გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას თავად ამ ფორუმების ხასიათი და სიხშირე აფერხებს. მათი მოსამზადებელი დროის დიდი ნაწილი ეთმობა დისკუსიებს ფორუმების მიმდინარეობასა და ოფიციალური დღის წესრიგის შესახებ. სახელმწიფო და მთავრობის მეთაურების კალენდარი არ იძლევა ლიდერების ერთ ადგილზე შეკრების ხშირ საშუალებას. გარდა ამისა, ბუნებრივია, რომ პოლიტიკოსები ასეთი შეხვედრებისას იმაზე უფრო ფიქრობენ, როგორ გამოჩნდება ფორუმში მათი მონაწილეობა სამშობლოში და ტაქტიკასა და პიარს აყენებენ წინა პლანზე. ყოველივე ამის გამო, ასეთ ფორუმებზე ოფიციალურ კომუნიკეზე მეტი არ მიიღწევა ხოლმე – საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლოა, გაიმართოს დისკუსია აქტუალურ ტაქტიკურ საკითხებზე, უარეს შემთხვევაში კი მივიღოთ დიპლომატიის ახალი, დახვეწილი ფორმა – „სოციალური მედიის

ივენთი". ინტერნაციონალური, რელევანტური ნორმების შემცველი თანამედროვე რეგულაციების შემუშავებას ერთობლივი განცხადებები არ ეყოფა. ლიდერებმა ამ მოვლენას უნდა შეხედონ, როგორც საერთო საქმეს.

მეოთხე – წარსულში აშშ-ს, როგორც ლიდერის როლი, აუცილებელი იყო, გინდაც მას ეს როლი ხანდახან ამბივალენტურად შეესრულებინა. ამერიკა ბალანსს სტაბილურობასა და უნივერსალური ღირებულებების დაცვას შორის ყოველთვის არ განიხილავდა ჩაურევლობის პრინციპებთან და სხვა ერების ისტორიულ გამოცდილებასთან თანხვედრაში. ამერიკის გამოცდილების უნიკალურობასა და მისი უნივერსალურობის იდეალისტურ რწმენას შორის, საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებულ წარმოდგენასა და ინტროსპექციას შორის ბალანსის დამყარების სურვილი უსასრულოა. მაგრამ უკან დახევა არ განიხილება.

ჩას გვიქადის მომავალი?

საერთაშორისო სისტემის რეკონსტრუქცია ჩვენს დროში სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს. საზღაური, რომელსაც ამ ამოცანის გადაუჭრელობა გამოიწვევს, ალბათ არ იქნება სახელმწიფოთა შორის დიდი ომი (თუმცა, ზოგიერთ რეგიონში არც ესაა გამორიცხული), უფრო მეტად, შეიქმნება გავლენის სფეროები გარკვეული საშინაო პოლიტიური სტრუქტურებისა და მმართველობის ფორმების თანხლებით – მაგალითად, ვესტფალიური მოდელი დაუპირისპირდება რადიკალურ-ისლამისტურ ვერსიას. თითოეული ეს სფერო აღმოჩნდება ცდუნების წინაშე, მის საზღვრებზე მოსინჯოს ძალა სხვების, არალეგიტიმურად

მიჩნეული წესრიგის სისტემების მიმართ. უახლესი კომუნიკაციის და რეალურ დროში მოქმედი ქსელების ფონზე პერიფერიებზე მიმდინარე შეხლა-შემოხლა სწრაფად გადაიქცევა სტატუსისა და უპირატესობისათვის ბრძოლის კონტინენტურ ან სულაც გლობალურ დაპირისპირებად. რეგიონებს შორის ბრძოლა შეიძლება უფრო გაჭიანურებული აღმოჩნდეს, ვიდრე ერთ დროს ერებს შორის ბრძოლები.

ახალი მსოფლიო წესრიგის ძიება კოპერენტულ სტრატეგიას მოითხოვს, რათა წესრიგის კონცეფციები *შიგნიდან* შემუშავდეს ცალკეული რეგიონებისათვის და შემდგომ ამ რეგიონულ წესრიგებს შორის დამყარდეს ურთიერთობები. ეს მიზნები მაინცდამაინც იდენტური არ არის და ხშირად მათი ერთმანეთთან შეთანხმებაც შეუძლებელია: რადიკალური მოძრაობის ტრიუმფალურმა სვლამ, შესაძლებელია, რომელიმე რეგიონში წესრიგი დაამყაროს, მაგრამ ამავე დროს საუკეთესო საწინდარი შექმნას სხვა რეგიონებში კონფლიქტისთვის. ერთი ქვეყნის მიერ რომელიმე რეგიონის სამხედრო ძალით დომინირებამ, გინდაც გარეგნულად წესრიგის შთაბეჭდილებას ტოვებდეს, მაინც შეიძლება კრიზისში ამოაყოფინოს თავი მთელ დანარჩენ მსოფლიოს.

შესაბამისად, მიზანშეწონილია ძალთა წონასწორობის კონცეფცია გადაიხედოს. თეორიულად, ძალთა ბალანსი იოლად გასათვლელი უნდა იყოს, პრაქტიკულად კი, უკიდურესად რთული აღმოჩნდა ერთი ქვეყნის გათვლის შესაბამისობაში მოყვანა სხვა სახელმწიფოების გათვლებთან და შეზღუდვებზე შეთანხმება. საგარეო პოლიტიკის ვარაუდებზე დაფუძნებული ელემენტი – ანუ, როდესაც იძულებულები ვართ გავატაროთ ღონისძიებები, რომელთა განხორციელების მომენტში რთულად გადასამოწმებელია ვარაუდები – ისე არასოდეს გაცხადებულა, როგორც გარდატეხის ეპოქაში. როცა ძველი წესრიგი ირყევა, სრულიად ბუნდოვანია, როგორი კონტურები ექნება ახალს. ამიტომ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული,

შეიქმნას მომავლის კონცეფცია. მაგრამ ცვალებადმა შიდაპოლიტიკურმა სტრუქტურებმა შეიძლება გამოიწვიოს არსებული ტენდენციების მნიშვნელობის განსხვავებული შეფასება და, რაც უფრო მთავარია, განსხვავებების დაძლევის კრიტერიუმების ურთიერთდაპირისპირებული შეფასება. ეს არის ჩვენი დროის დილემა.

სახელმწიფოთა მსოფლიო წესრიგი, რომელიც აღიარებს ინდივიდუალურ ღირსებას და პარტიციპატორულ მმართველობას, თანაც საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობს შეთანხმებული წესების მიხედვით, შეიძლება იყოს იმედი და ინსპირაცია. მაგრამ ამ წესრიგისკენ მიმავალი უწყვეტი გზა ძალაუნებურად მოითხოვს შუალედურ სტადიებს. თითოეულ ეტაპზე ჯობს, როგორც ედმუნდ ბერკი წერდა, „დავეთანხმოთ უმჯობეს გეგმას, რომელსაც ბევრი აკლია სრულყოფილ აბსტრაქტულ იდეალამდე, ვიდრე მივისწრაფოდეთ სრულყოფილებისკენ“, თუ დავიჟინებთ, რომ დაუყოვნებლივ უნდა მივაღწიოთ საბოლოო მდგომარეობას, კრიზისებისა და მარცხის რისკებს გამოვიწვევთ. შეერთებულ შტატებს ესაჭიროება სტრატეგია და დიპლომატია, რომელიც დანის პირზე გაივლის, რომ ამ ამაღლებულ მიზანს ნელი ნაბიჯით მიუახლოვდეს, არათანაბარი ნაბიჯებით, როგორიც ახასიათებს ადამიანის ყველა ძალისხმევას.

21-ე საუკუნის მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში საპასუხისმგებლო როლის შესასრულებლად შეერთებულმა შტატებმა ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი:

რისი პრევენცია გვინდა ნებისმიერი გზით და უკიდურეს შემთხვევაში მარტოს? პასუხი განმარტავს საზოგადოების გადარჩენისთვის აუცილებელ მინიმალურ პირობებს.

რომელი მიზნის მიღწევას შევეცდებით მაშინაც კი, თუ დახმარებას *არცერთი* სხვა მხარე არ გაგვიწევს? ეს გახლავთ ეროვნული სტრატეგიის დაგეგმვის მინიმალური მიზნები.

რა ძალისხმევით ვიმოქმედებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ალიანსი მხარს დაგვიჭერს? აქ დგინდება გლობალურ სისტემაში ჩვენი სტრატეგიული მისწრაფებების საზღვრები.

სად არ უნდა გამოვიჩინოთ ძალისხმევა, როდესაც მრავალი მხარე ან რომელიმე ალიანსი მოგვიწოდებს მოქმედებისკენ? აქ განისაზღვრება ამერიკის მსოფლიო წესრიგში მონაწილეობის საზღვრები.

და, უპირველეს ყოვლისა: როგორია იმ ღირებულებათა არსი, რომლებიც გვინდა, რომ განვამტკიცოთ? და როდის არის მათი განხორციელება დამოკიდებული გარეშე პირობებზე?

კაცმა რომ თქვას, იმავე კითხვების წინაშეა ყველა სხვა სახელმწიფო.

შეერთებული შტატები მსოფლიო წესრიგის დამყარებას ორ დონეზე უნდა ესწრაფოდეს: უნივერსალური პრინციპების დაცვა უნდა ერწყმოდეს სხვა რეგიონების ისტორიული და კულტურული რეალობების აღიარებას. ამერიკამ, მიუხედავად მძიმე ათწლეულების გაკვეთილებიდან გამოტანილი დასკვნებისა, მაინც უნდა შეინარჩუნოს თავისი განსაკუთრებული როლი. ისტორია იმ ქვეყნებსაც არ აძლევს სულის მოთქმის საშუალებას, რომლებიც თმობენ თავიანთ იდენტობას და უფრო იოლ გზას ირჩევენ. თანამედროვე მსოფლიოში ამერიკა ადამიანის თავისუფლებისადმი სწრაფვაში ყველაზე გამორჩეულია. ის არის აუცილებელი გეოპოლიტიკური ძალა, რომელიც იცავს ჰუმანიტარულ ღირებულებებს. ამერიკამ არ უნდა დაკარგოს ორიენტაცია.

ჩვენი დროის გამოწვევებთან გასამკლავებლად, როგორც ფილოსოფიურ, ასევე გეოპოლიტიკურ დონეზე, ამერიკის, როგორც მიზანსწრაფული ლიდერის როლი აუცილებელია. მაგრამ მსოფლიო წესრიგი მხოლოდ ერთი ქვეყნის ძალისხმევით არ

დამკვიდრდება. ჭეშმარიტი მსოფლიო წესრიგის მისაღწევად მისმა წევრებმა უნდა შეინარჩუნონ საკუთარი ღირებულებები და უნდა შეითვისონ სხვა, მეორე კულტურაც – უფრო გლობალური, უფრო სტრუქტურული და იურიდიული ხასიათის – წესრიგის კონცეფცია, რომელიც ერთი რომელიმე რეგიონის ან ერის განვითარებას და იდეალებს სცდება. ისტორიის ამ ეტაპზე ეს ნიშნავს ვესტფალიური სისტემის მოდერნიზაციას და მის თანამედროვე რეალობებზე მორგებას.

შესაძლებელია ერთ საერთო სისტემაში განსხვავებული კულტურების გაერთიანება? ვესტფალიური სისტემა დაახლოებით ორასმა დელეგატმა შექმნა, მათ შორის არცერთი არ შესულა ისტორიაში როგორც გამორჩეული პიროვნება. ისინი გერმანიის ორ, ერთმანეთისგან ორმოცი მილით დაშორებულ (მე-17 საუკუნეში ეს დიდი მანძილი იყო) პროვინციულ ქალაქში ცალ-ცალკე ჯგუფებად შეიკრიბნენ. მათ გადალახეს დაბრკოლებები, რადგან აერთიანებდათ ოცდაათწლიანი ომისას გადატანილი საშინელებები და მტკიცე ნება ამგვარი კატასტროფის გამეორების აღკვეთისა. ჩვენს დროში, როდესაც წინ უფრო მძიმე მომავალი გველოდება, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, სანამ მოვლენები გვშთანთქავდეს.

ადრეული ანტიკური ხანის ხელნაწერების ფრაგმენტები ასახავენ ადამიანურ ყოფას, რომელსაც საბედისწერო დაღს ამჩნევს გარდატეხა და ბრძოლა. „მსოფლიოს წესრიგი" ცეცხლს ჰგავდა, „ზომიერად აალდებოდა და ზომიერად მინავლდებოდა", ომი კი იყო „ყველაფრის ბატონი და ყველაფრის მეფე" იგი იწვევდა გარდატეხას მსოფლიოში. მაგრამ ამასთან, „საგანთა ერთობა... ზედაპირს ქვეშ მდებარეობდა; იგი დამოკიდებული იყო დაპირისპირებულთა შორის დაბალანსებულ რეაქციაზე". ჩვენმა ეპოქამ მიზნად უნდა დაისახოს ამ ბალანსს მიაღწიოს და ომის სადავეებიც მოთოკოს. ეს კი უნდა შევძლოთ ისტორიის სწრაფი დინების პირობებში. ერთი

იგავის კარგად ცნობილი მეტაფორა გვეუბნება, რომ „ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ არ შედიან". ისტორია უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მდინარე, რომლის წყლებიც მუდმივად იცვლება.

დიდი ხნის წინათ, ახალგაზრდობაში, მყოფნიდა თავხედობა, მგონებოდა, რომ შემეძლო „ისტორიის მნიშვნელობა" ამეხსნა. ამასობაში ვისწავლე, რომ ისტორიის არსს შეიძლება ჩასწვდე, მაგრამ მას ვერ გამოხატავ. ეს არის კითხვა, რომელსაც უნდა მოვარგოთ საუკეთესო პასუხი, და თან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისტორიაზე დებატები არასოდეს დასრულდება, რომ ყველა თაობა იმის მიხედვით შეფასდება, გაუსწორა თუ არა თვალი კაცობრიობის უმნიშვნელოვანეს და პრინციპულ პრობლემებს, რომ სახელმწიფო მოღვაწეებმა გადაწყვეტილებები, რომლითაც ამ გამოწვევებს უნდა შეეგებონ, ისეთ დროს უნდა მიიღონ, როდესაც საბოლოო შედეგი ჯერ ბუნდოვანია.

მადლობა თანადგომისთვის

ამ წიგნის იდეა წარმოიშვა ჩარლზ ჰილთან, Brady-Jonson Program in Grand Strategy-ს სასწავლო პროგრამის საპატიო წევრთან და იელის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული პროგრამის დოცენტთან ვახშმობისას. როცა უხსოვარ დროში საგარეო საქმეთა მინისტრად ვმსახურობდი, ჩარლი აშშ-ს მთავრობის პოლიტიკური დაგეგმვის შტაბის მნიშვნელოვანი წევრი გახლდათ. მას შემდეგ ვმეგობრობთ და ხანდახან ერთობლივად ვმუშაობთ პროექტებზე.

საუბრისას მივედით დასკვნამდე, რომ მსოფლიო წესრიგის კონცეფციის კრიზისი ჩვენი დროის ყველაზე საშური პრობლემაა. როდესაც ამ თემაზე წიგნის დაწერა გადავწყვიტე, ჩარლიმ რჩევა და დახმარება შემომთავაზა. ორივე უაღრესად ფასეული აღმოჩნდა. შემომთავაზა აგრეთვე რამდენიმე სტატია, რომელიც ამ თემის სხვადასხვა ასპექტებზე თავად დაეწერა, გადახედა წიგნის თავების სამუშაო ვარიანტს, მუდამ მზად იყო სადისკუსიოდ და ხელნაწერის რედაქტორულ დამუშავებაშიც დამეხმარა.

შაილერ შუტენმა ფასდაუდებელი და დაუცხრომელი შრომა გასწია – ესაა ეპითეტები, რომლითაც სამი წლის წინათ პატივი მივაგე მის მონანილეობას ჩემი წიგნის „ჩინეთი: ტრადიციასა და გამოწვევებს შორის" მომზადებაში. ის სამეცნიერო ასისტენტის რანგში მოღვაწეობს და ჩემს გონებრივ საქმიანობაზე ისე ახდენს გავლენას, ვითარცა ჩემი ალტერ ეგო.

მან იკისრა კვლევის დიდი ნაწილი, მაწვდიდა საფუძვლიან დასკვნებს, რამდენჯერმე წაიკითხა ხელნაწერი და ამ თემაზე მრავალი დისკუსიისას მახლდა თან. ამ წიგნის სრულყოფაში მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. იგი განსაკუთრებული ადამიანური თვისებებით გამოირჩევა – დიდი წნეხის ქვეშაც არასოდეს გამოდის წყობიდან.

ჩემი გამომცემლობის Penguin Press-ის სარედაქციო როლი, ასევე განსაკუთრებულია. ერთდროულად არასოდეს არ მიმუშავია ორ ისეთ რედაქტორთან, რომლებიც შესანიშნავად ავსებენ ერთმანეთს. ენ გოდოფი, გამომცემლობის პრეზიდენტი და მთავარი რედაქტორი, კეთილი ნებით, წიგნის რედაქტირებაშიც დაგვეხმარება. იგი ჩვეული გონებამახვილობითა და პროფესიონალური ალღოთი მირჩევდა ბუნდოვანი კონტექსტებისა და უბრალო მკითხველისათვის ალბათ რთულად გასაგები ისტორიული მინიშნებების დაზუსტებას. ამას გარდა, მნიშვნელოვანი რჩევები მომცა, წიგნი კომპოზიციურად როგორ დამელაგებინა. არ ვიცი, როგორ გამოძებნა დრო ასეთი დაწვრილებითი და ზუსტი კომენტარებისთვის, რისთვისაც მისი უზომოდ მადლიერი ვარ.

მისი კოლეგა სტუარტ პროფიტი, Penguin-ის ბრიტანული ნაწილის გამომცემელი, ლამის შეპყრობილი ისტორიკოსის პოზიციიდან ამოწმებდა ყველა თავს, ზედმიწევნით ზუსტ კომენტარებს გვაწვდიდა და მნიშვნელოვან წყაროებზე მითითებდა. სტუარტთან მუშაობა ჰგავდა უაღრესად მცოდნე, მომთმენი და მეგობრული მენტორის ხელმძღვანელობით წარმართულ საუნივერსიტეტო ტუტორიუმს.

ინტერნეტის თემაზე აქამდე არაფერი დამეწერა და თითქმის ვერ ვფლობ მისი ტექნიკური სტრუქტურის შესახებ ცოდნას. მაგრამ ძალიან ბევრი ვიფიქრე, როგორ გავლენას ახდენს უახლესი ტექნოლოგია პოლიტიკის კეთების სტილზე. ერიკ შმიდტი მზად იყო, გამორჩეული გულისხმიერებით შემძლო-

ლოდა დიგიტალურ სამყაროში. ბევრჯერ შევხვედრილვართ ხანგრძლივი დროით. აშშ-ს ორივე სანაპიროზე გვქონდა უაღრესად საინტერესო საუბრები. ზოგიერთ შეხვედრაში ჯარედ კოენიც მონაწილეობდა, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ პროცესში. ერიკმა ორჯერ დამპატიჟა სტუმრად გუგლში, სადაც მომეცა შესაძლებლობა მის გასაოცარ და ბრწყინვალე კოლეგებს გავსაუბრებოდი.

ბევრ მეგობარსა და ნაცნობს ვუმადლი ხელნაწერის ცალკეული ნაწილების შემოწმებასა და კომენტარებს. უნდა დავასახელო ჯ. სტეპლეტონ როი და უინსტონ ლორდი (აზიის ნაწილი), მაიკლ გფოელერი და ემა სკაი (ახლო და შუა აღმოსავლეთი) და პროფესორი რანა მიტერი ოქსფორდის უნივერსიტეტიდან (რომელმაც მთელი ხელნაწერი წაიკითხა). წიგნის ბევრი თავი ჩემი მეგობრების – ლეს გელბის, მაიკლ კორდას, პეგი ნუნანის და რობერტ კაპლანის პროფესიული გამოცდილებით გამდიდრდა.

ტერეზა ამანტეა – უკვე მეექვსედ დამეხმარა წიგნის გამოსაცემად მომზადებაში, ჩემს ოფისში ჩვეული ორგანიზაციული ნიჭითა და ხალისით ზრუნავდა ტექსტზე, ფაქტების გადამოწმებასა და სხვა ტექნიკურ პრობლემებზე. ამას გარდა, მან შეასრულა ბეჭდვითი სამუშაოს დიდი ნაწილი. მას ეხმარებოდა ჯოდი უილიამსი, რომ ვადები დაგვეცვა. მათთან ერთად ბევრი ათწლეული ვიმუშავე. მადლობას ვუხდი ორივეს სანდოობისთვის და კიდევ უფრო – განსაკუთრებული მონდომებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ლუიზ კუშნერი მხოლოდ ბოლო ხანს შემოუერთდა ჩემს შტაბს, თავის კოლეგებზე ნაკლები მონდომება არ გამოუჩენია. მან ეფექტურად უზრუნველყო წიგნში რედაქტორების შენიშვნების შეტანა. მკაცრად, მაგრამ თავაზიანად გვახსენებდა სამუშაო გრაფიკს და ზრუნავდა, რომ ვადები არ დაგვერღვია, სანამ მე წერით ვიყავი დაკავებული.

ფასეული დახმარება გამიწიეს ჯესი ლეპორინმა და ქეთრინ ერლმა.

ინგრიდ სტერნერმა, ბრუს გიფორდსმა და ნუარინ ლუკასმა სტილისტურად ჩაასწორეს ხელნაწერი და უაღრესად ფაქიზად შეასრულეს ეს სამუშაო. გამოცემის ამ ფაზაში მათ საოცარი მოთმინება და დეტალებისადმი ერთგულება გამოამჟღავნეს.

როგორც ჩინეთზე დაწერილი გამოცემის დროს, ახლაც ენდრიუ ვაილი იყო ჩემი წარმომადგენელი მთელ მსოფლიოში გამომცემლებთან და ჩვეული გონიერებით, დარბაისლობითა და პრინციპულობით წარმართავდა საქმეს. ამისთვის მისი უაღრესად მადლიერი ვარ.

ეს წიგნი მივუძღვენი ჩემს მეუღლეს, ნენსის. ის არის ჩემი ცხოვრება. როგორც ყოველთვის, მან ამჯერადაც წაიკითხა მთელი ხელნაწერი და ძალიან ტაქტიანი კომენტარები მომინიშნა.

ზედმეტია თქმა იმისა, რომ წიგნის ყველა ნაკლზე მხოლოდ მე ვაგებ პასუხს.

შენიშვნები

შესავალი

მსოფლიო წესრიგის ძიებაში

გვ. **16** „ოცი სახელმწიფო ხართ": Franz Babinger, *Mehmed the Conqueror and His Time* (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1978), როგორც: in Antony Black, *The History of Islamic Political Thought* (Edinburgh: Edinburgh University Press, 2011), 207.

თავი 1

ევროპა: პლურალისტული საერთაშორისო წესრიგი

გვ. **25** ევროპული იდეა განისაზღვრა: Kevin Wilson and Jan van der Dussen, *The History of the Idea of Europe* (London: Routledge, 1993).

გვ. **26** ამ მსოფლმხედველობის შედეგად, ქრისტიანობა: Frederick B. Artz, *The Mind of the Middle Ages* (Chicago: University of Chicago Press, 1953), 275–80.

გვ. **27** გაერთიანების მცდელობა: Heinrich Fichtenau, *The Carolingian Empire: The Age of Charlemagne,* trans. Peter Munz (New York: Harper & Row, 1964), 60.

გვ. **30** კარლოსს შარავანდედით მოსავდნენ: Hugh Thomas, *The Golden Age: The Spanish Empire of Charles V* (London: Allen Lane, 2010), 23.

გვ. **31** კარლოს დიდის ტრადიციისამებრ: James Reston Jr., *Defenders of the Faith: Charles V, Suleyman the Magnificent, and the Battle for Europe, 1520–1536* (New York: Penguin Press, 2009), 40, 294–95.

გვ. **31 საფრანგეთის მეფემ კარლოსს უპასუხა:** იხ. თავი 3.

გვ. **32 ეკლესიის უნივერსალურობა, რომლის დაცვაც კარლოსს ეწადა:** იხ. Edgar Sanderson, J. P. Lamberton, and John McGovern, *Six Thousand Years of History,* vol. 7, *Famous Foreign Statesmen* (Philadelphia: E. R. DuMont, 1900), 246–50; Reston, *Defenders of the Faith,* 384–89. გვიანდელი ევროპა უნივერსალურ მოთხოვნებს ნინააღმდეგობრივი და სკეპტიკური განწყობებით ეგებებოდა. შესაბამისად, კარლოს დიდის ბატონობის ეპოქა სხვა შუქში ჩანდა: არა როგორც დიდი ხნის ნანატრი და თითქმის მიღწეული ერთობა, არამედ მუქარის შემცველი, საშიში ამპარტავნობა. შოტლანდიელი ფილოსოფოსი დევიდ იუმი – მე-18 საუკუნის განმანათლებლობის პირმშო – მოგვიანებით წერდა: „კაცობრიობა კიდევ ერთხელ განიცდიდა უნივერსალური მონარქიის საშიშროებას, რომელიც გამომდინარეობდა იმპერატორ კარლოსის მმართველობის ქვეშ ამდენი სამეფოსა და სათავადოს გაერთიანებიდან. in *Essays, Moral, Political, and Literary* (1742), 2.7.13.

გვ. **33 სამყაროს რუკა, როგორც იგი ესმოდათ:** იხ. Jerry Brotton, *A History of the World in Twelve Maps* (London: Penguin Books, 2013), 82–113 (discussion of the Hereford Mappa Mundi, ca. 1300); 4 Ezra 6:42; Dante Alighieri, *The Divine Comedy,* trans. Allen Mandelbaum (London: Bantam, 1982), 342; და Osip Mandelstam, "Conversation About Dante," in *The Poet's Dante,* ed. Peter S. Hawkins and Rachel Jacoff (New York: Farrar, Straus and Giroux, 2001), 67.

გვ. **39 „წითელი კარდინალი":** თავად რიშელიეს უკან ედგა „რუხი კარდინალი" – საიდუმლო მრჩეველი და აგენტი ფრანსუა ლეკლერკ დუ ტრამბლეი. იგი იყო კაპუცინელი ბერი, რუხი ანაფორა ეცვა და ამიტომ რიშელიეს „რუხ კარდინალს" უწოდებდნენ. იმ დროიდან მოყოლებული, დიპლომატიის ისტორიაში ეს ტერმინი გამოიყენება ჩრდილში მოღვაწე გავლენიანი პირის დასახასიათებლად. Aldous Huxley, *Grey Eminence: A Study in Religion and Politics* (New York: Harper and Brothers, 1941).

გვ. **40 მაკიაველიმ გამოაქვეყნა შრომა სახელმწიფოს მართვის ხელოვნების შესახებ:** იხ. მაგ. Niccolo Machiavelli, *The Art of War* (1521), *Discourses on the First Ten Books of Titus Livy* (1531), *The Prince* (1532).

გვ. **41** აღშფოთებული პროტესტით დაუპირისპირდნენ: Joseph Strayer, Hans Gatzke, and E. Harris Harbison, *The Mainstream of Civilization Since 1500* (New York: Harcourt Brace Jovanovich, 1971), 420.

გვ. **42** ცენტრალური ევროპის დაქუცმაცება Richelieu, "Advis donné au roy sur le sujet de la bataille de Nordlingen," in *The Thirty Years War: A Documentary History,* ed. and trans. Tryntje Helfferich (Indianapolis: Hackett, 2009), 151.

გვ. **44** 235 ოფიციალური წარგზავნილი: Peter H. Wilson, *The Thirty Years War: Europe's Tragedy* (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 2009), 673.

გვ. **44** წარმომადგენელთა უმეტესობა ძალიან პრაგმატული, სტრატეგიულ ინტერესებზე დამყარებული ინსტრუქციებით ჩავიდა მოლაპარაკებებზე: იქვე, 676.

გვ. **45** ორივე მთავარ მულტილატერალურ ხელშეკრულებაში: *Instrumentum pacis Osnabrugensis* (1648) and *Instrumentum pacis Monsteriensis* (1648), in Helfferich, *Thirty Years War,* 255, 271.

გვ. **46** რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს: Wilson, *Thirty Years War,* 672.

გვ. **46** კანონის მუხლები: რელიგიური ტოლერანტობის ფორმალური პირობები ვრცელდებოდა მხოლოდ სამ ქრისტიანულ კონფესიაზე: კათოლიციზმზე, ლუთერანიზმსა და კალვინიზმზე.

გვ. **49** „ჩვენ არ გვყავს მუდმივი მოკავშირეები": Palmerston, Speech to the House of Commons, March 1, 1848. ეს სულისკვეთებაა გამოხატული აგრეთვე, პრინც უილიამ III ორანიელის მიერ, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება იბრძოდა საფრანგეთის ჰეგემონიის წინააღმდეგ (თავიდან, როგორც ჰოლანდიის ტახტის მემკვიდრე, შემდეგ კი, როგორც ინგლისის, ირლანდიისა და შოტლანდიის მეფე). თავის ერთ-ერთ მრჩეველს მან გაანდო, 1550-იან წლებში რომ მეცხოვრა და ჰაბსბურგებს მოეპოვებინათ დომინანტობა, „ისეთივე ფრანგი ვიქნებოდი, როგორი ესპანელიც (ჰაბსბურგი) ახლა ვარო. მოგვიანებით კი, უინსტონ ჩერჩილმა, საყვედურს, ანტი-გერმანელი ხარო, შემდეგი სიტყვებით უპასუხა: პირიქით რომ ყოფილიყო საქმე, ისეთივე პრო-გერმანელები და ანტი-ფრანგები ვიქნებოდითო".

გვ. **49 როდესაც მეკითხებიან:** Palmerston to Clarendon, July 20, 1856, quoted in Harold Temperley and Lillian M. Penson, *Foundations of British Foreign Policy from Pitt (1792) to Salisbury (1902)* (Cambridge, U.K.: Cambridge University Press, 1938), 88.

გვ. **51 „ლევიათანი":** გამოცდილება, რომელმაც პობსს „ლევიათანი" დააწერინა, მან მიიღო ინგლისის სამოქალაქო ომებისგან, რომელთა გავლენა ინგლისზე უზარმაზარი იყო, თუმცა ფიზიკურად ისე არ გაუნადგურებია, როგორც ოცდაათწლიანმა ომმა გაანადგურა კონტინენტი.

გვ. **51 ორ სუვერენს შორის მოვალეობებზე მხოლოდ იმას მივუთითებ:** Thomas Hobbes, *Leviathan* (1651) (Indianapolis: Hackett, 1994), 233.

გვ. **53 რეალურად, ვესტფალიის ზავის შემდეგ ძალთა ორგვარი ბალანსი იყო:** მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ იმ დროს ცენტრალურ ევროპაში მხოლოდ ერთი წამყვანი ძალა არსებობდა – ავსტრია და მისი სამფლობელო. პრუსია ჯერ კიდევ მეორეხარისხოვანი ძალა იყო, რომელიც გერმანიის ალმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობდა. გერმანია იყო გეოგრაფიული კონცეფცია და არა სახელმწიფო. იგი შედგებოდა ათეულობით პატარა და ჯუჯა სახელმწიფოსაგან, რომლებიც მთლიანობაში მოზაიკას ქმნიდნენ.

გვ. **55 „მან (ლუიმ) კარგად უწყოდა":** Lucy Norton, ed., *Saint-Simon at Versailles* (London: Hamilton, 1958), 217–30.

გვ. **57 ორად გაყოფილი:** სანამ მკაცრმა დიპლომატიამ პოლონეთის სამჯერ გაყოფა არ გამოინვია, ფრიდრიხ დიდის ტერიტორიის ალმოსავლეთ ნაწილს სამივე მხრიდან ერტყა პოლონეთი, მეოთხე მხრიდან კი ბალტიის ზღვა.

გვ. **57 ფრიდრიხ მეორე 1740 წელს ავიდა ტახტზე:** Gerhard Ritter, *Frederick the Great: A Historical Profile,* trans. Peter Paret (Berkeley: University of California Press, 1968), 29–30.

გვ. **58 „მმართველები თავიანთი რესურსების მონები არიან":** Frederick II of Prussia, *Oeuvres,* 2, XXV (1775), როგორც დამოწმებულია Friedrich Meinecke, *Machiavellism: The Doctrine of Raison d'État and*

Its Place in Modern History, trans. Douglas Scott (New Haven, Conn.: Yale University Press, 1957) (originally published in German, 1925), 304.

გვ. 58 **"Pas trop mal pour la veille d'une grande bataille":** „ცუდი არ არის გადამწყვეტი ბრძოლის წინა საღამოსთვის": როგორც ოტო ფონ ბისმარკი იმოწმებს ფრიდრიხ მეორეს, *Bismarck: The Man and the Statesman* (New York: Harper & Brothers, 1899), 316; and Otto von Bismarck, *The Kaiser vs. Bismarck: Suppressed Letters by the Kaiser and New Chapters from the Autobiography of the Iron Chancellor* (New York: Harper & Brothers, 1921), 144–45.

გვ. 58 **განმანათლებლური დესპოტიზმი:** როგორც აღნიშნა 1734 წელს ალექსანდერ პოპმა, „აცალეთ ბრიყვებს კამათი იმაზე, რომელია მმართველობის საუკეთესო ფორმა". Alexander Pope, *An Essay on Man* (1734), epistle III, lines 303–4.

გვ. 58 **„ჩვენი ჯარების აღმატებულება":** როგორც დამოწმებულია in G. P. Gooch, *Frederick the Great* (Berkeley: University of California Press, 1947), 4–5.

გვ. 60 **„სააშკარაოზე გამოჰქონდათ ცხოვრება და ღირებულებები":** David A. Bell, *The First Total War: Napoleon's Europe and the Birth of Warfare as We Know It* (Boston: Houghton Mifflin, 2007), 5.

გვ. 60 **„ელიტარული საზოგადოება"** სოციალური ცხოვრების ცოცხალი სურათი აღწერილი აქვს Susan Mary Alsop, *The Congress Dances: Vienna, 1814–1815* (New York: Harper & Row, 1984); Adam Zamoyski, *Rites of Peace: The Fall of Napoleon and the Congress of Vienna* (London: HarperPress, 2007).

გვ. 61 **„დედამიწიდან სატურნამდე"** Jean Le Rond d'Alembert, "Éléments de Philosophie" (1759), როგორც დამოწმებულია: Ernst Cassirer, *The Philosophy of the Enlightenment,* trans. Fritz C. A. Koelln and James P. Pettegrove, (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1951), 3.

გვ. 62 **„სწავლა და მოშურნეობა ... კაცობრიობის სასიკეთოდ":** Denis Diderot, "The Encyclopedia" (1755), in *Rameau's Nephew and Other Works,* trans. Jacques Barzun and Ralph H. Bowen (Indianapolis: Hackett, 2001), 283.

გვ. 62 „სოლიდური პრინციპებით, რომელიც იქნებოდა ჭეშმარიტების საფუძველი" იქვე, 296.

გვ. 63 „ბედისწერა არ მართავს": Montesquieu, *Considérations sur les causes de la grandeur des Romains et de leur décadence* (1734), რომელიც დამოწმებულია: Cassirer, *Philosophy of the Enlightenment*, 213.

გვ. 63 „ასოციალური სოციალურობა": Immanuel Kant, "Idea for a Universal History with a Cosmopolitan Purpose" (1784), in *Kant: Political Writings*, ed. H. S. Reiss (Cambridge, U.K.: Cambridge University Press, 1991), 44.

გვ. 64 „ყველაზე რთული და საბოლოო": იქვე, 46.

გვ. 64 „სიმშვიდე, რომელიც გონიერებაზე იქნება დამყარებული": იქვე, 47.

გვ. 64 „კაცობრიობის თვალუწვდენელ სასაფლაოზე": Immanuel Kant, "Perpetual Peace: A Philosophical Sketch (1795)," in Reiss, *Kant*, 96.

გვ. 64 კანტის მიხედვით, გამოსავალი მდგომარეობს რესპუბლიკების ნებაყოფლობით ფედერალიზმში: ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიციპატორული მმართველობის მქონე სახელმწიფოები იმართებიან კანონების სისტემით, რომელიც თანაბარია ყველა მოქალაქისთვის. „მარადიული მშვიდობა" ხშირად თანამედროვე ეპოქის „დემოკრატიული მშვიდობის თეორიად" მიიჩნევა. მაგრამ ამ ესეში კანტი დემოკრატიას განასხვავებს რესპუბლიკისგან, რომელსაც ის აღწერს წარმომადგენლობით პოლიტიკურ სტრუქტურად, რომელშიც „აღმასრულებელი ხელისუფლება (მთავრობა) გამიჯნულია საკანონმდებლო ხელისუფლებისგან. „დემოკრატია, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით", ამბობს ის, „ანუ პირდაპირი დემოკრატია, როგორიც იყო გვიანდელ ანტიკურ ხანაში ათენის დემოკრატია, სადაც ყველა სახელმწიფო საქმე საჯარო ნებას ექვემდებარებოდა – ითხოვს დესპოტიზმს". იქვე, 101.

გვ. 65 „სრულყოფილი სამოქალაქო გაერთიანება": Kant, "Idea for a Universal History," 49.

გვ. 67 რევოლუციის ინტელექტუალური ნათლიმამა: რუსოს ცნობილი ანალიზის მიხედვით, "ადამიანი იბადება თავისუფალი

და ყველგან ბორკილები ადევს". კაცობრიობის განვითარება არასწორი გზით წავიდა, როდესაც გაჩნდა „პირველი პირი, ვინც შემოიღობა მიწა და გაიფიქრა, *ეს ჩემიაო*". სამართლიანობა მაშინ მიიღწევა, როდესაც კერძო საკუთრება გადავა ყველას ხელში და მოიშლება ხელოვნურად შექმნილი სოციალური საფეხურები. და რადგან ისინი, ვისაც გააჩნია სტატუსი ან კერძო საკუთრება, შეეწინააღმდეგებიან აბსოლუტურ თანასწორობას, ამის მიღწევა მხოლოდ ძალისმიერი რევოლუციით არის შესაძლებელი". *Discourse on the Origin of Inequality* and *The Social Contract*, in *The Basic Political Writings* (1755; 1762) (Indianapolis: Hackett, 1987), 61, 141.

გვ. **68 „ძალის სათანადო გამოყენება"**: რუსოს მიხედვით, ლეგიტიმური მმართველობა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც „ყველა ჩვენთაგანი ჩააყენებს თავის თავს და და მის ხელთ არსებულ ძალას საყოველთაო ნების სამსახურში. ჩვენ კი, როგორც ერთობა, თითოეულ წევრს მივიღებთ როგორც განუყრელ ნაწილს ერთი მთლიანობისა". იგი ამბობდა, რომ აზრთა სხვადასხვაობა უნდა აღმოფხვრილიყო: რადგან რაციონალური და თანასწორი სტრუქტურების მქონე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა საყოველთაო ნებას ენინააღმდეგება და არალეგიტიმურ ოპოზიციას ქმნის. „როდესაც ყველა შეიტანს წვლილს საერთო საქმეში, თავდაპირველად დამყარდება თანასწორობა და რადგან ყველა თანასწორი იქნება, არავის ენდომება სხვისი ინტერესის დაჩაგვრა". Rousseau, *Social Contract*, in *The Basic Political Writings*, 150.

